

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

შრომები

ტომი I (VII)

2019

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი

შრომები

ტომი I (VII)

საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან არსებული ისტორიისა
და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
ბეჭდური ორგანო



გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2019

მას შემდეგ რაც საქართველო ეროვნულ მუზეუმთან შეიქმნა ახალი სამეცნიერო ინსტიტუცია, სამეცნიერო საბჭოს გადამწყვეტილებით, მუზეუმში გამომავალ სამეცნიერო კრებულს – „ეთნოლოგიური ძიებანი“ – (რომლის ექვსი ტომია გამოსული) შეეცვალა დასახელება და ამიერიდან გამოვა **ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“**-ს სახელწოდებით.

წინამდებარე კრებულში იბეჭდება მეცნიერული გამოკვლევები საქართველოს, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის, ევროპის ხალხთა ისტორიისა და ეთნოკულტურის შესახებ.

სარედაქციო კოლეგია

ელდარ ნადირაძე (თავმჯდომარე), **ოთარ ჯანელიძე** (მოადგილე), **თამილა ცაგარეიშვილი**, **ივანე მენტეშაშვილი**, **ოლივერ რაისნერი** (გერმანია), **რამაზ პაპუაშვილი** (საფრანგეთი), **რიზვან ჰუსეინოვი** (აზერბაიჯანი) **როზეტა გუჯეჯიანი**, **ნოდარ შოშიტაშვილი**

ტომის რედაქტორი:

ოთარ ჯანელიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

ქეთევან ხუციშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თინა ლუღუშაური, აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი

დარეჯან აბულაძე

სარედაქციო კოლეგია მადლობას მოახსენებს ქალბატონ როზეტა გუჯეჯიანს „შრომების“ გამოცემაში განუული დახმარებისათვის

შინაარსი

ელდარ ნადირაძე – 70

მილოცვები იუბილარს

დავით ლორთქიფანიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი 7

ლია მელიქიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი 9

ანდრო ბედუკაძე

უბრალო, როგორც წყლის წვეთი (ინტერვიუ ელდარ ნადირაძესთან) 18

სტატიები

საქართველოს ისტორია

იოსებ ალიმბარაშვილი

ქსნის ხეობის მოსახლეობა 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის
მიხედვით..... 35

დავით ახლოური

სოფელ ბალანის მოსახლეობა 2008 წლის აგვისტოს ომამდე და ომის
შემდეგ 51

დურმიშხან ლაშხი

აფხაზეთის ეპისკოპოსის ალექსანდრე ოქროპირიძე ქველმოქმედი და
მეცენატი..... 60

ელდარ ნადირაძე

აშოტ კისკასის ვინაობისათვის 75

ივანე მენთეშაშვილი

ოლივერ კრომველი – პურიტანი და სარდალი 93

ნინო ძაგანია

„თეთრი გვირილის“ საქველმოქმედო დღე.....111

ოლივერ რაისნერი

ეთნოსი და დემოსი ტფილისში. ეთნიკური ჯგუფების
ურთიერთდამოკიდებულება ქალაქის სათათბიროს საარჩევნო
კამპანიებში 1890-1897 წლებში 123

ოთარ ჯანელიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური
წარმომადგენლობა პოლონეთში 147

ეთნოლოგია

მაგდანა გაბრიჭიძე

თედორობის დღესასწაული 170

ნუგ ზარ იდოიძე

მიჯაჭვული ამირანის არქეტიპული კვალი თუშეთის ტრადიციულ
კულტურაში 176

თინა იველაშვილი

რელიგიური ტოლერანტობის ორმხრივობისათვის..... 194

გულიკო კვანტიძე

საფეიქრო საქმისწარმოების ტრადიციის შესწავლისათვის
საქართველოში (ტექნიკა, მასალა).....206

ელდარ ნადირაძე

ბორბლისა და ტერნმინ „ბორბლის“ წარმოშობის საკითხისათვის218

მარიამ ხინთიბიძე

მოხევე ქალის ჩაცმულობა (XIX-XX სს.)230

არქეოლოგია

თებრონე ნადირაძე

გარეჯის მატერიალური კულტურის არქეოლოგიური არტეფაქტები.....240

Ризван Гусейнов

Уникальные дворцовые постройки V-IV вв. до н.э. в Гараджамирли (Азербайджан). Синтез древнего наследия Скифии, Мидии и Ахеменидов.....254

ხელოვნება

მარინე ბოკუჩავა

მუაზაზიური კერამიკა (ბუხარული) ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ფონდში დაცული მასალის მიხედვით.....269

მანანა ხიზანიშვილი

ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ლიტავრა (ერთი ნივთის ისტორია).283

გიორგი მეურმიშვილი

დარეჯან აბულაძე

ეკა მაზიაშვილი

ევგენი ლანსერე – დამოუკიდებელი საქართველოს კულტურის სათავეებთან291

მოგონებები

რამაზ პაპუაშვილი

სტუმარი საკუთარ სახლში.....304

რამაზ პაპუაშვილი

შორეული მზერითა და გულთან ახლოს.....419

დანართი

ელდარ ნადირაძის

ძირითადი ნაშრომების ბიბლიოგრაფია (1996-2018)424

მიმდინარე წლის 15 სექტემბერს ეროვნული მუზეუმის ღვანღმოსილ მუშაკს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ელდარ ნადირაძეს 70 წელი შეუსრულდა. ეროვნული მუზეუმის დირექცია, სამეცნიერო საბჭო, მისი მრავალრიცხოვანი კოლექტივი, გულმხურვალედ მიესალმება ბატონ ელდარს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლესა და კვლავ დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

მილოცვა იუბილარს

ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელს, დიდი და სახელოვანი ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს, ბატონ ელდარ ნადირაძეს გულრწფელი პატივისცემით მივულოცავ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს.

პირდაპირ ვიტყვი: ვისაც ბატონ ელდართან ჰქონია საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა ყველა დამეთანხმება, რომ იგი არის ნათელი პიროვნება, უალრესად გულრწფელი და მართალი ბუნების ადამიანი და ეს მისი გამოკვეთილი თვისება, სანიმუშოდაა შერწყმული მაღალმეცნიერულ კვლევასთან, რომელიც დიდი პროდუქტიულობითაა წარმოდგენილი მის შესანიშნავ მონოგრაფიებში.

ცალკე აღნიშნის ღირსია ბატონი ელდარის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელიც ატარებს ეროვნული ღირებულებების დაცვისა და ამ ღირებულებათა მიმართ უარყოფითად განწყობილი პერსონებისადმი უკომპრომისო დამოკიდებულებას.

ჩემთვის დიდი პატივია მასთან თანამშრომლობა და მეგობრობა. კიდევ ერთხელ მივულოცავ ბატონ ელდარს სახელოვან თარიღს და ვუსურვებ დიდხანს ეღვაწოს თავისი ქვეყნისა და ჩვენი ერის სულიერი საუნჯის – საქართველოს ეროვნული მუზეუმის საკეთილდღეოდ.

*საქართველოს ეროვნული მუზეუმის
გენერალური დირექტორი, საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
დავით ლოთიფჯანიძე*

ელდარ ნადირაძე – 70

*ეთნოლოგი, კულტუროლოგი, პუბლიცისტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

ქართული ეთნოლოგიური სკოლის გამოჩენილ წარმომადგენელს ელდარ ნადირაძეს 70 წელი შეუსრულდა.

ამ თარიღით ჩვენ შეეცდებით, მოკლედ შევაჯამოთ, მისი სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობის განვლილი პერიოდი, რომელმაც ჩამოაყალიბა იგი როგორც მეცნიერი და როგორც მოღვაწე.

ელდარ ნადირაძე წარმოგვიდგება მეცნიერად, რომელმაც სახელოვნად გაიარა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაარსებული ქართული ეთნოლოგიური სკოლის გზა. მისი ინტერესის უმთავრეს სფეროს შეადგენდა და შეადგენს ქართული ეთნოკულტურის სამსახური, ამ მემკვიდრეობის კვლევა, პოპულარიზაცია და გამომზეურება წვლილისა, რომელიც ჩვენ ხალხს შეუტანია მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში.

ელდარ ნადირაძე დაიბადა 1949 წლის 15 სექტემბერს, საჩხერის რაიონის სოფ. ჭორვილაში, 1966 წელს დაამთავრა საირხის საშუალო სკოლა და 1967 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ეს იყო დრო, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა და ამავე დროს, შუაფეოდალურ ხანის საქართველოს ისტორიის კურს კითხულობდა აკადემიკოსი შოთა მესხია, ეთნოლოგიაში ლექციები მიჰყავდა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას, ხელოვნების ისტორიაში აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს, ძველი მსოფლიოს ისტორიაში ნოდარ ლომოურს, ევროპის ახალ ისტორიაში გივი კილურაძეს, ანტიკური ქვეყნების ისტორიაში მათე ალექსიშვილს, არქეოლოგიაში აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძეს, საქართველოს ახალ ისტორიაში აბელ კიკვიძეს, პედაგოგიკაში შალვა სიხარულიძეს, შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში გივი ჟორდანაის, უნივერსიტეტის რექტორი იყო აკადემიკოსი ილია ვეკუა, ხოლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესს განაგებდა პროფესორი გუ-

რამ ჭილაშვილი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტიტეტის ცხოვრებაში ეს იყო ერთ-ერთი გამორჩეული პერიოდი პედაგოგიური პერსონალის – მისი პროფესიურის მაღალკვალიფიციურობის, სასწავლო პროცესის აკადემიურობითა და საველე-საექსპედიციო პრაქტიკის მობილურობის თვალსაზრისით.

ეთნოგრაფიის კათედრის გამგის გიორგი ჩიტაიას რჩევით ელდარ ნადირაძემ პროფესიად აიჩია ეთნოლოგია, გაიარა თავისი მასწავლებლის სასემინარო პრაქტიკა, რომლის სასწავლო პროცესს, თავის მეუღლესათან ერთად, მკაცრად აკონტროლებდა ქართული ეთნოლოგიური სკოლის ერთ-ერთი მესაძირკველ ქალბატონი ვერა ბარდაველიძე.

1974 წელს, აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ეთნოგრაფიის განყოფილების მაშინდელი გამგის, გამოჩენილი ეთნოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონი გიორგი ჯალაბაძის მიწვევით ელდარ ნადირაძემ მუშაობა დაიწყო ამავე განყოფილებაში უნცროს მეცნიერ – თანამშრომლად.

ამ პერიოდისათვის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი წარმოადგენდა უძლიერეს სამეცნიერო ინსტიტუციას, რომლის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაუნჯებული იყო (და ამჟამადაც დაცულია) ეთნიკური კულტურის 40.000-ზე მეტი ნიმუში, როგორც ქართული, ასევე სამხრეთ კავკასიის, შორეული და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროდან. ასეთი პრიორიტეტი და ნივთიერი მასალის სიუხვე განპირობებული იყო რუსეთი იმპერიის მესვეურთა არჩევანით თბილისში, როგორც კავკასიის კულტურის ცენტრში, დაეარსებინათ კავკასიის მუზეუმი რაც განაპირობებდა აღნიშნული რეგიონის მასალების ამ მუზეუმში და მის ცალკეულ ფონდებში თავმოყრას.

გიორგი ჯალაბაძის უშუალო ხელმძღვანელობით ელდარ ნადირაძემ გაიარა სამუზეუმო საქმის ყველა ეტაპი, ნივთიერი მასალის დაცვა-აღრიცხვის, დაუნჯება-შენახვისა და მეცნიერული გამოკვლევის თვალსაზრისით. როგორც განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა პირველ ეთნოლოგიურ ექსპედიციებში, რომელსაც მოჰყვა პირველი სამეცნიერო ნაშრომები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით გამოცემულ ისეთ კრებულებში როგორიცაა: „შიდა ქართლი“, „ქვემო ქართლი“ და „ლეჩხუმი“.

აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლებიდან მოკიდებული ელდარ ნადირაძემ

რადემ არქეოლოგიური გათხრების დიდი სკოლა გაიარა ჯერ აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის მიერ დაარსებულ მოდინახის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ხოლო შემდგომ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ჯურხა ნადირაძის ხელმძღვანელობით მოდინახის, საირხის, ჯიეთის (ნინსოფელი), სვერის და მცხეთიჯვრის ძეგლების არქეოლოგიურ სამუშაოებში.

1987 წელს ელდარ ნადირაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელშიც ფართოდ წარმოაჩინა დასავლურ ქართული ქვითხურობის განვითარების ეთნოგრაფიული ტენდენციები, ნაშრომს რეცენზენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ნოე აფხაზავას შეფასებით „ამ ნაშრომში კარგად ჩანს ქართული საამშენებლო ხელოვნების შორეული ფესვები, რომელშიაც რელიეფურად მოსჩანს ტრადიცია, სიხლექა და მოდაც, ურომლისოდაც არ განვითარებულა არცერთი ხალხის კულტურა. კვლევის ამ სფეროში მას თითქმის არა ჰყავს წინამორბედი. ელდარ ნადირაძის გამოკვლევა ემსახურება ჩვენი სულიერი საწყისებისა და ჩვენი სულიერი მთლიანობის შენარჩუნებას“. (წინასიტყვაობა, „ხალხური ქვითხურობა იმერეთში, თბ., 2001, გვ.3)

1898 წელს ელდარ ნადირაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელშიაც პირველად იქნა მონოგრაფიულად შესწავლილი საქართველოს მემორიალური კულტურა, ეს ნაშრომი მაღალმეცნიერულ დონეზე შეაფასეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა: ირაკლი სურგულაძემ, იოსებ ჭანტურიშვილმა და როლანდ თოფჩიშვილმა. ირაკლი სურგულაძის აზრით: „საქართველოს მემორიალური კულტურის“ შესწავლით, ელდარ ნადირაძემ საბოლოოდ განსაზღვრა მათი დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირებულება და მიუჩინა კუთვნილი ადგილი ქართული ქრისტიანული კულტურის კვლევის სფეროში. ე. ნადირაძეს მშვენივრად მოეხსენება როგორ წარმართოს პრაქტიკული ოპერაცია, მაგრამ მხოლოდ გამოცდილების ხარჯზე ასეთი აზრი არ გამოითქმის. ელდარ ნადირაძე წარმოგვიდგება იმ მეცნიერად, რომელსაც შესანიშნავად ესმის კულტურის ანუ „არაბუნების“ მექანიზმი ზოგადად და წარმატებით იყენებს ამას თავის კვლევაში. კულტურის მექანიზმის კვლევა მისი სპეციალობა და საამისოდ შესაბამისი ნიჭიერებაც გააჩნია. ასე მხოლოდ ძალზე ნიჭიერი ადამიანები ფიქრობენ“. (რედაქტორისაგან, საქართველოს მემორიალური კულტურა, თბ., 2001, გვ.13-14)

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ორივე დისერტაციას მიეცა

რეკომენდაცია გამოსაცემად.

ელდარ ნადირაძის სახელს უკავშირდება სამხრეთ საქართველოში გავრცელებული ზოომორფული ძეგლების ქართულ სინამდვილეში დაბრუნების პრობლემის გადაჭრა. ესაა პრინციპული საკითხი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოში ისტორიულად მიმდინარე ეთნიკურ პროცესების ტენდენციურ გაშუქებასთან, რომლის ერთ-ერთ საბუთად გამოყენებულია მემორიალური კულტურის ეს იშვიათი ეგზემპლარები, როგორც თურქმანული მოდგმის ტომთა კულტურული მემკვიდრეობი ნაწილი. ელდარ ნადირაძემ სკრუპულოზური მეცნიერულ გამოკვლევასთან ერთად შექმნა ამ ძეგლების კატალოგი და მყარად დაასაბუთა ამ ძეგლთა ქართულ საყოფაცხოვრებო სფეროსათვის კუთვნილების საკითხი.

პირველად ჩვენს მეცნიერებაში ელდარ ნადირაძემ წამოჭრა და შეასრულა ნაშრომი (თ.ნადირაძესთან ერთად) გარეჯის სამონასტრო ცენტრების სოციალური და მატერიალური კულტურის მონოგრაფიული გამოკვლევის შესახებ. ესაა საკითხთა წრე, რომელიც ეხება სამონასტრო ცხოვრებაში კოლექტიურობის პრობლემას, შრომისადმი დამოკიდებულებას, კონტაქტებს სამოქალაქო საზოგადოებასთან, საყოფაცხოვრებო ურთიერთობის სფეროს (საცხოვრისი, სამოსი, კვების კულტურა, ჰიგიენა, სამეურნეო და სახელოსნო საქმიანობა და სხვ.) კვლევის ამ ბაზაზე შეიქმნა მონოგრაფია „უდაბნო საღვთოდ შემოკრებულთა“.

ელდარ ნადირაძის სამეცნიერო მოღვაწეობაში საეტაპო ნაშრომს წარმოადგენს „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონის“ პოექტი და მისი განხორციელება სამეცნიერო ხელმძღვანელის რანგში. ესაა უმნიშვნელოვანესი ნოვაციას ქართველოლოგიის დარგში. ლექსიკონში წარმოდგენილია საგნობრივი ტერმინოლოგია, რომელიც მოიცავს სოციალური ყოფის თითქმის ყველა სფეროს. ნაშრომში თავმოყრილი მასალა, მისი გაცნობა და გაანალიზება, მთელი სისავსით წარმოაჩენს სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა მრავალმხრივობას, მის მნიშვნელობას და მიუთითებს წვლილზე, რომელიც ქართველ ხალხს აქვს შეტანილი მსოფლიოს ხალხთა ეთნოკულტურის საგანძურში. ნაშრომის რეცენზენტის ცნობილი ეთნოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, თამილა ცაგარეიშვილის შეფასებით „ელდარ ნადირაძემ თავისი ნიჭით, შრომისმოყვარეობითა და კაცურკაცობით დიდი დაფასება მოიპოვა, იგი მრავალი აღიარებული ნაშრომის ავტორია, მაგრამ ეთნოგრაფიული ლექსიკონის იდეის განხ-

ორციელება, მისი შემოქმედების მწვერვალია. „ამ ლექსიკონის შექმნით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, ქართული ეთნოლოგიის საძირკველში ერთი აგური ჩაიდო“ (თ. ცაგარეიშვილი, „საერისკაცო ვალი მოიხადეს“ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ N214, 2012 წ.), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ეთნოლოგ ნინო მაისურაძის აზრით ეს ლექსიკონი „ქართველთა უძველესი დროიდან მომდინარე კულტურის ღირსშესანიშნავი მატარებელი.., ხოლო ელდარ ნადირაძე მუზეუმში დანყებული გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის საქმის ღირსეული გამგრძელებელია“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, 1, 2014). „ეს ნაშრომი მრავალ ფიქრთა აღმძვრელია, ის ყველა ოჯახში უნდა იყოს, როგორც სევდა წარსული დროების და როგორც სიამაყე ჩვენი წინაპრების შემოქმედებითი გენიისა“ (კრიტიკოსი და ლიტერატორი ანდრო ბედუკაძე, ჟრნ. „საგურამო“, N1, 2016)

ელდარ ნადირაძის პიროვნების სურათი, მისი ცხოვრების ინტიმური გარემო, ახლობელთა და მეგობართა წრე, მისი აზროვნების მასაზრობელი წყარო, შესანიშნავადაა გადმოცემული მის ერთ-ერთ ბლოდროინდელ წიგნში „სინათლე ყველაზე დიდი სასწაული“. ესაა დიდი ემოციებით დატვირთული ნაშრომი, მწერლური ნიჭიერებით გადმოცემული ნოველის, ესესეს, მოთხრობისა თუ მოგონების ჟანრით დაწერილი, სავსე სევდით, იუმორით და სიყვარულით. ესაა გახსენება იმ ადამიანებისა, რომელთაც ავტორი შეხვედრია ცხოვრების გზაზე, ზოგს როგორც მოღვაწესა და მასწავლებელს, ზოგსაც კი, როგორც ახლობელსა და მეგობარს: კოლაუ ნადირაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, გივი ძნელაძე, რეზო თაბუკაშვილი, ანზორ კავსაძე, მურაზ მურვანიძე, როინ მეტრეხელი, ოთარ ლორთქიფანიძე, ალექსი რობაქიძე, კოტე ჩოლოყაშვილი, შოთა ლომსაძე, ლევან ცუცქერიძე, ლევან სანიკიძე, ზურაბ ქაფიანიძე, თამაზ ტყემალაძე, ვალერი ასათიანი და საგანგებოდ აღსანიშნავი უნაზესი სითბოთი და ტკივილით დაწერილი წერილი ჯურხა ნადირაძეზე.

ელდარ ნადირაძე დაჯილდოებულია წერის ნათელი სტილით, რომელიც მეცნიერებაში შემჩნეული აქვს ირაკლი სურგულაძეს: „ხაზგასმით მსურს შევეხო ნაშრომის კიდევ ერთ ღირსებას. იგი შესანიშნავი ქართულითაა დაწერილი და მიუხედავად თემის მკვეთრი სპეციფიკურობისა, სიამოვნებით იკითხება. ასეთი საკითხავი ადვილად პოულობს მკითხველს“ (რ. სურგულაძის შესავალი წერილი ე. ნადირაძის წიგნისათვის „საქართველოს მემორიალური კულტურა“, თბ., 2001, გვ.14).

პოეტი ტარიელ ჭანტურიას ელდარ ნადირაძის ერთ-ერთ პუბლიცისტურ თემებზე დანერილი წიგნის – „საქართველო ასი კაცის ქვეყანა“ -შესახებ აღნიშნული აქვს: „თუ არ მეშლება, მეექვსეა ეს წიგნი, ელდარ ნადირაძისაგან რომ მივიღე საჩუქრად – შესანიშნავი მეცნიერი-ისტორიკოსისაგან, ღირსეული საზოგადო მოღვაწისაგან. ისე კარგადაა წიგნში დახასიათებული ეს ასი კაცის ქვეყანა – ჩვენი სამშობლო, ასე მგონია, შენს გულში იჯდა ავტორი და შენი ფიქრი გადაჰქონდა ქალაქზე! (გაზეთი „24 საათი“, 16. 05. 2010 წ.). ამ აზრის ნათელ დადასტურებად მივიჩნევ ელდარ ნადირაძის მიერ ბავშვებისათვის დანერილ შესანიშნავ წიგნს, რომლის სათაურია „მოთხრობები შორეულ წარსულზე“, რომლის რედაქტორის აკადემიკოს მარიაკალორთიფანიძის აზრით მის ერთ-ერთ ავტორს „ელდარ ნადირაძეს ბავშვებისათვის საინტერესო წერა ძალზე ეხერხება“ („მოთხრობები შორეულ წარსულზე“, 2018, რედაქტორისაგან, გვ.3), ასეთივე აზრისაა ცნობილი პუბლიცისტი ივანე ამირხანაშვილი, რომელსაც ელდარ ნადირაძის წიგნის – „გრძნობა შენი მოვლისა“- რეცენზიაში ნათქვამი აქვს- „ელდარ ნადირაძე ესაა თვითკმარი ენერგიით შექმნილი ავტორიტეტი, რომლის მთავარი მახასიათებელია სიტყვა... იგი განეკუთვნება სწავლულთა იმ ტიპს, რომელსაც ლინგვისტური ალლო ბუნებისაგან უშურველად აქვს ნაბოძები, სიტყვა მოსდევს, სხვაგვარად რომ ვთქვათ კარგად წერს“ (ყურნ. „ჩვენი მწერლობა“, 12.11.2010).

განსაკუთრებულია ელდარ ნადირაძის ღვაწლი საქართველოს სამუზეუმო საქმის განვითარებაში. იგი ოთხ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში იცავდა და იკვლევს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ, როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანის, სომხეთისა და ირანის კულტურულ მემკვიდრეობას ჯერ როგორც მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო შემდეგ, როგორც განყოფილების გამგე, მთავარი მცველი და ამჟამად, როგორც ეროვნულ მუზეუმთან არსებული ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი. სხვათაშორის აზერბაიჯანთან კულტურული კავშირების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ელდარ ნადირაძის ორი ნაშრომის „აზერბაიჯანული ხალიჩები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში“ და „ერევნის სახანოს“ წარდგინება აზერბაიჯანელი და ქართველი საზოგადოების წინაშე, პირველის 2014 წელს ბაქოში ხალიჩების მუზეუმში, ხოლო მეორის 2019 წლის 28 მაისს, ასევე ბაქოში, გვიდარ ალიევის სახელობის

კულტურის ფონდში გამართულ პრეზენტაციაზე, რომელსაც უმაღლესი შეფასება ერგო წილადა.

ელდარ ნადირაძის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ეთნოკულტურული მიღწევების ერთიანი სტაციონალური გამოფენის მოწყობის პროექტი აკად. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში, უფროსი კურატორის რანგში და მისი უშალო მონაწილეობითა განხორციელდა გამოფენები, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში: „ქართული იარაღ-საჭურველი“, „ქართული ტრადიციული სამოსი“, „მაქს ტილკეს აღმოსავლური შედეგები“, „ქურთული სიძველეები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში“, „მარადიული ცეცხლი“ (პროექტის თანამონაწილე, ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა“), „მე-18 მე-20 სს. ხალიჩ-ფარდაგები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში“, „თბილისის ეთნოგრაფიული ყოფა“, „ღვინო და მარნის კულტურა საქართველოში“ (ღვინის ეროვნული სააგენტო), „რელიგიები საქართველოში“, „ღვინის ქართული სასმისები“, „ჩერქეზული ყოფა და კულტურა“ (ანაკლია), „ჯონ-მალხაზ და ოთარ შალიკაშვილების მემორიალური მუზეუმი“ (გურჯაანი), ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური გამოფენები: გარდაბანში, ბოლნისში, მესტიასა და ახალციხეში, „ქართული სუფრა“ გერმანია, ქ. ბერლინი, „საქართველო ღვინის აკვანი“ საფრანგეთი, ქ. ბორდო.

ელდარ ნადირაძის ავტორობით, თანაავტორობით და სამეცნიერო ხელმძღვანელობით განხორციელდა რამდენიმე ათეული პროექტი.

ელდარ ნადირაძე ქართული ეთნოკულტურის სფეროში, წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის დაკვეთით, შესრულებული აქვს სამ ათეულზე მეტი საავტორო გადაცემა, ხოლო ქართულ პრესაში გამოქვეყნებული, ნათელი სტილით დაწერილი ესეებითა და პოლემიკური წერილებით სამართლიანად დაიმკვიდრა ნიჭიერი პუბლიცისტის სახელი.

1999 წელს ელდარ ნადირაძე არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად პოლიტიკური პარტია „აღორძინების“ შემადგენლობაში და მოღვაწეობდა ფრაქცია „XXI საუკუნეში“, ვახტანგ ბოჭორიშვილის, მუხრან მაჭავარიანის, რევაზ მიშველაძის, ელიზბარ ჯაველის, ზურაბ ქაფიანიძის და სხვათა გვერდით.

ელდარ ნადირაძის საპარლამენტო მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონაწილეობა ევროპის საპარლამენტთაშორისო ასამბლეათა მუშაობაში, რომელიც გაიმართა საბერძნეთში კუნძულ

პატმოსზე, ბუქარესტში, ტალინსა და რიგაში. მის მიერ აქ წაკითხული მოხსენებების თემას, რომელიც დაბეჭდილ იქნა ასამბლეათა მიძღვნილ კრებულებში, ძირითად წარმოადგენდა ქართული ეკლესიის ავტორიტეტის წარმოჩენა და ბრძოლა კონიუნქტურის წინააღმდეგ, რომელსაც ამკვიდრებს გლობალური პოლიტიკა ქრისტიანული რელიგიის მიმართ.

ელდარ ნადირაძე იყო საქართველოს პარლამენტის თანამდებობის პირთა ქმედებათა კანონიერების შემსწავლელი კომისიის წევრი, ასევე იყო წევრი საპარლამენტო კომისიისა, რომლის უშუალო მონაწილეობით შედგა და დამტკიცდა შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტის მოადგილის რანგში კურირებას უწევდა რელიგიური უმცირესობისა და რელიგიური მიმდინარეობების პრობლემების წარმართვას. ელდარ ნადირაძე არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული ეროვნული ინტერესების დაცვის კომისიის წევრი, რომელიც მოქმედებს აკადემიის პრეზიდენტის ბატონი გიორგი კვესიტაძის, ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს როინ მეტრეველისა და აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის ხელმძღვანელობით.

ელდარ ნადირაძე არის: საჩხერის საპატრიო მოქალაქე, 2006 წ. ილია ჭავჭავაძის ფონდის „საგურამოს“ პრემიის ლაურეატი (მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის) 2011, ღირსების მედლის კავალერი 1992 წ. კავკაზ-მედიის ლაურეატი „ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული კავშირების განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“, 2014 წ. მინიჭებული აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ დაარსებული „ღირსების რაინდის“ საპატრიო ნოდება, 2018.

ვისაც ელდარ ნადირაძისათვის მოუსმენია, ხშირად გაიგებდა მისგან ერთ ჩამონაკვეთულ აზრს, რომელიც სამშობლოს მიმართ მისი დამოკიდებულების კვინტენსენციას წარმოადგენს: ადამიანის თვისებაა შეცდომის დაშვება და ეპატიება კიდევ, მაგრამ არსებობს ერთი გამონაკლისი: არავისა აქვს უფლება შეცდომა დაუშვას იქ, სადაც საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხება. ეჭვმიუტანლად უნდა ითქვას, რომ ელდარ ნადირაძემ მთელი თავისი ცხოვრება ამ ნიშნით, ამ დევიზის დაცვით გაატარა. რა თქმა უნდა ცხოვრების ასეთ ხანგრძლივ მონაკვეთში სადაო ბევრი იყო, მაგრამ არასდროს შეცვლილა მისი უმთავრესი პრინციპი, არც კომუნისტური წყობის დროს არც საქართველოში პოლიტიკური ბატალიების დუღილისას, არც საპარლამენტო, არც მეცნიერული მოღვაწეობისას და არც ცხოვრებისეული ურთიერთობისას, სადაც ხან-

გრძლივი დროით გამოიცდება ადამიანი.

მაქვს თანხმობა განვაცხადო, რომ საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემია, პრეზიდენტი **გიორგი კვესიტაძის**, ვიცე პრეზიდენტის აკადემიკოს **როინ მეტრეველის და აკადემიის სწავლული მდივნის აკადემიკოს რამაზ ხუროძის** სახით, ულოცავს გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურის შესანიშნავ მკვლევარს, ბატონ ელდარ ნადირაძეს 70 წლის იუბილეს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლესა და კვლავ და კვლავ შემოქმედებით სიმაღლეზე ყოფნას

ლია მელიქიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

უბრალო, როგორც წყლის წვეთი

(ინტერვიუ ელდარ ნადირაძესთან)

ბატონო ელდარ რა არის თქვენთვის მეცნიერება, რა მოგცათ მან, როგორ მიუსადაგებდით ერთმანეთს პატრიოტიზმსა და მეცნიერებას.

ეს გზა ჩემი ნებით ავირჩიე და ამის გამო არასდროს მინანია. მომცა თუ არა რაიმე მეცნიერებამ, აქ უპირველეს ყოვლისა ჩემი მეცნიერული ავტორიტეტი იგულისხმება, რომლის შესახებ სხვებმა უნდა ისაუბრონ. რაც შეეხება პატრიოტიზმისა და მეცნიერების ურთიერთმიმართებას, აქ ზღვარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მეცნიერების აკადემიური სტილი გამორიცხვას ყოველგვარ ურაპატრიოტიზმს, რასაც მე აბსოლუტურად ვიზიარებ, მაგრამ მეცნიერებაში გაჩენილი ზოგიერთი ტენდენციის მიმართ მაქვს ჩემი დამოკიდებულება და ნება მომეცით ცოტა ვრცლად მოგახსენოთ: ჩვენი მცირერიცხოვნება და ცენტრალურ ევროპისაგან ტერიტორიული სიშორე, მეცნიერებაშიაც თამაშობს გარკვეულ როლს. ბარბაროსის ძველბერძნული გაგება მთლად მკვდარი არაა. ევროპელ მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ანტიკურ – ელინისტური ეპოქის კოლხური კულტურა ბერძნული მოვლენაა. ზოგიერთ მეცნიერს კოლხეთი აზიაში კი გადააქვს, სადაც არგონავტები ჩრდილო კავკასიისა და კასპიის ზღვის გავლით ჩადიან, იმიტომ, რომ არგონავტების მოგზაურობა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა და ქართველებისათვის ამის დათმობა არ იქნება. მუშქებს და თაბალებს ნათესაობა არა აქვთ ქართველებთან, იმიტომ, რომ ამ ტომის ხალხის სახელს მცირეაზიის მოსახლეობის ეთნიკურ ისტორიაში დიდი როლი უჭირავთ და ამის დათმობაც შეუძლებელია. კაპადოკიელები არ ენათესავებიან ქართველებს, იმიტომ, რომ კაპადოკიელია წმინდა გიორგი, ასევე ქრისტიანული ეკლესიის დიდი მამები: გრიგოლ ღვთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი, ბასილი დიდი. შეუძლებელია ქართველად გამოვაცხადოთ არეოპაგიტული წიგნების ავტორი, რომელმაც თავისი შრომებით საფუძველი დაუდო ქრისტიანული ეკლესიის ფილოსოფიას. შეუძლებელია „ბალავარის სიბრძნე“, რომელიც მიჩნეულია ევროპული ლიტერატურის საფუძველად, ქართველისაგან იყოს ნათარგმნ-რედაქტირებული, შეუძლებელია საქართველოში გაჩენილიყო სახენელი იარაღის უძველესი ტიპი, რადგან არსებობს პრიორიტეტულად აღიარებული გერმანული სამინათმოქმედო კულტურა.

შეუძლებელია ბარდა სკლიაროსი დაემარცხებიათ ქართველებს მაშინ როცა აღმოსავლეთში დომინირებდა ბიზანტია და სხვა მრავალი. ზოგიერთ უცხოელ მეცნიერთა ასეთ შეხედულებას აქვს თავისებური ახსნა, რაც, უპირველეს ყოვლის, გამოწვეულია ჩვენი ისტორიისა და კულტურის სათანადო არცოდნით, მისი სიღრმისეული შესწავლის არასაჭიროდ მიჩნევით, არცთუ იშვიათად პრიორიტეტის დაუთმობლობის სურვილით და რა თქმა უნდა კონიუნქტურით და მატერიალური დაინტერესებითაც (აქ უნებლიედ მახსენდება შარლ დილის „ბიზანტიის ისტორიის“ სომხების ქებით გაბერილი ფურცლები, სადაც საქართველო თითქმის არცაა ნახსენები). ჩვენ ამ გარემოებას თითქმის შეგუებული ვართ, მაგრამ როცა ქართველი მეცნიერი ასეთი მიმართულებისა თავის ნაშრომებში, ჩემში ეს ინვეს ალფოთებას. რა თქმა უნდა, მეცნიერებაში ისტორიული სინამდვილის პატრიოტული განცდებით გაყალბება ყოვლად შეუწყნარებელია და მიუღებელი, მაგრამ ოდნავ სადაო საკითხების საქართველოს საზიანოდ გადაჭრა, როგორც მეთოდი მიუდგომლობისა და ვითომ ობიექტურობისა, ასეთ მეცნიერს უდიდეს ცოდვას ადებს კისერზე და ჩვენი ისტორიის არმცნობ გამყალბებლებს ბევრად აჭარბებს თავისი ვერაგობით.

რა არის თქვენთვის ადამიანი?

ერთი ადამიანის ბედნიერება მეორე ადამიანზეა დამოკიდებული, ერთი ადამიანის გახარება მეორეს სიხარულს ნიშნავს, აკი ამბობს ჩვენი დიდი პოეტი მუხრან მაჭავარიანი: „ჩემი სიხარული უფრო სიხარულობს შენ რომ სიხარულობ, ის რომ სიხარულობს“. მე აბსოლუტურად ვიზიარებ ამ უკეთილშობილეს ფრაზას და ჩემდათავად დავამატებ, რომ რაც ბედნიერება მიმიღია ამქვეყნად, სულ ადამიანებისგანაა. ზოგი ადამიანი მთელი ცხოვრება ძერწავს თავის თავს, იშენებს პიედესტალს, იმზადებს მასალას, რათა საკუთარი ქანდაკება გამოჩორკნოს. ჩვენ ბევრი გვინახავს ასეთი წვალებით შექმნილი ძეგლები, რომლისკენაც არ იხედება არავინ. ასეთებს, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ. მეორე რიგის კაცები ცხოვრობენ უბრალოებით, სიცოცხლის წამიერებით შეცნობილნი, არც დიდი უკვირთ და არც პატარა, კარგად იციან ნუთისოფლის ფასი და ცდილობენ სიკეთით იყონ ისეთი, როგორც განუწესა ღმერთმა. მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებისა ვარ მე. ჩემი სიყვარული ადამიანთა მიმართ მთელია და სრული, თუმცა ეს არ მიშლის ხელს ზოგჯერ ვაკრიტიკო ისინი უგვანო საქციელის გამო.

თქვენი ოჯახი: ვიცი რომ ბევრი და სახელოვანი დედმამიშვილები იყავით, საინტრესოა, როგორ ჩამოყალიბდით, რა გასაზრდოებდათ!

ღრმად მწამს, რომ ადამიანის ბედს ღმერთი განაგებს. ღმერთივე აჯილდოებს მას ნიჭითა და უნარით. ამ პროცესს ჩემებური ფანტაზიით წარმოვიდგენ, როგორ? აქ მისი „ხელის“, ფიზიკურ ზემოქმედებას ვგულისხმობ. რამდენადაც ახლოსა იგი ადამიანთან, იმდენად დიდია მისი ძალის მოქმედება. უფრო გასაგებად ეს ასეა: მაგალითად, მიმანჩია რომ ღმერთი ვაჟა-ფშაველას არათუ მოველინა, არამედ ესაუბრა კიდეც, შესაძლოა, ხელითაც შეეხო, ასევე იყო გალაკტიონთანაც. ნადირაძეების ჩვენ თაობას, ღმერთს მადლიანი ფრთა თუ არ შეგვხვებია, მისი ანგელოზის ძლიერი მონაბერი ნამდვილად მოგვწვდა, იმ სიოთია, თუკი რამ კარგი შევქმენით. ჩვენი გამარჯვება მაინც ის იყო, რომ სიკეთე მეტი ვაკეთეთ, ჩვენ სიკეთისა და ნიჭიერებისაკენ მიმართული გვეთქმის, ეს უმცირესი იყო ღმერთის წყალობა და ჩვენც შევიფერეთ ეს წყალობა. ზედმეტად მიმანჩია თითოეული მათგანის მოღვაწეობის თუნდაც მონახაზის აქ წარმოდგენა, მთავარია რომ ყველას გვაერთიანებდა მძლავრი მუხტი და ერთიანი დამოკიდებულება ოჯახის, სამშობლოსა და ტრადიციის მიმართ.

თქვენ შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს პუბლიცისტიკას. კარგად მახსოვს თქვენი უმწვეველი წერილები: „ხალხიდან დანახული“ – ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობასთან დაკავშირებით, „გამოთხოვება სამშობლოსთან“ – ჩვენი თავშეუღებლობისა და ინერტულობის შესახებ, „წერილი ქართულ ინტელიგენციას“ – პოლიტიკურ ბატალიებში ავტორიტეტთა მერყეობის შესახებ, „აკაკი გვიცოცხლოს უფალმა“ – დიდი მგოსნის მართლმადიდებლური მენტალობის არასწორ გაგებასთან დაკავშირებით, „მინა“, როგორც ქართველთა არსებობის უმთავრესი საფუძველი, „გამოთხოვება სამშობლოსთან“ – ტრაგიკული ინტერმეცო და სხვა. ლიტერატურის ამ ჟანში მუშაობამ ხომ არ წაართვს დრო თქვენს მეცნიერულ მოღვაწეობას?

მხოლოდ სამშობლოს სიყვარული აქცევს ადამიანს სრულყოფილ ადამიანად. უხერხულია და ზედმეტიც ამ გრძნობაზე ხმამაღალი ლაპარაკი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვეება მაგალითების წინაშე დგახარ. მაგრამ არ გამოეპასუხო, შენი აზრი არ გაგაჩნდეს, არ გაინტერესებდეს და გულზე არ გხვდებოდეს ის რაც შენთვის უძვირფასეს შეეხება, ეს უმადურობაა და უსულგულობა. ამდენად, ის რაც ამ მხრივ მიკეთებია, გამართლებულად მიმანჩია. პუბლიცისტიკა ქვეყნის ცხოვრებისეული დულილიდან ამოიზრდება, ის პოლიტიკის ნაწილიცაა და სიკეთისა და ბოროტების გარემოში ადამიანების სურათებს ხატ-

ავს. ასეთ დროს, ჩვენ მათ საქციელს ვაკვირდებით და ვაფასებთ არსებული პოზიციის მიხედვით. პოზიცია ხომ ადამიანის სარკეა. სამი წიგნი – „საქართველო ასი კაცის ქვეყანა“, „გრძნობა შენი მოვლისა“ და „სინათლე ყველაზე დიდი სასწაული“, რომელიც მე ამ დარგში დავწერე, მიმანია, როგორც სხვის, ასევე ჩემ სარკედაც. ვინ როგორ ვჩანვართ ამ სარკეში, – ამის შეფასება მკითხველისათვის მიმინდვია.

რას იტყოდით თქვენი ცხოვრების სტილზე, განვლილ წლებზე, რა განხარებათ და რაზე გეთანალრებათ გული.

მე ჩემ თავს მივიჩნევ მშრომელ ადამიანად და თუ რამეა ჩემში კარგი, ეს შრომიდანაა. საოცრად მიყვარს წესრიგი ჩემს ირგვლივ, როგორც საყოფაცხოვრებო სფეროში, ასევე შემოქმედებითი მუშაობისას, სამისოდ კი ფაქტობრივად ხელი არასდროს შემშლია და ამის გამო არ შემიძლია კმაყოფილი არ ვიყო. მე ბედნიერი ვარ ჩემი ოჯახით, ბედნიერი ვიყავი ჩემ მშობლებთან და ძმებთან თანამყოფობით, მაგრამ ბალზაკის ნათქვამი, რომ „საბრალოა უნცროსი ძმა“ ერთი ერთზე ამიხდა... მიუხედავად ამისა, სიცოცხლე იყო და არის უზომო ბედნიერება, გათენება ამქვეყნად ყველაზე დიდი სასწაულია და ადამიანი უბედურია თუ ამ სასწაულის დაფასება არ შეუძლია.

გული მეთანალრება ჩემი სამშობლოს გაუხარლობით, სხვისი არ ვიცი და მე მუდამ მაკლდა ეს სისრულე, აქედან ნასაზრდოები დათრგუნულობა ჩვენ ბედს მუდამ თან ახლდა, კიდევ გავიმეორებ: სრულყოფილი ბედნიერება მოაქვს სამშობლოს ბედნიერებას, სამწუხაროდ, ჩემი თაობა ვერ დაიკვებხნის, რომ ამ ხრივ იგი ბედნიერი იყო.

როგორ შეაფასებდით განათლების სისტემის დღევანდელ პროგრამას, როგორაა ეს სისტემა, ჩამორჩა თუ წინ მიდის როგორც გვარწმუნებენ.

ჩემს თვალწინ დაინგრა განათლების სისტემა. აქაც უმთავრესი მიზანი იყო რაღაც ეფემერული ევროპული მოდელის დანერგვის ხარჯზე ეროვნული ცნობიერების შესუსტება. აქსიომაა: თუ ბავშვმა სკოლიდან არ შეითვისა სამშობლოს სიყვარული და ზოგადად ტრადიციული და ზნეობრივი იდეალები, შემდგომ აღარასოდეს მიუბრუნდება მას. გლობალური ლიბერალურმა პოლიტიკამ უკვე აღზარდა თავისი თაობა. იმდენი მოახერხეს, რომ კავკასიის ყველაზე სახელოვან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს – რომლის ავტორიტეტი მოსვენებას არ აძლევდა ახალი განათლების დანერგვის მოსურნეთ – დააკარგვინეს თავისი ძველი ავტორიტეტი, რომელიც ემყარებოდა ეროვნულობას. დღევანდელი განათლების სისტემას გამოცლილი აქვს ქართული სული. ადრე, როცა ამას

რუსები ცდილობდნენ, ჩვენი პროტესტი იყო ძალიან ძლიერი და მათ ვერ შესძლეს ამის განხორციელება. ახლა კი ეს თითქმის უმტკივნეულოდ მოხდა. ტაქტიკა შეიცვალა და იმიტომ. ფაქტი ერთია: ქართული საუნივერსიტეტო განათლება უკანა პლანზე გადავიდა. უცოდინრობის დანერგვის ეს პროცესი მსოფლიო მასშტაბის მოვლენაა და მის წინააღმდეგ წასვლა მდინარის აღმა ცურვა იქნება. ამ მასშტაბურ ომში მე გამოსავალს ვერ ვხედავ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – რა ნიშნით შეაფასებთ ამ ინსტიტუციას, რამდენად ასრულებს იგი ქართული მეცნიერული ავტორიტეტისა და მისი ფლაგმანის როლს.

ნათელია, რომ საქართველოს ეს უპირველესი სამეცნიერო კერა, როგორც ეროვნული მენტალობის გამომხატველი, გლობალური პოლიტიკის ჩარჩოებში ვერ ჯდება და ამიტომ არაერთხელ მიიტანეს იერიში მისი ავტორიტეტის დასამცირებლად. მიუხედავად ამისა, იგი კვლავაც რჩება ჩვენი მეცნიერული მიღწევების ლიდერად. ყოველი ქმედება, რომელიც მიმართულია მეცნიერებათა აკადემიის ავტორიტეტის დაცემისაკენ, ურტყამს ჩვენ ეროვნულ ღირსებას. ისეთ პირობებში, რომელიც დღეს გააჩნია მეცნიერებათა აკადემიას, და ესაა უპირველეს ყოვლისა უკიდურესად შეზღუდული ბიუჯეტი, იგი აკეთებს შეუძლებელს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიას აქვს უზარმაზარი მეცნიერული პოტენციალი, რომლის სრული რეალიზება მოხდება იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ირწმუნებს, რომ მეცნიერების გარეშე ქვეყანა ვერც ეკონომიურად და ვერც პოლიტიკურად წინ ვერ წავა.

თქვენ იყავით პარლამენტის წევრი და ასე თუ ისე პოლიტიკოსის უგემური ხვედრიც იწვნიეთ, როგორ ფიქრობთ პოლიტიკა მართლა ბინძური საქმეა?

პოლიტიკა ბინძური საქმეა ბინძური პოლიტიკოსებისათვის, ხოლო ისეთი ადამიანებისათვის, როგორებიც იყვნენ ნაპოლეონი, მაჰათმა განდი, სიმონ ბოლივარი, ათათურქი, ჩერჩილი, დეგოლი და კიდევ ბევრი სხვა, დიდების გვირგვინით შემოსა თავისმა ხალხმა სწორედ იმიტომ, რომ თავიანთი პოლიტიკით ასახელეს სამშობლო. რაც შეეხება პარლამენტის წევრობას, მე მაშინ თუმცა საკმაოდ ასაკოვანი ვიყავი, მაგრამ ასევე საკმაოდ გულუბრვილო. ამასთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: პირველი დღე, პირველი შთაბეჭდილება: ავდივარ პარლამენტის სხდომათა დარბაზში. კიბეებზე დაფენილი წითელი ხალიჩის

სირბილე უცხოოდ და სასიამოვნოდ ხვდება ჩემს ფრთხილ ნაბიჯებს. ჩემს წინ ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორი მიდის. უცბად, ზემოდან, შემთხვევით გადმოიხედავს პარლამენტის რომელიღაც დიდი ბოსი, დაინახავს ამას, ჩემ წინ რომ მიდის და აღტაცებული გადმოსძახებს: „ა, რა ვქენით, დავაჩოქეთ“? ეს აქედან ახედავს, პირმოთნედ გაუღიმებს და ამაყად ასძახებს: „აბა, როგორ, ბატონო!, რაც ვიცით, ვიცით!“. იმწუთშივე მივხვდი: ლაპარაკია არჩევნების გაყალბებაზე, რომელიც ამ ტიპმა მართლაც შესანიშნავად განახორციელა და ახლა თავს იქებს სიყალბის საუკეთესოდ განხორციელებისათვის. პარლამენტში ჩემი ოთხნობიანი მოღვაწეობის განმავლობაში ეს თვისება იყო უმთავრესი, რაც ამოძრავებდა ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების საქმიანობას – ერთი დიდი სლოგანით: „რაც ვიცით, ვიცით“. მერე ათასგზის დავრწმუნდი, რომ ეს იყო დევიზი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს პარლამენტართა და ისე მიიღია ჩემი ოთხნობიანი დეპუტატობა, ტყუილებისა და მისით ამაყობის ეს ხაზი ოდნავად არ გამრუდებულა.

– თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვება?

– თავისუფლების უკმარისობა, სხვისი ხელისშემყურეობა. აქვე მსურს დავამატო რომ ადამიანთა უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებას თავისით იმზადებს, რადგან გაურბის შრომას.

– სად ისურვებდით ცხოვრებას?

– მუდმივად არსად საქართველოს გარდა.

– რა არის უმაღლესი ბედნიერება?

– სულიერი კმაყოფილება, კარგ ხალხთან ურთიერთობა, ჩემი პატარა ანანოს გულში ჩახუტება.

– თქვენი საყვარელი და გამოსარჩევი ლიტერატურული პერსონაჟები.

– გაბრიადის – ქრისტეფორე მაგალობლიშვილი, რომელიც ოცნებობდა მსოფლიოს ბავშვები ლიმონათის სმით დაეძლო, დავით კლდიაშვილის პალტონი და კირილე, მიხეილ ჯავახიშვილის ანდრე კაშორი, ლეო ქიჩიელის გვადი ბიგვა, გორკის – ჩელკაში, ლერმონტოვის ძალიან დაუნდობელი, მაგრამ უალრესად საინტერესო – პეჩორინი, რემარკის პატრიცია ჰოლმანი, ჰიუგოს მიერ დახატული პარიზის პოლიციის ყანდარმი ყავერი და გაიძვერა ტენარდიე, დიკენსის დავით კოპერფილდი, გი დე მოპასანის რასტინიაკი, ჯერომ სელინჯერის გზაარეული ბიჭი, ჯობ სტაინბეკის „ქრიზანთემების“ გმირი ქალი, რომლის სახელი სამწუხაროდ აღარ მახსოვს, ასეთები ძალზედ ბევრია.

კინო და თეატრი, რა როლი შეასრულა ხელოვნების ამ ორმა დარგმა თქვენი ინტელექტის ჩამოყალიბებაში.

60-იან წლებში ჩემმა დამ სახლში მოიტანა ბუკინისტებთან ნაყიდი საბჭოთა ხელოვნების დიდი კომპლექტი, რომელის თითოეულ ეგზემპლარზე სტამბური წესით, მოოქროულით იყო გამოსახული ვეფხით ხელშიპყრობილი ტარიელი. ამ საოცარი ჟურნალის მეშვეობით გავიცანი ქართული თეატრი, მარჯანიშვილი და ახმეტელი, ჩხეიძე და ანჯაფარიძე, ვასაძე და ხორავა, ნუნუნავა და პერესტიანი, ლავრენიევი და კაჩალოვი, შალიაპინი და პავლოვა, სუმბათაშვილი და გოგოლევა, ანდლულაძე და ამირანაშვილი, ღამბაშიძე და შავგულიძე, ჭაბუკიანი და ნიგნაძე, პეტრე ოცხელი და ირაკლი გამრეკელი, სპექტაკლები: „ცხვრის ნყარო“, „ურიელ აკოსტა“, „რღვევა“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „კაკალ გულში“, „ლამარა“, „ანზორი“ და კიდევ ბევრი სხვა, ოცამდე ნომერი იყო სხვადასხვა წლების, მაგრამ წლებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩემთვის, მთავარია, რომ ძალზე დამაინტერესა ყველაფერმა და ეს საკმარისი არმოჩნდა მთელი გულით შემყვარებოდა თეატრი. ეს სიყვარული კიდევ უფრო გააღრმავა მოგვიანებით ჭიათურაში ნანახმა სპექტაკლებმა, გრიგოლ ტყაბლაძის, მიხეილ ვაშაძის, ნოდარ ჩაჩანიძის და ბევრი სხვა შესანიშნავი არტისტის მონაწილეობით. ჩემი ახლანდელი შთაბეჭდილებით, ეს იყო ერთ-ერთი ბრწყინვალე დასი იმდროინდელ ქართულ თეატრალურ სამყაროში. მერე თბილისში თუმანიშვილის, ალექსიძის, ანთაძის, ლორთქიფანიძის, სტურუასა და ჩხეიძის სპექტაკლებმა ეს სიყვარული კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა. რაც შეეხება კინოს, დაგისახელებთ ჩემ უსაყვარლეს სამ ფილმს, ესაა დანელიას „არ დაიდარდო“, ფელინის „გზა“ და კუროსავას „რასიომონი“. აი, ამ ფრაგმენტული მონახაზით მსურს გამოვხატო ის, თუ რა იყო ჩემი გემოვნების მასაზრდოებელი თეატრსა და კინოში.

რას იტყვით „თბილისელობის“ დაჩემების იდეის შესახებ, რომელსაც ზოგჯერ ქედმაღლობის ელფერი ადევს.

ნაპოლეონს უთქვამს: „დიდი ადამიანები იბადებიან პროვინციაში და კვდებიან პარიზში“. ეტყობა მანაც იწვინა პარიზელთა ყვედრება თავისი კორსიკელობის გამო. ძირძველი ქალაქელობით თავის მონონებას უძველეს კულტურებშიაც ვხედავთ. დაე იამაყოს ამ ხალხმა, აქ საგანგაშო არაფერია. საგანგაშო ისაა, ქალაქში მცხოვრები პროვინციელი (და ზოგჯერ თბილისში დაბადებულიც) სიკვდილამდე რომ პროვინციელად რჩება. ქალაქის სახეს მისი მოქალაქენი აყალიბებენ, საზოგადოება

ვერ შედეგება მისი ღირსეული ნევრების გარეშე, თბილისელობა მის მენტალობის შესიხლხორცებაშია და ვინც უსწორებს ნაბიჯს ამ თვისებას ქალაქელიც ისაა. თბილისელობა ტკბობა კი არა მოვალეობაა. მე ვიცნობ მშვენიერ თბილისელ ვაჟკაცებს, როგორც აქაურებს, ასევე ჩამოსულებს, თბილისელობის ტვირთის ღირსეულად მატარებელთ, რომლებიც აყალიბებენ თავისი ქალაქის სახეს და მის ავტორიტეტს, მიმაჩნია, რომ ასეთი მენტალობისა ვარ მეც და არ ვთვლი უსამართლობად თუ მათ გვერდით მდგომად მივიჩნევ თავს.

რას იტყოდით საქართველოში მონარქიზმის აღდგენათან დაკავშირებით.

დღევანდელი მონარქიზმი, ესაა ერთგვარი სამშვენიისი, კარგად მოსაგონარი წარსული, რომელიც მოვარაყებულ ჩარჩოშია ჩასმული და თვითგანდიდების საჩვენებლადაა გამოტანილი მსოფლიოს პოლიტიკურ სცენაზე. ამ ერთგვარ პომპეზურ აღლუმს თან ახლავს მდიდრული სასახლეები, ანტიკვარული ფუფუნება, ზღვარდადებულად გამორჩეული ეტიკეტი, არისტოკრატიული ფორსი, დიდი სტუმრიანობა და ხელგაშლილობა, რაც უდიდეს ხარჯებსა და შეძლებას მოითხოვს. არსად, არცერთ განვითარებულ ქვეყანაში მონარქს არა აქვს უფლება არსებითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკური პროცესების მსვლელობაზე. ვიმეორებ: დღევანდელი მონარქიზმი გართობაა და ზვიადობა, რისი უფლებაც აქვს ისეთ ქვეყანას, როგორიცაა ინგლისი – მსოფლიო კოლონიზაციის ახალი რომი, რომლის შიგნით, დაპყრობილი ქვეყნებიდან, საუკუნეების განმავლობაში მიედინებოდნენ ოქროს მდინარეები. დღევანდელი ლონდონი ესაა მსოფლიო კოლონიალური მონობის მარგალიტი. დიდი ბრიტანეთის სამეფო გვარის ყოველ ცერემონიალში ეს სიამაყეა ჩადებული და არის ამ ზეიმში ერთდროულად დიდი ბრწყინვალეობაც და დიდი ძალადობაც (ეს ისე, სხვათაშორის) ასევე ითქმის ესპანეთის შესახებაც.

ქართულმა მონარქიზმმა, ბაგრატიონების გმირული შემართების წყალობით, უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, მაგრამ იგი დიდი ხნით დაშორდა ქართულ სინამდვილეს. დღეს, საქართველოს მოსახლეობი უმრავლესობას მეფის ინსტიტუტთან დაკავშირებით აქვს იგივე დამოკიდებულება, როგორიც გააჩნდათ სოციალ-დემოკრატებს. ხალხს, რომელსაც სტალინი უყვარს, შეუძლებელია მეფე მოენონოს. ამასთან, საქართველოში არ არსებობს არავითარი პირობა, თუნდაც მატერიალური, რომ მეფემ მეფობა შეიფეროს.

რადგან სიტყვამ მოიტანა მინდა მოვისმინო თქვენი აზრი ბაგრატიონთა ებრაული წარმოშობის შესახებ. ეს საკითხი გარკვეულწილად მოდურიც გახდა და უფრო მეტიც, ებრაელთა ერთი ნაწილი მცხეთის გარკვეული ტერიტორიის დაპატრონების სურვილს ამ გარემოებას უდებს საფუძვლად. ზოგიერთი ჩვენი თანამემამულისათვის ეს ფაქტი იმდენად საამაყოა, რომ უპირობოდ ეთანხმება ამ თეორიას და მზადაა მიიღოს ყველაფერი მისგან გამომდინარე. დიდი და გამოჩენილი უძველესი ერის – ებრაელთა სახელი სწორედაც რომ ამშვენებს მსოფლიო ისტორიას და მათთან შესაძლო ნათესაობის ჰიპოთეზაში უხერხული და მიუღებელი არაფერია, მაგრამ ქართული ისტორიოგრაფია ამ საკითხს ერთმნიშვნელოვნად დადებითად არ წყვეტს და ამ ფაქტის ისტორიულ ნამდვილობაში ეჭვი შეაქვს.

ბაგრატიონების ებრაული წარმოშობის თეორიას ყურადღება მიაქცია გრიგოლ რობაქიძემ. მისი აზრით, ამ თეორიას არა აქვს რეალური საფუძველი და ამ ფაქტში იხატება არა ეთნიკური ნათესაობის იდეა, არამედ სულიერი კავშირი მესიასთან ანუ ზოგადად ქრისტიანობასთან. ისევე როგორც ადამიანი ნიშნავს კაცს, რომელსაც არ გააჩნია ეთნიკური ნიშანი, მაგრამ ზოგადად ნაწილია ამ მთელისა, ასევე იესიან-დავითიანი ნიშნავს საფუძველს მესიასს და ერთობლიობაში გამოკვეთს ქრისტეში ერთიანობას. სხვათა შორის ამ მოსაზრებას ამაგრებს პავლე მოციქულის განმარტება ღვთის შვილთა რაობის შესახებ, რომლის სიტყვით „ხორციელნი შვილნი კი არ არიან შვილნი ღვთისა, არამედ აღთქმის შვილნი“ (რომაელთა მიმ.9:8), აქედან დასკვნა: ბაგრატიონთა იესიან-დავითიანობა ნიშნავს არა ებრაელებთან სისხლისმიერ ნათესაობას, არამედ ქრისტეს აღთქმის შვილად, მისი რწმენისა და იდეის უპირველეს, თავდადებულ მიმდევრად ყოფნას. აქედანაა ბაგრატიონთა „მესიის მახვილობაზე“ პრიორიტეტის მიკუთვნების მცდელობაც. ამ ვითარებას ათვალსაჩინოებს მეტოქეობის პრობლემაც, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ იდგა ბერძნებსა და ქართველებს შორის. მიუხედავად ერთმორწმუნეობისა, ბერძნული ეკლესიის ძალადობის არაერთ ფაქტს გვიდასტურებს ჩვენი ეკლესიის ისტორია და ამ დაპირისპირების ნიადაგზე ქართველებიც ცდილობდნენ თავის უპირატესობის დამტკიცებას თუნდაც იმით, რომ ისინი ნათესავებიც იყვნენ ქრისტესი და მათთან შედარებით, უკეთესი დამცველები ქრისტიანობისა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში ქრისტიანობა დაეტოლად ეროვნულობას, მართლმადიდებლობასთან გაიგივდა ჩვენი ეთნიკური

მყოფობა, არაერთი ბაგრატიონი შეენირა რჯულის დაუთმობლობას. ქართველ მორწმუნეს მიაჩნდა, რომ ლალატი რწმენისა იყო ლალატი ქვეყნისა, მისი ზნე-ჩვეულებისა, რომელიც ამ რელიგიის ფოლადის სხეულებით იყო ნაქსოვი. ქართულ ეკლესიას ბევრ გამოჩენილ წმინდან-დანთან ერთად ყავს ქეთევან წამებული და ქართული ეკლესია არის გაუხრელი დროშა ქრისტიანობისა მახლობელი აღმსავლეთის ისტორიაში. ბაგრატიონები, როგორც ერის მწყემსნი და მეთაურნი, კარგად ხვდებოდნენ ქრისტიანობის არსსა და მნიშვნელობას და მათი სურვილი ყოფილიყვნენ უპირველესი დამცველნი ამ რელიგიისა, ითხოვდა რაც შეიძლება აღმატებულ საბუთს და რა შეიძლებოდა ყოფილიყო ის თუ არა ნათესაური დამოკიდებულება ქრისტესთან.

რას იტყვიტ ჩვენს მიმართ გამოყენებულ „გენეტიკური სისასტიკის“ იარღ�ის მონებების თაობაზე?

არ არსებობს სისაძაგლე მსოფლიოში ქართველებს, რომ პირველობა ეკუთვნოდეთ.

ძველი მსოფლიოს გაუხუზნარ უზნეობებს რომ თავი დავანებოთ, გნებავთ აღმოსავლეთში და გნებავთ დასავლეთში (მარტო რომაელებსა და ბერძნებს თითქმის ყველა მეორე სახელმწიფო მოღვაწე და მოაზროვნე მოკლული და შეჩვენებული ჰყავთ), გავიხსენოთ ჰაპიზმის უსაზიზღრესი ისტორია და მის დამაგვირგვინებელი ინკვიზიციის შედეგები, ევროპელი მეფეების ენით აუნერელი უზნეობები, სიგიჟემდე მისული რუსული სისასტიკე (შინ თუ გარეთ), ამერიკული ტერორი, მარტო პრეზიდენტების ხოცვა რად ღირს, ფრანგების საფრანგეთის რევოლუციას და ბართლომეს ღამეს სისასტიკეში ანალოგი არა აქვს, მათვე საკუთარი ქვეყნის გადამრჩენი ჟანა დარკი ინგისელებს გადასცეს და დაასჯევენეს, ასევე მოკლეს თავიანთი უპირველესი შვილები ინდოელებმა, რუმინელებმა და კიდევ ბევრმა (რომლის ჩამოთვლას ათასეული სტროფები არ ეყოფა). ევროპული დახვეწილი მანერები სისხლიანი ბლონდებითაა შეკრული და არაა საჭირო მასზე დავინყების ცრემლიანი ვარდები დაალაგონ.

– თქვენი საყვარელი მხატვარი.

– აღორძინების ხანის იტალიელი მხატვარები. მათ გარდა: ბრეიგელი, დიურერი, კლიმტი, ვან გოგი, ქართველებიდან: გაბაშვილი, ფიროსმანი, კაკაბაძე, მერაბ ბერძენიშვილი, ფარჯიანი, აბრამიშვილი. შეუძლებელია ამ მომწონდეს გვიანი შუასაუკუნეების ბრწყინვალე ირანული მხატვრობა და მინიატურა.

– **თქვენი საყვარელი კომპოზიტორი.**

– რეზო ლალიძე, ჯუზეპე ვერდი. საერთოდ მიმაჩნია, რომ მუსიკაა ერთადერთი, რომელსაც სრული ესთეტიური ბედნიერება მოაქვს ადამიანისათვის.

– **რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

– ზომიერებას, ნიჭს, დიდსულოვნებას, მიტევების უნარს.

– **რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

– ქალის ყველაზე დიდი თვისებაა დაბადოს ადამიანი, ამ საოცრებას ვერაფერი ამქვეყნად ვერ შეედრება. ქალს შეუძლია გაცოცხლოს ან მოგვლას კიდევაც, ეს ორმაგობა მისი ბუნების ძირითადი თვისებაა. აქვე ვიტყვი, რომ არაფერი არ მომწონს ქალში, რაც კაცურის ასოციაციას იწვევს.

– **რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მიმზიდველი?**

– მე ეს კომპლექსურად წარმომიდგება და ზოგადად შეიძლება მისი ისეთ პიროვნებებში გაერთიანება, როგორებიც არიან: ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ ფერაძე, ექიმი იოსებ ყორღანიანი.

– **თქვენი საყვარელი საქმიანობა.**

– წიგნის კითხვა, ბალახის თიბვა, მეგობრებთან დროსტარება, ღვინის დაყენება და მერე ამით ტრაბახი.

– **თქვენი ხასიათის მთავარი თვისება.**

– არასოდეს შევანჯხო ვინმე ზედმეტად, ვიყო კრიტიკული ჩემი პიროვნების მიმართ.

შვილის სიყვარული, როგორია იგი?

მომეცით უფლება, ეს გრძნობა რუსთაველის მიხედვით ავხსნა: ტარიელის ვერშეპყრობით გულდამძიმებული როსტევეანი ავთანდილთან ერთადაა და რომ იტყვიან ორთავეს დანა კბილს არ უხსნიო. ბოლოს როსტევეანი შვილს მოიკითხავს, ადამიანისათვის ერთადერთ ნუგეშს ყოველგვარი გაჭირვების უამს.

„ხანი გამოხდა იკითხა ნეტარ რასა იქმს ქალიო,
ჩემი ლხინი და ჯავარი ჩემი სოფლისა წყალიო“.

გავიდა მსახური და შეატყობინა თინათინს – მამა გკითხულობსო:

„თინათინ ადგა მივიდა, მიჰყვა მამისა ნებასა, უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა, მამამან გვერდით დაისვა აკოცებს ნება ნებასა“.

გამოკითხა შვილმა მამას უგუნებობის მიზეზი და როცა ტარიელის შეუპყრობლობისა და მისი კადნიერების ამბავი მოისმინა, ურჩია მოე-

ნახა და გაეგზავნა თავისი ხელქვეითებიდან ისეთი, ვინც შეიტყობდა უცხო მოყმის ამბავს და ერთგვარ პატივმოყვარეობას დაუცხრობდა მას:

„როსტანს სიტყვა ასულისა მოეწონა ეკეთაცა; პირი ხელით დაუჭირა გარდაჰკოცნა კვლა და კვლაცა, უბრძანა თუ დაგმორჩილდე, რაცა მითხარ აგრე ვქმნაცა, იგივეა მხსნელი ჩემი, ვინცა მინა გამაკაცა“.

გარდა იმისა, რომ შვილი არქმევს კაცს მამას და ააცდენს უგზობას, კაცი მინა ანუ უსულობა, რომელსაც შვილი აქცევს სულიერად.

შვილის როლისა და მისდამი სიყვარული გამოხატვა ამაზე შორს ვერ ნავა.

– **რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

– ყურადღებას, თანაგრძნობას, გაჭირვებაში გვერდით დგომას.

– **თქვენი ხასიათის მთავარი ნაკლი.**

– სიფიცხე, შეცდომების დაშვება და მერე ამ შეცდომების გამეორება, ეს პირდაპირ გამოუსწორებელი ნაკლია.

– **თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე.**

– ბედნიერება ძალიან აპრიორული ცნებაა. მე მიყვარს სიცოცხლე, დღის მოსვლა, ზემოთაც ვთქვი, გათენება ყველაზე დიდი სასწაული ამქვეყნად. ტკბილი განგაშით აღვიქვამ ამ პროცესს: „მოვიდა! მოვიდა!“! მამცნობს ხოლმე რაღაც ზეიმური ხმა, ვუგდებ ყურს გათენების ჯადოსნურ დუმილს და გაციაგებული სული ამ სიტყვებს ჩამძახის:

შაშვმა გალობით

გამოქსოვა

ლამიდან

დილა,

და დედამინა

დაეკონა

ცისკრის წამწამებს.

– **რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

– ზოგადად თუ ვიტყვით, ემიგრაცია, ხოლო კერძოდ, კონფლიქტი ახლობლებთან.

– **როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

– უფრო მეტად თავდაჭერილი, ოღონდ ამით ადამიანები არ უნდა შეაწუხო, ზედმეტი არაფერი ვარგა.

– **თქვენი საყვარელი ფერი?**

– მწვანე და ცისფერი.

– **ყვავილი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვართ.**

– მე უფრო ხე მიყვარს, განმარტოებით მდგარი, დიდი, გრანდიოზული, მდუმარებით მოცული ხე. ვუცქერ ხოლმე ხეებს და სავსებით მესმის ადამიანებისა, რომლებმაც ხე ღვთაებად ჰყავდათ წარმოდგენილი.

– **თქვენი საყვარელი ფრინველი.**

– მერცხალი, რატომღაც ყველა ქვეყნის მერცხალი ჩვენებური მგონია.

– **თქვენი საყვარელი მწერალი?**

– ისინი ძალიან ბევრნი არიან. თუ მაინცდამაინც საჭიროა, ქართველებიდან დავასახელებ გრიგოლ ხანძთელს, გიორგი მთაწმინდელს, ჟამთააღმწერელს, სულხან-საბას, გურამიშვილს, ბარათაშვილს, გრიგოლ ორბელიანს, ილიას და აკაკის, გრიგოლ რობაქიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძეს, ჭაბუა ამირეჯიბს, რევაზ ინანიშვილს, აკაკი ბაქრაძეს, ნუგზარ შატაიძეს. უცხოელებიდან: პლუტარქეს, თომას მანს, ბესარიონ ბელინსკის, გორკს, ჯონ გოლზუორთს, ჯერომ სელინჯერს, ირვინ შოუს...

– **თქვენი საყვარელი პოეტები?**

– რუსთაველი და კიდევ რუსთაველი, მერე აკაკი და ვაჟა, ლადო ასათიანი, პაოლო იაშვილი, ტიცვიან ტაბიძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე.

– **თქვენი საყვარელი გმირი ქალები.**

ქეთევან დედოფალს გმირობაში ტოლი არა ჰყავს. მერე ხერხეულიძეების დედა, რომელზედაც პოეტმა ასე დაწერა: „დასძახოდა არ შეგერხეთ ტარი, საქართველოს ძუძუს განოვებდით“, ვეფხისა და მოყმის დედა, ჟანა დარკი, გაიუს მარციუს კორიოლანუსის დედა ვოლუნმია, გავეშებულ შვილს რომ ფეხებში ჩაუვარდა და რომი არ დაანგრევინა.

ქართული სიტყვა: როგორია მისი სიღრმე?

შეგნებულად არ დავასახელებ ჩვენი პოეზიის უდიდეს ვარსკვლავებს, იმიტომ რომ ეს ცნობილზე ცნობილია, გავისხენებ ერთ ჩვეულებრივ ხალხურ ლექსს: „ქალო ისეთი თეთრი ხარ, როგორც საყდარში კირიო, შუალამ გამელვიძება წამოვჯდები და ვტირიო“, – ამბობს ერთი უცნობი ავტორი. სითეთრისა და სისპეტაკის უფრო უწმინდესი შინაარსით გამოხატვა შეუძლებელია. კირი ყველგან კირია, მაგრამ საყდრის კირი სხვა სინმინდითაა ნიშნული.

ამიტომაც ეს ფრაზა მხატვრული აზროვნების უბრწყინვალესი ნიმუში.

– **გმირი, რომელსაც თქვენ თვლით რეალურ ცხოვრებაში.**

– მიმაჩნია, რომ მერაბ კოსტავა ნამდვილად იყო გმირი, რომელიც თავისი შეუპოვრობით ერთდროულად ინვეცდა გაკვირვებას და აღტაცებასაც. ახალი საქართველოს გმირი იყო ზვიად გამსახურდია, კაცი, რომელმაც ყველაფერი შესწირა თავის სამშობლოს. შეუძლებელია აქ არ ვახსენო მოქალაქე აბესაძე, რომელმაც თავი დაინვა რუსთაველზე ძმათამკვლელი ომის საპროტესტოდ. ასეთი იყო იან პალახი, რომელიც ჩეხეთმა ეროვნულ გმირად აღიარა. აბესაძე კი უსამართლოდაა დავინწყებული. ვფიქრობ, რომ ასეთი გამონაკლისები ძალიან ცოტაა. ჩვენს ეპოქას გმირები არ სჭირდება, მას მედროვენი უფრო ესაჭიროება და არიან კიდევაც.

– **საყვარელი სახელები.**

– ვფიქრობ, რომ სახელს ქმნის და გაყვარებს ადამიანი, ისე „გიორგი“ ყველაზე დიდი მუხტის მატარებელი სახელია მთელს საქართველოში.

– **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

– პოლიტიკოსთა თვალთმაქცობას, საჯარო ლაზღანდარობას ახლა რომ მოდად იქცა, ლიტერატურაში — ბილნსიტიყვაობას.

– **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა.**

– სერგო ორჯონიკიძე, ვალიკო ტალახაძე, არც ნოე ჟორდანი მახატია გულზე, კიდევ ბევრია ასეთი რანგისა...

– **საომარი მოქმედება, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ.**

– დავით აღმაშენებლის მიერ 200 კაცის შეგზავნა მტრის ლაშქრის შუაგულში, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა დიდგორის ბრძოლის საბოლოო შედეგზე. მე ისტორიკოსი გახლავართ და ეს მაძლევს უფლებას განვაცხადო, გიორგი სააკაძე არის ერთი დიდი პიროვნება საქართველოს ისტორიაში. მისი შეცდომები გადანონილია მისი გამარჯვებებით, რომლებიც ოქროს ასოებითაა შესული საქართველოს ისტორიაში. მე მანცვიფრებს მისი პიროვნული ტრაგედიის მასშტაბი, ესეც საქართველოს სადიდებლადაა საგულვებელი.

– **რეფორმა, რომელსაც თქვენ უმაღლეს შეფასებას აძლევთ.**

– ყველა რეფორმა მნიშვნელოვანია, თუ იგი ქვეყნის ინტერესებს ემსახურება, ასეთების სანიშნუო მაგალითებად მიმაჩნია: აღმოსავლეთში – ქემალ ათათურქისა და დასავლეთში შარლ დე-გოლის მიერ გატარებული რეფორმები.

– **ნიჭი რომელსაც გინდათ, ფლობდეთ.**

– ნიჭი სიმღერისა. თურმე შემეძლო საოპერო მომღერალი ვყოფილიყავ, სამწუხაროდ, გვიან აღმოვაჩინე, რომ ამის მონაცემები მქონდა.

– როგორ გინდა რომ გარდაიცვალო?

– როგორც გერონტი ქიქოძე ამბობდა: „არ მეშინია სიკვდილისა, ოღონდ უარს ვაცხადებ ტკივილზე“.– ჩემდაუნაბური ვფიქრობ დასასრულზე. ვგიჟდები სიცოცხლისათვის, მაგრამ ყველა შემთხვევაში უნდა დავთმო იგი, გინდა თუ არა, ეს ფიქრი მუდამ თან გდევს.

– თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად. რა არის თქვენთვის იმედნი?

ერთი ამერიკელი მილიონერი იგონებს: ახალგაზრდობაში დიდი ფული ვიმოვე, მაგრამ ერთ უბედურ დღეს მთლიანად გავეკოტრდი და თავის მოკვლა გადაწყვიტე. მივდივარ ქუჩაში იმედაკარგული და ვფიქრობ რა ხერხით მოვიკლა თავი, ამ დროს ვხედავ ტროტუარზე უფეხებო კაცი ურიკით მოგორავს, ხელებში კასტეტები უჭირავ, დაჰკრავს ასფალტას და გასრიალდება. მე წამიერად შევდექე, დავაცქერდი ამ უიმედობის განსახიერებას, რომელიც გამისწორდა, ურიკა შეაჩერა, სახეში გაბადრული ღიმილით შემომხედა და შემომძახა: „შეხედეთ სერ, შეხედეთ! რა ბრწყინვალე დღეა“. მართლაც ბრწყინვალე დღე იყო, მზითა და სიცოცხლით გაცისკროვნებული, თვალი მოვაველე გარემოს და სიცოცხლის მძაფრი სურვილი დამეუფლა. იმ დღიდან ჩემი წაგებული საქმის გამოსწორებას გულმოდგინედ შევუდექი და ორ წელიწადში კვლავ მილიონერი გავხდი. მივმართო ყველას: ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გადაიყარეთ გულიდან დარდი, ყველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, მიმოიხედეთ თქვეს მზით გაჩახჩახებულ ქვეყანაში, გააკეთეთ უფრო მეტი, ვიდრე აკეთებთ და აღივსეთ სიყვარულითა და იმედით.

– ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ.

– ის, რომ მე გამაჩნია მიტევებისა და პატიების ხალასი გრძნობა უდიდეს სიხარულს მანიჭებს. შემწყნარებლობას და მიტევებას იმსახურებს ყველაფერი ის, რაც უნებლიე შეცდომითაა გამოწვეული.

– თქვენი დევიზი და რწმენის საფუძველი

– „ჰე მამული გრძნობა შენი მოვლისა, მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია“, ეს ჩემი დევიზი გახლავთ. რაც შეეხება რწმენის საფუძველს, – ეს სამშობლოა. ზოგჯერ, როცა გავხედავ ამ ენით უთქმელ სილამაზეს, ერთ დიდ სიხარულად გადამექცევა ხოლმე მისი არსებობა, თითქოს ღმერთის სული გადასრიალბოდეს მის მთასა და ბარს, მის ხალხს,

მის ანმყოსა და მომავალს. ნურვის ჰგონია რომ დავბერდით, ნურვის ჰგონია ძალა გამოგველია არსებობისა, ნურვის ჰგონია აზრი დაგვეკარგოს ცხოვრებისა, ჩვენ თავცეცხლას გამძლეობა გვაქვს, უცნაურად და გასაკვირვლად ძლიერია ჩვენი შინაგანი ფესვები, სხვებს რომ ჰგონიათ დავსამარდით, მაშინ ილვიძებს ჩვენში ძალა ახალი სიცოცხლის ასაყვავებლად. კიდევ კარგი არაკეთილისმსურველნი ღრმად რომ არ იცნობენ ჩვენს ხასიათს. ქართველებს გვაქვს ჩვენი საიდუმლო მარადიული სიცოცხლისა და სანამ სამყარო იარსებებს იარსებებს საქართველოც!!!!

– თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რის თქმას ისურვებდით მისგან?

– მე არ შემიძლია იმის დაშვება, რომ ღმერთს შევხვდები. რაც შეეხება ჩემს არსებაში დასადგურებულ წარმოდგენას ღვთის შესახებ, მას ხშირად მივმართავ თხოვნა-ვედრებით მომიტეოს შეცოდებანი, რომელიც დამიშვია ცხოვრების განმავლობაში.

– როგორ იხსენებთ წარსულს?

– მე ვჯდები სანერ მაგიდასთან, როგორც ლტოლვილი დამშრალ წყაროსთან და ვაკვირდები მოგონების ჟანგდაკრულ კენჭებს...

– რა კითხვა განვალეობ ყველაზე მეტად?

– ნატავ სად მიდის ჩამქრალი შუქი ?

– ვინა ხართ თქვენ, როგორ მიგაჩნიათ, გაამაყებთ ის რაც გააკეთეთ? ხომ არ გიჩნდებათ უკმარისობის გრძნობა განვლილი ცხოვრების გამო

– ჩემი იდეითა და თავზემდგომობით ეკლესიაც ამიშენებია და ამ საქმეს საკმაოდ დიდი დრო და ენერგია შევალეე – ეს მაამაყებს, მაამაყებს ისიც, რომ პუტჩის დროს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ჩვენი კულტურის დედაბოძი, როცა საგამოფენო დარბაზში ხანძარი გაჩნდა, ჩემს მეგობრებთან ერთად, დაწვას გადავარჩინეთ, ეს მოხდა სიკვდილის საშიშროების ქვეშ, ტყვიების ზუზუნში, რომლებიც ჩვენს თავზე დაფრინავდენ. ზოგად, თუ გნებავთ მოგახსენებთ, რომ პირადული სიამაყე და თავისი თავით ტკობა ქრისტიანული შეხედულებით დიდი შეცოდებაა და ამ მიმართებით ჩემი კომპლექსებიც ისეთი იყო მუდამ მამუხნუჭებდნენ. მიუხედავად ამისა, ზომიერი შექება და ასევე, ზომიერი შეფასება იმისა, რაც გაგიკეთებია, არაა ცუდი მოსასმენი. ისე, ჩვენმა ეპოქამ წაშალა ზომიერებაში ზღვარი, დააკვირდით: ადამიანები საშუალო ნიჭის შემოქმედთა მიმართ ხშირად იყენებენ უმაღლეს ეპითეტებს: „უნიჭიერესი“, „ბრწყინვალე“, „გენიალური“ და სხვა, კი მა-

გრამ ასეთ შეფასებებს ასე იოლად რომ ვარიგებთ, მაშინ როგორ მოვიხსენიოთ რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი, თაყაიშვილი. დამსახურების გამომხატველი ამდენი ეპითეტი იმიტომაცა ქართულ ენაში, რომ ყველას თავისი შესაფერისი ადრესატი ყავს (მაგ: გამოჩენილი, თვალსჩინო, დამსახურებული) დაუმსახურებელი ღვანლის გაბუქვითა და ზემალაღი რეკლამირებით მიწებებით ადამიანი უფრო მცირდება.

მე არასდროს მიბრძოლია ჩემი სახელის ზედმეტად გამოჩენისათვის. უფრო კონკრეტულად თუ გსურთ, გეტყვით, რომ მე ვარ უბრალო ადამიანი – უბრალო, როგორც წყლის წვეთი!

**ესაუბრა
ანდრო ბედულაძე**

სტატიები

საქართველოს ისტორია

იოსებ ალიმბარაშვილი

ქსნის ხეობის მოსახლეობა 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით

ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობისა და რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ადმინისტრაციული თვალსაზრისით აღმოსავლეთ საქართველო ხუთ მაზრად დაიყო: თბილის-ლორეს, გორისა და დუშეთის (ქართლში), თელავის და სიღნაღის (კახეთში). აქედან, მოსახლეობის რაოდენობითა და ფართობით გორის მაზრა ყველას აღემატებოდა¹, მისმა ტერიტორიამ იმ დროისათვის 5280 ვერსი შეადგინა (Обозрениа, 1836: 39).

ხელისუფლების დღის წესრიგში მაშინვე დადგა საქართველოს მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება დემოგრაფიული, რელიგიური, ეთნიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო მიზნებისათვის.

1802 წელსვე მთავარმართებელი კნორინგი პოლკოვნიკ დრენიაკინს ავალებდა, დაწვრილებით შეესწავლა „საქართველოს შინაგანი მდგომარეობა“ და შეედგინა „თბილისის, გორისა და დუშეთის სწორი გეგმა ...ვის (ხაზინას, ეკლესიას, ბატონიშვილებს) ეკუთვნიან იქ მცხოვრები გლეხები, ვინ ცხოვრობენ იქ თავად-აზნაურთაგან, რაში გამოიხატება მცხოვრებთა მთავარი სარენავი: მემინდვრეობაში, მეჯვოგეობაში, მებაღეობაში ...რა რაოდენობით იღებენ ისინი ყოველწლიურად თავიანთი მესარენეობიდან ნაწარმოებ პროდუქტებს და აქედან რა რაოდენობას ხარჯავენ თავიანთი საკუთარი მოთხოვნილებებისათვის ...რა ხარისხისა და შემადგენლობისაა თითოეული სოფლის კუთვნილი მიწების ნიადაგი,

¹ სხვა ტერიტორიების გარდა, იმ დროისათვის გორის მაზრაში, „ნარას უჩასტკის“ სახელით, შედიოდა დვალეთის ისტორიული მხარეც, რომელიც რუსულმა ხელისუფლებამ 1859 წელს ჩამოაცილა და თერგის ოლქს გადასცა 3581 კვადრატული კილომეტრი ფართობის ოდენობით (თოფჩიშვილი, 2016: 10-11).

თუ მისდევდნენ ხელსაქმეს, სად და რა რაოდენობის პროდუქტს ამზადებდნენ წლიურად და სხვ“ (გუგუშვილი, 1949: 385). ამასთან, კონრინგი დრენიაკინს აფრთხილებდა, რომ „საქართველოში აღწერა უჩვეულო ამბავია და ამიტომ ყოველივე ეს უნდა გაკეთებულ იქნას დიდის სიფრთხილით და საიდუმლოდ“ (გუგუშვილი, 1949: 386).

დრენიაკინსვე გადაეცა ქართლ-კახეთის მეფის ყოფილ მოხელეთაგან მიღებულ ცნობათა საფუძველზე შედგენილი უწყებები და ცხრილები, რომელთა ცდომილებები – რაშიც ეჭვი არ ეპარებოდათ, ადგილებზე უნდა დაედგინათ და შეესწორებინათ.

მოსახლეობის პირველი კამერალური აღწერა აღმოსავლეთ საქართველოში განხორციელდა გენერალ პავლე ციციანოვის 1803 წლის 2 აპრილის ცირკულარის საფუძველზე. აღწერა მოიცავდა მხოლოდ გადამხდელ მოსახლეობას, მამაკაცებისაგან განსხვავებით, სიებში მდებრობითი სქესის მხოლოდ რაოდენობას აღნუსხავდნენ სახელებისა და გვარების გარეშე. აღწერა არ ეხებოდა პრივილეგირებულ ნოდებებს და უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებს.

აღწერის მასალებსა და ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელნი იყვნენ ადგილობრივი მოხელეები.

1804 წლის კამერალური აღწერის ჩატარება რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მოსახლეობის მიერ ორჯერ გადატანილი (1797 და 1800 წლებში) შავი ჭირის ეპიდემია (ოსელიანი, 1978: 119; 167), ქვეყნიდან გადასახლებულ ბაგრატიონთა და მათ ერთგულ თავადთა მფლობელობაში მყოფი გლეხთა რაოდენობის დადგენა, მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ადმინისტრაციული, სოციალური, რელიგიური ცვლილებები და სხვ.

აღწერა მთლიანობაში დასრულდა 1805 წლისათვის და შეკრებილი სტატისტიკური მასალის საფუძველზე, 1806 წელს სახაზინო ექსპედიციისათვის გენერალური უწყება შედგა გადამხდელი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, რომლის მიხედვით, სულ აღმოსავლეთ საქართველოს აღწერილ რეგიონებში (აღწერა არ შეხებია მთიულეთს, თუშეთს, ფშავ-ხევსურეთს) აღირიცხა 153, 6 ათასი. ხოლო გორის მაზრაში 33, 4 ათასი გადამხდელი (ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ს. 58, ფ. 1-78).

1804 წლის გორის მაზრის აღწერა სამი ნაწილისაგან შედგება. პირველში მოცემულია მონაცემები მაზრის 188 სოფლის შესახებ და მოიცავს 157 გვერდს. მეორე ნაწილი გორის კომენდატის მაიორ რეიხ-

ის მიერ შედგენილი ქალაქის სხვადასხვა ხელობის მქონე მოქალაქეთა უწყისია, რაოდენობისა და ხელობათა მიხედვით (15 გვერდი), ხოლო მესამე ნაწილი ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის იმავე 1804 წლის აღწერაა და შედგება 153 გვერდისაგან (ალიმბარაშვილი, 2019: 80-107).

1956 წლის 10 აგვისტოს ცნობილმა მეცნიერმა სარგის კაკაბაძემ, აღწერის ბეჭდური პირი, სხვა მნიშვნელოვან ისტორიულ საბუთებთან ერთად, გადასცა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს.²

ყოფილი ქსნის საერისთავოს აღწერა ადმინისტრაციულად მხოლოდ გორის მაზრას არ მოიცავს და გადადის დუშეთის მაზრაში, ხოლო გეოგრაფიულად ქსნისა შუა და ზემო წელისა და მისი შენაკადების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას აღწერს.

აღწერას წინ უძღვის სარგის კაკაბაძის კომენტარი: „ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წლისა წარმოდგენილია ანანურის მაზრის აღწერილობაში. აღწერა მთელს ანანურის მაზრაში აღნიშნავს 3269 კომლს, ამათგან ოსი არის 838 კომლი (არაგვის ოსი – 688 კომლი; ქსნის ოსი 150 კომლი, სომეხი – 154 კომლი, მათ შორის ახალგორში 90 კომლი, ქისტები – 9 კომლი, დანარჩენები კი არიან ქართველები). რაც შეეხება კერძოდ, ქსნის ყოფილი საერისთავოს მოსახლეობის რაოდენობას, ამაზე გარდა 1804 წლის აღწერისა, არსებობს ოდნავ ადრინდელი მონაცემებიც. ეს არის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულოს აღწერის შემაჯამებელი ცნობები, მოცემული 1803 წლის ივნისში (იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო შეადგენდა სწორედ ყოფილი ქსნის საერისთავო)“ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში (გსიემ), 7486, ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ.).

ს. კაკაბაძის კომენტარს თანდართული აქვს ცხრილი, რომელშიც მითითებულია: „იოანე ბატონიშვილის ყოფილი სამფლობელო, რომელიც ამჟამად შეადგენს“ და მოსდევს სოფლების ჩამონათვალი მაზრების (გორის, დუშეთის), თემებისა (ყამური, ქარჩოხი, ჭურთა, ცხრაძმა) და მისი მკვიდრი მოსახლეობის კომლობრივი და სულადობრივი მაჩვენებლებით. ცხრილში მითითებულია ეთნიკურობა (ქართველი, ოსი) და თანდართული აქვს გრაფა: „წლიური შემოსავალი ვერცხლით“, თუმცა, იგი შევსებული არ არის და მხოლოდ ჯამის სახითაა მითითებული:

² კვლევისას ვისარგებლეთ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული პირით და გვერდების მინიშნებაც მისი შესაბამისია.

„1441 მან. 45 კაპ“. ცხრილის შემდეგ, ს. კაკაბაძის ერთგვარი შეჯამებაა შემოსავლების, გადასახადებისა და მიწის მფლობელობის თაობაზე.

ცხრილში სულ წარმოდგენილია 40 ქართული და 34 ოსური სოფელი, სადაც იმდროისათვის ცხოვრობს 511 კომლი ქართველი (სულ 3834 სული, აქედან 2241 მამაკაცი, 1593 ქალი) და 294 კომლი ოსი (სულ 2144 სული, აქედან 1255 მამაკაცი, 889 ქალი), თუმცა, ცხრილი სრულყოფილი არ არის და მთლიანად გამოტოვებულია სოფლები: ალევი 514 მოსახლით, ლამისყანა 373 მოსახლით, ახალდაბა 46 მოსახლით. სოფ. ლოროში აღწერის მიხედვით, 6 კომლი ქართველი ცხოვრობს 32 მოსახლით, ხოლო ცხრილში ოსურ სოფლებშია ნაჩვენები 12 მცხოვრებით და ა. შ.

ცალკეა მითითებული ახალგორის მოსახლეობა, სადაც 71 კომლი სომეხი და 6 კომლი ქართველია დაფიქსირებული (243 მამაკაცი, 176 ქალი, სულ 419 სული). გვარ-სახელებიდან გამომდინარე, სომხების უმეტესობაში აქაც უნდა ვიგულისხმოთ გრიგორიანი ქართველები (ბეჟან დურგლიშვილი, დათუა გიგოლაშვილი, ქიტუა ოვაშვილი, ტატუა ამირანაშვილი, დავით მერიანაშვილი, გოგია მეპურიშვილი, სიმონ პატარკაციშვილი, ზურაბ დათიაშვილი, ნასყიდა ჯავახიშვილი და სხვ.), ცნობილია, რომ საქართველოში ქართველთა „გასომხების“ ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ბეგარისაგან თავის დაღწევა იყო (ახლოური, 2006: 127).

აღსანიშნავია, რომ ქართველების კომლობრივი რაოდენობა ახალგორში XX ს. 60-იან წლებამდე არ შეცვლილა და სერგი მაკალათია ისევ 6 კომლს ასახელებს, ხოლო „სომხებში“ ყველაზე დიდი რაოდენობით კვლავ სტეფანოვები (სტეფანიშვილები) ყოფილან (მაკალათია, 1968: 60).

თვით იოანე ბატონიშვილის 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერაში ქსნის ხეობის სოფლების მონაცემები, 1804 წლის აღწერას 16 სოფელში ემთხვევა (თეზი, ლამისყანა, ოძისი, ახალგორი, იკოთი, ნირქვალა, კორინთა, ალევი, საძეგური, ცხაოტი, მონასტერი, ჭურთა, ლომისა, ოხირი) (ბაგრატიონი, 1986: 36-37).

როგორც ითქვა, ყოფილი ქსნის საერისთავო XVIII ს. ბოლოსათვის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო მამულს წარმოადგენდა. ბატონიშვილის კუთვნილი სოფლები „კავკასიის არქეოგრაფიულ აქტებში“ მითითებული. „აქტების“ მიხედვით, იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო სოფლები 1804 წლის აღწერას დუშეთის მაზრის ფამ-

ურის თემში 10 სოფლიდან 6-ში ემთხვევა (გორგა, ზემო და შუა ბაგინი, ჩერქეზანი, ვაკე და ციხილები) (Акты II, 83, док. 127). ქარჩოხის თემში – 13-დან – 8-ში (ქარჩოხი, შატაკო-კარი, პავლენტ-კარი, თინიკანთ-კარი, ხოზიეთი, თენკათ-კარი, ლომისა და ოხირი), თუმცა, 1804 წლის აღწერის ზოგიერთი სოფელი (თეზი, ოძისი, სოფელშეთი დას ხვ.) რომელიც ცალკეა წარმოდგენილი, „აქტებში“ ქარჩოხის თემშია გაერთიანებული. რაც შეეხება ჭურთის თემს, რომელიც 1804 წლის აღწერაში ყველაზე მასშტაბურადაა წარმოდგენილი (33 სოფელი), დამთხვევა ყველაზე მეტია (22 სოფელი), მაგრამ „აქტებში“ ეს სოფლები ამ შემთხვევაშიც სამ – ჭურთის, ქარჩოხის და ცხრაძმის თემებშია წარმოდგენილი (Акты II, 82-83, док. 127).

არც სარგის კაკაბაძის მიერ შედგენილი ცხრილი ემთხვევა 1804 წლის აღწერის თანმიმდევრობას და რაოდენობრივ მონაცემებს. 1804 წლის აღწერაში მონაცემები 68 სოფლის შესახებაა. აქედან ქართულია 43, ხოლო ოსური – 26, ერთიც ქართულ-სომხური. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, სულ აღწერილია 1046 კომლი, აქედან მამაკაცია 4481, ქალი – 3568. ქართველების რიცხვი შეადგენს 680 კომლს (2948 კაცი, 2356 ქალი, სულ 5406), ოსების – 273 კომლი (1245 კაცი, 982 ქალი, სულ 2101) შერეული მოსახლეობით, ქართულ-სომხური – 93 კომლი (288 კაცი, 230 ქალი, სულ 518) (იხ: დანართი).

ცნობილია, რომ ყოფილი ქსნის საერისთავო ტერიტორიულად მდინარეების: ქსნისა და მისი შენაკადების, ლეხურის, მეჯუდის და პატარა ლიახვის ზემო წელსაც მოიცავდა. ერისთავების სამფლობელოში შედიოდა: ცხრაზმა, ჟამური, ქარჩოხი, ჭურთა, ქოლოთი, ისროლისხევი, თრუსო, ლუდა, გაგასძენი, მლეთა, არახვეთი, ხანდო, ყანჩაეთი, ძაგნაკორი, გავაზი, აწერისხევი, ბეხუშე და სხვ.

XIV საუკუნის შუა წლებისათვის ქსნის ერისთავებმა მიწები და გავლენა გააფართოვეს ქართლის ვაკის მიმართულებით. აქ დაეუფლნენ კარბს, იკორთის მონასტერს. მათ ასევე ხელი მიუწვდებოდათ ქნოლოსა და მალრან-დვალეთზე.

აღმოსავლეთით ქსნის საერისთავოს არაგვის საერისთავო ემეზობლებოდა, სამხრეთით – სამუხრანბატონო, სამხრეთ-დასავლეთით – სამილახვრო, ხოლო ჩრდილოეთით ქსნის ერისთავების მფლობელობაში მალრან-დვალეთისა და ჟამურის სანახები შედიოდა და საზღვარი დვალეთამდე აღწევდა³.

³ ნაშრომის თემატიკიდან და ფორმატიდან გამომდინარე, ქსნის საერისთავოს

გერმანელ მეცნიერს იოჰან ანტონ გიულდენშტედტს XVIII ს. 70-იან წლებში ქსნის ხეობაში, კერძოდ, ცხრაძმის ხევის ქართულ სოფლებში დასახლებული აქვს: დადიანეთი, ზოდები, აბუთკარი, თოხთა, მახიარეთი, დაბაკნეთი, უკანამხარი, ჩანშე, ჩიტინთკარი, წინუბანი. რაც შეეხება ჭურთის ხევის სოფლებს, ჩამონათვალში გვხვდება: ბაგინი, გორგა, ძეგოანი, თოგოანი, ჯავათ-კარი, კუცხოეთი, ველისი, საბარკლეთი, ჭურთა, ცხუნეთი, ჯაგნათკარი, ქარელთკარი, შატაკიანთ-კარი, ყველდაბა, ძაბოეთი, დორეთ-კარი, გავაზი, ილურთ-კარი. გიულდენშტედტი განმარტავს, რომ ესენი ერთმანეთში არეული ქართული და ოსური სოფლებია, რომლებიც კარგად ეთვისებიან ერთმანეთს (გიულდენშტედტის, 1962: 275).

საინტერესო შედეგებს იძლევა 1804 წლის აღწერის შედარება, ერეკლე II-ის დავალებით დიმიტრი გარსევანიშვილისა და მანუჩარ თუმანიშვილის მიერ 1783 წელს შედგენილ ქსნის საერისთავოს აღწერასთან, რომელშიც ქარჩოხის თემის 13, ცხრაძმის ხევის 13 და ჭურთის ხევის 4, სულ 48 სოფლის შესახებაა მონაცემები (თაყაიშვილი, 1951: 3). აქედან ჭურთისხევეში აღწერილი 11 სოფელი 1804 წლის აღწერას ემთხვევა, ოღონდ ოთხი მათგანი (ახალდაბა, შატაკთ-კარი, პავლენთ-კარი და თინიკანთ-კარი) 1804 წლის აღწერაში ქარჩოხის თემშია წარმოდგენილი. სულ 1804 წლის 68 სოფლის აღწერა 1783 წლისას 33-ში ემთხვევა, სამაგიეროდ, 1783 წლის აღწერაში იხსენიებიან ისეთი სოფლები (ვაკე, კვერიეთი, ზოდები, მახირეთი, ძეგლვეი და ა. შ.), რომლებიც 1804 წელს აღარ ჩანან.

საინტერესოა ზემოხსენებული ორი აღწერის შედარება მოსახლეობის იდენტიფიკაციის თვალსაზრისითაც, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ქრონოლოგიური ზღვარი ამ ორ აღწერას შორის უმნიშვნელოა (სულ 21 წელი, 1804-1783) და ადვილი შესაძლებელია, ერთი და იგივე პირები იყვნენ ნახსენები, და, მეორეც, პირველი აღწერა ქართლ-კახეთის მეფის ინიციატივით ტარდება და სამხედრო მიზანს ატარებს, ხოლო მეორე, რუსული ხელისუფლების მიერ და იმავე მოსახლეობის გადამხდელუნარიანობის დადგენასა და მათგან გადასახადების ამოღებას ისახავს მიზნად. მართლაც, 1783 წლის აღწერაში ოძისში ბოჭორმიშ-

პოლიტიკური ისტორიის გადმოცემა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდაა შესწავლილი. დაწვრ. იხ. (გვრიტიშვილი, 1955: 55-84); (ახლოური, 2006); (სოსიაშვილი, 2014); (ქენქაძე, 2016); (ლუნაშვილი, 1988); (გვასალია, 1967); (მაკალათია, 1968) და ა. შ.

ვილი თევდორე ივანესთან ერთადაა მოხსენიებული (თაყაიშვილი, 1951: 29), ხოლო 1804 წლის აღწერაში ივანე აღარ იხსენიება (გსიემ, 7486, აღწერა, ქსნის საერისთაოს 1804 წ. აღწერა გვ. 5). სავარაუდოდ, იგი უკვე გარდაცვლილია. ნირქოლში 1783 წელს დავით მორბედაძე ფაფინასთან ერთადაა მოხსენიებული (თაყაიშვილი, 1951: 23), ხოლო 1804 წელს, ფაფინას ნაცვლად, დავითთან ერთად, უკვე გოგია და გოგია მორბედაძეები ჩანან (გსიემ, 7486, აღწერა, ქსნის საერისთაოს 1804 წ. აღწერა გვ. 45). ახალგორში 1783 წელს ესტატე სტიფანაშვილის გვერდით ბერუა იხსენიება (თაყაიშვილი, 1951: 26), ხოლო 1804 წელს ესტატეს გვერდით უკვე გალუსტა სტიფანიშვილია დაფიქსირებული (გსიემ, 7486, აღწერა, ქსნის საერისთაოს 1804 წ. აღწერა გვ. 24) და სხვ.

ყოფილი ქსნის საერისთავოს 1804 წლის აღწერა იწყება ქსნის ხეობის ქვემო წელიდან და პირველი სოფელი თეზია (ამჟამინდელი კასპის მუნიციპალიტეტი) მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე. შემდეგ მიემართება მდინარის მიმართულების საპირისპიროდ ჩრდილოეთით, ცნობილი ქართველი დრამატურგისა და ქართული თეატრის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის მშობილურ სოფელ ოძისში, მას მოსდევს საერისთავოს ცენტრის ახალგორის აღწერა, ოღონდ ახალგორამდე მის ჩრდილოეთით მდებარე იკოთის აღწერაა მოცემული. ახალგორიდან აღმწერები გზას აგრძელებენ ჩრდილოეთით, გაივლიან ქართულ სოფლებს ლამისყანას, წირქოლს, კორინთას, საძეგურს და გადადიან ქარჩოხის ხეობაში. აღწერენ ლომისის მთის სამხრეთით მდებარე რამდენიმე ქართულ სოფელს (პავლიანთ-კარი, მიდელანთ-კარი, ქარელთ-კარი, თინიკანთ-კარი, ოხირი) და გადადიან დასავლეთით ჭურთას თემში. აღწერილია ქსნის მარჯვენა შენაკადის, მდ. ჭურთისწყლის მონაპირე და მიმდებარე პატარა ხევეებში (ველისა, კარა, ხოხანთ-წყალი, ღორის-წყალი) განფენილი რამდენიმე ქართული და ოსური სოფელი (ჭურთა, საბარკლეთი, დორეულთ-კარი, ველისა, ილურთ-კარი, ციხე, გავაზი, მონასტერი (ხარბალი), ჯაგნათ-კარი, ჩქუნიეთი და ა. შ.). ჩამოთვლილთაგან რამდენიმე მათგანი (დორეულთ-კარი, ჩქუნიეთი, ჯაგნათ-კარი, ჯორთისი, კუცხოეთი) XX ს. 60-იანი წლებისათვის ჯერ კიდევ არსებობდა (მაკაულათია, 1968: 95), ხოლო დღეისათვის გამქრალია.

შემდეგი მიმართულებაა ცხრაძმისხევისა და მისი შენაკადების (დაბაკურა, დადიანურა) მიმდებარე სოფლები (ყველდაბა, დადიანეთი, თოხთა, დაბაკნეთი, უკანკარი, უკანუბანი, წინუბანი), რომელთაგან

ნაწილი დღეისათვის ასევე გამქრალია, ხოლო ნაწილი უცხო ძალის მიერაა ოკუპირებული.

აღწერა მთავრდება მდ. ქსნის სათავეში, ჟამურის თემის 10 ოსური სოფლის აღწერით. ამ სოფელთაგან უმეტესობის მოსახლეობა 10 კომლს არ აღემატება, მათგან ყველაზე დიდი ციხილება (შესაძლოა, რცხილები) 17 კომლით (139 სული), ხოლო ყველაზე მცირერიცხოვანი სოფ. ცაგო – 3 კომლით (18 სული).

იმდროინდელი ტრადიციიდან გამომდინარე, 1804 წლის აღწერაში ჩანს დიდი ოჯახებიც, მაგ., სოფელ ალევში შიო გენაშვილის ოჯახში მოთითებულია 36 მამაკაცი და 27 ქალი, იმავე სოფელში იმედა ნათაძის ოჯახში – 16 მამაკაცი და 7 ქალი, დავით ჯიქურაშვილის ოჯახში 17 მამაკაცი და 10 ქალია და სხვ.

აღწერაში მოსახლეობის უძრავი და მოძრავი ქონება (სახლი, მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაური ცხოველები და ფრინველი) არ ჩანს და მხოლოდ სახნავი და სავენახე მიწის ფართობი დაფიქსირებული მასზე მოყვანილი მოსავლითა და განერილი გადასახადით.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მინათმოქმედება, მევენახეობა, მთაში ენევიან მესაქონლეობას, ქირაზე, ან ბეგარის სახით მწყემსვას⁴, ზოგიერთ მათგანს პირად საკუთრებაში აქვს წისქვილი⁵. ახალგორელი სომხების ძირითადი საქმიანობა ვაჭრობაა.

ცნობილია, რომ ქსნის საერისთავო ძველთაგანვე განთქმული იყო საძოვრებით, რაც მესაქონლეობის განვითარებისათვის კარგ პირობებს იძლეოდა. ამ ფაქტს უცხოელი მოგზაურები რაინეგსი, გიულდენშტედტი და სხვებიც აღნიშნავენ (რაინეგსი, 2002: 194). დავით გვრიტიშვილი საკითხთან დაკავშირებით წერს: „ქსნის საერისთავოს გეოგრაფიულ თავისებურებათა გამო მესაქონლეობას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. საერისთავოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ცხვრის საზაფხულო იალაღებისათვის საუკეთესო ადგილები იყო ქარჩოხის, ჭურთის, ჟამურის და მალრან-დვალეთის სანახები, ზამთარში

⁴ დედანში მითითებულია: „Занимаются посредственным скотоводством“. ჩვენი აზრით, იგულისხმება სხვისი კუთვნილი საქონლის ქირაზე, ან ბეგარის სახით მწყემსვა.

⁵ ახალგორში წისქვილების სიხშირეზე ჯერ კიდევ XVIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში მიუთითებს გიულდენშტედტიც, (იხ: გიულდენშტედტის, 1962: 51). იგი გარკვეული დროის განმავლობაში ახალგორში ცხოვრობდა დავით ქსნის ერისთავთან და წისქვილების უშუალო თვითმხილველი უნდა ყოფილიყო, ამდენად, სანდო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ.

კი საერისთავოს ბარის ზოლში (იკოთი, ოძისი, ლამისყანა, თეზი) უხვად იყო საზამთრო საძოვრები“ (გვერტიშვილი, 1955: 157). საძოვრების დიდ რაოდენობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აღმწერებს გადასახადის ერთ-ერთ სახედ თივის ზვინი აქვთ არაერთგან მითითებული.

„ქსნელები“ გადასახადებს იხდიან, როგორც ნატურით (ხორბალი, ქერი, ღვინო, კვერცხი, ზეთი, თივა, ოსურ სოფლებში – კამეჩი, ძროხა, ერბო, ყველი, ბატკანი და სხვ. საეკლესიო გლეხები – ცვილითა და სანთლით), ასევე ფულით, ხოლო, ვისაც მიწა არ გააჩნია და ბოგანოა, გადასახადებსაც არ იხდის. აღსანიშნავია, რომ გადასახადებისაგან ასევე გათავისუფლებულნი არიან ახალგორელი სომეხი ვაჭრები.

მიწის ფართისა და ზომა-წონის ერთეულებად მითითებულია დლიური და კოდი, ხოლო სანყაოდ – თუნგი და პუდი.

აღწერიდან ირკვევა, რომ XIX ს. დასაწყისში არაგვისა და ქსნის ხეობების ზემო წელში მოსახლეობა ჯერ კიდევ საკმაოადაა. ეთნიკურობის მიხედვით, დიდ უმრავლესობას ქართველები და ოსები წარმოადგენენ. არის მთლიანად ოსური სოფლებიც, მაგრამ რეგიონში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას ისინი რაოდენობით ჯერ კიდევ ორჯერ ჩამოუვარდებიან. თუმცა, თვით ოსური სოფლების დასახელებები: „საბარკლეთი“, „ველისი“, „ცხიხე“, „ცხრა-წყარო“ და სხვ., ცხადყოფს მათ წარმომავლობას და თავდაპირველ მოსახლეობას. ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ ხეობებში, ქართველი მოსახლეობისაგან ქსნის ხეობის დაცლის ძირითადი მიზეზი გახშირებული ლეკიანობა და ცხოვრების უკეთესი პირობებისაკენ სწრაფვა იყო. 1804 წლისათვის არაერთი ქართული სოფელი ხეობაში უკვე დაცლის პირასაა მისული, მაგ., საქარეთში 5 კომლია (32 სული) ცხოვრობს, ახალდაბაში – მხოლოდ 3 (46 სული), კარელთ-კარში – 7 (40), მიდელანთ-კარში – 8 (68) და ა. შ.

ხსენებული ტერიტორიების ქართულ სოფლებში XIX ს. ბოლოსათვის, ქართველების ხარჯზე ოსურმა მოსახლეობამ მნიშვნელოვნად მოიმატა. მაგ., თუ 1804 წლის აღწერით სოფელ ჭურთაში მთლიანად ქართველები არიან მითითებულნი (9 კომლი, 54 სული) (გსიემ, 7486, ქსნის საერისთავოს 1804 წ. აღწერა გვ. 105), 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, იმავე ჭურთაში 7 კომლი ჩანს 84 მცხოვრებით, მაგრამ მთლიანად ოსები არიან (Свод 1893: 1705). 1804 წელს ლოროში 6 კომლი და 35 სული ქართველია (გსიემ, 7486, ქსნის საერისთავოს 1804 წ. აღწერა გვ. 63), 1886 წლისათვის სოფლის მოსახლეობა 14 კომლამდე

და 126 სულამდე გაზრდილა, მაგრამ ყველა ოსია (Свод, 1893: 1696).

დღევანდელი მონაცემების შედარება 1804 წლის აღწერასთან ამ რეგიონის მოსახლეობისაგან დაცლას და ბარისაკენ შიდამიგრაციას კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩენს. მაგ., თუ 1804 წლის აღწერით ქარჩოხის ხეობის 17 სოფელში 113 კომლი და 756 სული ცხოვრობდა, 2002 წლის აღწერაში მოსახლეობა შენარჩუნებული იყო მხოლოდ 6 სოფელში. აქედან ხუთში (იკოთის გარდა) სულ 690 სული ცხოვრობდა, სამი (ქარჩოხი, კარელთ-კარი, პავლიანთ-კარი) ნასახლარს წარმოადგენდა მხოლოდ მატერიალური ძეგლების სახით (ციხის, კოშკის, ეკლესიის ნანგრევები), ხოლო 8 სოფელი საერთოდ გამქრალი იყო (საქართველოს, 2003, 117-118. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/ll%20tomi%20.pdf). იგივე შეიძლება ითქვას ცხრაძმის ხევის ქართულ სოფლებზე. 1804 წლის აღწერაში ცხრაძმის ხევეში 14 ქართული სოფელია წარმოდგენილი (136 კომლი, 701 სული მამაკაცი, 422 ქალი), ხოლო 2002 წლის აღწერაში აქედან მხოლოდ ექვსი ფიქსირდება მოსახლეობა, ამ ექვსშიც შემცირებულია 590 სულით (796-206=590). შესაბამისად, უკან-უბანში 57 სულით (67-10), ყველდაბაში – 32-ით (60-28), დადიანეთში – 295-ით (408-113), მახიარეთში – 98-ით (111-13), დაბაკნეთში – 43-ით (72-29) და თოხთაში 65-ით (78-13).

დავით გვრიტიშვილის ცნობით, სოფელ თეზში მცხოვრები ბუნტურები მოსულნი არიან ცხავატიდან, ხრიკულები – ქურთიდან, ყველაშვილები – ყველდაბიდან, ლამისყანაში მცხოვრები ქენქაძეები – ხარბლიდან და ქენქათიდან, კობაურები – საძეგურიდან, ზარიძეები – მონასტრიდან, სოფელ ოძისში მცხოვრები ლუნაშვილები – ქვემო ალევებიდან, ჩიტიშვილები – ჩიტინთიდან, ხუციშვილები – თოხთადან, შერმადინები – გავაზიდან და სხვ. (გვრიტიშვილი, 1953: 76).

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ დღეისათვის ატენისა და მის მიმდებარე სოფლებში (წედისი, ბიისი, ღვარები, ბობნევი და სხვ.) გავრცელებული გვარები: თინიკაშვილები, ლოთიშვილები, შატაკიშვილები, კარელიძეები, ერმოლოვის დავალებით, გენერალ-მაიორ გიორგი ერისთავის მიერ უნდა გადმოსახლებულიყვნენ 1817-21 წლებში (მაკალათია, 1957: 8; Кавказский, 1846, 47-48).⁶ ქსნის ხეობის ერისთავების მფლობელობაში მყოფი სოფლებიდან: თინიკაშვილები და ლოთიშვილები – კო-

⁶ აღნიშნულთან დაკავშირებით ვრცლად იქნება საუბარი ჩვენს მონოგრაფიაში „შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველი ოცნლეულის კამერალური აღწერების მიხედვით, წიგნი I, გვ. 72-73 (ხელნაწერი).

რინთასა და თინიკანთ-კარიდან, კარელიძეები – კარელთ-კარიდან, შატაკიშვილები შატაკო-კარიდან და სხვ.

მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამძიმდა 2008 წლის ომის შემდეგ. ქართული მოსახლეობა ოკუპირებული ტერიტორიებიდან თითქმის მთლიანად იქნა გამოძევებული, ხოლო ოსური თითქმის განახევრდა. 2015 წელს ე. წ. სამხრეთ ოსეთის მიერ ჩატარებულ ოფიციალური აღწერის მიხედვით, დადიანეთში დარჩა 36 სული, მახიარეთში – 10, თოხთაში მხოლოდ – 2. სოფ. პავლიანთ-კარი – პავლითა გახდა, ქარჩოხი – კარწუხი, ჩიჩიანთ-კარი – ციხტიკაუ (Итоги, 2015: 15-16. <http://ugosstat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf>) და ა. შ.

სახელები და გვარები მოცემულია აღწერაში რუსული ფორმით, მაგ., „ოსიპი“, „გრიგორი“, ასევე მოხვეწურ-მთიულური წარმოშობის ქართული გვარები მოცემულია „ნიკლაურიშვილი“, „შერმადინაშვილი“, „კობაურიშვილი“ და სხვ., ხოლო ოსი ეროვნების მამაკაცებს გვარის სახით თანდართული აქვთ „ფირტ“, რაც ქართული „შვილის“ შესატყვისია.

აღსანიშნავია, რომ აღწერაში ზოგიერთი პიროვნება ქართული გვარით ოსებშია მითითებული. ასეთებია, სოფ. საბარკლეთში – ერასტი გულარაშვილი, სოფელ კუცხოეთში – დოეს ჩოფანაშვილი, ციხეში – პავლე ჩინჩიგაძე, ჯორტისში – პეტრე, ტოტია და გივი მელაძეები და ა. შ.

ბუნებრივია, აღმწერთა ენის უცოდინარობის გამო, ხარვეზებია სოფლების დასახელებებშიც. მაგ., „მოჭალიეთი“ დაფიქსირებულია „მოჩალად“, „თინიკანთ-კარი“ – „თიხისკანდ-კარად“, „კუცხოეთი“ – „უცხოეთად“, „შველიეთი“ – „შვილეთად“ და სხვ., (იხ: დანართი)

1804 წლის კამერალურ აღწერას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღწერაში მოხსენიებული სოფლების უმეტესობა დღეისათვის გამქრალი, ან ოკუპირებულია, ოფიციალური ცნობები (მით უფრო, რუსული ხელისუფლების მიერ) ორი საუკუნის წინანდელი შიდა ქართლის მოსახლეობის ეთნიკური, სოციალური შემადგენლობისა და განსახლების შესახებ, არა მარტო მნიშვნელოვანი, არამედ აქტუალურიცაა.

Population of Ksani Gorge according to 1804 Register

Summary

In the current paper the Register of Gori District conducted by the Russian government in 1804 and its results are discussed and analyzed.

The register consisted of three parts. In the first part the data of 188 villages of the district is given. The second part is the register of citizens with different businesses, compiled by the Gori Commandant Mayor Reich; it is compiled according to quantity and businesses they did, and the third part is the register of the population of former KsaniSaeristavo (The Duchy of Ksani) in 1804.

In the register of 1804 of former KsaniSaeristavo the data of 68 villages is given. From these villages 43 are Georgian, and 26 are Ossetian, and one is Georgian-Armenian. According to the quantity of population, 1046 households were registered, 4481 men, and 3568 women. The number of Georgian households makes up 680 households (2948 men, 2356 women and total 5406), Ossetians – 273 households (1245 men, 982 women and total 2101), mixed population Georgian – Armenian – 93 households (288 men, 230 women and total 518).

According to the register, main business of the population was agriculture, viticulture, animal husbandry in the mountains, graze sheep instead of rent or tax; some of them owned a windmill. Main business of Armenians from Akhalgori was trading.

“Ksani People“ paid taxes in kind (wheat, barley, wine, eggs, oil and hay, in Ossetian villages – a bull, a cow, melted butter, cheese, lamb etc. Church peasants – wax and candle), and in cash, however, those, without land did not pay any taxes. It is noteworthy, that Armenian merchants from Akhalgori were also exempted from paying taxes.

The units of measurement of land area were Dgiuri and Kodi, and for water measurement – Tungi and Pood.

It gets clear from the register that in the beginning of the XIX century in the upper part of Aragvi and Ksani Gorges, the population is still abundant. According to ethnicity, the majority of the population was Georgians and Ossetians. There were only Ossetian villages as well, but the number of their population was double less than the population of Georgians in the region.

And the names of the Ossetian villages: „Sabarkleti“, „Velisi“, „Tskhe“, „Tskhra-Tskaro“ etc. say enough about their origin and initial population.

The comparison of current data with the register of 1804 shows the devastation of upper parts by the region`s population and inner migration to the land. For example, if, according to 1804 register, in the 17 villages of Karchokhi Gorge there were 113 households and 756 people lived there, in the census of 2002 the population was left only in 6 villages. The same can be said about the Georgian villages of TskhraDzma Gorge. In the register of 1804, 14 Georgian villages were presented in the TskhraDzma Gorge, and in 2002 only 6 villages are observed with their population etc.

The situation drastically got worse after the 2008 war. Georgian population was completely expelled from the occupied territories, and the Ossetian population got halved. According to the official register, held by the so-called South Ossetia in 2015, there are only 36 people left in Dadianeti, 10 – in Makhiareti, 2 – in Tokhta. The village Pavliant-Kari became Pavlita, Karchokhi – Kartsukhi, Chichiant-Kari – Tskhtikau etc.

The register of 1804 is of great importance. If we take into consideration the fact that the majority of the villages mentioned in the register are vanished today, or are occupied, the official data (moreover compiled by the Russian government) about the ethnic and social composition of ShidaKartli population for two centuries, and their resettlement is not only important, but is of current interest as well.

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა

აღიშნარაშვილი იოსებ. გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის აღწერა. გორის სახელმწიფო-სახანაგლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის შრომათა კრებული № 16; გორი 2019. ახლოური დავით. ახალგორის ისტორია, თბ., 2006.

ბაგრატიონი იოანე, „ქართლ-კახეთის აღწერა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986.

გვასალია ჯონდო. ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, წიგნში: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967

გვრიტიშვილი დავით. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), 7486, ყოფილი ქსნის საერისთაოს მოსახლეობის აღწერა 1804წ.

გუგუშვილი პაატა. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტომი I, თბ., 1949.

თაყაიშვილი ექვთიმე. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951
თოფჩიშვილი როლანდ. დვალეთი და დვალეები, თბ., 2016.

იოსელიანი პლატონ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. განწერელისა რედ., თბ., 1978.

მაკალათია სერგი. ქსნის ხეობა, თბ., 1968.

რაინეგსი იაკობ. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ს. 58, ფ. 1-78.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერა. თბ., 2003

სოსიაშვილი გიორგი. ცხინვალი და ახალგორი უცხოელ მოგზაურთა მიხედვით, თბ., 2014.

ქენქაძე ვიტალი. ქსნის ერისთავების საქართველო, თბ., 2016

Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. II, Тифл., 1868.

Итоги всеобщей переписи населения республики Южная Осетия 2015 года, Цхинвал 2015.

Кавказский календарь, Тифл., 1846.

Обозрения Российских владении за Кавказом, ч. II, отд. 7, Горийский уезд. Описание произведено Николаем Флоровским, СПб, 1836.

Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Тифл., 1893.

ელ-რესურსები:

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/II%20tomi%20.pdf

<http://ugostat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf>

დანართი

ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის 1804 წლის კამერალური აღწერა

№	სოფლის დასახელება	სოფლის დასახელება აღწერის მიხედვით	მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა	კომლ-თა რ-ბა	სულთა რაოდენობა		
					კაცი	ქალი	სულ
1	თეზი	Тези	ქართველები	36	120	82	202
2	ოძისი	Отзисы	ქართველები	32	106	99	205
3	იკოთი	Икоты	ქართველები	51	179	159	338
4	ახალგორი	Ахалгори	ქართუ. სომხ.	93	288	230	518
5	ალევი	Алевы	ქართველები	33	270	244	514
6	ლამისყანა	Ломискана	ქართველები	64	199	174	373
7	წირქოლი	Цирколы	ქართველები	40	154	115	269
8	კორინთა	Коринта	ქართველები	6	27	22	49
9	სოფელშეთი	Сопельшеты	ოსები	25	112	99	211
10	საძეგური	Содзегуры	ქართველები	39	170	152	322
11	საქორეთი	Сакореты	ქართველები	5	20	12	32
12	ლორა	Лоро	ქართველები	6	20	15	35
	ქარჩოხის თემში						
13	ქარჩოხი	Карчохи	ქართველები	30	120	73	193
14	ახალდაბა	Ахалдаба	ქართველები	3	28	18	46
15	შატაკო-კარი	Шатаго-კარი	ქართველები	15	57	45	204
16	პავლენტ-კარი	Павлент-კარი	ქართველები	14	77	56	133
17	თინიკანტ-კარი	Тихис канд-კარი	ქართველები	11	52	43	95
18	ქარელთ-კარი	Карельт-კარი	ქართველები	8	44	36	80
19	პერეიატი	Переяты	ქართველები	7	28	12	40
20	მიდელანტ-კარი	Миделат-კარი	ქართველები	8	38	30	68
21	ხოზუეთი	Хозоеты	ქართველები	9	36	21	57
22	ტენკატ-კარი	Тенкат-კარი	ქართველები	10	43	34	77
23	ლოლოეთი	Гогоеты	ქართველები	10	32	27	59
24	ლომისა	Ломиса	ოსები	8	31	29	60
25	ოხირი	Охири	ოსები	8	37	35	72
	ჭურთის თემში						
26	ძაბოეთი	Забозты	ოსები	15	77	45	122
27	უჯოეთი	Уцхоеты	ოსები	16	82	69	151
28	ველისა	Велиса	ოსები	5	31	29	60
29	საბარკლეთი	Сабарклеты	ოსები	21	98	87	125

30	ჭარანი	Чараны	ოსები	8	42	32	74
31	კარა	Кара	ოსები	13	55	41	96
32	ციხე	Цихе	ოსები	7	22	16	38
33	ჯორჯისი	Джортисы	ოსები	18	90	41	131
34	ჩხუნეთი	Чхунеты	ოსები	4	44	25	69
35	ჯანგათ-კარი	Джангат-кари	ოსები	5	30	23	53
36	ილურთ-კარი	Илурт-кари	ქართველები	8	26	21	47
37	მეწყერელი	Мецкерели	ქართველები	6	25	14	39
38	ჭურთა	Чурта	ქართველები	9	29	25	54
39	დორეთლ-კარი	Дорет-кари	ქართველები	7	37	24	61
40	გავაზი	Гавазы	ქართველები	8	41	33	74
41	მოჭალიეთი	Мочала	ქართველები	6	30	26	56
42	ხარბალი	Хорбали	ქართველები	10	30	23	53
43	მშველიეთი	Швилеты	ქართველები	11	41	34	75
44	ცხაოტი	Цхаоты	ქართველები	37	148	107	255
45	ნახიდი	Нахиды	ქართველები	9	36	31	67
46	იკეთი	Икеты	ოსები	5	17	16	33
47	ხრომისწყარო	Хромисцқаро	ოსები	6	23	18	41
48	ჭურთა	Курта	ქართველები	17	77	67	144
49	ყველდაბა	Квелдаба	ქართველები	9	36	26	62
50	დადიანეთი	Додианеты	ქართველები	30	186	142	328
51	ნიკლაურო	Циклауро	ქართველები	18	90	70	160
52	თოხთა	Тохта	ქართველები	12	52	35	87
53	დაბაკნეთი	Дабакнеты	ქართველები	9	58	54	112
54	უკანუბანი	Уканубаны	ქართველები	10	47	44	91
55	უკან-კარი	Укан-кари	ქართველები	9	36	35	71
56	ჩიტიანი	Читианты	ქართველები	11	65	48	113
57	წინუბანი	Цинубаны	ქართველები	7	38	28	66
58	მუჯუხი	Мужухи	ოსები	15	66	57	123
	ყამურის თემში						
59	გორგა	Горга	ოსები	5	20	14	34
60	ზემო ბაგანი	Залобაгани	ოსები	10	44	37	81
61	კობილანა	Кибилана	ოსები	9	34	33	67
62	შუა ბაგანი	Шувабагани	ოსები	10	33	28	55
63	ცაგო	Цаго	ოსები	3	11	7	18
64	ჩერქეზანი	Черкезаны	ოსები	4	22	16	38
65	ვაკე	Ваке	ოსები	16	76	42	118
66	ციხილები	Цихилебы	ოსები	17	70	69	139
67	ხოსიანი	Хосианы	ოსები	5	18	21	39
68	ქვემო სოფელი	Квемо-софели	ოსები	15	60	53	113
	:		სულ:	1066	4481	3568	8049

სოფელ ბალაანის მოსახლეობა

2008 წლის აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ

ბალაანი ქარჩოხის ხეობაში, მდინარე ქსნის მარცხენა ნაპირას, ალ-ევის ქედის დასავლეთ კალთაზე მდებარეობს, ახალგორიდან ჩრდილოეთით 27 კილომეტრის დაშორებით. იგი 2008 წლის აგვისტოს ომამდე საქართველოს იურისდიქციაში შემავალი ქარჩოხის სოფლების: თინიკანის, ჰავლიანის, ელოიანის, მიდელანის, კარელთკარის, ქენქაანის, ნიპტაურის, დოჩიანისა და ჭორჭოხის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, აქ მდებარეობდა საკრებულო, საჯარო სკოლა, ბიბლიოთეკა, ამბულატორია (ბალაანი, 1997: 341). ომმა მძიმე დალი დაასვა ამ სოფელს, მოსახლეობისაგან თითქმის მთლიანად დაიცალა, მხოლოდ რამდენიმე ასაკოვანი ადამიანი ცხოვრობს ამჟამად. საჯარო სკოლაშიც, სადაც ჯერ კიდევ ჩემი მოსწავლეობის პერიოდში (გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი) მოსწავლეთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს ითვლიდა, ომის შემდეგ რამდენიმე ბავშვი შემორჩა. სამაგიეროდ, დღეს ამ სოფელში ოკუპანტთა სამხედრო ბაზაა გაშენებული, ნიშნად იმისა, რომ მტკიცედ არიან დამკვიდრებულნი ჩვენს მიწა-წყალზე, რომლის ქართულობას, სხვა რომ არა, მოსახლეობის აღწერის ცნობებიც ადასტურებს.

სოფლის მოსახლეობის შესახებ პირველ ცნობებს ქსნის ხეობის მოსახლეობის 1774 და 1781 წლის სტატისტიკურ აღწერებში ვხვდებით.

1774 წლის აღწერაში ახალდაბის (შემდგომში ბალაანის) მცხოვრებთა შორის მოხსენიებულნი არიან:

ქ. მარტიანთ ბერის შვილი კომლი ა, თავი ბ, დათუნა და თამაზა.

აქავ ბალხამანთ გვიანას შვილი კომლი ა, თავი ა, შიო.

აქავ ბუთხუზი ივანეს შვილი კომლი ა, თავი გ, ქიტა, გოგია და ხიზანა.

იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი გ, თავი ვ. (ჯავახიშვილი, 1967: 189).

როგორც ვხედავთ, იმ დროისთვის ახალდაბაში სამ კომლს უცხოვრია, აქედან ექვს მამრობითი სქესის წარმომადგენელს.

დასახელებულთა შორის ბალაშვილები არ გვხვდებიან.

იმავე აღწერაში ბალაშვილების ერთი ოჯახია ქენქაანთკარის მცხოვრებთა შორის:

ქ. თინიკას შვილი კომლი ა, თავი გ, მოურავი აბრამ, ივანე და გრიგოლ (ჯავახიშვილი, 1967: 209).

სწორედ ამ ოჯახიდან იყო ქარჩოხის ხეობის მოურავი აბრამი, რომელიც მოგვიანებით ახალდაბაში დაესახლა, რასაც გვიდასტურებს მომდევნო 1781 წლის აღწერა:

ქარჩოხის ახალდაბიდან ამისივე სახელო:

ქ. ბალხამის შვილი კომლი ა, თავი ა, თამაზა.

ქ. ბალხამის შვილი კომლი ა, თავი ბ, დათუნა, შიო.

ქ. ფოცხვერას შვილი კომლი ა, თავი ბ, შიო, გოგია.

ქ. თინიკას შვილი კომლი ა, თავი ბ, მოურავი აბრამ, გრიგოლ.

იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი დ, თავი ზ.

თუ შევადარებთ წინა აღწერას, მნიშვნელოვან ცვლილებებსაც შევნიშნავთ, მაგალითად, მარტივანთ ბერის შვილები დათუნა და თამაზა მომდევნო აღწერაში ბალხამიშვილებად არიან ნახსენები, სოფლის მცხოვრებთა შორის ვეღარ ვხვდებით ბუთხუზი ივანეს შვილებს, ქიტას, გოგიას და ხიზანას, ამასთან მიმატებულია ორი ახალი კომლი: ფოცხვერას შვილები შიო და გოგია და თინიკას შვილები: მოურავი აბრამი და გრიგოლი. თავის მხრივ აბრამი ამავე წყაროში ერთგან მოიხსენიება როგორც ბალას შვილი – „ქარჩოხს ბალას შვილის აბრამის სახელო“ (ჯავახიშვილი, 1967: 230).

ჩნდება კითხვა – რას ნიშნავს ეს ორი განსხვავებული მითითება – თინიკას შვილი და ბალას შვილი?

ბალაშვილები თინიკაშვილების განაყარი შტოა, მათ თავდაპირველად თინიკაანში უნდა ეცხოვრათ, საიდანაც ჯერ ქენქაანში გადმოსახლდნენ, შემდეგ კი ახალდაბაში. მათი შთამომავლები მოგვიანებით ბალას შვილებად დაენერნენ უახლესი წინაპრის ბალას პატივსაცემად. სოფელსაც გარკვეული დროის შემდეგ სახელი შეეცვალა და ძირითადი გვარის მიხედვით ბალაანი ეწოდა.

ბალაშვილებს ადრინდელ სამკვიდროში – თინიკაანში მამაპაპისეული მამულებიც ჰქონდათ, რომლებსაც კოლექტივიზაციამდე ამუშავებდნენ.

თინიკაშვილების განაყარი გვარებია აგრეთვე ახლოური და ხოკრიშვილი.

თავის მხრივ თინიკაშვილების წინაპარი ფშაველი გაბიდაურია, რომელიც მესისხლეობის გავრცელებულ ტრადიციას უნდა გამორიდებოდა ქსნის ხეობაში (ახლოური, 2019: 31). „მთიელთ მიგრაციას მთისწინეთსა და ბარში ხშირად აპირობებდა მოქმედი ხალხური სამართალი. მესისხლეობის გამო შიდა ქართლის მთიელები მამა-პაპათა საცხოვრისს სტოვებდნენ“ (თოფჩიშვილი, 2002: 80). ხშირად ამის მიზეზი ხდებოდა სოციალური დაპირისპირებები, სტიქიური მოვლენები, უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნის სურვილი და სხვა.

დღესაც ქსნის ხეობაში მცხოვრები გაბიდაურების შთამომავლები ერთმანეთის ძმათაშვილებად მოიხსენიებენ და მტკიცედ იცავენ ფშავეში ოდითგანვე დამკვიდრებულ ეგზოგამიის ცნობილ ტრადიციას (ახლოური, 2013: 12). თემებში შემავალ ძმათაშვილებში ურყევი იყო ნათესაობის შეგნება და ერთი ხატის ყმობის რწმენა, აკრძალული იყო ქორწინება და ერთმანეთის შეყვარება. ქალის გათხოვება თავისივე ხატის ყმაზე არ გაგონილ დანაშაულად ითვლებოდა (მაკალათია, 1985: 73).

მეცხრამეტე საუკუნეში რიცხოვნობრივად ბალაშვილები უკვე სჭარბობენ ახალდაბაში დასახლებულ სხვა გვარებს, სოფელიც ერთდროულად ორი სახელითაა მითითებული „ახალდაბის ანუ ბალაანთკარის“...

1873 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერით ახალდაბაში 12 კომლი ცხოვრობდა, 53 სული მამრი და 47 მდედრი:

„სოფელს ახალდაბაში დროებით ვალდებულნი გლეხნი მცხოვრებელნი კნიაზ მიხეილ ერისთავის მიწაზედ

1. ნიკო დავითის ძე მარტიაშვილი – 25 წლის, ძმანი ნიკოსი: გლახა – 19 წლის, თედო – 15 წლის, ალექსი – 12 წლის, ახალშობილი

დროებით ვალდებულნი გლეხნი მცხოვრებელნი კნეინა ქეთევან ორბელიანოვის მიწაზედ

2. ხოსრო პაპის ძე ბალაშვილი – 83 წლის, იმისი შვილები: მალხაზა – 43 წლის, პაპი – 33 წლის, გიორგი – 28 წლის. შვილი მალხაზისა გიგო – 2 წლის, ახალშობილი

3. ანდრია ხოსროს ძე ბალაშვილი – 53 წლის, იმისი შვილები: თედო – 23 წლის, კიკო – 21 წლის, ყარამან – 19 წლის, გაბიდა – 17 წლის.

4. გაბრიელ აბრამის ძე ბალაშვილი – 43 წლის, იმისი შვილები: ზაქარია – 4 წლის, ახალშობილი, გიორგი – 2 წლის, ახალშობილი.

5. შალვა ივანეს ძე ბალაშვილი – 33 წლის, ძმა შალვასი მიხეილი – 33 წლის, ბიძაშვილი შალვასი დიმიტრი ზაქარეას ძე – 18 წლის.

6. გიგოლა გარსევანის ძე ბალაშვილი – 63 წლის, ძმა გრიგოლისა დავით – 53 წლის, ძმისწულნი გიგოლასი ბადილას ძენი: პეტრე – 45 წლის, აბრამი – 38, მოსე – 28.

შვილნი პეტრესი: ივანე – 10 წლის, ახალშობილი, გაბო – 3 წლის, ახალშობილი, შვილი დავითისა იოსებ – 28 წლის. შვილნი იოსებისა: თედო – 4 წლის, ახალშობილი ნიკო – 2 წლის ახალშობილი.

7. სოლომონ სოსიას ძე ბალაშვილი – 48 წლის, გაშვილებული იყო, იმისი შვილი მათე – 28 წლის. შვილები მათესი: ზაქარია – 3 წლის, ახალშობილი ნიკო – 1 წლის, ახალშობილი.

8. ტარიელ სოსიას ძე ბალაშვილი – 48 წლის, გაშვილებული იყო, იმისი შვილები: იოსებ – 20 წლის, ივანე – 10 წლის, ახალშობილი, რაჟდენ – 5 წლის, ახალშობილი.

9. სვიმონა შიოს ძე ბალხამიშვილი – 28 წლის, ძმანი სვიმონასი: გიორგი – 25 წლის, ეფრემა – 18 წლის. შვილი სვიმონასი ივანე – 2 წლის ახალშობილი.

10. ფოცხვერა სოსიას ძე ბალხამიშვილი – 43 წლის, იმისი შვილები: იოსება 12 წლის, ახალშობილი, გიორგი – 2 წლის, ახალშობილი.

11. ნინიკა ოთარის ძე ბალხამიშვილი – 43 წლის, ძმა ნინიკასი აბრამი – 33 წლის,

შვილი ნინიკასი გიგო – 2 წლის, ახალშობილი, შვილი აბრამისა ალექსი – 9 წლის.

დროებით ვალდებული გლახნი კნიაზ მიხეილ ერისთვის მინაზედ:

12. ზაქარია გიორგის ძე ქანაშვილი – 50 წლის, გაშვილებული იყო, იმისი შვილები: იოსებ – 7 წლის, ახალშობილი, იასონ – 4 წლის, ახალშობილი. ძმა ზაქარიასი პეტრე – 28 წლის.

აღწერა ჩატარებულია 1873 წლის 10 აგვისტოს, აღწერაზე პასუხისმგებელნი პირნი არიან: სოსია თინიკაშვილი, გიგოლა ბალხამიშვილი და აღდგომელა მიდელაშვილი, მაგრამ იმის გამო, რომ წერა კითხვა არ იცოდნენ, მათ მაგიერ ხელს აწერს მიხეილ ჟღენტი და დადასტურებულია ახალდაბის საზოგადოების მამასახლისის გიგო კარელიძის მიერ (საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, საქმე №29).

როგორც ვხედავთ, ახალდაბაში ანუ ბალაანში მცხოვრები ყმები თავად მიხეილ ერისთავს ეკუთვნის, ერთი ოჯახი კი – კნინა ქეთევან ორბელიანოვს... ასეთი შემთხვევები ქსნის ხეობის სხვა სოფლებშიც ხშირი იყო...

აღწერებში მხოლოდ მამრობითი სქესზეა საუბარი, არასრულწლოვანებს მითითებული აქვთ სტატუსი – *ახალშობილი*. 12 კომლიდან შვიდი ბალაშვილია, სამი – ბალხამიშვილი, ერთი – მარტიაშვილი და ერთიც – ქანაშვილი. ბალაანს ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ტყე, რომელიც „ბალხამთ მზვარის“ სახელწოდებით იყო ცნობილი, ესეც იმის მიმნიშნებელია, თუ რა როლს ასრულებდნენ სოფლის ცხოვრებაში აქ ბალაშვილებამდე დამკვიდრებული ბალხამიშვილები. ზემოთ ჩამოთვლილ გვარის შვილთა გარდა ძველი ახალდაბის სასაფლაოზე განისვენებენ მეზობელი სოფლის – მიდელაანის მკვიდრნიც. სანდრო მიდელაშვილის (90 წლის) ცნობით, მიდელაშვილებს იმისათვის, რომ მათი მიცვალებულები წმინდა გიორგის ეკლესიის ახლოს დაეკრძალათ, გარკვეული საფასური გაუღიათ...

ის ფაქტი, რომ 12 ოჯახში 100 სული ცხოვრობდა, მოსახლეობის დიდ ოჯახებად თანაცხოვრებაზე მიგვითითებს. ოჯახის ეკონომიურად გაძლიერების ერთ-ერთი საფუძველი წევრთა რიცხოვნობა ზრდა იყო. დიდ-ბალაანელთა ერთ-ერთ წინაპარს წინის ფიციც კი დაუდვია ერთობაზე. „წინის... წინაპარი დასახლებულა ბალაანის კომპის ახლოს, გამრავლების შემდეგ ორ შტოდ გაყოფილან, ქვევითლიანებად და ზევითლიანებად. რიცხოვნობად ქვევითლიანები სჭარბობდნენ, მოურავიც ამ შტოს წარმომადგენელი ყოფილა. შემდეგ მომხდარა მათი კიდევ ცალკე კომლად დაყოფა, რომელთა ერთი ნაწილი ქართლის სხვადასხვა ადგილებში გადასახლებულა, მეორე კი ადგილობრივ დარჩენილა. მხოლოდ ზევითლიანელები, რომლებმაც ფიცს არ უღალატეს, მამაპაპეულ სახლში ცხოვრობდნენ ძველი ოჯახის პატრიარქებთან ერთად“ (ქენქაძე, 2011: 44).

მეოცე საუკუნის ოციან წლებში დიდ-ბალაანის ოჯახის წევრთა რაოდენობა 75 სულს ითვლიდა, მათ ჰყოლიათ ცხვრის დიდი ფარა, 80 სულამდე მსხვილფეხა საქონელი, 24 ცხენი, ჰქონდათ სახნავ-სათესისა და სათიბ-საძოვრების დიდი სავარგულები. „ოჯახში ერთდროულად 9 აკვანი ირწეოდა. სამკალ-სათიბზე 20-მდე მუშა მამაკაცი და 15 ქალი გადიოდა... ყოველდღიურად პურის გმოცხობაზე ესაჭიროებოდათ ერთი კოდი ანუ 64 კილოგრამი ფქვილი, წელიწადში კი 23360 კილოგრამი, რაც მარცვლეულის დიდ მარაგს მოითხოვდა.“ (მთხრობელი მაშო გიორგის ასული ბალაშვილი) (ქენქაძე, 2011: 44-45). ასეთ დიდ ოჯახს თავისი უფროსი ჰყავდა, რომელიც სიკვდილის ბოლომდე უძღვებოდა საოჯახო საქმეს. თუ ავადმყოფობის გამო ვეღარ მოახერხებდა თავკაცობას, მა-

შინ მისი მრავალრიცხოვანი ოჯახიდან არჩევანს შეიღზე ან ოჯახის იმ წევრზე შეაჩერებდნენ, ვისაც უფრო შესაფერისად მიიჩნევდნენ თავისი გამჭრიახობითა და შრომისმოყვარეობით. ასევე დიდ ოჯახებში გამოკვეთილი იყო უფროსი დიასახლისის როლი, მასაც სიკვდილამდე ირჩევდნენ. ოჯახის უფროს მამაკაცს „ეკუთვნოდა პირველი სიტყვა, განაგებდა საოჯახო სალაროს და თვითონ იყო მთავარი წარმართველი ძალა ოჯახისა... უფროსი დიასახლისი შინასაოჯახო საქმეებისთვის (პურის გამოცხობა, სტუმრის მიღება-გამასპინძლება, კერძების გაკეთება, ჭურჭლის დარეცხვა, სახლის დასუფთავება) მორიგეობით ირჩევდა თითო დიასახლისს ერთი კვირით. იგი ვალდებული იყო, ამ ხნის განმავლობაში მომსახურება გაენია დიდი ოჯახისთვის. რაც შეეხება პურის ფქვილის, ერბოს, ყველის, კარტოფილის და სხვა პროდუქტების რაოდენობას და რაციონალურად გამოყენებას, ამას უფროსი დიასახლისი ადევნებდა თვალს“ ((ქენქაძე, 2011: 45).

ბალაშვილების დემოგრაფიულ ფონდზე, ცხადია, მძიმედ აისახა მეორე მსოფლიო ომის შედეგები, 9 მამაკაცი შეეწირა ამ ომს:

ბალაშვილი ვანო დიმიტრის ძე (რიგითი) 1920 – 01.1944

ბალაშვილი ილიკო თედოს ძე (რიგითი) 1920 – 01.1944

ბალაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე 1923

ბალაშვილი ოსია თედოს ძე 1900 – 1942

ბალაშვილი სანდრო ნიკას ძე (რიგითი) 1913 – 10.1944

ბალაშვილი სულიკო დიმიტრის ძე (რიგითი) 1910 – 10.1942

ბალაშვილი შალიკო ილიკოს ძე (რიგითი) 1918 – 03.1945

ბალაშვილი შაქრო ივანეს ძე (რიგითი) 1915 – 12.1942

ბალაშვილი შაშო გაბოს ძე (რიგითი) 1912 – 09.1942 (წიგნი, 1987:

517).

2008 წლის აგვისტოს ომამდე ბალაანში 25 კომლამდე მოსახლე ცხოვრობდა, ძირითადად, ბალაშვილები. მხოლოდ რამდენიმე ოჯახი იყო სხვა გვარის, კერძოდ, აქ ცხოვრობდნენ ქანაშვილების, ბალხამიშვილების, ბუნტურებისა და ჩიტიშვილების თითო-თითო ოჯახი. რამინ ჩიტიშვილი სკოლის დირექტორი გახლდათ და ბალაანში ახალი დამკვიდრებული იყო, განსხვავებით სხვა გვარებისა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აგვისტოს ომის შემდეგ, ბალაანიც, ისევე როგორც ოკუპირებული ახალგორის სხვა სოფლები, თითქმის დაიცალა. მართალია, მიგრაციის შედეგად, ბალაშვილების რამდენიმე ოჯახი ადრევე გადასახლდა შედარებით ბარში, მაგრამ მშობლიური

კერის იძულებითი დათმობა მათ მამულში ოკუპანტთა შესვლამ განაპირობა. ლტოლვილი მოსახლეობის ნაწილი ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში დაამკვიდრეს, ნაწილი – წეროვანში. ფრეზეთში დღეს არსებული საჯარო სკოლა ახალდაბის სახელს ატარებს.

2016 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 505 ბალაშვილი ცხოვრობს, აქედან თბილისში – 101, ბათუმში – 3, გორში – 100, რუსთავეში – 5, გარდაბანში – 7, ქობულეთში – 1, ოზურგეთში – 3, თელავში – 67, სოხუმში – 3, გურჯაანში – 1, ხაშურში – 3, საგარეჯოში – 2, ლაგოდეხში – 2, ქარელში – 13, კასპში – 47, მცხეთაში – 8, ყვარელში – 14, გულრიფში – 2, დუშეთში – 1, ხარაგაული – 1, თიანეთი – 1, ახალგორი – 117, საზღვარგარეთ – 2 (კვაჭანტირაძე, 2017: 49).

აღწერაში მითითებულია, რომ ახალგორში ცხოვრობს 117 ბალაშვილი, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია როგორც ახალგორში დარჩენილი, ისე დევნილი მოსახლეობა. დღეს, ბალაშვილები ცხოვრობენ, როგორც დევნილთა ჩასახლებებში, ისე თბილისში, გორში, კასპში და საქართველოს სხვა რამდენიმე ქალაქში. ისიც აღსანიშნავია, რომ გაბიდაურთა ძველ სამკვიდროში, დუშეთის მუნიციპალიტეტში ამჟამად მხოლოდ ერთი ბალაშვილი ცხოვრობს.

People of Village Balaani, before and after the war 2008

Summary

The work tells us about the people of Balaani before and after occupation. Balaani is one of the villages of Akhaldaba District. The village was called as Akhaldaba until the Balashvili settled there. In the past the village was an administrative center of Karchokhi Samouravo (feudal territory in medieval Georgia, which was ruled by Mouravi), and then the administrative center of Karchokhi Gorge. The attention is paid to the fact that until the Balashvili settled in Akhaldaba, their ancestors lived in Tinikaani, where they moved from Pshavi, Khoshari. Cousins of the Balashvili are the Akhlouri, Tinikashvili and the Khokrishvili. To show the clear demographical picture of Akhaldaba (later Balaani), data of General Population Census is presented that is preserved in the National Archives of Georgia. The main focus in the work is on the area of the Balashvilis' current resettlement and the situation that was created in Balaani from demographic standpoint since August 2008.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ახლოური დ., ფშაველი გაბიდაურები და მათი შთამომავლები ქსნის ხეობაში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №4, 2013.
2. ახლოური დ., სოფელი ახლოურთი, თბ., 2019.
3. ბალაანი, ენციკლოპედია „საქართველო“, თბ., 1997.
4. თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, თბ., 2002.
4. კვაჭანტირაძე კ., ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები, თბ., 2017.
5. მაკალათია ს., ფშავი, თბ., 1985.
6. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, საქმე №29.

7. ქენქაძე ვ., დიდი ოჯახი ქსნის ხეობიდან, ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, მაისი, 2011.
8. ნიგნი მარადიული ხსოვნისა, ტომი 2, თბ., 1987.
9. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, 1, თბ., 1967.

აფხაზეთის ეპისკოპოსის ალექსანდრე ოქროპირიძე ქველმოქმედი და მეცენატი

1801 წელს, მას შემდგომ, რაც რუსეთის კოლონიურმა რეჟიმმა ჯერ ქართლ-კახეთში გააუქმა მეფობა, შემდგომ კი დასავლედ საქართველოც დაიპყრო, ქართველი ერი დაადგა გადარჩენისათვის ბრძოლის გზას.

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ დაიწყო არნახული შევიწროება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა (1811 წელს გააუქმეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და დაუქვემდებარეს რუსეთის წმინდა სინოდს). მეფის რუსეთი საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმებას არ დასჯერდა, დაიწყო ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა, სკოლებში გააუქმეს მშობლიურ ენაზე სწავლება, სახელმწიფოს მართვის სტრუქტურები მთლიანად გადავიდა რუსულ ენაზე, რაც სრულიად გაუგებარი იყო იმდროინდელი საზოგადოებისათვის. თვით ეკლესია-მონასტრებშიც კი მიმდინარეობდა ღვთისმსახურება რუსულ ენაზე, ყოველივე ამან, ბუნებრივია, თავისი შედეგი გამოიღო, დაეცა ქართული კულტურა, ეკლესია-მონასტრებმა დაკარგეს მრევლი და, რაც ყველაზე საგანგაშო იყო, ქართველ ახალგაზრდებს დაეკარგათ სურვილი სწავლა-განათლებისა, რადგანაც სკოლებში სწავლება მიმდინარეობდა მათთვის სრულიად უცხო ენაზე. რატომ იყო, რომ რუსეთის ცარისტული რეჟიმი განსაკუთრებით ავიწროვებდა ქართველ ახალგაზრდებს სწავლა-განათლების კუთხით? მეფის რუსეთში სრულად აცნობიერებდნენ, რომ თუ მომავალ თაობას ჩაუკლავდნენ ეროვნული ღირებულებებს და მათ აღზრდიდნენ არა პატრიოტიზმის გრძნობით, არამედ გაორებული მენტალიტეტით, ქართველი ერის გარუსება უფრო იოლად მიიღწეოდა.

ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლების ასეთი მზაკვრული პოლიტიკა ძალიან ცუდ შედეგს გამოიღებდა. ამიტომაც იყო, რომ მათ ხმა აღიმალღეს მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ და დაიწყეს ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დაცვა- განმტკიცებისათვის. როდესაც საუბარია ეროვნული ღირებულებების დაცვაზე, თვალწინ წარმოგვიდგება ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლი თერგდალეულთა

დასი, თუმცა მათ გარდა, ქვეყანაში გამოჩნდნენ ისეთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ; დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, აფხაზეთის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე და სხვ., რომლებმაც თავიანთი ქველმოქმედებითა და მეცენატობით ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ქართულ კულტურას, ეკლესიას და ახალგაზრდობის განათლებას.

ალექსანდრე ოქროპირიძე დიდ შემწეობას უწევდა ახალგაზრდობას. მას ყავდა არაერთი სტიპენდიატი, რომლებსაც თავისი ხარჯით ასწავლიდა. მეუფე ალექსანდრეს თბილისის სასულიერო სემინარიაში დაარსებული ჰქონდა სახელობითი სტიპენდია. გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ: „ყოვლად-სამღვდელომ ალექსანდრე ეპისკოპოსმა დიდ მთავარ კავკასიის ნამესტნიკს, როდესაც ის ჩვენს ქვეყანას სცხოვრობდა, სთხოვა ნებართვა, რომ იმის სახელობით ერთი სტიპენდია დანიშნოს ტფილისის სასულიერო სემინარიაში. გავილ 25 ნოემბერს ყოვლად-სამღვდელომ ტფილისის სასულიერო სემინარიის სამმართველოში წარადგინა ამ სტიპენდიისათვის 2500 მანეთის პრიკაზის ბილეთი, რომლის სასარგებლოდაც უნდა გაიზარდოს ხსენებული სტიპენდია. ამ წლის 26 თებერვალს ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსს ალექსანდრეს მოუვიდა დიდის მთავრისაგან მადლობა და ნებართვა იმის სახელობით სტიპენდიის დანიშნისათვის.

პირველი არის ის, რომ ჩვენ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი ამგვარ კეთილ საქმეებში სიუხვესა და ნივთიერ თანაგრძნობას აცხადებს და იმეძია, რომ ეს არც უკანასკნელი იქნება“ (გაზ. „დროება“, 1882 წ., №46, გვ. 2.)

ალექსანდრე ოქროპირიძის დიდ მეცენატობად უნდა ჩაითვალოს თბილისის სათავადაზნაურო სკოლისათვის თანხის შეტანა, რომლის შესახებაც 1880 წლის გაზეთ „დროების“ გამოცემა წერდა: „თფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა საზოგადოების კრების დროს წარსულ კვირას ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსს ალექსანდრეს გამოუგზავნია ხუთი თუმანი ფული სასარგებლოდ თავად-აზნაურთა სკოლისათვის“ (გაზ. „დროება“, 1880 წ., №105, გვ. 1).

მეუფე ალექსანდრე ოქროპირიძის სახელს უკავშირდება ქართული ენის კათედრის დასაარსებლად 20000 მანეთის შეწირვა, რაც ალექსანდრე ოქროპირიძის მხრიდან, მართლაც რომ დიდ მეცენატობად უნდა ჩაითვალოს. მეუფე ალექსანდრეს ამ იდეას უდიდესი მნიშ-

ენელობა ჰქონდა იმ დროს, როდესაც ქართული ენა განიცდიდა შვეინროვებას რუსული კოლონიური რეჟიმის მხრიდან. სწორედ ამ დროს თბილისის სასულიერო აკადემიაში ქართული ენის კათედრის დაარსებას, რაც თავისთავად ნიშნავდა მშობლიური ენის პრიმატს, მართლაც, რომ ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც გაზეთი „ივერია“ 1880 წელს აღტაცებული წერდა: „ჩვენ გვითხრეს, რომ ყოვლად სამღვდლო გორის ეპისკოპოს ალექსანდრეს ერთს სამღვდლოების ყრილობაში გამოუცხადებია, რომ იმას აქვს სურვილი შენიროს 20000 მანეთი თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული ენის კათედრის დასაწესებლად. ამ საქმისთვის ყოვლად-სამღვდლოს კიდევ მოუგვარებია რამდენიმე ათასი მანეთი პრიკაზში. ეს იმდენად სასიხარულო და სასარგებლო საქმეა, რომ ყოველ-გვარი განმარტება დაასუსტებს ამ შენირულობის მნიშვნელობას. მხოლოდ ერთს ვისურვებთ: ღმერთმა ჰქნას, რომ ალექსანდრე ეპისკოპოსის მაგალითი წაუბადველად არ დარჩენილ იყოს“ („ივერია“, 1880 წ., №235, გვ. 1).

ალექსანდრე ოქროპირიძე ზრუნავდა, რომ საკუთარი ხარჯით ძველი ქართული საეკლესიო, თუ საერო ძეგლები გამოეცათ. ასე მოხდა 1900 წელს, როდესაც მეუფე ალექსანდრემ ყოვლად-სამღვდლო ლეონიდეს გადასცა 2200 მანეთი უძველესი ქართული ძეგლების გამოსაცემათ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა: „ჩვენ გადმოგვცეს, რომ მსცოვანმა მამულიშვილმა ყოვლად-სამღვდლო გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ 2200 მანეთი გადასცა ყოვლად-სამღვდლო ლეონიდს, გამოსაცემად შემდეგის ძეგლებისა: ა) შატბერდის კრებული, (X საუკუნე); ბ) მიქაელ მოდრეკილის საგალობელი წიგნი ნოტებიანი (X საუკუნე); გ) მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილება, თარგმანი წმინდა ექვთიმე მთარგმნელისა“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ., №1135, გვ. 1).

ალექსანდრე ოქროპირიძემ დააფინანსა აგრეთვე ქართული სახარების უძველესი რედაქციის გამოცემა, რომელსაც წინასიტყვაობა დაურთო პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა. „სიონის ეკლესიის სიძველეთსაცავში მოიპოვება ერთი უძველესი სახარება, რომლის გამოცემაც განუზრახავთ. ეს სახარება ჩვენის ახალგაზრდა პროფესორის ა. ხახანაშვილის წინასიტყვაობით დაიბეჭდება. პატივცემული ეპისკოპოსი ალექსანდრე ამ სახარების გამოსაცემად 10000 მანეთს შეპირებია ბ. ნ. ხახანაშვილს“, – იუწყებოდა გაზეთი „ივერია“ (გაზ. „ივერია“, 1898 წ., №187, გვ. 1).

ალექსანდრე ოქროპირიძემ დააფინანსა ანტონ კათალიკოსის მზამეტყველების გამოცემა და სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის დაბეჭვდა. ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველების“ წიგნად დაბეჭვდისათვის საჭირო ყოფილა ეგზარქოსის ნებართვა. ყოვლად-სამღვდელოს თხოვნაზე ეგზარქოსს უპასუხია: „დიდი სიამოვნებით და მადლობით ვიძლევი ჩემს ნება-რთვას, რომ დავბეჭდოთ ეს შრომა პირველის ანტონ კათალიკოსისა“. ეს თხზულება ჩვენის ეკლესიის დიდებული მოღვაწისა ნაჭირნახულევი არის მართმადიდებელი ეკლესიის დასაცველად სხვათა ეკლესიათა და სარწმუნოებითაგან, უმთავრესად რომის კათოლიკეთა ეკლესიის სწავლისაგან“ (გაზ. „დროება“, 1885 წ., №17, გვ. 2).

1886 წელს ჟურნალ „თეატრი“ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ეხებოდა სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობის“ დაბეჭვდის ისტორიას: „მკითხველებს ემახსოვრებათ, რომ ამ ორი წლის წინათ პატივცემულმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის ბეჭვდა დაიწყო. ეს მოგზაურობა დაბეჭვდილია 1852 წლის ჟურნალ „ცისკრის“ წიგნებში. დასაწყისი აკლია, რაის გამო „ცისკრის“ რედაქცია აცხადებს, რომ თავი ამ მოგზაურობის ვერ მოვიპოვეო, შევიტყუეთ, რომ ახალი გამოცემაც „ცისკრიდან“ იბეჭვდებო და დასაწყისიც აკლიაო“ (ჟურნ. „თეატრი“, 1886, №13, გვ. 137).

ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველებისა“ და სულხან-საბას „მოგზაურობის“ დაბეჭვდას დიდი კულტურულ-მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა. განსაკუთრებით ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველებას“, რადგანაც აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს წმინდა თეოლოგიურ სამეცნიერო თხზულებას და იგი ქრისტიანულ მართლმადიდებლურ სწავლებაში ერთ-ერთი ფასდაუდებელი წიგნია.

1898 წლის 14 სექტემბერს ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ თეკლათის ქალთა სასწავლებელს შესწირა ათი თუმანი: როგორც პერიოდულ პრესაშია აღნიშნული: „14 სექტემბერს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი მობრძანდა თეკლათში, სადაც წირვა მოისმინა. ყველა აღტაცებაში მოიყვანა დაწყნარებულმა მდორე და მწყობრმა გალობამ დედათა გუნდისამ, წირვის შემდეგ ყოვლად-სამღვდელომ აკურთხა დროებითი სახლი სკოლისა, სამღვდელოებისა, ეპარქიის მეთვალყურისა, მაზრის უფროსის თანამემნისა, მონასტრის იღუმენის ათანასიასი, მონაზონთა და დიდძალ ადგილობრივ საზოგადოების თანდასწრებით. ყოვლადსამღვდელომ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა საეკლესიო განათლების შესახებ და თავისის უხვის კალთისაგან ახ-

ლად დაარსებულს სკოლას შეწირა 10 თუმანი“ (გაზ. „ივერია,“ 1898 წ., №223, გვ. 2).

თეკლათის სკოლის გარდა, ალექსანდრე ოქროპირიძის სახელთანაა დაკავშირებული ფოთის საეპარქიო დედათა სასწავლებლის გახსნა. 1898 წლის გაზეთმა „ივერიამ“ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო სტატია, რომელიც ეხებოდა ფოთის საეპარქიო დედათა სასწავლებლის დაარსებასა და მის მნიშვნელობას. „გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავარს ყოვლად-სამღვდლო ალექსანდრეს, ესოდენ ცნობილს თავისი ქველმოქმედებით და საქართველოში მართლმადიდებლობის აღდგენა აყვავების ასპარეზზედ დაუღალავ მოღვაწეობით, განუზრახავს დიდის მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის ორმოცდაათი წლის სამსახურის აღსანიშნავად დაარსოს ქალაქ ფოთში საეპარქიო დედათა სასწავლებელი და ქალაქის მოურავის საშუალებით შეჰკითხვია ქალაქის საბჭოს, ქალაქი აღმოუჩინეს სასწავლებელს რაიმე დახმარებას თუ არაო? ფოთის ქალაქის საბჭო დიდის აღტაცებით მიჰგებებია ყოვლად-სამღვდლოს ამ კეთილშობილურს განზრახვასა და აღუთქვამს სასწავლებელისათვის მუქთად მინის დათმობა და სახლის აშენებაც...

ავლნიშნავთ ამ ამბავს, როგორც მოვლენას, ფრიად სასარგებლოს და მრავალ-მნიშვნელოვანს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო ნოდების მოზარდ ასულთათვის, რომელთა უმრავლესობა დღემდის რჩებოდა სასწავლებლის კეთილი ზეგავლენის გარეშე, უსწავლელი და უცოდინარი. ამის შემდეგ კი უკეთუ მხცოვანის მღვდელ-მთავრის განზრახვა განხორციელებული იქნება, ეს არასანატრელი მოვლენა მოისპობა და გურია-სამეგრელოს სამღვდლოების მოზარდ ასულთა შორის სწავლა განათლება გავრცელდება... განზრახული სასწავლებელი თავისს კარებს გაუღებს საერო ნოდების ასულთაც და ესრედ თავისს დიდს საკეთილო გავლენას მოჰფენს მთელს გურია-სამეგრელოს...

ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, ეჭვ-აულებლად გვჯერა, რომ ყოვლად-სამღვდლო ალექსანდრეს განზრახვა განხორციელებული იქნება: მხცოვანის მწყემსმთავრის სიტყვასა და საქმეს შორის სრული თანხმობაა. მისი სიტყვა დანყებული საქმეა, მისი განზრახვა საქმის დასაწყისია. ასეთი თანხმობა სიტყვა-განზრახვასა და საქმეს შორის მხოლოდ დიდ-ბუნებოვან გვამთა ხვედრია, მათდა ზეგარდმოცემული ნიჭია“ (გაზ. „ივერია,“ 1898 წ., №249, ფც. 3).

ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის სახელს უკავშირდება ოზურგეთში ქალთა სასწავლებლის გახსნაც. 1884 წელს გაზეთი „დროება“

წერდა: „დიდი ხანია, რაც ოზურგეთში საზოგადოება მონადინებული იყო საქალებო სასწავლებელი დაეარსებინა. მოთავე და თაოსანის კაცის უქონლობის გამო ეს სურვილი რჩებოდა მარტო სურვილად და 1882 წლამდე ჩვენ არ გვექონია სასწავლებელი. როცა გურიაში მობრძანდა მისი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა გურიის ეპისკოპოსი ალექსანდრე, მოსვლისთანავე საჩქაროდ იგრძნო ჩვენი საჭიროება და მიიღო დიდი შრომა ჩვენი სურვილის განსახორციელებლად, მაგრამ ამ დროს, არ ვიცო რისთვის, ჩვენი საზოგადოება უეცრად განშორდა ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს და სხვათა თაოსნობით გახსნა ცალკე საქალებო სასწავლებელი. ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემაც განაგრძო თავის დაწყებული შრომა და გახსნა ოზურგეთშივე სასულიერო საქალებო სასწავლებელი თავისი საკუთარი ხარჯით. ამ გვარად ჩვენ გაგვეხსნა ერთი მაგიერ ორი საქალებო სასწავლებელი; საქალებო და სასულიერო. პირველი არსებობს მთელი ჩვენი საზოგადოების ხარჯზე, მეორე კი მარტო მის ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსანდრეს ხარჯითა და შემწეობით“ (გაზ. „დროება,“ 1884 წ., №194, გვ. 1,2).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის საეგზარქოსომ არაერთი ისტორიული მნიშვნელობის მონასტერი გააუქმა, მათ შორის იყო შიო მღვიმის მონასტერი. მას შემდეგ რაც ალექსანდრე ოქროპირიძე გორის ეპარქიის მმართველად დაინიშნა, იგი აქტიურად შეუდგა შიომღვიმის მონასტრისათვის თავისი ფუნქციის დაბრუნებას. მან არაერთი წერილი მიწერა საქართველოს საეგზარქოსოს, რათა შიომღვიმისათვის დაებრუნებინათ მონასტრის სტატუსი. მეუფე ალექსანდრეს დაულალავმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო და 1887 წელს შიომღვიმეს დაუბრუნეს მონასტრის სტატუსი. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „ გორის ეპისკოპოსმა მამა ალექსანდრემ სთხოვა უწმინდეს სინოდს აღდგენა შიომღვიმის მონასტრისაო. ეხლა გაზეთი „კავკაზი“ სწერს, რომ მთავრობამ შეინყნარა ეს თხოვნა და ცალკე მონასტრად დაამტკიცა შიო-მღვიმის უდაბნო, რომელსაც დღეის იქით ხარჯად ექნება სარგებელი 21100 მანეთისა, რომელიც ეპისკოპოსმა ალექსანდრემ შესწირა; აგრეთვე, მონასტერს უნდა დაუბრუნდეს ძეგვის ბაღი, მისი უწინდელი კუთვნილი მამულები და ყოველივე ქონება, რომელიც უწინ მის ხელში იყო და შემდეგ გადავიდა ფერისცვალების მონასტრის ხელში, მონასტრის წინამძღვრად იქნება ეპისკოპოსი ალექსანდრე და მისი სიკვდილის შემდეგ წინამძღვრობა უნდა იყოს ქართველ ვიკართა ხელში. სინოდის განკარგულებით

მონაზონთა შორის უნდა მიღებულ იქნენ რამდენიმე რუსნიც“ (გაზ. „ივერია,“ 1887 წ., №138, გვ. 2).

1878 წელს ალექსანდრე ოქროპირიძე გამოვიდა ინიციატივით, რომ შექმნილიყო „ძველი ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენი კომიტეტი,“ რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა უძველესი ქართული საგალობლების მოძიება და ნოტებზე გადატანა. აღნიშნული კომიტეტის წევრები თავდაპირველად იყვნენ: არქიმანდრიტი მაკარი, (რომელიც კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს), მღვდელი გრიგოლ მღებრიშვილი, ეგზარქოსის მგალობელთა გუნდის რეგენტი აუშევი და სემინარიაში გალობის პედაგოგი მაჭავარიანი. „ძველი ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენი კომიტეტი“ აქტიურად შეუდგა საქმიანობას. იმისათვის, რომ კომიტეტის მუშაობას ნაყოფი გამოეღო, საჭირო იყო სათანადო დაფინანსება. ამისათვის არქიმანდრიტმა მაკარმა შეკრიბა თბილისის სამღვდელთა და დახმარების სახით თხოვა თვეში ხუთი მანეთის გაღება, რათა სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში გალობა ესწავლებინათ და ნოტებზეც გადაეღოთ.

ქართული საზოგადოება აქტიურად ამოუდგა მხარში ალექსანდრე ოქროპირიძის მართლაც რომ მამულიშვილურ თაოსნობას. „ძველი ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელ კომიტეტში“ 1878 წლიდან 1879 წლის ჩათვლით, დახმარების სახით შევიდა 655 მანეთი და 30 კაპიკი. იმდროინდელი პრესა აღფრთოვანებით წერდა მეუფე ალექსანდრეს ამ ინიციატივის შესახებ და მიუთითებდა იმ პირთა ვინაობას, ვინც შეენია ქართული გალობის ნოტებზე გადაღებას ალექსანდრე ოქროპირიძესთან ერთად. მაგალითად: 1891 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „საეკლესიო გალობის ნოტებზე დასაწყობად მის ყოვლად უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს ალექსანდრეს პირობა აქვს შეკრული ტფილისის სამუსიკო სკოლის დირექტორთან, ბ.ნ. იპოლიტოვ-ივანოვთან. ბ.ნ-მა იპოლიტოვმა ამ პირობის ძალით უნდა მიიღოს ალექსანდრე ეპისკოპოსისაგან სულ 2000 მანეთი. ამ დღეებში აქედან მან უკვე მიიღო 500 მანეთი. სამაგიეროდ ბ.ნ. იპოლიტოვ-ივანოვს დაუწყვია კიდევ ნოტებად წირვის წესი იოანე ოქროპირისა, ვასილი დიდისა და გრიგოლი ღვთისმეტყველისა. დარჩენია დასაწყობად სძლის-პირები. ახლა როგორც შევიტყუეთ ბ.ნ. იპოლიტოვ-ივანოვი მოსკოვს აპირებს წასვლას და იქ უნდა ნოტების მბეჭვდელ ბ.ნ. იურგენსონს მოელაპარაკოს, რომ მან იკისროს დაბეჭვდა უკვე დამზადებულის ნოტებისა. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე დაჰპირებია ბ.ნ. იპოლიტოვ-

ივანოვს, რომ რაც დაბეჭვდის ფასი შესდგება ნანილ-ნანილ გადავუხდი იურგენსაო“ (გაზ. „ივერია,“ №209, გვ. 1).

გალობის კომიტეტს, გარდა ალექსანდრე ეპისკოპოსისა, თანხა შეწირეს: არქიმანდრიტმა გრიგოლმა 6 მანეთი, გრიგოლ ორბელიანმა 20 მანეთი, დიმიტრი ყიფიანმა 25 მანეთი, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მონასტერმა 30 მანეთი, სიონის ტაძრის საკრებულომ 48 მანეთი, ქვაშეთის ეკლესიამ 30 მანეთი და ანჩისხატის ტაძარმა 15 მანეთი (თავბერიძე, 2005: 24).

„ძველი საეკლესიო გალობის აღმდგენმა კომიტეტმა“ პირველი რაც გააკეთა, დაიწყო მოძიება იმ პირებისა, ვინც ქართულ საგალობლებს პროფესიონალურად ასრულებდა. ყურადღება შეჩერდა ძმებ კარბელაშვილებზე და მაქსიმე ჩხატარაიშვილზე.

1878 წლის 2 სექტემბერს ანჩისხატის ეკლესიაში „კომიტეტის“ წევრების წინაშე წარდგა მაქსიმე ჩხატარაიშვილი და იგალობა, ხოლო 3 სექტემბერს ორბელიანების ეკლესიაში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ გურიიდან მღვდელი მაქსიმე ჩხატარაიშვილი და კარბელაშვილები. ეს უკანასკნელნი იმისათვის შეაჯიბრეს გალობაში, რომ „კომიტეტს“ შეერჩია საუკეთესო და გამარჯვებულის ნაგალობები ნოტებზე გადაეტანა.

როგორც ჩანს, ორბელიანების ეკლესიაში გამარჯვებული მგალობლები ვერ გამოუვლენიათ, რადგანაც 1878 წლის 14 სექტემბერს ანალოგიური შეკრება მომხდარა სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც ტაძრის მარცხენა მხარეს გალობდნენ ძმები კარბელაშვილები, ხოლო მარჯვენა მხარეს – გურულების გუნდი ჩხატარაიშვილის მეთაურობით.

1878 წლის 24 სექტემბერს „კომიტეტის“ თხოვნით თბილისში ჩამოვიდა მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი და ანჩისხატის ტაძრის ეზოში არქიმანდრიტ მაკარის რეზიდენციაში გაიმართა „კომიტეტის“ სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი შვილებით და მგალობლები გურიიდან. „კომიტეტმა“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მგალობლებს დანიშნოდათ გასამრჯელო, რომელიც შეწირა ალექსანდრე ოქროპირიძემ (50 თუმანი).

1879 წლის ოქტომბრიდან „ქართული გალობის აღმდგენ კომიტეტს“ სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ოქროპირიძე. შეიცვალნენ კომიტეტის წევრებიც.

განახლებული „ქართული გალობის აღმდგენი კომიტეტის“ წევრები 1879 წელს იყვნენ: არქიმანდრიტი გრიგოლ დადიანი, მღვდელი

ალექსანდრე მოლოდინოვი, მღვდელი გრიგოლ მღებროვი, ეგზარქოსი გუნდის რეგენტი, დიაკვანი ვასილ აუშევი და მიხეილ მაჭავარიანი (თავბერიძე, 2005: 31-32). ბუნებრივია, დაიბადება კითხვა, რატომ გადადგა კომიტეტის თავმჯდომარეობიდან არქიმანდრიტი მაკარი, იმ დროს, როდესაც თითქმის ბოლომდე იყო მიყვანილი ქართული გალობის ნოტებზე გადატანის საკითხი? საქმე ის გახლდათ, რომ იმდროინდელი საზოგადოება მეტად კრიტიკულად იყო განწყობილი კომიტეტის მუშაობისადმი. პრესაში ხშირად იბეჭდებოდა პუბლიკაციები, რომელთა ავტორების აზრით, ეკლესია გამოსაცდელ ალაგად არ გამოდგებოდა. საზოგადოება უკმაყოფილებას გამოთქვამდა კარბელაშვილებისა და გურული მაგალობლების შეჯიბრზე. უკმაყოფილება საზოგადოებაში იმდენად დიდი იყო, რომ თვით ალექსანდრე ოქროპირიძესაც მოუხდა პრესაში არა ერთ, სადაც იგი აღნიშნავდა: „ყველას იმისა ვთხოვ, რომ ამ გალობის პირობებზე მოთმინება იქონიონ, ჯერ არ არის დიდხანი რაც ეს გალობა და მისი კომიტეტი დანესდა და მე ხომ სულ ახალი დაგენილი ვარ ამ ხსენებულის კომიტეტის თავმჯდომარედ, ნურც ენით და ნურც კალმით ცუდად ნურავინ ახსენებს ამ გალობასა. ცუდ ხსენებით გალობის ატმოსფერო არ განიწმინდება. მე მაცალეთ ერთი, ორი და სამი წელიწადი და ვნახოთ ან გალობის საქმე როგორ წავა და ან ნოტის შედგენისა. ნათქვამია, ჩქარს უგგვიანდებისო, ბოლო იტყვის ყველას და დაავიგოვინებს საქმესა. იქნება ბოლოს სთქვან ძეთა ძველის იბერიისათა გამობრწყინდა ნათელი ქართულ ეკლესიურ გალობისა გორიზონტსა ზედა; გადაღებულ იქმნა ნყობილად ეკლესიისა გალობა ნოტებზედა“ (თავბერიძე, 2005: 34).

1884 წლის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა მეტად საინტერესო სტატია, რომელშიც ვკითხულობთ: „მწყემსის“ მე-13-ე ნომერში დაბეჭდილი იყო ერთი წერილი, რომლის ავტორი სწამებდა პატივსცემულს ალექსანდრე ეპისკოპოსს, რომ ვითომ მის ყოვლადსამღვდელოესობას: ა) 2000 მანეთის შეკრება მთელს საქართველოს საეგზარქოსოში განეზრახოს გალობის ნოტებზე გადასაღებად; ბ) ვითომც ყოვლადსამღვდელო არ აღიარებს გურული კილოს არსებობასაც და სრულიად უარყოფდეს მას; გ) ვითომც ყოვლად-სამღვდელო წინააღმდეგი იყოს ნოტებზე გალობის გადაღებისა და მის ნაცვლად თხოულობდეს მასწავლებლების სასწავლებელში დაყენებასა და გალობის აღსადგენად; და ვითომც ყოვლადსამღვდელოს გამოეცხადებინოს (გურიაში) და მთავრობისათვისაც მოეხსენებინოს, რომ „დროება“ და „მწყემსი“ გურულ

კილოს აძაგებენო და ქართლისა კი მოსწონთო.

ამ დღეებში ჩვენ გვექონდა პატივცემულ ეპისკოპოს ალექსანდრესთან საუბარი ამ წერილის თაობაზე. მისი ყოვლად-უსამღველოესობა არ დაკმაყოფილდა ჩვენდამი მომართული თავის დამარწმუნებელი და გონიერი სიტყვებით მარტო, არამედ გვიჩვენა საქმის შესახებ ყველა ოფიციალური დოკუმენტები, სინოდალური კანტორიდან გამოტანილი. ჩვენ ყურადღებით მოვისმინეთ მღვდელმთავრის სიტყვები, გულდასხმით გადავიკითხეთ მოხსენებული დოკუმენტები და სრულიად დავრწმუნდით, რომ: ა) 20000 მანეთი იმ განზრახვით იბოჭება, რომ მისი სარგებლით დაქირავებულ იქნას გალობის სამი მასწავლებელი; ბ) ყოვლად-სამღვდელო არა თუ უარ-ყოფს გურულს კილოს და მის არსებობას, არამედ კიდევ მოსწონს იგი, მაგრამ აღიარებს, რომ ეს კილო დღეს დღეობით მოქალაქეობრიობას ვერ მოიპოვებს ქართლ-კახეთში; გ) ყოვლად-სამღვდელო წინააღმდეგი კი არა, დიდი მომხრეა გალობის ნოტებზე გადაღებისა, მხოლოდ მისსა და ზოგიერთს სხვების მომხრეობასა შორის ის განსხვავებაა, რომ ყოვლად-სამღვდელო დაბეჯითებით თხოულობს, რომ ნოტებზე გადაღებულ იქნას უთუოდ ორივე კილო ქართულ საეკლესიო გალობისა; ქართული (ანუ უკედ ვსთქვათ კარბელაშვილებისა) და გურული. ქართული კილოს გადაღებისათვის საჭირო ხარჯს მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა იღებს თავისი უზვისა და საზოგადო საქმისათვის უშურველის ჯიბიდან. ამას იმიტომ უფრო შვრება საპატივო მღვდელმთავარი, რომ გურული კილოს ნოტებზე გადაღება ეკლესიებს გაუადვილდეს, რადგანაც უამისოდ მათი ორივე კილოს გადაღება დაატყდებოდა თავზე. გურული კილოს ნოტებზე გადაღებისათვის საჭირო ხარჯი გასტუმრებული იქნება იმ ფულებით, რომელიც შემოვა ეკლესიებისაგან, ნოტების ყიდვიდამ. მხოლოდ იმ ფულით კი რომელიც დღემდის მოკრებილა ანუ მომავალში მოიკრიბება გალობის საქმისათვის, ვიმეორებთ, უნდა დაქირავებულ იქმნას გალობის სამი ოსტატი საქართველოს სამ სასულიერო სასწავლებელში.

ზემოთ თქმულის შემდეგ თავის-თავად ირღვევა და ფუქსავატდება, როგორც ის სიტყვები რომ ვითომც ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ აქაც (გურიაში) გამოაცხადა და მთავრობასაც მოახსენა „დროება“ და „მწყემსიც“ გურულ კილოს აძაგებენ და ქართლისა კი მოსწონთო, აგრეთვე წინ დაუხედავი სიტყვები „მწყემსისავე“ მე-14-ე ნომერში დაბეჭდილს, სტატიის ავტორისა, რომელიც უსაფუძვლოდ სწუხდა: ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი წინააღმდეგი

ყოფილა გალობის ნოტებზე გადაღებისა და კომიტეტისაო და ჩვენ წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ ნოტებზე ქართულის გალობის წინააღმდეგი კაცი (ავტორის აზრით ალექსანდრე ეპისკოპოსი) ჩვენ მიგვაჩნია ქართული ენის მტრადაო.

ღმერთმა ქნას, რომ იმისთანა მტერი, როგორიც არის მღვდელმთავარი ალექსანდრე ქართული გალობისა და ენისა, ბევრი ყოლოდეს როგორც ამ გალობასა და ენას ის ყველა ჩვენს საზოგადო საქმესაც“ (გაზ. „დროება,“ 1884 წ., №174, გვ. 3).

გაზეთ „დროების“ ეს წერილი მრავალმხრივია საინტერესო: პირველი: მასში ნათლადაა წარმოდგენილი ყველა ის ცილისწამება, რაც იბეჭდებოდა იმ დროინდელ პრესაში ალექსანდრე ოქროპირიძის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ, მიუხედავად ასეთი საშინელი ბრალდებებისა, წარმოჩენილია მეუფე ალექსანდრეს ერთუზიაზმი და ქართული საგალობლების გადარჩენისაკენ თავდაუზოგავი ლტოლვა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მეუფე ალექსანდრეს პრინციპულობისა და სულიერი სიმტკიცისა, იგი 1884 წელს გადადგა „კომიტეტის“ თავმჯდომარეობიდან, მაგრამ მას ერთი წამითაც კი არ დაუნებებია თავი ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღების დაფინანსებისათვის.

1884 წელს, მას შემდგომ, რაც ალექსანდრე ოქროპირიძე გადადგა „კომიტეტის“ თავმჯდომარეობიდან, არქიმანდრიტ გრიგოლ დადიანისა და მაკარი მათათაშვილის ინიციატივით, საეგზარქოსოსთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა ემუშავა საგალობლების ნოტებზე გადაღებასა და დაბეჭვდაზე. ამ კომისიის წევრები იყვნენ: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი წერეთელი და სხვ. კომისიის შეკრებას ესწრებოდა აგრეთვე სემინარიის რექტორი ჩუდეცკი, რომელიც გამოვიდა ქართული გალობის წინააღმდეგ. მისი აზრით, ქართული გალობა იმდენად თავისებურია, რომ მისი ნოტებზე გადატანა ძნელი იქნება და თუ გაკეთდება დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული. ჩუდეცკი მიიჩნევდა, რომ გაღარიბებულ ქართულ ეკლესიას ამ თანხის გაღება გაუჭირდებოდა. ამიტომ, მისი აზრით, საჭირო იყო სლავური გალობის დამკვიდრება საქართველოში .

სასულიერო სემინარიის მესვეურის ამ მოსაზრებას დაუპირისპირდა აკაკი წერეთელი, რომელმაც ჩუდეცკის სიტყვა შეანყვეტინა: „თქვენ შეგიძლიათ ჩვენს განზრახვაზე პირდაპირ უარი თქვათ, ეს თქვენი უფლებაა, მაგრამ თქვენ ჩვენს წმინდათა წმინდას ტლანქად შე-

ეხეთ, თქვენ ფიქრობთ რომ ჩვენ ქართველები რამდენიმე ხნის შემდეგ, თქვენი ლოცვა-კურთხევით სლავებად გადავიქცევით. ეს დიდი შეცდომაა! საქართველოს დიდი ისტორია, მდიდარი უძველესი კულტურა და ჩვენი საკუთარი წინსვლისათვის გადადგმული გზა აქვს, უხემ ძალას ამ გზის შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. ასი წლის განმავლობაში ქართველ ერს თავისი სახე არ შეუცვლია და შეუცვლელად შეურჩენია. შემდეგშიაც შეირჩენს ქართველი ერი თავის შეუდარებელ მუსიკას, რომელშიაც თავისი უკვდავი სული აქვს ჩაქსოვილი-ჩაქარგული, უთქვენოდაც მოუვლის და განავითარებს, თქვენი დახმარება არ სჭირდება“ (თავბერიძე, 2005: 36).

ჩუდეცკის იმდენად დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ქართველთა მხრიდან, რომ მან მხოლოდ ის მოახერხა რომ კომისია დახურა.

ალექსანდრე ოქროპირიძემ 1884 წლის გაზაფხულზე დადო ხელშეკრულება თბილისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორთან იპოლიტოვ-ივანოვთან, რომელსაც უნდა ჩაენერა ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის წირვის წესი.

იპოლიტოვ-ივანოვისა და ალექსანდრე ოქროპირიძის შეთანხმებაზე 1893 წლის გაზეთი „ივერია“ წერდა: „ყოვლად უსამღვდელოესის ალექსანდრე ეპისკოპოსის სურვილითა და თხოვნით, თბილისის სამუსიკო სკოლის დირექტორათ ნამყოფი ბ.ნ. ი. მ. იპოლიტოვ-ივანოვი ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ნოტებად ანყობდა ქართულ საეკლესიო გალობას. როგორც ნამდვილად შევიტყეთ, უმთავრეს საგალობელთა გადაღება უკვე გაუთავებია და კაპელაში წარუდგენია განსახილველად, რომ შემდეგ დაიბეჭდოს.

ბ.ნ.ი იპოლიტოვ-ივანოვი სწერს ერთ თავის ნაცნობ ტფილელს: „აუწყეთ ყოვლად უსამღვდელოესს ალექსანდრე ეპისკოპოსს რომ მისი ბრძნულის მეთაურობის წყალობით ქართული გალობა და სიმღერა მუსიკის ისტორიაში შესამჩნევ ადგილს დაიჭერს“ (გაზ. „ივერია“, 1893 წ., №214, გვ. 2).

იპოლიტოვ-ივანოვმა დაიწყო 400 საგალობლის ნოტებზე გადაღება (2000 მანეთად). ამ საქმეში მას ეხმარებოდნენ მღვდლები: პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, ა.მოლოდინოვი და გრიგოლ მღებროვი. თავდაპირველად გადანყვეტილი იყო, რომ ნოტებზე გადაღებული საგალობლები გამოცემულიყო ხუთ ნაწილად. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია“ წერს: „ჩვენ შევიტყეთ, რომ მის ყოვლად უსამღვდელოესობას პატივცემულ ეპისკოპოს ალექსანდრეს ბ.ნ.ს ივანოვს

და ძმათა კარბელაშვილთა განუზრახავთ, რაც დაწერილა გალობანი ნოტებზედ, ის გამოიცეს ნაწილ-ნაწილ. სულ ხუთ ნაწილად დაიბეჭდება. პირველი ნაწილი იქნება წ.მ. ნინოს პარაკლისით წესი მწუხრისა, ცისკრისა და წირვისა“ (გაზ. „ივერია,“ 1889 წ., №8, გვ. 2).

იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ჩაწერილი საგალობლები თბილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში სპეციალურმა კომისიამ მოისმინა, მას დადებითი შეფასება მისცა და დასამტკიცებლად სინოდს გაუგზავნა.

ქართული გალობის ნოტებზე გადატანასთან დაკავშირებით საინტერესო მოგონება აქვს მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილს, რომელიც ეხება ალექსანდრე ეპისკოპოსისა და იპოლიტოვ-ივანოვის ურთიერთობას. „სექტემბერში ვნახეთ ტფილისის მუსიკალური სკოლის დირექტორი ბ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელმაც 2000 მანეთად იკისრა 400 საგალობლის ნოტებზე დაწერა. ამაზედ პირობის წერილი დამტკიცდა ეგზარქოსის ხელისმონწერთაც. პირველ ოქტომბერს 1884 წელს ბ. იპოლიტოვ-ივანოვთან უნდა გვევლო საგალობლად მღვდელ, მე ვასილ კარბელოვს, ა.მოლოდინოვს და გ. მღებრიევს. 1885 წლის გაზაფხულზედ მაისში მღ. ვ. კარბელოვი გადაიყვანეს ნუხში, განვაგრძეთ საქმე დანარჩენებმა.

ამავე 1885 წლის დეკემბერს მეც გადამიყვანეს სოფლად და შედგა საქმე. ამის შემდეგ წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ჩამოვდიოდი ტფილისში და ვაწერინებდი გალობას. ბ. იპოლიტოვ-ივანოვიც გადაიყვანეს მოსკოვში. დავაწერინეთ ნოტებზედ საგალობელი – ოქროპირის წირვისა, ვასილი დიდისა და პირველმწირობისა; მწუხრისა, ცისკრისა, მიცვალებულის წესისა, ქორწინებისა, წმინდაო ღმერთოს მაგიერი და ღირს არსის წილსათქმელი. წლის, დღესასწაულთა მეცხრე სძლისპირნი. ამ საგალობელთა დასაწერი იპ. ივანოვს ჩააბარა 500 მანეთი ყოვლადსამღვდლო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, დანარჩენი საგალობელი დღესაც ელიან ნოტების დაწერასა. იმედია რომ ყოვლად-უსამღველოესი ეპისკოპოსი ალექსანდრე დაამთავრებს ამ საქვეყნო საქმესა, ნოტებზედ დაწერილს დააბეჭდინებს და დასაწერს დააწერინებს და არ დაუკარგავს ქართველობასა ძველს მამა-პაპურ გალობასა, როგორც მზრუნველი და ჭირისუფალი ჩვენის ძველი სულიერი დიდების დაცვისა და აღდგენისა“ (მღვდელი. 1898: 95).

მართლაც, პოლიევქტოს კარბელაშვილის იმედები გამართლდა და 1899 წელს ალექსანდრე ოქროპირიძის დაფინანსებით ქართულ საგალობლებს დღის სინათლე ეღირსა, მას შემდგომ, რაც ისინი მაქსიმე

შარაშიძისა და ამხანაგობის სტამბაში დაიბეჭდა.

წმინდა მღვდელმთავარმა ალექსანდრე ოქროპირიძემ თავისი ქველმოქმედებითა და მეცენატობით მხრებზე დაიდგა მძიმე უღელი, რომელიც ემსახურებოდა მხოლოდ ერთს: ეროვნული ღირებულებების დაცვას და ყველა მის მიერ გადადგმული ნაბიჯის უკან იყო ჩანაფიქრი იმისა, რომ როგორმე შეემსუბუქებინა ქართველი ერისათვის ის მძიმე ყოფა, რომელშიც იგი დამპყრობელმა იმპერიამ ჩააგდო.

Durmishkhan Lashkhi

Bishop Alexander Okropiridze – Philanthropist and Charity Monger

Summary

Alexander Okropiridze is a well-know figure for the Georgian society as a high-ranked member of Georgian Orthodox Church who was actively engaged in the struggle against Russian colonist regime. Only the few are aware of the fact that in his struggle he was using a very interesting method – rendering charity and philanthropy and in this way trying to support Georgian culture, to protect and assist talented young people and to defend national values.

Ancient Georgian gospel songs and unique manuscripts have been survived thanks to efforts of Alexander Okropiridze. A great number of poor and witty-minded young people became able to use their knowledge in favour of Georgia and Georgian people.

დამონუმებული წყაროები და ლიტერატურა

თავბერიძე ი., მე-19-ე საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა, თბ., 2005.

მღვდელი კარბელაშვილი პოლიექტოს, ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა, ტფ., 1898.

გაზეთი „დროება“, 1880 წ., №105.

- გაზეთი „დროება“, 1882 წ., №46.
გაზეთი „დროება“, 1884 წ., №174.
გაზეთი „დროება“, 1884 წ., №194.
გაზეთი „დროება“, 1885 წ., №17.
გაზეთი „ივერია“, 1880 წ., №235.
გაზეთი „ივერია“, 1887 წ., №138.
გაზეთი „ივერია“, 1889 წ., №8.
გაზეთი „ივერია“, 1891 წ., №209.
გაზეთი „ივერია“, 1893 წ., №214.
გაზეთი „ივერია“, 1898 წ., №187.
გაზეთი „ივერია“, 1898 წ., №223.
გაზეთი „ივერია“, 1898 წ., №249.
ჟურნალი „თეატრი“, 1886, №13.
გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1900 წ., №1135.
ჟურნალი „თეატრი“, 1886, №13.

აშოტ კისკასის ვინაობისათვის

სომხური ისტორიოგრაფიის დაუსაბუთებელი პრეტენზიები საქართველოს უძველესი პროვინციის ტაო-კლარჯეთის მხარის შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი და ამ პრობლემას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. ზოგადი შეხედულებით ეს საკითხი ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილია ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომლის კვინტენსენციას წარმოადგენს პავლე ინგოროყვას ვრცელი გამოკვლევა „გიორგი მერჩულე“. ამ შრომის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „ისტორიულ წარსულში, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა ეთნოგრაფიულად (მოსახლეობის შემადგენლობითა და გავრცელებული ენის მიხედვით) მესხეთის ქვეყანა მთელი მოცულობით, ე.ი მხარეები: სამცხე, ჯავახეთი, არტაან-კოლა, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, სპერი, ტაონი, ..., გარდამავალი ტერიტორიული ზონა საქართველოს სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობდა არა ჭოროხსა და მტკვრის ხეობებში, არამედ არაქსის ხეობაში, ასეთ გარდამავალ ზონას წარმოადგენდა ბასიანის მხარეები, რომლებიც როგორც პოლიტიკურად, ისე ეთნოგრაფიულადაც საქართველოსან იყვნენ დაკავშირებული მთელი ისტორიული პერიოდის მანძილზე“ (ინგოროყვა, 1954: 544). პავლე ინგოროყვა ამ დასკვნამდე მიიყვანა უზარმაზარი ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ეთნონიმური, სოციალურ-პოლიტიკური და გეოგრაფიული მასალების შესწავლამ, ცალკე აღნიშვნის ღირსია, ამ მხარეში, ქართველთა შექმნილი და დანატოვარი მატერიალური კულტურის ძეგლები, ეკლესია – მონასტრები, მემორიალური კულტურის ძეგლები, საფლავის ქვები და მათზე ამოტვიფრული ლაპიდარული წარწერები. ყველა ამ მასალაში ერთმნიშვნელოვნადაა გამოკვეთილი ქართული კულტურის დომინანტური სივრცე, პოლიტიკური და რელიგიური მყოფადობის რეალობა და კიდევ ბევრი ისეთი დეტალი, რომელთა ერთობლიობა არ ტოვებს არავითარ შანსს, რომ ამ მხარის ქართული სახელმწიფოსადმი კუთვნილებაში რაიმე ეჭვი იქნეს შეტანილი.

მიუხედავად ამისა, სომეხ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ვერ ელევა ისტორიული ტაო-კლარჯეთის სომხებისადმი კუთვნილების საკითხს და ყოველ ნიუანსს, რომელიც მათ გამოადგებოდათ, უძებნიან მათთვის

სასარგებლო მხარეს და იყენებენ თავიანთი შეხედულების დასასაბუთებლად. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებულადაა გამოკვეთილი ერთი რიგი სომეხ მეცნიერთა იმ ნაშრომებში, რომლებიც ეხებიან საქართველოს ისტორიის საკითხებს. ეს პრობლემა არსებობს, ამ პრობლემაზე ბევრია დანერგილი ალბათ კიდევ ბევრი დაინერება.

ამ მცირე ზომის წერილში გვსურს ამ შეხედულების დამადასტურებელ ერთ ნიუანსს შევხვით, რომელიც უკავშირდება ტაო-კლარჯეთში, კერძოდ, არტანუჯში მოღვაწე პოლიტიკური პერსონის აშოტ ბაგრატიონის – „კისკასის“ ვინაობის საკითხს.

როგორც ცნობილია, X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო სამად იყო გაყოფილი, რომელთაგან თითოეულს ბაგრატიონთა გარკვეული შტოს წარმომადგენლები მართავდნენ. ისიც ცნობილია, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის ერთ-ერთი კუროპალატის სამოხელეო ტიტულს ატარებდა, რომელსაც ბიზანტიის კეისარი აძლევდა და ამ აქტით, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, მათ „პატრონყმობის დამოკიდებულობის გამოხატვა სურდათ...“, თუმცა კეისრის უფლება საქართველოში არასდროს, უბრალო მფარველობისა და გავლების საზღვარს არ გასცილების და მათ სამეფო შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდათ“ (ჯავახიშვილი, 1948: 107-109).

ასეთ დამოკიდებულებას კარგად ადასტურებს შემთხვევა, როცა უკვე ხსენებულმა და თავის თანამოძმეებზე განაწყენებულმა აშოტ ბაგრატიონმა, იგივე კისკასმა, არტანუჯის ცნობილი ციხე, ბიზანტიის იმპერატორს რომანოზ I ლეკაპინეს გადასცა, იმპერატორმა ისარგებლა ქართველთა შორის გამოწვეული უკმაყოფილებით და თავის ერთ-ერთ მხედართმთავარს უბრძანა ციხის დაკავება, რაც აღსრულდა კიდევაც.

ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენლებმა დავით II (923-937) და ერისთავთ-ერისთავმა გურგენ IV (+941) წერილი მისწერეს ბიზანტიის იმპერატორს და მოსთხოვეს მის ჯარს დაეტოვებინა ციხე, უკიდურეს შემთხვევაში ქართველები იტოვებდნენ უფლებას პოლიტიკური კავშირი შეეკრათ სარკინოზებთან, რაც ყოვლად მიუღებელი იყო რომანოზისათვის. მან თავის საპასუხო წერილში, ეს აქცია ახსნა ციხის ამლების კონსტატი მანკლავიტს თვითნებობით და უბრძანა სასწრაფოდ გამოეყვანა ჯარი არტანუჯის ციხიდან. საგულისხმოა, რომ ამ ამბავს გადმოგვცემენ ბიზანტიური წყაროები (ყაუჩიშვილი, 1952: 275), აღნიშნული ცნობიდან ნათლად ჩანს თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტაო-კლარჯეთის სამთავროს, ბიზანტიის იმპერიისათვის, მისი აღმოსავლეთელი მტრების წი-

ნალმდეგ ბრძოლაში“ თუ ტაო-კლარჯეთის მეფე-მთავრები ერთმანეთში აირეოდნენ და ერთმანეთს დაასუსტებდნენ ეს მის წისქვილზე დაასხამდა წყალს და ამ პროცესის ეფექტიანობისათვის, ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიის სამეფო კარზე ტაო-კლარჯეთის მეფე-მთავართა ცალკეული წარმომადგენლების მიწვევასა და მათ გამოყენებას პირადი ინტერესებისათვის (კოპალიანი, 1969: 15-16).

სამაგალითოდ გამოდგება აშოტ ბაგრატიონის მიწვევა ბიზანტიის სამეფო კარზე 922 წელს. ბიზანტიელი ისტორიკოსების კონსტანტინე პორფიროგენეტისა და თეოფანე გამგრძელებლის ცნობებით „იბერიელი დიდებული“ დიდი პატივით მიუღიათ სამეფო ქალაქში და იმპერატორის ბრძანებით მისთვის კუროპალატობა უბოძებიათ. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დამოუკიდებელ პოზიციას ააშკარავებენ ბიზანტიელი ისტორიკოსები. თავად კონსტანტინე პორფიროგენეტისავე ცნობით მისი წინაპრები მოწინებთ სთხოვდნენ ტაო-კლარჯეთის მმართველებს, რომ ამ უკანასკნელებს თეოდოსიუპოლის მისადგომებთან ჯეკეს ციხე დაეთმოთ ბიზანტიელთათვის, რათა იქ თავიანთი გარნიზონი ჩაეყენებინათ, რაზედაც იბერთაგან უარი მიუღიათ (ყაუჩიშვილი, 1952: 263-264), იგივე ავტორის მონათხრობით, ქართველები დიდ მოკავშირეობას უწევდნენ ბიზანტიელებს არაბებთან წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, კერძოდ, იგი მიუთითებს იმ გამარჯვებაზე, რომელიც ქართველთა არსებითი დახმარების წყალობით, ბიზანტიის მხედრობამ მოიპოვა არაქსის სანაპირო ციხეებში განლაგებულ მტერზე.

ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კარგადაა ასახული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ამ ურთიერთობის შესახებ არსებობს ბიზანტიური წყაროების უმდიდრესი კორპუსი, რომლის ყველა მონაკვეთში ჩანს სამხრეთ საქართველოს, ამ უძველესი პროვინციების, როლი და მნიშვნელობა, მახლობელ აღმოსავლეთში, ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში.

როგორც უკვე ითქვა, ისტორიული პროცესის ასეთი რეალობა არცთუ მისაღებია მეცნიერთა იმ ნაწილისათვის, რომლებიც ცდილობენ სამხრეთ საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ მემკვიდრეობაში დაიდონ წილი და ზოგიერთ შემთხვევაში ამ მხარის პოლიტიკური და კულტურულ პროგრესი დაუკავშირონ ეთნიკურად სომეხი მოღვაწეების სახელს.

ყოველი მცდელობა, იქნება ეს ზოგადი სახისა თუ კონკრეტულად ისტორიის დარგის კვლევასთან დაკავშირებული, თუკი ყალბია, ნებით თუ

უნებურად, აუცილებლად ქმნის ხელოვნურობის გარემოს და ზოგჯერ ელემენტარული გაუგებრობის დონემდე ეშვება.

ამჯერდ, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და ეხება იგი ზემოთდასახელებულ არტანუჯის ქართველი მთავრის აშოტ ბაგრატიონის, ზედწოდებით-კისკასის, ხელოვნურად გასომხების საკითხს. სომეხმა მეცნიერმა რ. ბარტიკიანმა ჯერ თბილისში გამართულ ბიზანტიოლოგთა სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებაში (Бартікян, 1965: 3-4) და შემდგომ პარიზში დაბეჭდილ ფრანგულენოვან სამეცნიერო ჟურნალში (Bartikians, 1965: 261-272) გამოქვეყნებულ სტატიაში აშოტ ბაგრატიონი-კისკასი გამოაცხადა სომეხ დიდებულად. მკვლევარმა თავისი მოსაზრება დაამყარა ეტიმოლოგიურ საფუძველზე და სიტყვა „კისკასი“ დაუკავშირა სომხურ გეოგრაფიულ სახელს „ვიხიკს“, რითაც კისკასი გამოაცხადა სომეხი ბაგრატიდების წარმომადგენლად. საგულისხმოა, რომ რ. ბარტიკიანს აშოტ კისკასის სომხობის დამამტკიცებლად სხვა არსებითი საბუთი არ აქვს, თუმცა მისი პათოსი არტანუჯის მხარის სომხებისათვის კუთვნილების თაობაზე მწვავე სურვილითაა გადმოცემული.

რაჩია მიქაელისძე ბარტიკიანი, გამოჩენილი ბიზანტიისტი და არმენოლოგი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თავის ნაშრომებში ბუნებრივია გვერდს ვერ აუვლიდა საქართველოს ისტორიის საკითხებს და მისი მოსაზრებანი ამ მიმართულებით ანგარიშგასანევია და ყურადსაღები, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მისი დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის მიმართ არ გამოირჩევა ორიგინალობით და თანხვედრი და მსგავსია საერთო პრეტენზიული ფონისა, რომელიც სომეხი მეცნიერების ერთ ნაწილს გააჩნია საქართველოს ისტორიისა და მისი კულტურის მიმართ.

ვიდრე უშუალოდ ჩვენი წერილის ძირითად საკითხს შევეხებოდეთ, გვსურს წარმოვადგინოთ დამოკიდებულება, რომელიც სანიმუშოდ გამოდგება იმისათვის თუ ზოგჯერ, როგორ ინტერპრეტაციას აძლევს ბატონი ბარტიკიანი ისტორიულ დოკუმენტს და როგორ იყენებს მას თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად.

1986 წელს ჟურნალში „Вестник общественных наук“, (№ 2, с. 75-80) გამოქვეყნდა რ. ბარტიკიანის სტატია: „Мнимое упоминание „Картлийской царицы“ в армянской надписи атенского сиона“, სადაც განხილულია ატენის სიონის ერთი წარწერა, რომელიც შეეხება შიდა ქართლის მნიშვნელოვანი პუნქტის თიღვას კუთვნილების საკითხს. ბარტიკიანი თავის მოსაზრების დასამტკიცებლად მთლიანად ცვლის წარწერის ტრადიცი-

ული ნაკითხვის შინაარსს და გამოაქვს დასკვნა მის მიერ წინასწარ შემუშავებული მოსაზრების დასამტკიცებლად.

ბარტიკიანის ამ წერილს მკაცრი კრიტიკული შეფასება მისცა გამორჩენილმა სომეხმა მეცნიერმა- მედიევისტმა, ქართულ-სომეხური ეპიგრაფიკის აღიარებულმა მკვლევარმა პ. მურადიანმა, ([Muradjan, Iraber.asj-oa.am/4589/1/1986-7\(75\).pdf](http://Muradjan, Iraber.asj-oa.am/4589/1/1986-7(75).pdf)), რომელმაც ავტორს მიუთითა ქართული გრაფემების არასწორ გამოყენებაზე და მათ არასათანადო ინტერპრირებაზე და აღნიშნა, რომ „Р. М. Бартикян читает не то, что написано в надписи, а то, что может послужить основой для новой интерпретации.“ (გვ. 75), ხოლო წერილის დასკვნაში ასეთი შეფასება მისცა ავტორის ნაზრევს: „Таким образом, если о чем-то „мнимом“ может идти речь, то во всяком случае не о „мнимом упоминании картлийской царицы“, а о мнимом обосновании и предлагаемого Р. М. Бартикяном осмысления.“ (იქვე)

ვფიქრობ, ისეთი ავტორიტეტული მეცნიერის დასკვნას, როგორცაა პ. მურადიანი, ყოველი მკვლევარი ანგარიშს უნდა უწევდეს და ბარტიკიანის ნაშრომების კრიტიკული შეფასებისას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს.

ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენი წერილის მთავარ საკითხს და გავარკვიოთ თუ რამდენად მართალია რ. ბარტიკიანი როცა კლარჯეთში, კერძოდ არტანუჯში, მოღვაწე ამოტ ბაგრატიონს (კისკასს) უკავშირებს სომეხი ბაგრატიდების შტოს – კეკავმენ ბაგრატიდებს.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ხსენებულ წერილში ავტორს უმთავრეს არგუმენტად წარმოდგენილი აქვს გეოგრაფიული სახელის „ვიხიკის“ შეპირისპირება ამოტის თიკუნ „კისკასთან“ და თვლის, რომ ტერმინი „კისკასი“ ნაკითხული უნდა იქნეს არა, როგორც „კისკასი“, არამედ, როგორც „ვიხიკი“. რის საფუძველზე უარყო მან „კისკასის“ არასწორი ნაკითხვა, ამის მეცნიერულ ახსნას არ იძლევა, მხოლოდ მისთვის სასურველ დებულებას სთავაზობს მკითხველს და აქედან ასკვნის, რომ ვიხიკის მფლობელ კეკავმენ ბაგრატიდების შტოს წარმომადგენელი იყო ის ამოტ ბაგრატიონი, რომელიც ტაო-კლარჯეთის მიწების ერთ-ერთი მფლობელი იყო. ასეთი არასწორი დასკვნით რ. ბარტიკიანი წინ წამოსწევს და პრიორიტეს ანიჭებს სომეხებისაგან არტანუჯის ფლობის საკითხს, რაც ძირითადი მიზანია მის მიერ შესრულებული კვლევისა.

წერილიდან კარგად ჩანს, რომ ბარტიკიანი არ იყენებს სათანადო ისტორიულ საბუთებს, ქართულ წყაროზე-სუმბატ დავითის ძის ქრონიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, სადაც ამოტ კისკასი წარმოდგე-

ნილია ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შტოს ნევრად და აშოტ დიდიდან დაწყებული ეკუთვნის მეხუთე თაობას (აშოტ დიდი კუროპალატი, ადარნასე, სუმბატ I მამფალი, ბაგრატ I მამფალი და აშოტ IV კისკასი), იგი არ უთითებს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობას (ყაუხჩიშვილი, 1952: 275), რომელიც მთლიანად ემთხვევა ქართველი მემკვიდრის მონაცემებს. ზოგადად უნდა ითქვას ისიც, რომ მოცემულ პერიოდში ტაო-კლარჯეთში მოღვაწე ქართველი ბაგრატიონები წარმოგვიდგებიან უაღრესად ძლიერ და გავლენიან საგვარეულო დინასტიად, ისინი გარკვეულ პოლიტიკურ ალიანსში არიან ბერძნებთან, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს რომ სრულიად დამოუკიდებლად ახორციელებენ მესხეთის ქვეყნის მართვას, მოხერხებულად იყენებენ თავიანთ პოზიციას აღმოსავლეთში ბიზანტიის იმპერიის ინტერესების გაძლიერების მცდელობისას, თავად ბიზანტიელი ისტორიკოსები დიდი პოლიტიკური ტაქტით არაერთხელ ეხებიან ტაო-კლარჯეთის „იბერიელ დიდებულთა“ მოღვაწეობას, როგორც ქართულ, ასევე ბიზანტიურ წყაროებში მთელი თემებია მოცემული მათი ვნებათაღელვიანი ცხოვრებისა, სადაც ყოველ სტრიქონში გამოსჭვივს, მათი ეთნიკური წარმომავლობა, ამ ისტორიაში არაა ერთი უმცირესი მონაკვეთიც კი, სადაც შეიძლებოდა კვეკამენ ბაგრატიდებს ადგილი ეპოვათ.

„ვიხიკს“ რომ არაფერი საერთო აქვს „კისკასთან“ და მათი ერთმანეთთან, თუნდაც ენათმეცნიერული გზით დაკავშირება შეუძლებელია ეს ამკარაა, ცხადია ისიც, რომ წარწერის სიტყვა „კისკასი“ დამახინჯებული არაა და მისი წაკითხვა ამ ფორმით სავსეები სწორია, მთავარი კი მაინც ისაა, რომ ეს სიტყვა წმინდა ქართული წარმოშობისაა.

ქართველ ლექსიკოგრაფებთან კისკასი განმარტებულია როგორც-სწრაფად მქცევარი (სულხან-საბა, 1991), მსწრაფლი, მარჯვე, (ჩუბინაშვილი, 1984). ცოცხალ მეტყველებაში იგი კიდევ უფრო დატვირთულია შინაარსით და აღნიშნავს ადამიანს მსწრაფლსა და მოქმედებისას ელვარედ სახეგაბზენებულს. (აქედანაა ნაწარმოები სიტყვა „კისკისი“)

ეს სიტყვა რომ ქართული სალიტერატურო ენის საგანძურიდანაა ამის დადასტურება შესაძლებელია XII-XIII საუკუნეების ქართველი პოეტის იოანე შავთელის პოემაში- „აბდულმესიანი“, რომელიც მიძღვნილია თამარ მეფისადმი.

შავთელისაგან თამარის ერთ-ერთ ქებაში დედოფალი შემკულია ამგვარად: “თამარ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფსა, უკვდავთ წყაროსა, ცის სამყაროსა, სხვათა მძლეველსა თვით უძლეველსა, კისკასად მქცევე-

არსა, ტანად საროსა“, ხოლო მისი მეუღლე დავით სოსლანზე ნათქვამია: „ვარდო უფრჭენელო, ცვრით განბანილო ნერგო სვიანო დავითიანო, ვინ კისკასია სურნელ კასია, ბალასნად კმოლავ და ვით იანო“ (ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1975, კუპლეტი 11 და 51). რუსთაველის ვეფხისტყაოსანში, ქაჯთა ციხის აღების წინ, ფრიდონი თავის გეგმას სთავაზობს ტარიელსა და ავთანდილს და ამბობს „აბჯრითა გავლა არად მიჩნს ჭირად გატანა ფარისა, შიგან ჩავხტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა“ (რუსთაველი, 1988: 1385). კისკასი, როგორც ადამიანის შემამკობელი ეპითეტი ხშირადაა ნახმარი გვიანფეოდალური ხანის საისტორიო თხზულებებშიც, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორი, XVII საუკუნის ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი, თავის ქრონიკაში ხშირად იყენებს მას ისტორიულ პირთა დახასიათებისას. მაგ; ქართლის მეფის შაჰნავაზის შვილი არჩილი „იყო კისკას, მშვენიერ, მობურთალი, მოისარი“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 435|20), ლევან დადიანის მიერ შევიწროებული იმერეთის მეფის ალექსამდრეს ძე მამუკა იყო „განთქმული რაინდობასა შინა კისკასად“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 429|30), თემურ ლენგთან ერთ-ერთი ბრძოლისას ქართველები „შეჭბდიან კისკასად შუასა შინა რაზმთა მათთა“ (იქვე, 462|5) და კიდევ სხვა. ასე რომ, სიტყვა კისკასი ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებაა და მას არასდროს დაუკარგავს თავისი მხარტვრული მნიშვნელობა.

აშოტ ბაგრატიონი, მართლაც რომ დაუდგრომელი კაცია, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ იგი არ ემორჩილება თავის დიდი საგვარეულოს ზოგიერთი წევრის მოსაზრებას და როცა საჭიროა თავად იღებს გადაწყვეტილებას, რაც უთუოდ მიანიშნებს მის პიროვნულ ხასიათზე, მეომრულ და დაუმორჩილებელ ბუნებაზე, რაც საბოლოო ჯამში მის კისკასობას უსვამს ხაზს. ბუნებრივია თიკუნი „კისკასი“ ამ პიროვნებას შერქმეული აქვს თავისი ხასიათიდან გამომდინარე და სრულიად უნიადაგოდ მოსჩანს წარწერის არასწორი წაკითხვით მისი დაკავშირება ვიხიკის მმართველ კეკევემენ ბაგრატიდების სახელთან.

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ინგოროყვა, პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
2. იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1975.
3. კობალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თ., 1969.
4. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ტ.1, თბ., 1991.
5. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ქართული მწერლობა, ტ. 4, თბ., 1988.
6. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
7. ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ) ტ.4, ნაკვეთი 2, თბ., 1952.
8. ჩუბინაშვილი დ., ქართულ – რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
9. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ.2, თბ., 1948.
10. Бартиякн Р. К., вопросу о катепане Востока магистре Багарате и генеалогии Кекавменов // Седьмая Всесоюзная конференция византинистов в Тбилиси. Тезисы докладов. Тбилиси, 1965.
11. Bartikians, R., La genealogie du magistros Bagarat, capetan de l'orient et des Kekaumenos, ჟურნალში Revue des Etudes armeniennes t. 2, Paris, 1965
12. Бартиякн Р., Мнимое упоминание „Картлииской царицы“ в армянской надписи атенского сиона, „Вестник общественных наук“1986, № 2.
13. Мурадян П., По поводу статьи Р. Бартиякна Мнимое упоминание „Картлииской царицы“ в армянской надписи атенского сиона,“ [raber.asj-oa.am/4589/1/1986-7\(75\).pdf](http://raber.asj-oa.am/4589/1/1986-7(75).pdf) –

To Identification of Ashot Kiskasi's Personality

Summary

Ungrounded claims of Armenian historiography concerning the oldest Georgian province Tao-Klarjeti are commonly accepted. Many scientific researches were devoted to this problem. The theme was solved by general opinion in favour of Georgian state. Resolution of this question was a wide-ranging research "Giorgi Merchule" by Pavle Ingorokva. (Ingorokva, 1954: 544).

In spite of this, some Armenian scientists cannot renounce their point of view about belonging of the historical territory of Tao-Klarjeti to Armenia. They try to find any nuance for their benefit and wish to use it for argumentation of their standpoint. The present article deals with a question that confirms this tendency. It is connected, specifically, with identification of personality of Ashot Bagrationi-Kiskasi, political figure of Artanuji in Tao-Klarjeti. As is generally known, Kingdom of Tao-Klarjeti was divided into three parts in the second part of the 10th century. Each part was governed by representatives of Bagrationi family branch. It is also notorious that one of Bagrations of Tao-Klarjeti had an official title of Kurapalates which was given by a Byzantine Emperor. Iv. Javakhishvili noted that ~the rulers of Byzantium wanted to declare patronage-vassalage relationship ..., though Caesar's authority in Georgia was never exceeded and was restricted only to protection. They had no right to interfere into internal affairs~.(Djavakishvili, 1948: 107-109).

Such a situation is well-confirmed by a case when afore-mentioned and offended on his fellow-men Ashot Bagrationi, the same Kiskasi, gave a significant Artanuji fortress to Byzantine Emperor Romanos I Lekapenos. The Emperor took advantage of the existing among the Georgians discontent and ordered to one of his commander-in-chiefs to take possession of the fortress. The order was carried out.

Representatives of Tao-Klarjeti Bagrations branch David II (923-937) and eristavt-eristavi (grand duke) Gurgen IV (+941) sent a letter to Emperor of Byzantium in which they demanded Byzantine army's leaving the Artanuji fortress. In case of deny of the request, the Georgians would exercise their

right to establish relations with the Saracens (the Arabs) which was quite unacceptable for Romanos I. The latter, in his response letter, clarified that the action was willfulness of General Constance Manglavit and ordered his army to leave the Artanuji fortress immediately. It should be noted that this information was narrated by Byzantine written sources. (Khauhchishvili, 1952: 275).

The marked out information vividly indicates to a big significance of Tao-Klarjeti principality to Byzantine Empire in fight against eastern enemies. Byzantine historians brought to light an independent position of Bagrations of Tao-Klarjeti. According to Konstantin VII (913-959) Porfirogenet, his ascendants reverentially asked governors of Tao-Klarjeti to let the Byzantines have Jeke fortress, at outskirts of Teodosiupolis, in order to place their garrisons in it, but the Iberians refused. The same author reports that the Georgians were their allies and fought in battles that were struggled against the Arabs. In particular, Konstantin VII Porfirogenet indicates to the victory which was won by Byzantine army over enemies who were stationed in fortresses on the bank of the Araks River, with the help of the Georgians. (Khauhchishvili, 1952: 263).

Political relations between the Byzantine Empire and Georgia are well depicted in Georgian historiography. There exists an abundant corps of Byzantine sources concerning these relations. In each fascicule, a role and importance of governors of the oldest Georgian domain Tao-Klarjeti in preserving and strengthening of political situation of Byzantine Empire, in the Middle East is represented.

Any kind of attempt – is it of general character or is concretely connected with studying of any historical field of knowledge – if it is false, willy-nilly creates an artificial environment and sometimes comes to an elementary misunderstanding. In the present case we have just such an occasion, which concerns an artificial armenization of Artanuji governor Ashot Bagrationi, nicknamed Kiskasi.

Armenian scientists R. Bartikyan proclaimed Ashot Bagrationi-Kiskasi, based on one historical inscription, to be a representative of Armenian Bagratids. At first, he presented his paper in Byzantologists Symposium, which was held in Tbilisi and afterwards it was published in a French scientific magazine. (**Бартикян**, 1965: 3-4; Bartikians, 1965: 261-272).

Rachia Mikael Bartikyan is a prominent byzantologist and archaeologists,

a Full Member of Armenian Academy of Sciences. It is natural that he could not ignore questions of Georgian history. His point of view in this direction should be taken into account and is noteworthy. Though, it should be noted that this researcher's attitude towards Georgian history is not original. It is similar and parallel to a general pretentious context which is typical of a part of Armenian scientists.

We cite an example in order to clarify how Mr. Bartikyan sometimes interprets one historical document and how he uses it for confirming his point of view.

In 1986, R.Bartikyan's article "A sham mentioning of "Queen of Kartli" in Armenian Ateni Cathedral" was published in magazine "Bulletin of Scientific Science" (№2, pp.75-80). The paper reviewed one of inscriptions from Ateni Sioni that concerned the theme of belonging a significant spot of Shida Kartli "Tigva". To confirm his ideas, R.Bartikyan wholly changed the traditional reading of the inscription's essence and brings readers to the conclusion based on his worked out beforehand opinions.

An outstanding Armenian scientist, orientalist, acknowledged researcher of Georgian-Armenian epigraphy P.Muradyan gave a harsh critical appraisal to R.Bartikyan's paper. He addressed the author and pointed to the incorrect use of Georgian graphemes and their miswording interpretation. R.Muradyan noted that "R.Bartikyan does not read what is written in the inscription but reads what might be the ground for his new interpretation". P.Muradyan, in the conclusion, gave the following estimation to the author's ideas: "Thus, if the question applies to a "sham", it is not at any rate about a "sham" mentioning "Queen of Kartli", but is about a "sham" offered by R.M.Bartikyan that is based on his comprehension" (Muradyan. Iraber.asj-oa.am/4589/1/1986-7(75).pdf —).

We are of the opinion that each researcher should take into account the conclusions made by such a competent scientist as is P.Muradyan and, when critically appreciating P.Muradyan's works, one should compulsorily take notice.

It should be mentioned that in the named paper R.Bartikyan reviews the inscription and reads the mentioned in it nickname "Kiskasi" as "Vihik". Thus, he makes Kekevmen Bagratid – a right holder of Armenian province as governor of Artanuji that is in Tao-Klarjeti.

R.Bartikyan's article illustrates well that he does not use appropriate

historical chronicles, to say nothing of the Georgian written source “Chronicle of Sumbat, son of David“, where Ashot Kiskasi is represented as a member of the Tao-Klarjeti Bagrationi branch and belongs to the fifth generation starting from Ashot the Great (Ashot the Great Kuropalates, Adarnase, Sumbat I Mamphal, Bagrat I Mamphal and Ashot IV Kiskasi). The author also did not point out to the information of Konstantin VII Porfirogenet which wholly coincides with data of Georgian annalist.

Generally, it should be said that Georgian Bagrationi clan of Tao-Klarjeti in the given period of time was extremely powerful and influential. It was in a definite political alliance with the Greeks. But it is evident that the dynasty realized governing of the country Meskheti quite independently and used its position skillfully when the Byzantines made attempt to strengthen their political interests in the Near Eastern countries. Byzantine historians numerously mentioned tactful activity of Iberian noblemen from Tao-Klarjeti. Byzantine and Georgian written sources describe lives of governors of Tao-Klarjeti that were full of indignation, emotions and uneasiness. Each line of chronicles indicated to ethnical origin of Tao-Klarjeti noblemen. There is not even a tiny section where Kevkamen Bagratid’s place might have been found.

The word “Vihik“ has nothing in common with “Kiskasi“ and it is obvious that to connect these two words with each other, even linguistically, is impossible. It is also evident that the word “Kiskasi“ is not disfigured in the inscription and its reading in this form is completely correct. But the main point is that the word is of Georgian origin.

Georgian lexicographers interpret the word “kiskasi“ as “quickly acting“, “dexterous“ (Sulkhan-Saba, 1991) The word has more essence in oral speech. It indicates to a swift person, the one whose face radiates while acting. (The word “kiskisi“ – peels of laughter – originates from the word “kiskasi“.) The word “kiskasi“ is used in the 12th-13th cc poem written by Georgian poet Ioane Shavteli. Thus, it proves the fact that the word is from the Georgian language treasury. The word was used by Shota Rustaveli in his work “The Knight in the Tiger’s Skin“ as extolling a person epithet. “Kiskasi was also used with the same meaning in Georgian historical works of the late feudal period.

Ashot Bagrationi, without any doubt, was a restless, irrepresible man. He did not obey and did not take into consideration opinions of some

extended members of his clan. When it was necessary, he took decisions himself. These qualities, undoubtedly, indicate to Ashot Bagration's individual character, his military and disobedient nature which definitely emphasizes his "kiskasoba". It is natural that this person was given a nickname which outcame from his character. And it seems absolutely motiveless to connect "Kiskasi" with the name of governor Vihik Kekavmen Bagratid by incorrect reading of the inscription.

Bibliography

- Ingorokva, P., Geogi Merscule, (in Georgian), Tb., 1954.
Sulkhan-Saba, 1991, Vocabulary,v.1,(in Georgian), Tb., 1991.
Khauhchishvili S., 263, 1952), Georgika, v.4, (in Georgian), Tb., 1952.
Javakhishvili I., 107-109, the History of Georgian Nation,v.2, (in Georgian), Tb., 1948.
Бартикян Р. К., вопросу о катепане Востока магистре Багарате и генеалогии Кекавменов // Седьмая Всесоюзная конференция византинистов в Тбилиси. Тезисы докладов. Тб., 1965.
Bartikians, R., La genealogie du magistros Bagarat, capetan de l'orient et des Kekaumenos, JRN. Revue des Etudes armeniennes t. 2, Paris, 1965.
Мурадян П., По поводу статьи Р. Бартикяна Мнимое упоминание „Картлииской царицы“ в армянской надписи атенского сиона,“ Iraber. asj-oa.am/4589/1/1986-7(75).pdf –

Об идентификации личности Ашота Кискаси

Резюме

Необоснованные претензии армянской историографии, касающиеся древнейшей исторической провинции Грузии Тао-Кларджети общеизвестны. Этой проблеме посвящены многие исследования. По общему мнению, вопрос решен однозначно в пользу грузинского государства. Обширное исследование Павла Ингороква „Гиорги Мерчуге“ является успешным решением проблемы (Ингороква, 1954: 544).

Несмотря на это, некоторые армянские ученые не могут отказаться от вопроса принадлежности грузинской области Тао-Кларджети армянам. Стараясь использовать всевозможные нюансы в свою пользу, они приводят их для обоснования своего мнения. В представленной статье речь идет об одном случае, подтверждающем эту тенденцию, который связан с идентификацией личности, в частности, политического деятеля Тао-Кларджети Ашота Багратиона – „Кискаси“.

Известно, что во второй половине X века царство грузинской Тао-Кларджети было разделено на три части, каждая из которых управлялась представителями ветви Багратионов. Они имели официальный титул „курапалата“, который был им дарован цезарем Византии. Иване Джавахишвили отмечал, что этим действием правители Византии „хотели выразить покровительское и вассальное отношение ... хотя их права в Грузии никогда не превышались и ограничивались лишь простым покровительством, и они не вмешивались во внутренние дела грузинского царства“ (Джавахишвили, 1948: 107-109).

Существующая в Тао-Кларджети ситуация подтверждается историческим фактом, когда вышеупомянутый Ашот Багратиони, он же Кискаси, обиженный на своих собратьев, передал Артануджи – стратегически важную крепость – византийскому императору Романосу I Лекапину. Император воспользовался существующим среди грузин недовольством и приказал одному из своих военачальников завладеть крепостью, что и было осуществлено.

Представители ветви Багратионов Давид II (923-937) и Эриставт-Эрстави (князь) Гурген IV (+941) послали письмо византийскому императору

ру с просьбой вывести войско из крепости. В противном случае грузины оставляли за собой право установить политический союз с сарацинами (арабами), который был бы неприемлемым для императора Романоза I. Правитель Византии в своем ответном письме объяснил захват крепости самоуправством военачальника Констант Манклавита и приказал своему войску немедленно покинуть крепость Артануджи. Следует отметить, что эти сведения – из византийских исторических источников (Каухчишвили, 1952: 275).

Описанный факт указывает на большое значение княжества Тао-Кларджети для Византийской империи в борьбе против восточных врагов. Независимую позицию Багратионов Тао-Кларджети освещают византийские историки. По сведениям Константина VII Порфирогенета (913-959), его предки с уважением просили правителей Тао-Кларджети уступить византийцам крепость Джеке, которая находилась у подножья Теодосиуполиса, с целью размещения там своего гарнизона. Но иберийцы отказали в просьбе. Константин VII Порфирогенет также сообщает, что грузины были союзниками византийцев в боях против арабов. В частности, вышеупомянутый автор упоминает победу, которую с помощью грузин одержала византийская армия над вражеским войском, размещенным у берегов реки Аракс (Каухчишвили, 1952: 263).

Политически взаимосвязи Византии и Грузии хорошо отражены в грузинской историографии. Существует богатейший корпус византийских источников, отражающих существующие связи. В каждом разделе корпуса видна важная роль правителей Южной Грузии в сохранении и укреплении политической ситуации византийской империи на Ближнем Востоке.

Каждая попытка, общего или конкретного характера, связанная с изучением исторических областей, если она является фальшивой, поневоле создает искусственную обстановку и иногда доходит до уровня элементарной неразберихи и недоразумения. В данном случае дело касается именно такого обстоятельства – искусственной арменизации вышеупомянутого правителя Артануджи Ашота Багратиона.

Армянский ученый Р. Бартикян в своем докладе на симпозиуме византологов в Тбилиси и в напечатанной впоследствии во франкоязычном журнале научной статье, объявил Ашота Багратиона – Кискаси, на основе одной исторической надписи, армянским Багратидом (Бартикян, 1965: 3-4; Bartikian, 1965: 261-272).

Рачиа Микаэлович Бартикян – известный византолог и археолог, действительный член Академии Наук Армении, естественно, не мог обойти в своих научных трудах вопросы истории Грузии. Мнение этого ученого в этой области существенны, и их следует принимать во внимание. Однако здесь же следует отметить, что его отношение и подход к истории Грузии не отличаются оригинальностью. Они совпадают и схожи с тем претенциозным фоном, который свойственен некоторым армянским ученым в отношении истории и культуры Грузии.

Для выяснения и иллюстрации той интерпретации, которую дает господин Бартикян историческому документу, и как он иногда использует ее для подтверждения своей точки зрения, приведем один пример.

В 1986 году в журнале „Вестник общественных наук“ (№2, стр. 75-80) была напечатана статья Р.Бартикяна „Мнимое упоминание „картлийской царицы“ в армянской надписи Атенского Сиона“, в которой рассматривается одна из надписей Атенского Сиона. Надпись касается вопроса принадлежности важного пункта „Тигва“, расположенного на территории Шида Картли. Для подтверждения своих соображений Р.Бартикян полностью изменил традиционное и реальное содержание надписи и вывел заключение на основе своего ранее высказанного соображения.

Статья Бартикяна была подвергнута критической оценке известным армянским ученым-медиевистом, признанным исследователем грузино-армянской эпиграфики П.Мурадяном. Он указал автору на неверное использование графем и на их неправильную и несоответствующую интерпретацию. П.Мурадян оценил соображения Р.Бартикяна следующим образом: „Р.М.Бартикян читает не то, что написано в надписи, а то, что может послужить основой для новой интерпретации“. В заключительной части своей оценки Мурадян пишет: „Таким образом, если о чем-то „мнимом“ может идти речь, то во всяком случае не о „мнимом упоминании картлийской царицы“, а о мнимом обосновании и предлагаемого Р.М.Бартикяном осмысления“ (Мурадян [Iraber.asj-oa.am/4589/1/1986-7\(75\).pdf](http://raber.asj-oa.am/4589/1/1986-7(75).pdf) —). Считаю, что к выводам такого авторитетного ученого, каким является П.Мурадян, должен прислушаться любой исследователь и обязательно учесть их в процессе критической оценки работ Р.Бартикяна.

Следует отметить то обстоятельство, что в упомянутой статье Р.Бартикян рассматривает надпись и упомянутое в ней имя „Кискаси“ как „Вихик“, тем самым выводит в качестве правителя Артануджи владельца ар-

мянской провинции Вихика Кекевмена Багратида.

Из статьи очевидно, что автор не использует соответствующие исторические документы, не упоминая грузинского исторического источника – „Хроника Сумбата сына Давида“, в которой Ашот Кискаси представлен как представитель Багратионов Тао-Кларджети и, начиная с Ашота Великого, принадлежит к пятому поколению (Ашот Великий Курапалат, Адарнасе, Сумбат I Мамфал, Баграт I Мамфал и Ашот IV Кискаси). Р.Бартикян не упоминает сведений Константина VII Порфиrogenета, которые полностью совпадают с данными грузинских летописцев.

В целом следует отметить, что грузинские Багратионы, которые управляли Тао-Кларджети в тот период времени, являлись представителями достаточно сильной и влиятельной родовой династии. Они были в определенном политическом альянсе с византийцами, но при этом правили своей страной месхов совершенно независимо, умело используя свою позицию при попытке Византии усилить политические позиции на Востоке. Византийские летописцы неоднократно тактично касались деятельности „иберийских вельмож“ Тао-Кларджети. В грузинских и византийских источниках описана полная тревог и волнений жизнь правителей Тао-Кларджети. Каждая строка указывает на их этническую принадлежность. В источниках нет ни малейшего пункта, указывающего на Кевкамена Багратида.

„Вихик“ не имеет ничего общего с „Кискаси“. Связывать эти два имени друг с другом, даже лингвистическим путем, немислимо. Очевиден и тот факт, что слово „Кискаси“ не повреждено и читать его как „Кискаси“ – совершенно правильно. Главная же суть в том, что это слово грузинского происхождения.

Грузинские лексикографы объясняют „кискаси“ как „быстро действующий“, „ловкий“ (Сулхан-Саба, 1991) В устной речи это слово обозначает человека „быстрого и с ярко сияющим лицом в действиях“ (отсюда образовано грузинское слово „кискиси“-смех). Подтверждением того, что слово „кискаси“ относится к сокровищнице грузинского литературного языка, является поэма поэта XII-XIII веков Иоана Шавтели. Шота Руставели в своей поэме „Витязь в тигровой шкуре“ употреблял слово „кискаси“ как украшающий человека эпитет. Это слово также часто встречается в грузинских исторических произведениях позднефеодальной эпохи.

На тот факт, что Ашот Багратиони действительно был неугомонным и суетливым человеком, указывает его неподчинение мнению некоторых

членов своего рода. При необходимости он самовольно принимал решения. Эти качества характера Ашота Багратиони демонстрируют его воинственную и непокорную натуру, которая подчеркивает его „кискасоба“. Естественно, что ему было дано прозвище „Кискаси“, учитывая его характер. Совершенно бесосновательно связывать „Кискаси“, из-за его мнимого прочтения, с именем правителя Вихика Кекавмена Багратида.

Библиография

- Ингорква П., Георгий Мерчуле, Тб` 1954 (на груз. яз.)
Сулхан-Саба , 1991, Словарь грузинский т. 1, Тб., 1991 (на груз. яз.)
Каухчишвили С., Георгика 1952), т.4, Тб., 1952 (на груз. яз.)
Джавахишвили И., История Грузинского народа т.2, Тб., 1948 (на груз. яз.)ю
- Бартикян Р., вопросу о катепане Востока магистре Багарате и генеалогии Кекавменов // Седьмая Всесоюзная конференция византистов в Тбилиси. Тезисы докладов. Тб., 1965.
- Bartikians R., La genealogie du magistros Bagarat, capetan de l'orient et des Kekaumenos, JRN. Revue des Etudes armeniennes t. 2, Paris, 1965
- Мурадян П., По поводу статьи Р. Бартикяна Мнимое упоминание „Картлииской царицы“ в армянской надписи атенского сиона,“ [raber.asj-oa.am/4589/1/1986-7\(75\).pdf](http://raber.asj-oa.am/4589/1/1986-7(75).pdf) –

ოლივერ კრომველი – პურიტანი და სარდალი

„კავალერია ბრძოლას ამშვენებს“.
ნაპოლეონი

„ომში, ისევე როგორც ფიზიკაში, დარტყმის ძალა მასისა და სისწრაფის ნამრავლის ტოლია. სწრაფად მუყარეთ თავი მთელ თქვენს ძალებს და რაც შეიძლება სწრაფად დაარტყით!“ ასეთი იყო ნაპოლეონის ერთ-ერთი სამხედრო მაქსიმა. დღევანდელ სამყაროში შეიარაღებული ძალების მოქმედების სისწრაფე ალბათ უკვე მიუახლოვდა ფანტასტიკაში არსებული წარმოდგენების ზღვარს. როგორი იყო მოქმედების ეს სისწრაფე სამხედრო საქმის გარიჟრაჟზე? ალბათ, მაშინ ყველაზე სწრაფი და მობილური ცხენოსანი ჯარი, კავალერია იყო.

სიტყვა კავალერიას რამოდენიმე ძირი აქვს. ესენია ლათინური „Caballus „ – ცხენი, იტალიური „Cavalleria“, ფრანგული „Cavalerie“ და წარმოადგენს ჯარის სახეობას, რომელშიც მეომრები ან ჯარისკაცები ცხენებზე ამხედრებული იბრძვიან. კავალერიის სამშობლოდ აღმოსავლეთი ითვლება, სადაც ადამიანმა დაახლოებით IV-III ათასწ. ძვ.წთ. ცხენი მოიშინაურა. აღმოსავლეთში, დედამიწის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ცხენი გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა იმ ფორმებით, ფიზიკური ძალის, გამძლეობისა თუ გარეგნული სილამაზის თვალსაზრისით, რამაც იგი სამხედრო ასპარეზზე ჩააყენა ადამიანის სამსახურში. აღმოსავლეთის ხალხები ოდითგანვე მომთაბარებოდნენ, რამაც ისინი შესანიშნავ ცხენოსნებად აქცია. მათი ლაშქრები პრქტიკულად მხოლოდ ცხენოსნებისაგან შედგებოდა, რომლებიც ხშირად მათი შეიარაღებული ძალების 1/6 შეადგენდა (Военная, 1871: 9).

პირველად კავალერია, როგორც ჯარის ცალკე სახეობა გამოჩნდა ასურეთში და ემდეგ გავრცელდა ძველი აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებშიც. იმ ხანად დღევანდელი ევროპის კონტინენტზე ცხენები ძველ ბერძნებს შემოყავდათ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ძველი ბერძნების ბრწყინვალე, ზოგჯერ ლეგენდად ქცეული სამხედრო გამარჯვებები არავითარ კავშირში არ იყო ცხენოსან ჯართან. მარათონი, პლატეა, თერმოპილეს გამირული დაცვა ქვეითი მეომრების თავგანწირვისა და

მწყობრი მოქმედების შედეგი იყო. უფრო მეტი, პლატეასთან ბრძოლაში გამარჯვებულმა ბერძნებმა დიდი ზარალი ნახეს სპარსთა ცხენოსანი ჯარისაგან, რის შემდეგაც გადაწყვიტეს, რომ ყველა ბერძნული სახელმწიფოს სამხედრო შენაერთის 1/10 ცხენოსნებისაგან ყოფილიყო შემდგარი (Военная, 1871: 10). იგივე ითქმის ძველ რომზეც. რომაელთა სამხედრო დიდება, რესპუბლიკის ზრდა და იმპერიად გადაქცევა სწორედ ქვეითი ჯარის დამსახურება იყო. რომაული ლეგიონების უდიდეს და დამკვრელ ძალებს სწორედ ქვეითი ლეგიონერები წარმოადგენდნენ.

შუა საუკუნეებში ევროპაში რაინდთა ფეოდალური ლაშქრის დამკვრელ ძალებს მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნები შეადგენდნენ, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ფარით, მახვილით, მძიმე შუბით და აბჯარში იყვნენ ჩამჯდრები. XII ს. მეორე ნახევრიდან რაინდებმა თავისი ცხენებიც დამცავი ჯავშნით შემოსეს.

XIII-XIV სს. სამხედრო ასპარეზზე მონღოლ-თათართა უპირატესობით აღინიშნა. მათ კავალერიაში რიგი სიახლეებისა შეიტანეს. მონღოლ-თათრები შესანიშნავი მოჯირითეები იყვნენ, მოხერხებულად მანევრირებდნენ. ისინი ჭენების პროცესში იბრძოდნენ, ასევე მოძრაობაში უშენდნენ შუბებს და სტყორცნიდნენ ისრებს. დამაგვირგვინებელი დარტყმისათვის მათ თადარიგში ყოველთვის ყავდათ მნიშვნელოვანი ძალები (Военная, 1871: 19).

ამ ფონზე მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი რაინდები ერთობ მოუხეშავი და ნაკლებად მობილური იყვნენ. როგორც მოჯირთეები, ისინი ვერ გაუტოლდებოდნენ ვერც მონღოლებს და ვერც მამლუქებს. რასაკვირველია, როგორც რაინდებს, ასევე სხვა მხედრებს შეეძლოთ ცხენზე ჯდომა, მაგრამ ისინი ამას უფრო უნარ-ჩვევის ხარჯზე ახერხებდნენ. მათ აკლდათ პროფესიული მოჯირითის განაფულობა. და საერთოდ, კარგი კავალერისტის მომზადება სამჯერ უფრო მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე ქვეითი ჯარისკაცისა. ამიტომაც კავალერია გარკვეული ხნის მანძილზე ჩამორჩებოდა ქვეით ჯარს.

ცვლილებებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სამხედრო საქმეში შუა საუკუნეების მიწურულს, კერძოდ დენტისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამ უსარგებლო გახადა მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი რაინდები და საბოლოოდ ჩამოაცილა ისინი სამხედრო ასპარეზს. ცხენოსანმა ჯარმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. როგორც იყო ამ ცვლილებების ფონზე ინგლისური კავალერია?

XVII ს. ინგლისური კავალერია ორგანიზაციული თვალსაზრისით

მცირე ქვეგანაყოფებად იყო დაყოფილი. თითოეულ ქვეგანაყოფში 30-100 ცხენოსანი იყო, რომლებსაც სათავეში კაპიტანი ედგა. ეს მცირე ერთეულები თავის მხრივ უფრო დიდ გაერთიანებას ქმნიდნენ, რომელიც ექვს ასეთ ქვედანაყოფს ითვლიდა და მას პოლკოვნიკი მეთაურობდა. არსებობდა ცხენოსნების რამოდენიმე სახეობა: კირასირები, არკებუზირები და დრაგუნები.

კირასირები შეიძლება შუა საუკუნეების სრული აბჯრით აღჭურვილი რაინდების უშუალო „მემკვიდრეებად“ ჩაითვალოს. ისინი იბრძოდნენ წვივამდე ჯავშანში ჩამჯდრები. წვივს კი ჩექმის ყელი უფარავდა. დამბაჩების გამოგონებამ, რომლებშიც ნაპერწკალს მბრუნავი ბორბლის ხახუნი ინვევდა შესძლებლობა მისცა ცხენოსნებს ბრძოლაში ცეცხლსასროლი იარაღი ეხმარათ. კირასირებმა განზე გადადეს თავისი მძიმე შუბები და დამბაჩებით, კარაბინებითა და დაშნებით შეიარაღდნენ. ცხენზე ამხედრებულ ასეთ მეომრებს ევროპაში XVII ს. დასაწყისში ბრძოლის ველზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. თუმცა XVII ს. ბევრი ცნობილი სარდალი თუ დიდგვაროვანი ნახატებზე სიამოვნებით წარმონდებოდა ჯავშანში ჩამჯდარი, სინამდვილეში ინგლისის რევოლუციის (სამოქალაქო ომის) დროს მებრძოლ მხარეებში ცოტა იყო კირასირებისაგან დაკომპლექტებული შენაერთები. ეს გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ კირასირის აღჭურვილობა ერთობ ძვირი იყო, არამედ იმითაც, რომ ძნელად მოიძებნებოდა ისეთი ცხენი, რომელიც ასეთი „ტვირთის“ ზიდვას შესძლებდა, და თანაც სწრაფად, ბრძოლის პირობებში. სწორედ ასეთ ცხენებზე იყვნენ ამხედრებული XVII ს. ინგლისელი კავალერისტები. ცხენების ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანა ინგლისში XIX ს. დაიწყო. მანამდე კი ინგლისელი მხედრებისათვის ცხენები უცხოეთიდან, იტალიიდან, კერძოდ ნეაპოლიდან და ესპანეთიდან შემოყავდათ (Военная, 1871: 20).

ცეცხლსასროლი იარაღის გაუმჯობესებამ კიდევ უფრო შეარყია ჯავშნის პოზიციები, რომელიც თანდათან გამოვიდა ხმარებიდან. XVII ს. მანძილზე, სამოქალაქო ომის დროს, ზოგიერთი მეთაური კირასირის აღჭურვილობით იბრძოდა, მაგრამ შესაბამისი შენაერთები მხოლოდ პარლამენტის არმიაში იყო. კირასირთა ქვეგანაყოფებმა, რომლებიც პირადი დაცვის სახით ახლდნენ რევოლუციის პერიოდში საპარლამენტო არმიის სარდლებს, გრაფ ესექსს, გრაფ ბედფორდს და სერ უილიამ ბალფურს ერთობ გამოიჩინეს თავი ეჯჰილის ბრძოლაში 1642 წ. ხოლო ყველაზე სახელმძღვანელო ქვეგანაყოფი აერთიანებდა სერ არ-

ტურ ჰეზელრიგის კირასირებს, რომლებიც აქტიურად მოქმედებდნენ მთელი 1643 წ. მანძილზე. მოგვიანებით ისინი არკებუზირების ნაწილად გარდაქმნეს.

რეგოლუციის ხანის ცხენოსანთა უმრავლესობა არკებუზირებს წარმოადგენდა. არკებუზა იყო ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც XV ს. გამოჩნდა და ლულიდან იტენებოდა. თავდაპირველად არკებუზირები იყვნენ ქვეითი მეომრები, რომლებიც მშვილდისრის ნაცვლად კაჟიანი თოფებით იყვნენ აღჭურვილები. XVI ს. დასასრულიდან არკებუზირები ცხენებზე ამხედრდნენ, ხოლო XVII ს. დასაწყისიდან მსუბუქ კავალერიად გარდაიქმნენ. ტრადიციულად არკებუზირები არკებუზით ან კარაბინით, ორი დამბაჩით და დაშნით იყვნენ შეიარაღებული. არკებუზისაგან განსხვავებით კარაბინი უფრო დიდი კალიბრის იარაღი იყო შესაბამისი ტყვიით. ორივეს თანაბარი სიგრძის, 3 ფუტის (1 ფუტი-30, 5სმ) სიგრძის ლულა ჰქონდა და მათ დამაგრებული თასმის მეშვეობით მხარზე გადაიკიდებდნენ. დამბაჩებს, რომლებსაც უნაგირზე მიმაგრებულ ბუდეებით ატარებენ დაახლოებით 20 დიუიმის (1 დიუიმი- 2,5 სმ) სიგრძის ლულები ჰქონდა (<http://bcw - project.org/military/unitsNetop>). არკებუზირები შემოსილები იყვნენ მსუბუქი ჯავშნით, რომელიც მათ მკერდსა და ზურგს იცავდა, თავზე კი ჩაფხუტი ეხურათ. ყელის დასაცავად ზოგჯერ ჯავშანს ე.წ. „საყელო“ მოყვებოდა. ჯავშნის ქვემოთ მხედრები კამეჩის ტყავის ხიფთანს ატარებდნენ, რომილიც ხშირად თავად ასრულებდა ჯავშნის მოვალეობას. რეგოლუციის დროს, როგორც მეფის, ასევე პარლამენტის ჯარებში არკებუზირთა რაზმები მენინავე შენაერთების როლს ასრულებდნენ.

ულანები. სიტყვა ულანი მონღოლური წარმოშობისაა. ასე ეწოდებოდა ოქროს ურდოში ჩინგიზ ყანის მოდგმასთან მონათესავე ადამიანებს, ხოლო XVI ს. ულანი იყო სახელმძღვანელო თათარი მეომარი, რომელიც პოლონეთის მეფის სტეფან ბატორის

ჯარში იბრძოდა (<http://bcw...>). XVII ს. შუა ხანებისათვის შუასაუკუნეობრივი მძიმე შუბი გამოვიდა ხმარებიდან, მაგრამ მსუბუქი შუბი კვლავ გამოიყენებოდა. სწორედ მსუბუქი შუბით (ხის ტარით და რკინის წვეტით) შეიარაღებულ მხედრებს ეწოდებოდა ულანები. ინგლისის რეგოლუციის დროს ეს მსუბუქი შუბი ფართოდ იყო გამოყენებული შოტლანდიელი და იმ ინგლისელი ცხენოსნების მიერ, რომლების საზღვრისპირა საგრაფოებიდან იყვნენ წარმოშობით.

შოტლანდიელ ცხენოსანთა შენაერთები ორ ესკადრონად იყო გაყო-

ფილი. პირველში არკებუზირები შედიოდნენ, ხოლო მეორეში ულანები. ულანთა ხვედრითი წილი ცხენოსან ჯარში თანდათანობით იზრდებოდა, რადგან მათთან შედარებით მძიმედ აღჭურვილი არკებუზირებისათვის შესაფერისი ცხენების მოძებნა ჭირდა. 1644 წ. მარსტონ მურთან ბრძოლაში პარლამენტის არმიაში მყოფმა შოტლანდიელი ულანების შენაერთმა გადამწვები როლი ითამაშა კრიტიკულ მომენტში, რადგან არ მისცა სამეფო ჯარის კავალერიას ფრონტის გარღვევის საშუალება. იმ დროიდან მოყოლებული, შოტლანდიელი ცხენოსნები ულანების აღჭურვილობით იბრძოდნენ. მათი პატარა და მსუბუქი ცხენები სწრაფი მანევრირების საუკეთესო წინაპირობად იქცნენ, რასაც შედარებით მძიმე ცხენებზე ამხედრებული და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულნი არკებუზირები ვერ ახერხებდნენ. ულანების სხეულს ჯავშანი მოაშორეს და ერთადერთ დამცავ საშუალებად ფოლადის ჩაჩქანი დაუტოვეს.

და ბოლოს, კიდევ ერთი საცხენოსნო შენაერთი, თუმცა კი იმ დროისათვის იგი პირობითად უნდა ჩაითვალოს კავალერიად. ესენი იყვნენ დრაგუნები. დრაგუნები იყვნენ ქვეითი, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული მეომრები, რომლებიც დროის მოგების მიზნით ცეცხლის ხაზზე ცხენებზე ამხედრებულები მიდიოდნენ, მერე ჩამოქვეითდებოდნენ და ისე ჩაებმეოდნენ ბრძოლაში. ქვეითების ამგვარი ოპერატიული გადასროლა ცეცხლის ხაზზე საომარ ხელოვნებაში პირველად ფრანგებმა შემოიტანეს XVI ს. თავად ტერმინი დრაგუნი (dragon, dragoon) მომდინარეობს მათი იარაღიდან. დრაგუნები შეიარაღებული იყვნენ მოკლელულიანი კარაბინებით, რომლებსაც ლულაზე ჰქონდა ურჩხულის (დრაკონის) გამოსხულება. ინგლისის რევოლუციის დროის სამხედრო მოქმედებებში დრაგუნთა ფუნქცია იყო თავის ჯარის პოზიციების მისადგომების და ფლანგების დაცვა. თავდაპირველად დრაგუნები ცალკე ქვედანაყოფად იბრძოდნენ, მაგრამ მოგვიანებით ისინი მსხვილი შენაერთების შემადგენლობაში შეიყვანეს. დრაგუნები სრული შენაერთის სახით 1645 წ. გამოჩნდნენ პარლამენტის ჯარში და მნიშვნელოვანი როლი შეიტანეს მის გამარჯვებაში ნესბისთან ბრძოლაში.

რა შეიძლება ითქვას მაშინდელი ცხენოსნების ჩაცმულობასა და სხვა გარეგნულ მხარეებზე? საერთო საჯარისო დროშები და შტანდარტები არ არსებობდა. თითოეულ ესკადრონს თავისი განმასხვავებელი ალაში ჰქონდა. ეს იყო მუქი ვარდისფერი თავთის ან აბრეშუმის ალმები. ალაში უმცროს ოფიცერს – კორნეტს მოჰქონდა და იგი საგანგებო

ყურადღების საგანი იყო, რადგან ალმის დაკარგვა და მით უფრო მისი მონინალმდევისათვის დათმობა ამ უკანასკნელის გამარჯვების მანიშნებელი იყო.

არ არსებობდა ასევე ერთიანი სამხედრო ფორმა და სამხედრო წოდებების განმასხვავებელი ნიშნები. მეთაურებს არა სამხრებით (რომლებიც ჯერ არ არსებობდა), არამედ ჩაცმულობითა და ტანსაცემლზე არსებული სხვადასხვა მორთულობით სცნობდნენ. ეს გარკვეულ გაუგებრობას და არეგ-დარევეასაც კი იწვევდა, მათ შორის ბრძოლის დროსაც. რევოლუციის დროს მონინალმდევე მხარეებმა მიმართეს გარკვეულ განმასხვავებელ ნიშნებს. მეფის მომხრეები ბრძოლაში ვარდისფერ აბრეშუმის შარფებს ატარებდნენ, პარლამენტისა – ნარინჯისფერს.

რევოლუცია, რომელიც ინგლისში სამოქალაქო ომის სახით მიმდინარეობდა 1642-1649 წწ. და სწორედ ასე მოიხსენიება ინგლისურენოვან საისტორიო ლიტერატურაში, საშუალებას გვაძლევს კვლავ განვიხილოთ კავალერია, როგორც ამ დიდი ისტორიული მოვლენის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და მათთან ერთად ოლივერ კრომველი, რომელიც პრაქტიკულად ორივე მათგანის სულისჩამდგმელი იყო.

რევოლუცია, რომელმაც ინგლისი ორ ბანაკად, როიალისტებად (მეფის მომხრეებად) და პარლამენტის უფლებათა დამცველებად ანუ მრგვალთავიანებად (ასე ეძახდნენ მათ სადა, მარტივად შეკრეჭილი თმების გამო) დაყო, შესაბამისი დალი დაასვა მებრძოლ მხარეებს, მათ ჯარებს და ცნობიერებას.

რევოლუციის წინა პერიოდში ინგლისელი ცხენოსნის აღჭურვილობა საერთო ჯამში 11, 250 კგ-ით შემსუბუქდა (Fraser, 2002: 67). ამას თითქოსდა კავალერიის დამრტყმელ ძალაში მეტი ქმედითუნარიანობა უნდა შეეტანა. მაგრამ სინმდვილეში კავალერიის მოქმედებაში მთავარი ყურადღება ექცეოდა მოხდენილობას, ჯირითის რიტუალურ ხასიათს, რაც უფრო მეტად მიზნად ისახავდა ცხენის მანეჟში მოხდენილად მართვის უნარის დემონსტრაციას და არა თავად ჯირითის სამხედრო მიზნებისადმი დაქვემდებარებას. ამგვარი, ჯირითის წმინდა სადემონსტრაციო მანერის პროპაგანდას ეწეოდა იმ დროის ბევრი ცნობილი დიდგვაროვანი, მათ შორის როიალისტების ჯარის მთავარსარდალი გრაფი ნიუკასლი. თავად მეფე ჩარლზ I მანეჟის მოთხოვნების შესაბამისი სანიმუშო მხედარი იყო (Fraser, 2002: 113). ხოლო რაც შეეხება საბრძოლო ცხენის განვრთნას, ეს უსაშველოდ ძნელ საქმედ ითვლებოდა. მაგრამ იყო ამ საქმის გაუმჯობესების მცდელობებიც. 1632

ნ. ჯონ კრუზომ გამოაქვეყნა სახელმძღვანელო, რომელიც ცხენების ბრძოლისათვის მოვლა-პატრონობისა და განვრთნის დანვრელებით ინსტრუქციებს შეიცავდა.

რევოლუციის დასაწყისშივე ამ ხარვეზზე ბევრმა მეთაურმა შეაჩერა ყურადღება. ისინი მიხვდნენ, რომ ბრძოლის ველზე არა მანეთის დახვეწილი და ნატიფი, არამედ დაბალი, მკვრივი და მოძრავი ცხენები გამოდგებოდნენ. სწორედ ისეთები, რომლებზედაც სოფლის ჯენტელმენები (საშუალო შეძლების აზნაურები) იყვნენ ამხედრებული ნადირობის დროს.

რევოლუციამდე მომხდარ სამხედრო შეტაკებები ძირითადად შემდეგნაირად მიმდინარეობდა: მებრძოლი მხარეები ერთმანეთს დამბაჩებს დაახლიდნენ, მერე მოხდენილად იხევდნენ უკან, ხელახლა ტენიდნენ დამბაჩებს და მხოლოდ მერე გადადიოდნენ შეტევაზე. პრაქტიკულად არ იყო მოწინააღმდეგესთან რაიმე იმპროვიზირებული შეხების, მით უფრო ხელჩართული, ხმალდახმალ, უმალ შერკინების მცდელობა. ყველაფერი თავისებური წესისა და რიგის მიხედვით, გეგმაზომიერად მიმდინარეობდა.

თითქოსდა ბრძოლის ველზე ამგვარად მოქმედება გამოსატყულება იყო ომის წარმოების იმ ფრთხილი, ინიციატივას მოკლებული სტრატეგიისა, რომელსაც პარლამენტის ჯარის მეთაურები გრაფი ესექსი და გრაფი მანჩესტერი მისდევდნენ. სწორედ ამიტომ სამხედრო წარმატებები მეფის მხარეზე იყო. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, როდესაც პარლამენტის ბანაკში გააქტიურდა და ფაქტიურად პარლამენტის ჯარს, კერძოდ კი კავალერიას სათავეში ჩაუდგა ოლივერ კრომველი.

ოლივერ კრომველი (1599-1658 წწ.) ინგლისელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის გაერთიანებული რესპუბლიკის ლორდ-პროტექტორი. საშუალო შეძლების აზნაურის ოჯახში დაბადებული, ახალგაზრდობიდანვე ეზიარა იმ დროისათვის ინგლისში ფეხმოკიდებულ კალვინისტურ-პურიტანულ იდეებს და ჩამოყალიბდა როგორც ღრმად მორწმუნე, ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში პურიტანი. თავის სამხედრო-პოლიტიკურ გააქტიურებას კრომველი უპირობოდ ღვთის ნებით ხსნიდა: „იდიდოს მისმა სახელმა იმ სინათლისათვის, რომელმაც ჩემი სულის ბნელეთში შეაღწია. მე უკუნეთ სიბნელეში ვცხოვრობდი. სინათლე მძულდა და ცოდვილთა შორის ყველაზე ცოდვილი ვიყავი.“ ამგვარად კრომველმა საკუთარი თავი გაიცნობიერა როგორც ღვთის მებრძოლმა (Бapr, 1991 159).

სწორედ ამ ფასეულობებით ხელმძღვანელობდა კრომველი, როდესაც იგი რევოლუციას შეუერთდა და სამოქალაქო ომის მსვლელობისას, პარლამენტის შეიარაღებული ძალების წიაღში შეუდგა ახალი ყაიდის ჯარის ჩამოყალიბებას. ეს ძალზე, ყურადსაღები ფაქტორია, რადგან სწორედ მისით შეიძლება ახსნა მიეცეს კრომველს, როგორც მხედართმთავარს. ოლივერ კრომველი, როგორც სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი პირველ რიგში წარმოჩნდება არა როგორც ბრძოლის, სამხედრო ოპერაციების და საერთოდ ომის წარმოების ტაქტიკურ-სტრატეგიული ხერხების დიდოსტატი (თუმცა, საერთო ჯამში არც ამ საქმეში იყო დასაწინი), არამედ როგორც ჭეშმარიტად რკინის ნებისყოფის ადამიანი, რომელიც უპირობოდ იმორჩილებდა ჯარისკაცებს, ხელქვეითებს, გარშემო მყოფ პირებს. ჯარში, რომელსაც იგი მეთაურობდა, რკინისებრი დისცილინას დამყარდა. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ წესდებებს დამორჩილება. თავისი უდრეკი ნებისყოფის წყალობით კრომველმა არა მარტო განუხრელი გახადა ჯარისკაცების ცნობიერებაში წესის და რიგის აღსრულება, არამედ ამ ცნობიერების განუყოფელ ნაწილად აქცია სისასტიკემდე მისული დაუნდობლობა მონინალმდეგის და ალბათ უფრო მეტად საკუთარი თავის მიმართ.

მტრის არ დანდობა ბრძოლის ველზე და ასეთივე უშელავათო ღვთისადმი მორჩილება, – აი, ორი გრძნობა, რომელიც ამოძრავებდა და აღანთებდა კრომველის მეომრებს ბრძოლის ველზე. მათ საკუთარი თავი აფიქრებდა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ რაც შეიძლება მეტად ქცეულიყვნენ ღვთის ნების აღსრულების

იარაღად, რომელთაც ერთადერთი მოწოდება ჰქონდათ – გაენადგურებინათ მისი მტრები. კრომველი და მისი ჯარისკაცები პირველ რიგში იცნობიერებდნენ საკუთარ თავს როგორც ღვთის მხედრობას და შესაბამისად, მის წინაშე ნებისმიერი ზღუდე თუ დაბრკოლება უძლური იყო. კრომველის, როგორც მხედართმთავრის დამსახურება და სიდიადე პირველ რიგში მდგომარეობს იმაში, რომ მან პურიტანობის აბსტრაქტულ იდეებს აზიარა თავისი მეომრები და მათ შეგნებაში ეს იდეები ყოველდღიურ, ყოფით ნორმებად აქცია, რომლებიც განუხრელად სრულდებოდა ბრძოლის ველზე. ღვთის ნების ზეობის ხილვა და მისი აღსრულების იარაღად ყოფნა – აი, კრომველის პურიტანი ჯარისკაცების ცნობიერების არსის მწვერვალი.

სწორედ იდეოლოგიური პრინციპი აქცია კრომველმა თავისი, როგორც მხედართმთავრის და მეთაურის საქმიანობის ამოსავალ წერტილ-

ლად. სამოქალაქო ომის საწყის ეტაპზე პარლამენტის ჯარის წარუ-
მატებლობის მთავარი მიზეზი მან ჯარის დაბალ მორალურ დონეში,
საკუთარი ღირსების ცნების უქონლობაში დაინახა. სწორედ აქედან,
პარლამენტის ჯარის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლის აღმოფხვრიდან
დაიწყო კრომველის აღზევება. სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე მან
დაუფარავად განუცხადა პარლამენტის მესვეურებს, თუ რას ფიქრობდა
პარლამენტის ჯარზე: „ხელზე მოახლე ბიჭების, შევირდებისა და მიკიტ-
ნების გროვა ვერასოდეს შეებრძოლება პიროვნული ღირსებით აღსავსე
ადამიანებს“ (კრომველი მეფის მომხრე დიდგვაროვან-როიალისტებს
გულისხმობდა), – უთხრა მან ჯონ ჰემპდენს ეჯჰილთან ბრძოლის შემ-
დეგ, რომელშიც მეფემ გაიმარჯვა (Fraser, 2002: 68).

კრომველის წინასწარმეტყველება გამართლდა. ამიტომაც მან პარ-
ლამენტს შესთავაზა ჯარის ორგანიზების დროს მთელი ყურადღება
რელიგიური ენთუზიაზმის გაძლიერებაზე გადაეტანათ. რელიგიური
აღმაფრენა, პურიტანობის იდეებისადმი ერთგულება, ბიბლიის (პირველ
რიგში ძველი აღთქმის) დებულებების წარბშეუხრელი მიდევნება,
ურყევი რწმენა მეორედ მოსვლის შემდეგ ათასწლოვანი, საყოველთაო
კეთილდღეობისა და თანასწორობის საუფლო სამეფოს დამყარებაში,
აი ეს უნდა ყოფილიყო კრომველის აზრით ჯარისკაცთა და ოფიცერთა
ცნობიერების ქვაკუთხედი. ეს პრინციპები უკვე დანერგილი იყო იმ
შენაერთში, რომელიც კრომველმა საკუთარი სახსრებით ჩამოაყალიბა,
აღჭურვა და თავად გაუძღვა მას პირველსავე ბრძოლაში. რკინისებრი
დისციპლინა, არნახული თავდადება, ფანატიზმამდე ასული რელიგი-
ურობა, ლოთობისა თუ ბილწისიტყვობის სასტიკი აკრძალვა (რისთვისაც
დამნაშავეებს საჯაროდ როზგავდნენ და ხუნდებს ადებდნენ), ასეთი
იყო კრომველის რაზმში მოქმედი წესები. მისი ჯარისკაცები ბრძოლაში
ბიბლიური ფსალმუნების გალობით მიდიოდნენ. ჯარისკაცებს ურყევად
სჯეროდათ, რომ ღმერთის ნებას ასრულებდნენ. „წუხილი ხომ არ მიგყ-
ვება ამ ქვეყნიდან მიმავალს?“ – ჰკითხა კრომველმა თავისი რაზ-
მის მომაკვდავ ახალგაზრდა პურიტან-ჯარისკაცს, თავისი მეგობრის
შვილს, ვალენტაინ უოლტონს. „მხოლოდ ის, რომ უფალმა არ მომცა
საშუალება უფრო მეტი მისი მტერი მომესპო“, – უპასუხა ჯარისკაცმა
კრომველს (Fraser, 2002: 159). თავისი შეუვალობისა და სიმტკიცის გამო
კრომველს რკინისგვერდებიანს (Ironsides) უწოდებდნენ. მოგვიანებით ეს
მეტსახელი მის რაზმზეც გავრცელდა. თავის ჯარისკაცებს კრომველი
არა გვარისშვილობის და სოციალური მდგომარეობის მიხედვით, არ-

ამედ პურიტანობისადმი ერთგულების საფუძველზე არჩევდა. კრომველის შენაერთი იქცა ახალი ყაიდის ჯარის (New Model Army) ბირთვად, რომელიც ზემოაღნიშნული პრინციპების მიხედვით ჩამოყალიბდა.

კრომველის ზედმინვენითი ზრუნვა დასახული მიზნის მისაღწევად არა მარტო ჯარისკაცებზე ვრცელდებოდა. გადანყვიტა რა ცხენოსანთა სამაგალითო შენაერთის შექმნა, კრომველი იგივე ყურადღებით მოეკიდა ცხენების შერჩევას და მათ მოვლა-პატრონობას. როგორც უკვე ითქვა, ინგლისში ჯიშიანი ცხენების გამოყვანა მხოლოდ XIX ს. დაიწყო. ადგილობრივი ჯიშის კარგი ცხენი იშვიათი და ერთობ ძვირი იყო, მისი ფასი 5-10 გირვანქა სტერლინგის ფარგლებში მერყეობდა, მაგრამ ისიც კი ერთობ უფერულად გამოიყურებოდა შემოყვანილი არაბული ან ბერბერული ბედაურების ფონზე. ამიტომაც, კრომველი მაქსიმალურად ცდილობდა კარგი ცხენი შეეძინა თავისი ცხენოსნებისათვის. გარდა ამისა, კრომველისათვის არ იყო სულერთი, თუ ვისგან იყიდდა ცხენს. იგი არჩევანს ყოველთვის აკეთებდა მასზე, ვინც თავისი მრწამსით პარლამენტის მომხრე იყო. სამხედრო მოქმედებათა გაცხოველებასთან ერთად ცხენების შესყიდვა თანდათან მათი კონფისკაციით შეიცვალა. ამან გაზარდა ცხენების რაოდენობა და იმავდროულად კრომველის მოთხოვნები. იგი კატეგორიულად ილაშქრებდა მისი ცხენოსნებისათვის და საერთოდ პარლამენტის კავალერიისათვის მოქანცული ცხენები მიეცათ. „ეს გაძვალტყავებული ჯაგლაგები თავისი მხედრების სიმძიმეს ვერ გაუძლებენ და დაეცემიან“ – გულისწყრომით ამბობდა კრომველი (Fraser, 2002: 116).

სამოქალაქო ომის პირველმა დიდმა ბრძოლამ, რომელიც 1642 წ. მოხდა ეჯჰილთან და პარლამენტის დამარცხებით დამთავრდა, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა კრომველზე. როგორც ცხენოსანთა მეთაური, იგი განცვიფრებული დარჩა მეფის კავალერიის მოქმედებით, რომელსაც ჩარლზ II დისნული, უფლისწული რუპერტი მეთაურობდა. რუპერტი იყო ტიპიური კავალერი (ასე ეძახდნენ მეფის მომხრე დიდგვაროვნებს, მათი მოხდენილი ჩაცმა-დახურვის, ვარცხნილობის და დახვეწილი მანერების გამო) და შესაბამისადაც იბრძოდა. არნახულად ამაყი და მამაცი, იგი როიალისტებისათვის მათი საქმის სიმართლის და სიდიადის მაგალითი იყო ბრძოლის ველზე. რუპერტის კავალერია მტერს გრიგალივით დაატყდებოდა და გააცამტვერებდა მას.

სწორედ ეს მოხდა ეჯჰილთან. რუპერტის კავალერიის ელვისე-ბურმა შეტევამ უკუაქცია პარლამენტის ჯარი, რომელმაც ფაქტიურად

გაქცევით უშველა თავს. მაგრამ მერე ერთობ საინტერესო რამ მოხდა, რაც სხვა ბრძოლებშიც განმეორდა. მეფის ცხენოსანი ჯარი ამ გრიგალისებური შეტევის შემდეგ კი არ გადაჯგუფდა და ახალი ტაქტიკური სვლისათვის მოემზადა, არამედ პარლამენტის ჯარის აღალის ძარცვას მიყო ხელი. ამან კიდევ ერთხელ დაარწმუნა კრომველი ჯარისათვის რკინისებრი დისციპლინის უპირობო მნიშვნელობაში.

თავისი კავალერიის პირველი ხუთი ქვეგანაყოფი კრომველმა 1643 წ. მარტში ჩამოაყალიბა. იმავე წლის სექტემბერში მათი რიცხვი ათამდე გაიზარდა. 1643 წ. აპრილში კრომველის ხელქვეით უკვე 14 ესკადრონი იყო, რომელიც 1400 კარგად განვრთნილ და შეიარაღებულ ცხენოსანს ითვლიდა. კრომველის მეცადინეობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. პირველ წარმატებას კრომველის კავალერიამ 1643 წ. მაისში მიაღწია ბოლტონთან ბრძოლაში. მიუხედავად მონინალმდეგის რიცხვობრივი უპირატესობისა, კრომველი გაბედულად ეკვეთა როიალისტებს და სასტიკად დაამარცხა ისინი. ამ გამარჯვების აღსანიშნავად პარლამენტმა დადგენილება გამოიტანა: „გამოეყოს პოლკოვნიკ ოლივერ კრომველს სამი ათასი გირვანქა სტერლინგი მისი ცხენოსანი შენაერთის შენახვისა და გაზრდისათვის.“ თავად კრომველმა მისთვის ჩვეული რელიგიური აღმადგენით აღსავსე პატაკი გაუგზავნა პარლამენტს. „უფალმა გვიბოძა ეს ბრწყინვალე გამარჯვება, ღვთის ნებით ერთმა მუჭა ხალხმა გამარჯვების სასწორი თავის სასარგებლოდ გადახარა,“ – წერდა იგი (Fraser, 2002: 125). ბოლტონთან წარმატებას გრენტამთან გამარჯვება მოყვა. 1644 წ. ზაფხულში კრომველის კავალერიამ აღმოსავლეთის საგრაფოებში წარმოებულ ყველ მცირე თუ მეტ-ნაკლებად მასშტაბურ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის თავი გამოიჩინა სტამფორდის ალებასა და პიტერბოროს დაცვაში.

საინტერესო მოვლენები ახლდა ბარლი ჰაუსის ალებას ნორზჰემპტონშირის საგრაფოში. 1643 წ. 24 ივლისს კრომველმა თავისი ცხენოსანი ჯარით ალყა შემოარტყა ბარლი ჰაუსს და როიალისტებს დანებება შესთავაზა. როიალისტებმა უარით უპასუხეს. მაგრამ როდესაც კრომველის კავალერიას დამხმარე ძალად მუშკეტერები და არტილერია მიუვიდა, როიალისტები უმალ დანებდნენ. იმ დროის საომარი წეს-ჩვეულებებისა და დაუნერული კანონების მიხედვით კრომველს სრული უფლება ჰქონდა ციხე-კოშკი იერიშით აეღო და დამცველებიც არ დაენდო. მაგრამ მან სიკვდილის მუქარით აუკრძალა თავის ჯარისკაცებს მონინალმდეგეების მოკვლა და ციხე-კოშკი ყოველგვარი მსხვერპლის

გარეშე აიღო.

შემდეგი ბრძოლა, რომელშიც კრომველმა კვლავ გამოავლინა სიმტკიცე და ჟინი, რომლის წყალობით პარლამენტის არმიამ სძლია როიალისტებს, გეინსბოროსთან გაიმართა. როიალისტებს უკეთესი პოზიცია ეკავათ და ისინი არნახული ძალით დაატყდნენ თავს პარლამენტის ჯარს, რომლის მარჯვენა ფრთას კრომველი მეთაურობდა. სწორედ კრომველის შენაერთის სიმტკიცის წყალობით იქნა შეჩერებული მეფის ჯარის გააფთრებული შეტევა. კრომველი თავად მიუძღოდა ამ სისხლისმღვრელ ბრძოლაში თავის ცხენოსნებს და საბოლოოდ მათი თავგანწირვის წყალობით როიალისტები უკუიქცნენ.

ამის შემდეგ კრომველმა განახორციელა მოხერხებული მანევრი, მტერს ზურგიდან შეუტია და პრაქტიკულად გაანადგურა მეფის ჯარის რეზერვი. ასევე წარმატებული ამოდგა პარლამენტისათვის უინსბისთან ბრძოლა 1643 წ. 10 ოქტომბერს. ბრძოლა დრავუნებმა დაიწყეს, რომლებსაც კრომველის ცხენოსნები მიყვნენ, კვლავ მისივე უშუალო მეთაურობით. თვითმხილველები იხსენებდნენ, რომ როდესაც კრომველის კავალერია შეტევაზე დაიძრა, ბრძოლის ველს გამკვიანი ხმები მოეფინა. კრომველის ცხენოსნები ფსალმუნების ხმამაღალი გალობით მიდიოდნენ ბრძოლაში (Fraser, 2002: 137). შეტევის დასაწყისში კრომველს ცხენი მოუკლეს. იგი უმაღლეს ცხენს მოახტა და გაუძღვა ჯარს. კრომველის და მისი „რკინისგვერდებიანების“ სიმამაცისა და თავდადების წყალობით როიალისტები დამარცხებულ იქნენ.

ამ გამარჯვებებმა კრომველს არნახულად გაუთქვეს სახელი. იგი ღვთის რჩეულის შარავანდედით შეიმოსა. „ღმერთი უმაგრებს მას ზურგს და იგი ცნობილი ხდება,“ - ამბობდა ჯოშუა სპრიგი, პარლამენტის ჯარში მყოფი ერთ-ერთი პურიტან მღვდელი. „ეს ადამინი ბრძენი და შემოქმედებითი თავის პატრონია. იგი ყველას უყვარს, რადგანაც არნახულად მამაცია და ღრმად მორწმუნე“, - ამბობდა პარლამენტის ჯარში მყოფი შოტლანდიელი, ვინმე ბეილი (Bar, 1991: 173.) მისით მონიხალმდებელებიც კი დაინტერესდნენ. „კრომველი აქ არის?“ - იკითხა უფლისწულმა რუპერტმა მარსტონ მურთან ბრძოლის წინ. ეს ამბავი პარლამენტის ბანაკში როიალისტების მიერ დატყვევებულმა და მერე განთავისუფლებულმა ერთმა ჯარისკაცმა მოიტანა. „ღვთის მაძლით იგი კიდევ ბევრს იბრძოლებს“ - პირქუშად და თავდაჭერილად ჩაილაპარაკა კრომველმა, როდესაც მან უფლისწულის ეს ნათქვამი გაიგო (Fraser, 2002: 146).

სწორედ მარსტონ მურის ბრძოლამ, რომელიც გაიმართა 1644 წ.

2 ივლისს, განამტკიცა და შეუვალა გახადა კრომველის ავტორიტეტი. გარკვეულწილად ეს იყო ცხენოსანი ჯარის ორი მეთაურის – თავზეხელაღებულიად მამაცი უფლისწულ რუპერტისა და მკაცრად ორგანიზებული, დისციპლინირებული ოლივერ კრომველის შერკინება. წვიმისა და ატალახებული ნიადაგის მიუხედავად მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელად პარლამენტის ჯარი შეტევაზე გადავიდა. კრომველის ცხენოსნების შეტევა იმ მგრავინავ მეხისტეხას გავდა, რომლის ფონზეც ისინი მტერს ეკვეთნენ. ეს იყო ახალი ტიპის შეტევა. მხედრები არა გაფანტულად, არამედ შემჭიდროვებულად, ერთ მასად მიჰქროდნენ, ძალზე სწრაფად, უფრო ჩორთით, ვიდრე ოთხით, მაგრამ ეს სწრაფი სრბოლა ერთი მთლიანი შენაერთის ზოგად კონტროლს ექვემდებარებოდა. „ისინი ვეებერთელა ლეგა ღრუბლებს წააგავდნენ“, – ამბობდა პარლამენტის ჯარში მყოფი მღვდელი, სიმონ ეიში, რომელიც გორაკიდან ადევნებდა თვალს შეტევას. „ჩვენ გაბედული წესრიგითა და მანამდე არნახული შემართებით ვიყავით აღვსილები, როდესაც გორაკიდან დავეშვიტით,“ – სიამაყით იხსენებდა კრომველის საბრძოლო დაზვერვის უფროსი ლეონარდ უოტსონი (Fraser, 2002: 155).

თავად კრომველი ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდში დაიჭრა და გარკვეული დროით იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა ცეცხლის ხაზი. როგორც ჩანს, კრომველის წინ ხაზზე ყოფნა-არყოფნა მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ბრძოლის მსვლელობას. ამას ისიც ადასტურებს, რომ უფლისწულმა რუპერტმა, რომელმაც კრომველის ფრთას შეუტია, რათა ამ უკანასკნელის მიერ შევიწროვებულ ლორდ ბაირონს (დიდი პოეტის წინაპარს) დახმარებოდა, შესძლო წარმატების მიღწევა.

მაგრამ რუპერტის წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. დაბრუნდა რა მწყობრში, კრომველმა გადააჯგუფა თავისი ძალები და ხელახალი შეტევა წამოიწყო. კრომველის უშუალო მონაწილეობამ, მისმა სამაგალითო შემართებამ ბრძოლის ბედი ფრონტის ამ მონაკვეთზე პარლამენტის სასარგებლოდ გადაწყვიტეს. კრომველის ცხენოსნებმა უკუაქციეს რუპერტის კავალერია, რომლის უკანდახევა უწესრიგო გაქცევად გადაიქცა. კრომველის კავალერიის შეტევასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, კრომველის ცხენოსნები მოწესრიგებული რიგებით უტევედნენ, სრული წესრიგი შეინარჩუნეს შეტევის შემდეგ და მზად იყვნენ ნებისმიერი ახალი ტაქტიკური სვლის განსახორციელებლად.

მაგრამ ფრონტის სხვა მონაკვეთებზე პარლამენტისათვის არასახ-

არბიელო მდგომარეობა შეიქმნა. სერ თომას ფერფაქსის და გრაფ მანჩესტერის შენაერთები უკან იხევდნენ. მდგომარეობა აქაც კრომველმა იხსნა. მიიღო რა შეტყობინება ფერფაქსისაგან, რომელიც კრიტიკულ სიტუაციაში იმყოფებოდა, მან სასწრაფოდ მოაბრუნა თავისი კავალერია და ისეთივე მწყობრი რიგებით თავს დაატყდა ლორდ გორინგს, რომელიც ფერფაქსს უტევდა. შეტევა ისეთი მოულოდნელი და ძლიერი იყო, რომ გორინგის შენაერთი უკუიქცა და ბოლოს გაქცევით უშველა თავს. კრომველმა იორკამდე სდია მონინალმდეგეს და ფაქტიურად გაანდგურა იგი. ბრძოლა პარლამენტის ჯარის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ბრძოლის შემდეგ კრომველის ცხენოსნები ჩამოქვეითდნენ და წესისამებრ ფსალმუნების გალობით ღმერთს მადლობა შესწირეს გამარჯვებისათვის.

მარსტონ მურის ბრძოლამ არნახულად გაზარდა კრომველის ავტორიტეტი. თანამებრძოლები და თვით მტრებიც კი მისთვის ქებადიდებას არ იშურებდნენ. „მას ის უნარი აქვს, რომელიც პრაქტიკულად უცნობია ცხენოსანი ჯარის დღევანდელი მეთაურებისათვის – პირველი შეტევის დასრულებამდე შეუნარჩუნოს თავის მხედრებს მწყობრი სვლა და უმაღლესი ნამოინცოს ახალი შეტევა,“ – ამბობდნენ თვითმხილველები. სწორედ მარსტონ მურის შემდეგ შეარქვა უფლისწულმა რუპერტმა კრომველის მხედრებს „რკინისგვერდებიანები“, რადგან დარწმუნდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მათი რიგების გარღვევა. „ევროპას არ ახსოვს ამაზე უკეთესი ჯარისკაცები,“ – ამბობდა 30-წლიანი და ინგლისის სამოქალაქო ომის მონაწილე, თავად ცნობილი სარდალი, შოტლანდიელი ალექსანდრ ლესლი (Baird, 1991: 179). მაღალ შეფასებას აძლევდა კრომველის ცხენოსან ჯარს მეფის ბანაკის თვალსაჩინო წარმომადგენელი ედუარდ ჰაიდი, შემდგომში გრაფი კლარენდონი. „მეფის კავალერია წარმატებით უტევს მონინალმდეგეს და დიდ ზარალს აყენებს მას. მაგრამ მას არ სძალუძს ამის შემდეგ მოაწესრიგოს თავისი რიგები და ახალი შეტევა წამოიწყოს. კრომველის კავალერია კი წარმატებული თუ წარუმატებელი შეტევის მიუხედავად ყოველთვის ინარჩუნებს მწყობრს, მუდამ საბრძოლო მზადყოფნაშია და მზად არის ნებისმიერი ბრძანება შეასრულოს,“ – წერდა ჰაიდი (Fraser, 2002: 202).

სამოქალაქო ომის გადამწყვეტი ბრძოლა ნესბისთან მოხდა, ნორჰემპტონშირის საგრაფოში, 1645 წ. 14 ივნისს. როგორც თვითმხილველები იხსენებდნენ კრომველი ბრძოლის წინ ძალზე კარგ გუნებაზე იყო, ხუმრობდა, იცინოდა და თავის ჯარისკაცებს რიხიანი შეძა-

ხილებით ამხნევებდა. „ღმერთს მადლობას ვწირავ იმისათვის, რომ მან გამარჯვების რწმენით აღმავსო,“ – ამბობდა კრომველი (Fraser, 2002: 195).

ბრძოლის წინ კრომველმა კარგი პოზიცია შეარჩია, თავისი კავალერია ტაფობში განალაგა და ამით მოაცილა იგი მონინალმდეგის თვალხედვის არეს. გარდა ამისა, მან კარგი მანევრი განახორციელა, რითაც როიალისტების შეტევის პროვოცირება მოახდინა მათთვის არც თუ ისე სახარბიელო პოზიციიდან.

ბრძოლა როიალისტებმა დაიწყეს. უფლისწული რუპერტი კვლავ გრიგალივით დაატყდა პარლამენტის ჯარს. მაგრამ როგორც ყოველთვის, იგი გაერთო შეტევით, მოსწყდა ძირითად ძალებს, ხოლო მისი მხედრები კვლავ ძარცვით გაერთნენ. სწორედ ამ დროს ბრძოლაში ჩაება კრომველის კავალერია. მან ჯერ ფლანგიდან დაარტყა მის წინ მდგარ სერ მარმადიუკ ლანგდეილს და გააქცია იგი, მერე კი როიალისტების ჯარის ცენტრს დაატყდა თავს, რომელსაც ლორდი ესტლი მეთაურობდა. კრომველის კავალერიის შეტევა ორივე შემთხვევაში იმდენად ძლიერი იყო, რომ მონინალმდეგის რიგები გარღვეულ იქნა და „რკინისგვერდებიანები“ მეფის რეზერვებს დაატყდნენ თავს. ჩარლზ I გაქცევით უშველა თავს.

ამგვარად ნესბისთან კრომველის მიერ განუელმა ჯარის წვრთნამ კვლავ გამოიღო ნაყოფი. ეს იყო რკინისებრი დისციპლინის და მწყობრად ბრძოლის უნარის გამარჯვება მამაც, თავზეხელაღებულ, მაგრამ შეუთანხმებელ მოქმედებაზე. კრომველი არასოდეს უტევდა ისე, რომ მისი შენაერთის ცალკეულ რაზმებს ერთმანეთთან კავშირი გაენწყვიტათ. როდესაც ერთი ესკადრონი უტევდა და მიერეკებოდა მტერს, მის მიერ განთავისუფლებულ ადგილს მეორე იკავებდა, რომელიც მზად იყო საჭიროების შემთხვევაში მონინავე რიგებს დახმარებოდა. კრომველის ესკადრონები არასოდეს შორდებოდნენ ერთმანეთს ისე, რომ ზურგი ან ფრთა გაეშვივლებინათ და ამით მონინალმდეგისათვის მოწყვლადები გამხდარიყვნენ. მაშინაც კი, როდესაც მონინალმდეგე დამარცხებული იყო და მის განადგურებას თითქოსდა ბუნებრივად მოყვებოდა თარეშისა და ძარცვა-გლეჯის სურვილი, კრომველის ცხენოსნები ინარჩუნებდნენ თავის მკაცრ დისციპლინას და თავი შორს ეჭირათ მეფის არმიის ალალისაგან.

ამ მხრივ აბსოლუტურად განსხვავებულად მოქმედებდა რუპერტის კავალერია. როგორც სხვა ბრძოლებში, ნესბისთანაც რუპერტმა მამა-

ცურად შეუტია პარლამენტის ჯარს, უკუაგდო კიდეც მის წინ მდგომი ჰენრი აირტონის ნაწილები, მაგამ კვლავ გაერთო ჯერ შეტევით და მერე მტრის ალაღის ძარცვით. შესაბამისად, რუპერტი მოსწყდა მეფის ჯარის ძირითად ნაწილს, ხოლო როცა უკან მობრუნდა, ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და უფლისწულიც თავისი შენაერთით შეუერთდა მეფის დამარცხებულ ჯარს. ნესბის ბრძოლამ არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით წელში გასტეხა როიალისტები. ჩარლზ I აღარ ჰქონდა მატერიალური საშუალება გაეგრძელებინა ომი. ამიტომ მან მოტალანდიელთა ბანაკს შეაფარა თავი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთ არ სურდათ ინგლისელებთან ურთიერთობის გაფუჭება და ამიტომაც მათ მოგვიანებით მეფე პარლამენტს გადასცეს.

ნესბისთან გამარჯვება უავოდ კრომველის და მისი კავალერიის დამსახურება იყო, რომელმაც თავისი სარდლის გულმოდგინე მეცადინეობის და უმკაცრესი დისციპლინის წყალობით ისწავლა შეტევა, გადაჯგუფება და ახალი შეტევის წამოწყება. თავად კრომველმა აღტაცებული პატაკი გაუგზავნა პარლამენტს. „სერ, ეს სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნება. მისმა მარჯვენამ გვიბოძა ეს გამარჯვება,“ – სწერდა კრომველი პარლამენტის სპიკერს უილიამ ლენტოლს. „პატიოსანი და მართალი ხალხი თქვენ ერთულად გემსახურათ,“ – ასე აღნიშნავდა კრომველი ახალი ყაიდის ჯარის ჯარისკაცებისა და ოფიცრების სიმამაცესა და თავგანწირვას (Fraser, 2002: 202). ლონდონში გამარჯვებას ზარ-ზეიმით შეხვდნენ. პარლამენტმა დარბაზობა გამართა, რომლის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ ეთხმად იგალობა 46-ე ფსალმუნი. ლონდონის ქუჩებში 3 ათასი ტყვე როიალისტი გაატარეს ძველი რომის ტრიუმფის მსგავსად. მეფის პარტიის ბანაკში ისეთი დაბნეულობა სუფევდა, რომ რამოდენიმე კვირით შეწყდა მათი გაზეთის „მერკურიუს აულიკუსი“ – ს გამოცემა. მოგვიანებით კი გაზეთი საერთოდ დაიხურა.

აი ასეთები იყვნენ ოლივერ კრომველი და მისი „რკინისგვერდებიანები“. საოცარია, რომ ადამიანი, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი სამოქალაქო საქმიანობაში გაატარა, დაკავებული იყო სოფლის მეურნეობით, გადასახადების აკრეფით, ერთობ მოწინააღმდეგე ასაკში (43 წლის) დაიწყო სამხედრო კარიერა და შეიძლება ითქვას, არნახულ წარმატებას მიაღწია. თავისი დაუმრეტელი სულიერი და ფიზიკური ენერჯია კრომველმა შეადუღა მოჯირითისა და მოფარიკავეს სიმამაცესა და ოსტატობასთან. ამის წყალობით მან ისეთი გავლენა მოიპოვა თავის ჯარიკაცებზე, რომ მისი მეთაურობით ისინი ნებისმიერ სიძნე-

ლესა თუ ხიფათს უშიშრად ეგებებოდნენ (Военная, 1871: 24). ამიტომაც მან ყველასათვის მოულოდნელად დაამარცხა მონინაალმდეგეები, რომლებიც მეომრებად და რაინდებად იყვნენ დაბადებული და რომლებიც კრომველს და მისთანებს მდაბიოებად და თავის სწორ მეტოქეებად არ მიიჩნევდნენ.

თვითონ კრომველი თავის გამარჯვებებს ღვთის ნებას მიაწერდა. „მე ღიმილით ვადიდებ ღმერთს, რომელმაც გამარჯვების რწმენა მომცა. მხოლოდ მას სძალუძს არაფრიდან გააცამტვეროს ის, რაც ყველაფერს წარმოადგენს.“ იყო რა სისხლით ხორცამდე პურიტანი, ის თავის გარშემო იკრებდა ხალხს, ვისაც უწყევად სწამდა ძველი აღთქმის ღმერთისა, რომელიც ბრძოლაში გაუძღვებოდა მათ, ხოლო ეს უკანასკნელნი მისთვის სიცოცხლეს არ დაიშურებდნენ. კრომველი არა მარტო მკაცრ დისციპლინას ამკვიდრებდა თავის ჯარში და მის დამრღვევებს სასტიკად უსწორდებოდა. ჯარისკაცები ხედავდნენ, რომ ეს ადამიანი ხმალამოღებული თავად მიუძღოდა მათ ბრძოლაში, მათთან ერთად თებოდა ბანაკში გაჩაღებულ კოცონთან, მათ ხუმრობას ხუმრობითვე პასუხობდა და არ თაკილობდა მათი უხეში, ზოგჯერ უშვერი სიმღერების მოსმენას. კრომველი შეიძლება მათ გაუთლელი, მაგრამ გულანთებული სიტყვებით მიმართავდა, მათთან ერთად და მათთვის ლოცულობდა და ჯარისკაცებსაც სჯეროდათ, რომ ეს ადამიანი მათი მეკავშირე იყო ღმერთთან ურთიერთობაში, რომელიც იმ საქმეს უმაგრებდა ზურგს, რომლისათვისაც ისინი იბძოდნენ (Wilson, 2000: 320). ღიმილი და აღმაფრენა, რომელიც კრომველს ბრძოლაში სახეზე ეფინებოდა, აღანთებდა მის მხედრებს, რომლებიც გამარჯვების რწმენით აღვსებულები, უწყევად მიყვებოდნენ თავის მეთაურს.

Oliver Cromwell – Puritan and Captain

Summary

The given article sheds lustre on the crucial figure of English Civil War – Oliver Cromwell and his contribution to the victory of Parliament’s army over Cavaliers. Starting from description of emergence and development of cavalry as the military force since ancient times, the article deals later with the state of an English cavalry in 17th century, describes its main subdivisions and characteristics. These types of horsemen were core of English cavalry in the first half 17th century. The Civil War and particularly Cromwell’s intervention, his approach completely changed the principles of warfare in the field of cavalry. The crucial thing in the novelties introduced by Cromwell was the strengthening of morale of his horsemen. Being himself devoted puritan, Cromwell made principles of Puritan morality the basement of the belief of his cavalymen. Selfless, devotion to Puritan values combined with the extremely strict discipline and effective tactical novelty invented by Cromwell secured success of his „Ironsides“ in numerous battles and gained the final victory of Parliament’s troops over Royalists.

დამონუმებული ლიტერატურა:

1. Барг М.А. Великая английская революция в портретах деятелей. М., 1991.
2. Военная библиотека. Т.III . История и тактика кавалерии, Нолана. СПб. 1871.
3. Fraser A. Cromwell. Our Chief of Men. Phoenix. L. 2002.
4. Wilson D. The King and the Gentleman. Charles Stuart and Oliver Cromwell. Pimlico. L. 2000.
5. <http://bcw – project.org/military/un>

„თეთრი გვირილის“ საქველმოქმედო დღე

ქველმოქმედებას კაცობრიობა ოდითგანვე ეწეოდა (ფილანტროპი – ქველმოქმედი, მონყალე პიროვნება, თანამედროვე განმარტებით აღნიშნავს „საზოგადოების სასარგებლოდ განეულ პირად ღვაწლს, რომელიც მიმართულია ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად“) (უცხო სიტყვათა, 1973). ანტიკურ პერიოდში ტერმინი გამოიყენებოდა ცხოველთა დაცვის კუთხით.

პირველად „თეთრი გვირილის“ ორგანიზება და აღნიშვნა მოხდა შვედეთში – 1908 წლის 1 მაისს.

გვირილას, როგორც ბუნებრივ ანტიბიოტიკს, ტუბერკულოზთან ბრძოლაში სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. გაზაფხულის ამ დღეს გაყიდული ყვავილებიდან მიღებული შემოსავალი ტუბერკულოზით დაავადებულთა სასარგებლოდ იხარჯებოდა.

ქუთაისმა „თეთრი გვირილის დღე“ პირველად 1911 წელს აღნიშნა, გაითავისა ეს დღესასწაული და საქართველოს ქალაქებს შორის იგი იყო ქველმოქმედების პიონერი და ორგანიზატორი.

ეროვნულ არქივში ინახება ქუთაისში 105 წლის წინ აღნიშნული „გვირილობის“ დღესასწაულის ფოტო, სადაც ქალაქის ცენტრალურ უბანში გამართული „გვირილობის“ საზეიმო კადრია ასახული.

„გვირილობა“ საქართველოში 1928 წლამდე აღინიშნებოდა. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი 1983წ.) და მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში აღდგა ჟურნალისტ მანანა ლაცურიანის ინიციატივით (ენციკლოპედია „იმერეთი“, 2008).

ქუთაისში „თეთრი გვირილის“ საქველმოქმედო დღის დამაარსებელად მოიაზრებენ ვექელ ჩიქოვანის ცოლს, სილამაზის დედოფლად აღიარებულ, საშა ჭილაია- ჩიქოვანს, რომელიც მომავალ მეუღლეს თავად ჩიქოვანს მშობლიური სოფლიდან ჩამოუყვანია, კარგი განათლება მიუცია და ინტელიგენტ ქალად ქცევის შემდეგ ცოლად შეურთავს. საშა ყოფილა პირველი, რომელსაც 1909 წელს, კალათაში ჩაწყობილი გვირილებით, მოუთხოვია საქველმოქმედო დახმარების განწევა ტუბერკულოზით დაავადებულ ავადმყოფებისათვის. (მხცოვანი ქუთაისელი ქალბატონების: ვერა გვანცელაძე – ჯიქიას და ნინო ხათრიძე – ფილი-

პოვის მოგონებებში აღწერილია და დაცულია ამ ფაქტის ამსახველი მასალები, ენციკლოპედია იმერეთი, ქუთაისი 2008 წ). ამ ტრადიციას გიმნაზიელი გოგონები წლების განმავლობაში აცოცხლებდნენ და მოსახლეობას გვირილებს ჩუქნიდნენ.

საშა ჩიქოვანი, ორ გიმნაზიელთან ერთად (ვაჟის-ფულისათვის განკუთვნილი ყულაბით და გოგონას - გვირილებით სავსე კალათით და ქინძისთავით ხელში) მიემართებოდა ქუთაისის ქუჩებში. წინამძღოლის დიდებული ქალბატონის პატივისცემით, გზად შემხვედრი ადამიანები უარს არ ამბობდნენ ყულაბაში თანხის ჩაგდებაზე, ქინძისთავით გულზე ამაგრებდნენ გვირილას, რომელიც სამი დღე უნდა ეტარებინა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გიმნაზიელები ჩუმად იხსნიდნენ მიმაგრებულ გვირილებს, რომ ხელახლა შეხვედროდნენ სილამაზით განთქმულ საშა ჩიქოვანს. საკინძეზე მიმაგრებული გვირილა შემდეგ ქუთაისის სიმბოლოდ იქცა, მოგროვილი თანხა, საქველმოქმედო საზოგადოებას ბარდებოდა (ენციკლოპედია „იმერეთი“ 2008). ცნობილია, რომ საშა ჩიქოვანი ხშირად მეფლისებსაც მართავდა და შემოსული თანხით ეხმარებოდა ავადმყოფებს. საშა ჩიქოვანი-ჭილაია არამარტო სილამაზით გამოიერჩეოდა, არამედ სიკეთით და მოყვასის სიყვარულითაც. არსებობს ასეთი ფაქტი-გადასახლებაში მყოფ საშას სახის კრემები შესდიოდა ციხეში, მაშინ როდესაც სხვებისთვის ინფორმაციის მიღებაც კი პრობლემა იყო. საშა ჩიქოვანი არის ერთ-ერთი პირველი ქართველი ფემინისტი ქალი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

უაღრესად საინტერესოა დამოკიდებულება რომელსაც მაშინდელი საზოგადოება ამჟღავნებდა „თეთრი გვირილის“ საქმიანობასთან დაკავშირებით, გაზეთი „კოლხიდა“ ხატოვნად აღწერს ამ პროცესს: „ფაეტონზე შემდგარი ქუთაისელი ლამაზმანი გაშლილი თმით და თეთრი გრძელი კაბით, დროშით ხელში მიუძღვოდა საყოველთაო მსვლელობას ბალის კიდეზე. ეწყობოდა დოლი, სპორტული ღონისძიებები, გვიან ღამემდე ისმოდა სასულე ორკესტრისა და „ბაბთიანი“ გიტარის ხმები ქალაქის ცენტრში...“. „გვირილობას“ ქუთაისში კარგი დარი დაუდგა. მანდილოსნები მარჯვენდ ვაჭრობდნენ და ასალებდნენ თეთრ ყვავილს. საღამოს მეცხრე საათამდე ყულაბები თითქმის ყველა საგრძნობლად დაიტვერთა შემონირულობით. გუშინ საღამოს უნდა გაეხსნათ ყულაბები და შეემონებინათ საერთო შემოსავალი, ასე რომ ხვალ გვეცოდინება რამდენი გაიღო ქუთაისმა ქლექის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“

(გაზეთი „კოლხიდა“ 1913 წ.).

ქუთაისის პარარელურად „გვირილობის“ დღესასწაული თბილისშიც მოეწყო და იყო შეჯიბრი სად მეტი თანხა შეგროვდებოდა ქლექტი დაავადებულთათვის.

სამწუხაროდ, კომუნისტურ ეპოქაში „გვირილობა“, ისევე როგორც ყველა რევოლუციის წინანდელი წამონყება დავინყებას მიეცა და ეს ტრადიცია მხოლოდ 2008 წელს ქუთაისის მერიის ინიციატივით აღდგა და სხვა ღონისძიებებთან ერთად „გვირილობის“ თეატრალიზებული სანახაობაც მოეწყო.

აღსანიშნავია, რომ 24 მარტი ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. „თეთრი გვირილის“ დღეც გაზაფხულზე აღინიშნება. გვირილა, როგორც სიმბოლო ჯანმრთელობის, გაზაფხულის მოსვლის, ბუნების გაღვიძების, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების, ტუბერკულოზით დაავადებულებს იმედს აძლევს. რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, ტუბერკულოზით ყოველწლიურად ინფიცირდება მსოფლიოს მოსახლეობის 1%, აღირიცხება 8 მილიონზე მეტი დაავადებული და იღუპება 2 მილიონი ადამიანი, მათ შორის 100000 ბავშვი. 24 მარტი, როგორც ტუბერკულოზის ბრძოლის საერთაშორისო დღე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით, 1992 წლიდან აღინიშნება (ქართული საბჭოთა, 1983).

1918 წლის „გვირილობის“ აღნიშვნა ქუთაისში ტრადიციულად 1 მაისის ნაცვლად 2 მაისს ქალაქის დალოცვით დაიწყო. ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტმა კალისტრატემ ქალაქი დალოცა, ბაგრატის ტაძარში მოეწყო ჩოხოსნების კურთხევა. წლებანდელ „გვირილობას“ პრეზიდენტი და პარლამენტის თავჯმომარეც დაესწრო. ღონისძიების ძირითადი ნაწილი ქუთაისის ცენტრალურ ბაღში გაიმართა. სპორტული და კულტურული ღონისძიებების სანახავად ქალაქის ქუჩებში ადამიანები დილიდანვე გამოვიდნენ. ქუთაისი დამშვენებული იყო ნათელი ფერებით, მომღიმარი სახეები სადღესასწაულო განწყობას ქმნიდა.

საინტერესო იყო ლადო მესხიშვილის თეატრის წინ ჯორჯ ბერნარდ შოუს 1913 წლის პიესის თემაზე შექმნილ სპექტაკლ „პიგმალიონის“ „ფლემშობი“. ელიზამ სამეჯლისო კაბით და ხელში გვირილების თაიგულით ქუთათელების ყურადღება მიიპყრო. „ფლემშობის“ დასრულების შემდეგ ელიზამ გვირილები შეკრებილ საზოგადოებას გადასცა.

ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმიდან მოსწავლეები გიმნაზისტ გოგონების ფორმით, დადიოდნენ ქუთაისის ქუჩებში, მო-

სახეობას ულოცავდნენ დღესასწაულს და გვირილებს ჩუქნიდნენ.

დღის განმავლობაში ქუთაისის მერიაში უცხოურ დელეგაციის მიღება მიმდინარეობდა. ქალაქის ცენტრალურ ბაღში ჩატარდა ნუმის-მატიკური გამოფენა ქალაქური მუსიკის კონცერტი, ყვავილების ფესტივალი, სხვადასხვა სახის შეჯიბრებები.

წიგნების ფესტივალი კი ქუთაისის პირველი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო. „გვირილობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალფეროვანი იყო ყველა დაწესებულების ჩართულობა, რაც ქალაქში არსებობს: უნივერსიტეტი, თეატრი, მუზეუმები, „ბაგა-ბაღები, სპორტული დაწესებულებები, ანუ ყველა ის ინსტიტუცია, რომელიც მოქმედებს ქალაქში, წიგნების გამოფენა-გაყიდვის ფარგლებში გაიმართა გიორგი კეკელიძისა და დათო ტურაშვილის საჯარო ლექციები. ქუთაისის მერიის ფოიეში დიპლომატიური კორპუსის მიღება გაიმართა. აგრეთვე ფოტო გამოფენები, რომელიც ქუთაისის მიეძღვნა.

მუხრანის ტყეში სხვადასხვა ღონისძიებები მიმდინარეობდა. გარდა იმისა, რომ თითოეული მუნიციპალიტეტი საკუთარი კუთხეებით იყო წარმოდგენილი, ასევე მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. ვანის რაიონმა წარმოადგინა ვანის ანტიკური ქალაქი: მედეა, იასონი, აგრეთვე გალაკტიონისა და ტიციანის პროტოტიპი. შთამბეჭდავი იყო ვანის არქეოლოგიური მუზეუმიდან წარმოდგენილი ის ექსპონატები, რომელიც უშუალოდ წარმოადგენს იმ დროინდელ აღმოჩენათა უნიკალურ ნიმუშებს. ბაღდათის ეთნო კუთხე წარმოდგენილი იყო ბაღდათური ღვინოების სადგურსტაციო კუთხეებით, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვით და რაც მთავარია ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის კუთხით, სადაც წარმოჩენილია ის, რომ წელს ვლადიმერ მაიაკოვსკს 125 წელი უსრულდება გაიმართა შეჯიბრება მკლავჭიდსა და ძალისმიერ სამჭიდში. სპორტსმენები შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ თბილისიდან, აჭარიდან და სამეგრელოდან.

საკმაოდ აზარტული იყო სპორტული შეჯიბრება და ასპარეზობის ბოლოს კი კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი მოეწყო (ქართველი პროფესიონალი მოჭიდავე, მსახიობი და მოჭადრაკე) (ბარნოვი, 1967).

დაახლოებით 500-მდე ღონისძიება ჩატარდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო „გვირილობის“ დღესასწაულთან დაკავშირებული უძველესი ტრადიციის აღდგენა და განმეორება. ეცადნენ ყველაფერი ძველებურად ყოფილიყო. ფაეტონით (ფაეტონი 2 მაისობის განუყ-

ოფელი ნაწილია) მოიყვანეს „ოქროს ჩარდახში“ ქალბატონები, სადაც მათ ელოდათ გაშლილი სუფრა, გრამაფონი, ჩოხები და ძველებურ ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭები, გიმნაზიის ფორმით გოგონები ხელში გვირილებით საესე კალათებით. გოგონები გვირილებს ჩუქნიდნენ მსურველებს, რომლებიც ყულაბაში გარკვეულ თანხას აგდებდნენ. ფაეტონით მოსეირნე მსახიობები ქალაქელებთან იღებდნენ სამახსოვრო ფოტოებს, ეს რიტუალი ძალიან ალამაზებდა დღესასწაულს. „გვირილობის“ დღესასწაულის კულმინაცია იყო შემოსული თანხის გადაცემა ტუბერკულოზით დაავადებული ავადმყოფებისათვის.

რევოლუციამდელი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფოტოგრაფის, დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოები (2 ალბომი) „გვირილობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით ინახება თბილისის ისტორიის მუზეუმში *День „Белой Ромашки“ 20 апреля 1912-1913 г, в г, Тифлисе*. პირველ ალბომში 14 ფოტოა, მეორეში 19. იგი დაიბადა 1846 წელს ნახიჩევანში, ზოგიერთი მკვლევარის ცნობით თბილისში. 1860-იან წლებში ერმაკოვმა გაიარა ანანურთან მდებარე სამხედრო-ტოპოგრაფიულ დეპოს დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო ტოპოგრაფების ერთწლიანი კურსი, რომელიც კავკასიის ცალკეულ კორპუსში 1812-1813 წლებში ფუნქციონირებდა. აღნიშნულ პერიოდში ის ეუფლებოდა ადგილის ტოპოგრაფიულ გადაღებას და საგამომცემლო საქმეს. 1866 წლიდან იგი უკვე მისდევს ფოტოგრაფიას. 1877-78 წლებში რუსეთ-თერქეთის ომში მონაწილეობს, როგორც სამხედრო ფოტოგრაფი. 1880 წელს ერმაკოვი თბილისში ხსნის საკუთარ ფოტოატელიეს და წარმატებით მუშაობს სხვადასხვა ჟანრში. ერმაკოვის ფოტოატელიეს გამოშვებული აქვს მრავალი ალბომი, რომელთა რაოდენობა რამოდენიმე ასეულს ითვლის. თითოეულ ალბომში შეიძლება სხვადასხვა რაოდენობის და სხვადასხვა ზომის ფოტოს ნახვა. ერმაკოვმა თავისი სამუშაო შეაფასა მეცნიერულად და ფოტოების სისტემატიზაცია მოახდინა. 1896 და 1901 წლებში მან გამოაქვეყნა ფოტოკოლაჟი თბილისში. ეს კატალოგები დაწყობილია, როგორც რუსული ანბანის მიხედვით, ასევე თემების მიხედვით. ქალაქების ხედები, ისტორიული ძეგლები და ლანდშაფტი არის ერთ კატალოგში, ხოლო ადამიანთა პორტრეტები, რომელიც დაწვრილებით ყვება სახის სხვადასხვა ტიპებზე და ეროვნული სამოსი არის სხვა კატალოგში. ფოტოები არის ორმაგად დათვლილი მისი შესაბამისი კატალოგების და ალბომების მიხედვით და ეს დანომრები შენახულია ავტორის ქსეროასლებში. კატა-

ლოგები ასევე ცალკე შეიცავს მთელ რიგ სტერეოსკოპულ ფოტოებს, რომელიც დალაგებულია ანბანის მიხედვით.

ერმაკოვის ალბომები დანყობილია მისი მხატვრული სტილისა და სისტემატიზაციის მიხედვით და დაინტერესებული ხალხისათვის შეთავაზებულია მზა სახით.

„თეთრი გვირილის“ საქველმოქმედო დღე თბილისის ცენტრალუ უბნებში იმართებოდა, ქალაქი მორთული იყო გვირილებით, რაც მას სადღესასწაულო იერს აძლევდა, ფოტოებზე ვორონცოვის მოედანია წარმოდგენილი, თბილისის საკრებულოს შენობა (თბილისის თვითმმართველობის თავდაპირველი შენობა „საქალაქო სახლი“, სადაც დღეს დედაქალაქის საკრებულოა განთავსებული და რომელიც 1824-1825 წლებში აშენდა). რუსთაველის თეატრი(რუსთაველის თეატრი დაარსდა 1887 წელს, როგორც „საარტიტო საზოგადოება“, 1921 წელს მას შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა). ოპერისა და ბალეტის თეატრი (ოპერისა და ბალეტის თეატრს გრაფ ვორონცოვის ინიციატივით, რომელიც კარგი ურბანისტი იყო, 1847 წლის 15 აპრილს საძირკველი ჩაეყარა ე. წ. „ქარვასლის თეატრის“ შენობას სახელით. იტალიური არქიტექტორის სკუდიერის ხელმძღვანელობით, თეატრი 4 წელი შენდებოდა).

საინტერესოა ერმაკოვის მიერ გადაღებული ერთ-ერთი ფოტო, სადაც ფაეტონში სადღესასწაულოდ გამოწყობილი „გიმნაზისტები“ სხედან. ახალგაზრდებს და მეეტლეს ცილინდრი დამშვენებული აქვთ გვირილებით. ფაეტონი (ეტლის ბორბლები) მორთულია ამ მშვენიერი ყვავილებით. ფაეტონის თავი გადახურულია დიდი თეთრი ბუშტით, რომელიც საზეიმო ელფერს აძლევს.

გამოირჩევა ქალაქის წარჩინებულების ფოტო, რომლებსაც დაწნულ კალათში ჩაწყობილი აქვთ გვირილები, გულზე საკინძით დაბნეული აქვთ ეს ყვავილი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქველმოქმედება უკვე გაიღეს. ერთ-ერთი ფოტო ერმაკოვმა გადაიღო დიდების ტაძართან, სადაც შეკრებილია ხალხი, მათ შორის ბავშვებიც, შუაში სადღესასწაულო ტრიბუნაში ზის სილამაზის დედოფალი, ტრიბუნა მორთულია გვირილებით.

აღსანიშნავია საზეიმოდ მორთული ოპერისა და ბალეტის თეატრის ერთ-ერთი კუთხე: დაწნულ კალათში ზის 2 ქალი და ერთი მამაკაცი, კედელი დამშვენებულია დიდი ფორმის თეთრი გვირილით, მნიშვნელოვანი ფოტო, რომელიც გადაღებულია რუსთაველის თეატრთან: სპეციალურად მოწყობილ სცენაზე მოწნულ კალათში 2 ქალბატონი ზის, ხელში

გვირილების თაიგულით. თეატრს აკრავს შენობა, რომლის თავზე ჩანს ნარწენა „Булочная,“ იქვეა გვირილებით დამშვენებული ეტლი შებმული 2 თეთრი ცხენით, რომელიც გარშემორტყმულია ხალხით.

საინტერესოა თბილისის ერთ-ერთი უბანი მამაკაცები ზურნით, დოლით და გრამაფონით, აგრეთვე ნარჩინებულ მამაკაცთა ჯგუფური ფოტო ერთ-ერთ სადარბაზოში და თბილისის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის კაბინეტი დღესასწაულის შემდეგ.

თბილისის პარალელურად, 1912-1913 წლებში ქუთაისშიც პომპეზურად აღინიშნა „თეთრი გვირილის“ საქველმოქმედო დღე.

1912 წლის 3 მაისს, პირველად მოეწყო სილამაზის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა დასავლეთ საქართველოს 8 ულამაზესი მანდილოსანი. „სილამაზის დედოფლად“ 18 წლის სოფიო ტკეციშვილი აირჩიეს. ის საოცარი სილამაზითა და ეშხით გამოირჩეოდა და ყველასათვის სამაგალითო ადამიანი იყო. სოფიო ორგინალურად წარდგა საზოგადოების წინაშე. თეთრი მიტკლის ნაჭერზე მან თავისი ხელით დათესა ჯეჯილი და სწორედ ეს გამოიყენა მოსასხამად. მოდიოდა ეტლით, რომელიც გადაპენტილი იყო გვირილებით. სოფიო პირველი სილამაზის კონკურსის გამარჯვებულად აღიარეს და გადასცეს ძალიან ლამაზი თიხის საყვავილე, რომელშიც ბევრი გვირილა იყო მოთავსებული. ეს საყვავილე დღემდე არსებობს მისი შთამომავლის სახლში, რომელიც კარგ მდგომარეობაშია.

სოფიო მართლაც ძალიან ლამაზი ქალი იყო, რომელსაც ყველა დიდი პატივს სცემდა - „ჩითვის კაბა რომ ჩაიცვას, ფარჩის კაბა ჰგონიათ“ (ლეო ქიაჩელი).

სოფიო ბავშვობიდანვე თავისი თვისებებით ყველას ყურადღებას იპყრობდა. მის ოჯახს წლების განმავლობაში მეეტლე ნიკო ემსახურებოდა. ბავშვობაში სოფიო გიმნაზიაში რომ დადიოდა, უკან ძიძა დაჰყვებოდა ქოლგით. სანამ მეეტლე ნიკო ცოცხალი იყო, ყოველთვის სოფიოს ემსახურებოდა.

თეთრი ხიდის აგებამდე იმ ადგილას ძალიან ცუდი გადასასვლელი ყოფილა და მუდმივად ფეხი ესვრებოდათ იქ გავლისას, რომ დაინახავდნენ, სოფიო მოდიოდა, ფეხი რომ არ დასვროდა, ძირს ვარდის ფურცლებს უყრიდნენ (სოფიოს შვილთაშვილის მაკა ნათობაძის პირადი არქივი).

სოფიო 1894 წელს დაიბადა ქ. ქუთაისში. მან თავისი ბედი მიხელი ქორქიას დაუკავშირა. შეეძინათ 6 შვილი, რომელთა შორის იყო ყველა-

სათვის ცნობილი კალათურთელი – ოთარ ქორქია. სოფიო ნიკოლიზის ასული ტკეციშვილი ცნობილი მასწავლებელი იყო და წლების განმავლობაში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას, ხოლო მისი მეუღლე მიხეილ დიმიტრის ძე ქორქია ქუთაისში ცნობილი ვეტექიმი გახლდათ (სოფიოს შვილთაშვილის მაკა ნათობაძის პირადი არქივი).

თუ კი ვინმე ჩადიოდა ქუთაისში და თუ რამე ლიტერატურული სალამო იმართებოდა, სოფიო და მისი მეუღლე ყველას მასპინძლები იყვნენ ჩამოსულები მათ ოჯახში იკრიბებოდნენ და სტუმრებისთვის პომპეზური ვახშამი ეწყობოდა.

სოფიო არამარტო გარეგნობთ, არამედ ქველმოქმედებითაც გამოირჩეოდა. ის შემოწირულობას აგროვებდა. მაშინდელი ქუთაისის მცირერიცხოვან ექიმთა საზოგადოებას განუზრახავს ტუბერკულოზით დაავადებულთათვის აბასთუმანში, არაზინდის მთაზე, სანატორიუმი აეშენებინათ, მაგრამ, ამ კეთილი საქმის წამოწყებას, როგორც მოსალოდნელი იყო, მეფის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა, გარდა ამისა, ეს შესანიშნავი წამოწყება დიდ თანხებს მოითხოვდა. მაშინ ქუთაისელმა ექიმებმა და საზოგადო მოღვაწეებმა გადაწყვიტეს, სახსრები თვით მოსახლეობაში შეეგროვებინათ და საამისოდ ორგინალური ხერხიც მოიფიქრეს. ყოველწლიურად, მაისის პირველ რიცხვებში ქუთაისელი ლამაზი ასულები, გვირილების თაიგულებით ხელში ქუჩაში გამოდიოდნენ, რომლებსაც ყელზე ბაბთით ჰქონდათ ჩამოკიდებული ყულაბა. ისინი ყიდიდნენ გვირილებს, როგორც ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო წამლის სიმბოლოს, ხოლო მოქალაქენი, ამ საზოგადო საქველმოქმედო საქმის სასარგებლოდ ყულაბაში ფულს უყრიდნენ.

„გვირილობა“ წვიმიან ამინდშიც კი იმართებოდა. ასეთ დროს, ეს ლამაზი ქალები თავიანთი ყულაბებით ეტლში სხდებოდნენ და ასე აგროვებდნენ შემოწირულობას.

„გვირილობის“ ინიციატორები სხვადასხვა დროს იყვნენ ქუთაისელი ექიმები და საზოგადო მოღვაწეები: დიმიტრი ნაზარიშვილი, გაბრიელ გოკიელი, სიმონ ხეჩინაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ვალერიან ლორთქიფანიძე, დავით ჩეჩელაშვილი, ვლადიმერ მდივანი, ევსელი ლოსაბერიძე, გიორგი ბაღრიძე, ნოე მხეიძე, ნიკოლოზ პოლუმორტვინოვი და სხვები. ორგანიზატორთა შორის იყვნენ რესპუბლიკის დამსახურებული ექიმები.

„გვირილობა“, რომელიც საქველმოქმედო მისიით ეწყობოდა, ყოველმხრივ საგულისხმო და საინტერესო იყო, რადგან უკავშირდე-

ბოდა სწორე მაისის დღეებს. ეს ყველაფერი 1916 წელს მოკლემეტრაჟიანი ფილმის სახით, ფირზე აღბეჭდა ქუთაისის მკვიდრმა, პირველმა ქართველმა კინოოპერატორმა ვასილ ამაშუკელმა. ეს ფილმი დღემდე არქივში ინახება (ვასილ ამაშუკელი პირადი არქივი, ქუთაისი 1916).

„გვირილობა“ ყოველწლიურად იმართებოდა, რომელმაც 5 წელი, 1912- 1917 წწ-ში იარსება. „გვირილობას“ უკავშირდება პირველი სილამაზის კონკურსიც, რომელშიც მონაწილეობას სოფიოც იღებდა. ეს ულამაზესი ქალბატონი დაკრძალულია საფიჩხიაზე, სადაც ძალიან ბევრმა ქუთაისელმა კოლორიტმა ნახა სამუდამო სავანე.

შვედეთში პირველად „თეთრი გვირილი „ საქველმოქმედო დღის აღნიშვნა გაითავისა ქუთაისის მოსახლეობამ. 2 მაისობა ერთგვარი ხიდია ქუთაისის წარსულს, ანმყოსა და მომავალს შორის, როდესაც ცოცხლდება „გვირილობის“ ტრადიცია და ქუთაისის ქუჩები გვირილებიანი „გიმნაზისტკა“ გოგონებით ივსება. ქველმოქმედება და სიკეთის კეთება გვირილობის დღესასწაულის ამ მთავარი იდეით განსაკუთრებით ქუთაისელები ამაყობენ. ამ დღეს ქალაქში გამოსულმა მოქალაქეებმა მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენეს დღესასწაულის დანიშნულება და სიკეთის კეთების აუცილებლობისკენ მოუწოდეს. ეს წამოწყება უფრო ორგანული ხდება მომავალი თაობისთვის, ყველას ეზიემება და ეს ძალიან მოსაწონია. ქუთაისისთვის „გვირილობა“ არის „დედოფლობის„ ქველმოქმედების და ნათელი მომავლის დღე.

White daisy charity day

Summary

Charity is inherent for human society. It was supposed for preventing tuberculosis.

The first celebration of „White Daisy“ charity day take place from Sweden, on May 1-st 1908. The income received after the selling of white daisy was used to benefit patients infected with tuberculosis.

The „White Daisy „ day was marked 105 years ago in 1911, in kutaisi. It was founded by the local beauty, Sasha Chilaia, wife of lawyer’s Chicovani.

The „White Daisy „ day was celebrated in Georgia till 1928. In 2008 the mayor of Kutaisi, took the initiative to restore & continue annual celebration of this remarkable day.

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:

ამაშუკელი ვასილ, პირადი არქივი, ქუთაისი, 1916.

ბარნოვი ალექსანდრე, ჭიდაობა ძველ თბილისში, თბილისი, 1967.

დიმიტრი ერმაკოვი 2 ალბომი: День „Белой Ромашки,“ 20 апреля, 1912-1913 г, вь г, Тифлисъ.

ენციკლოპედია „იმერეთი“, შემდგენელი ნანული ცხვედიანი, ქუთაისი, 2008.

გაზეთი „კოლხიდა“ 1913 წ.

გაზეთი „Тифлиский листок“, 29. 10. 1916, №242.

ნათობაძე მაკა, საოჯახო არქივი.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შემდგენელი მ. ჭაბაშვილი, რედ. თ. შარაშენიძე, თბ., 1973.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1983, ტ. 3.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1983, ტ. 6.

ილუსტრაციები:



სურ.1



სურ.2



სურ.3



სურ.4



სურ.5

ეთნოსი და დემოსი ტფილისში*

ეთნიკური ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულება ქალაქის სათათბიროს საარჩევნო კამპანიებში 1890-1897 წლებში**

1. „ეთნოსი“: დემოგრაფიული და სოციალური პროცესები ტფილისში

ქალაქ ტფილისმა თავისი სახე XIX საუკუნეში ძირფესვიანად შეიცვალა. ალა-მაჰამად-ხანის მიერ 1795 წელს ქალაქის დანგრევისა და რუსეთის მიერ 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს (ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფო) ანექსიის შემდეგ, – ფეოდალური, აღმოსავლური ტიპის ბაგრატიონთა სამეფოდან გამოიკვეთა ევროპული მმართველობისა და სავაჭრო ცენტრის რეგიონი. ქალაქს იანუსს ადარებდენ, რომლის ერთი სახე აზიისაკენ და მეორე კი ევროპისაკენ იმზირება (გერსამია, 1984).

განსაკუთრებით 1828 წელს, იმპერიის მიერ ამიერკავკასიის მთლიანი დაპყრობის შემდეგ, ქალაქში დგება მისი ისტორიის უცნობი პერიოდები: მშვიდობის, უშიშროებისა და ეკონომიური აღმავლობისა. ამას შესაბამისად თან ახლდა მოსახლეობის ზრდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ტფილისში დაახლოებით 15.000 მოსახლიდან მისი რაოდენობა 1865 წელს გაიზარდა 70.000-მდე, შემდგომ ათ წელიწადში კი 100.000-ს მიღწია და 1897 წელს არა უმეტესს 160.000 იყო. ამიერკავკასიაში, ბაქოს გვერდით, ტფილისი მოსახლეობის რაოდენობით რიცხვმრავალ ქალაქად ითვლებოდა (Исмаил-Заде, 1991: 11).

მიუხედავად იმისა, რომ იზრდებოდა აბსოლუტურად ყველა ეთნიკური ჯგუფი, თავს იჩენდა ძლიერი რელატიური განსხვავება ქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში. ამასთანავე, სომეხთა წილმა განუწყვეტილ იკლო. XIX საუკუნის დასაწყისში თბილისის მოსახლეობის $\frac{3}{4}$ ნაწილს სომეხები შეადგენდნენ, 1864 წელს ჯერ მხოლოდ 47,7%-ს და საუკუნის დასასრულს 36,4%-ს. XX საუკუნის დასაწყისში სომეხი ლტოლვილების გადმოსვლამ ოსმალეთის სახელმწიფოდან სომეხი მოსახლეობა ქალაქში ისევ გაზარდა.“ ქართველებმა 1899 წელს თავისი სანაწილის უმრავლესობის (მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან 26% (44.900 მცხოვრები) დაახლოებით ისევ მიაღწიეს. როგორც ახალმა ეთნიკურმა

ელემენტმა – რუსებმაც თბილისში ფეხი მტკიცედ მოიკიდეს. 1899 წელს ისინი წარმოადგენდნენ მოსახლეთა სიდიდით – მესამე ჯგუფს (დაახლოებით 35.500 მცხოვრები, 21,1%). დანარჩენი 38 ეთნიკური ჯგუფის რიცხოვნობა – დაწყებული თურქული ეროვნების მოსახლეობიდან და მთაში მცხოვრებთაგან, პოლონელ გადმოახლებულებიდან – გერმანელ კოლონისტებამდე იყო 14,2%-ზე არა ნაკლები და მათშიც შესამჩნევი იყო მნიშვნელოვანი მატება. გარდა აზერბაიჯანლების, სპარსელებისა და პოლონელებისა, არცერთი ამ ჯგუფთაგანი ქალაქის საერთო მოსახლეობის 2%-ზე მეტ ნაწილს არ შეადგენდა (Анчабадзе, Волкова, 1990: 29; Волкова, 1969: 3-54; 12-15; Stadelbauer, 1995: 13-41).

აღმავლობის ეს პერიოდი და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დანაწევრება გავლენას ახდენდა ცხოვრების წესზე. ქართველ თავადებს თავისი როლი ჰქონდათ, როგორც დომინანტურ მულტიფუნქციონალური ფეოდალური, აგრარული საზოგადოების ელიტას, მაგრამ 1801 წლის ანექსიის შემდეგ ეს როლი ცარისტული ავტოკრატიისთვის უნდა ჩაებარებინათ. ავტოკრატიამ ქვეყნის კონტროლის დროს შესძლო ქართველი წარჩინებული წოდება თავისი ბატონობის დასაყრდენად გადაექცია, სადაც მათ სამხედრო პოსტებსა და სამოქალაქო სამსახურში თანამდებობებს აძლევდა. ასეთი წოდებისათვის შესაფერისი ცხოვრებით, თავადები საკუთარი მამულებიდან ქალაქში გადადიოდნენ და ზედმეტი გადასახადების მოთხოვნით ყმებისადმი თავიანთი ევროპული ცხოვრებისა და კულტურის სტილის დასაფინანსებლად გლეხებს შორდებოდნენ. ჩამორჩენილ, ნატურალურ მეურნეობაზე დამყარებული გადასახადი უკვე საკმარისი აღარ იყო. აქ სახელმწიფო სამსახურში შესაძლო მწირ ხელფასს არად აგდებდნენ. ამაყი ქართველი თავადი დახმარებისათვის თხოვნით მიმართავდა ცარისტულ მთავრობას ან საკუთარი ეკონომიკური საქმიანობისათვის თანდათან სომეხ ვაჭართა ვალში ვარდებოდა, რომლებიც შემდეგ თავად-აზნაურების მამულებსა და ქალაქის რეზიდენციებს შეისყიდინდნენ ხოლმე.

სოფლის თავად-აზნაურობის დიდი მასა თანდათანობით გალარობდა და ხშირად მხოლოდ სათავად-აზნაურო პრივილეგიებით განსხვავდებოდა გლეხებისაგან.

ბევრი გლეხი, რაკი სოფელში ვერვითარ შემოსვალს ნახულობდა, აგრეთვე სამუშაოს საძებნელად ქალაქში მიდიოდა. იქ ისინი, როგორც უსწავლელი დღიური მუშები – ფეხქვეშ ეგებოდნენ რუს სპეციალისტებსა და ეკონომიურად ძლიერ სომეხ ხელოსნობას მცირე სამუშაო

ადგილებზე კონკურენციისათვის. ასე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ფეოდალური აგრარული საზოგადოების მატარებელი ელემენტები – თავადაზნაურობა და გლეხები – ტფილისში მარგინალური პოზიციებში (Reisner, 2004; რაისნერი, 2009, 48-66; ნაცვლიშვილი, 1984/45-46: 64-69).

სამაგიეროდ, ქალაქის სომხური მოსახლეობა დომინირებდა თბილისში არა მხოლოდ დემოგრაფიულად, არამედ აგრეთვე ეკონომიკურადაც. მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა მათი პროფესიული ამქრების ხელთ იყო. მათი ზედა ფენა, მდიდარი მოქალაქეები* საპატიო მოქალაქეების რანგში (почетные граждане) იყვნენ აყვანილი და ქალაქებში იმპერიის დასაყრდენს წარმოადგენდნენ.* ბ. იშხანიანის აზრით, იმავდროულად ეს „სომხური ბურჟუაზიის კლასი“ წარმოადგენდა კავკასიაში ყველაზე მობილურ სოციალურ ჯგუფს, რომელიც როგორც მომავალი ბურჟუაზიული საზოგადოების ელემენტი, ფეოდალური ბორკილებიდან განთავისუფლებული იყო და იმყოფებოდა ტრადიციული სოფლის მეურნეობიდან – ეკონომიკური განვითარების გარდამავალ სტადიაში – ფულად-სასაქონლო ეკონომიკისაკენ (Ischchanian, 1914).

მაგრამ ორივე ხალხის წამყვანი ჯგუფები ერთმანეთში სოციალური თვალსაზრისით დიამეტრიულად წინააღმდეგობრივი იყვნენ. ამასთანავე, ქართველი თავადაზნაურობის სოციალური სტატუსი შემცირდა და სომხური ბურჟუაზიისა ამაღლდა, რამაც მათ შორის გარდაუვალი დაძაბულობა შექმნა (Hovannisian, 1971: 37-48; Кастелянский, 1910: 510-514).

როდესაც სომეხი ვაჭრების და მენარმეების დომინანტურმა პოზიციამ სამხრეთ კავკასიის ბაზარზე რუსეთის ეკონომიკური ინტერესები შეზღუდა, 1870-იან და 1880-იან წლებში მეფის ადმინისტრაციისა და რუსი ვაჭრების მხრიდან მიიღეს კრიტიკული დამოკიდებულება მათ მიმართ (გუგუშვილი, 1879: 339).

რუსი ჩინოვნიკების ახალი ფენა, ცარისტული მბრძანებლური მმართველობიდან უცხო კულტურულ ველზე, ამიერკავკასიის ჩამორჩენილი ხალხების მიმართ თავის პოლიტიკურ უპირატესობას – „ცივილიზაციის მისიით“ ლეგიტიმირებდა. ისინი იდუარად ემიჯნებოდნენ ადგილობრივ კულტურებს (არ ფლობდნენ არცერთ ლოკალურ ენას). საქმეში ასეთი ჩაუხედაობიდან გამომდინარეობდა დაფარული უნდობლობა სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ, ისე რომ პოლიტიკური კლიმატი მერყეობდა რეგიონალურ განსაკუთრებულობასა და ცენტრალ-

იზირების უხეში გათვალისწინებით. 1880-იანი წლების შუახანებიდან დომინირებდა რუსული სახელმწიფო მმართველობის ურთიერთობა მისი ადგილობრივი მმართველობის დასაყრდენთა მიმართ, ქართველთა ვადებთან და სომეხ მოქალაქეებთან (Velichenko, 1995: 188-208).

სეგრეგაცია ქართველებსა და სომეხებს შორის სოციალური და ეთნიკური საზღვრების გათვალისწინებით შუა საუკუნეებიდან წარმოიშვა. ამ დაყოფამ შეცვალა გავლენების სფეროები სომეხების სასარგებლოდ. ეს თავისებური „ეთნო-სპეციალიზირება“, ე. ი. განსაზღვრული ეთნიკური ჯგუფების ორიენტირება განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად (Анчабадзе, Волкова, 1990: 73) გარდაიქმნა ეთნიკურ კლასებად (ethclasses), „ჯგუფებად, რომლებიც ეთნიკური კუთვნილობებისა და საზოგადოებრივი წყობის მსგავსებებით“ (მილტონ გორდონი) არიან დაკავშირებულნი (Kreckel, 1983: 8-12).

ეთნოსი უზადო პატრიარქალური სოციალური სტრუქტურის დროსაც არ თამაშობდა არავითარ როლს. მაგალითად, ტფილისის 1865 წლის ქალაქის მოსახლეობის მღელვარებისას, ქართველი ხელოსნები სომეხ ვაჭრებთან ერთად აცხადებდნენ პროტესტს. მაგრამ ამ პატრიარქალური სტრუქტურების ეროზიით, „დიდი რეფორმების“ შეზღუდული გარდაქმნის შემდეგ, განსაკუთრებით კავკასიაში და კერძოდ ტფილისში მნიშვნელოვანი გახდა ეს სოციალური, ეთნიკური და სივრცობრივი – ერთმანეთს დამთხვეული სეგრეგაცია (ოჩიაური, 1988: 26-38).

ეს სეგრეგაცია კვლავ აისახა სივრცობრივად ქალაქის ცალკეულ უბნებში; აღმოსავლურად გამოკვეთილი ძველი ქალაქი მტკვრის მარცხენა (ავლაბარი) და მარჯვენა სანაპიროებზე, – ადგილი დანგრეულ ციხე-სიმაგრე ნარიყალასთან ე.წ. თათარი, სომეხი და ქართველი ხელოსნებითა და წვრილი ვაჭრებით იქნა დასახლებული, რომლებიც ადგილობრივ პროფესიულ ამქრებში ერთიანდებოდნენ და ტრადიციულად, მყიდველთა ფენებს თავიანთ პატარა სახელოსნოებში – ბაზრებთან ემსახურებოდნენ.

მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მიერ 1845-1854 წლებში დაარსებულ იქნა თანამედროვე ევროპული ქალაქის ნაწილები, რომლებიც ერევნელის (დღევანდელი თავისუფლების) მოედნის ჩრდილოეთით იზრდებოდა (ქალაქის სათათბიროსთან ერთად). აქ ძალიან ახლოს არსებობდა სოლოლაკის ექსკლუზიური სარეზიდენციო ნაწილი, ექსპერიმენტალური ადგილი – ძველი სომეხი მოქალაქეებისათვის ანუ რუსულად „почётные граждане“. საუკუნის მიჯნაზე ისინი შეადგენდნენ

დომინანტურ, ქალაქის მფლობელთა კლასს ანუ რუსულად *ценовое общество*-ს და 1901 წელს ქალაქის ნაწილის 407 კერძო სახლიდან – 328-ს ფლობდნენ.

ერევნელის (თავისუფლების) მოედანს დასავლეთით, გოლოვინის პროსპექტზე (რუსთაველის გამზირი) უერთდებოდა წარმოსადეგი, ოფიციალური მთაწმინდის რაიონი გენერალ-გუბერნატორის (შემდეგში მეფისნაცვალის) სასახლითურთ, დაწესებულებათა შენობებით, სკოლებით, ოპერის თეატრითა და საზღვარგერეთის 6 საკონსულოთი. აქ ჰქონდა რეზიდენცია რუს და ქართველ არისტოკრატებს – ევროპულ მაღაზიებს, კონკას, სასტუმროებსა და რესტორნებს, კლუბებსა და ბიბლიოთეკას შორის.

საშუალო და დაბალი ფენების რუსი მოხელეები (*чиновники*) ცხოვრობდნენ მოშორებით, დასავლეთით მოსაზღვრე ვერის რაიონში. მათ პირდაპირ, მდინარის მარცხენა მხარეს, 1817 წლიდან მდებარეობდა ვიურტემბერგელი პიეტისტების კოლონია (თემი), რომელმაც ქალაქის გაფართოებასთან ერთად მასთან გაერთიანებული იყო და რომლის მახლობლადაც სადგური და რკინიგზის დეპო აღიმართა. შეიქმნა აგრეთვე ქალაქის გარეუბნები დიდუბე და ნაძალადევი (ნახალოვკა), სადაც დასახლდნენ რკინიგზაზე მომუშავე რუსი პროფესიონალი მუშები და უწინარეს ყოვლისა, უსწვლელი ქართველი დღიური მუშები, რომლებიც ლუკმა-პურის მოსაპოვებლად სოფლიდან ქალაქისაკენ გამოემართნენ. აქ მათ ხშირად ინფრასტრუქტურის ექსტრემალურ მოუგვარებლობის პირობებში ჯურღმულებში უნდა ეცხოვრათ, მაგრამ არსებობდა საერთოდ ამ პირობებში ქალაქური, მაღალი წრის ერთიანობის გრძნობა, რომელმაც მოსახლეობა ერთმანეთთან ეთნიკური საზღვრების მიღმა გააერთიანა?

2. „დემოსის“ წყობა ტფილისში

„დემოსი“ – ქალაქური თვითმმართველობა – ტფილისში თავის დასაბამს უკვე ქალაქის ახალი წყობამდე 4 წლით ადრე იღებს. ქალაქის ვაჭრებისა და ხელოსნების ამქრების ამბოხი 1865 წლის ახლად შემოსული გადასახადების წინააღმდეგ – აჩვენებდა ამ ტრადიციული ძალების სიძლიერესა და მოქმედების უნარს ქალაქში. ამის შედეგად ამ ამქრების გავლენა უნდა შეზღუდულიყო (*Пирцхалайшвили*, 1940: 208-241; 213-216; *Положение* 1867: 1914; კუცია, 1984: 165-180; აბე-

საძე, 1986; ეძვერაძე, 1978). ეს მივიდა ქალაქის თვითმმართველობის რეფორმის პროექტამდე, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ 1866 წლის 11 აგვისტოს სანქციონირებულიც იქნა. ქალაქის „დემოსი“ მემკვიდრე გახდა ამომრჩეველების ოთხ კურიაში – თავადებისათვის, მომსახურე აზნაურებისა და ქალაქის მსხვილი მოქალაქეებისათვის (почётные граждане), წვრილი ბურჟუებისა (мещане) და პიროვნებებისათვის, რომელთა მუნიციპალურ მოვალეობის გადასახადების შეკრება ან ვაჭრობის გადასახადი შეადგენდა.

ყოველ კურიას შეეძლო 100 არჩეული მამაკაცის განსაზღვრა, რომელთა რიგებიდან შემდეგ 25 წარმომადგენელი „ქალაქის საყოველთაო საკრებულოში“ გაიგზავნებოდა. ქალაქის თავი და ქალაქის მმართველობიდან 8 წევრი (საჭიროებისამებრ – კურიაზე 2) ასე იქნენ არჩეულნი; მეცხრე წარმომადგენელი, ცარისტული მმართველობის მიერ – როგორც უშუალო მეთვალყურე პიროვნება – ისე იყო დანიშნული. გარდა ამისა, შექმნილი იყო ცალკე წვრილი ბურჟუაზიისა და ხელოსნების წოდების მმართველობა მათი ინტერესების დასაცავად. საერთო ჯამში, საკითხის ასეთი გადაწყვეტა პრივილეგიას აძლევდა ტფილისის თავდაზნაურობას ტრადიციული ამქრებისა და ქალაქის ელიტარული ნაწილის ხარჯზე, ბუნებრივია, მხოლოდ მცირე ხნით – რამდენიმე წლით.*

ამიერკავკასიაშიც, ცენტრალურ რუსეთის გუბერნიებში რეფორმების გატარების ოთხი წლის შემდეგ, სახელდობრ, 1874 წლისათვის, ჩატარებულ იქნა ქალაქის მმართველობის საფეხურებრივი რეფორმა ქალაქებში: ტფილისში, ბაქოში, ქუთაისსა და ერევანში მეფისნაცვალის იდეის წინააღმდეგ (Исмаил-Заде, 1991: 193), რომელსაც აქ პრინციპიულად ახალი ტიპის საზოგადოებრივი მმართველობის შექმნა სურდა. მათ სახელდობრ, ფენობრივი მოქალაქეების საკუთრების ცენზზე, კანონმდებელ (распорядительный) და აღმასრულებლად გაყოფილ ძალებზე თანაბრად დააფუძნეს თვითმმართველობის პრინციპი (О порядке, 1874; Нардова, 1984; Нардова, 1994; Hanchett, 1976: 91-114). მიუხედავად ავტოკრატიის ყოველგვარი შეზღუდვისა, ქალაქის სათათბიროსა და მერიის მმართველობის (управа) გადაცემით ოფიციალურ საარჩევნო ორგანოებისადმი, მიღწეულ იქნა ერთგვარი სიმტკიცე. რადგანაც „земства“ (ერობა) ამიერკავკასიაში არ იქნა დაშვებული, ქალაქის სათათბიროები საერთოდ რეგიონში დარჩნენ ერთადერთ საჯარო არჩევით ორგანოებად (Исмаил-Заде, 1991: 191-198; ქრელაევ / ქრელაშვილი, 1903: 53-62; ბენდიანიშვილი 1982).

„დემოსი“ ხმის უმრავლესობით იქნა დაფუძნებული. ხმის უფლების მქონენი იყვნენ ქალაქის მოსახლეობის ყველა მამრობითი სქესის მცხოვრებნი – დამოუკიდებლად თავისი წოდებრივი მდგომარეობისა, რომლებიც რუსეთის მოქალაქეობას, უძრავ ქონებას ქალაქის ფარგლებს შიგნით, სავაჭრო და ინდუსტრიულ საწარმოებს ფლობდნენ (Нардова, 1994: 3-17). აგრეთვე ხმის უფლების მქონენი იყვნენ იურიდიული პირები, ასევე სხვადასხვა სამსახურები: უწყებები, გაერთიანებები, ამხანაგობები, საყდრები და ეკლესიები. ფაქტობრივად, არჩევნების უფლების გარეშე რჩებოდნენ დაქირავებული მუშები, რომელთა უმთავრესი უმრავლესობა არავითარ უძრავ ქონებას არ ფლობდა და აგრეთვე მოსახლეობის განათლებული ნაწილის წარმომადგენლები, თავისუფალი პროფესიის ადამიანები – როგორებიც იყვნენ ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები, ჩინოვნიკები, რომლებიც აგრეთვე სახლებს არ ფლობდნენ, მაგრამ ქირით ცხოვრობდნენ. გამეფებული იყო არჩევნების ხმის უფლება ცენზის მიხედვით და ამომრჩევლების ხმებს ქალაქის გადასახადების სიდიდის მიხედვით ამომრჩეველთა სამ კურიაში ჰქონდა გავლენა.

ქალაქის მერობის პირველი არჩევნების დროს, 1874 წელს, ქალაქის ახალი წესდების მიხედვით, 4,500 პიროვნება – მთელი ქალაქის 4% – ხმის უფლების მქონე იყო. იმათგან 45 არჩევნების პირველ კურიაში, 227 – მეორეში და 4,228 – მესამეში, სადაც ყოველი კურია საჭიროების მიხედვით ქალაქის საბჭოს 24 დეპუტატს ირჩევდა (ბენდიანიშვილი, 1982: 22). თანამედროვე დამკვირვებელი გიორგი თუმანოვი ქალაქ ტფილისის სათათბიროს განვითარებაში სამ ფაზას გამოყოფდა (Туманов, 1902: 36-52). პირველი არის – თვითჩამოყალიბების ფაზა (1875-1879 წწ.), სადაც „გამოჩენილი სლუჟებისტების“ (ე.ი. სახელმწიფო მსახურთა) როგორც დიმიტრი ყიფიანი ან ლ. კ. ელიმირზოვი იყვნენ – თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში მათი ხელმძღვანელობით თვითმმართველობის წესრიგი იქნა მოხაზული. ყიფიანი წარმოსდგებოდა ქართველი თავად-აზნაურობის დაბალი წრიდან და კავკასიაში გლეხების განთავისუფლების დროს თავადაზნაურობის მარშალი – იყო პრივილეგირებული წოდების ინტერესების დამცველი (ჩხეტია, 1950: 01-012; V-LXVI, 1-48). მაგრამ ის არჩეული იყო სომხებით დომინირებული ქალაქის სათათბიროს მიერ. ეს მდგომარეობა, ისევე როგორც პოლიტიკური და ინტელექტუალური დისკუსიები პრესაში – ინდუსტრიისა და კაპიტალიზმის ზრდაზე, თავად-აზნაურობის მომავალზე,

მდგომარეობა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ლიბერალურ და რევოლუციურ ოპოზიციას ცარიზმის მიმართ განაწყობდა – მოწმობს ეთნიკური და შესაბამისად ეროვნული საკითხების არარსებობაზე.

მხოლოდ 1870-1880-იან წლებში წარმოიშვა კოსმოპოლიტური ლიბერალიზმი, მრავალეროვნული რევოლუციური პოპულიზმი რუსული წაროდნიკების ნიმუშის მიხედვით და ახალი გადამდები ნაციონალიზმი, როგორც ძირითადი მიმართულება (ბერძნიშვილი, 1980: 11; დროება N24, 07.03.1876; Suny, 1986: 266). მხოლოდ პირველმა მიმართულებამ, რომელსაც მხარს უჭერდნენ სომხები და რამდენიმე წამყვანი ქართველი ინტელექტუალი და ჟურნალისტი, განავითარა მზარდი ინტერესი ქალაქის სათათბიროს მუშაობაში. ისინი წარმოადგენდნენ თუმანოვის მიერ დახასიათებულ „ევროპულ“ მიმართულებას, რომელიც უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სახელმწიფო მოსამსახურეების, ვაჭრების (კომერსანტების), ექიმების, ინჟინრების და ადვოკატების მიერ იქნა მხარდაჭერილი. მათ სურდათ ქალაქი ევროპული ნიმუშის მიხედვით. ამისათვის უნდა გატარებულიყო ძირფესვიანი რეფორმები ქალაქის მოწყობასა და ეფექტურ თვითმართველობაში – ტრადიციულად „აზიატურად“ მოაზროვნე ვაჭრების საპირისპიროდ. ამასთანავე, ამ პროფესიონალებს ძლიერ ფინანსურ დახმარებას უწევდა სომეხი საქმოსანი ისაია ეგ. პიტოევი. მასთან რეგულარულად პირადი შეხვედრები ჰქონდათ ქალაქის საბჭოს დეპუტატებს, რათა ქალაქის საქმეებსა და გეგმებზე ემსჯელათ. ალექსანდრე II-ის ხანაში ეს აბსოლუტური სიახლე იყო. ასე ჩამოყალიბდა ქალაქში პირველი „პარტია“ რეფორმებისათვის, რომელიც მდიდარი სომეხი მუნიციპალიტეტის წევრების მიერ იქნა დაკომლექტებული.

1879-1890 წლები მოიცავდა მეორე „საამშენებლო“ ფაზას ლიბერალური და რეფორმისტული ქალაქისთვის ა.ს. მატინოვისა და ქალაქის მრჩეველების პ. ა. იზმაილოვის (საზოგადოების „მესამე ელემენტის“ წარმომადგენელი) (Туманов, 1900: 94) და ა. ა. თამამშევის ხელმძღვანელობით. თუმანოვი ქალაქის მრავალმხრივი დავალებების შესრულებისას ფინანსურ შეცდომებს დასაშვებად თვლიდა, ამისათვის და „პარტიის ცალმხრივი ბურჟუაზიული ორიენტაციის გამო“ იგი ლოკალური პრესის მიერ საფუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული. მიუხედავად ამისა, ქალაქის ინფრასტრუქტურა ცენტრში თანმიმდევრობით უმჯობესდებოდა (კანალიზაცია, ხიდების მშენებლობა, სახლები, კონკა, ქალაქის განათება, ახალი მოედნებისა და ბაზრების გაშენება).

3. ქალაქის სათათბიროს არჩევნების გაეთნიკურება

1890-1897 წლებში

3.1. 1890 წლის ქალაქის სათათბიროს არჩევნები

სომეხი და ქართველი ინტელიგენციის ნაციონალიზმი კონცენტრირდებოდა 1880 წლამდე, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ, კულტურულ დანესებულებებში, გაერთიანებებსა და საქმიანობებში. სომეხი მოქალაქეების აღზევება და იმავდოულად ქართველი თავადების დამცრობა, როგორც შევიწროება ისე იქნა აღქმული და წარდგენილი ისეთი მიუკერძოებელი მეთვალყურისადმი, როგორიც იყო გერმანელი მენარმე ვერნერ ფონ სიმენსი (Lehmann-Haupt, 1910: 84).

მზარდი დაურწმუნებლობა (არასაიმედობა) ტრადიციულ ადგილობრივ ელიტარულ ჯგუფებში ბოლოს ქალაქის სათათბიროს პოლიტიკაშიც გამოვლინდა. თუ მანამდე ქართველები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ ქალაქის სათათბიროსადმი (400-500 ქართველი ამომრჩევლებიდან 1880-იან წლების მონაცემების მიხედვით, მხოლოდ 10-15-მა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა) (ივერია, N215, 10.10.1890), ახლა თავადაზნაურთა ბანკის რიგებიდან პირველად ჩამოყალიბდა „პარტია“ არჩევნებისათვის. რუსები მას „ქართულ პარლამენტს“ უწოდებდნენ. მისი თავმჯდომარე ეროვნული მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე იყო.*

1890 წელს დაიწყო მესამე ფაზა, სადაც ოპოზიცია პირველად მუნიციპალიტეტს ბრძოლაში ინვევდა. ჯერ ქალაქის სათათბიროს გარეთ, გაზეთი „ივერიის“ ფურცლებიდან დაიწყო პუბლიცისტური კრიტიკა, რომ კერძო სფეროებიდან მხოლოდ ასიდან ორასამდე პიროვნება ირჩეოდა, ქალაქის სათათბიროსათვის მხოლოდ 72 კანდიდატი იყო და ამასთანავე ირჩევდნენ ქალაქის ინტერესებისათვის გამოუსადასადე-ვარ პიროვნებებს. ამ არათანასწორუფლებიანი საარჩევნო სისტემის კურიებიდან მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესები გამორიცხული იყო (ივერია, 18 და 20.11.1890; ბენდიანიშვილი, 1982: 33) და ყველას უნდა სცოდნოდა, რომ არჩევნების დროს ამქრების წარმომადგენლებს სხვების წინაშე უპირატესობა მიეცემოდათ. თავისი საკუთარი კანდიდატების წარდგინებით აქამდა არსებული პროპორცია – 50-60 სომეხი კანდიდატებიდან და 12-17 რუსი და ქართველი კანდიდატებიდან – კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა

კიდევ ერთი ოპოზიციური ჯგუფი წარმოიშვა ქალაქის მდიდარი

ადამიანებისაგან. მას ეწოდა „дворцовые номера“, რადგანაც კ. მ. ალიხანოვისა და მ. ლ. თამამშვევის ამავე სახელწოდების სასტუმროში მეფისნაცვალის სასახლის გვერდით მედებარეობდა. მათაც საკუთარი კანდიდატების სია ჰქონდათ წარდგენილი. კანდიდატთა შორის იყვნენ ქართველებიც და ყარაბახელი სომხებიც. I კურიაში 1890 წლის 4 ნოემბრის არჩევნების დროს ამ ჯგუფის სიით შესაძლო იყო ყველა კანდიდატის გაყვანა (მათ შორის მხოლოდ ოთხი იყო ახალი დეპუტატი); ამის საპასუხოდ, მუნიციპალიტეტი კოალიციას ქმნიდა მის პირველ მოწინააღმდეგეებთან, სომხური გაზეთის „არაძაგანკის“ („ეკო“) ხელისშემწყობებთან, ქართველებსა ა. იოანისიანთან და თავად ბებუთოვთან II კურიის არჩევნებში და ირჩევდნენ კანდიდატებს და ქალაქის ხუთი ახალი დეპუტატს მმართველ მუნიციპალიტეტში. ამ ორ კურიაში მართო ორი დეპუტატი ირჩეოდა ქართული ოპოზიციიდან (ბენდიანიშვილი, 1982: 34). მე-III კურიაში წინასაარჩევნო კრების დროს, პატარა სახლების მფლობელთა უმრავლესობას მხოლოდ სომხები შეადგენდნენ, ხოლო 1890 წლის 2 დეკემბერს კი სახლის მფლობელების უმეტეს ნაწილში ქართველები გამოჩნდნენ. მათ პირველი ათი არჩევნების განმავლობაში მუნიციპალიტეტის ყველა კანდიდატის წინააღმდეგ მისცეს ხმა და ქართველი კანდიდატებს კი მხარი დაუჭირეს.* არჩევნების ხელმძღვანელი დაიბნა, თავის გეგმას მესამე კურიის დეპუტატების შემადგენლობის მხრივ საფრთხე ემუქრებოდა, ეს კი საერთო ჯამში საფრთხეს უქმნიდა მთლიან სათათბიროს და არჩევნები ერთი კვირით გადაიდო.

ამან მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა, რადგანაც ახალ საარჩევნო კრებაზე უფრო მეტი ქართველი გამოჩნდა. ბოლოს ამ კურიაში ბევრმა ახალმა კანდიდატმა გაიტანა ლელო: 13 იყო ქართველი, 7 რუსი და მხოლოდ 4 სომეხი. ძველი პროპორცია – 11 რუსი, 22 ქართველი და ერთი გერმანელი დეპუტატი ჯერ კიდევ 38 სომეხის მიმართ – სულ მთლად გაუქმებულ იქნა. ეს იყო ინტელიგენციის წარმატება. პროფესიით ახალ სათათბიროში იყვნენ ცხრა ვაჭარი ან მენარმე, რვა მემამულე, ხუთი ფაბრიკის მფლობელი, ექვსი ოფიცერი და ხუთი სახელმწიფო მოხელე ერთი მხრივ, მაგრამ რვა ექიმი, რვა საბანკო თანამშრომელი, ოთხი ლიტერატორი, სამი პედაგოგი, სამ-სამი მოსამართლე და აგრონომი და მართო ორი ადვოკატი (ჭრელაევ, 1903: 61-62; Новое обозрение , 11.12.1890).

რადგანაც ახალი და ძლიერი ოპოზიციის ბირთვი მესამე კურიაში ქართველების – უფრო ზუსტად ქართველი თავადებისა და ქალაქის

მმართველობის სომხური ბირთვი ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სომეხი ვაჭრებისაგან იქნა ჩამოყალიბებული, ნაციონალურ სტერეოტიპზე ძალაუფლებისათვის ბრძოლა ადვილად შერბილდა (ბენდიანიშვილი, 1982: 34). ფაქტობრივად, ეს გახდა ორ ნაციონალურ ელიტას შორის – მსჯელობის საგანი. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტსა და ოპოზიციას შორის მცირე იდეოლოგიური განსხვავება იყო, ამ გაცხელებულ საარჩევნო ბრძოლაში პირველად მოხდა ეთნოსის გაპოლიტიზირება. ორივე ბანაკი დაახლოებით ერთნაირი სიძლიერისა იყო. მუნიციპალიტეტის წარსული და ახლანდელი საქმიანობის მძაფრი კრიტიკით მისი ავტორიტეტი შერყეულ იქნა. მას შემდეგ, რაც ქალაქის თავის – თავადი ნ. ვ. არგუტინსკი-დოლგოროუკოვის ერთიანი კანდიდატურის ირგვლივ გაერთიანება ვერ მოხერხდა, წარმატება უწინდელ ქალაქის თავს – მატინოვს დარჩა 7 ხმის უმრავლესობით ნიკ. დ. ზუბალაშვილთან (ზუბალოვი) ბრძოლაში (Новое обозрение, N2430, 14.1.1891).

უკვე ხუთი კვირის შემდეგ მან თავისი უმრავლესობა ისევ დაკარგა, რადგანაც მისი ფრაქციის მიერ ახალი ამომრჩეველების ერთი მესამედი სულ მთლად იგნორირებულ იქნა. ლიბერალურმა გაზეთმა „Новое обозрение-მ“ უჩივლა ქედმაღალ, აქამდე მმართველ მატინოვიზმაილოვის პარტიას, რომელსაც მრენველები ა. მანთაშევი და ი. პიტოვეი უწევდნენ დახმარებას და რომელთანაც ისინი ახალ ამომრჩეველთან ერთად თანამშრომლობას ეძიებდნენ ბიუჯეტის კონსოლიდაციისა და ქალაქის მეურნეობის განვითარებისათვის (Новое обозрение, N2431, 15.1.1891). როდესაც პ. ა. იზმაილოვმაც დამატებით არჩევნებში (1891 წ. 5 მარტს) გამარჯვება ვერ შესძლო (Новое обозрение, N2478, 6.03.1891), ბოლოს (1891 წ. 25 მარტს) ამ პოსტზე არჩეულ იქნა სომეხი თავადი ნიკოლოზ ვას. არგუტინსკი-დოლგოროუკოვი. ამით ოპოზიციამ თავის პირველ წარმატებას მიაღწია (Новое обозрение, N2498, 27.3.1891), მაგრამ ქალაქის მმართველობა და უმრავლესობა ქალაქის სათათბიროში (38 დეპუტატი 72-იდან) დარჩა მაინც სომეხი ეკონომიური ელიტის ხელში (Suny, 1986: 270; Новое обозрение, NN, 5. & 17.11.1890, 28.2. & 12.3.1893).

3.2 ალექსანდრე III-ის ქალაქის ახალი განაწესი და 1893 წლის ქალაქის სათათბიროს არჩევნები

ავტორიტარული კონტრ-რეფორმების გატარებისას, იმპერატორმა ალექსანდრე III-მ 1892 წელს ქალაქის ახალი წესდება დაამტკიცა, რომელმაც საკუთრების ცენზი კიდევ უფრო აამაღლა, რათა არჩევნებში მხოლოდ მოჩვენებით, ქალაქის მოსახლეობის ერთგულ, უმდიდრეს ნაწილს და ამასთანვე სომეხ ვაჭრებს მიეღოთ მონაწილეობა (Нардова, 1994: 12-18). ახალმა ცენზმა თბილისში საკუთრების მფლობელობაზე სულ ცოტა 1500 მანეთის ღირებულებას მიაღწია (ბენდიანიშვილი, 1982: 39). რადგანაც ამომრჩევლის დიდმა ნაწილმა მესამე კურიაში იკლო, ქალაქის მუნიციპალიტეტის ყველა დეპუტატი 1893 წლის 30 მაისს მხოლოდ ერთ წინასაარჩევნო კრებით აირჩიეს. ამ 77 (72?) კანდიდატიდან 1893 წელს წარდგენილი იყო 10 რუსი, 7 ქართველი და 2 გერმანელი კანდიდატი.

არჩევნებისთვის ახლად ფორმირებულ ოპოზიციას, მაშინაც კი, როცა იგი დეზორგანიზებული იყო და მხოლოდ ფრთხილად ეხებოდა ეროვნულ თემებს, ლიბერალური გაზეთი „Новое обозрение“ უჭერდა მხარს, მაგრამ წარუმატებლად. ოპოზიცია ადვილად იქნა დამარცხებული, დომინირებული მატინოვ-იზმაილოვის ქალაქის მუნიციპალიტეტის პარტიისა და „дворцовые номера“-ს მიერ.

1893 წლის სექტემბერში იზმაილოვი გახდა პირველი წარმომადგენელი „მესამე ელემენტისა“ პროფესიონალთა რიგებიდან, რომელიც ქალაქის თავად იქნა არჩეული 62 ხმით 8-ის წინააღმდეგ. საარჩევნო დებულებაში ამ ცვლილებამ ოპოზიციას არჩევნებში ყოველგვარი გამარჯვების იმედი დაკარგვინა 1890-1891 წლების გამოცდილებიდან გამომდინარე (Suny, 1986: 271; Новое обозрение, 6.5.1893).

პროტესტის ნიშნად, მუნიციპალიტეტში ქართველების მცირე წარმომადგენლობის გამო, ქალაქის საბჭოს თითქმის ყველა შვიდმა ქართველმა დეპუტატმა რვიდან, უარი თქვა თანამდებობაზე. ძლიერი პოლემიკა გაიმართა სომეხ „პლუტოკრატებსა“ და „ფულიანი ტომრების სოლოლაკიდან“ წინააღმდეგ. იმედგაცრუებულ დამარცხებაზე, ლიბერალური „Новое обозрение“ ოპოზიციას ურჩევდა, სათათბიროში გამარჯვებულთა „მორალური დამარცხება“ საჯაროდ ელიარებინათ (Новое обозрение, N3250, 9.6.1893).

ერთ-ერთი მიზეზი ასეთი მძაფრი რეაქციისა შეიძლება ის ფაქტიც

ყოფილიყო, რომ გამოჩენილი და პატივცემული ქართველი პიროვნებები (მაგ. ნიკო ცხვედაძე), რომლებიც თავიანთ ეთნიკურ ორგანიზაციებს მართავდნენ, არ იყვნენ არჩეულნი და ამით მათი პატივი შეილახა. მეორეს მხრივ, ქართველი ჟურნალისტი ლევანიძე უჩიოდა ქართველებში ინტერესის ნაკლებობას სათათბიროსა და მისი არჩევნებისადმი. 1893 წელს 3000 უფლებამოსილი ამომრჩევლიდან, რომელთა შორის მხოლოდ 600 ქართველი იყო, 120-მა მისცა თავისი ხმა. შედარებით დიდია რიცხვი მონაწილეებისა თავადაზნაურთა ბანკში მმართველობის ან თავადაზნაურთა წარმომადგენლობის არჩევნებში (ივერია, 23.01.1897; Туманов, 1900: 55). აქ კი ნაკლები ინტერესი სომხებს ქონდათ, თუმცა ისინი აქაც არ იყვნენ ნაკლებად წარმოდგენილნი. ქალაქის სათათბირო დიდად არ ხიბლავდათ რუსებსაც, რადგანაც მათ იმპერიული ინტერესები ამოძრავებდათ და ამიერკავკასიის ქალაქებში საცხოვრებლად ხანგრძლივი დროით არ ჩერდებოდნენ. ნიშნავდა ეს უკვე ეთნოსის და დემოსის შეუთანხმებლობას?

თუ თუმანოვი უმრავლესობის პროპორციებს არჩევითობის სისტემით განპირობებულს ხედავდა (Туманов, 1900: 55). ლიბერალი ქართველის, ნიკო ნიკოლძის მოთხოვნა იყო მხოლოდ თანმიმდევრული ეთნიკურად პროპორციული წარმომადგენლობა. თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები თვითონ რომ აერჩიათ, ამის ნება მხოლოდ ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს ეძლეოდათ. იმავდროულად ამით უკვე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების აღნიშნული თანაარსებობა დემოსის ეთნიკური გათიშვით დამთავრდებოდა (კვალი, 1893: № 15). ამას წინ აღუდგა თუმანოვი, რომელიც მიუთითებდა, რომ ეთნიკური პრინციპი არსებულ საარჩევნო უფლებას არ შეესაბამებოდა და, რომ ამით ნაციონალური დაძაბულობა კი არ შემცირდებოდა, არამედ გამძაფრდებოდა. არა შემთხვევით ეთნიკური კუთვნილება, არამედ ქალაქის საქმეებისადმი ინტერესი, განსაზღვრული გეგმები და მიზნები უნდა ყოფილიყო წარმომადგენლობის საზომი, თორემ უკვე ძალზე შეზღუდული თვითმმართველობა სრულ უძრაობაში გადავიდოდა. ბოლოს დასძენდა, რომ ავსტრო-უნგრეთისაგან განსხვავებით, იმპერიაში მხოლოდ ერთი გაბატონებული ერი, მხოლოდ ერთ სახელმწიფო ენა არსებობსო: რუსული. დარტყმა სომხების წინააღმდეგ, ეს არის დარტყმა ყველა პატარა ხალხზე, ასევე თვით ქართველების წინააღმდეგო (Туманов, 1900: 17-23).

1893 წლიდან ამ დაძაბულობის საფუძველზე მუნიციპალიტეტი თავის ყოველდღიურ პრაქტიკაში მოერიდა ეთნიკურ გარჩევებს, მაგ-

ალითად, პოსტების დაკავებისას. 1892-1893 წლებში სათათბიროს საქმიანობაში წინა პლანზე იდგა ქოლერის ეპიდემიის შედეგად ქალაქის ჯანმრთელობის საქმეში სანიტარული და სამედიცინო საკითხების მოგვარება, გაიხსნა ახალი სკოლები, საჯარო ბიბლიოთეკა და დაიგეგმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება (Туманов, 1900: 37).

3.3 1897 წლის ქალაქის სათათბიროს არჩევნები

1896 წლის დეკემბერში კავკასიაში ინიშნება ახალი მთავარმართებელი თავადი გრიგოლ გოლიცინი. მან გაზეთ „Кавказ“-ის (1897-1899) რედქტორად მოიწვია რუსი შოვინისტი ჟურნალისტი ვასილ ველიჩკო (1860-1904). მათ ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგაც გაამწვავეს გაბატონებული არმენოფობია, რომელიც ადრინდელი მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვის მმართველობის დროსაც იყო. ახალი ხელისუფალი არმენოფობიას კავკასიის მმართველობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად თვლიდა, რაც სათათბიროზეც ახდენდა გავლენას (Suny, 1993: 43-51). 1894-1896 წლების ხოცვა-ჟლეტის შემდგომ ქალაქში გაძლიერდა ლტოლვილების ნაკადი ოსმალეთის სახელმწიფოდან და გაიზარდა დაძაბულობა ამიერკავკასიის პატარა ქალაქებში. 1897-1910 წლებში სომხების რიცხვი თბილისში გასამმაგდა, – იგი 46.700-დან 124.900-მდე გაიზარდა (72.200-ით მეტი) (ოჩიაური, 1988: 28).

პოლიტიკის ეთნიზირებამ 1897 წლის ქალაქის სათათბიროს არჩევნებისას ხელახლა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. თბილისელების თვითმართველობის გაზრდით მწვავდება კონფლიქტები ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის. დიდი ვაჭრები და მეწარმეები (ესე იგი სომხები) ცდილობდნენ თავიანთი დომინანტური პოზიციის დაცვას ქალაქის სათათბიროში. ქართველი თავადაზნაურობა, სომეხი ინტელიგენცია და წვრილი ბურჟუაზია (обиватели) პირიქით, მიისწრაფოდა, რომ მათი მოჭარბებული ბატონობა დამხოთ.

1897 წელს ქალაქის მუნიციპალიტეტის არჩევნების დროს სულ ცოტა 160.000 მცხოვრებიდან 2.770 კაცი ფლობდა ხმის უფლებას, ესე იგი 1,7%. აქედან 1.301 (47%) სომხები იყვნენ, 682 (24%) რუსები და 512 (18,5%) ქართველები. 275 კაცი ან 9,9% სხვა ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ. 1893 წლის 18 მაისა და 1 ივნისს არჩევნებზე მხოლოდ 1070 პიროვნება მივიდა (38,6%) (ბენდიანიშვილი, 1960: 37). გიორგი ლასხიშვილის თქმით, ქართველებზე – თანამემამულეების უკეთეს

მონაწილეობაზე არჩევნებში არცერთი ორგანიზაცია არ ზრუნავდა, ამიტომ ამჟამად არჩევნებზე ქართველი ამომრჩევლებისა მხოლოდ 39% (დაახლოებით 650) მივიდა (ლასხიშვილი, 1992: 102; მოამბე 1897, N5, გვ. 95-104, აქ 101).

სომხების აბსოლუტური ხმების უმრავლესობა, ტაქტიკურად მაინც, ორ დაპირისპირებულ სომხურ „პარტიას“ შორის იყო განაწილებული. პირველს წარმოადგენდა პარტია „Дворцовые номера“ – ქალაქის დეპუტატების უმრავლესობა – „სოლოლაკელები“ – ქალაქის ამავე სახელწოდების ნაწილიდან, სომეხ მენარმეთაგან და ვაჭრებისაგან მხარდაჭერილი. მეორე იყო ოპოზიციური – „სომეხი ახალგაზრდების ჯგუფი“ – ფორმირებული ინტელიგენციით, ვაჭრებისა და ბანკების თანამშრომლებით და წვრილი ბურჟუაზიით (ошибатели). მათ ქართველებს „გადამწყვეტი როლის სათამაშოდ“ კანდიდატების ერთიანი სია შესთავაზეს (Новое обозрение, N4604, 27.05 1897).*

ეს შეთავაზება ქართველებმა უარყვეს. სანაცვლოდ, ნიკოლოზ ცხვედაძემ, ყოფილმა ქალაქის საბჭოს დეპუტატმა და ზემოთ ნახსენებმა რედაქტორმა ველიჩკომ შექმნეს – „რუსულ-ქართული პარტია“. რეალური უმრავლესობის მიერ ამ ურთიერთობის უგულვებელყოფა კი პოლარიზებული და აგრესიული კამპანიის წყალობით – სომხების წინააღმდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა. ჩანდა, რომ ბრძოლა არა ქალაქის სათათბიროს მმართველი პარტიის, არამედ ყველა სომხების წინააღმდეგ იყო მიმართული, რის გამოც სხვადასხვა ბანაკის სომხებიც ერთად შეიყარნენ. ამ ხერხით, საკუთარი ფანატიზმის წყალობით გაფლანგეს პოტენციურად შესაძლებელი წარმატება. მმართველ პარტიას „Дворцовые номера“-ს (370-400 ხმა) ხმის უმრავლესობით შეეძლო ადვილად გაემარჯვა. სხვები, – „რუსულ-ქართული პარტია“ სავარაუდოდ, მაქსიმუმ 350 ხმას, ხოლო სომხური ოპოზიცია 270-300 ხმას მიიღებდა. ამის შესაბამისად უკანასკნელად შეეძლოთ არ გაეყვანათ არც ერთი ქართველი კანდიდატი. ბევრნი ამის შესაბამისად რეაგირებდნენ და თვითონ ცნობილ ქართველ წარმომადგენლებს არ ირჩევდნენ. ფაქტობრივად კი ბევრმა სომეხმა კანდიდატმა თავისი ხმები რუსი და ქართველი ამომრჩევლებისაგან მიიღო. მომდევნო მერი ა. ევანგულოვი ერთ სტატიაში ნუხილის გამოთქვამდა, რომ ამ გარემოების გამო ქართველები და რუსები პირველ ტურში შეძლებისდაგვარად სულ მცირე – ქალაქის საბჭოს 7 დეპუტატით არიან წარმოდგენილი (Туманов, 1900: 44-50). ბევრი რუსისა და ქართველის ბოიკოტით მეორე ტურში წარმომადგენ-

ლობის ადეკვატური შანსები არ გაუმჯობესებულა. ბოლოს ქალაქის საბჭოს 83 დეკრეტიდან 54 სომეხი, 9 ქართველი, 16 რუსი და დანარჩენი ეროვნების 4 წარმომადგენელი იყო (Эвангулов, 30.05. 1897; Новое обозрение, N4611, 30.05 1897).

ქართველი ამომრჩევლების უნდობლობა სომხების მიმართ ბოლოს ქართველების დამარცხებით დამთავრდა (ლასხიშვილი, 1992: 102). წარმატებულმა კანდიდატებმა პროტესტის ნიშნად, ქართველების მცირე წარმომადგენლობის გამო, დააბრუნეს თავიანთი მანდატები. ამგვარად, ქალაქის საბჭოს 9 დეკრეტი ქალაქის თვითმმართველობიდან გამოვიდა. თავისი არმენოფობიური კამპანიით დამარცხებულმა ველიჩკომ ახლა ქართველი ნაციონალისტების მხარდამხარ „პლუტოკრატებს“ ქალაქის სათათბიროში პუბლიცისტური შეუწყვეტელი ცეცხლი გაუხსნა. ისინი ქალაქის საბჭოს საყვედურობდნენ სარგებლის აღებაში, კორუპციასა და ბევრ სხვ. ამით ისინი ხელს უწყობდნენ პოლიტიკური კლიმატის შექმნას და იმ აზრის გავრცელებას, რომ სომხები ერთიანად (და არა მხოლოდ მათი რადიკალური დაჯგუფებები) კავკასიაში რუსული ჰეგემონიისათვის მავნებლურ და რევოლუციურ საშიშროებას წარმოადგენდნენ. ამიტომ 1899 წლის მაისში მომზადებულ იქნა ნიადაგი სპეცილური დეკრეტული კანონისათვის (Полное собрание, 1902: № 16870) და რომელიც მხოლოდ კავკასიის ქალაქებს ეხებოდა. ის მთავარმართველ გოლიცინს უფლებას აძლევდა, რომ ქალაქის სათათბიროს დეპუტატები და ქალაქის საბჭოს თანამშრომლები თავისი პოსტებიდან განთავისუფლებინა. მასაც დიდხანს არ უყოყმანია და ქალაქის მთელი საბჭო ვითომდა კორუფციული მოქმედების გამო გადააყენა.

საუკუნის დასასრულს სომხური გამომცემლობის საზოგადოება დაიხურა. 1903 წლის 12 ივნისს ცარისტულმა არმენოფობიამ სომხური საეკლესიო ქონების გასახელმწიფოებით თავის აპოგეას მიაღწია. ძალზედ ტიპურია ის საუბარი, რომელიც ბერლინელმა მკვლევარმა კ. ლემან-ჰაუპტმა 1899 წლის ზაფხულში ტფილისის ძველ ქალაქში „უბრალო სომეხ ხელოსანთან“ წარმართა. რჩევაზე, სომხების ხოცვა-ჟლეტის მერე რუსეთში დარჩენის შესახებ – მან უპასუხა: რუსეთში უარესია, ვიდრე თურქეთში, მათ ჩვენი სკოლები დახურეს. წინათ არსებობდა სომხეთის ისტორია, სომხეთის გეოგრაფია, ეს ეხლა მეტი აღარ არსებობს. ბავშვები ისე უნდა გაიზარდონ, რომ თავის სამშობლოზე ცოტა რამეც არ უნდა იცოდნენო? (Lehmann-Haupt, 1910: 64).

ამიერკავკასიაში ავტოკრატის რუსი წარმომადგენლები საკუთარ

თავს იზოლირებულად ხედავდნენ და თავის ჰეგემონიას კვლავაც სამხედრო ძალით ინარჩუნებდნენ. კონტროლი რეგიონზე შეასაბამისად მხოლოდ „დე იურე“ ჰქონდათ და არა „დე ფაქტოდ“ (Лурье, 1994: 56-64).

ქალაქის თვითმმართველობის ლიბერალურ მებრძოლ გიორგი თუმანოვს (თუმანიშვილს) ჯერ მხოლოდ უმწეო მიტოვებული იმედი რჩებოდა, რომ სასამართლო საყვედურის დაუსაბუთებლობას დამტკიცებდა და ქალაქის საქმეებში საჭირო გამჭვირვალეობა გამოიკვეთებოდა. თუმანოვი პრინციპულად წარმოთქვამდა სიტყვას ეთნიკურად განუყოფელი დემოსისადმი, ეფექტიანი თვითმმართველობის ინტერესებზე და მათი გავრცელებისათვის, როდესაც ის ხალხს მოაგონებდა: „ქალაქის თვითმმართველობა არანაირ ეროვნულ ან რელიგიურ საკითხებს არ წყვეტს, არამედ სამეურნეო საკითხებს“ (Туманов, 1900: 58).

4. გაეთნიკურობის შედეგები 1900 წლიდან

საუკუნის დასასრულის შემდეგ ეროვნული პარტიების წარმოშობით მძაფრდება ლიბერალების მდგომარეობის დილემა. შეერთების ტენდენციამ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან, როგორც ეს უკვე საკუთარი ეთნიკური დომინირებულ ორგანიზაციებითა და გაერთიანებებით მოხდა, თავისი გაგრძელება ჰპოვა. პოლიტიკის ეთნიზირებამ დემოკრატიული თვითმმართველობის პრინციპები მოცემულ პირობებში ვერ გაავრცელა. რეაქციული და რადიკალური ჯგუფები მრავალჯერ შეეცადნენ, რომ ქალაქის სათათბირო დომინანტი სომეხი შეძლებული მოქალაქეებით დაეკომპლექტებინათ და ასე მიეყენებინათ ზიანი თვითმმართველობისათვის.

ქართული და სომხური ელიტის ეთნიკური გათიშვის პოლიტიკური შედეგები ნათელი გახდა 1905 წლის გაზაფხულზე „ერთობის“ – დიდი სოლიდარობის მიხედვით. ახლადდანიშნული მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს, ქართველი თავადაზნაურობა და სომხების დომინირებული ქალაქის სათათბირო ესაჭიროებდა, როგორც მმართველობის დასაყრდენი მდგომარეობის სტაბილიზების ორგანო და მისცა დათმობის მზაობის სიგნალი (Hovannisian, 1971: 38). მაგრამ ეს დაჯგუფებები მზად არ იყვნენ ურთიერთდაახლოების, დიდი შინაგანი თვითგამოკვლევისა და ამით თავიანთი მოთხოვნების გატარებისათვის. მათ პოლიტიკურ მოთხოვნებში ეთნიკური გამიჯვნა დომინირებდა. სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი პრივატ-დოცენტი ზურაბ ავალიშვილი 1910

ნელს ასკენიდა – „უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითად ტფილისში ორი საზოგადოება, ორი ჯგუფი ინტელიგენციისა ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს – ერთი სომხური და ერთი ქართული, ისე რომ, ერთიმეორეზე მცირე გავლენასაც არ ახდენენ, ერთმანეთს არ იცნობენ, ერთმანეთისადმი ინტერესს არ ავლენენ, რის გამოც, რასაკვირველია, ორივე მხარე რალაცად კარგავს“ (Авалов, 1910: 476).

1905 წელი „ქართველი სოციალ-დემოკრატების“ წელი გახდა (Jones, 1984: 213; Jones, 1989: 403-434).*

ძალაუფლების არმქონე, წვრილი თავადაზანაურობის წრიდან გამოსული ინტელექტუალები ფართო მასების ინტერესების დამცველად გამოდიოდნენ. ისინი ხალხს მარქსიზმს უხსნიდნენ, როგორც ქართველი მიწათმფლობელების, სომეხი ვაჭრებისა და რუსი ჩინოვნიკების ექსპლუატაციისაგან განმანათავისუფლებელ იდეოლოგიას (Reisner, 2005). მათი პრაგმატული პოლიტიკურ-ლეგალური მუშაობა არალეგალური რევოლუციონერების გვერდით, შესაძლებელს ხდიდა, მაგალითად, ქალაქის სათათბიროს მენშევიკური დეპუტეტების კოოპერირებას („ახალი ამომრჩევლების ჯგუფი“ ლიბერალურ კადეტებთან ერთად 1910 წელს სომეხი მერის ალექსანდრე ხატისოვის ასარჩევად). ხატისოვი მათთვის „უნმნიშვნელო უბედურებას“ წარმოადგენდა „ექსტრემისტ ნაციონალისტებთან“ შედარებით, თუმცა ის ლიბერალური სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელი იყო სოლოლაკიდან და არ შეეძლო გაემართლებინა მათში დარჩენილი იმედები, ქალაქის ქვედა ფენების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (საქმე, 1910, № 16). მათ შეისწავლეს წინამორბედი ქართველი ნაციონალისტების შეცდომები და შეძლეს ქალაქის წვრილი მესაკუთრების მობილიზება არჩევნებისთვის. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ, როგორც რუსი ეთნოგრაფი პ. კოვალევსკი წერდა: იმერლებმა თანდათან შეავიწროვეს სომხები თბილისში, როგორც ბინათმფლობელობის, ისე ვაჭრობის, მრეწველობისა და მშენებლობის სფეროში. მცირე ხანში ტიფლისი იმპერიის ქართული ქალაქი გახდებო (Ковалевский, 1914: 236; ალასანია, 1997: 20; თოთაძე, 1993: 276).

ქართულმა სოციალ-დემოკრატებმა მოგვიანებით, როგორც ქართველი მუშების და გლეხების ინტერესების გამოხატველმა პარტიამ უპირატესობა მოიპოვა საბჭოებში, ხოლო 1918 წლის მაისიდან სათავეში ჩაუდგა ახლად შექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (Suny, 1988: 178; სურგულაძე, 1986).

დანართი

ტფილისის (თბილისის) ქალაქის სათათბიროს ეთნიკური შემადგენლობა (Ananoo 1922: 111; Der Megrian, 1968: 25).

ეთნიკური ჯგუფები	სომხები		ქართველები		რუსები		დანარჩენი		სულ	ამომრჩეველები	ქალაქის მერი
	№	%	№	%	№	%	№	%	№	№	***
1. საარჩევნო პერიოდი 1875-1878	53	73,6	14	19,4	5	6,9			72	4.500	დ. ყიფიანი
2. 1879-1882											ა. მატინოვი
3. 1883-1886	58	80,6	7	9,7	7	9,7	0	0	72		ა. მატინოვი
4. 1887-1890	54	75	8	11,1	10	13,9	0	0	72	4.808	ა. მატინოვი
5. 1891-1893	38	52,8	22	30,5	11	15,3	1	1,4	72	4.088	ნ.ვ. არგუტინსკი-დოლოგორუკოვი
6. 1893-1897	55	76,4	6	8,3	11	15,3	0	0	72	2.770	პ. იზმაილოვი
7. 1897-1901	54	65,1	9	10,8	16	19,3	4	4,8	83	2.854	გ. ევანგულოვი
8. 1902-1906	53	67,1	13	16,5	13	16,5	0	0	79	3.222	ხ. ვერმიშევი
9. 1907-1910										2.581	ვ. ჩერქეზიშვილი
10. 1911-1915										3.567	ა. ხატისოვი

Ethnos and Demos in Tbilisi

The relationship of ethnic groups in the elections to the City Duma in Tbilisi between 1890 and 1897

Summary

The paper analyses the narratives about the City Duma elections in Tbilisi between 1890 and 1897 in local Georgian and Russian newspapers in terms of the instrumental relationship between a socio-cultural ეტნოს-ნოს and a politically restrictively defined დემოს under the authoritarian Tsarist regime in the Caucasus. It traces a trend of increasing mutual estrangement of the intellectual elites due to internal status reversal of the Georgian nobility, the Armenian merchant class and the Russian imperial civil servants as well as external attempts by Russian administrators to instrumentalize ethnic identity for their purpose of securing a sufficiently strong power basis in the Caucasus region. It concludes that with the successful introduction of ethnic categories the establishment of stable democratic institutions has been subverted in the beginning of the 20th century. So far, such kind of transnational and comparative approach in the field of urban history has not been applied to this region.

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:

აბესაძე ნ., ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში (XIX ს. II ნახ. – XX ს. დასაწყისი). ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1986.

ალასანია გ., ქართველები ბატონ რონალდ სიუნის თვალსაზრისით, თბ., 1997.

ბენდიანიშვილი ალ., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში 1875-1917 წლებში, თბ., 1982.

ბერიაშვილი თ., რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების

სოციალური ფენები (მოქალაქე), თბ., 1964.

ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980

გერსამია თ., ძველი თბილისი. Старый Тбилиси Old Tbilisi. თბ., 1984.

გაზ. „დროება“, 07.03.1876.

გაზ. „ივერია“, 10.10.1890.

გაზ. „ივერია“, 18.11.1890.

გაზ. „ივერია“, 20.11.1890.

გაზ. „ივერია“, 04.12.1890.

გაზ. „ივერია“, 26.1.1891.

გაზ. „ივერია“, 31.1.1891.

გაზ. „საქმე“, № 16, 1910.

გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX სს., ტ. 6, თბ., 1979.

ექვევრაძე ლ., ხელოსნური წარმოების ბურჟუაზიული ევოლუცია საქართველოში XIX ს. II ნახ. XX ს. დამლევს (თბილისის ხელოსნური წარმოება), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1978.

თოთაძე ა., საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ., 1993.

კუცია კ., ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, თბ., 1984.

ლასხიშვილი გ., მემუარები, თბ., 1992.

მესხი ს., ქალაქის ახალი გამგეობა, წიგნში: ნაწერები სერგი მესხისა, ტ. 1, თბ., 1903.

მურვანიძე მ. (რედ.), მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ავანგარდში, ჟურნალში: საისტორიო მოამბე 1985, № 51-52.

ნაცვლიშვილი ნ., ცვლილებები თბილისის სოციალურ სტრუქტურაში, ჟურნალში: სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი 1984/45-46.

ოჩიაური თ., ეთნიკური პროცესები თბილისში, ჟურნალში: მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1988, № 2.

ჟურნ. „მოამბე, 1897, № 5. მაისი.

რაისნერი ო., ორი სამყაროს მგზავრი. თერგდალაულთა იდენტობის კონფლიქტი და ეროვნული ცნობიერება, კრებულში: ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007). თბ., 2009.

სურგულაძე ა., ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ

რევოლუციაში, 1900-1921, თბ., 1986.

ჩხეტია შ., დ. ყიფიანი და საგლეხო რეფორმა, კრებულში: К истории крестьянской реформы в Грузии, Тифлис 1950.

ჩხეტია შ., საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, კრებულში: К истории крестьянской реформы в Грузии, Тиф., 1950.

წერეთელი გ., ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა, ჟურნ. „კვალი“, 1893, № 15.

ჭრელაევ/ჭრელაშვილი სტ., Тифлис в XIX столетии, в сборнике „Весь Кавказ“ Административный отдел, Тифл., 1903.

ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1984.

Ananoo D. [Pseud. f. David Ter Danelian], Roosahaieri Hasaragagan Zargats'oome [The Social Development of Russian-Armenians], Etchmiadzin 1922, Bd.2.

Der Megrian Leon, Tiflis During the Russian Revolution of 1905, Ph.D. University of California, Berkeley 1968.

Hanchett W., Tsarist Statutory Regulation of Municipal Government in the 19th century, The City in Russian History, Lexington, Kentucky, 1976.

Hovannisian R.G., Russian Armenia. A Century of Tsarist Rule, in: Jahrbücher für Geschichte Osteuropas 19 (1971).

Ischchanian B., Nationaler Bestand, berufsmäßige Gruppierung und soziale Gliederung der kaukasischen Völker, Berlin/Leipzig, 1914.

Jones Stephen F., Georgian Social Democracy, 1892-1921, in: Opposition and in Power, Unpublished Ph.D., London School of Economics, 1984.

Jones, Stephen F., Marxism and Peasant Revolt in the Russian Empire: The Case of the Gurian Republic, in: Slavonic and East European Review 67 (1989).

Kreckel R., Theorien sozialer Ungleichheit im Übergang; in: ders. (Hg.), Soziale Ungleichheiten, Göttingen 1983.

Lehmann-Haupt C.-Fr., Armenien. Einst und Jetzt, Berlin, 1910.

Reisner O., Die Schule der georgischen Nation. Eine sozialhistorische Untersuchung der nationalen Bewegung in Georgien am Beispiel der „Gesellschaft zur Verbreitung der Lese- und Schreibkunde unter den Georgiern“ (1850-1917), Wiesbaden, 2004.

Reisner, O., Zwischen kultureller Autonomie und politischer Unabhängigkeit: politische Konzeptionen und interethnische Beziehungen

in Tbilisi, 1905-1917, in: F. Adanir, B. Bonwetsch (eds.): შმანისმუს, ნა-
ტიონალისმუს უნდ დერ კაუკასუს. მუსლიმე უნდ ჩჰრისტენ, თ რკენ უნდ
არმენიერ იმ 19. უნდ 20. ჟაჰრჰუნდერტ. Wiesbaden: Reichert, 2005, pp.
139-158.

Stadelbauer J., Die kaukasische Peripherie des späten Zarenreiches.
Grundlagen der Kontinuität ethnischer Konflikte, in: H. Hausmann, St.
Plaggenborg (ed.), *Аუფბრუტჰ დერ ჩესელსცჰაფტ იმ ვერორდნეტენ*
შტაატ. ლუ ლანდ ინ დერ შჰ ტჰჰასე დეს ძარენრეიტცჰეს, Frankfurt a.M.
1995.

Suny R.G., Tiflis. Crucible of Ethnic Politics, 1860-1905, in: Hamm, M.F.
(ed.) *თჰე ჩიტყ ინ გატე /მჰერიალ ლუსსია*. Bloomington 1986, pp. 249-281.

Suny R. G., *The Making of the Georgian Nation*, Bloomington 1988
(*Studies of Nationalities in the USSR*, 2. ed. 1994).

Suny R.G., *Looking Toward Ararat. Armenia in Modern History*,
Bloomington & Indianapolis, 1993.

Velichenko St., *Identities, Loyalties and Service in Imperial Russia: Who*
administered the Borderlands?, in: *Russian Review* 54 (1995).

Wardrop, Sir Oliver: *The Kingdom of Georgia. Travel in a Land of*
Women, Wine and Song, London 1888.

Авалов З., *Грузины. Формы национального движения*, СПб., 1910.

Аргутинский П., *Население Тифлиса. Тифлисский муниципальный*
календарь на 1917 год. Тифл., 1916.

Анчабадзе Ю.Д., Волкова Н.Г., *Старый Тбилиси. Город и горожане*
в XIX веке, М., 1990.

Волкова Н.Г., *Этнческие процессы в Закавказье в XIX-XX вв.*, в сбор-
нике: *Кавказский этнографический сборник*, т. IV, М., 1969.

Газ. Новое обозрение, 14.1.1891.

Газ. Новое обозрение, 15.1.1891.

Газ. Новое обозрение, 6.3.1891.

Газ. Новое обозрение, 27.3.189.

Газ. Новое обозрение, 17.11.1890.

Газ. Новое обозрение, 11.12.1890.

Газ. Новое обозрение, 12.3.1893.

Газ. Новое обозрение, 6.5.1893.

Газ. Новое обозрение, 9.6.1893.

Исмаил-Заде Д.И., *Население городов Закавказского края в XIX –*

начале XX века. Историко-демографический анализ, М., 1991.

Кастелянский А.Й. (ред.): Формы национального движения в современных государствах. Австро-Венгрия. Россия. Германия, СПб., 1910.

Ковалевский П.И., Кавказ, т. 1. СПб., 1914.

Лурье С., Российская империя как этнокультурный феномен, журнал: Общественные науки и современность (ОНС) 1994, № 1.

Нардова В.А., Городское самоуправление в России в 60-х – начале 90-х годов XIX века, Ленинград, 1984.

Нардова В.А., Самодержавие и городские думы в России в конце XIX – начале XX века, СПб., 1994.

Пирцхалайшвили А.Г., К истории выступления тбилисских амбаров в 1865 г., Исторические Записки 8 (1940).

Полное собрание законов Российской империи (ПСЗ), т. XIX, отд. 2, СПб., 1874.

Полное собрание законов Российской империи (ПСЗ), т. XIX, отд. 1, № 16870. СПб. 1902

Сазонов А.Н., Несколько слов об Армянах на Кавказе, в журнале: Русская Мысль 1896, № 9 & 10,

Туманов Гиорги М., Заметки о городском самоуправлении на Кавказе, Тифл., 1902.

Туманов Г.М., Заметки кавказского хроникера, Т. 1. Тифл., 1900

Эвангулов А., Письма о тифлисских городских выборах. Письмо 1-е, Новое обозрение, 27.05.1897.

Эвангулов А., Письма о тифлисских городских выборах, Новое обозрение, 30 05. 1897.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური

წარმომადგენლობა პოლონეთში*

პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა სამყარო მნიშვნელოვნად შეცვალა და გადაახალისა. გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსეთის იმპერიაში ინკორპორირებულ სამხრეთ კავკასიასაც შეხო. 1918 წლის მაისში აქ სამი ახალი სახელმწიფო წარმოიშვა, რომელთაგან ერთ-ერთი მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით აღიბეჭდა.

საქართველოს ისტორიულად ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიცია გააჩნდა, მაგრამ ახალ რეალობაში ხელახლა აღორძინებულ ქართულ სახელმწიფოს საერთაშორისო სივრცეში თვითდამკვიდრებისათვის განსაკუთრებული ძალისხმევა დასჭირდა. სიძნელეს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის: 1. საქართველომ დამოუკიდებლობა გერმანიის მხარდაჭერით მოიპოვა და შეინარჩუნა. ომში დამარცხების შემდგომ გერმანიას საქართველოს დაცვისა და მფარველობის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. გამარჯვებული მოკავშირენი გერმანოფილურ საქართველოს დიდი ნდობით არ უყურებდნენ; 2. ანტანტის მესვეურები საქართველოსა და კავკასიას ჯერ კიდევ რუსეთის ნაწილად განიხილავდნენ და თეთრგვარდიული მოძრაობის გამარჯვების შემთხვევაში ერჩიათ ეს რეგიონი კვლავ რუსეთის ფარგლებში ეხილათ; 3. დიდ სახელმწიფოთა გეგმებში არსებობდა ალტერნატიული ვარიანტიც, რომელიც კავკასიას არა სამ-ოთხ პოლიტიკურ ერთეულად დაშლილ მხარედ, არამედ ერთიან, განუყოფელ სივრცედ მოიაზრებდა; 4. უმნიშვნელო არც ის გარემოება იყო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სათავეში ედგა სოციალისტური მისწრაფების ანტიიმპერიალისტური პოლიტიკური ძალა – სოციალ-დემოკრატიის სახით, რომელსაც, როგორც ხელისუფლებას, მსოფლიოში ანალოგი არ ჰქონია.

საქართველოს ახალი სახელმწიფოს დამფუძნებელ დოკუმენტში – დამოუკიდებლობის აქტში მითითებული იყო, რომ „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს.“ ამის

წინაპირობად, იმავე აქტით, საქართველო „საერთაშორისო ომინობაში მუდმივ ნეიტრალურ სახელმწიფოდ“ გამოცხადდა. გარე სამყაროსთან მშვიდობიანი ურთიერთობის დეკლარირებული ცალმხრივი მზაობა არ კმაროდა იმისათვის, რომ საქართველოს თავი უსაფრთხოდ ეგრძნო ან ერთა საერთაშორისო ოჯახის შემადგენლობაში მიეღოთ. საჭირო იყო ახლად წარმოშობილ რესპუბლიკას ჯერ საკუთარი სიცოცხლისუნარიანობა ეჩვენებინა, ხოლო პარალელურად, მაშინდელი მსოფლიო არეოპაგის – გამარჯვებულ სახელმწიფოთა მეთაურების წინაშე თავის დამოუკიდებელი არსებობის აუცილებლობაც დაესაბუთებინა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური საქმიანობა ამ ამოცანების შესაბამისად წარიმართა. საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყნის პირველ, კოალიციურ მთავრობაშივე ჩამოყალიბდა.* სამინისტროს სათავეში ცნობილი სოციალ-დემოკრატი, რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი და 1918 წლის აპრილ-მაისში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი ჩაუყენეს. ჩხენკელის მინისტრობა 1918 წლის ნოემბრამდე გაგრძელდა. მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ, რასაც საქართველოდან გერმანული სამხედრო შენაერთების ევაკუაცია და ოფიციალური თბილისის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა მოჰყვა, აუცილებელი გახდა პროგერმანული რეპუტაციის მქონე ა. ჩხენკელის უფრო ზომიერი პოლიტიკოსით – ევგენი გეგეჭკორით ჩანაცვლება.**

განისაზღვრა საგარეო საქმეთა უწყების შტატი, დამტკიცდა ხარჯთაღრიცხვა და მოკლე დროში ჩამოყალიბდა სამინისტროს აპარატი. 1919 წლის მაისში საქართველოს დამფუძნებელ კრებაში შეიქმნა საგარეო საქმეთა კომისია (თავმჯდომარე სიმონ მდივანი, ფედერალისტი), რომელსაც იმავე წლის 11 ივლისიდან მუდმივმოქმედი კომისიის სტატუსი მიენიჭა (საქართველოს დამფუძნებელი, 1919: 304).

ქართული პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვან ნაწილს მაშინ მიაჩნდა, რომ „საგარეო პოლიტიკის საგანს წარმოადგენდა ...ახლად აღდგენილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაცვა და გადარჩენა, მისი ნაციონალური ყოფა-ცხოვრებისა და წყობილების, მისი მატერიალური და სულიერი საუნჯის გამდიდრების, აღორძინებისა და აყვავების უზრუნველყოფა“ (სარჯველაძე, 1975: 63). ამ ზოგადი მიზნიდან პირველი რიგის ამოცანად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის ცნობა იკვეთებოდა. საქართველოს ახალგაზრდა სახელმწი-

ფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მისი დამოუკიდებლობის აღიარებას, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მოპოვებას. დამფუძნებელი კრება, საგარეო საქმეთა სამინისტრო, მისი დიპლომატიური წარმომადგენლობები მიზანმიმართულად საქმიანობდნენ დასახული ამოცანის ხორცშესახმელად.

პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ცნო, გერმანია იყო (1918 წ. 28 მაისის ფოთის ხელშეკრულება). 1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში, საქართველოსთან „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება“ გააფორმა ოსმალეთმაც. ეს ხელშეკრულება საქართველოსათვის იძულებითი და საზიანო იყო, მაგრამ იმავდროულად, იგი ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფოს ფაქტობრივ აღიარებასაც გულისხმობდა. კონსტანტინოპოლში საქართველოს წარმომადგენლად გრიგოლ რცხილაძე გაიგზავნა. 1918 წელს საქართველოს დიპლომატიური მისია გაიხსნა უკრაინაშიც.

ამავე პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სამხრეთ კავკასიაში წარმოქმნილმა მეზობელმა სახელმწიფოებმა – აზერბაიჯანმა და სომხეთმაც აღიარეს. ერთმანეთის სუვერენიტეტი დე იურე ჯერ საქართველომ და აზერბაიჯანმა ცნეს. საქართველოს მთავრობამ ოფიციალურ წარმომადგენლად აზერბაიჯანში ნიკოლოზ ქარცივაძე დანიშნა (სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე იგი ჯერ გერასიმე მახარაძემ, შემდეგ კი გრიგოლ ალშიბაიამ შეცვალეს). აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლობა თბილისში მინდობილი ჰქონდა მ. ჯაფაროვს (Документы, 1919: 96.) 1919 წლის მარტში საქართველომ იურიდიულად აღიარა სომხეთის, ხოლო სომხეთმა – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის როლს სომხეთში სვიმონ მდივანი ასრულებდა. სომხეთის დიპლომატიურ მისიას კი საქართველოში სათავეში ა. ჯამალიანი ედგა.

რაც შეეხება უფრო შორეულ გარე სამყაროს, 1919 წლის სექტემბერში საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ცნო არგენტინამ. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებს უნდა ეთქვათ, რომელთა მეთაურები შეკრებილნი იყვნენ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პარიზში ოფიციალური დელეგაცია მიაგლიანა. დელეგაციის მეთაურმა ნიკოლოზ ჩხეიძემ

კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი საქართველოს წარსულისა და თანამედროვე რეალობის მოკლე აღწერით. დოკუმენტში არგუმენტირებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აუცილებლობა. ამასთან, საქართველოს ხელისუფლება თხოვდა მოკავშირე სახელმწიფოებს, მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის არჩევანისთვის, ეცნოთ ქართველი ერი სხვა ერთა შორის და ელიარებინათ მისი სუვერენიტეტი.

პასუხი იგვიანებდა. მოკავშირეთა თვალთახედვით, საქართველოს საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებული იყო რუსეთის მომავალთან, რუსეთი კი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, რომელსაც ბოლო არ უჩანდა.

სამშვიდობო კონფერენციისაგან პასუხის მოლოდინში, საქართველოს მთავრობა ცდილობდა ცალკეულ სახელმწიფოთა სახელისუფლებო წრეებთანაც ემუშავა, ოღონდ, გასათვალისწინებელი იყო ერთი სპეციფიკა: საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკისა და დიპლომატიური ეტიკეტიდან გამომდინარე, ვიდრე უცხოეთის სახელმწიფოების მიერ ახლად წარმოშობილი პოლიტიკური ერთეული აღიარებული არ იქნებოდა, მისი წარმომადგენელი ამ ქვეყნებში აგრემანს ვერ მიიღებდა. ვერ გაიხსნებოდა ვერც ოფიციალური წარმომადგენლობები,* მაგრამ არსებობდა სხვა გამოცდილება: ცნობილია, რომ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით, სახელმწიფოები ერთმანეთს მათი დამოუკიდებლობის აღიარების გარეშეც უკავშირდებიან. ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებას განაგრძობს ძველი მთავრობის მიერ აკრედიტებული საკონსულო დაწესებულება, თუ ამას ხსენებული საკონსულოს მფლობელი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ინტერესები მოითხოვს და სხვ.

პოლონეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ (1918 წ. 11 ნოემბერს) აღიდგინა და მანამდე მას რუსეთის იმპერიაში, მათ შორის არც საქართველოს ტერიტორიაზე, საკონსულო არ ჰქონია. პირველი კონტაქტები პოლონეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის უმთავრესად ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენდა. ინიციატორი პოლონური მხარე იყო (Mađzik, 1991: 17.)

1918 წლის აგვისტოში პოლონეთის მეორე რესპუბლიკის (II Rzeczpospolita) ლიდერმა იუზეფ პილსუდსკიმ თავისი წარმომადგენლის

ფუნქცია თბილისში, პირველი მსოფლიო ომის დანაშაულებიდან აქ შემოხიზნულ პოლონელს, ვაცლავ ოსტროვსკის დააკისრა, რომელიც იმავე წლის 1 ოქტომბერს სამხრეთ კავკასიაში პოლონეთის მისიის მეთაურად დაინიშნა* (Mađzik, 1987-1988: 78).

ოსტროვსკის უპირველესად იმ პოლონელთა რეპატრიაციას უნდა ეზრუნა, რომლებიც ომის შედეგად რეგიონში ჩარჩნენ და სამშობლოში დაბრუნებას ვეღარ ახერხებდნენ. მასვე ევალებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებთან საერთო ენის გამონახვა და სამომავლო სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობისათვის პირობების შემზადება. ოსტროვსკი პარალელურად თბილისში პოლონური ბანკის გახსნისა და სამრეწველო-სავაჭრო კავშირის დაფუძნებისათვისაც იღწვოდა.**

ვიდრე საყოველთაოდ ცნობილი გეოპოლიტიკური დოქტრინის – პრომეთეიზმის პრინციპები ამოქმედდებოდა, იუზეფ პილსუდსკიმ ჩამოაყალიბა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეკავშირების არანაკლებ ამბიციური სტრატეგიული გეგმა. იგი ითვალისწინებდა დიდი ფედერაციის შექმნას პოლონეთის, ფინეთის, უკრაინის, ბალტიის ქვეყნების, ბელორუსიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, სერბეთისა და სამი სამხრეთ კავკასიური რესპუბლიკის, მათ შორის, საქართველოს შემადგენლობით. რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის ჩაფიქრებული ეს, ე. წ. „სამი ზღვის ინიციატივა“ („Three Seas Initiative“), „კომუნიზმის პოტენციალურ ალტერნატივადაც“ რომ მოიხსენიება, ძირითადად რუსეთის აგრესიის აღსაკვეთად და ბოლშევიკური რევოლუციის ძალმომრეობითი ექსპორტის შესაჩერებლად იყო გამიზნული.*

სამხრეთ კავკასიაში ვ. ოსტროვსკის წარგზავნის ერთ-ერთი საფუძველი აქაური რესპუბლიკების მესვეურებთან ხსენებული გეგმის განხილვა-შეთანხმების საკითხიც უნდა ყოფილიყო.* საარქივო მასალები მოწმობენ, რომ პოლონელი დოპლომატი ამ კუთხითაც სერიოზულ საქმიანობას ეწეოდა. 1919 წ. 28 დეკემბერს იგი ბაქოში ჩავიდა და შეხვდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის როგორც მთავრობის წევრებს, ისე პარლამენტის ხელმძღვანელობას.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილ ერთ-ერთ მიმოხილვაში, რომელიც 1920 წ. 20 იანვარს ბაქოდან საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურს ა. თოფჩიბაშევს პარიზში გაეგზავნა, აღნიშნულია, რომ ოს-

ტროვსკის ჩასვლას მოჰყვა საუბრები რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა „ბლოკის“ შესახებ. დოკუმენტის თანახმად, პოლონეთს, რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა და ჰყავს ნახევარმილიონიანი არმია, შეუძლია სათავეში ჩაუდგეს ამ „ბლოკს“ (Азербайджанская, 1998: 441.)

ი. პილსუდსკის ხსენებული იდეის ირგვლივ, როგორც ჩანს, ინფორმაცია ჰქონია ქართულ გაზეთ „ნაციონალისტსაც“. 1920 წლის 12 ოქტომბერს „უკანასკნელი ცნობების“ ქრონიკაში გაზეთი აღნიშნავდა: „ფინლანდიას, პოლონეთს, რუმინეთსა და უნგრეთს შორის მოლაპარაკება წარმოებს რუსეთის საწინააღმდეგოდ შეკავშირების შესახებ“ (გაზ. „ნაციონალისტი“, 1920 წ., 12 ოქტომბერი).

უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოლონეთის შეთავაზებას ბაქოსა და თბილისში დადებითად გამოეხმაურნენ. ყოველ შემთხვევაში, ვ. ოსტროვსკი თავის ერთ-ერთ მოხსენებაში მიუთითებდა: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობები მონადინებული არიან დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობები პოლონეთთან. ...საქართველოს უკვე დიდი ხანია, რაც გადანყვეტილი აქვს თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს ვარშავაში, მაგრამ ამ საქმეს აყოვნებს ტაქტიკური მოსაზრებების გამო... ბოლო შეხვედრისას საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორთან და მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასთან უკვე ვიგრძენი მათი აშკარა სურვილი ჩვენს ქვეყანასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისა. ...საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის სახელმწიფოები ...უდიდესი სიმპათიებით ეპყრობიან პოლონეთს“ (Mądzik, 1987-1988: 79; გრიშკაშვილი, 2008: 31).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის პოლონეთთან და სხვა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან თავდაცვით კავშირში საქართველოს შესვლის წინადადება არ ყოფილა მიუღებელი. ცოტა მოგვიანებით, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს პოლონეთში ურჩევდნენ კიდევ, რომ ასეთი განცხადება შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მაგრამ თვით კავშირის აქტის საბოლოო გაფორმება უნდა დარჩენილიყო მთავრობის პრეროგატივად (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 404, ფურც. 6).

სავსებით შესაძლებელია, ვ. ოსტროვსკის წამოწყებული საქმის გაგრძელებად მივიჩნიოთ ლეო კერესელიძის ცნობა, რომ იგი 1920 წ. ზაფხულში, საქართველოს მთავრობის თანხმობითა და საფრანგეთის სამხედრო მისიის ხელშეწყობით, გაემგზავრა პოლონეთში, „რათა პო-

ლონეთისათვის მიგვეცა 300-400 ქართველი ოფიცერი“ (ლეო კერესელიძის, 2007, 16). არა გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, მოხერხდა ეს თუ ვერა. ერთი ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, „პოლონეთში მყოფ ქართველობას განუზრახავს ქართველებისაგან ლეგიონების შედგენა ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად“ (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 393, ფურც. 93).

1920 წლის 14 ოქტომბრით დათარიღებული, ლეო კერესელიძის წერილის მიხედვით (წერილი გაგზავნილია ვარშავიდან ჟენევაში), ისე ჩანს, რომ ქართველი ოფიცრობა პოლონეთში არ უნდა გაეგზავნათ. ლ. კერესელიძე წერდა: „დავბრუნდი გალიციიდან და ვარშავიდან. თუმცა ძალიან სურთ იქ ქართველი ოფიცრები, მაგრამ იმისთანა პირობებია რომ, ჩემი აზრით, შეუძლებელია ჩემთვის რომელიმე ოფიცერს ურჩიო იქ წასვლა. ზამთარში საშინელი ტიფი და სხვა ეპიდემიები ასობით ხოცავს ოფიცრობას. ამას დაუმატეთ სიცივე, უქონლობა ტანისამოსისა და სხვა. გარდა მაგისა, ჩემის აზრით, ვერ შეძლებენ ისინი კონსპირაცია შეინახონ, ხმა გავარდება, რომ იქ ქართველი ოფიცრობაა და ეს ჩვენ მტრებს საბუთს მისცემს ჩენ ქვეყანას რამე შარი მოსდონ. ყოველივე ამან ძალიან შემაფიქრიანა და ვარჩიე ისევე განზე გავდგარიყავ“ (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 398, ფურც. 6), თუმცა, წერილის ბოლოს კერესელიძისავე მინაწერი – „პეტლიურასთან ბევრი ქართველი ოფიცრები მსახურობენ“, გვაფიქრებინებს, რომ ქართველი ოფიცერთა გარკვეულ რაოდენობას მოუხერხებია იმხანად ი. პილსუდსკისთან ალიანსში მყოფ ს. პეტლიურას შენაერთებში მოხალისეებად მონაწილეობა.

პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოსადმი იმთავითვე კეთილგანწყობა არსებობდა. „ბოლო დროს პოლონელები ჩვენს მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ.“ დაინიშნა სპეციალური მისია ბ-ნ ფილიპოვიჩის მეთაურობით. მისია, რომლის მუდმივი ადგილსამყოფელი იქნება თბილისი, პოლონეთის რესპუბლიკას წარმოადგენს ჩვენთან, აზერბაიჯანსა და სომხეთში. მისია კავკასიაში გამოემგზავრება მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს. მე გავეცანი მისიის ყველა წევრს და მივანოდე ინფორმაცია საქართველოს შესახებ, – იტყობინებდა უკრაინაში საქართველოს სამხედრო ატაშე, კაპიტანი ა. სვანიძე 1920 წლის 13 იანვარს (Мамулия, <http://nowyprometeusz.pl/от-тифлиса-до-киева-и-варшавы-из-исто/>).

ეს ინფორმაცია სრულად შეესაბამებოდა სინამდვილეს. ვარშავაში

მართლაც ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიაში გამოსაგზავნი დელეგაცია, რომლის ხელმძღვანელობა ტიტუს ფილიპოვიჩს მიენდო (Materski, 1992: 26-29).

იუზეფ პილსუდსკის უახლოესი თანამებრძოლი, ტიტუს ფილიპოვიჩი გამოცდილი დიპლომატი და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე იყო.* მას, როგორც პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრს, ნაცნობობა აკავშირებდა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან – იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებთან, რომლებიც ახლა სათავეში ედგნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ვიდრე ტ. ფილიპოვიჩის მისია თბილისში გამოემგზავრებოდა, მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ 1920 წლის 10 იანვარს საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობის გადაწყვეტილება მიიღო. ამან პოლონეთის ხელისუფლებას გაუადვილა განესაზღვრა საკუთარი დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის ამ ორი რესპუბლიკისადმი. პოლონეთის სურვილს – ეთანამშრომლა მათთან, ანტანტის მესვეურთა მხრიდან წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. 1920 წლის 18 იანვარს, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სტანისლავ პატიეკი პარიზში შეხვდა საზავო კონფერენციაზე ქართული და აზერბაიჯანული დელეგაციების მეთაურებს ნიკოლოზ ჩხეიძესა და ალი მარდან ბეკ თოფჩიბაშევს. საუბარი მათი ქვეყნების სამომავლო თანამშრომლობის საკითხებს შეეხო.

1920 წლის 24 მარტით დათარიღებულ ნოტაში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სტანისლავ პატიეკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკოს წერდა: „ბ-ნო მინისტრო! პატიეკი მაქვს გაუწყობ, რომ პოლონეთის მთავრობა მზად არის ცნოს საქართველოს მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია „დე ფაქტო“ იმ დრომდე, სანამ საზავო კონფერენცია არ იცნობს ხალხთა სურვილთან შეთანხმებულ „სტატუსს“ საქართველოს მიმართ.“

ნოტაში ასევე, აღნიშნული იყო: „პოლონეთის მთავრობას მტკიცეთა სწამს, რომ ამ ორ ქვეყნის საერთო ინტერესები ისე, როგორც ურთიერთსიმპათიები, ახლო მომავალში საქართველოსა და პოლონეთს შუა მეგობრულ კავშირს დაამყარებს. ამ მიზნით პოლონეთის მთავრობა მოხარული იქნება ვარშავაში მიიღოს საქართველოს წარმომადგენელი, რათა ამით დაამტკიცოს თავისი სიმპათია. პოლონეთის

მთავრობამ ეხლახან მინისტრ ტიტ. ფილიპოვიჩის თავმჯდომარეობით დანიშნა საგანგებო მისია, რომელიც ახლო ხანში წამოვა ტფილისს, რათა მეგობრული დამოკიდებულება დაამყაროს. გთხოვთ კეთილმეგობრულათ მიიღოთ ზემოაღნიშნული მისია“ (Газ. „Борьба“, 1920 г. 25 марта; Materski, 1990: 76; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 25 მარტი; გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 25 მარტი).

თბილისში ჩამოსული პოლონეთის დიპლომატიური მისიის მეთაური შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორს (Газ. „Борьба“, 1920 г. 4 апреля.) და გადასცა რწმუნების სიგელი (Furier, 2010: 369) მისია ეწვია ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელ კრებას, სადაც პოლონელ სტუმრებს გულთბილად მიესალმა კრების თავმჯდომარის მოადგილე ექვთიმე თაყაიშვილი (საქართველოს დამფუძნებელი, 1920, 9). ტ. ფილიპოვიჩი აქტიურად შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. პოლონური პირველწყაროების თანახმად, 1920 წლის აპრილის დამდეგს, პოლონეთ-საქართველოს მოლაპარაკების პროცესში, მხარეებს შეუმუშავებიათ და შეუთანხმებიათ ორი ქვეყნის სამხედრო კავშირის პროექტი. კერძოდ, მიუღიათ ოპერატიული თანამშრომლობის, ასევე, პოლონეთის მხრიდან ქართული არმიისათვის შეიარაღებისა და საბრძოლო აღჭურვილობის მიწოდების გეგმა (Maździk, 1987-1988: 84; კარაბინი, 2001: 94).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია თვითონაც გაეგზავნა დიპლომატიური მისია პოლონეთის რესპუბლიკაში. ამ დროისათვის ვარშავში, მისამართზე ul. Nowy Swiat 17, უკვე არსებობდა საქართველოს კომიტეტი პოლონეთში, რომელსაც სათავეში მისი დამფუძნებელი, ინჟინერი, ჟურნალისტი და პოეტი სერგო ყურულიშვილი ედგა (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 398, ფურც. 3; Kuruliszwili, 1991: 45-51). კომიტეტი ეხმარებოდა პოლონეთში მყოფ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გზით ეწეოდა საქართველოს პოპულარიზაციას და ცდილობდა ხელი შეეწყო ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებისათვის (ვოჟნიაკი, 2014: 39).

შეიძლებოდა დიპლომატიური წარმომადგენლობა ს. ყურულიშვილისათვის მიენდოთ, მაგრამ, როგორც ერთი ოდნავ მოგვიანო ხანის საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, ამის წინააღმდეგი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას ყოფილა. აკაკი ჩხენკელისამი მიწერილ წერილში იგი მიუთითებდა: ყურულიშვილი „მხოლოდ პროპაგანდისტად

უნდა გამოვიყენოთ, წერა იცის და ლაპარაკი პოლონურათ“ (ჭუმბურძიძე, 2015: 111-112).

არჩევანი სხვაზე შეჩერდა. 1920 წლის ზაფხულისათვის უკვე დამტკიცდა მისიის ხელმძღვანელი და მრჩეველი. „წარმომადგენლობას ვგზავნით პოლონეთში, ქ. ვარშავაში, რომელსაც დაეკისრება აგრეთვე დიპლომატიური ურთიერთობის წარმოება ლატვიასთან, ესტონეთთან, ლიტვასთან და ფინლანდიასთან. სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნულია გიორგი დიმიტრის ძე სიღამონ-ერისთავი, მრჩეველად – ვლადიმერ ბაქრაძე, – აცნობებდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი დიპლომატიურ წარმომადგენელს ბერნში მიხეილ სუმბათაშვილს 1920 წლის 31 ივლისს (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 393, ფურც. 85; 90).

გიორგი სიღამონ-ერისთავი (1865-1953) პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდგომ ხანგრძლივად ცხოვრობდა და, როგორც ადვოკატი, საქმიანობდა პეტერბურგში. მოლიბერალო ქართველი თავადი ცნობილი იყო ასევე თავისი ქველმოქმედებითა და მეცენატობითაც. იმპერიის მასშტაბით გახმაურებული საქმეებიდან იგი იყო ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყებულ მეზღვაურთა სასამართლო პროცესის მონაწილე (Деятели, 1906: 242).

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გ. სიღამონ-ერისთავი სათავეში ედგა საზოგადოებრივი პოლიციის საქმეთა და მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროებით სამმართველოს, პარალელურად, იყო რუსეთის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და დაინიშნა სოხუმის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ.

ზუსტად არ არის ცნობილი გიორგი სიღამონ-ერისთავის პარტიული კუთვნილება საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ (რუსეთში იგი შედიოდა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიაში. იხ. <https://www.wikidata.org/wiki/Q4418706>), თუმცა ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება არც მივანიჭოთ. ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები – უცხოეთის ქვეყნებში არსებული საელჩოები თუ წარმომადგენლობები, მმართველი სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობის წევრთა გარდა ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებსაც ებარათ.*

საქართველოს მთავრობის დადგენილებით გადაწყდა, რომ პოლო-

ნეთში გასაგზავნი დიპლომატიური მისიის საჭიროებისათვის გამოეყოთ ერთი მილიონი მანეთი. დადგენილების შესაბამისად, დამფუძნებელ კრებას წარედგინა სათანადო დეკრეტი და ეთხოვა მისი დამტკიცება (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 1 აგვისტო).

ვარშავაში მიმავალი წარმომადგენლობის წევრები, საქართველოში სტუმრად მყოფ მეორე ინტერნაციონალის დელეგაციასთან ერთად, 1920 წლის 28 სექტემბერს თბილისიდან მატარებლით ბათუმში გაემგზავრნენ (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 393, ფურც. 98), საიდანაც 29 სექტემბერს გემით ევროპისაკენ დაიძრნენ. მისია ადგილზე მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, 1920 წლის 14 ოქტომბერს ჩავიდა (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, ფონდი 1864, საქმ. 424, ფურც. 35).

ვარშავაში გამგზავრების წინადადეს, 1920 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ მიიღო პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნული გიორგი სიდამონ-ერისთავი და მისიის პირველი მრჩეველი ვლადიმერ ბაქრაძე (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 29 სექტემბერი; გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ., 29 სექტემბერი). შესაძლოა, ეს იმითაც აიხსნას, რომ ამ დროს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ევროპაში იმყოფებოდა და ახლად დანიშნული დესპანი უშუალოდ მისგან ინსტრუქციას ვერ მიიღებდა. საგარეოდ, შეხვედრები იქნებოდა საგარეო უწყების სხვა პასუხისმგებელ პირებთან, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავრობის თავმჯდომარემ აუცილებლად მიიჩნია საქართველოდან ცენტრალურ ევროპის სივრცეში მივლენილ ქართველ დიპლომატებს პირადად შეხვედროდა და მათთვის გარკვეული მითითებები მიეცა.

ქართულ მისიას მიმღებ ქვეყანაში სერგო ყურულიშვილისა და საქართველოს კომიტეტის სახით თავისი მეგზური ხვდებოდა. „ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით დელეგაციის ჩამოსვლას, ვინაიდან საჭირო იყო და არის ბევრი საჭირობოროტო საკითხის გადაწყვეტა პოლიტიკურ მხრივ, რაიცა კომიტეტს არ შეეძლო, ვინაიდან ამის დავალება არა ჰქონია მთავრობისაგან. გვაქვს იმედი, რომ კომიტეტი შემდეგშიც იქნება გამოსადეგი დელეგაციისათვის და მათთან კონტაქტში ვიმუშავებთ“, წერდა ს. ყურულაშვილი რომში ჩასულ და ვარშავისაკენ მიმავალ დიპლომატიურ წარმომადგენლობას (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 424, ფურც. 33).

სწორედ კომიტეტის შენობაში დაიდო ბინა საქართველოს დიპლო-

მატიურმა წარმომადგენლობამ, რომელიც სულ 4 ადამიანისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: გიორგი სიღამონ-ერისთავი – სრულუფლებიანი წარმომადგენელი; ვლადიმერ ბაქრაძე – მრჩეველი; ნიკოლოზ ფერნაძე – ატაშე და სერგო ყურულიშვილი, რომელიც საელჩოს მდივნად დაინიშნა (მისიაში მოხელედ მიუწვევიათ ასევე, ვარშავაში მცხოვრები ივანე ყურულიშვილი. იხ. სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 424, ფურც. 35).

წარმომადგენლობის წევრები (ს. ყურულიშვილის გარდა) ვარშავაში, სასტუმრო „De Saxe“-ში ცხოვრობდნენ. სასტუმროების ეს ცნობილი ქსელი პოლონეთში 1847 წლიდან არსებობდა და მდებარეობდა მისამართზე Ulica Kozia №3, 5, 8 და 12, ასევე, Krakowskie Przedmieście № 37 და 39.

მისიას თავისი მიზანი ასე ჰქონდა გააზრებული: კეთილმეგობრული განწყობილების დამყარება, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების განმტკიცება პოლონეთსა და საქართველოს შორის, ასევე, ძალისხმევა პოლონეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დეიურედ აღიარებისათვის (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 424, ფურც. 35).

დიპლომატიურ მისიას მიეცა სპეციალური ინსტრუქცია (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 404, ფურც. 5-6.), რომელშიც პოლონეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობის საკითხების გარდა, განსაკუთრებით იყო გამოკვეთილი, როგორი პოზიცია უნდა ჰქონოდა წარმომადგენლობას საბჭოთა რუსეთის მიმართ. მისიას უნდა ეხელმძღვანელა დებულებით: საქართველოსა და პოლონეთის ინტერესები საერთოა ორივე მათგანის სუვერენობის დაცვის საკითხში, თუ მას რაიმე საფრთხე დაემუქრება, საქართველო იმოქმედებს პოლონეთთან კოორდინაციით.

ინსტრუქცია მისიას საბჭოთა რუსეთთან ფრთხილ დამოკიდებულებას ურჩევდა. ხაზგასმული იყო, რომ წარმომადგენლობის არც ერთი ნაბიჯი, არც ერთი განცხადება პრესითა თუ ნოტიო არ უნდა შეიცავდეს მტრულ განწყობას საბჭოთა რუსეთისადმი, რომელსაც საქართველო განიხილავს, როგორც სახელმწიფოს, რომელთანაც იმყოფება ხელშეკრულებით ურთიერთობებში. წარმომადგენლობა არ უნდა ჩარეულიყო პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხებში.

მისიას ეძლეოდა კონკრეტული დავალებაც, კერძოდ, მას უნდა ემუშავა საქართველოს დეიურედ აღიარების მისაღწევად. ინსტრუქცია განმარტავდა: პოლონეთი დაინტერესებულია საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობით და იგი ამ საქმეში უნდა

დაგვეხმაროს. მას შეუძლია საგანგებო პუნქტი შეიტანოს რუსეთთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში (ალბათ, 1918 წ. 27 აგვისტოს, ბერლინში, რუსეთსა და გერმანიას შორის ხელმოწერილი ბრესტის ზავის დამატების ანალოგიურად, როდესაც საბჭოთა რუსეთმა თანხმობა განაცხადა, რომ გერმანიამ იცნოს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი. იხ. ავალიშვილი, 1925, 146), რისი დასაბუთებაც ძნელი არ იქნება. პოლონეთს ჯერაც არ უღიარებია საქართველო და საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებით შეუძლია აღიაროს იგი (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 404, ფურც. 6).

გ. სიღამონ-ერისთავმა აკრედიტაციის მიღებისთანავე დაიწყო მუშაობა ამ დავალების შესასრულებლად. იგი არაერთგზის შეხვდა პოლონეთის საგარეო საქმეთა უწყების მაღალი თანამდებობის მოხელეებს, ესაუბრა პირადად მინისტრ ევსტაჰი საპიეჰასაც (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 447, ფურც. 14.) მაგრამ პოლონეთ-რუსეთის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება რიგაში იმაზე ადრე დაიდო (1920 წ. 12 ოქტომბრი), ვიდრე საქართველოს მისია ვარშავაში ჩავიდოდა. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის საზავო ხელშეკრულებას, მას ხელი იმ დროს მოეწერა (1921 წ. 18 მარტი), როდესაც ნითელ არმიას უკვე ოკუპირებული ჰქონდა საქართველო და ხელშეკრულებაში საქართველოს შესახებ პუნქტის შეტანა გამორიცხული იყო.

ცნობილია, რომ 1920 წლის დეკემბერში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღების საკითხზე ხმის მიცემისას, პოლონეთის წარმომადგენელმა იგნაცი იან პადერევსკიმ* თავი შეიკავა. ამ საკითხის გამო გ. სიღამონ-ერისთავი შეხვდა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ე. საპიეჰას, რომელმაც ქართველ დიპლომატს ასეთი განმარტება მისცა: ჩვენი წარმომადგენელი მოქმედებდა გარემოების შესაბამისად. იგი ასე მოიქცა ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან წინასწარი შეხვედრის შემდეგ და არ შეეძლო ემოქმედა მათი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რადგან პოლონეთისათვის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა მოკავშირეთა ნებაზეა დამოკიდებული (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 447, ფურც. 14).

ს. საპიეჰა ჩვენი აღიარების მომხრეა, უმჯობესად მიაჩნია, თუ ეს აღიარება კოლექტიურად მოხდება და დამპირდა, რომ პარიზსა და ლონდონში ვიზიტისას შეეცდება ყურადღება გაამახვილოს საქართველოს საკითხზე, – აცნობებდა გ. სიღამონ-ერისთავი საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 447, ფურც. 15).

მართლაც, როგორც კი მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ 1921 წლის 27 იანვარს მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად აღიარების გადაწყვეტილება, მას მეორე დღესვე შეუერთდა პოლონეთის რესპუბლიკაც. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. საპიეჰას ოფიციალური წერილი გ. სიდამონ-ერისთავისადმი საქართველოს იურიდიულად აღიარების თაობაზე დათარიღებულია 1921 წლის 28 იანვრით. წერილში აღნიშნულია: „პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურმა, მინისტრთა საბჭოსთან მოთათბირების შემდეგ, გადაწყვიტა საბოლოოდ ელიარებიან საქართველოს რესპუბლიკა როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამ აქტით საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკებს შორის არსებული გულწრფელი მეგობრობა და ურთიერთგაგება ამიერიდან უფრო მყარი და მტკიცე გახდება“ (Archiwum Główne Akt Dawnych w Warszawie, Ministerstwo Spraw Zagranicznych № 6676, p. 296-297).

იმავე წლის 31 იანვარს გ. სიდამონ-ერისთავმა მინისტრ საპიეჰას მადლობის წერილით უპასუხა, რომელშიც ნათქვამია: „თავს ბედნიერად ვთვლი, რომ შემიძლია ჩემი მთავრობისა და ქართველი ერის სახელით, პოლონეთის მთავრობისა და პირადად თქვენი ბრწყინვალეობისადმი გამოვხატო უღრმესი მადლიერება გულწრფელი დამოკიდებულებისა და ჩემი სამშობლოს მორალური მხარდაჭერისთვის. ჩვენ ყოველთვის მოველოდით პოლონეთის მხრიდან იმ გრძნობებს, რომლებიც გამოვლინდნენ სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებაში.

ჩემი მხრივ, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ლეგიტიმური და სამართლიანი აქტის შედეგად პოლონეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის კავშირები ამიერიდან კიდევ უფრო მჭიდრო და გულთბილი გახდება.“

საქართველოში პოლონეთის წარმომადგენლობის მინდობილობით ვ. ოსტროვსკიმ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანას შემდეგი მილოცვით მიმართა: „გულითადი სიხარულით შევხვდით მთელი ქვეყნის მიერ თქვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის ამბავს. მიიღეთ ჩემგან პოლონელი ხალხის სახელით გულწრფელი მოლოცვა ამ ღირშესანივი მოვლენის გამო. გისურვებთ თქვენ და თქვენი საუცხოო ხელმძღვანელობით მთელ მოძმე ქართველ ხალხს, რათა საქართველოს სახელოვან ისტორიაში კაცობრიობის სა-

კეთილდღეოდ კვლავ ჩანერილიყოს საუცხოო ფურცლები“ (გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 1 თებერვალი; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 1 თებერვალი).

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას პოლონეთში დიდხანს არ უმოღვანია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წლის 23 სექტემბერს დაადგინა დაეხურათ მისიები ბერნში, ლონდონში, რომსა და ვარშავაში (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 424, ფურც. 27.) ამის შესახებ ევგენი გეგეჭკორი ჯერ 14 დეკემბერს, შემდეგ კი 1921 წლის 11 იანვარს, ოფიციალურად ატყობინებდა გ. სიღამონ-ერისთავს (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 446, ფურც. 7-8, 11). ამასთან, ურჩევდა კონსულად თუ მოისურვებდა თვითონვე დარჩენილიყო, ან გამოეძებნა შესაფერისი კანდიდატი, თუნდაც პოლონელთა შორის, ვინც ანაზღაურების გარეშე დაინიშნებოდა ამ თანამდებობაზე და შეიძლებდა, დაეცვა საქართველოს ინტერესები პოლონეთში.

წარმომადგენლობების დახურვის გადაწყვეტილება ორი ძირითადი ფაქტორით იყო განპირობებული. 1. ეკონომიკური მოსაზრებით და 2. საერთაშორისო დონეზე მიღწეული დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარების შემდეგ შეიძლებოდა შეეცვალათ უცხოეთში აგიტაცია-პროპაგანდისტული მუშაობის ხასიათი და შეემცირებინათ წარმომადგენლობის შტატებიც.

მთავრობის გადაწყვეტილება სრულად გაიზიარა უცხოეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელთა თათბირმაც, რომელიც 1920 წლის 27 სექტემბერს, პარიზში, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ქართული დელეგაციის მეთაურის, ნ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით გაიმართა (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 424, ფურც. 11-25). მთავრობის მიერ შემუშავებული კანონპროექტი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა გადასცა საგარეო საქმეთა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიებს. შტატების შემცირება მოინონა საქართველოს სახელმწიფო კონტროლმაც. საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ეს დოკუმენტი და მოამზადა კანონპროექტი დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომაზე გასატანად (იხ. სცა, ფონდი 1864, ანან. 1, საქმ. 55, ფურც. 1-10). საქართველოს ბოლშევიკურმა ოკუპაციამ და დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში გახიზვნამ ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავე და აქტუალური გახადა.

გ. სიღამონ-ერისთავი სთავაზობდა ე. გეგეჭკორს, დავნიშნოთ

ვინმე როგორც „Charge d’Affaires“ და მას დავაკისროთ კონსულის მოვალეობაო (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 447, ფურც. 34), მაგრამ, როგორც ჩანს, მინისტრი არ დათანხმდა. ამიტომ 1921 წლის 12 თებერვალს მან ვარშავაში საპატიო კონსულობა პოლონეთის მოქალაქეს ედმუნდ ფრიკეს შესთავაზა, რომლისაგანაც თავაზიანი თანხმობა მიიღო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სათანადო განკარგულებამდე, ე. ფრიკე ინიშნებოდა საპატიო კონსულის მოვალეობის დროებით შემსრულებლად, ანაზღაურების გარეშე. კონსულის დასამტკიცებლად აუცილებელი იყო პოლონური მხარის თანხმობაც. დამტკიცების შემთხვევაში ე. ფრიკე იქნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენელი და უფლება ენიჭებოდა დაეცვა საქართველოს მოქალაქეთა ინტერესები პოლონეთში (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 447, ფურც. 24-25.)

ჯერჯერობით დაუდგენელია, რა უფლებამოსილება მიანიჭა ე. ფრიკეს საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ ან საგარეო საქმეთა სამინისტრომ. არ არის მიკვლეული ეგზეკვატურაც – ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდეს, რომ პოლონეთის მთავრობამ იგი სცნო საქართველოს კონსულად. მაგრამ არსებობს თვით ე. ფრიკეს წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ იგი გ. სიდამონ-ერისთავის შეთავაზებას სიამოვნებით შეხვდა (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 447, ფურც. 23).*

ვიდრე ვარშავას დატოვებდა, გ. სიდამონ-ერისთავმა კიდევ ერთი კონსული შეარჩია. მან ამ თანამდებობაზე რიგაში გ. მაჭუტაძე დაინიშნა, თვითონ კი საფრანგეთში გაემგზავრა,* სადაც უკვე დაედო ბინა ემიგრაციაში გახიზნულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და პოლიტიკურ ელიტას. ემიგრირებული მთავრობის 1921 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით, გ. სიდამონ-ერისთავს მიეცა ორი თვის დახმარება საერთო ოდენობით – 6 ათასი ფრანკი (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 447, ფურც. 38).

საყურადღებოა პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის გიორგი სიდამონ-ერისთავის დიპლომატიური რანგის გარკვევა. ამის აუცილებლობა გამომწვეულია იმით, რომ ზოგიერთ პუბლიკაციაში იგი ელჩად, ზოგიერთში კი დიპლომატიურ წარმომადგენლად მოიხსენიება. ხსენებულ თანამდებობაზე მოღვაწეობისას მას მიმართავდნენ ან, როგორც „საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს პოლონეთში“ და ან კიდევ, „საქართველოს წარმომადგენელს

პოლონეთში.“ ამასთან, ბეჭედს, რომელსაც გ. სიდამონ-ერისთავი პოლონეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით იყენებდა, აწერია: „საქართველოს დემ. რესპ. დიპლომატიური საელჩო პოლონეთში“ (Archiwum Główne Akt Dawnych w Warszawie, Ministerstwo Spraw Zagranicznych № 6676., s. 297), ხოლო ოფიციალურ სახელმწიფო-გერბიან ბლანკს კი „საქართველოს საელჩო პოლონეთში“ (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 424, ფურც. 35.) არც თუ იშვიათად ქართულენოვან ოფიციალურ წერილებს გ. სიდამონ-ერისთავი ხელს აწერდა როგორც „ელჩი“, ხოლო ფრანგულენოვანს – „Ministre Plenipotentaire et Envoye Estraordinaire de la Respublique Georgie en Polgone“ (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 447, ფურც. 4, 16, 20).

ფლობდა თუ არა გიორგი სიდამონ-ერისთავი ისეთ უმაღლეს დიპლომატიური რანგს, როგორცაა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი?

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“, რაც იოლად მოჰფენდა ნათელს ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ახლად შექმნილ რესპუბლიკას არც გამოცდილი დიპლომატები ჰყოლია და არც მათი საგანგებო მომზადების რაიმე კერა გააჩნდა. დიპლომატიური სამსახურისათვის შერჩეულ პირს საგარეო საქმეთა სამინისტრო რანგს თანამდებობის შესაბამისად ანიჭებდა ან უცვლიდა. მაგალითად, ცნობილია, რომ გიორგი მაჩაბელი, 1921 წლის დასაწყისში, დიპლომატიური მისიით იტალიაში მიავლინეს, როგორც „წარმომადგენლობის პირველი მდივანი“, მაგრამ მალე მისი სტატუსი „ლეგაციის მრჩევლის“ სტატუსით შეიცვალა (ჯანელიძე, 2013: 99-100).

გიორგი სიდამონ-ერისთავი პოლონეთის რესპუბლიკაში მოქმედი დიპლომატიური კორპუსის ჩამონათვალში იხსენიება, როგორც „Representat de la Georgie en Polgone. Ministre Plenipotentaire“ (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 404, ფურც. 2-5), რაც „პოლონეთში საქართველოს წარმომადგენელს, საგანგებო და სრულუფლებიან დესპანს“ ნიშნავს. მას რომ ელჩის სტატუსი ჰქონდა, დაწერდნენ: *Ambassadeur ...* ან *Envoye Estraordinaire et Ministre Plenipotentaire*, როგორადაც იმავე დოკუმენტში იწოდებიან აშშ-ს, ბელგიის, რუმინეთის, საფრანგეთის, ნორვეგიის, ფინეთისა და სხვ. სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურები.

აკაკი ჩხენკელი 1922 წელს შედგენილ „მემუარში სრულუფლებიანი

ელჩისა დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წწ.“ დამოუკიდებლობის პერიოდში პოლონეთში არსებულ ქართულ დიპლომატიურ მისიას „წარმომადგენლობას“ უწოდებს. მისი სიტყვით, „პოლონეთში საქართველოს დიპლომატიური მისია იყო 1920 წელს. მართალია, მან (პოლონეთმა, – ო. ჯ.) სცნო საქართველო იურიდიულად, მაგრამ იქ შემდეგ საელჩო არ გახსნილა“ (ქართული დიპლომატია, 1995, 34). ცხადია, ა. ჩხენკელმა ყველაზე უკეთ უწყოდა, რა რანგი ჰქონდა სინამდვილეში ამ დაწესებულებას. სავარაუდოდ, იგი საელჩოდ იყო ჩაფიქრებული, რისთვისაც ბეჭედი და ბლანკიც შესაბამისი დაამზადეს, მაგრამ დროის სიმციროს გამო, საელჩოს ჩამოყალიბება ვეღარ მოეხსრო და მისია დარჩა წარმომადგენლობის დონეზე*.

1922 წლიდან პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენლის ფუნქციას იოსებ სალაყაია**ასრულებდა. მისი ოფისი განთავსებული იყო მისამართზე: Warszawa, ul. Emilji Plater 8 m. M. 8 (სცა, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 446, ფურც. 25).

დასასრულ, რამდენიმე უზუსტობის შესახებ, რომლებიც გვხვდება წინამდებარე თემისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებსა და ოფიციალურ ინფორმაციებში.

1. აღნიშნულია რომ, თითქოს 1919 წლიდან ვარშავაში ფუნქციონირებდა კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლობა თავად ვალერიან სიღამონ-ერისთავის ხელმძღვანელობით, რომელსაც 1920 წლის გაზაფხულზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ, მიენიჭა პოლონეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის რანგი (ვოჟნიაკი, 2001, 87; Mażdik, 1987-1988: 83).

კავკასიის რესპუბლიკებს არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის, არც პოლონეთში, საერთო წარმომადგენელი არ ჰყოლიათ. მით უფრო ვერ ეყოლებოდათ 1919 წელს, როდესაც ეს რესპუბლიკები დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან ფაქტობრივადაც არ ყოფილან აღიარებული. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისია პოლონეთში დამტკიცდა 1920 წლის ზაფხულში და მის მეთაური იყო არა ვალერიან სიღამონ-ერისთავი, არამედ გიორგი სიღამონ-ერისთავი.

2. თითქოს ვარშავაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი 1919 წლიდან იყო გიორგი სიღამონ-ერისთავი. პოლონურ-ბოლშევიკური ომის პერიოდში, საქართველოს საელჩო და დიპლომატიური პერსონალი პოზნანში იქნა ევაკუირებული (<http://poland.mfa.gov.ge/>

index.php?lang_id=GEO&sec_id=1463&info_id=41155).

როგორც ზემოთ გავარკვეით, პოლონეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა (და არა საელჩო) გ. სიღამონ-ერისთავის მეთაურობით არსებობდა არა 1919 წლიდან, არამედ 1920 წლის შემოდგომიდან. ბოლშევიკებთან პოლონეთის ომის გამო საქართველოს წარმომადგენლობას პოზნანში ევაკუაცია არ დასჭირვებია, რადგან იგი ვარშავაში ფუნქციონირებას შეუდგა 1920 წლის 14 ოქტომბრიდან, – მას შემდეგ, რაც 1920 წლის 12 ოქტომბერს, პოლონეთ-საბჭოთა რუსეთს შორის, რიგაში გაფორმდა ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ვარშავაში წითელი არმიის შეჭრის საფრთხე აღარ არსებობდა. საგულისხმოა რომ, ბოლშევიკური საფრთხის დღეებში ვარშავა არ დაუტოვებია არც აქ მოქმედ საქართველოს კომიტეტს.

3. მიჩნეულია, რომ პოლონეთის რესპუბლიკამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა 1919 წლის 29 იანვარს აღიარა, ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ მისი დე-იურედ აღიარებამდე 2 წლით ადრე (http://poland.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1463&info_id=41155). ეს ცნობაც არ შეესაბამება სინამდვილეს. როგორც ზემოთ დოკუმენტურადაა დასაბუთებული, პოლონეთის მიერ საქართველოს დე ფაქტო ცნობის თარიღია 1920 წ. 24 მარტი, ხოლო იურიდიულად აღიარებისა – 1921 წ. 28 იანვარი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობას პოლონეთში ფუნქციონირება მცირე ხანს მოუწია და არც პოლონეთის წარმომადგენლობას უმოღვანია საქართველოში ხანგრძლივად, დიპლომატიური მისიების თანაბარ დონეზე გაცვლამ და მათმა საქმიანობამ საფუძველი ჩაუყარა ორ სახელმწიფოს შორის საინტერესო თანამშრომლობასა და პარტნიორულ ურთიერთობას. ხანგრძლივი იძულებითი წყვეტილის შემდეგ, 1992 წელს ეს ურთიერთობა კვლავ განახლდა და დღესაც წარმატებით მიმდინარეობს.

Diplomatic representation of the Democratic Republic of Georgia in Poland

Summary

First contacts between Poland and the Democratic Republic of Georgia emerged mainly on economic grounds. The initiator was the Polish side. In August 1918, the leader of the Second Republic of Poland, Joseph Pilsudski, appointed his representative in Tbilisi Wazlav Ostrovsky, who on October 1 of the same year was appointed as the head of the Polish mission in the South Caucasus.

In Warsaw, there was made a delegation to be sent to the South Caucasus, whose leadership was entrusted to Titus Philipovich. In Tbilisi he held a meeting with the Minister of Foreign Affairs Yevgeny Gegechkori and presented his credentials.

Soon Georgia sent its diplomatic mission to Poland. Was appointed as the plenipotentiary representative Giorgi Sidamon-Eristavi, Vladimir Bakradze – counselor, Nikoloz Fernadze – Attaché and Sergo Kurulishvili, – the Secretary of the Embassy.

The idea of the mission was: establishing friendly political relations, strengthening of political and economic ties between Poland and Georgia, as well as efforts to convince Poland to recognize the Democratic Republic of Georgia de Jure. The mission fulfilled its task.

As soon as the Supreme Council of Allies adopted the Declaration of juridical recognition of the Democratic Republic of Georgia on January 27, 1921, Polish Republic also joined it the next day.

Georgia's diplomatic representation has not been in Poland for a long time. On February 12, 1921, it officially cracked, a Polish citizen, Edmund Fricke, was appointed to the post of honorary consul in Warsaw. From 1922, Ioseb Salakaia served as a representative of the Georgian immigration government in the Republic of Poland.

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა

ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925.

გრიშკაშვილი ა. ქართველები პოლონეთში, თბ., 2008.

ვოჟნიაკი ა., ვარშავის ქართული ემიგრაცია, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2014, № 2.

კარაბინი რ., პრომეთეიზმი. 1918-1921 წლების პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში კავკასიელი ხალხების მონაწილეობა, ჟურნ. „ახალი პოლონეთი“ (სპეციალური ნომერი ქართულ ენაზე), თბ., 2001.

ლეო კერესელიძის CURRICULUM VITAE, გ. მამულიას პუბლიკაცია, ჟურნ. „თანამემამულე“, ლონდონი, 2007, № 3(24), გ.მამულიას პუბლიკაცია.

სარჯველაძე პ., სიმართლით აწონილი სიტყვა, პარიზი, 1975.

ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 2, თბ., 1995, გვ. 34.

ჭუმბურიძე დ., ზოგიერთი დეტალი საზღვარგარეთ 1924 წლის აჯანყების გამოძახილისა და ქართული ემიგრაციის თვალსაზრისის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2015, № 1 (16).

ჯანელიძე ო., გიორგი მაჩაბელი დიპლომატიურ ასპარეზზე, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, № 1.

Азербайджанская демократическая республика (1918-1920). Внешняя политика (Документы и материалы), Баку, 1998).

Деятели России: 1906 г. / Ред.-изд. А.М. Шампаньер. Санкт-Петербург, 1906, ст. 242.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919.

Мамулиа Г., От Тифлиса до Киева и Варшавы. Из истории кавказско-украинского сотрудничества в рамках движения „Прометей“ (1918-1926). <http://nowuprometeusz.pl/от-тифлиса-до-киева-и-варшавы-из-исто/>

Топчибаши А. М., Парижский архив. Книга первая 1919-1921. Составители: Г.Мамулиа и Р. Абуталыбов, М., 2016.

Тымовский М., Кеневич Я., Хольцер Е. История Польши. Пер. с польск. – М., 2004.

Archiwum Głównie Akt Dawnych w Warszawie (AGAD), Ministerstwo Spraw Zagranicznych # 6676.

Kuruliszwili S. (მწოდს): Z rodzinnych wspomnień o Sergo Kuruliszwili. „Pro Georgia“, Warsaw, t. 1, 1991.

Mądzik M., Z historii politycznych stosunków polsko-gruzińskich w latach 1918-1921, „Pro Georgia“, Warsaw, t. 1, 1991.

Mądzik M., Próby nawiązania stosunków politycznych między Polską a Gruzją w latach 1918-1921, „Rocznik Lubelski“, t. 29-30, 1987-1988.

Materski W., Misja Tytusa Filipowicza w Tbilisi (kwiecień 1920 r.), „Pro Georgien“, Warsaw, t. 2, 1992.

Materski W., Gruzja i wielkie mocarstwa (1919-1921), Warszawa, 1990.

Furier A., Polacy w Gruzji, Warszawa, 2010.

http://poland.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1463&info_id=41155

<https://www.wikidata.org/wiki/Q4418706>

http://historylib.org/historybooks/Boris--Sokolov_100-velikikh-voyn/83

<http://nowyprometeusz.pl/tag/tytus-filipowicz/>

გაზ. „ერთობა“, 1921 წ., 1 თებერვალი.

გაზ. „ნაციონალისტი“, 1920 წ., 12 ქტომბერი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 25 მარტი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 1 თებერვალი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 1 აგვისტო.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 25 მარტი.

გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 25 მარტი.

Газ. `Борьба“, 1920 г. 25 марта.

Газ. `Борьба“, 1920 г. 4 апреля.

(საქართველოს დამფუძნებელი, 1919) საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1919 წლის 11 ივლისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

(საქართველოს დამფუძნებელი, 1920) საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1920 წ. 2 აპრილის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

(ცსა) საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანან. 1, საქმ. 55, ფურც. 1-10.

(ცსა) საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 393, ფურც. 93.

(ცსა) საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 398, ფურც. 3; 6. 85; 90.

(ცსა) საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 404, ფურც. 2; 5-6.

(ცსა) საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 424, ფურც. 11-25; 27; 33; 35.

(ცსა) საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 447, ფურც. 4; 14; 16; 20; 23-25; 34; 38.

(ცსა) საქართველოს ეროვნული არქივი, საიტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანან. 2, საქმ. 446, ფურც. 7-8, 11; 25.

ეთნოლოგია

მაგდანა გაბრიჭიძე

თედორობის დღესასწაული

ქართული მრავალსაუკუნოვანი ეთნოკულტურა ძალზედ მდიდარია ხალხურ ყოფაში არსებული დღესასწაულებით. რაზედაც მეტყველებს უძველესი წერილობითი წყაროები თუ ზეპირი გადმოცემები. დღესასწაულები დროთა განმავლობაში იცვლიდნენ სახეს, ხდებოდა მათი ტრანსპორმაცია. მაშინ, როდესაც საქართველოში ფეხს იკიდებდა ქრისტიანობა მას ხვდებოდა ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენები და მიმდინარეობდა გარკვეული სიმბიოზური პროცესები, რომლებმაც ასახვა ჰპოვა ხალხურ დღესასწაულებში, ფოლკლორში, რწმენა-წარმოდგენებში და ა.შ.

ეთნოკულტურული კვლევებისას დიდ ყურადღებას აქცევენ რწმენა-წარმოდგენებს, რომლის დროსაც მკვლევარები ეყრდნობიან ეთნოარქეოლოგიას, მითოლოგიას, წერილობით წყაროებს და სხვა. ეთნიკური სპეციფიკის და უნივერსალური წეს-ჩვეულებების გადაკვეთის ყველაზე რეალური წერტილია ხალხური დღესასწაულები (თეორიული ეთნოლოგია, 2010: 368).

ის ფაქტი, რომ ყოველ ჩვეულებას აქვს მნიშვნელობა და რომ ხალხის ყოფა და კულტურა ურთიერთკავშირშია, ამის მაგალითია ფუნქციონალიზმის საერთო იდეა, რომელიც ეფუძნება „ჰოლიზმს“, ანუ კულტურათა ერთიანობას. ფუნქციონალიზმის ეთნოგრაფიულ თეორიად ჩამოყალიბების საფუძველი გახდა ბრ. მალინოვსკის შრომები, სადაც ჩანს ხალხთა შორის გაცვლითი ღირებულებები, წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და ა.შ. (ეთნოლოგიის ქრესტომათია, 1997: 482).

მსგავსი თეორიული მიდგომების გათვალისწინებით, განვიხილავთ ხალხურ ყოფაში არსებულ ისეთ დღესასწაულს, რომელიც თედორობის სახელით არის ცნობილი. თედორობის აღნიშვნის ტრადიციას ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში ჩაეყარა საფუძველი, ხოლო ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ღვთაების ხალხური კულტი შეერწყა წმინდა თევდორეს სახელს.

საგულისხმოა, რომ ყოფაში შემორჩენილი თედორობის აღნიშვნის

ტრადიცია, ნაკლებად ავლენს კავშირს ქრისტიანულ თედორობასთან.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული დღესასწაული თედორობა, ქრისტიანი წმინდანის თედოროეს სახელს დაუკავშირდა და აღინიშნება დიდმარხვის პირველ შაბათს.

თევდორე ძველქართული, აგრარული ღვთაების მემკვიდრეა. რომელიც ძველად მინათმოქმედებისა და მესაქონლეობისადმი, კერძოდ, კი ცხენისადმი მიძღვნილი საგაზაფხულო დღეობა იყო. მას გადმონამუთის სახით შემორჩენილი ჰქონდა თავდაპირველი აგრარული ხასიათის მანიშნებელი უძველესი წარმართული ნეს-ჩვეულებანი (რიტუალური ხვნა-თესვა, სარიტუალო პურები, ლოცვა მოსავლის ბარაქიანობისათვის კერასთან, საცხეველთან და სხვა).

დღესასწაულის ნიშნებს თედორობის შესახებ ვხვდებით „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, რაც დროში, მის აქტუალურ ხასიათზე მიუთითებს. აღნიშნული წყაროში ნათქვამია: „აქითგან, წლის თავით თევდორობამდის [კარზედ არიან] მონადირეთუხუცესი მწვადს მიიხვამს, უკანილა მიდგების, იკითხავს ხვალ სით კვლევენ; უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების, ჭიქას უბოძებს და შესვამს ღვინოსა და მუნვე წავადა დაჯდების თავის ადგილსა“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1970: 32).

თედორობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში აღინიშნებოდა. მისი განმასხვავებელი ნიშნების მიუხედავად, იგი ერთი სახელის ქვეშ ერთიანდებოდა და ერთ მთლიან სახეს ქმნიდა.

ლეჩხუმში თედორობა მუშა კაცის სალოცავი დღე იყო. მეურნე ასე მიმართავდა წმინდანს: „მუშა თედორე შენ გვინინამძღვრეო“. მის სახელზე აცხოვდნენ სარიტუალო პურებს და უქმობდნენ.

ვ. ბარდაველიძის მიხედვით, თედორობის დღესასწაულის ახასიათებდა მინათმოქმედებასთან დაკავშირებით სარიტუალური პურების ცხოვრის ტრადიცია. მსგავსი დღესასწაული გავრცელებული იყო სვანეთში და ეწოდებოდა ლილაშუნე – იგივე თესლობა. აღნიშნულ დღესასწაულზე აცხოვდნენ სამუშაო იარაღის გამოსახულებიან კვერებს და მოსავლის გამჩენ ღმერთს სწირავდნენ კარგი მოსავლის მიღების ლოცვა-ვედრებით (ბარდაველიძე, 1953: 121).

რაჭაში, დიდი მარხვის პირველი კვირის შაბათს მოსახლეობა აღნიშნავდა თედორობას. მთელი კვირის განმავლობაში ეზიარებოდნენ და კაკლიან შეჭამანდს მიირთმევდნენ.

იმერეთში, მთელი კვირა მარხულობდნენ და შაბათს ეზიარებოდნენ. საღამოს კი ლობიანს, მჭადს და სარიტუალო ფორმის პურებს

აცხობდნენ (ნადარაია, 1985: 152-153).

სამეგრელოსა და გურიაში კი მას სხვა ეპითეტებიც ჰქონდა. სამეგრელოში უწოდებდნენ „თუთაშხა ბედნიერს“ (ნადარაია, 1985: 150-161) და თერდობას. თერდობის რიტუალში მონაწილეობდნენ ისინი ვისაც ცხენები ჰყავდა (აბაკელია, ალავერდაშვილი, ლამაზაშვიდი, 1991: 80). ასევე აღნიშნავს ს. მაკალათია, რომლის მიხედვით, თერდობის დღესასწაული სამეგრელოში დიდი მარხვის პირველ შაბათს სრულდებოდა. ამ დღეს ოჯახში აცხობდნენ ცხენის ფორმის კვერებს, აღკაზმულობას, რომლებსაც ჭიქა ღვინოსთან ერთად, ერთ ხონჩაზე მოათასებდნენ და გარედან სანთელს მიაკრავდნენ. ხონჩასთან პირველად ოჯახის უფროსი მამაკაცი მივიდოდა და წმ. თედორეს ცხენების გამრავლებას შესთხოვდა, შემდეგ ჭიხვინით დაიხრებოდა ცხენის ფიგურიდან რომელიმე ნაწილს მოკბერდა და ისევ ჭიხვინით უკან წავიდოდა. მას მიჰყვებოდნენ ოჯახის სხვა წევრებიც, სალამოს გამართულ ვახშამზე კი ჩამოარიგებდნენ ცხენის ფიგურებს, დაილოცებოდნენ და სანთელ-საკმეველს გააგზავნიდნენ შესანიშნავად წმ. თედორეს სალოცავში (მაკალათია, 1941: 310-311). გურიაში თედორობას „ნადილობას“, უწოდებდნენ რაც მიცვალებულის მოსაგონარ დღედ იყო მიჩნეული (ნადარაია, 1985: 161-162).

გ. ხორგუაშვილის მიხედვით საქართველოში თედორობისადმი მიძღვნილი დღესასწაული იმართებოდა გაზაფხულობით, რომელსაც თან ახლდა მოსავლის ბარაქიანობისადმი მიძღვნილი ქმედებები (ხორგუაშვილი, 2000: 12).

თედორობის აღნიშვნის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული გაზეთი „დროება“-ში. კორესპონდენციის მიხედვით, დიდი მარხვის პირველ შაბათს, კასპში წმ. თედორეს სახელობის ტაძარში იმართებოდა დიდი დღესასწაული, რომელშიც აქტიურად ებმებოდნენ კასპელები. მოსახლეობა იკრიბებოდა ეკლესიის ეზოში ანთებული ცეცხლის ირგვლივ, რომელიც იყო სიმბოლური აქტი იმის, თუ როგორ ჩააგდეს ცეცხლში დიდი წმინდანი ურწმუნოებმა. ცნობის მიხედვით, აღნიშნულ დღეს აღევლინებოდა ტაძარში წირვა და იქ მყოფნი თავს ავედრებდნენ წმინდა მონამე თედორეს. ეკლესიის ეზოში მოსახლეობა მღეროდა, ებმებოდნენ ფერხულში და ახალგაზრდებს შორის იმართებოდა ჭიდაობა, რომლის შემდგომ მზადდებოდა სადილი, იმართებოდა ლხინი, ღვინის სმა, ადგილობრივებსა და მეზობელი სოფლებიდან მიპატიჟებულ სტუმრებს შორის (გაზ. „დროება“, 1867: 1867, № 22).

ს. მაკალათიას ცნობების თანახმად, კასპში (თემის ხეობა), არ-

სებობს სოფელი ფიცესი, რომელიც გაშენებულია მაღლობზე, სადაც ვხვდებით ძველ ეკლესიას, რომელსაც ადგილობრივები „თუთრ“-ს უწოდებდნენ (ნმ. თეოდორე). აღნიშნული დღესასწაული აქ სრულდებოდა დიდმარხვაში, გაზაფხულობით, სანამ სამუშაოზე გავიდოდნენ. ამისათვის ადულებდნენ ლუდს, სათესლე ხორბალს მიიტანდნენ ტაძრად და კარგ მოსავლიანობაზე დაილოცებოდნენ. დასასრულს ხორბლის ნაწილს იქვე ყრიდნენ, ნაწილი კი შინ მიჰქონდათ და სათესლე ხორბალში გადაურევდნენ (მაკალათია, 1959: 35-37).

თედორობის აღნიშვნის ტრადიცია არ დაიკარგა, მას ვხვდებით დღესაც. ლაგოდეხის რაიონში, სოფელ ლელიანში, რომელიც ისტორიული ჰერეთის ერთ-ერთი სოფელია, სადაც არის ნმ. თეოდორე ტირონის სახელობის ტაძარი (საბჭ.ენციკლოპედია, ტ.VI, 1983; 165). თეოდორე ტირონი (ლათ. ახალწვეული), რომის არმიის რიგირთი მხედარო იყო და ქრისტეს სჯულისათვის მოწამეობრივად აღესრულა 306 წლის 17 თებერვალს (ნმინდათა ცხოვრება, 2006: 176).

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგია ებრძოდა ტრადიციულ დღესასწაულებს, ყველა მათგანის გამოწვევა და გაქრობა ვერ შეძლო. ეს ეხება თედორობასაც.

თედორობა აღინიშნება აღდგომამდე შვიდი კვირით ადრე, დიდი მარხვის პირველი კვირის შაბათს, ნმინდანის ხსენების დღეს. ტაძარში აღველინება წირვა, რომლის დასრულების შემდეგ იმართება სახალხო სანახაობა. პარასკევს ღამით იწყება ტაძარში წირვა-ლოცვა და შაბათს მთელი დღის განმავლობაში გრძელდება მრევლის მხრიდან ნმინდანისადმი მავედრებელი ლოცვით და ოჯახის კეთილდღეობის თხოვნით. ეკლესიას სტუმრობს უამრავი ადამიანი ქალაქებიდან თუ მეზობელი სოფლებიდან, რომლებიც ასევე აქტიურად ებმებიან მიმდინარე ღონისძიებებში.

დღევანდელი თედორობაში უკვე აღარ მოსჩანს ძველი, ხვნათესვის რიტუალისათვის დამახასიათებელი ქმედებანი, მაგრამ ხსნის გაზაფხულის დღესასწაულთა ციკლს და შემორჩენილი აქვს საერთო სახალხო დღესასწაულის ის სახე, რომლის მოთხოვნილებაც მუდამ იყო ხალხში. თედორობას ძველი დროიდან შენარჩუნებული აქვს ისეთი ნიშნები, როგორიცაა გართობა-თამაშობები, შეჯიბრი, ჭიდაობა და ა. შ. ეს ელემენტები, ღონისძიების არსებითი შემადგენელი ნაწილია და აქტიურად აგრძელებს არსებობას.

ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებულ და უკვე გამქრალ დღესასწაულ-

თა პარალელურად აღსანიშნავია, რომ თედორობას მოქმედი ხასიათი აქვს. გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, იგი კვლავ რჩება ქართული ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ნაწილად.



თედორე ტირონის სახელობის ეკლესია სოფელ ლელიანში

Celebration of Thedoroba

Summary

During the ethno cultural researches main attention is on beliefs and representations, their crossing real point are folk celebrations. The main goal of this article is to discuss Thedoroba, which is known in Georgia as Thedoroba celebration. Thedoroba celebration beginning of still BC, as an agrarian-god's descendant and it opened cycle of spring celebrations. After spread of Christianity, it had been merged with holy Theodore's name. It's important to be known about this celebration, because Thedoroba has active character parallel of today's and disappeared celebrations in ethnographic lives. In spite of some changes, Thedoroba stayed as a part of Georgian ethno cultural heritage.

დამონშებული ლიტერატურა:

1. აბაკელია ნ, ალავერდაშვილი ქ, ლამბაშიძე ნ, ქართული ხალხური დღეობათა კალენდარი, თბ., 1991.
2. ბარდაველიძე ვ, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.
3. გაზეთი „დროება“ , 1867, № 22.
4. თოფჩიშვილი რ., ხუციშვილი ქ., გუჯეჯიანი რ., თეორიული ეთნოლოგია, თბ., 2010.
5. მაკალათია ს. თემის ხეობა, თბ., 1959.
6. მაკალათია ს. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
7. ნადარაია მ. კრებული „ლეჩხუმი“, თბ., 1985.
8. ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970.
9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI, თბ., 1983.
10. წმინდათა ცხოვრება, ტ. I, თბ., 2006.
11. ჭანტურიშვილი ს. ეთნოლოგიის ქრესტომათია, თბ., 1997.
12. ხორგუაშვილი გ. თევდორე თავდადებული, თბ., 2000.

მიჯაჭვული ამირანის არქიტექტურული კვალი თუშეთის ტრადიციულ კულტურაში

ჯერ კიდევ კარლ გუსტავ იუნგი (Aверинцев, 1970: №3) და მირჩა ელიადე (ელიადე, 2009) აღნიშნავდნენ მითოლოგიური სტრუქტურების იგივეობას არა მხოლოდ კულტურის თვალსაზრისით, არამედ გეოგრაფიულად ერთმანეთისაგან ძალზე შორს მყოფ ხალხებში. ამა თუ იმ ხალხის სულიერების სიღრმისეული შრეები და კონსტიტუციური ღერძი ისტორიის პრიზმაში გავლის შემდეგ იმ ფენომენებად გვევლინება, რომელსაც ჩვენ კულტურას ვუწოდებთ.

ცხადია, მწყემსური ტრადიციული თუშეთი არ იცნობდა ჩვენთვის ძველი სამყაროსაგან ცნობილ მისტერიულ ცოდნას და ხელი არ მიუწვდებოდა ამ ცოდნისადმი მიძღვნილ დოკუმენტებზე. ამასთანავე, ამ მხარის ეთნოლოგიური კვლევა გვაძლევს საოცარ ნიმუშებს იმისა, რომ ეს მცირე ხალხიც თანაზიარი იყო იმ სულიერი პროცესებისა, რომლებიც მისგან ხშირად უკიდურესად დაშორებულ რეგიონებში თამაშდებოდა.

ამ ხალხისთვისაც არ იყო უცხო მცდელობა თავისი სულის „ალქიმიურ რეტორტაში“ მიეგნო იმ მდგომარეობისათვის, რომელშიც გრძნობისა და გონების ბინარული ოპოზიციიდან ერთგვარი არისტოტელური „საუკეთესო“ იშვებოდა არა როგორც საშუალო, არამედ სწორედ რომ როგორც საუკეთესო და ამით გაეგლო ის ვინრო და ხიფათით სავსე გზა, კოლხეთისაკენ მიმავალმა არგონავტებმა რომ განვლეს მისტერიურ „სიმპლეგადის კლდეებს“ შორის. ეს უნდა ყოფილიყო გრძნობისა და გონების გამანონასწორებელი, მაგრამ წარმავალი წამივით ლამის მოუხელთებელი შუალედური მდგომარეობა. ამ მდგომარეობაზე გადიოდა ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს სულიერი ცოდნის განმსაზღვრელი „ოქროს კვეთი“. ცნობიერების ეს ძალისხმევა ქმნიდა შემდეგ მატერიალურ კულტურას: არქიტექტურას, ხელოვნებას, ეთიკურ ნორმებს, ფსიქოლოგიურ კონსტიტუციას, მეურნეობის სისტემას და ა.შ.

ჩვენი წინამდებარე წერილის მიზანია, სწორედ ამ „ალქიმიური რეტორტის“ თვალსაზრისით იქნას გადმოცემული ის მასალა, რომელიც ამირანის მთაზე შარშან მონყობილი ექსპედიციისა და ამ ექსპედიციისათვის მზადების ხანებში იქნა მოპოვებული (სურ. 1).

პრომეთე-ამირანის არქეტიპი, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთის მხრივ, გრძნობისა და გონების იდეალური ნონასწორობის სიმბოლიზებას ახდენს, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი არსებობა ჩვენს სულიერებაში მოწმობს, რომ ჩვენ სწორედ იმ კულტურული არეალის შვილები ვართ, სადაც ეს სიმბოლიური სახე მნიშვნელობს და უმნიშვნელოვანესი კოდის როლს თამაშობს. ესაა ადამიანური სულის ამ ორი სანყისის ერთგვარი „ოქროს კვეთი“, რომელიც მთელს სულიერებას სახეს აძლევს. ეს სიმბოლო ქრისტიანობაში ორი სანყისის ოქროს კვეთაზე ჯვარცმულის სახეში აირეკლა.

სწორედ ამ თვალსაზრისით გავემართეთ ამირანის კლდის, თუშურად ამირანის „ქვასობილი“ მოსანახულებლად, როგორც იმ „ოქროს კვეთისა“, რომელზეც ამირანია მიჯაჭვული.

ამირანის მითოსური არქეტიპი ქართულ ცივილიზაციაში უნივერსალური სიმბოლიზმითაა გამსჭვალული. მისი სახე არა მარტო თანამედროვე ინტერპრეტაციებისა და წარმოდგენების ობიექტია, არამედ ერის კოლექტიური სულის მასაზრდოებელ და კულტურის მაფორმირებელ ფარულ ძალად რჩებოდა საუკუნეთა განმავლობაში.

თუშეთის დაცულ ტერიტორიებში შემავალი სპეროზიის მთის მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კახეთის მდინარე ალაზნის სათავეებში, იქ, სადაც ნიფლოვანის ნყალს სამყურის ნყალი უერთდება, იბერიული ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი პრეისტორიული ბუნებრივ-კულტურული ძეგლი „ამირანის მთა“ არის აღმართული. იგი წარმოდგენილია სამი ვერტიკალური დონით: მდინარეების შესართავთან მდებარე „ამირანის ეხით“ (გამოქვაბულით), საიდანაც, მთის თანახმად, ამირანი ქვესკნელიდან პერიოდულად ევლინება შუასკნელს („სამზეო“-ს); ამირანის „ქვასობილით“ – ეხის ზემოთ ალპურ ზონაში მიწიდან ამოსული კლდით, რომელზედაც, გადმოცემის თანახმად, ამირანი არის მიჯაჭვული და ამირანის „კუჭით“ – ამირანის მთის მწვერვალით, ღვთის საარსო ზესკნელის სიმბოლოთი. ამირანის მთის მითოსურ ლანდშაფტს განეკუთვნება მისი გეოგრაფიული არეალის ტოპონიმიკა: ბორბალო, საყორნე, გველის მთა, შანარ ხორხი, სადღვერი, სვილობ-საფხიხვე... (სურ. 2).



სურ 1

სურ 2

ტერმინ „სპეროზა“-ს რაც შეეხება (დაბოლოება „ოზა“ – ბერძნული ტრანსკრიპცია), ძვ. წ.-ის I ათასწლეულის მე-2 ნახევრის ბერძენი ავტორები კოლხების სამხრეთით მცხოვრებ ქართულ ტომთა შორის მოიხსენიებენ სპერებს//სასპერებს. აღნიშნული პერიოდის მინურულს სტრაბონიდან დაწყებული სპერებს უკვე „იბერია//ივერია“-ს სახელით მოიხსენიებენ უცხოური წყაროები (ჯავახიშვილი, 1908: 23, 32). ტერმინი „სპერი//ისპირი“ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ისტორიული ტერიტორიის ნაწილს შემორჩა. ასევე ცნობილია, რომ შავი ზღვა ისტორიულად „სპერის ზღვა“-დ იწოდებოდა (ჯავახიშვილი, 1917: 139).

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი, რომელიც ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარსა და ა.წ. I საუკუნის პირველ მეოთხედში ცხოვრობდა, პრომეთეს თქმულებას კავკასიურ თქმულებად თვლის (ჯავახიშვილი, 1917: 125).

სტრაბონი იბერიის სამეფოს აღწერისას ჩვენთვის საინტერესო რეგონში ადგილობრივ მოსახლეობას მთის იბერიელებად მოიხსენიებს (ელანიძე, 2001: 32).

ამირანის მითოსის სპეციალურ გამოკვლევაში სპეროზიის ამირანის მთა თუშურ გეოტოპურ ვერსიად არის განხილული (ჩხეიძე, 1991:140). თეიმურაზ ბატონიშვილმა მსგავსი ვერსია მოისმინა ადგილობრივთაგანაც: . . . „ერთ-კერძო ამა მთისა სახლობენ თუშნი, რომელნიც არიან კახთა ერისსაგანნივე. ჰგონებენ ერნი ივერიისანი და რომელნიმე სხვანიცა ნათესავთაგანნი ისტორიკოსნი, რომელ ნამდვილ მთა იგი საყორნისა (ამირანის ლანდშაფტის ერთერთი ტოპონიმი. ნ.ი.) არს, რომელსაცა სიმაღლიის კლდესა ზედა მიმსჭვალულ იყო პრომეტეოს იუპიტერის მიერ დასასჯელად . . . იტყვიან მუნებურნი, რომელ წინაპართა მათთა უჩვენეს მთა იგი დიდსა ალექსანდრეს მაკედონელსა ოდეს მოინია იგი დასაპყრობად ივერიისა“ (ჩიქოვანი, 1947: 294).

134 წელს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე იმოგზაურა კაბადოკიის გამგემ ფლაბიოს არიანემ: „ჩვენ კავკასიონის ერთი მწვერვალი გვიჩვენეს, სრობილს ეძახიან სახელად, რომელზედაც მითური გადმოცემით ზევსის ბრძანებით ჰეფესტოსის მიერ პრომეტეოს იყო მიჯაჭვული“ (ჯავახიშვილი, 1917: 125). სავარაუდოა, რომ არიანეს მიერ ხსენებული „სრობილი“ შედგენილი სიტყვის – „ქვასობილი“-ს მეორე ნევრის სმენითი აქცენტირებით იყოს წარმოქმნილი და იბერების ამირანის მთის „ქვასობილი“ იყოს მხედველობაში.

თუშური ამირანიანის თემა მითოლოგიური ტოპოსის გარდა, შემონახულია თუშეთის პიქტოგრამულ ხელოვნებასა და ფოლკლორში.

თუშეთის სოფელ ფარსმაში შუა საუკუნეების ციხის კედელზე, ერთიმეორის გვერდით მდებარე ორ ქვაზე კოსმოგონიური შინაარსის კომპოზიციას ამოკვეთილი. მასში შესაქმის დრამა ზომორფული და ასტრალური სიმბოლოებით სქემატურად არის გადმოცემული. პირველი ქვის ნახატზე გველვეშაპის (ქვესკნელი//ქაოსის) და ფასკუნჯის (ზესკნელი//კოსმოსი) ბრძოლაა გამოსახული. მათი ურთიერთბრძოლის გამომხატველი გადაჯაჭვული სხეულების ოთხკუთხედში მოქცეული კონცენტრული ორი წრე-წერტილით შუა სამყარო//შუა სკნელი//„სამზეო“-ს განასახიერებს. ფასკუნჯის თავთან ამოკვეთილი მცირე წრე-წერტილით ქართული ხალხური თქმულების „შუბლში მასკვლავიანი ჭაბუკი“//ასფურცელა//ამირანის ასტრალური სიმბოლოა, რომელიც ზღაპრული ქარგის მიხედვით შუა სამყაროს შემოქმედ ფასკუნჯს გველვეშაპთან

ბრძოლაში ეხმარება (სურ. 3).



სურ. 3

მეორე ქვაზე სქემატურად გამოსახული მამაკაცისა და ქალის პლასტიკური ფიგურები (სურ.3) პირველი პიქტოგრამაში გადმოცემული სამყაროს შესაქმნის მაგიურ აქტივაციას გამოხატავენ. თუ გავიხსენებთ ზაფხულის მზებუდობისადმი მიძღვნილ ქრისტიანიზებული სახალხო დღესასწაულების – „ათნიგენობების“ დროს ქალთა და მამაკაცთა კოსმოგონიურ თამაშებს და მზის გაცილების მაგიურ რიტუალებს თუშეთში, პიქტოგრამებს შორის შინაარსობრივი კავშირი აშკარად იკვეთება.

სოფელ დართლოს პიქტოგრამაზე გადმოცემულია ამირანის ნადირობის მისტერია: პიქტოგრამულ სცენარში სამი ანთროპომორფული პერსონაჟია, ორი მონადირე ბოძალებით (თუ თოფებით?) არის შეიარაღებული. ესენი ბადრის და უსუფს განასახიერებენ, რადგან მესამე პერსონაჟში, რომელსაც ერთ ხელში თოკებმული ძალლი უკავია (გომია), ხოლო მეორე ხელში რკინის პალო (თუშური ვერსიის თანახმად), ამირანი იკითხება. სცენარში გამოსახულია, აგრეთვე, სამი ფრინველი (ყორანი), ორი ირემი და ირემს გამოკიდებული ორი ძალლი (სურ. 4). თუშური ფოლკლორული ვერსიით: . . . „სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი, წინ ირემი წამოუხტა-დ, ცამდე სწვდება რქანი მისნი, ამირანმა ბოძალი ჰკრა, წითლად აჩნდა მხარი მისნიო, ცხრა მთა გადაიარეს, მეათე ალგეთისიო . . . აქ რო ერთი კოშკი იდგაო, კარი არ 180

ჩანდა მისიო, საცა მზემან შუქი დაჰკრა, ამირანმა მუხლი მგლისიო“ (მთხრობელი ტ. ჯააძე, სოფ. ალისგორი).



სურ. 4

როგორც ხალხური შემოქმედებითი მესხიერების ზემოთმოყვანილი მასალებიდან ჩანს, ამირანი მზის მითოგრაფიულ და კოსმოგონიურ სტრუქტურებთან ორგანულ კავშირშია წარმოდგენილი.

სამყაროს შესაქმისა და სიცოცხლის ამაღლორძინებელ მითოლოგიურ თემატიკას უალრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოს ტრადიციულ საზოგადოებათა მითოსურ რწმენა-წარმოდგენებში.


ერთ-ერთი თუშური კოსმოგონიური თქმულების თანახმად, ღმერთმა ნათელი შექმნა. მერე ეშმაკმა ხმელეთს ბადე გადააფარა და დაალამა, ღამე ეშმაკისაა. ღმერთმა თავგი გააჩინა, თავგმა ბადე დაჭრა და გამოანათა, ხმელეთი გამოაჩინა. მერე ეშმაკმა კატა გააჩინა, რომ თავგების ჭერა დაეწყო. ღმერთმა ძაღლი გააჩინა კატის სამტროდ. მერე ეშმაკმა მგელი გააჩინა“ (მთხრობელი თ. ქითიძე, სოფ. ხახაბო). თქმულების აქ მოყვანილ ფრაგმენტში კოსმიურ სანყისთა (ზესკნელი-ქვესკნელი) ურთიერთბრძოლის დინამიკა და სიცოცხლის პირველი ოპოზიციების წარმოშობის დიალექტიკა არის ასახული.

რაც შეეხება ამირანის მთას, მსოფლიო ტრადიციულ ხალხთა ლოკალურ თუ დიდ კულტურებში მთა სამყაროს ერთ-ერთ მითოსურ სიმბოლოს წარმოადგენს. მ. ელიადეს ამ საკითხების კვლევის დროს შემოაქვს სამყაროს „ცენტრის“ ცნება, რითაც დროის დასაწყისში სხვადასხვა

ტრადიციაში სამყაროს შექმნის და ზოგადად ქმნადობის პროცესის სიმბოლიზაციას უსვამს ხაზს. მისი აზრით სამყაროს, საზოგადოებისა და პიროვნებისათვის დამახასიათებელია დუალისტური სიმბოლიზმი, რაშიც გამოიხატება არა ბოროტებაზე უარის თქმისა და სიკეთის კეთების ტენდენცია, არამედ ქმნადობისა და ნგრევის ენერგიების წონასწორობისაკენ სწრაფვა. კოსმიურ დონეზე ეს შინაგანი წონასწორობა შეესაბამება „ცენტრალურ ნერტილს“, „სამყაროს ცენტრს“. ეს ნერტილი მდებარეობს ქვეყნიერების ოთხი მხარის და ვერტიკალურ ღერძის ზედასა და ქვედას შუაში კოორდინატების გადაკვეთაზე. ამგვარად, პოლარობის პრინციპი და პოლარობის სხვადასხვა სისტემები გამოხატავენ, როგორც სამყაროსა და სიცოცხლის სტრუქტურებს, ისე ადამიანის არსებობის სპეციფიურ ფორმებს (ელიადე, 1987: 214).

თუშეთის ეთნოყოფიერებაში ჯვარის ხელოსნის (მსახურის) დალოცვის ორ ტექსტში სამყაროს სამ განზომილებიანი მოცულობითი და სტრუქტურული აგებულება ფიქსირდება; 1. „...თუ რა სარჯიელ ეხედვებოდეს ან ცითა ჩამოსული, ან ზღვითა ამოსული, ან ხმელეთზე მორიალელი, ავთვალს, ავკაცს, ავსულს აარიდიდითა, გზა უკულმ გაუბრუნდიითა“... აქ სამყაროს ვერტიკალური განზომილებაა მოცემული (ცა-ზღვა-ხმელეთი) 2. „... ოთხივ კუთხის სალოცავების დიდება იყოს!“ აქ კი, სამყაროს ჰორიზონტალური განზომილება და ქვეყნიერების („სამზეოს“) ოთხი მხარეა მონიშნული (აღმოსავლეთი-დასავლეთი-ჩრდილოეთი-სამხრეთი).

ლოცვის ორივე ტექსტით მოხაზული სამგანზომილებიანი სივრცის კოორდინატების გადაკვეთის ცენტრი შეესაბამება „სამყაროს ცენტრს“. მას ციფრობრივ-სიმბოლური გამოხატულება გააჩნია: $3+4=7$. ციფრი 7 რიცხვობრივ სიმბოლიზმში სამყაროს შემოქმედის ღვთაებრივ სრულყოფილებას გადმოსცემს. 7-ის სიტყვიერი ნიშანი („შვიდი“) ფსიქიკური წონასწორობის გამოხატველი ცნება „მშვიდი“-ს (მ-შვიდ-ი, სი-მ-შვიდ-ე) ძირი და სულიერი მდგომარეობით მიღწეული შედეგის მაჩვენებელია. 3-ისა და 4-ის სიტყვიერი ფორმულირება „სამოთხე“-შესაძლებელია ხსენებული სულიერი მდგომარეობის გამოხატველი კანონზომიერი ცნება იყოს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფლერადობის სანსკრიტული სიტყვა „სამადხი“ იგივე მნიშვნელობისაა და სულიერ „ნეტარება“-სთან ასოცირდება (სურ. 5).



სურ. 5

ქართული მითოცნობიერებითი წარმოდგენების არქაულ ხანაში პრომეთე-ამირანის სახელით ცნობილი კულტურული გმირი შერწყმულია მთის კოსმოგონიურ სტრუქტურასთან (გამოქვაბული, კლდე, მთის მწვერვალი). შუასაუკუნეების ეპოქაში ადგილი აქვს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ მთავარი პერსონაჟის ანთროპულ დეფინიცია: ქვედა სამყაროს განმასახიერებელი შავცხენოსანი მხედარი უსუფი, ზედა სამყაროს განმასახიერებელი თეთრცხენოსანი მხედარი ბადრი და შუა სამყაროს განმასახიერებელი წითელცხენოსანი მხედარი ამირანი. აქ ერთი გმირის სამი ასპექტია გადმოცემული კოსმოგონიურ დონეთა შესაბამის ფერთა სიმბოლიკასთან ერთად (შავი-წითელი-თეთრი).

მთის კოსმოგონიური სტრუქტურა (ზედა-შუა-ქვედა) ადამიანურსა და ღვთიურ სამყაროში გამოვლენილი „სამი სამყაროს პრინციპს“ შეესაბამება. პითაგორას ეზოთერიკაში „ცოცხალი სიტყვის ეს დოქტრინა უდიდესი საიდუმლო, მაგიის წყარო, ხელდასხმულთა წმიდათა წმიდა იყო. ...ეს იყო თეოგონური მისტერია, რომელშიც სამყაროს წარმოშობა იყო ასახული, ... პითაგორას მოძღვრება აბსოლუტურის სიღრმიდან ამოდიოდა, ღვთაებრივი სამეხობით იწყებოდა და ცხოვრების შუაგულში ადამიანური ტრიადიტ სრულდებოდა. მამაში, დედასა და შვილში ხელდასხმული სწავლობდა ცოცხალი სამყაროს გონის, სულისა და გულის ამოცნობას“ (შურე, 2007: 325).

„სამი სამყაროს პრინციპი“ და „ბუნებისა და სიცოცხლის ამაღორძინებელი და ეთიკის მაფორმირებელი პოლარობის ფუნდამენტური

კანონი“ (მირჩა ელიადე) დაძაბულობის ველის მატარებელი ბინარული ოპოზიციური სანყისების სტრუქტურაა, რომელშიც ახალი რეალობა – ოპოზიციური სანყისების შუა ელემენტი – ჩნდება. ამის გამო ერთიანი სტრუქტურა სამწვეროვან სახეს ლეზულობს, ერთის მხრივ, ყალიბდება კოსმოგონიური სტრუქტურა: ზესკნელი//ცა – შუასკნელი//ხმელეთი – ქვესკნელი//ზღვა, ხოლო, მეორეს მხრივ, ანთროპულ-ცნობიერებითი სტრუქტურა: მამა//გონი – შვილი//სული – დედა//გული .

ზემოთ თქმულთან შეჯერებით შეიძლება ითქვას, რომ კლდეზე მიჯაჭვული ამირანი კოსმოგონიური და ცნობიერებითი სტრუქტურის შუა განზომილებაზე „მიჯაჭვულ“, სულიერ ტანჯვასა და ძიებაში მყოფ მარად ქმნად კაცობრიობას განასახიერებს. „ამირანიანში დგას ადამიანის პრობლემა და ეს პრობლემა, არ უნდა გაგვიკვირდეს, ეგზისტენციალურ ჭრილშია დასმული და გადანყვეტილი. ამაში მდგომარეობს „ამირანიანის“ თავისთავადობა, მისი უნიკალური ადგილი მსოფლიო ხალხთა ეპოსებს შორის. ამირანი სწორედ იმიტომ არის მიჯაჭვული, რომ კაცთა მოდგმა არ არის სრულყოფილი. ... ამირანი ცოდვილი კაცობრიობის განსახიერებაა“ (კიკნაძე, 2001).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ამირანის მითოლოგიური მთა ურთიერთ („ორთაერთ“ ნ.ი.) საპირისპირო სანყისთა სტრუქტურული კონცეფციის მატარებელ – კაცობრიული ცნობიერებისა და კულტურის მაფორმირებელ – არქეტიპულ სიმბოლოდ წარმოჩნდება.

თუშეთის ეთნოყოფიერებაში, როგორც აღინიშნა, ფიქსირდება გონისა და გრძნობის ცნობიერებითი ოპოზიცია. „გულსგონთ ყოფნა“ //„გულსგონდატანა“ გამოხატავს ორივე სანყისის დაბალანსებულ, ფსიქიკურად განონასწორებულ მდგომარეობას. ამ ხალხის ცნობიერებაში ფსიქიკური წონასწორობის დარღვევა ნორმის დარღვევად და არა სათნო მდგომარეობად არის მიჩნეული. გული-გონების წონასწორობა როცა დარღვეულია, ერთის მხრივ, გონი დისტანცირებულია გულისაგან და ველარ საზღვრავს ემოციას. ამ დროს ადამიანი „გულსგონგამოსული“ – ემოცია უმართავი, ექსტატიური და ამდენად საფრთხის მატარებელია. მეორეს მხრივ, როდესაც ემოცია ჩამქრალია და გონება ემოციური მუხტის გარეშეა დარჩენილი, ადამიანი „გულლუმი“//„გულსლონედალეული“ (გულცივი,გულბოროტი) ხდება და ასევე, წონასწორობა დაკარგული და საფრთხის შემცველია. მიჩნეულია, რომ გული-გონების ბალანსის დარღვევისას ადამიანი არა ადეკვატურია და „ავი სულის“-გან არის შეპყრობილი.

ტრადიციულ მენტლიტეტში გრძნობისა და გონების ფსიქოლოგიური ბალანსი და დისბალანსი გარკვეული ზღურბლისადმი, ზღვრისადმი დაახლოება-დაშორებას გულისხმობს და შესაბამისი ეთიკური ცნებებით არის გამოხატული. თუ „გულსგონთყოფნა“ და „გულსგონდატანა“ ოპოზიციური საწყისების დაბალანსების გამომხატველი ცნებებია და ზღვარზე ყოფნასა და მშვიდობას გულისხმობს, რომლის დროს ადამიანი არის მშვიდი//„გულმძიმე“ ე.ი. დინჯი და აუჩქარებელი, ამ საწყისების დისბალანსისას წონასწორობის ცენტრი დარღვეულია და ადამიანი, როგორც ითქვა, „გულსგონგამოსული“ ან „გულლუმი“ ხდება. ამ დროს, ერთის მხრივ, „აზეზედაება“//„გაგანთ (გან-განთ) გასვლა“-ს ე.ი. გული-გონების წონასწორობის ცენტრიდან გონის „გასვლასა“ და უმართავ ემოციას – სამშვინველის ექსტატიურ მდგომარეობას აქვს ადგილი, ან, მეორეს მხრივ, როდესაც ადამიანი „დადვრენილი“//„დადვრენილი“ ე.ი. გუნებადახურული და სახემოშლილია – ემოცია ჩამქრალია, სამშვინველის პროსტრაციას აქვს ადგილი და „გული“ (ემოცია) ასევე დისტანცირებულია გული-გონების წონასწორობის ცენტრისგან. ორივე შემთხვევაში წონასწორობის ცენტრიდან გასვლასა და ფსიქიკურ მოშლასთან (დესტრუქციასთან) გვაქვს საქმე. ცენტრთან დაბრუნება არის „გონთაი“ (დადებითი, კარგი, ნორმალური), ასოცირდება ფსიქიკურ წონასწორობასთან და უსაფრთხოებასთან, ხოლო ცენტრიდან ანუ ზღვრიდან გასვლა არის „მონაი“ (უარყოფითი, ცუდი, არანორმალური) და ასოცირდება ფსიქიკური წონასწორობის დარღვევასა და საფრთხესთან. ანალოგიური საზრისებია ჩადებული მისალმების, მოკითხვისა და დამშვიდობების ტრადიციულ ფორმებში: „გონთ ხართ?“ (კარგად ხართ?), „გონთ ვართ!“, „გონთ იყვენთ!“. ან: „გონ-უგონთ ვარ“, „მონადა ვარ!“ (ცუდად ვარ), „რა უგონა ხარ! (ვერა ხარ) „. აქ არასრულ კომპოზიტებთან გვაქვს საქმე და გულისა და გონების ერთად ყოფნა-არყოფნა იგულისხმება.

აღსანიშნავია, რომ ხალხური ცოდნით ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის აკვარგინობა ურთიერთ პროპორციულ კავშირშია. „კაცმ მარჯვედა არ უნდ თქვას ავად ვარივ ან დავბერდივ. ნინავ იცოდნიან, გონ არ უნდ დააბეროვ, არ შიძლებ!“ (მთხრობელი ქ. ჯამრულიძე, სოფ. ხისო). გამოცდილებით ერთის დეზორგანიზაცია ხელს უწყობს მეორის დეზორგანიზაციას და პირიქით.

თუშეთის ტრადიციულ სულიერებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზღვრის აღმნიშვნელი „სამანი“-ს კატეგორიას და მის

ასპექტებს. ერთ შემთხვევაში, „სამან-სამზღვარი“ აღნიშნავს „მორიგე ღმერთის“ (კოსმოტორის) მიერ ქაოსური ძალების – დევებისაგან შევიწროებული ადამიანის დასახმარებლად გამოგზავნილი ღვთისშვილებისა და წინაპართა ბრძოლით მოპოვებული და სისხლით ნაკურთხი ტერიტორიის, მიკროკოსმოსის დასაზღვრას. ამიტომ მტრის შემოსვლისას ხდება ტერიტორიის დესაკრალიზაცია, უხილავი სამნების მოშლა და სინმინდის ახდა. მაშინ საყმო ერთიანდება სამფეროვანი დროშის ქვეშ და იმეორებს დროის დასაწყისში მომხდარ კოსმოგონიურ აქტს – ქვეყნის განმედას ქაოსური ძალისაგან (მტრისაგან) და ამგვარად, ტერიტორიის ხელახალ საკრალიზაციას. მეორეს მხრივ, თემის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საწინდრად წინაპართაგან გადმოცემულია „სამან-სამძღვარი“ – რჯული, ადათი, წესი და რიგი. „სამან-სამძღვარი“ ვიდრე დაცულია, თემისა და პიროვნების კეთილდღეობას საფრთხე არ ემუქრება, როგორც კი მოირყევა „სამან-სამძღვარი“, თავს წამოსწევენ ქაოსური (ურჯულო) სულიერი ძალები და მიკროსამყაროს წეს-რიგის მოშლის საფრთხე დაემუქრება.

„სამნები“ ამოდიან მაშინაც, როგორც ითქვა, როდესაც ადამიანის ფსიქოემოციონალური სისტემა დარღვეულია და „ემმაკი ჰყავს ჩამჯდარი კაცს“.

ზღვრის („სამანის“) ცნებას ეხება არისტოტელე, როცა განმარტავს „სიქველეს, როგორც ხასიათის მდგომარეობას, როდესაც იგი ჩვენთან მიმართებაში საშუალოს არჩევას ესწრაფვის რაციონალური პრინციპით. ამ მოძღვრების მიხედვით ყოველგვარი ბოროტება მდგომარეობს ამა თუ იმ თვისების სიჭარბესა თუ ნაკლებობაში, მაშინ როდესაც სწორი ე.ი. ზომიერი ხარისხით მოცემული იგივე თვისება სიქველე იქნებოდა“ (გათრი, 1983: 164).

ეზოთერულ გამოცდილებაში ადამიანურ ბუნებას ორი მიმართულებით ძალუძს მოიმოქმედოს ბოროტება და რომ თავისუფალი ნების განვითარება მას მხოლოდ იმიტომ ხელეწიფება, რომ ბოროტებას იგი ორი მიმართულებით ავითარებს. ცხოვრება მხოლოდ მაშინ მიედინება სწორად და კეთილად, როდესაც ადამიანის ცდომილების ეს ორივე მიმართულება განიხილება, როგორც სასწორის ორი პინა, რომელთაგან ხან ერთი სძლევს, ხან კი – მეორე. ჭეშმარიტი წონასწორობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც პინები ერთ სწორ ჰორიზონტალურ ხაზზეა. სწორი, მართებული საქციელი ისე უნდა იყოს გაგებული, რომ ადამიანს თავისი ცხოვრების ყველა მომენტში ეძლევა საშუალება აირ-

ჩიოს ამ ორთაგან ნებისმიერი მიმართულება და, ამდენად, მათ შორის თანასწორობის დამყარება (შტაინერი, 1994: 59).

თუშეთის ეთნოყოფიერებაში აღნიშნული ფსიქოეთიკური სტრუქტურის ანალოგიურად არის ჩამოყალიბებული და დარეგულირებული ქცევის ნორმები. მაგალითად, სილაჩრე-სიმამაცე-დიდგულობას თუშური კილოკავით შეესაბამება: „გამომბალი“ (უფხო, უწრთობი) – „ფხიანი“ (სახელიანი, ხელფეხგამოღებული, ყოჩალი) – „მჩვენა“//„ფარჩხელა“ (მკვეხარა); სიძუნწე-გულუხვობა-მფლანგველობას შეესაბამება: „გამრუა“ (მიმთვისებელი, მომხვეჭელი) – „მესტუმრე“ (ხელგაშლილი, სტუმართმოყვარე) – „ქარუზა“ (ხელიაფი, ზედმეტად შემპატიჟე); გაიძვერობა-მოკძალება-სიტლანქეს შეესაბამება: „მლივი“ (ქვეშ-ქვეშა, ჩუმ-ჩუმელა) – „გულენიანი“ (გულგახსნილი) – „ვირგლა“ (უხეში, ტლანქი) და ა.შ.

ამგვარად, „სამანი“, საპირისპირო საწყისების გამანონასწორებელი და გამამთლიანებელი ზღვრის სიმბოლო, მისტიკური საზრისის მქონე მითოცნობიერებითი კატეგორიაა, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს მიკროკოსმოსის ფსიქოემოციონალურ და ზნეობრივ-ეთიკურ სისტემას.

ამირანის მთის „ქვასობილი“ შეესაბამება „სამანის“ („სამან-სამზღვარი“; „სამან-სამძღვარი“) მითოკულტურულ სიმბოლოს, როგორც საკაცობრიო ცნობიერებისა და კულტურის ერთგვარ „ფეხნამოსაკრავ ქვასა“ და მანონასწორებელ (მარეგულირებელ) ნიშნულს.

ზემოთ მოყვანილი სტრუქტურული კონცეფცია ტრადიციული თუშეთის კულტურის მაფორმირებელ საფუძველს წარმოადგენს.

თუშურ საცხოვრებელ ციხე-სახლსა და ოჯახს კულტურული გმირის კოსმოგონიური სტრუქტურიდან გამომდინარე დედაკაცი-მამაკაცის ანთროპულ-ბინარული ოპოზიცია და შრომითი საქმიანობის სტრუქტურაცია უდევს საფუძვლად. ციხე-სახლის პირველი სართული, „ბაშტე“ ქალის შრომა-საქმიანობასა და ფუნქციებთანაა დაკავშირებული და კოსმოგონიურად ქვედა სამყაროს განასახიერებს. ბოლო სართული „ჭერხო“ მამაკაცების საძინებელი და სადარაჯო, ზედა სამყაროს განასახიერებს. ბაშტესა და ჭერხოს შორის მდებარე სართული „შუა“ არის ოჯახის „სამყოფა“ (საცხოვრებელი) და შუა სკნელს შეესაბამება. („შუა“ შეიძლება იყოს რამოდენიმე, იმისდა მიხედვით, თუ ციხე-სახლი რამდენ სართულიანია და რამდენი ძმა ცხოვრობს თავისი ოჯახებით). „შუა“-ს ცენტრია შუა-კერა, რომლის მიმართ საცხოვრებელის ჰორი-

ზონტალური სივრცე ორადაა გაყოფილი – „სადიაცოდ“ და „სამაცოდ“. კერა საკრალური ადგილია, რომლის გარშემო სრულდება საღვინო და საჭირო რიტუალები. კერა არის „ცენტრი“, რომელზედაც გადის სამი სამყაროს (ზედა-შუა-ქვედა) შემაერთებელი ღერძი (შუმერელთა „დურანქი“ – „ცისა და მიწის კავშირი“). ოჯახის „სამყოფა“-ს ოთხი კუთხე ქვეყნის ოთხ მიმართულებას შეესაბამება და ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოორდინატების გადაკვეთის ნერტილი მოდის შუა-კერაზე, იქ, სადაც გადის ვერტიკალური ღერძი. ასე, რომ კერა სამ განზომილებიანი სამყაროს მიკრო მოდელის „ცენტრალურ ნერტილად“ გვევლინება.

კოსმოგონიურ სტრუქტურაცია და მდედრულ-მამრულ სანყისთა ბინარული ოპოზიცია უდევს საფუძვლად თუშეთის ტრადიციულ მეურნეობრივ სისტემას: მესაქონლეობა (დედაკაცი) – მინათმოქმედება (დედაკაცი-მამაკაცი) – მეცხვარეობა (მამაკაცი) (იდიოქე, 2013: 312).

XX საუკუნის 30-იან წლებამდე თუშეთში ხმარებაში იყო ურთიერთ-მისაღმების ტრადიციული ფორმები, რომელშიც ბინარულ ოპოზიციაზე დაფუძნებული ქალისა და მამაკაცის ცხოვრების გენდერული და სოციალური თავისებურებანი იყო აღბეჭდილი. „გახარება!“ და „ღმერთმა გაგახაროს! – ო ესაღმებოდა და პასუხობდა კაცი ქალს და ქალები ერთურთს. „დღეგრძელობა!“ და „ღმერთმა გადღეგრძელოს!“ – ო ესაღმებოდა და პასუხს უბრუნებდა ქალი კაცს. „გამარჯობა შენ!“ და „გაგიმარჯოს შენ!“ – ო ესაღმებოდა და პასუხობდა კაცი კაცს.

თუშური საბრძოლო დროშა, როგორც აღინიშნა, სამფეროვანია, „ბაირახის (საბრძოლო დროშა) „ტანი“ წითელი ფერისაა, შუაში – თეთრი ფერით. ტანზე ზემოდან ქვემოთ სამი ლენტა აქვს გაკეთებული: თეთრი, წითელი და შავი. ბაირახი შუბზეა აგებული“ (მთხრობელი გ. სისაური, სოფ. ომალო). ეს უკანასკნელი ქაოსის ძალებზე კოსმოსის ძალების გამარჯვების შემდეგ ჯვარხატებად ტრანსფორმირებულ ღვთისშვილს განასახიერებს. მშვიდობიანობის დროს საბრძოლო დროშა ჯვარ-ხატში ინახება და „სამან-სამზღვართა“ და „სამან-სამძღვართა“ მცველად ითვლება. ამიტომ იყო, რომ ყველა მნიშვნელოვანი სამშვიდობო თუ საომარი საკითხი ჯვარის კარზე წყდებოდა.

მამაკაცთა სამგლოვიარო ზარის – „დალაობა“-ს ტექსტში სამი სამყაროს სტრუქტურაა აღბეჭდილი: საიქიო//სულეთი-სააქაო//სამზეო-ღვთის კარი, ფერთა შესაბამისი სიმბოლური მინიშნებით (შავი-წითელი-თეთრი). ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებითა და „დალაობის“

ტექსტის მიხედვით მიცვალებულის სული სიკვდილის შემდეგ საიქიო „ფილტრაციას“ გადის, ბენვის ხიდზე გაივლის და საკუთარი ცოდვამადლის მიხედვით განისჯება და განიწესება განსანმენდელში.

თუშეთის ძველი სამაროვნების ქვებზე და პიქტოგრამებში სქემატურად გამოსახულ ჯვარკაცებს ხელის თითების ადგილზე ხუთ-ხუთის ნაცვლად სამ-სამი აქვთ. ასეთი სქემატური მოტივები გვიან ბრინჯაოს ხანის არტიფაქტებზეც ფიქსირდება. ს. მაკალათიას თუშეთის მოსაზღვრე და მონათესავე ხევსურეთის შესახებ შექმნილ მონოგრაფიაში მოჰყავს ცნობა, რომ ანატორის და მუცოს აკლდამებში მიცვალებულებს სუდრად სამ-სამი ფერის პერანგი ეცვა (თეთრი-წითელი-ლურჯი) (მაკალათია, 1984: 212).

აქ, აშკარაა, რომ მიცვალებულთა სულების სამ სამყაროში მყოფობაზე და მისანვდომობაზე წარმოდგენასთან გვაქვს საქმე.

ამირანის მთის კოსმოგონიზმსა და სტრუქტურზაციაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით მზის კულტის უნივერსალურ სიმბოლიზმთან ამირანის მთის შესაბამისობას, როგორც შესავალში აღინიშნა.

მზის გალმერთება რელიგიური გრძნობების გადმოცემის ყველაზე ადრეული ბუნებრივი ფორმა იყო კაცობრიობის ისტორიაში. ძველი სამყაროს ცნობილი ღვთაებები, როგორცაა ბრაჰმა – ინდოეთში, მარდუქი – შუამდინარეთში, მითრა – სპარსეთში, ატომი, ამუნი, ფტა, ოსირისი – ეგვიპტეში, აპოლონი -საბერძნეთში და ა.შ. მზის პერსონიფიკაციებს წარმოადგენდნენ და სიცოცხლისა და აღორძინების ძალებს განასახიერებდნენ. მზე თავის ციკლურ მოძრაობაში დროსა და სივრცეს ჰყოფდა სხვადასხვა პერიოდებად. მითო-ცნობიერებით ქრილში იგი უკვდავების სიმბოლო იყო, რამეთუ კვდებოდა რა ყოველ საღამოს, დილით კვლავ აღსდგებოდა ხოლმე. მაგრამ არა მარტო დილა-საღამოს, არამედ წლიურ მოგზაურობაშიც იმყოფებოდა და ამისდა მიხედვით წელს ოთხ სეზონურ პერიოდად ჰყოფდა: გაზაფხული-ზაფხული-შემოდგომა-ზამთარი. წლის სეზონური პერიოდები მზის ზრდა-განვითარების სასიცოცხლო პერიოდებს შეესაბამებოდა: დაბადება – ზამთრის მზებუდობა (25 დეკემბერი), ჭაბუკობა – გაზაფხულის ბუნიობა (22 მარტი), შუა ხნის მამაკაცი წვერებით – ზაფხულის მზებუდობა (22 ივნისი), ხანში შესული მამაკაცი თეთრი წვერებით – შემოდგომის ბუნიობა (21 სექტემბერი) (Хоитл, 2004: 102).

ცოცხალი სამყაროს სასიცოცხლო პერიოდები ტრადიციულად მზის სეზონური პერიოდების ანალოგიურად იყო სტრუქტურირებული. მაგ-

ალითად, ადამიანთან მიმართებაში, მამაკაცზე: ბალლი (გაჩენიდან-15 ; ვაჟკაცი (15-30 წ.); შუახნისკაცი (30-50 წ.); ბერიკაცი (50 წ.-სიცოცხლის ბოლომდე); ქალზე: ბალლი (გაჩენიდან-13 წ-მდე, დედათა წესის მოსვლამდე); ქალი (13 წ.-გათხოვებამდე); დიაცი (გათხოვებიდან-დედათა წესის დაკარგვამდე); ბერდიაცი//ბერდედა (დედათა წესის დაკარგვიდან-სიცოცხლის ბოლომდე); საქონელთან მიმართებაში, ხარზე: ხბო (1-2 წ.); მოზვერი(2-3 წ.); ხარ-მოზვერი (3-5 წ.; ხარი (5 წ.-) და ა.შ.

თუშეთში აღმოჩენილი ქრ. წ.-მდე პერიოდის ვერძის ზოდიაქოს ბრინჯაოს დაფები მზიური მითოსის ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლევა. დაფაზე გამოსახულია ორი მთა, მათ შორის ამომავალი ვერძი და ზაფხულის და ზამთრის ორი მზე. დაფა მზიური მითოსის კოსმოგრაფიული გამოხატულებაა. დაფის ქვედა ნაწილი წყლის აღმნიშვნელი ტეხილებითაა შევსებული და ქვედა სამყაროს განასახიერებს. დაფის კომპოზიციური ლოგიკით ქვესკნელიდან ამომავალი ბუნების და სიცოცხლის ამაღორძინებელი მზე გაზაფხულის ბუნიობისას, ზოდიაქალურ ახალ წელს ზოდიაქალური ვერძის სახით ამოდის „ზის კარი“-დან (მზის კარი) სამ სამყაროში (ქვესკნელი-შუასკნელი-ზესკნელი) სამოგზაუროდ (სურ. 6-7) (ილოიძე, 2013).





სურ. 6

სურ. 7

ბრინჯაოს დაფაზე სამყაროს კოსმოგონიური სტრუქტურის დამ-
ფუძნებელი მზის მითოლოგემაა გადმოცემული.

ღვთის მსახურის ლოცვის ტექსტებში 3-ისა და 4-ის რიცხვობრივი
სიმბოლიკით დაფიქსირებული სამყაროს მოცულობითი განზომილება
თავის ახსნას პოულობს მზიურ კონცეფციაში. ღვთაებრივი სისრულის
გამომხატველ რიცხვობრივ სიმბოლო 7-ში დიადი მნათობი მზე „მორიგე
ღმერთის“, რიგისა და წესის უზენაესი „დამყენებელი“-ს მდებარეულ კო-
რელატად გვევლინება.

თქმულების თანახმად, როგორც ითქვა, მზის იპოსტას ფასკუნ-
ჯს ამირანი ქვესკნელიდან შუა სკნელში ამოჰყავს. თქმულებათა სხვა
ვერსიებში ამირანი მზისათვის გზის გამსხნელი და გამკვალავია,
ფასკუნჯს ეხმარება გველვეშაპთან ბრძოლაში და სამყაროს შესაქმეში.
ასე, რომ ამირანი მზიური კოსმოგონიური სტრუქტურის საკაცობრიო
აქტივატორია.

ღვთისშვილები მთიელთა წინაპრებს მფარველობენ და მათთან ერ-
თად მონაწილეობენ დევებთან ბრძოლასა და საყმობის ფორმირებაში.
ამის ანალოგიით, ამირანი ჩვენს მიერ იბერიულ-კოლხური კულტურ-
ისა და ცნობიერების მაფორმირებელი სტრუქტურის სამან-სამზღვარ-
თა და სამან-სამძღვართა მცველად და მარეგულირებელ არქეტიპად,
კულტურულ გმირად, მოიაზრება. ამიტომ, რომ საქართველოს ყველა
ისტორიულ-კულტურულ რეგიონს ამირანის თავისი გეოტოპური თუ
ფოლკლორული ვერსია აქვს.

Archetypal Trace of Chained Amirani n Traditional Culture of Tusheti

Summary

The present article presents Amirani – a pre-historic mythological personage of the Georgian culture – an analogue to chained-to-the rock Prometheus – in structural-anthropological context.

Archetype of Amirani in the Georgian culture is imbued with universal symbolism. His image is not only a subject of modern interpretations and imaginations, but for over centuries is also revealed to us as a hidden or obvious force, which feeds the nation’s collective spirit and forms culture.

Cultural hero of the Georgian mythos is structurally identified with a geotopical version of the Tushain „Amiraniani“ – „Mountain of Amirani“ and different fields of Tusheti traditional culture.

Amirani, chained to the rock, personifies forever-creating mankind chained to the dimension balancing the binary oppositional origins and being on the way of torture and search.

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:

- გათრი უ., ბერძენი ფილოსოფოსები, თბ., 1983.
ელანიძე ვ., „ვინამ თქვა თუშთა დაღევა“, თ., 2001.
ელიაძე მ., კოსმოსი და ისტორია, თ., 1987.
ელიაძე მ., მითის ასპექტები, თბ., 2009.
იდოიძე ნ., გვიან ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალები თუშეთის სოფელ ომალოდან, ეთნოლოგიური ძიებანი V, თბ., 2013.
იდოიძე ნ., თუშეთის მწყემსური კულტურის მაფორმირებელი მიოლოგემა, ეთნოლოგიური ძიებანი III, თბ., 2007.
კიკნაძე ზ., ქართული ხალხური ეპოსი, ამირანიანი, თბ., 2001.
მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1994.
შურე ე., დიადი ხელდასხმულნი, 2007.
შტაინერი რ., ვარდისა და ჯვრის საიდუმლო, თბ., 1994.
ჩიქოვანი მ., მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947.

ჩხეიძე რ., ამირანის თქმულება, თბ., 1991.

ჯავახიშვილ ივ., ქართველი ერის ისტორია, 1908.

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის მოკლე ისტორია, წიგნი 1, 1917.

მთხრობელი – ტატო ჯააძე, სოფ. ალისგორი.

მთხრობელი – თეკო ქითიძე, სოფ. ხახაბო.

მთხრობელი – ქეთო ჯამრულიძე, სოფ. ხისო.

მთხრობელი – გოგი სისაური, სოფ. ომალო.

Аверинцев С.С. Аналитическая психология` К.Г. Юнга и закономерности творческой фантазии. Вопросы литературы. 1970 N 3.

М. Хол, Энциклопедическое изложение масонской, герметической, каббалистической и розенкромцевской символической философии, М., 2004.

რელიგიური ტოლერანტობის ორმხრივობისათვის

ტოლერანტობა „მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა – ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილება“ (პოლიტიკური იდეოლოგიები, 2004: 432).

ქართული ეროვნული თვითმყოფადობის დანაწევრების მიზნით, წარსულშიც და დღესაც, გარედან მართული მთელი რიგი ძალები ცდილობენ საქართველოში ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ტოლერანტობის საბაზით დაუპირისპირონ არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები და რელიგიური სექტები, არამედ ისეთი ფუნდამენტალური სარწმუნოება, როგორცაა ისლამი. ისინი, ყველა ღონეს ხმარობენ, რათა რელიგიურ ნიადაგზე სარწმუნოებრივად განსხვავებულ ძირძველ ქართველ მოსახლეობაში, გაუცხოება და კონფლიქტი გამოიწვიონ.

საერთოდ, საქართველოში ე. წ. „რელიგიურ უმცირესობების“ უფლებების შეზღუდვისა თუ დარღვევის შესახებ, განზრახ ატეხილი აჟიოტაჟი არაჯანსაღ სახეს ღებულობს და ლამის პოლიტიკურ რანგში განიხილება. სხვა რეგიონებზე რომ არაფერი ვთქვათ, აღნიშნული ფაქტის საილუსტრაციოდ სამცხე-ჯავახეთის მთელ რიგ სოფლებში, ამ ბოლო წლებში, მომხდარი ფაქტებიც ნათლად მეტყველებს.

ასე მაგალითად: სოფელ ჭელაში, სადაც ორმოცამდე ქართული ოჯახი ცხოვრობს, სარწმუნოებრივად ნაწილი ქრისტიანი მართლმადიდებელი, ნაწილი კი ისლამის მიმდევარია (გასული საუკუნის 80-იან წლებში ხულოს რაიონიდან გადმოსული ეკომიგრანტები). რელიგიური მდგომარეობის დაძაბვის მიზნით, გარკვეულმა პიროვნებებმა, 2013 წლის შემოდგომით, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, რაღაცა მაქინაციებით, თურქეთიდან შემოიტანეს 24 მეტრი სიმაღლის რკინის კონსტრუქციის მინარეთი და ე. წ. „მეჩეთის“ (სინამდვილეში ვინმე ჩოგოძის კერძო სახლის) გვერდით სასწრაფოდ აღმართეს. ობიექტური მიზეზების გამო, მცირე ხანში მისი დემონტაჟი განხორციელდა, რამაც მუსლიმი მოსახლეობის ერთ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია. აქვე უნდა

აღინიშნოს ისიც, რომ ამ პროტესტანტთა შორის, მხოლოდ ამ სოფელის მუსლიმი მოსახლეობა არ იყო ჩართული.

მინარეთის დემონტაჟთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია დაიკავა არაერთმა ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციამ (მათ შორის საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედიის განვითარების ფონდი, მრავალეროვანი საქართველო, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი და ა. შ.). იმის ნაცვლად, რომ მათ კანონის ფარგლებში შეემონმებინათ და დაედგინათ თურქეთში, კერძოდ ფოსოვში, შეგროვებული ფულით ნაყიდი მინარეთი, წყლის მილის სახელით როგორ გამოვიდა საქართველოს საბაჟოზე, რის საფუძველზე და როგორ აღიმართა კონკრეტულად სოფელ ჭელაში, რამდენად კანონიერი იყო მისი მონტაჟი და სხვა, პირიქით, სიტუაციის დაძაბვას განგებ შეუწყვეს ხელი და პრესითა თუ ტელევიზიით ეს ფაქტი, რელიგიურ დისკრიმინაციად შეაფასეს.

ამ ფაქტის გამზვიადებლების რესპუბლიკური პატრიის ლიდერების განცხადებით: „პარტია თავს ვალდებულია მიიჩნევს გამოეხმაუროს მოვლენებს, რომლებიც განვითარდა ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟის შემდეგ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მინარეთის მიშენება მეჩეთზე მართლაც კანონდარღვევით და თვითნებურად მოხდა, რაზედაც სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი იყო რეაგირება. მაგრამ, როცა საქმე ეხება რელიგიას, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს საკითხის დელიკატურობა და ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ არ დაუშვას რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება. რელიგიური ტოლერანტობა უფრო მნიშვნელოვანია და უფრო დიდი საზოგადოებრივი სიკეთეა, ვიდრე, რომელიც გნებავთ უკანონო მშენებლობის დაუყოვნებლივ დემონტაჟი. ამიტომ, მსგავს შემთხვევაში სახელმწიფო ისეთი გადაწყვეტილების მიღებას უნდა ცდილობდეს, რომ არც მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები იყოს შეურაცხყოფილი და კანონის მოთხოვნაც აღსრულდეს.“

მინარეთის დემონტაჟის შემდეგ სიტუაცია განეიტრალდა და მოსახლეობაც დამშვიდდა. ხელისუფლების მესვეურებს იმის ნაცვლად, რომ სოფელ ჭელაში მინარეთის შემოტანისა და აღდგენის, თუ ბათუმში მეჩეთის მშენებლობის კანონიერების დადგენის მიზნით შეექმნა კომპე-

ტენტური კომისია და ამ საქმეზე ემსჯელათ, ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილისა და ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობის გვერდის ავლით, ოქტომბერში შეხვდა მუსლიმ სასულიერო პირებს და ეს მტკივნეული საკითხი ერთპიროვნულად, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

შეხვედრის შედეგმაც არ დააყოვნა. 2013 წლის 27 ნოემბერს, გვიან ღამით, ასეულობით პოლიციელის გაძლიერებული ესკორტისა და ზოგიერთი ლიბერალი პარლამენტარების (პაატა ზაქარეიშვილი, ძმები ბერძენიშვილები) ძალადობით, მინარეთის რკინის კონსტრუქცია კვლავ სოფელში დააბრუნეს და უკანონო ე. წ. მეჩეთის, ოფიციალურად გვერდით ზარ-ზეიმით აღმართეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიანი პროტესტი კი დარჩა „ხმა მღალადებელისა უდაბნოსა შინა.“

ამ პატარა სოფელში 24 მეტრი სიმაღლის მინარეთის აღმართვა, გაძლიერებული დინამიკებით, ვეჭვობთ მხოლოდ სოფელში მცხოვრები მუსლიმებისთვის იყო გათვლილი. მას სხვა, უფრო შორს გამიზნული, დატვირთვა გააჩნია. ამას გვაფიქრებინებს მინარეთის კანონიერ დემონტაჟთან დაკავშირებით ნაციონალებისაგან განებივრებული, საქართველოში „მოღვაწე“ ლიბანელი ბიზმესმენის, ფადი ასლის მუქარის ტონით გაკეთებული განცხადება: „ჩემს ძვირფას ქართველებს შევახსენებ, რომ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების უმრავლესობა ისლამური ქვეყნებიდანაა. ეს ქრონიკული ისლამოფობია უკუპროდუქტიულია. ქვეყანას ეს გაცილებით ძვირი დაუჯდება, ვიდრე ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაა.“ იგი, შეგნებულად თვალს ხუჭავს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში ათეულობით (გაეროს ოფიციალური მონაცემებით 240, საქართველოს ოფიციალური მონაცემებით კი 80) მუსლიმური სალოცავი მოქმედებს, თბილისში მართლმადიდებლური ეკლესიის გვერდით მდგარ მეჩეთში, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მუსლიმები მშვიდად ატარებენ თავიანთ რელიგიურ რიტუალებს. მაგრამ, იმის გამო, რომ სოფელ ქელაში უკანონოდ აღმართული მინარეთის კანონიერი დემონტაჟი განხორციელდა, აღშფოთებულნი ქართველებს ქრონიკულ ისლამოფობას წამებენ.

შექმნილი მდგომარეობა აჩვენებს, რომ მართლმადიდებელ და მუსლიმ ქართველ მოსახლეობას შორის, რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება მიზანმიმართულად ხდება და გარედან არის მართული. ამას გვაფიქრებინებს 2014 წლის 26 ოქტომბერს პოსტსკრიპტუმის გა-

დაცემაში, ჟურნალისტიკის საუბროსას სოფელ ქელის მუსლიმი მრევლის ერთ-ერთი წევრის განცხადება, რომ: „ეს დაპირისპირება გარედან იმართება“, საგულისხმოა, რომ ასეთი ტენდენციის არსებობას იზიარებს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

საინტერესოა ასევე, სხვა მუსლიმი სასულიერო პირების მიერ გაკეთებული განცხადებებიც. მათგან ზოგი აღიარებს უცხო ქვეყნების მხრიდან ქართველ მუსლიმებისათვის გარკვეული სახის რჩევების მიცემის მცდელობას, ნაწილი კი კატეგორიულად უარყოფს ამგვარ ფაქტს. ასე მაგალითად, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხი (შიიტი) ვაგიფ ალექვეროვის განცხადებით: „დღესდღეისობით უცხო ქვეყნის მუსლიმთა სასულიერო პირების მხრიდან არის მცდელობა ჩვენ, საქართველოს მუსლიმებს, ჩვენთვის გაურკვეველ შემთხვევაში მიუღებელი რჩევა-დარიგებები მოგვცენ. მიუხედავად ამისა, მე, როგორც სრულიად საქართველოს მუსლიმთა შეიხი, კატეგორიულად ვუარყოფ იმას, რომ დღეს საქართველო რომელიმე მუსლიმანური სახელმწიფოს, კერძოდ, თურქეთის ან ირანის მხრიდან ეკონომიკურ და რელიგიურ ექსპანსიას განიცდის“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 25. 10, 2013 წ.).

ნალკის მეჩეთის ცენტრის იმამის ნუგზარ კახაძის აზრით: „ისევე როგორც სხვა ქართველ მუსლიმანს, არ მიმაჩნია, რომ საქართველოში ხდება ისლამური ქვეყნების მხრიდან ეკონომიკურ-რელიგიური ექსპანსია. ... დღეს ჩვენ ქართველი მუსლიმანები, ფაქტობრივ დევნას განვიცდით, რისი მაგალითი კერძოდ, ადიგენის რაიონში ბოლო დროს მომხდარი ფაქტია, როცა მორწმუნე ქართველ მუსლიმანებს პოლიცია სასტიკად გაუსწორდა მეჩეთის მინარეთის დადგმის გამო“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 19.11, 2013 წელი).

ნუგზარ კახაძეს ამ განცხადებით საკუთარი მრევლი შეცდომაში შეჰყავს, განზრახ დაბავს სიტუაციას და მათ ქრისტიან მოსახლეობასთან დაპირისპირებისაკენ მოუწოდებს. ის არას ამბობს, იმის შესახებ, რომ მუსლიმმა ქართველებმა, საკმაო აგრესიულობა გამოიჩინეს სამართალდამცავთა მიმართ და პოლიციის კუთვნილი ავტომანქანებიც კი დაამტვრიეს. ზოგადად, საქართველოში მოღვაწე მუსულმებს არ სურთ დაინახონ ქართველთა ტოლერანტობა, არა მხოლოდ რელიგიური განხრით, არამედ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის თვალსაზრისითაც. არ სურთ იმის დანახვა, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ასე გულუხ-

ვად მისცა ათასობით თურქს საქართველოს მოქალაქეობა და ყოველ წვრილმანზე აქეთ ედავებიან ქართველობას. მხოლოდ ბათუმში, დღეისათვის უკვე ათეული ათასობით საქართველოს მოქალაქეობამიღებული თურქი ცხოვრობს, რომლებსაც მყარად დამკვიდრებისათვის თურქეთის ხელისუფლება მატერიალურად უხვად ეხმარება. როდესაც საქართველოში თურქი მოსახლეობის რაოდენობა კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს, სავარაუდოდ, მათი მხრიდან არც აგრესია იქნება გამორიცხული. რაც შეეხება ე. წ. „საქმიან ურთიერთობას“, ეს ურთიერთობა თურქეთის ინტერესებიდან გამომდინარე მხოლოდ ცალმხრივია და ზოგიერთი ჩვენი არაეროვნული ვაიბიზმესმენთა ხელშეწყობით მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში თურქეთის ეკონომიკური და რელიგიური ექსპანსიის გაძლიერებას უწყობს ხელს.

ყოველივე ამასთან ერთად, აშკარად შეინიშნება ენობრივი ექსპანსიაც. ამის დასტურია დღეისათვის არა მარტო დედაქალაქის ქუჩებში, არამედ რეგიონებშიც, განსაკუთრებით კი ცენტრალურ მაგისტრალურ სატრანსპორტო გზების გაყოლებით მეტისმეტად თვალში საცემი, მხოლოდ და მხოლოდ თურქულენოვანი რეკლამები და ნარწერები. ასეთ ვითარებას მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში, თვით თურქეთშიც კი, რომელსაც კეთილისმყოფელად აცხადებს ჩვენი ხელისუფლება, ვერ ნახავთ (თ. იველაშვილი, 2015: 128). ამ ბოლო დროს თურქულენოვანს არაბულენოვანი ნარწერებიც დაემატა.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, 2013 წლის ოქტომბრის გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთ“-ში დაიბეჭდა საკმაოდ საინტერესო წერილი, რომელშიც თურქეთში მცხოვრები მუსლიმი ქართველები ფეევზი ჩელები და ერდოგან შენოლი სოფელ ჭელაში მომხდარ ფაქტს საკმაოდ ობიექტურ შეფასებას აძლევენ. ფეევზი ჩელების განცხადებით: „ორი წლის წინ აქ მუსლიმანი ქართველების სახელით ჩამოვიდა რამდენიმე ქართველი და აქაურებს დახმარება გვთხოვეს მეჩეთის აშენებისა და ყურანის სწავლების ორგანიზებაში.... საუბარი იყო ქობულეთში მეჩეთის მშენებლობაზე.... არ მომეწონა ეს მოთხოვნა. თუ საჭიროა საქართველოში მეჩეთის აგება, ეს საქართველოს ფულით უნდა გაკეთდეს..., რამდენადაც ვიცი ადიგენის მინარეთის ფული ფოცხოვის მოლებმა შეაგროვეს. ... თურქეთშიც კი ვერავინ გააკეთებს მეჩეთსა თუ მინარეთს მთავრობის ოფიციალური ნებართვა თუ არ გაიცა, თანაც ამ პროცედურას დიდი დრო უნდა. ... რატომ შენდება ახლა აჭარაში, ზოგადად საქართველოში მაინც და მაინც ოსმალური სტილის მეჩეთები? რატომ არ

ცდილობენ ქართველი მუსლიმები რომ მეჩეთი თუ მინარეთი ააშენონ ქართული არქიტექტურით? აქ არის ძალღის თავი დამარხული. ... საქართველომ თავს არ უნდა მოიხვიოს არც თურქეთის გავლენა და არც ისლამის თურქული თუ ირანული ვარიანტი. რამდენი ქართველიც საქართველოშია, ამდენივე ვართ თურქეთში მუსლიმანი ქართველები. ... რამდენიმე აჭარელი ეკომიგრანტის პრობლემა იოლი მოსაგვარებელია, მთავარი საფიქრებელი ამ 4 000 000 ეთნიკური ქართველის გადარჩენაა. ჩვენ სრული ასიმილაცია გვემუქრება.... ჩვენ მუსლიმანი ქართველები არ უნდა დაგვკარგოს საქართველომ. ... ადიგენის მსგავსი პროვოკაციები ჩვენ გვაშორებს თქვენთან; ადიგენის მუსლიმები ვერ ხვდებიან, რომ მათი აგრესიული ქცევით ჩვენდამი ნდობაც დაეკარგებათ ქრისტიან ქართველებს. ეს კი ჩვენს ერთიანობას შეუშლის ხელს. ... რამდენადაც ვიცი ქართველ ხოჯებს ხელფასს აზერბაიჯანის მუსლიმანური ცენტრი უხდის; წიგნებს, სამოსსა და სხვა მატერიალური ფასეულობებისათვის ფული მუსლიმან ქართველებს თურქეთის სასულიერო ცენტრებიც აძლევენ; ჯამე, მედრესე და მინარეთიც არაქართული ფულით შენდება (რა თქმა უნდა ამ ქვეყნების ხელისუფალთა ფარული მხარდაჭერით – თ. ი.). ასეთ პირობებში ისლამის მიმდევრები ქართულ სახელმწიფოს მოემსახურებიან?“ მისი აზრით „აზერბაიჯანის, თურქეთისა თუ არაბეთის საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებზე ორიენტირებულნი ვერ იქნებიან. თურქეთში განათლების სისტემა ემსახურება თურქი ერის ჩამოყალიბებას.“ ერდოღან შენოლი დარწმუნებულია, რომ „სახელმწიფოს ნებართვის გარეშე მინარეთის აღმართვა და მისი დემონტაჟის შესახებ ხმაურის ატეხვაც პროვოკაციაა.“ მას საქართველოს ხელისუფლებასთან გარკვეული კითხვებიც გააჩნია: „უნდა ვკითხოთ საქართველოს ხელისუფლებას მუსლიმანების სახელით მოლაპარაკე ქართველები უცხოეთიდან რატომ იღებენ დიდ დაფინანსებას? საინტერესოა ისიც, რომ საქართველოში ყურადღებას არ აქცევენ საქართველოს გარედან დაფინანსებული სექტების ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. აზერბაიჯანმა „მწვანე არ აუნთო“ ზოგიერთ მუსლიმანურ სექტას, საქართველოში კი თავისუფლად არიან და უნივერსიტეტებიც კი გახსნეს. გარდა ამისა, საქართველოში ძალიან ბევრი თურქული სკოლაა, თურქეთში კი, ქართულ სკოლის, თუნდაც კერძო სკოლების გახსნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ... თურქეთში, კერძოდ ფოსოვში შეგროვებული ფულით ნაყიდი მინარეთი წყლის მილის სახელით როგორ გავიდა ქართულ საბაჟოზე? როგორ აღიმართა

ადიგენში? სად იყო ამ დროს ხელისუფლება?“ (გაზ. ლიტერატურული მესხეთი, 2013).

არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა, აქ არსებული ვითარების რეალურად შეფასების ნაცვლად, ამ სოფელებში მუსლიმებს თვლის რელიგიურ უმცირესობად და მათი სარწმუნოებრივ უფლებების დაცვაზე ამახვილებს ყურადღებას. რეალურად კი იქ უმცირესობას უკვე ქრისტიანი მართლმადიდებლები წარმოადგენენ. ეს ხელისუფლების მხრიდან საქართველოში მეტისმეტად მომრავლებული სხვადასხვა რელიგიური უმცირეობის და სექტების მიმართ კი არა, არამედ ტრადიციული ქართული მართლმადიდებლობისადმი დისკრიმინაციული პოლიტიკის უკიდურესად შემაშფოთებელ სიმპტომს წარმოადგენს.

თურქეთის კონსტიტუციით აკრძალულია სხვა რელიგიის პროპაგანდა და შესაბამისად მათი სალოცავების აგება. თურქეთის, არა მარტო სასულიერო, არამედ ოფიციალური ხელისუფლებაც ყოველ ღონეს ხმარობს ჩვენს ქვეყანაში პანისლამიზმის გასაძლიერებლად. საქართველოს მნიშვნელოვან და სასიცოცხლო ობიექტებს თურქი ე. წ. ბიზმესმენები განაგებენ, ყიდულობენ უძრავ ქონებას, მიწებს, ტყეებს და ა. შ. ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსთა თუ საჯარო მოხელეთა ფარული (თუ) ან აშკარა მხარდაჭერით თურქეთის საერო და სასულიერო მაღალჩინოსნების მხრიდან ქართველ მუსლიმების გადაბირების მიზნით მიმდინარეობს გაძლიერებული პროპაგანდა. ამ საქმისათვის საკმაოდ სოლიდურ თანხებსაც ხარჯავენ. ყოველივე ეს არც მეტი, არც ნაკლები ისლამისტთა მხრიდან აშკარა და ღია პროზელიტიზმია. ამ საკითხების ირგვლივ არასამთავრო ორგანიზაციების უმრავლესობას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მათი დიდი უმრავლესობა ქვეყნის გარეთ არსებული უცხო ძალების მიერ, ქართული მართლმადიდებლობის (შესაბამისად ქართული ეროვნული მენტალიტეტისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების) წინააღმდეგ ბრძოლისათვის არის შექმნილი და უხვად დაფინანსებული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყნის ერთიანობას განაპირობებს ძლიერი ეკონომიკური ბაზა და სახელმწიფოებრივი ხედვის ეროვნული იდეოლოგია. ეს ორი სფერო თუ არაა სათანადოდ ქმედითუნარიანი, მაშინ ასპარეზზე გამოდის მრავალსაუკუნოვანი (ქართულ სინამდვილეში ეროვნულობის რანგში აყვანილი) სარწმუნოება. დღეს საქართველოში, არც ძლიერი ეკონომიკური ბაზა და არც სახელმწიფოებრივი ხედვის

ეროვნული იდეოლოგია არ არსებობს, არის მხოლოდ მართლმადიდებლობა, როგორც ეროვნული ინტერესების დაცვის გარანტი, რომელიც ვერ ღებულობს სახელმწიფოსაგან სათანადო მხარდაჭერას.

შეიძლება ვინმე შემოგვედაოს სოფელ ჭელაში მინარეთის აღმართვის საკითხი უკვე დამთავრებული, ჩავლილი საქმეა და მასზე საუბარი აღარ ღირსო, მაგრამ საქმე ასე არ არის. მინარეთის აღმართვის პროცესის, ყოფილი პარლამენტარების მონაწილეობით წარმატებით დასრულების შემდეგ, ზოგიერთს „მადა გაენსა“ და ეკომიგრანტებით დასახლებულ სხვა სოფლებში „რესტავრაციისათვის მეჩეთის ნარჩენებს“ ეძებს და გვიმტკიცებს, რომ ის მისი წინაპრების სალოცავია. მაგრამ ფაქტია, რომ ამ სალოცავის ამშენებელი მუსლიმი მოსახლეობა (განურჩევლად ეროვნებისა), 1944 წლის ნოემბერ-დეკემბერში შუა აზიაში გაასახლეს.

აქედან გამომდინარე, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გადმოსული ეკომიგრანტებისათვის XX საუკუნის 30-იან წლებში (მაშინ როცა ქრისტიანული ეკლესიები მასიურად იკეტებოდა და ნადგურდებოდა) სახელდახელოდ აგებული ადიგენისა და აქა-იქ დღემდე შემორჩენილი მუსლიმური სალოცავის ნაგებობა, თუ მათი ნაშთები ამ ეკომიგრანტთა წინაპართა სალოცავი ვერ იქნება და ტყუილად ეპატრონებიან. უფლებადამცველნი ვალდებულნი არიან ჩაიხედონ ისტორიულ დოკუმენტებში, გაარკვიონ ვინ და რა რელიგიური მრწამსის მოსახლეობა ცხოვრობდა XVIII საუკუნიდან ამ რეგიონში, როდის ხდება თურქულენოვანი მუსლიმი მოსახლეობის მასიური შემოსვლა (გურჯისტანის ვილაეთის დავთარი, 1942), ქართულ მოსახლეობაში ისლამის მასიურად გავრცელების მიზეზები (აბულაძე, 1989) და მერე გვიკითხონ რელიგიურ ტოლერანტობაზე. მცირეოდენი გარჯა და წიგნში ჩახედვა საიმისოდ საჭირო, რომ გავარკვიოთ ერთი ელემენტარული ჭეშმარიტება: ცნობილ ეთნოლოგსა და სიძველეთმცოდნეს გ. ბოჭორიძეს (სამცხე-ჯავახეთში 1932-1933 წლებში იმოგზაურა) აღნიშნულ სოფლებში მუსლიმური სალოცავები დაფიქსირებული არ აქვს. მას მხოლოდ რამდენიმე მედრესე აქვს მითითებული (გ. ბოჭორიძე, 1992). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სალოცავების მასიურად მშენებლობა სამცხე-ჯავახეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდში (1922-1936 წ.) დაიწყო და ისიც დანგრეული ქრისტიანული სალოცავების მასალების გამოყენებით. ამ ფაქტს ადასტურებს ბოჭორიძის აღწერილობანი. მაგალითად: 1) სოფელ ინდუსაში

„სოფლის თავზე არის ეკლესიის ნანგრევი....ეკლესიის ქვები ნაწილობრივ ადგილობრივ სოფელში მიზგითს აქვს შეხამებული, ნაწილობრივ სხვის სახლებს. მიზგითის ახლოს, ანუ მიზგითსა და წყაროს შუა, გზაზე დევს ემბაზის ქვა, ზევიდან ამოღრმავებული, წინ ჯვრის გამოსახულებით“ (გ. ბოჭორიძე, 1992: 17).

2) სოფელ ბოლაჯურში „მიზგითი აუგიათ 40 წლის წინათ. მასალა ახალ მიზგითისათვის ადგილობრივი დიდი ეკლესიისან მოუტანიათ... მისგითს ჰქონია ახალციხის ფაშის „ბარათი,“ ის დაუკარგავთ; მასში ეწერაო, რომ ბევრ დიდ სოფელს, რომელთაც მისგითი არ ჰქონდათ, აქ უნდა ელოცათ. დაუქცევიათ ამ 24 წლის წინათ და მის ადგილას ჯამე აუშენებიათ (ეკლესიის მასალა ჯამესათვის შეუხამებიათ, გ. ბოჭორიძე, 1992: 127).

3) ხეროს მისგითი ძველი შენობაა. აუშენებიათ სოფლის ზევით მდგომი და სოფლის ქვემოთ ნანგრევი ეკლესიების მასალით. (გ. ბოჭორიძე, 1992: 128).

4) ჭეჭლას მისგითის ქვედა სართულის კედლებს უდევს ბევრი თლილი ქვა, რომლებიც ადგილობრივი ეკლესიისაა. (გ. ბოჭორიძე, 1992: 138).

5) ზედაუბნის მისგითი ყველაზე ძველია ამ მხარეში. (გ. ბოჭორიძე, 1992: 138).

6) ზაზალოში, ადგილობრივი მისგითი აშენებულია ძველი ეკლესიის საძირკველზე ეკლესიის თლილი ქვისაგან. მისგითის აღმოსავლეთ კედელს დატანებული აქვს წარწერიანი ქვის ნატეხი ასომთავრული, მრგვლოვანი წარწერით (გ. ბოჭორიძე, 1992: 131).

7) ნიალის ჯამეს კარს (ჩრდილოეთით) აქვს ძველი ეკლესიიდან გადმოტანილი ქვები... ეკლესიის გარეთა პირის მასალა სულ ჯამესათვის შეუხამებიათ. (გ. ბოჭორიძე, 1992: 207).

როგორც ვხედავთ, ბოჭორიძეს იმ პერიოდში, როცა მეჩეთების მასიური მშენებლობა მიმდინარეობდა სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ, რამდენიმე მუსლიმური სალოცავი აქვს დაფიქსირებული. სოფელ მოხეში კი მხოლოდ ეკლესიის ნანგრევს აფიქსირებს (გ. ბოჭორიძე, 1992: 87). ისეთ მრავალრელიგიურ ქვეყანაში როგორც საქართველოა, ტოლერანტობა ორმხრივი უნდა იყოს და არა ცალმხრივი, რადგან სხვა შემთხვევაში ამ ცნებას სიცოცხლე არ უწერია. დღეს, არა მხოლოდ მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტიები, არამედ ხელისუფლებაში მოკალათებული ზოგიერთი არასახელმწიფოე-

ბრივად მოაზროვნე პოლიტიკური ფიგურა, მოსახლეობას „რელიგიური ტოლერანტობის საუკუნოვან ტრადიციებით“ ამუნათებენ, მაგრამ მათი „სახელმწიფო სტრუქტურების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სრულიადაც არ არის ტოლერანტული. პირიქით, ამგვარი გადაწყვეტილებებით მკვიდრი მართლმადიდებელი და არა მხოლოდ მართლმადიდებელი, არამედ, აქ მცხოვრები ყველა ქრისტიანის რელიგიურ გრძნობებს იგნორირებას უკეთებენ.

სამცხე-ჯავახეთში და, საერთოდ საქართველოში, მინარეთ-მეჩეთზე მოტირალ ყველა ევროპულ მრჩეველს, ადგილობრივ სამთავრობო პოლიტიკურ პარტიასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციას შევხვსენებთ რომ, თუ მართლმადიდებლებს არ აქვთ უფლება უკანონოდ, სათანადო ნებართვის გარეშე ეკლესია ააგონ ან რესტავრაცია ჩაუტარონ, მუსლიმებს რატომ უნდა ჰქონდეთ მეჩეთის ან მინარეთის აგების უფლება? გარდა ამისა, როდესაც ფერის მთაზე სააკაშვილის ხელისუფლებამ მშენებლობის ნებართვის არქონის გამო მშენებარე სამონასტრო კომპლექსი ტრაქტორებით გადათხარა და დაანგრია, ამას რატომ არ მოყვა შესაბამისი რეაქცია?

რელიგიური შემწყნარებლობა ორმხრივი უნდა იყოს, თუ გვინდა რომ მან დადებითი შედეგი მოგვცეს. დღეს საქრთველოში მცხოვრები რელიგიური კონფესიები და სექტები, თუ ე. წ. უფლებადამცველები, მხოლოდ ქართველი ხალხისაგან და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან ითხოვენ ტოლერანტობას, თვითონ კი შემტევ, ძალიან ხშირად, აგრესიულ პოლიტიკას ატარებენ მათ მიმართ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, თუნდაც ამ ბოლო დროს კუმურდოში მომხდარი ფაქტების დასახელებაც საკმარისია, რომლის დროსაც არასამთავრობოებმა არაფერი მოიმოქმედეს. ყოველი რელიგიური კონფესია, ის თუ მართლაც რელიგიურია, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ზენოლისაგან და საზოგადოების ყველა წევრის (განურჩევლად რელიგიური მრწამსისა) მშვიდობიანი თანაცხოვრების მიზანს უნდა ემსახურებოდეს. მრავალრელიგიურობა – ეს საქართველოს სიმდიდრეა, მაგრამ რელიგიურ კონფესიათა წარმომადგენლებმა თავი უნდა დაანებონ ისეთი განცხადებების გაკეთებას, რომელიც რელიგიური ტოლერანტობის იდეას საფრთხის ქვეშ დააყენებს. რელიგიების ნორმალური და მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

Religious Tolerance Should Be Bilateral

Resume

Religious tolerance is one of the most important issues for the democratic development of the country. "Tolerantism is the freedom of diversity". It is a human chance to recognize and respect the beliefs and values of other people. It is not only a moral value but a political and legal requirement that can be considered as a discrimination on religious grounds. There is often just one step from tolerance to discrimination. Citizens of a state where there is a religious diversity often appear on the verge of taking this step.

Representatives of different religious beliefs lived peacefully for centuries in Georgia and are still living in the same way. Therefore, their religious tolerance should be bilateral and not unilateral.

Today, not only a number of non-governmental organizations and political parties, but some „non-state-minded“ political figures in the government offer the population „centuries-old tradition of religious tolerance“ but the decision made by their “state structures“ is not totally tolerant. On the contrary, such decisions ignore the religious sentiments of the Orthodox and not only the Orthodox, but all the Christians who live there. The question is: Don't they feel it or do they behave like that on purpose?

Tolerance is not just religious, it is a fundamental base of the state at the same time. Religious tolerance should be bilateral if we want it to give us a positive result. In connection with the incident in the village Chela above mentioned organizations and parties demand tolerance only from Christians, but they don't say that the other religious beliefs should be tolerant to traditional Orthodoxy in our country as well. Today religious confessions in Georgia demand tolerance only from the Georgian people and the Georgian Orthodox Church when they themselves are often aggressive towards them.

Multi-religiousness is Georgia's wealth. But if we want the interrelative peaceful coexistence, the other confessions should take care of it in our country together with us. Some of the clerical leaders must abstain from

the absurd statements and demands that have sent to state structures in recent years and should be treated not for religious confrontation but for peaceful coexistence with various religious parishioners. There are no other alternatives.

To illustrate this fact it is enough to give the examples of the events that happened in Kumurdo in recent days and also in Chela, Mokhe, Moghnisi and Akhaltsikhe Rabati.

We give a question to human rights defenders and NGO representatives: Which leader of other religious confession openly publicized and condemned this aggressive or vandal act and called upon his parish to be tolerant? Of course, everybody was silent and preferred not to say anything. Moreover, maybe some of the leaders themselves called upon the parish to this aggressive act. Their silence and also the act of blaming only state structures by NGOs make us think so. Due to the above mentioned, no matter how much we should write today about tolerance in Georgia, it is incomplete and unjustifiable to reveal tolerance only from Orthodox Christians. Consequently, unilateral tolerance, especially the religion, is impossible, because it is lifeless and has no future.

დამონმებული ლიტერატურა:

- გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თბ., 1942.
- აბულაძე ც. ქრისტიანთა გამაჰმადიანების ოსმალური წესი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 28. 06. 1989.
- ბოჭორიძე გ. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.
- იველაშვილი თ. ადიგენის რაიონში მიმდინარე რელიგიური პროცესების პოლიტიკური არსი, ჟურნ. „კვალი“, 1-2, თბ., 2015.
- იველაშვილი თ. ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის, კრებ. „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“, მასალები, თბ., 2016.
- პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი, თბ., 2004.
- ფეიზ ჩელეები, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, ოქტომბერი, 2013.
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 25. 10, 2013.
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13. 11, 2013.

საფეიქრო საქმისწარმოების ტრადიციის შესწავლისათვის საქართველოში

(ტექნიკა, მასალა)

არქეოლოგიური განათხარი მასალა და კერძოდ, ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი ენეოლითის პერიოდის კვირისთავები, ძვლის ნემსები, გრეხილი და შეღებილი სელის ბოჭკოები საქართველოში საფეიქრო საქმის დიდი ხნის ტრადიციის დამადასტურებელი ნივთიერი არტეფაქტებია (Kvavadze, 2009).

საქართველოში ფეიქრობის განვითარების შესახებ ძველ ბერძენ ისტორიკოს-მოგზაურთა ჩანაწერებშიცაა მოხსენიებული. მათი აღნიშვნით, ქართველები კარგი ხარისხის სელის ქსოვილს ამზადებდნენ (გეორგიკა, 1936).

შემდგომი საუკუნეების ქართულ-უცხოური საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველებს სელის გარდა სცოდნიათ კარგი ხარისხის შალის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილის მიღება. კარგად განვითარებულ საფეიქრო მრეწველობაზე ქართულ ლექსიკოგრაფიაში შემორჩენილი ტერმინებიც მეტყველებენ. მაგალითად, მეაბრეშუმეობის ძველი შესატყვისია - ჭიჭნაუხტის საქმე, ორნამენტის აღმოსავლურ-ქართული (ხალხური) შესატყვისია ნაჭრელა, ჭრელა და ა.შ.

კარგად განვითარებული საფეიქრო საქმის წარმოებაზე თვალნათლივ მეტყველებენ რელიეფები და კედლის მხატვრობა, მაგალითად, როგორცაა - VI საუკუნის მცხეთის ჯვარი ქართლში, XII საუკუნის ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესია სვანეთში, გვიანდელი შუა საუკუნეების ბუგეულის ეკლესია რაჭაში, მარტვილისა - სამეგრელოში. ამ, და სხვა ტაძართა „ხალხური“ მოხატულობანი და დღემდე მოღწეული, XVIII-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული ნივთიერი მასალა.

ქართულ საერო კოსტიუმს ამკობდნენ ხელითა და მანქანური წესით შესრულებული ნაქარგობით, თვალ-მარგალიტით, მძივ-ბისერებით, კილიტებით, ვერცხლისა და უბრალო ლითონის სამკაულებით, მონეტებით, ლილებით, აპლიკაციებითა და ნაფთულებით. კოსტიუმში შემავალ ელემენტთა შორის ხშირია ყაისნალითა და ჩხირით ნაქსოვი თავსაბურავ-ფეხსამოსი, თექის ქუდები და ნაბლები, ფირფიტებით

ნაქსოვი ჩახსაკრავები და სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის ზონარ-არშიები.

სამოსის შესამკობლად გამოყენებულ საშუალებათა შორის ხშირია ოქრომკედისა და ვერცხლმკედის ხელნაკეთი ქარგულობები, რასაც ფერადი აბრეშუმის დაფებით ხელნაქარგი ნივთები მოჰყვება. ნაკლებადაა წარმოდგენილი მანქანური წესით შესრულებული ქარგვა და აპლიკაცია.

ოქრომკედით, ვერცხლმკედითა და აბრეშუმის დაფებით ხელით ქარგვისას, ძირითადად გამოყენებულია „ნამაგრი“, „რელიეფური“, „გვირისტულა“ და „ყაისნალური“ სითვი, რომელშიც მეტ-ნაკლები სიხშირით ამაგრებდნენ თვალ-მარგალიტებს, კილიტებსა და მოგვიანებით (XIX საუკუნის II ნახევარი) მძივ-ბისერებს. ამგვარად ამკობდნენ ქართული კაბის სარტყელ-გულისპირებს, ყურთმაჯებს, თავსაკრავებს, შეიდიშებს, ყაბალახებს, ფაფანაკებს, ქალის ქუდეებს, ელეგებს, მოსასხამებსა და წინსაფრებს. ხელოვნების ამ ნიმუშებს თითქმის მთელს საქართველოში - ქართლ-კახეთში, ხევში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელო-გურიაში, ნაკლებად აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმში (ზემო რაჭის ორი სოფლის - ლებისა და ჭიორის გარდა) ატარებდნენ.

ოქრომკედით, ვერცხლმკედითა და ფერადი აბრეშუმის დაფებით ხელნაქარგი ქართული ნივთები განთქმული იყო მახლობელ აღმოსავლეთში და საკმაოდ ძვირად ფასობდა (მსუხი, 1982), განსაკუთრებით მოსწონდათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილი ნაქარგი პროდუქცია (კახიძე, 1983).

საგანგებოდ აღსანიშნავია ქართულ თავსაბურავთა შემკობის ტრადიცია. გამოვყოფდით ლეჩაქის დაბასმვას და თავსაბურავ-მოსასხამების ორნამენტირებას თავისივე ფერის აბრეშუმის დაფით.

ლეჩაქის დაბასმვა ქართველი ქალების ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობა იყო. ქარგაზე გადაჭიმულ ლეჩაქზე მქარგავს წყალში გახსნილ ბასმაში დასველებული ქინძისთავით წინასწარ შერჩეული და ლეჩაქზე გადატანილი სახეები გამოჰყავდა. განთქმული ყოფილა თელავის დაბასმული ლეჩაქები (გვათუა, 1967).

საინტერესო და არანაკლებ საყურადღებოა დიდი ზომის თავსაბურავ-მოსასხამების აბრეშუმის დაფით მოქარგვა, რომელსაც ბოლოზე აბრეშუმისვე გრძელი ფორი ჰქონდა შემოყოლებული. აბრეშუმის თავსაბურავ-მოსასხამები XX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება ქართულ ჩაცმულობაში, რადგან ჩვენამდე მოღწეული ექსპონატები მხოლოდ ფაბრიკული ქსოვილისგანაა ნაკერი.

ხელით ქარგვის ერთ-ერთი უძველესი ტექნიკაა „ჯვრული“. მას ძირითადად უძველეს, ე.წ. „კერპული“, ხევსურული სამოსისა (სურ. 1, 2) და საყოფაცხოვრებო ნივთების შესამკობად იყენებდნენ. ჯვრულ ნაქარგობას XIX საუკუნის II ნახევრამდე ხევსურები ოჯახში ბამბისგან საგანგებოდ დამზადებულ საქარგავ ქსოვილზე – „შილაზე“ ქმნიდნენ, რომელიც ნაჭრელას სისქესა და მდგრადობას აძლევდა (ბარდაველიძე, ჩიტაია, 1939). მოგვიანებით მას ფაბრიკული „კანვა“ ჩაენაცვლა. ჯვრული ტექნიკით შესრულებული ნაქარგობით ალამაზებდნენ ხევსურულ ტალავარს, ხალჩურ ნანარმსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს. მასალად გამოიყენებდნენ ბამბის ან აბრეშუმის ფაბრიკულ და შინნამზად ფერად ძაფებს, რომლის შერჩევა მქარგველის გემოვნებასა და ოჯახის მატერიალურ შეძლებაზე იყო დამოკიდებული.

საკითხის შესწავლას შემკულობის ხშირი გამოყენების თვალსაზრისით თუ მიყვებით, ოქრომკედ-ვერცხლმკედისა და ფერადი აბრეშუმის ძაფებით ნაქარგობის შემდეგ მძივ-ბისერების ტექნიკით შემკობილი სამოსი უნდა მიმოვიხილოთ.

ხევსურები **ნაჭრელას** მეტი მომხიბვლელობისა და ლაზათისთვის მძივ-ბისერებით ალამაზებდნენ. ეს იყო სხვადასხვა ფორმის, ზომის, ხარისხისა და ფერის მძივები. მათი შერჩევა ნაქარგობასთან შესამებით ხდებოდა. სამოსი, რომლის მრავალფერი და მრავალკუთხოვანი გეომეტრიულ ფიგურათა დეკორი იმკობოდა მძივ-ბისერებით, ლითონის სამკაულით, მონეტებით, ნაფთულებით, ზიკებით, კუთხაითა და შიბებით, არასდროს გასცდენია ტრადიციულ მოდელს.

მძივ-ბისერებით ხევსურული კოსტიუმის ინტენსიურად შემკობა XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო. ეს პერიოდი ემთხვევა ძველი ხევსურული სამოსის ახლით შეცვლას - ოჯახში დამზადებული ტოლის მაგივრად ფაბრიკული ბამბა გამოიყენეს. სადიაცო-ქოქლო-ფაფანაგისგან შემდგარ კოსტიუმს კი რუსული ტერმინოლოგიით აღნიშნული ჩაცმულობის ელემენტები - ზედატანი – „ტუჟურკა“, უმკალო ელეგი – „ჟილეტკა“, ქათიბი და წინსაფარი ჩაენაცვლა. ახალმა, „მოდურმა“ კოსტიუმმა გავრცელების ფართო არეალი მოიცვა - მთიულეთი, ფშავი და კახეთის ნაწილი (ოჩიაური, 1953).

სამოსს მძივ-ბისერებით ინგილოებიც ამკობდნენ. აზერბაიჯანელებთან თანაცხოვრების გამო ტანსაცმელმა ქართული სახე თითქმის დაკარგა, მაგრამ მათ შეძლეს და ჩაცმულობაში ქართული ელემენტები შემოინახეს. კერძოდ, ოვალური ყოში და აღმოსავლეთ საქართველოს

მთისთვის დამახასიათებელი წინსაფრის ტიპი (სურ. 3). სწორედ სამოსის ამ ელემენტთა კიდევს ამკობდნენ ინგილოები ხაზოვნად მძივბისერებითა და მილისებრი მოყვანილობის ლითონის სამკაულით.

ინგილოების მიერ, ტანსაცმელის მძივებით ხაზოვნად შემკობის ტრადიციაა გამოყენებულია ზემო რაჭველი ქალის ჩაცმულობაში – მძივის ერთი აცმითაა შემკული საგულე-ახალუხი და ცრუსახელოიანი კაფთარა.

ქართველი ქალები კარგად ფლობდნენ *მძივური ქსოვის* ხელოვნებასაც, ქსოვდნენ შუბლსაკრავებს, მცირე და დიდი ზომის ქისებსა და ხელჩანთებს, ასევე კალმისტრისა და ყალიონის ბუდეებს. მძივურად ნაქსოვი ნივთების არც თუ პატარა კოლექცია სიმონ ჯანაშიასა და შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს მუზეუმების ფონდებშია დაცული.

მძივ-ბისერების გვერდით, სასურველია კილიტების მიმოხილვაც. კილიტებით უმეტესწილად გაფორმებულია ოქრომკედ-ვერცხმკედითა და ფერადი აბრეშუმის ძაფით ხელნაქარგი ნივთები – თავსაკრავები, შეიდიშები, ელეგები, სარტყელ-გულისპირები და სხვა. კილიტებით თავსაბურავების უხვად შემკობა მიღებული იყო ზემოაჭარელთა ჩაცმულობაში. ბლონდისა და აბრეშუმის თხელ თავსაფრებზე კილიტებით გამოჰყავდათ სხვადასხვა გეომეტრიული და მცენარეული სახეები.

იცოდნენ ასევე სამოსის *სამკაულით* გალამაზება. სამკაულის ტანსაცმელზე დეკორად გამოყენება საქართველოში შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. საამისო ნივთმტკიცებულება მრავლადაა დაცული საქართველოს მუზეუმებში და განეკუთვნება ძვ.წ. IV-III და შემდეგ ათასწლეულებს (ლორთქიფანიძე, 2016).

სამკაულს ამ შემთხვევაში განვიხილავთ როგორც სამოსის შემადგენელ ნაწილს და არა ცალკეულ სამშვენისს. სამოსზე სამკაულის დამაგრების ტრადიცია ბოლო დრომდე შემორჩა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მცხოვრებ ხევსურებს, მთიულებს, თუშებსა და მოხევეებს, ბარში – ინგილოებს, ხოლო დასავლეთ საქართველოს ბარში აფხაზებს, მთაში კი სვანებს.

მოხევეები, თუშები, სვანები და აფხაზები სამოსის შესამკობად ძირითადად ლითონის სამკაულებს იყენებდნენ. ერთ-ერთი ასეთია – ჩაფრასტები. ჩაფრასტის გავრცელებული ფორმა გრძელი ან ოვალურია, შემკულია სევადით ან ინკრუსტრაციით, ან ორივეთი ერთად. ზოგიერთი ჩაფრასტი თვლებიანია. ჩაფრასტებს ამზადებდნენ სვანეთ-

ში, რომელთაც ჩრდილოეთ კავკასიურისგან განსხვავებული მანის, ფოთლის ფორმა აქვს და უმეტესად სევადიანი ვერცხლისაა. ასევე ატარებდნენ ჩრდილოეთკავკასიურ ჩაფრასტებსაც.

ხევსურები, თუშები და მთიულები სამოსს სხვადასხვა ფორმისა და მასალის ლითონის სამკაულებითაც ალამაზებდნენ. ეს იყო ძენკვებზე დამაგრებული მონეტები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის პატარა ფიგურები, ის რაც სახლში მოეპოვებოდათ. ძალზე საინტერესოა, თუშების მიერ სამოსის შესამკობელი სამკაულის სახელწოდებანი, როგორიცაა: ყელმოხვეულაცი, რომელსაც აკერებდნენ საყელოზე და ხმას გამოსცემდა; ყელსახებაცი, ანუ საყელოზე მოსაკერებელი ძაფის გრეხილი, ფინჟილოი – სხვადასხვა ფორმის ლითონის სამკაულის ნაწილი და ა.შ. (ბოჭორიძე, 1993).

სამკაულთ სამოსის შემკობა, როგორც უკვე ითქვა, ინგილოური ტანსაცმლისთვისაცაა დამახასიათებელი. იცოდნენ ასევე ტანსაცმლის **მონეტებით შემკობაც**. დიდი რაოდენობის მონეტები სჭირდებოდა თავსაბურავ ფესი-თეფელულის შემკობას.

მონეტებით ხევსურებიც ამკობდნენ პერანგისა და სადიაცოს ფარაგებს, ჩოხის კალთებსა და სათაურას. მონეტები ამ შემთხვევაში როგორც არაეკონომიკური ფული, ისეა გააზრებული. ხევსურებისთვის მონეტები სამკაულთან ჩანს გაიგივებული, ფულებს ცალ მხარეს ხვრეტდნენ და საგანგებოდ დამზადებული სამაგრი თამაგრებდნენ ტანსაცმელზე.

ქართული კოსტიუმის ისტორიაში ასევე დიდი ხნის ტრადიცია აქვს სამოსის ღილებით შემკობას. ძვირფასი ღილების საჩუქრად მირთმევა და მზითვეში გატანება დიდ პატივად და მიღებულ წესად ითვლებოდა ჯერ კიდევ გვიანდელ შუა საუკუნეებში (შარდენი, 1935; ბარათაშვილი, 1950; არჩილი, 1999).

ღილებით სამოსის შემკობა პოპულარული და მიღებულია განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. უმეტესად კი ხევსურეთში. ხევსურები ღილებით ამკობდნენ მამაკაცის პერანგსა და ჩოხას, სადიაცოსა და ქათიბს, ქუდსა და მანდილ-სათაურას. ღილებით შემკულ სამოსთა შორის საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ხევსური ქალის საქორწილო წამოსასხამი (სურ. 4).

ფშავში, მთიულეთში, თუშეთსა და ხევსურეთში გავრცელებული იყო სამოსის შემკობის კიდევ ერთი ტრადიცია – მანქანური გვირისტულა, რომლის დასაბამი XIX საუკუნის II ნახევრიდან დადასტურდა.

ეს დაახლოებით ის პერიოდია, როცა საკერავი მანქანა შედარებით ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობისთვის. ბამბის ერთფერი ან ფერადი ძაფების გამოყენებით, ტანსაცმელზე მანქანური გვირისტი გამოჰყავდათ ძველებურ, ტრადიციულ ორნამენტებს მიმსგავსებული გეომეტრიული ფიგურები. გვირისტულათი ამკობდნენ ჩოხა-ახალუხის კალთებს, საყელო-გულისპირებს, ქალის ზედატანებს, წინსაფრებსა და თავსაფრებს (სურ. 5, 6).

ქართული სამოსის ერთ-ერთ ძირითად სამშენის წარმოადგენს სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ზონრები, მათი სახელწოდებები სიგრძე-სიგანის, ქსოვის ტექნიკისა და რეგიონული კუთვნილების მიხედვითაა განსაზღვრული. ზოგადქართული ჩაფარიში და ბუზმენტი ყაითანთან, სირმასა და ხევსურულ შიბასთან შედარებით განიერია და ხასხასა ოქროსფერი. იშვიათად, მაგრამ გამოიყენებოდა ვერცხლისფერი ზონრებიც. ჩამოთვლილ შესამკობლებს პრაქტიკული და დეკორატიული დანიშნულებით ამაგრებდნენ სამოსზე. პრაქტიკულად ყაითანი სამოსს სიმაგრისათვის უკეთდებოდა, მას ნაკერებს შორის ატანდნენ, რათა ქსოვილი რღვევისგან დაეცვა, ხოლო ჩაფარიშის ძირითადი ფუნქცია დეკორატიული დანიშნულება იყო, თუმცა იგი, ბუნებრივია, ნაკერსაც ამაგრებდა.

განიერი ოქროსფერი ჩაფარიშითაა შემკული თბილისელი ყარაჩოხელის, სავარაუდოდ უსტაბაშის ჩოხა (სურ. 7), რომელიც სამოსს სადღესასწაულო იერს აძლევს. წვრილი ბუზმეტებით იმკობოდა ქართული სამოსის თითქმის ყველა ელემენტი, მათ შორის იშვიათად, მაგრამ მაინც, ვხვდებით ოქროსფერბუზმენტიან, კლასიკური ჩოხის მიხედვით შექმნილ ხევსურულ ჩოხებსა და სამოსის სხვა ელემენტებს.

იცოდნენ ასევე **ფირფიტებით ქსოვა**. ფირფიტაზე ქსოვდნენ სხვადასხვა ზომის ჩაფარიშებს, არშიებს, ზონრებს, ჩახსაკრავებს და სხვ. მასალად უმეტესწილად აბრეშუმის ძაფს იყენებდნენ.

ცაკლე განხილვას იმსახურებს ხევსურული შიბა და დაშიბვის წესით სამოსის გალამაზების ტრადიცია. შიბა სამი სახისაა: 1. „ჩოხის შიბაი“; 2. „ორმაგ-შიბაი“, რომელიც ჩოხის ორმაგ შიბას ეწოდება; 3. „ტომრის შიბაი“ ნაკლებ ხარისხიანია, კეთდება ისე, რომ ამობურცული და მსხვილი გამოდის: ჩოხის შიბა კი ბრტყელია (ბარდაველიძე ვ. ჩიტაია, გ. 1939). შიბას უფრო მეტად დეკორატიული თვალსაზრისით გამოიყენებდნენ. დაშიბული სამოსი გამორჩეულად ლამაზია, დაშიბვა ხდებოდა ერთფერი ან რამდენიმე ფერის შიბისგან. ამ წესით ალამაზე-

ბდნენ ტანსაცმელს, თავსაბურავს, ფეხსაცმელს და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვა სახეობის ნივთს.

რაც შეეხება აპლიკაციის წესით ტანსაცმლის შემკობის უძველეს ტრადიციას, რომელსაც ხევისურები **დანაფთულებას** ეძახდნენ, ნაფთულები იჭრებოდა სხვადასხვა ფორმასა და ზომაზე ბამბის ქსოვილისგან და იდებოდა სამოსის მაჯებსა და კიდეებზე, რითიც ერთგვარად იმკობოდა ტალავარი.

ქართულ კოსტიუმში ნაკერი ელემენტების გარდა, ხშირია **ყაისნალითა და ჩხირით** ნაქსოვი ნივთები. ყაისნალით ქსოვდნენ თავშლებს, სამოსის არშიებსა და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს.

ქსოვას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. მისი ერთ-ერთი სახეობაა **წინდური ქსოვა**. წინდურით მთელ საქართველოში ქსოვდნენ ფეხსამოსებს, შიგა სამოსებს, ზედატანებს, ქუდეებსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს

აღნიშნული ტექნოლოგიით საქართველოში იქსოვებოდა მაღალი და დაბალყელიანი წინდები, პაჭიჭები, წვივსაკრავები და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დამოწმებულია ასევე ნაქსოვი ფეხსაცმელები - თუშური ჩითა და ხევისურული თათი.

მასალად ძირითადად გამოიყენებდნენ მატყლს, ვხვდებით ბამბისა და აბრეშუმის ძაფისგან ნაქსოვ წინდებსაც.

აბრეშუმის ძაფისგან ნაქსოვი წინდები ყოფაში, ხელთ არსებული მასალის მიხედვით, გვიანდელი შუა საუკუნეებიდან (XVII-XVIII სს.) დასტურდება. მას მეტწილად საგარეოდ იცვამდა დაწინაურებული ფენა ჩვეულებრივ, მასზე გეომეტრიულ ფიგურებთან ერთად ფრინველებსაც გამოსახავდნენ. ეს შესაძლოა, ირანული ზეგავლენის შედეგი ყოფილიყო, ვინაიდან სწორედ მათი ტრადიციის მიხედვით ხდებოდა ჯორაბების აბრეშუმის ძაფით ქსოვა და მასზე ფრინველის სახეების გამოყვანა. ვხვდებით ასევე ერთი ფერის აბრეშუმის წინდებსაც.

ბამბის ძაფისგან ნაქსოვი წინდები იშვიათია და უფრო დასავლეთ საქართველოში, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა სამოსში გვხვდება. წინდებს, როგორც აღინიშნა, ძირითადად მატყლისგან დართული ძაფით ქსოვდნენ და გამოჰყავდათ ურთულესი გეომეტრიული სახეები.

წინდებისაგან განსხვავებით, ფეხსაცმელი მატყლის ნართისგან იქსოვებოდა და ძირს დანული ბანრისას უკეთებდნენ, ძირზე კი მეტი გამძლეობისთვის ტყავს აკრავდნენ.

ყველა რეგიონს თავისი დამახასიათებელი ორნამენტი ჰქონდა, რომელიც ძირითადად გეომეტრიული ფიგურებისგან შედგებოდა. იშვიათად, მაგრამ ვხვდებით მცენარეულ დეკორსაც. ყვავილოვანი, ფერად-სახიანი წინდები სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში შემოსულია ზემო აჭარის სოფელ ღორჯომიდან და XX საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ რეგიონის წინდის მრავალფეროვანი ტრადიციული დიდ მსგავსებას ავლენს თავისივე რეგიონის ხალჩური ნაწარმის დეკორთან.

რაც უფრო დაჭრელებულია წინდა, მით უფრო რთული მოსაქსოვია იგი და ფასიც შესაბამისად მატულობს (ყარაულაშვილი, 1985).

ქართულ ჩაცმულობაში ხშირია მოთელილი მატყლის ნაწარმის დანიშნულებისამებრ გამოყენება. ეს იქნება საზამთრო ქურთუკები, ნაბდები თუ ქუდები.

**Regarding the Study of the Textile Industry in Georgia
(Techniques, Material)**

Summary

The article focuses on the textile industry in Georgia. Decoration Material and technique of clothes are reviewed in it. Secular Georgian outfits were manually and mechanically adorned with embroidery, gemstones, beads, sequins, silver and simple metal ornaments, coins, buttons, appliqué work, and decorative woven strips. Head coverings and footwear woven with crotchet and knitting needles, felt caps and shepherd's cloaks, garters woven with leaves, and ribbons and laces of various colors and forms are frequent among the elements included in an outfit.

დამონშებული ლიტერატურა:

არჩილი, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ი. ლოლაშვილმა, ლ. კეკელიძემ, ლ. ძონენიძემ. თბ., 1999.

ბარათაშვილი ი. ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონებითა და საძიებლით ა. იოსელიანმა. თბ., 1950.

ბარდაველიძე ვ., ჩიტაია გ. ქართული ხალხური ორნამენტი I. ხე-ვსურული. სსრკ მეცნ. აკად. საქართ. ფილიალის გამომც. თბ., 1939.

ბოჭორიძე გ. თუშეთი, ეთნოგრაფიულ-ფოლკორული მასალები. რედ. გ. ცოცანიძე. თბ., 1993.

გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 3. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. გამომც. „მეცნიერება“. თბ., 1936.

გვათუა ნ. ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა XIX ს-სა და XX საუკუნის დასაწყისში. გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბ., 1967.

კახიძე ნ. ძვირფასი ქსოვილების დამზადებისა და მოხმარების ის-

ტორიიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა X. გამომც. „მეცნიერება“ თბ., 1983.

ლორთქიფანიძე ნ. ძველი ქართული სამკაული, ქარჩხაძის გამომც. თბ., 2016.

მსშხი, ტ. II. ნაწ. II. ქსოვა, ლებვა, ქარგვა. გამომც. „მეცნიერება“. თბ., 1982.

ოჩიაური თ. ხევსური ქალის თანამედროვე ჩაცმულობა, მსე, ტ. VI. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც. თბ., 1953.

შარდენი ჟ. „მოგზაურობა საქართველოში“. გამომც. „სახელგამი“. რედ. ს. რადიანი. თბ., 1935.

Kvavadze E. Bar-Yosef, O.; Belfer-Cohen, A.; Boaretto, E.; Jakeli, N.; Matskevich, Z.; Meshveliani, T.: „30,000-Year-Old Wild Flax Fibers“. შცი-ენცე 325 (5946) 2009.

შემოკლებანი:

მსშხი- მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის

ილუსტრაციები:



სურ.1



სურ.2



სურ.3



სურ.4



სურ.5



სურ.6



სურ.7

- სურ.1 ხევსური ქალის კოსტიუმი
- სურ. 2 ხევსური კაცის კოსტიუმი
- სურ. 3 ინგილო ქალის კოსტიუმი
- სურ.4 ხევსურული საქორწილო წამოსასხამი
- სურ. 5 ფშაველი ქალის კოსტიუმი
- სურ. 6 მთიული ქალის კოსტიუმი
- სურ. 7 ყარაჩოხელის

ბორბლისა და ტერნმინ „ბორბლის“ წარმოშობის საკითხისათვის

ზოგადსამეცნიერო ლიტერატურაში ბორბლის წარმოშობის ზოგად საკითხს არაერთი მეცნიერი შეხებია და მათ რიცხვში ერთ-ერთი პირველია კულტურის ისტორიის გამოჩენილი მკვევარი ედუარდ ტეილორი. ტეილორის გამოკვლევების მიხედვით, ბორბლიანი ეკიპაჟის წარმოშობის პროცესი გარკვეული თანმიმდევრობით უნდა წარმოვიდგინოთ და უპირველეს ყოვლისა უნდა შევეხოთ მიზეზს, რომელმაც მისი უმთავრესი ელემენტის- ბორბლის გაჩენა გამოიწვია (Теилор, 1939: 102-103), ამ თეორიას ტეილორი შემდეგნაირად აყალიბებს: პირველად იყო მრგვალი ხის ტოტი, რომელიც, როგორც საგორავი, მძიმე ტვირთის გადასაადგილებლად გამოიყენა ადამიანმა. ეს საგორავი შემდგომი უფრო ხელსაყრელი ხმარებისათვის შუაში უნდა გათლილიყო და დაწვრილებულიყო ანუ გარკვეული ფორმით უნდა დამსგავსებოდა შემდეგდროინდელ ლერძს, რომელსაც ექნებოდა ორი ფართო ნაწილი ანუ დღევანდელი ბორბლის წინასახე „Причем эти круги, или колеса, не вращались на оси, но были передвигно насажены на нее“ (Теилор, 1939: 103), ტეილორისათვის ლერძის უძრაობაშია გამოხატული მისი არქაული ხასიათი, ესაა ფორმაა, რომელიც ეყრდნობა პრიმიტიული საგორავის არსებობის საფუძველს და შემდეგ მოჰყავს მაგალითები უძრავლერძიანი რომაული, პორტუგალიური და ესპანური ეტლებისა, რომელებიც ასეთი პრინციპით მუშაობენ. (სხვათაშორის, ბორბლებში გაჭედილი ანუ უძრავი ლერძის პრინციპი, ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ ხალხურ ტრანსპორტის გარკვეულ სახეობებში). საყურადღებოა, რომ ტეილორი თავისი ამ მოსაზრებას არ აძლევს კატეგორიულ ხასიათს და მას, როგორც ერთი მეცნიერის კერძო ვარაუდს, ისე სთავაზობს მკითხველს, „Конечно, все это не более как предположение, но во всяком случае оно вполне уясняет нашему уму, что представляет повозка по своей природе.“ (Теилор, 1939: 103).

ცნობილია, რომ მიხეილ გეგეშიძის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს „ქართული ხალხური ტრანსპორტი“, რომელშიც მონოგრაფიულ ფორმატში, პირველად იქნა განხილული ქართული

ხალხური ტრანსპორტის წარმოშობის, განვითარებისა და მისი გენეტიკური ძირების კვლევის საკითხები. წიგნი, რომელიც აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა და გამოიცა 1956 წელს, დღემდე ითვლება ამ სფეროში მომუშავე ყველა მეცნიერისათვის გასათვალისწინებელ ნაშრომად. ბატონმა მიხეილმა თავის გამოკვლევაში ერთ-ერთმა პირველმა წარმოდგინა ქართული ხალხური ტრანსპორტის ტექნოლოგიური და ფუნქციონალური მხარე და მოგვცა მისი კლასიფიკაცია, ბუნებრივია, აქვე შეეხო ბორბლის წარმოშობის საკითხს, როგორც ერთ-ერთ უძველეს, საკაცობრიო მნიშვნელობის გამოგონებას და მხარი დაუჭირა მისი წარმოშობის მატერიალისტურ თეორიას. (გეგეშიძე, 1965: 140).

მიუხედავად იმისა, რომ მ.გეგეშიძემ გაიზიარა ტეილორის თეორია ბორბლის წარმოშობის ევოლუციური გზით განვითარების შესახებ არ მორიდებია დაენახა მასში სუსტი ადგილები და აღნიშნა: „ჩანს, რომ ავტორს არ გააჩნია ამის მეტი არაფერი სხვა უფრო კონკრეტული და საიმედო მასალა რის გამოც მისი მსჯელობა ზოგად ხასიათს ატარებდა და არ იყო დაბეჯითებითი...„ტეილორის შეხედულება ზოგიერთ ნაწილში ნაკლებ დამაჯერებელია, კერძოდ, ტექნიკურად შეუძლებელი და უხერხული უნდა ყოფილიყო ქვის ქვეშ მოქცეული მრგვალი კეტის საგორავის ღერძად გადაქცევა თუკი მას საყენებელი არ გააჩნდა“ (გეგეშიძე, 1965: 134).

ასეთივე მოსაზრება უფრო ადრე გამოთქმული აქვთ ცნობილ ევროპელი მეცნიერებს ჰორვიცსა და მახს. არის სხვადასხვა მოსაზრებანიც, რომელთა მიხედვით ბორბალი წარმოიშო მარხილისა და მორის შეერთებით, კვირისტავზე დაკვირვებით, რომ ქსელვის ტექნიკა წინ უსწრებდა ბორბლიანი ტრანსპორტის გამოგონებას და კიდევ სხვა ნაკლებად სარწმუნო თეორიები, რომელთაგან ზოგიერთი, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალზე პრიმიტიულად გამოიყურება. კერძოდ, მე ასეთად მეჩვენება მარხილიდან გორვის იდეის წარმოშობის თეორია, რომ თითქოს მარხილს გადაადგილების გაიოლების მიზნით ძელებს უწყობდნენ ქვეშ და ამან დაბადა იდეა ბორბლიანი ტრანსპორტის გამოგონებისათვის, ეს თეორია ვერ აღემატება ჩვეულებრივი მძიმე ტვირთის ქვეშ საგორავიდან ბორბლის წარმოშობის თეორიას და არც მეტი დამაჯერებლობით არ გამოირჩევა.

ყველა მოსაზრებაში, რომელიც გამოთქმულია ბორბლის წარმოშობასთან დაკავშირებით ჩემ ინტერესს ინვევს ცნობილი გერმანელი მეცნიერის ედუარდ ჰანის ვარაუდი ბორბალის მზისაგან წარმოშობის

შესახებ, რომელსაც უჭერს მხარს ქართული მასალაც და რომლის შესახებ ქვემოთ უფრო ვრცლად მექნება საუბარი. ედუარდ ჰენი თავის გამოკვლევაში განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი კვირისტავეების სიმრავლეს და მიაჩნია, რომ უმეტესობა მათგანი რელიგიური აზრის შემცვლელია კერძოდ, დამზადებულია მზისადმი თაყვანისცემის ნიშნით და მის ემბლემას წარმოადგენს, ეს დისკოები პირველყოფილი კოსმოგონიური რწმენის პირობებში მზის ემბლემად გაიაზრებოდნენ და ამის გამო გახდენ სათაყვანებელი, აქედანვე წარმოიშო თითისტარი და მოძრაობის ეს იდეა შემდგომში ბორბალში განსახიერდა (E.Hahn, 1896: 96).

მზიდან ბორბლის წარმოშობის რელიგიურ-სიმბოლიკური თეორიას გაიზიარა ფორერმაც (F.Forer, 1903: 46), რომლის აზრითაც ადამიანმა ჯერ მზე განასხეულა დისკოში, შემდეგ ეტაპზე გახვრიტა და ზედ წამოაგო ბორბალი. ფორერის ამ მოსაზრებაში სუსტ ადგილად მიიჩნის ის გარემოება თუ რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ასეთი ქვების გახვრეტა, რასაც ფორერმა ინდიელებთან შემონახული მზის, როგორც მუდმივ მოძრაობაში მყოფი ობიექტის თვისება.

საყურადღებოა, რომ ბორბლის გამოგონებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში გამოიკვეთა ორი მიმართულების სკოლა, რომელთაგან პირველის ანუ ევოლუციური მიმდინარეობის წარმომადგენლები ამ იდეის აღმოჩენას ევოლუციური პროცესით ხსნიან და მის მატერიალურ საწყისს აღიარებენ. მათი აზრით, ბორბლის გამოგონება განსაზღვრა სიმძიმის გადატანის გაიოლების მიზნით მის ქვეშ მოთავსებული საგორავის გამოყენებამ რაც შემდეგ სტადიალური პროცესით განსხეულდა ბორბალში, ხოლო მეორენი მხარს უჭერენ ბორბლის სიმბოლისტურ-ემბლემატურ ნიადაგზე წარმოშობის თეორიას, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ანუ ევოლუციური იდეის წარმომადგენლები, მიუხედავად თავიანთი პოზიციისა, ზოგჯერ იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ბორბლის გამოგონებისათვის რელიგიური სიმბოლიკის იდეის მნიშვნელობას.

აღსანიშნავია, რომ ზოგად ლიტერატურაში საბოლოოდ უპირატესი ადგილი მოიპოვა ბორბლის გამოგონების იდეალისტურმა თეორიამ. თქმა იმისა, რომ „იმ ეპოქის კონკრეტულმა პოლიტიკურმა ვითარებამ გასაქანი არ მისცა ბორბლის წარმოშობაში მატერიალური საწყისების მალაჩებელ თეორიებს“ (გეგეშიძე, 1965: 139), ვერ პოულობს დამაჯერებლობას, რადგან ტეილორისა და მისი მიმდევრებისათვის,

რომელნიც ბორბლის წარმოშობის მატერიალისტურ საწყისებზე იდგნენ არ არსებობდა არავითარი კონკრეტულ-პოლიტიკური გარემოება, რომელის მათ აიძულებდათ, თავიანთი მოსაზრებათა საზიანოდ, ანგარიში გაეწიოთ მისთვის.

ბორბლის სიმბოლისტურ-ემბლემატურ ნიადაგზე წარმოშობის თეორიის განვრცობისა და გაძლიერებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ მასალას, რომელიც არ ფიგურირებს არცერთი უცხოელი მეცნიერის ნაშრომში, რომელიც კი ამ საკითხზე დაწერილა.

ამ პრობლემატური საკითხის გარკვევისათვის უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს გამოჩენილი ქართველ ეთნოლოგის ვერა ბარდაველიძის მონოგრაფია „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“ (ბარდაველიძე, 2006), რომელშიც სკრუპულოზურადაა განხილული ხალხურ დღეობათა კალენდრის, კერძოდ ახალი წლის დღეობათა ციკლის პირველი დღესასწაულის ბარბარობის რელიგიურ-სემანტიკური ხასიათი. ბუნებრივია ბარბარეს, როგორც ქრისტიანი წმინდანის სახე ამ დღესასწაულში წინა პლანზეა წამოწეული და ფაქტობრივად გამოურკვეველი იყო მისი წარმართული ბუნება და ხასიათი. ვერა ბარდაველიძემ თავის ნაშრომში, სვანური მასალების გამოყენებით, ეჭვმიუტანლად დაასაბუთა ბარბარეს წარმართული ხასიათი და მოგვცა სრული სურათი მისი კულტის დროში განვითარებისა და ისტორიული გზის შესახებ.

მეტს არას ვიტყვი ვერა ბარდაველიძის ამ შესანიშნავი გამოკვლევის შესახებ და პირდაპირ გადავალ ჩემი თემისათვის საჭირო იმ მოსაზრებათა ანალიზის გარშემო, რომელიც მეცნიერს აქვს გამოთქმული ბარბარეს ასტრალურ კულტთან დაკავშირებით, აქაც იმდენად შევეხებით საკითხს, რამდენადაც შესაძლებელია დაგვეხმაროს ის მზისა და ბორბლის ურთიერთმიმართების გამორკვევასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი წმინდანი ბარბარა წარმოშობით მიეკუთვნება აღმოსავლურ გარემოს, ერთი ვერსიით მისი სამშობლოა ეგვიპტის ქალაქი ჰელიოპოლისი, რაც მზის ქალაქს ნიშნავს, ზოგადად, მისი ბუნება დაკავშირებულია მზესთან და ცეცხლთან. აღსანიშნავია, რომ ამ თვისებით განიხილავს მას ქართული აგიოგრაფიული მწერლობა, რომლის ერთი პასაჟის მიხედვით როცა დიოსკორემ ბარბარას თავი მოჰკვეთა, შურისძიების ნიშნად ზეცით გადმოვიდა ცეცხლი და დაწვა მამა ბარბარასი, რომელმაც ქრისტიანობის თავდადებისათვის ასეთი სასჯელი გამოუტანა საკუთარ შვილს.

ფაქტობრივად ამ პასაჟში გამოხატულია მზის მოქმედება, როგორც ბარბარას ატრიბუტი და ნიშანი.

იმისათვის, რომ გაირკვეს რა იყო უმთავრესი პირობა ბარბარეს მზესთან დაკავშირებისათვის აქ საჭიროდ მიმაჩნია რამოდენიმე სიტყვა ითქვას მზის სიმბოლური დანიშნულების შესახებ. ზოგადი ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მზე ყველა ხალხში უდიდესი თაყვანისცემით სარგებლობდა (სურგულაძე, 1986: 66-80). ცხადია, გონიერმა ადამიანმა ადრიდანვე იგრძნო მზის პრაქტიკული დანიშნულება და აღიარა იგი ღმერთად. ძველი აღმოსავლეთის რელიგიებში მზესთან დაკავშირებულია მთელი რიგი რწმენები. შუმერში მზის ღმერთი იყო ნინურთა, ბაბილონში შამაში, ასურეთში ასური, ეგვიპტეში ამონ-რა, ხეთებთან ისტანუ, ფინიკიაში ნერ, ისრაელში შემეშ, ინდოეთში სურია, სავიტარი და აგნი, საბერძნეთში ჰელიოსი, რომში სოლი და სხვა. ძველი აღთქმის წიგნებში მზე დახასიათებულია როგორც ბრწყინვალე დღის გამგებელი, სითბოს მომტანი, საკვების მომყვანი, მუდმივობის გარანტი, სიკეთისა და წყალობის მომნიჭებელი (Бинлеиская энциклопедия, 1991: 666), მზეს ედარება ის კეთილმორწმუნე ადამიანი, რომელიც პირნათლად იცავს უფლის კანონებს: „მისი ნაშიერი მარადჟამს იქნება და მისი ტახტი გაბრწყინდება ვითარცა მზე“ (ფსალ. 88; 37).

ასეთი უმნიშვნელოვანესი განმარტებანი მემკვიდრეობამ მიიღო ქრისტიანობამ და მაცხოვარი შეადარა მზეს. ბუნებრივია, ქრისტიანული მრწამსით, მზე ღმერთი არაა, მაგრამ იგი გამოყენებულია როგორც პოეტური შესამკობელი, მზის სახეა წმინდა სამება, ღმერთი „გონებრივი მზეა“, ხატი ღმრთისა „მიუწვდომელი ნათელია“ „ყველა ეს ეპითეტნი არიან სიტყვანი, რომელნიც ღმრთეების ჩენას ასახვენ“ (ნოზაძე, 1957: 188-189). ქრისტიანული პირველწყაროების მიხედვით, იესო არის „ნათელი მზისა“, „მზე სიმართლისა“, „მზე აღმომავალი“, „ნათლის მომფენელი“, მას ედარება ქრისტე დიადი ფერისცვალების ჟამსაც: „და იცვალა მათ წინაშე ფერი და მზესავეთ გაბრწყინდა“ (მათე, 17; 2). და სხვა. ქართულ სასულიერო მწერლობაში უზგადაა გამოყენებული მზის სიმბოლოები და გარდა ქრისტიანული გაგებისა მას საფუძვლად უდევს ძალზე რელიეფურად გამოხატული წარმართული ჩვეულებანი (ნადირაძე, 1898: 57-61). ბევრთაგან აქ სამაგალითოდ მოვიტან ფარნავაზის სიზმრის ლეონტი მროველისეულ აღწერას, სადაც მზე გამოყვანილია, როგორც მხსნელი ჭაბუკისა, რომელიც უცხო სახლში შთენილსა და სასონარკვეთილს მხსნელად მოევლინა, შემოვიდა სარკმელში

„მოერტყა წელსა მისსა და განიზიდა და განიყვანა სარკმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად ფარნავაზ, იხილა მზე ქვემდაბლად, მიყო ხელი მისი, მოჰხოცა ცვარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა“ (ლეონტი მროველი, 1987: 53).

ქართული ხალხური შემოქმედება უხვ მასალას იძლევა მზისადმი თაყვანისცემისას. კილო-თქმათა მდიდრულ მასალში ვხვდებით ისეთ მრავლისმეტყველ გამონათქვამებს, როგორიცაა „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“, „მისმა მზემ“ და სხვა. როგორც ვერა ბარდაველიძე ფიქრობს, ეს გამონათქვამები უნდა ასახავდნენ, რელიგიური აზროვნების იმ საფეხურს, როცა ღვთაება მზის ნიშნით გამოიხატებოდნენ მისი რჩეულები, რომელთაც ნაწილიანი ეწოდებათ (Бардавелидзе, 1957: 111). მზისადმი თაყვანისცემის ჩვეულება რელიგიურადაა გამოხატული მიცვალებულის კულტში, მხედველობაში მაქვს შეხედულება მზის მეშვეობით სულთა იმქვეყნიურ სამყაროში გადასახლების შესახებ, რომელიც ზოგადად მსოფლიო რელიგიური აზროვნების მონაპოვარია და ბუნებრივია ქართულ სამყაროშიაც თავისი ადგილი უჭირავს. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ეთნოგრაფ სარა ბედუკაძის მიერ მთიულეთში ჩანერილი მასალა, რომლის მიხედვითაც მიცვალებული უთუოდ უნდა დასაფლავდეს მზის ჩასვლამდე, რადგან მხოლოდ მზის მეშვეობითაა შესაძლებელი მისი წარდგენა ღვთის კარზე (ბედუკაძე, 1974: 29). ამ შეხედულების მატერიალურ განსხეულებას წარმოადგენს მთიულეთში დადასტურებულისაფლავის ლოდის ოთხივე კუთხით გამოკვეთილი მზე ბორბლები. ამავე თვალსაზრისით ინტერესს იწვევს მემორიალურ კულტურაში გაბატონებული მზის, როგორც საფლავის ქვის შემკულობაში გადომინირებული ობიექტის არსებობა, რომელის ძალზე დამახასიათებელი მოვლენაა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ძეგლებისათვის (ნადირაძე, 2001: 114-150).

ქართულ რელიგიურ სანესჩვეულობო პრაქტიკაში დაკვიდრებული მზისადმი დამოკიდებულების ამ ფრაგმენტული მასალის შემდეგ მსურს დავუბრუნდე ბარბარობის რელიგიურ-სემანტიკური ხასიათის შინაარსს, მის კავშირს მზესთან და ბორბლის როგორც მატერიალურიკულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტის სახელის წარმოშობის საკითხს. სიტყვა ბარბარას ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ესაა ინდოევროპული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს უცხოს, სხვანი მას შუმერულ გარემოსაც უკავშირებენ. ვერა ბარდაველიძის აზრით, სიტყვა „ბარ“, რომელიც ბარბარას ფუძეს წარმოადგენს, წინა

აზიის მოსახლეობის უძველეს მონაპოვარია და წინ უსწრებს სემიტთა და ინდოევროპელთა კულტურას (ბარდაველიძე, 2006: 171).

ვერა ბარდაველიძის მიხედვით, საქართველოში გავრცელებული ბარბარ-ბარბოლის კულტი განასახიერებს ასტრალურ ღვთაებას. მიუხედავად იმისა, რომ დღესასწაული თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული ყველაზე გამოკვეთილად იგი დაფიქსირებულია სვანურ რელიგიურ წარმოდგენებში. ბალს ქვემო სვანურში მას ეწოდება „ბარბოლ“, ხოლო ბალს ზემოში „ბარბალ“|| „ბარბლაშ“, ყველა მონაცემის მიხედვით, იქნება ეს ეთნოგრაფიული, ლინგვისტური თუ სანესჩვეულებო ხასიათისა, უეჭველად მტკიცდება რომ ესაა უძველესი, წარმართული ხასიათის მზის ღვთაება. იგი არა მხოლოდ სვანეთის არამედ მთელი ქართველი ხალხის სარწმუნოების კუთვნილებას წარმოადგენს. ეს იყო ახალი წლის ზოგადქართული დღეობა და არსებითად ყველა ქართულ ტომში ერთი სახელწოდებით გავრცელებული. საგულისხმოა, რომ თვეების სვანურ სახელწოდებაში დეკემბრის სვანური სახელი ბარბლაშია, რაც უძველეს ხანაში უნდა შერქმეოდა. „უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თვე შესაფერისი სახელწოდებით დანარჩენ ქართველ ტომებშიაც არსებობდა, მაგრამ დაკარგულა, ხოლო სვანებს როგორც ჩანს თავისი უძველესი სახელით შემოუნახავთ“ (ბარდაველიძე, 2006: 139).

საკითხი იმის შესახებ აქვს თუ არა ქრისტიან ბარბარეს რაიმე გენეტიკური კავშირი წარმართული ბარბოლ-ბარბარეს კულტთან, ძალიან მნიშვნელოვანია და მოითხოვს შემდეგ კვლევას, აქ მხოლოდ უეჭველი ისაა, რომ მოგვიანებით მათი დატოლება და შერწყმა მომხდარა, რისი მსგავსი არაერთი მაგალითი იცის ქრისტიანულმა კულტურამ, ამის დამადასტურებლად მრავალთაგან აქ ერთ მაგალითს მოვიტანთ ქრისტიანული ეკლესიის ისტორიიდან, როცა შობის ღესასწაული დაუკავშირდა მზის დაბადების უძველეს წარმართულ დღესასწაულს (Frazer, 1923. 332). აღარას ვიტყვი წარმართული სალოცავების ადგილას ქრისტიანული ტაძრების აგების ჩვეულების შესახებ, რაც ადამიანთა შეგნებაში ახალი კულტის დამკვიდრების მტკიცებულებული პროცესის გასანეიტრალებლად იყო გამიზნული.

ამდენად, სახელი ბარბარე ქართველ ხალხში დამკვიდრებულია წარმართული სანესჩვეულებო პრაქტიკის ნიადაგზე, რომლითაც აღინიშნებოდა მზის ბუნიაობა, მისი მობრუნება დედამიწაზე და ახალი წლის დაწყება.

„ბარბოლ“ „ბარბალ“, „ბარბლაშ“ და ბოლოს „ბარბარობა“ არის ტერ-

მინები, რომლითაც მზის მოსვლა, მისი აქტიური ხასიათი გამოიკვეთება. ახლა საინტერესოა და ჩემი თემისათვის უმთავრესს წარმოადგენს წარმოვადგინოთ თუ საიდან უნდა იღებდეს სათავეს სახელი „ბარბოლ“ „ბარბალ“, „ბარბალაშ“ და ბოლოს „ბარბარობა“ და რა გენეტიკური კავშირი უნდა ჰქონდეს ამ ტერმინს ცეცხლთან.

ზოგადად ცნობილია რომ ონომასტიკაში, საკუთარ სახელთა ჩამოყალიბებისას, სხვა უმნიშვნელონეს პირობათა შორის მოიაზრება ადამიანის პირადი განწყობა, საგნებისა და მოვლენების მიმართ მისი ხედვისა და აღქმის დამოკიდებულება, თვით საგანთა ხასიათი და აქედან გამომდინარე, მათთვის ტერმინთა მისადაგება (Никонов, 1974: 12). ასევე, საქმის საჭიროება უბიძგებს ადამიანს გამოგონებასაკენ, მდგომარეობა აიძულებს იფიქროს და მიუსადაგოს მომენტით წარმოქმნილ შემთხვევას საჭირო ხერხი, ამ მოსაზრებას მსოფლიო მნიშვნელობის გამოგონებათა უამრავი პრაქტიკული შემთხვევა ადასტურებს. მზის ხატის, როგორც მრგვალი ციური სხეულის ბორბლის სახით დედამიწაზე გადმოტანის იდეას სხვა უფრო მკვეთრად არგუმენტირებული აზრი ვერ დაუპირისპირდება.

ვფიქრობ, რომ ამ გარემოების გათვალისწინებით სავსებით ბუნებრივი იქნება ვიმსჯელოთ ტერმინების „ბარბოლ“ „ბარბალ“, „ბარბალაშთან“ დაკავშირებით და მის ფიზიკურ ხასიათში ვეძებოთ სახელის წარმოშობის მიზეზი. მზე როგორც კოსმიური საგანი ადამიანის სიცოცხლისათვის განუსაზღვრელი მნიშვნელობის მქონეა, „მზე დედაა ჩემი“ აცხადებს იგი და მთელი გულისყური მისკენ აქვს მიპყრობილი, მისი არსებობა მზის თვისებაზეა დამოკიდებული, ამიტომ სახავს ღმერთად, ატარებს რიტუალს, ინვევს თავისთან, ცდილობს მიიქციოს მისი ყურადღება და ბოლოს სურს წარმოადგინოს მისი მატერიალური სახე დედამიწაზე ანუ თავის გარემოში. ბუნებრივია, ამის მიღწევა მას შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ცეცხლი მეშვეობით, წარმართულ გარემოში ცეცხლი არის მზის ორეული დედამიწაზე, საგულისხმოა რომ „ქრისტიან ხალხთა სარწმუნოებაშიც კი ბარბარეს სახელი ძირითადად ცეცხლთანაა დაკავშირებული“ (ბარდაველიძე, 14, 2006). თუკი ადამიანი ცეცხლის სახით მზის ხატს ქმნის დედამიწაზე, ბუნებრივია, მზის სხვა თვისებაც ცეცხლს უნდა დაუკავშიროს. ამ მოსაზრებას ამაგრებს ხალხურ წეს-ჩვეულებანი, რომელთაგან აქ მოვიტან ხევსურეთში დაცულ საგაზაფხულო დღესასწაულის მარიაამნიდაობისას გამართულ ე.წ. გურჯინაობას. გურჯინა ესაა მრგვალად მოწნული დიდი ბურთი,

რომელიც გამოტენილია თივითა და ჩალაბულით (ქმკელ, 2013; 100). შელამებისას ამ გოდორ-ბურთოს აიტანენ ბავშვები გორაზე, ნაუკიდებენ ცეცხლს და დააგორებენ. ცეცხლნაკიდებული გოდორიდან გზადაგზა სცივია აალებული შიგთავსის ნაწილები და მთელ გზაზე ტოვებს ცეცხლოვან ნაკვალებს, რაც განსაკუთრებულ ეფექტს იწვევს მაყურებელთა შორის და ხალხი შეძახილებით მიაცილებს მას (ცნობილია, რომ სვანები ასეთივე მიზნით ცეცხლნაკიდებულ კასრებს აგორებდნენ მთიდან). ამ ქმედებაში სავსებით ცხადად შეიმჩნევა ცეცხლის დღეობის ნაკვალევი. ვერა ბარდაველიძის აზრით, „ეს წეს-ჩვეულება მზის მოძრაობის ამსახველ მაგიური მოქმედების გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს“ (ბარდაველიძე, 2006: 127). საგულისხმოა რომ გურჯინას მთიდან დაგორება ხდება განთიადისას, მზის ამოსვლის წინ, რაც მნათობის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს, ესაა მზის ამოსვლის იმიტირებული სახიობითი ხასიათის ჩვენება. მზის დედამიწაზე იმიტირებას ასახავს სვანი ქალის მოქმედებაც, როცა იგი კვირისტავში ძროხის ცურიდან გამოწველილ რძის გატარებას მიმართავს, რითაც მზის (კვირისტავი) და სხივის (რძის ჭავლი) ერთობას აფიქსირებს.

როცა ადამიანი ასეთ პრაქტიკულ ქმედებას ეწევა მზის ცაზე მოძრაობის სურათის წარმოდგენისათვის, მისთვის ისიც ნათელია, რომ ციური მზის სვლა უნდა ახლდეს შესაფერისი ხმა, რომელიც მართალია დედამიწამდე ვერ აღწევს მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს უნდა იყოს მსგავსი ცეცხლის ხმისა, რომლისთვისაც მას დაურქმევია ბარბალი, ბრიალი, ბურბური. ეს დაკვირვება ჩვეულებრივი პრაქტიკიდანაა: როცა ძლიერი ცეცხლი ანთია, იგი გამოსცემს ხმას, რომელიც ხალხურ მეტყველებაში ამ სიტყვებით გამოიხატება. მაგ. გურული იტყვის: „ცეცხლის ბარბალმა გამომალვიდა“ (ალ. ლლონტი, 1974). მოვუსმინოთ ძლიერად ავარდნილი ცეცხლის ხმას: ის ავად ბრიალებს, განსაკუთრებით მაშინ თუ იგი დადგენილ საზღვარს სცილდება რაც ერთდროულად ბადებს შიშს და იწვევს თაყვანისცემას. ცნობილია, რომ რელიგიის ფორმათა ჩამოყალიბებაში ასეთ წარმოდგენებს განსაკუთრებული როლი უჭირავთ (Teilor, 1939: 201-221) და ამდენად არავითარ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს ვარაუდი იმის შესახებ, რომ მზის სვლის ხმაური ცეცხლის ხმით წარმოედგინა ადამიანს.

საკოველთაოდ ცნობილია, რომ ასტრალური კულტის მატარებელ ხალხებში მზისა და მთვარის ღვთაებები ბორბლითა და დისკოთი გამოსახებოდნენ „ბორბალი ანიშნებდა მნათობის კოსმიურ ბრუნვას

და ეს იმ დროს როცა ნივთიერ კულტურაში ბორბალი არ იყო გამოგონებული“ (რობაქიძე, 2012: 93). როცა მზე ანათებს და გადადის ან მიგორავს ცაზე, მასაც უნდა ჰქოდეს მისი წარმოდგენით ისეთივე ხმა, როგორც ცეცხლსა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი სტიქიურია, ადამიანი ამ პროცესს გამოხატავს სიტყვებით: ბარბარი და ბრიალი. ბორჯღალას გამოკვეთა კერის ქვაზე ესაა ნიშანი ცეცხლის გაუქრობლობისა და მისი სიმბოლური სახე მზე ბორჯღალითაა გამოხატული. ბორჯღალა თავისი ფრთების პირდაპირი ანალოგია ბორბლისა და მისთვის მოძრაობის იდეის მიმნიჭებელია შიგ განთავსებული ფრთები, როგორც ჩვეულებრივი სატრანსპორტო ბორბლისათვის მისი სოლები, როგორც შენიშნულია, „ურმის გამოგონებისას ბორბალი ჯვარისა (ანუ ბორჯღალა ე.წ) ურმის თვალში გადმოვიდა საგურად“ (რობაქიძე, 2012: 93).

უხვად თოვისას, როცა ფართო ფანტელები ტრიალით ეშვებიან დაბლა, იმერული კილო-თქმა ასე გამოხატავს ამ პროცესს: „ბურბლავს“, სადაც აქცენტი გაკეთებულია თოვის იშვიათ მოვლენაზე ანუ ფანტელების ტრიალზე, ამ სიტყვაში უეჭველად მოსჩანს ბორბლის სემანტიკა. ბარბალი, ბურბლა, ბრიალი, ბურბური, ბორბალი, ეს ერთი და იგივე მოქმედების: ტრიალის, ბრუნვის, მოძრაობის, გამომხატველი ცნებებია, აქვე ამ ტერმინთა რიგის ცნებები უნდა იყოს ასევე ბარბაცი, ბორგვა და ბორიალი. ასეთი უხვი ეპითეტების მქონე ტერმინთა არსებობა და მათი საერთო „ბარ“ ძირის წარმომავლობის საკითხისათვის კვლავ დავისაჭიროებთ ვერა ბარდაველიძის აზრს იმის შესახებ, რომ სიტყვა „ბარ“.., წინა აზიის მოსახლეობის უძველეს მონაპოვარია და წინ უსწრებს სემიტთა და ინდოევროპელთა კულტურას“, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავუშვათ, რომ ამ ფუძის მატარებელი სიტყვა კუთვნილებაა იმ კულტურული წრისა, რომელშიაც მოიაზრება პროტოქართველთა ეთნიკური ერთობა. ეს ვითარება არამცირედ მიზეზს იძლევა იმისათვის, რომ მზესთან და ცეცხლთან დაკავშირებული წარმართული ბარბარას სახელის წარმოშობა ამ კულტურის წრეს დავუკავშიროთ და ვიფიქროთ მასთან ქრისტიანული ბარბარეს კავშირზედაც.

To the question of origin of a wheel and the term `borbali`

Summary

The article deals with the oldest pagan and Cristian festival of the sun and fire cults-Barbaroba. The innovation of the author is connection to the name “Barbare” with proto-Christian cultural circle.

E. Nadiradze , for this purpose, reviews etymology of word “briali“, “barbari“, “burbuli“ wich have been preserved in the Georgian language and denote a strong fire. The autor focuses on the accepted in science theory concerning the root of te word “bar“, which is considered to be originated in the Hither Asian cultural circle. E. NADiradze concludes that the pagan word “barbara“ is connected with the sun and fire and it shoud have been originated in the Hither Asian circle, where proto-Georgian ethnical unity is to be thought.

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:

აბულაძე ი., ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1973.

ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორი-
იდან, თბ., 2006.

ბედუკაძე ს., ხალხური ქვითხურობა ალგეთის ხეობაში, თბ., 1974.
ბერიძე გრ., ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ.,
1981.

გეგეშიძე მ., ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1965.

გეგეშიძე მ., ბორბლის უძველესი სახეების საკითხისათვის, „მი-
მომხილველი“ ტ. II, თბ., 1951.

ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართული მწერლობა, ტ. I,
თბ., 1987.

ნადირაძე ე., მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა, თბ., 1998.

ნადირაძე ე., საქართველოს მემორიალური კულტურა, თბ., 2001.

ნადირაძე ე., მსოფლიოს რელიგიები, თბ., 1996.

ნოზაძე ვ., ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, სანტიაგო, 1957.

რობაქიძე გრ. ნაწერები, წიგნი IV, თბ., 2012.

- სულხან-საბა, ლექსიკონი, თბ., 1991.
- სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986.
- ქმეკელ (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი), თბ., 2013.
- ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974.
- ჩუბინაშვილი დ., რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1984.
- Бардавелидзе В. В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, М., 1957.
- Библейская энциклопедия, М., 1991.
- Никонов В., Имя и общество, М., 1974.
- Теилор Э., История первобитной культуры, М., 1939.
- Hahn E., Die haustiere und ihre beziehungen zur wirtschats, Menshen, 1896.
- Frazer G., The golden bough, a study in magic and religion VII, London, 1923.
- Forrer F., Kultwagen, Lpz., 1903.

მოხვევე ქალის ჩაცმულობა

(XIX-XX სს.)

სამოსის სტილის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს არა მარტო კლიმატური და საცხოვრებელი პირობები, არამედ ესთეტიურობის შეგრძნება და წარმოდგენა სილამაზეზე. ტანსაცმლის თარგი, შემკულობა, ფერების შეხამება, თავბურვის კომპლექსურობა და სხვა სპეციფიკური მახასიათებლები ქმნიან ჩაცმულობის ერთიან, დასრულებულ სახეს, რომელიც გამოხატავს პირველ რიგში მფლობელის, ხოლო შემდგომ იმ საზოგადოების მხრიდან მისდამი დამოკიდებულებასა და შეხედულებას, რომლის წევრიცაა ესა თუ ის ადამიანი.

ქართული მატერიალური კულტურის მკვლევართა განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს ეროვნული ჩაცმულობა, რადგან მასში ასახულია ერის ფსიქო-სოციალური ასპექტები და განვითარების ეტაპები. ამ საკითხებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ჩიტაია, ლუბა ბოჭორიშვილი, სერგი მაკალათია, ივანე ციციშვილი, ციალა ბეზარაშვილი, ნინო გვათუა, იზოლდა სამსონია და სხვანი. XX ს-ის განმავლობაში არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო მთელი საქართველოს მამულებით, გამოვლენილი და შესწავლილია მატერიალური კულტურის მრავალი ნიმუში, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ჩაცმულობა, რამაც შემდგომში ხელი შეუწყო ამა თუ იმ კომპლექტის სიღრმისეულ კვლევას.

ამ მხრივ განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ 1957-1958 წწ. აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, ყაზბეგის რაიონში მოწყობილი ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომლის დროსაც ეროვნული მუზეუმის თანამშრომლის, კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდის კურატორის, ციალა ბეზარაშვილის მიერ მოძიებულ და შესწავლილ იქნა მოხვევე ქალის ჩაცმულობა. აღნიშნული მასალის ნაწილი გამოუქვეყნებელია და პირადი არქივის სახით ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოლოგიისა და ახალი ისტორიის განყოფილების ფონდსაცავებში. წარმოდგენილი სტატიის მიზანია აღნიშნული მასალის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა. ციალა ბეზარაშვილის კვლევები კიდევ უფრო შეავსებს და გაამდიდრებს ქართული ჩაცმულობის დღემდე შესწავლილ

ისტორიას. საგულისხმოა, რომ ექსპედიციის მუშაობის პერიოდში ხევის ადგილობრივი მცხოვრებნი ჯერ კიდევ ატარებდნენ ტრადიციულ მოხეურ სამოსს და მისი დამზადების ტექნიკაც მეტ-ნაკლებად არსებობდა პრაქტიკაში (ბეზარაშვილი, 1958: 8).

მოხევეები თავიანთ სამოსს, ისევე როგორც ზოგადად იყო მიღებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „ტარავალს“ (კვანტიძე, ლურსმანაშვილი 2016: 59) უწოდებენ. ამავე ტერმინით იხსენიებენ ხევისურებიც ტანსაცმელს, მხოლოდ ერთი ასოს მონაცვლეობით – „ტალავარ“ (ბეზარაშვილი, 2010: 80).

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, მათ შორის ხევეში, სამოსის დასამზადებელ ძირითად მასალად გამოიყენებოდა შინნამზადი შალის ქსოვილი ე.წ. „ტოლი“, რომელიც იქსოვებოდა მატყლისაგან (ბეზარაშვილი, 1958: 5). კავკასიის მთიანეთში ქარხნული პროდუქციის შემოსვლის მიუხედავად, მოსახლეობის უმეტესობა, ძირითადად, ისევე საოჯახო წესით დამზადებული ნაწარმით იმოსებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოში მატყლის ნარმოებას ბოლო დრომდე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (ბეზარაშვილი, 1974: 10). ბუნებრივად არსებობდა მატყლის სხვადასხვა ფერი: თეთრი და შავი, რომელთა შეღებვის შედეგადაც მიიღებოდა განსხვავებული ფერის ქსოვილებიც, სხვადასხვა ფერის მისაღებად მოხევე ქალები მოიხმარდნენ, როგორც ბუნებრივ, აგრეთვე ქიმიურ საშუალებებსაც. სხვადასხვა შეფერილობის მისაღებად გამოიყენებოდა: მუხის ქერქი, კაკლის ნაჭი, ფოლიოს ფოთლები, მუნჯაის ხავსი, თეთრი ბიბილაი და ა.შ., რომელთაც ქიმიურ დანამატებსაც ურევდნენ (ბეზარაშვილი, 2010: 79). მთხრობელთა აღნიშვნით, მუხის ქერქისაგან ყავისფერს იღებდნენ, მუნჯაის ხავსი სამოსს წითლად ლეზავდა, ჩხამაის ძირისა და ხახვის ფოთლებისაგან – ყვითელი, ჩალანდარას ბალახისაგან კი მწვანე ფერი. ფერის გამაგრების მიზნით იცოდნენ შეღებილი ქსოვილის მწვირეში (ძროხის შარდში) გავლება (ბეზარაშვილი, 1958: 6).

მიუხედავად სხვადასხვა ფერის მიღების დახვეწილი ტექნიკისა, მოხევეები მაინც მუქ ფერებს ამჯობინებდნენ და ძირითადად ყავისფერ, ღვინისფერ, ლურჯ და შავ სამოსს ატარებდნენ (ბეზარაშვილი, 1958: 6). ფერებისადმი მსგავსი დამოკიდებულება ზოგადქართული ტენდენციანა. ქართული სამოსის გაფორმებისას ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მის შემკულობაზე და არა ფერთა სიჭრელზე (ვინმე სოფელი, 1914: 12; ციციშვილი, 1954: 46; კვანტიძე, 2018: 28). გამონაკლისი

სახით შეიძლება დასახელდეს აჭარა, სადაც ფერების შეხამებაში დიდი როლი ენიჭებოდა ქალის ასაკსა და ოჯახურ მდგომარეობას. ახალგაზრდა გასათხოვარი ქალები უფრო ალისფერ, ყვითელ და მწვანე ფერებს ატარებდნენ, ხანში შესული მანდილოსნები კი მუქ ფერებს არჩევდნენ (სამსონია, 2005: 57-58).

მოხვეე ქალის კოსტიუმი, ისევე როგორც ზოგადად ქალის სამოსელი საქართველოში, შედგებოდა სამი ძირითადი ნაწილისაგან: ტანისამოსი, თავბურვა და ფეხსაცმელ/ფეხსამოსი, რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენდნენ (ბეზარაშვილი, 1958: 6). აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოში სამოსის მფლობელის სოციალური კუთვნილება, ძირითადად, მასალის ხარისხითა და ძვირფასი სამკაულით განირჩეოდა, სამოსის კომპლექტის ნაწილები კი იდენტური იყო როგორც სახელწოდებით, ასევე თარგით (გვათუა, 1967: 19). გამონაკლისს არც ხევი წარმოადგენს, სადაც განსხვავებულობა თავს იჩენდა მხოლოდ მასალის ხარისხსა და მორთულობაში (ბეზარაშვილი, 1958: 7). ციალა ბეზარაშვილის არქივის მიხედვით მოხვეე ქალის კოსტიუმის ზოგადი შემადგენლობა ასეთია: საგულე (კაბა-საგულე), ახალუხი, წინსაფარი (ყუნლაი), ე.წ. ყილეტკა, „ტუყურკა“ (ზედატანი), იუბკა და თავსაბურავი.

კაბის ორიგინალური სახეობა იყო ე.წ. „საგულე“ (სურ. 1), რომელსაც მოხვეე ქალები XX ს-ის შუა პერიოდამდე ატარებდნენ (ბეზარაშვილი 1958: 8). „საგულე“, ანუ საქალო კაბა ჩოხისებურ თარგზე გამოჭრილი, წინ ჩახსნილი, კოჭებამდე სიგრძის სამოსი იყო, რომლის ზედა და ქვედა ნაწილებიც ცალ-ცალკე მზადდებოდა. გული ამოღებული, სახელოები კი გრძელი ჰქონდა, რადგან მაჯის გამოჩენა სირცხვილად ითვლებოდა (ბეზარაშვილი, 2010: 80). ქვედაბოლო რამდენიმე კალთისაგან შედგებოდა და ისე იყო ნაოჭასხმული, რომ ქალს მუცელი არ დამჩნეოდა. საერთოდ, მოხვეე ქალები გაურბოდნენ სხეულის ნაწილების გამოკვეთას (ბეზარაშვილი, 1958: 9). საგულე წინ ისე იყო გახსნილი, რომ მის შიგნით ჩასაცმელი სამოსი გამოჩენილიყო, მუცელთან კი დუგმებით იკვრებოდა და დარჩენილი ღია ნაწილი საგულეთი იფარებოდა (ბეზარაშვილი, 2010: 80).

საინტერესოა თავად ტერმინ „საგულეს“ მნიშვნელობაც. როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ირკვევა, საგულეს ძველად მოკლე, უსახელო ზედატანს უწოდებდნენ, რომელსაც მკერდის დაფარვის მიზნით იცვამდნენ. შემდგომში, რადგანაც წელში გამოყვანილმა და გულზე

შემოქერილმა კაბამ ახალუხთან და „ჟილეტკასთან“ ერთად შეასრულა საგულეს ფუნქციაც, ამ უკანასკნელის ტარების აუცილებლობა აღარ არსებობდა, ტერმინს კი მნიშვნელობა შეეცვალა და მთელ კაბას შეერქვა (ბეზარაშვილი, 1958: 10).

საგულეს გულისპირი შემკული იყო სირმის გრეხილებითა და ის „ლილშატებით“ იკვრებოდა, მაჯები კი ზოგჯერ ოქრომკედით იყო მოქარგული (მაკალათია, 1934: 147). ზოგჯერ საგულეს ოქროს ან ვერცხლის ბუზმენტებითაც აწყობდნენ. ასევე ირთვებოდა კაბის სახელოებიც.

აღსანიშნავია, რომ საგულეს მსგავს გარე სამოსელს ატარებდნენ საქართველოში მცხოვრები ოსებიც. მოხეურ და ოსურ საგულეს შორის განმასხვავებელ ნიშნად დასახელებულია უკან არსებული ნაკეცები და ორმაგი სახელოები. ოსურ საგულეებს უფრო მეტად ახალგაზრდები ატარებდნენ (ბეზარაშვილი, 2000: 64).

საგულეს ქვეშ ჩასაცემლად ხმარობდნენ ე.წ. „ჟილეტკას“ (სურ. 2). იგი იკვრებოდა ფარჩისაგან. ჟილეტკა იყო მოკლე და ტანზე კარგად მორგებული. წინ მთლიანად ჩახსნილი და მუცელთან ხრიკებით შეკრული, ან ყელიდან ბოლომდე წინ სულ მთლიანი და უკან გაკრული ყელზე მომდგარი მაღალი ბრტყელი საყელოთი. როგორც წესი, ჰქონდა გრძელი სახელოები, თუმცა ექსპედიციის წევრებს გამოწკლისის სახით უსახელო „ჟილეტკებიც“ შეხვდათ. მისი ის ნაწილი, რომელიც კაბა-საგულეში ჩანდა, განსაკუთრებულად ირთვებოდა – ძირითადად ოქროსფრად აკერებდნენ ოქროსფრად მოელვარე გულის ღილებს ან აბრეშუმის ძაფებით აფორმებდნენ მას. მოხუცები ერიდებოდნენ ასეთი ღილების ხმარებას (ბეზარაშვილი, 2010: 82).

ჟილეტკა თანდათან ჩაანაცვლა გულზე ასაფარებელმა პატარა ნაჭერმა, რომელსაც გულისპირს უწოდებდნენ (სურ. 3). თავდაპირველად დღეობა-დღესასწაულებში ჟილეტკის ნაცვლად იკეთებდნენ ჩაფრასტებით ან ნაქარგობებით მორთულ, გულზე მოჭერილ ფარჩის ნაჭერს, რომელიც უფრო მეტ ეფექტს ახდენდა, ჟილეტკა კი შინსახმარ სამოსად გადაიქცა. თანდათან გულისპირი მოხვევ ქალის შედარებით გვიანი ხანის კოსტიუმის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ელემენტად იქცა (ბეზარაშვილი, 1958: 14).

ასაკობრივი სხვაობის ნიშანს წარმოადგენდა ე.წ. „მაჯების“ ტარება. ეს იყო ვინრო, ხელზე დუგმებით დამაგრებული მოქარგული, მართკუთხა ნაჭერი, რომელიც იდაყვის ცოტა ქვემოდან მაჯამდე კეთდებოდა. მისი პატრონი საგულეს სახელოებს მოკლედ კერავდა, ან მაჯებს

უფრო ფართოსა და გრძელს აკეთებდა და შიგ ჩაიტანდა საგულისა თუ ფილეტკას სახელოებს. ღრმად მოხუცებული ქალები შავი ხავერდის მავებს ხელიდან არ იცილებდნენ (ბეზარაშვილი, 2010: 81).

ხანშიშესული ქალები საგულეზე ატარებდნენ აგრეთვე „ყუნლაის“, იგივე წინსაფარს, რომელიც უმეტესად შავი ატლასისაგან იყო დამზადებული (**სურ. 4**). მისი სიგრძე დამოკიდებული იყო კაბა-საგულის სიგრძეზე და იმდენად უნდა ჩამონვდენოდა, რომ მისი ბოლო გამოჩენილიყო. შედგებოდა ან მთლიანი კალთისაგან, ან 2-3 ნაჭრისაგან. წელში ნაოჭი ესხმებოდა და ზორტებით უკან იკვრებოდა. მის გარეშე ქალის სახლიდან გასვლა დიდ სირცხვილად ითვლებოდა (ბეზარაშვილი, 1958: 14). წინსაფარის ტარების ტრადიცია არსებობდა არა მხოლოდ ხევში არამედ მთელს საქართველოში.

XIX საუკუნეში და შესაძლოა უფრო ადრეულ პერიოდშიც, ახალგაზრდა ქალს ქმრის სახლში თან მიჰყვებოდა კარგი აბრეშუმისაგან შეკერილი ახალუხი, რომელსაც საგულის (კაბის) ქვეშ იცვამდნენ. ახალუხი მოკლე იყო, გულმომრგვალებული და წელზე მომდგარი. თარგით კაცის ახალუხის მსგავსი. უსაყელო, გრძელი და ვიწროსახელოებით (ბეზარაშვილი, 1958: 14). წინ, მუცელთან იკვრებოდა ღილ-შატებით. ხანდახან ირთვებოდა ვერცხლის ბუზმენტით, რომლის წინა კალთებიც ასევე შემკული იყო ოქრომკედით და იკვრებოდა სირმისაგან გამოკვანძული „კუმბალაი“-თა და „შატი“-თ (მაკალათია, 1934: 148). სეზონის მიხედვით ატარებდნენ როგორც დაბამბულ ახალუხებს, რომელთაც შიგნიდან ფერადი სარჩული ჰქონდათ გამოკერებული, აგრეთვე დაუბამბავ მოკლე ახალუხებსაც (მაკალათია, 1934: 146). საინტერესოა მოხეური მოკლე ასხალუხის ერთ-ერთ ნიმუში, რომელზეც ირმის ორნამენტებია გამოსახული (**სურ. 5**). მას სერგი მაკალათიამ მიაკვლია სოფ. ყანოზში (მაკალათია, 1934: 147) და მოგვიანებით ჩატარებული ექსპედიციების დროსაც გამოვლინდა რომ ახალუხის შემკობის მსგავსი ტრადიცია მხოლოდ ამ სოფელში არსებობდა (ბეზარაშვილი, 1958: 15).

ხევში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ქალის თავდაუხუზრავი სიარული სირცხვილად ითვლებოდა. ძირითადად ხმარობდნენ გრძელ, ოთხკუთხი ფორმის მანდილსა და ძვირფას თავშალს (**სურ. 6**). „საინტერესოა მოხევეთა თავშლის მოხვევის წესიც. ჯერ მოიხვევენ თავსაკრავს, ისე, რომ მისმა ნაწილმა შუბლი დაფაროს, მერე ორ ტოტს წაიღებენ უკან, კვლავ მოაბრუნებენ და შუბლს ცოტა ზემოთ შეიკრავენ. თავსაკრავს ზემოთ თავშალს დაიხურავენ, ისე, რომ მან და-

ფაროს თავსაკრავით ნაკრული შუბლი. თავშლის ერთ ტოტს კისერზე მოხვევით უკან მხარზე გადაიგდებენ (ბეზარაშვილი, 1958: 19).“

ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა გასათხოვარი და გათხოვილი ქალის თავსაბურავები. გასათხოვარი ქალი მხოლოდ თავშალს იხვევდა, გათხოვილი კი თავშალთან ერთად თავსაკრავსაც იკეთებდა. თუშეთში გათხოვილი ქალები დიდ მანდილს ატარებდნენ, რომელიც ქმრის ოჯახს მოჰქონდა წინასწარ (ბეზარაშვილი, 1974: 69). მანდილის დახურვის წესზე იყო დამოკიდებული ხევესურეთში ქალის გათხოვების საკითხი. თუ დანიშნული ქალი ისე დაიხურავდა მანდილს, როგორც ამას წესი მოითხოვდა, ქმრის ნათესავები ჩათვლიდნენ, რომ იგი ღირსეული რძალი იქნებოდა და ოჯახში მიიღებდნენ. თუ ქალი ქმრის ნათესავებს მანდილის გარეშე ეჩვენებოდა, ამას ისინი უპატივცემულობად აღიქვამდნენ და მომავალი ნათესაობა არ შედგებოდა (თედორაძე, 1930: 109).

ისლამის გავრცელების შემდეგ გარკვეული ცვლილება განიცადა ქალის თავხურვის წესებმა აჭარაში, კერძოდ, გათხოვილი ქალისათვის სავალდებულო გახდა ფესი თეფელულისა და ჩადრის ტარება, რომლითაც ქალები მთელ სხეულს იფარავდნენ (ჭიჭინაძე, 1913: 87), თუმცა ის მხოლოდ დროებით იხმარებოდა და რაიმე არსებითი გავლენა ვერ მოახდინა საერთო სტილზე.

ამრიგად, მოხეური ჩაცმულობა ქართული მრავალფეროვანი სამოსის ორიგინალური სახეობაა, რომელიც გამოირჩევა ლოკალური თავისებურებებითა და ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების სიმრავლით. სხვადასხვა დეტალების შერწყმით შექმნილია მოხევე ქალის სამოსის ერთიანი, დასრულებული სახე, რომელიც გამოირჩევა სისადავითა და ესთეტიურობით. შემორჩენილ ნიმუშებში არ მოიპოვება რაიმე ზედმეტი ნაწილი ან თუნდაც კომპოზიციაში ჩაუმჯდარი ორნამენტი.

Clothes of Mokheve Woman (XIX –XX Centuries)

Summary

The thesis of article is the clothes of Mokheve woman (woman from Khevi region), the set of multiple elements in clothes is characterized which includes: the dress – Sagule, the apron (Kunlay), so called Jiletka, Akhalukhi, Tujurka, skirt and headgear. The clothes set is characterised according to the pattern, main colors and clothes accessories. The focus is made on the secondary, symbolic feature of clothes usage – socio-age situation. The issues of clothes preparation and technology for creation traditional colors are discussed.

The thesis underlines the duration of use of Mokhevan clothes, which reaches XX century, 60 years and possibly more years.

The private archive of Tsiala Bezarashvili, recently passed away, the researcher of Georgian traditional clothes and previous curator of the Foundation of Caucasian Clothes and Cloths at Simon Janashia Georgian Museum, National Museum of Georgia is kept. The archive keeps the materials of Mokhevan clothes from the ethnographic expedition in 50-60 years of the last century, when the researcher took part and conducted field works. The records made by Tsiala Bezarashvili have not published yet. In it represent's one of the most important sources for research of this issue.

The mentioned thesis is based on these archive materials. The elements of Mokhevan Clothes kept in Stepantsminda Ethnographic Museum are used as visual material.

დამოწმებული ლიტერატურა:

ბეზარაშვილი ც. ველზე შეკრებილი მასალა, 1957-1958 წწ.

ბეზარაშვილი ც. ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974.

ბეზარაშვილი ც. ქალის ტრადიციული ტანსაცმელი საქართველოს მთაში, კრ. ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. I, თბ., 2000.

ბეზარაშვილი ც. შინამრენველობა და ტრადიციული სამოსელი ხევში, კრ. ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. IV, თბ., 2010.

გვათუა ნ. ჩაცმულობის ისტორიიდან, თბ., 1967.

ვინმე სოფლელი, ქართული ეროვნული ჩაცმულობა, ჟურნ. „კლდე“, N40, თბ., 1914.

თედორაძე გ. ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1930.

კვანტიძე გ., ლუსმანაშვილი ლ. ქართულ ჩაცმულობასთან დაკავშირებული ტერმინების გაგებისათვის, ჟურნ. ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, VII, ბათუმი, 2016.

კვანტიძე გ. ქართული სამოსის ორნამენტი, თბ., 2018.

სამსონია ი. ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

ციციშვილი ი. მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ., 1954.

ჭიჭინაძე ზ. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. მოხევე ქალის საგულე ახალუხი. სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სურ. 2. მოხევე ქალის „ჟილეტკა“. სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.


სურ. 3. მოხევე ქალის გულისპირი. სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სურ. 4. მოხევე ქალის წინსაფარი „ყუნლაი“. სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სურ. 5. მოხევე ქალის ახალუხი. სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სურ. 6. მოხევე ქალის თავსაბურავი. სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ილუსტრაციები:



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3. სურ. 4.



სურ. 5. სურ. 6.

არქეოლოგია

თებრონე ნადირაძე

გარეჯის მატერიალური კულტურის არქეოლოგიური არტეფაქტები

გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსების სოციალური ცხოვრების შესახებ ფაქტობრივი დოკუმენტური მასალა (ტიპიკონი, ბოძების სიგელი, ანდერძი, მონასტრებს შორის მიმონერა) ერთობ მცირეა და შესაძლოა ითქვას, რომ სასულიერო ცხოვრების გვერდით მიმდინარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო სურათის რეკონსტრუქცია ერთობ გართულებულია. თუმცა ვიზუალური მასალა ისეთი, რომელიც კიდევ შემორჩა ამ უნიკალური სამონასტრო კორპორაციას (ჰიდროტექნიკური სისტემები, სამეურნეო ნაგებობანი, საბალ-ბოსტნე ნაკვეთები), შესაძლებლობას იძლევა ბევრი რამ იქნას რეკონსტრუირებული.

ბუნებრივია ამ პროცესის სრულყოფილი სურათის დადგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ძეგლების არქეოლოგიურ გამოკვლევას, სამწუხაროდ, გარეჯის ძეგლთა უმეტესობა არქეოლოგიურად შეუსწავლელია და ზოგიერთის რთული რელიეფის გამო ეს პროცესი რამდენადმე გართულებულია, თუმცა იმ რამოდენიმე ძეგლის გათხრამ, რომელიც მრავალმთის ცალკეულ კომპლექსში იქნა ჩატარებული (ივრისპირის ქვაბები, ლავრა, ნათლისმცემელი) უაღრესად ნაყოფიერი შედეგები მოგვცა იმ თვალსაზრისით, რომ გამოიკვეთა გარეჯის მრავალმთის ბერული ცხოვრების ზოგადი სურათი და წარმოჩინდა ცხოვრების ის არააშკარა მოდელები, რომელთა შესახებ ისტორიული წყაროები ფაქტობრივად არაფერს გვაუწყებენ.

გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსებიდან, არქეოლოგიური თვალსაზრისით, ჯერჯერობით ყველაზე სრულყოფილად გამოკვლეულია ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსი, რომლის არქეოლოგიურ შესწავლას 1980-2005 წლებში, აწარმოებდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია ზურაბ თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით (თვალჭრელიძე, 2010).

იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა გარეჯის სამონასტრო კომპლექსებისა, რომელიც დაარსებულია დავითის მონაფის ლუკიანეს მიერ. მას შემდეგ

რაც ლავრის სამონასტრო კორპორაცია გაიზარდა და მონასტრის განტვირთვა დადგა დღის წესრიგში, როგორც დავით გარეჯელის ცხოვრებაშია ნათქვამი, დიდი მამის ბრძანებით „აღეშენა უდაბნო მრავალმთისა სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა“ (ძველი ქართული, 1963: 239), საგულისხმოა, რომ VI საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებული ეს სამონასტრო ცენტრი, დავითის ლავრასთან ერთად, გარეჯის სხვა მონასტრებთან შედარებით, ყველაზე ხანგრძლივად მოქმედი და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. ეს ვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ ნათლისმცემლის არქეოლოგიურად შესწავლა დღის წესრიგში დამდგარიყო.

ნათლისმცემლის მონასტერი, როგორც ეს წყაროშია აღნიშნული, გამოკვეთილია „ფიცხელსა და უპოვარ ალაგზედ“, კლდის გრძელ მასივში და სენაკების რიგი აქ თითქმის 250 მეტრზეა განლაგებული. მისი არქიტექტურული ამსამბლი მოიცავს მთავარ ტაძარს, სატრაპეზოს, სამრეკლოს, კოშკსა და კარიბჭეს, გალავნის ნაშთს და სენაკებს, რომელნიც გამოიყენებოდნენ როგორც ბერთა საცხოვრისად, ასევე სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებისათვის. მონასტრის არქიტექტურულ კომპლექსს გვიანშუასაუკუნეებში მიემატა სხვადასხვა არქიტექტურული დეტალებით გაფორმებული კლდის სახლები, ქვითკირის საკულტო, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

როგორც უკვე აღინიშნა, გარეჯის არქეოლოგიურ კვლევას საფუძველი ჩაეყარა 1880 წელს, მაგრამ მისი კვლევა ინტენსიური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექციამ შექმნა კომისია, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე, 1983 წლიდან დაიწყო ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის სტაციონარული არქეოლოგიური შესწავლა, რომელიც ითვალისწინებდა ძეგლის სტრატეგრაფიულ, ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ შესწავლას, რათა განსაზღვრულიყო სამონასტრო ცხოვრების დიაპაზონი, განვითარების ეტაპები (თვალჭრელიძე, 2010: 20). სულ არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა მონასტრის ექვს უბანზე.

პირველ არქეოლოგიურ უბანს წარმოადგენდა სამონასტრო კომპლექსის აღმოსავლეთი განშტოება, მეორეს - მონასტრის გალავნის აღმოსავლეთის ნაწილი, მესამეს - მონასტრის შიდა ეზო, მეოთხეს - სამონასტრო კომპლექსის დასავლეთის მხარე, მეხუთეს - მონასტრის ქვედა ტერასაზე განლაგებული საცხოვრებელი, სამეურნეო და ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, მეექვსეს-მონასტრის ჩრდილო აღმოსავლეთ ფერდობი.

ინტენსიური არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად შესწავლილი იქნა კომპლექსის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი და მიკვლევული იქნა ახალი სტრუქტურული ერთეულები, სრულად იქნა წარმოჩენილი მანამდე მიწაში ღრმად ჩასული ან სრულიად დაფარული სენაკები, სამლოცველოები თუ სამეურნეო დანიშნულების გამოქვაბულები. აღდგენილი იქნა წყლით მომარაგების სისტემის რამდენიმე დაფარული ობიექტი, გაირკვა საფორტიფიკაციო ნაგებობათა რამოდენიმე დამცავი კვანძის რეალური იერსახე, არქეოლოგიური კვლევა ჩატარდა გვიანდელი ხანის სამაროვანზე. „არქეოლოგიური გათხრების შედეგად შემოწმდა, გაღრმავდა და და რიგ შემთხვევაში გადაისინჯა მანამდე არსებული შეხედულებები, დაზუსტდა არქიტექტურული კომპლექსის ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის საკითხები, გამოვლინდა ახალი ძეგლები და არტეფაქტები“ (თვალჭრელიძე, 2010: 27).

ნათლისმცემლის არქეოლოგიურ ძეგლზე აღმოჩენილი იქნა უამრავი რაოდენობის არტეფაქტი, რომელნიც მისი საყოფაცხოვრების ურთიერთობის ძირითადი განმსაზღვრელს წარმოადგენენ. პირველყოვლისა ესაა კერამიკული მასალის ისეთი ძირითადი სახეობით როგორიცაა ჯამები და ჯამის ფრაგმენტები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თიხის ჯამი ბერთა სანიადაგო, ყოველდღიური მოხმარების ჭურჭელს წარმოადგენდა, კერამიკული წარმოებით განთქმულ კახეთში ჭურჭლის ეს სახეობა ყველა ეპოქისათვისაა დამახასიათებელი, უბრალო ლიტონი ჯამების გარდა აქ ფართოდ იყო დანერგილი მოხატული და შემდგომ მოჭიქული ჯამების წარმოება (მინიშვილი, 1969). ისეთ ცნობილ ცენტრებში, როგორიცაა ბოდბე და ნინოწმინდა, მეთუნეობას ბოლო დრომდე აქტიურად მისდევდნენ (ბოჭორიშვილი, 1949: 56), საგულისხმოა, რომ ნათლისმცემლის არქეოლოგიურ მასალაში დიდი ადგილი უჭირავს, როგორც ხამ ჭურჭელს, ასევე მოხატულ – მოჭიქულსაც, რომელიც ნინოწმინდის და ბოდბის სახელოსნო უბნებიდან უნდა იყოს გამოსული. ჯამების უმეტესობა ხასიათდება გადაშლილი პირით, გვხვდება ქუსლიანი და უქუსლო ჯამები, ძირითადად გაკეთებულია მონითალო კეცისაგან, უმეტესობას ატყვია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტის ნაკვალევი, ზოგი თეთრი ანგობითაა დაფარული, ზოგი ფერადი ჭიქურითაა დამშვენებული და ზოგიც წერნაქითაა მოხატული. ასეთი ჯამების დიდი ნაწილი არცთუიშვიათად შემკულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით. სამწუხაროდ, მასალის უდიდესი ნაწილი მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა შემოერჩენილი და ყოველთვის არ

იდლევა საშუალებას ნათლად იქნეს წარმოდგენილი მათი თავდაპირველი ფორმა.

ჯამების შემდეგ არქეოლოგიურ მასალაში დიდი ადგილი უჭირავს ქოთნების, ქილების, ფიალების, ბადიების, დერგების, სამარილეების, დოქების, ჩაფ-კოკურებისა და თეფშების ფრაგმენტებს. ამ ტიპის ყველა ნივთი ასევე ადგილობრივი კახური კერამიკული ცენტრების პროდუქტს წარმოადგენს, რასაც მონიშნობს, როგორც მასალის ხარისხი, ასევე ფორმისა და შემკულობის ვიზუალური მხარე. ამ მასალის ძირითადი მახასიათებელი ნიშნებია: მონითალო კეცი, მოთეთრო ფაიანსი, ფერადი ანგობი, ლურჯი და ყავისფერი საღებავი, წერნაქით მოხატვა, კობალტის საღებავი, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტი. ამ მასალაში თითქმის არ მოიპოვება იმპორტული კერამიკის ნიმუშები, რომლის არარსებობა ბერმონაზვნური კორპორაციისათვის ჩვეულებრივ მოვლენად უნდა იყოს აღქმული. სამაგიეროდ, საკმაოდ მდიდრულადაა გვიანდელი პერიოდის მინის იმპორტული ჭურჭლის ფრაგმენტები იქნება ეს ჭიქა, ბოთლი თუ თეფში. იშვიათ გამონაკლისად მივიჩნევთ აქ აღმოჩენილ ჭინჭილის რამოდენიმე ფრაგმენტს და სამედიცინო დანიშნულების მქონე ჭურჭელს. ცალკე აღნიშვნის ღირსია, ამ ექსპედიციის მიერ თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის დროინდელი მონეტების, ხატის ფრაგმენტების, ჯვრის ნაწილის, კრიალოსნის, სასულიერო წიგნის ყდის, საზიარებელი ბარძიმის და სამკვეთლო თეფშის მიკვლევის ფაქტი.

გარეჯის სამონასტრო ცენტრებიდან ნათლისმცემლის მონასტერს გააჩნდა ადგილობრივი სამიწათმოქმედო სავარგულების ყველაზე დიდი ფართობი. ჩვენ, სათანადო ადგილას ვეხებით ნათლისმცემლის სამეურნეო სისტემას და აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას, ვიტყვით მხოლოდ, რომ არქეოლოგიურ მასალაში სავსებით ლოგიკურია აღმოჩენა ისეთი ნივთებისა როგორიცაა: ნამგალი, წალდი, ფინალი, მინის დასამუშავებელი იარაღის ფრაგმენტები, გაზი, ურო, ჩაქუჩი, ცალკე აღნიშვნის ღირსია პურის საცხობი ფურნის, ბუხრიანი სახლის, სამღებრო აუზის, საჯინბოსა და ბოსლის ნაშთების დადასტურება (თვალჭრელიძე, 2010: ტაბ.10-15). ესაა ნივთიერი მასალის მთელი კრებული, რომელიც ასე სჭირდება ადამიანს ყოველდღიური ცხოვრებისათვის და რომელიც გვეხმარება აღვადგინოთ აქტიური სურათი ან გარდასული სამონასტრო ყოფისა. აქვე უნდა ვთქვათ რომ რომ გარეჯის სამონასტრო ცხოვრებაში ძალზე ნიშანდობლივად გამოიკვეთება კლდის სახლები-

სათვის დამახასიათებელი ბინადრობის წესი, როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების საქართველოში კლდის სახლების კულტურა უაღრესად განვითარებული იყო (ბახტაძე, 2007: 139-167) და ამ კულტურაში ერთმანეთს იმეორებენ საერო და სასულიერო მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო დეტალები.

ნათლისმცემლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოებული მასალის ანალიზი და მისი შეჯერება ნარატიულ და ეპიგრაფიკულ წყაროებთან, შესაძლებლობას იძლევა მთლიანობაში წაროვიდგინოთ ისტორიული პროცესი, რომელშიაც მიმდინარეობდა ნათლისმცემლის სამონასტრო ცხოვრება. სამწუხაროდ, მისი ისტორიის პირველი ეტაპის გამორკვევისათვის საჭირო არქეოლოგიური მასალა ფაქტობრივად არა გვაქვს თუ არ ჩავთვლით VI-VIII სს. დათარიღებულ ქვის სტელას და მასთან ერთად სენაკების იმ რიგს, რომლებიც თავიანთი სტილის გამო, მიჩნეულნი არიან ადრეული ეპოქის ნიმუშებად, თუ ამას დავუმატებთ ისტორიული წყაროს ცნობას დავითის მონაფის ლუკიანესაგან ნათლისმცემლის მონასტრის დაარსების შესახებ, მაშინ შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს ამ ბერმონაზვნური კორპორაციის ადრექრისტიანულ პერიოდში არსებობის რეალური სურათი, რომელიც მოდის VI-VIII საუკუნეებზე.

მეორე ეტაპი ესაა შუა ფეოდალიზმის ხანა, ეპოქა საქართველოში ბერმონაზვნური ცხოვრების აყვავებისა, რომლის დროსაც ქართული სამონასტრო ცხოვრების განვითარება განსაზღვრა სამხრეთ საქართველოს სამონასტრო ცენტრებიდან წამოსულმა გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამოსაგრეების მიერ წამოწყებულმა სამონასტრო მოღვაწეობამ, რომელიც დაგვირგვინდა ქართული სამონასტრო ცხოვრების კლასიკური ფორმით. ამ ფორმის კონტურები კარგადაა მოხაზული ნათლისმცემლის სენაკების იმდროინდელ არქიტექტურაში. შესაძლებელია რომ ეს პერიოდი განისაზღვროს IX-X საუკუნეებით.

მესამე ეტაპი ესაა ზოგადად ქართული სამონასტრო ცხოვრების აღმავლობის ხანა და მოიცავს XI-XIII საუკუნეებს. ამ პერიოდში ნათლისმცემლის მონასტერი სამეფო კარის მზრუნველობის ქვეშაა მოქცეული, მის კეთილმოწყობაზე ზრუნვას არაერთი საბუთი მეტყველებს, სადაც იგი წარმოგვიდგება კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად და ბერმონაზვნური კორპორაციის კლასიკურ უჯრედად. მონასტერს უშენდება მკვიდრი თავდაცვითი ნაგებობა, იკვეთება ახალი სენაკები, ფართოვდება სარწყავი სისტემა, არსდება სახელოსნო უბანი და ვი-

თარდება შიდა სამეურნეო საქმიანობა. ყველაფერი ეს კარგად ჩანს საფორტიფიკაციო ნაგებობათა არქეოლოგიურ შესწავლით, ნუმიზმატიკურ მასალით, საყოფაცხოვრებო საგნებისა და სამეურნეო დანიშნულების ნივთიერი მასალის ფიქსაციით.

ნათლისმცემლის ქრონოლოგიის მეოთხე ეტაპი მოდის XIII-XIV საუკუნეებზე, რომელიც დალდასმულია საქართველოში მონღოლთა ბატონობით და იმ უარყოფით შედეგით, რომელიც ამ დაპყრობას მოჰყვა თან. ნათლისმცემლის მონასტრის ამ ხანით დათარიღებული არქეოლოგიური მონაპოვარი ღარიბია და უსახური ანუ სავსებით შესაფერისი მკაცრი პირობებისა, რომელშიაც მონასტრის შემადგენლობას უხდებოდა ცხოვრება.

მეხუთე ეტაპად მიჩნეულია XIV-XVI საუკუნეები, რა დროსაც ნათლისმცემლის ბერმონაზვნური ცხოვრება შეწყვეტილია. ამ ფაქტს ადასტურებს არქეოლოგიური მასალის სრული უქონლობა.

ნათლისმცემელი აღორძინებას მეექვსე ეტაპი მოდის XVII-XVIII საუკუნეებზე, რასაც ცხადყოფს ნივთიერი არქეოლოგიური მასალა, რომელიც საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობათა მონესრიგებისათვის

მეშვიდე ეტაპს წარმოადგენს ნათლისმცემლის მონასტრის ცხოვრების შენელებას და შემდგომ დასასრული. საქართველოში რუსული მართველობის დამყარების შემდგომ ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსში გარკვეული დონის სარესტავრაციო სამუშაოები შესრულდა, შეკეთდა საფორტიფიკაციო ნაგებობის კედელი, წყალმომარაგების სისტემები, აშენდა საკულტო და სამეურნეო დანიშნულების რამდენიმე ნაგებობა, რომელთა ნაშთები ნათლად გამოაჩინა არქეოლოგიურმა გათხრებმა (თვალჭრელიძე, 2010: 53-58). სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ეკლესიასთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფმა პარტიულმა მოღვაწეებმა, მონასტერს არ დაუტოვეს არავითარი საშუალება არსებობისათვის და მანაც არსებობა შეწყვიტა.

მოგვიანებით ნათლისმცემლის მიმდებარედ დაფუძნდა საბჭოთა სამხედრო გარნიზონი, რომლის რეგულარულმა საბრძოლო წვრთნებმა უდიდესი ზიანი მიაყენა ქართული სულიერი კულტურის ამ მნიშვნელოვან კერას. საქართველოს დამოუკიდებლობისა და აქედან საბჭოთა ჯარის გასვლის შემდეგ ნათლისმცემელში ბერმონაზვნური ცხოვრება კვლავ აღორძინდა.

ნათლისმცემლის არქეოლოგიურ მასალაში მნიშვნელოვანი ადგილი

უჭირავს VI-VII საუკუნეებით დათარიღებულ ასომთავრულწარწერიან ქვის სტელას, რომელიც გამოიკვლია და დაათარიღა გიორგი ჩუბინაშვილმა (Чубинашвили, 1948: 31-32). ეს სტელა ჩაშენებული ყოფილა მთავარი ეკლესიის შესასვლელში. იგი წარმოადგენს ერთი მეტრის სიმაღლის ოთხნახნაგა ქვის სვეტს და მოცემულია ფრაგმენტის სახით. ასეთი სტელები დამახასიათებელია ადრეული ქრისტიანობისათვის და გავრცელებილი იყო, როგორც სომხეთში, ასევე საქართველოშიაც. როგორც ჩუბინაშვილი აღნიშნავს სტელის ეს ნაწილი წარმოადგენს მის ძირს, ხოლო თავი რომელიც შესაძლოა ჯვრით იყო მომთავრებული, დაკარგულია. სტელაზე გამოსახულია წმინდა ევსტაფი ნადირობისას და ახლავს ქართული ასომთავრული წარწერა: „ესე ჯვარნი მე მარუევო (?) ავმართე ჩემდა და ცოლისა და შვილთათვის.“ ერთობ საინტერესოა ის გარემოება, რომ სტელის დათარიღებაში ავტორი წარმატებით იყენებს მცხეთის ჯვრისა და ატენის სიონის რელიეფთა ჩაცმულობას და მათი მაგავსების საფუძვლელზე, სხვა დამატებითი მასალის მოშველიებით, განსაზღვრავს სტელის ასაკს. სტელის თარიღი და მისი კავშირი ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსთან, კიდევ უფრო აყალიბებს და ამტკიცებს ვარაუდ ადრეულ საუკუნეებში ნათლისმცემლის ბერმონაზვნური კორპორაციის, როგორც განვითარებული სამონასტრო ცენტრის არსებობის შესახებ.

ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის რაოდენობა, რომელიც ფაქტობრივად აჭარბებს 900 ერთეულს, ნათელს ფენს ადამიანთა აქტიური ქმედების სურათს. ნივთიერი მასალის ეს ნაკრები არის რეალური ცხოვრების ამსახველი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარეობდა გარეჯში და რომლის გამოძახილსაც წარმოადგენს ნათლისმცემლის ერთი სენაკის კედელზე გამოსახული წერაქვეშემართული ბერის სურათი, როგორც საბუთი სულიერი და ფიზიკური შრომის შეთანხმებულობისა, რომელსაც სრულად მიესადაგებოდა მოციქულის სიტყვები: „ხელნი ჩემნი მსახურებდეს მე“.

სხვათა შორის, შრომის მიმართ დამოკიდებულების ხასიათი, ბერმონაზვნობის ისტორიაში რადიკალური დაპირისპირებით გამოირჩევა. მონასტიციზმის სათავეებში მყოფ მამათაგან ერთნი რადიკალურად ეწინააღმდეგებოდნენ ბერებისაგან ფიზიკურ შრომაში ჩართვას, მეორენი კი დასაშვებად მიიჩნევდნენ შრომის ზომიერი ფორმების დამკვიდრებას და ეს იყო პრაქტიკულად გამართლებული იდეა, რადგან სხვისი ხელის შემეყურობა ანუ სხვა წყაროზე დამოკიდებული ადამი-

ანი თუ მთელი კრებული ადამიანებისა, მუდამ განსაცდელის ქვეშაა, რადგან არ არსებობს მუდმივი და მარადიული გარანტია. ამას კარგად გრძნობდნენ გონიერი ადამიანები და ისინი ისევ და ისევ სამონასტრო ცხოვრების გაძლიერებისა და სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით ამ გარანტიას აფუძნებდნენ საკუთარ შესაძლებლობაზე, მრავალითაგან აქ დავასახელებთ სირიული ბერმონაზვნობის მამათა მაგალითს, რომლებმაც ზოგადსაცხოვრებელ მამათა მონასტრებში ოფიციალურად დაამკვიდრეს ხელით შრომი წესი (Voobus, 1969: 147-148). ეს მდგომარეობა შესანიშნავადაა გამოხატული პირველი ბერმონაზვნური კორპორაციის დამაარსებლის, დიდი მამის, ანტონი დიდის გადწყვეტილებაში, როცა იგი მარტომყოფი ასკეტი ბერის სენაკიდან გამოვიდა და დაიწყო შრომის აპოლოგია, როგორც მონოდებით, ასევე პრაქტიკული საქმით. მისი ბიოგრაფის ათანასე ალექსანდრიელის ცნობით (ათანასე ალექსანდრიელი, 1970: 46), ანტონი პირადი მაგალითით ამკვიდრებდა ფიზიკური შრომის კულტურას, თესდა და მკიდა, რათა ბერმონაზვნური კორპორაციის დამოუკიდებლობის ხარისხი განემტკიცებინა.

გარეჯის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინდა დავით გარეჯელის სამარხის არქეოლოგიურ გამოკვლევას. ზოგადად, განსასვენებლის მნიშვნელობა ნებისმიერი კულტურული საზოგადოებისათვის უნმიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. განსასვენებელი, როგორც მატერიალური კულტურის ძეგლი ყურადღებას იქცევს ავთენტურობის, კუთვნილების, ქრონოლოგიის, ტიპოლოგიის თვალსაზრისით, სამარხი ნაგებობა მიუთითებს ადამიანთა მატერიალურ შესაძლებლობაზე, საზოგადოების მენტალობაზე და სხვა. ნიკო ბერძენიშვილის აზრით, სასაფლაო ფრიად საინტერესო და სასარგებლო მასალას იძლევა საზოგადოების მეურნეობის, ყოფაცხოვრების, სოციალ-ეკონომიკური აღნაგობის გამოსაკვლევად (ბერძენიშვილი, 1964: 56). „მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობამ „სამარის პოეზია შექმნა“ (ვ. კინკელი), მისთვის ნიშანდობლივი შინაარსი მიანიჭა ნაგებობის გაფორმებასაც...ცნობილია, რომ ქრისტიან წნიმდანთა საფლავები დიდი თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდნენ და მათი სასწაულმოქმედობა საყოველთაოდ განითქმებოდა ხოლმე“ (ნადირაძე, 2001: 54,56). წმ. გრიგოლ პალამას შეხედულებით, რომელიც ქრისტიანულ ფილოსოფიას ეფუძნება „თაყვანს ვცემთ წმინდანთა საფლავებს, რადგანაც არ შორდება მათ უწმინდეს ძვლებს წმინდამყოფი მადლი“ (წმ. გრიგოლ პალამა, 1991: 273). საქართველოს მემორიალ-

ური კულტურაში საფლავთა თაყვანისცემის ფაქტი უძველესი დროიდან დასტურდება, ლეონტი მროველის ცნობით ქართველთა ეთნარქი ქართლოსი დაუმარხავთ „თავსა ზედა ქართლისასა,რომელსაც აწ ეწოდების არმაზი... და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“ (ლეონტი მროველი, 1978, 50).

ქრისტიანობამ წმიდანთა საფლავთა, ისე როგორც წმიდათა ნაწილების მიმართ, თაყვანისცემის წესი თავის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგიურ იარაღად აქცია და ისინი სათაყვანებელ ობიექტებად გამოაცხადა. უფრო მეტიც. წმიდათა საფლავებს, მათ მოხილვასა და იქიდან ევლოგიის (წმინდა მტვერი) მიღებას განმაკურნებელი ძალა მიენიჭა. საგულისხმოა, რომ წმ.დავითის სამარხის შემსწავლელ მეცნიერებს შესაძლებლობა მიეცათ მასზე დაედასტურებინათ ევლოგიის ამოსაღები ხვრელი - კიდევ ერთი მყარი საბუთი წმიდათა მიმართ ასეთი წესის არსებობისა. წმიდათა ლუსკუმებზე ანუ სამარხებზე ხშირად განთავსებული იყო ლარნაკი, როგორც წმინდანის სხეულის ნაწილის დასაცავი ყუთი. ეს ვითარება შეინიშნება დავითის საფლავის მიმართაც, ამაზე მეტყველებს საფლავის ამაღლებული ნაწილი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს დასადგამს ამ ლარნაკისას, ამ ფაქტს ადასტურებს ისტორიული წყარო, სადაც ნათქვამია, რომ გარეჯის ერთ-ერთმა წინამძღვარმა მამა ილარიონმა „ეკლესიასა ამასა შინა შექმნა ლარნაკი მშვენიერი, რომელსა შინა მდებარენი არიან პატიოსანნი ნაწილნი წმიდისა მამისა დავითისნი“ (ქართული აგიოგრაფიული, 1971: 197). მართალია, წყაროში არაა მითითებული ზედ საფლავზე იდგა თუ არა ლარნაკი, მაგრამ რადგანაც აქ გვიან პერიოდზეა ლაპარაკი, გამორიცხული არაა, რომ ლარნაკი დავითის წმიდა ნაწილისა თავის დროზე მისსავე საფლავზე ყოფილიყო დადგმული. ეს მოსაზრება დასაშვებია თუნდაც იმ ისტორიული ავბედითობის გამო, რაც არაერთხელ გადაიტანა ამ მონასტერმა, დროთა განმავლობაში საფლავი არაერთხელ იქნა დარბეული, რაც გახდებოდა მიზეზი ლარნაკი დაცვილებოდა თავის პირველ ადგილსამყოფელს. აქედან თუნდაც ერთს გავისხენებთ: 1857 წელის 1 ოქტომბერს ლეკები დაეცნენ დავითის ლავრას პირწმინდად გაძარცვეს მონასტერი და დაანგრეს დავითის საფლავი.

დავით გარეჯელის საფლავის შემთხვევაში ასეთი დამოკიდებულება სავსებით ცხადია და ამდენად მისი არქეოლოგიური შესწავლაც დიდ მნიშვნელობას იძენს. განსასვენებელის შესწავლამ (სხირტლადე, 2006) უპირველეს ყოვლისა, გამოავლინა სამარხის ტიპი, რომელიც მეტნაკ-

ლები ცვლილებით დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო გარეჯის სამონასტრო კომპლექსებისათვის. ესაა კლდეში ამოკვეთილი სამარხი (ზომით 182X40-45, სიმაღლე 33-35), რომელსაც გააჩნია პატარა თავსასთუმალი (5-7 სმ. მაღლა აწეული), სამარხი ლუსკუმა გადახურული იყო ფილებით რაც სამარხს ამაღლებულს ხდიდა და აძლევდა მას ლარნაკის სახეს (სხირტლაძე, 2006: 10). სამარხის გახსნის მომენტში წნიდანის ნეშტი ხელუხლებლად იყო შემორჩენილი, სიგრძით 158 ზომის ნეშტს ემოსა ბერული ჩოხა „მონესეთა ტრადიციული შესამოსელი ქრისტიანულ აღმოსავლეთის სამონასტრო გაერთიანებაში, მოსალოდნელია, რომ იგი მაზარაში წაგრაგნილი დაემარხათ“ (სხირტლაძე, 2006: 12). ეს ვარაუდი სავსებით გასაზიარებელია, რადგან ხის კუბო ამ ეპოქის სამონასტრო ცხოვრებაში საქართველოსკ არცერთ ძეგლზე არ დასტურდება. მიცვალებულის „წაგრაგვნა“ და „წაბლარდვნა“, როგორც ეს წყაროებში გვხვდება გავრცელებული წესი იყო საქართველოში და ეს ეხება, როგორც სასულიერო ისე საერო პირებს.

მემორიალურ კულტურაში დაფიქსირებულია წესი, როდესაც მიცვალებულის მინისქვეშა განსასვენებლის ფორმა ასახავს პოულობს მინისზედა ძეგლის ფორმაში, მაგ. ჩასასვენებელი ყუთის|| კუბოს, ფორმა იქცევა საფლავის ქვის ფორმად. ამას ნიმუშები ძალზე ბევრია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (ნადირაძე, 2001: სურ.41) და ახლა აქ საილუსტრაციოდ მოვიტან ჯავახეთში დადასტურებულ XVII ს. საფლავის ქვას, რომელიც წარმოადგენს მაზარაში წაგრაგნილ და თოკებზე მოხვეული მიცვალებულის იმიტაციას (ნადირაძე, 1996: სურ. 7).

ამრიგად, მაზარით ან ჩოხით მიცვალებულის დაკრძალვის ტრადიცია გვევლინება საკმაოდ გავრცელებულ წესად ძველ საქართველოში და დავით გარეჯელის განსასვენებლის არქეოლოგიური შესწავლა ამ წესის არსებობის ერთ-ერთი ყველაზე ძველ ნიმუშზე მიგვითითებს. მაზარაში შეხვეული დავით გარეჯელის ნეშტი, ისე როგორც მისი სამარხი ნაგებობის ტექნიკური მახასიათებლები, მნიშვნელოვან სურათს გვაძლევს ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში მიცვალებული დასაფლავების წესისა და საფლავის ატრიბუციის განსაზღვრისათვის.

გარეჯის არქეოლოგიაში, რომელიც გვთავაზობს ბევრ საინტერესო მასალას ბერმონაზონთა საყოფაცხოვრებო ურთიერთობის შესახებ, არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ეხება განათების პრობლემას ანუ ღამის სანათის მოწყობილობასა და ენერჯის წყაროს, რითაც ამ პრობლემის მოგვარება იყო შესაძლებელი.

სავსებით ცხადია, რომ სანთელი არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება, რომლითაც სასულიერო და საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობები ნათდება, მაგრამ მასშტაბი მოთხოვნილებისა გაცილებით დიდი იყო და მხოლოდ სანთლის გამოყენება ვერ დააკმაყოფილებდა ამ მოთხოვნილებას. ამიტომ ადამიანს ადრიდანვე მიუმართავს განათების სხვა საშუალებათა და პატრუქიანი ქრაქი არის ერთი ყველაზე გავრცელებული სანათი საშუალება, რომელიც ოდითგანვე გამოუყენებიათ. სანათთა ფუნქციიდან გამომდინარე, ქრაქების ქრონოლოგიური და გეოგრაფიული არეალი ფართოა. მათ ვხვდებით კაცობრიობის განვითარების ისტორიის თითქმის ყველა პერიოდში (ზედა პალეოლითიდან დღემდე) და მსოფლიოს ყველა კუთხეში. უძველესი სანათები ნაპოვნია პალეოლითურ მღვიმეებში. საქართველოს ანტიკურ, ელინისტურ, ადრეული თუ შუაფეოდალური ხანის არქეოლოგიურ მონაპოვრებში (ხოზი, ვანი, ვარსიმაანთკარი, ბეშთაშენი, მცხეთა, დუშეთი, მუხათგვერდი, წალკა, ნეკრესი და სხვა) გვხვება ქრაქების უამრავი ეგზემპლარი, დამზადებული, როგორც ბრინჯაოს ასევე თიხისაგან. მათი ტიპური ნიმუშებია: ჯამისებური, სასმისისებური, ლამბაქისებური, ჩაიდნისებური, სანვავად გამოყენებული იყო სხვადასხვა სახის ზეთები და ზოგიერთ შემთხვევაში ნავთობპროდუქტი (ჩარკვიანი <http://saunje.ge/index.php?id=1529&lang=ka>).

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს გარეჯში აღმოჩენილი პატრუქიანი ტიპის ქრაქები, რომლებშიც სანვავად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნავთობი. რაც დაადასტურა ამ ნივთებში ჩარჩენილი შიგთავსის ქიმიურმა ანალიზმა.

ივრისპირის ქვაბებში აღმოჩენილი ეს ექსპონატები ფართო არქეოლოგიურ დიაპაზონში უნდა ყოფილიყო გავრცელებული (VI-XIII სს), ხოლო მათში მიკვლეული შიგთავსის ნაშთი წარმოადგენდა ნავთობის გამხმარ ფრაქციას (თვალჭრელიძე, ქებულაძე, 2000: 18). ცნობილია რომ ნავთობის გამოყენება სანათ საშუალებად მიღებული იყო ძველ სამყაროში. საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოში კი მისი წარმოებისა და ექსპორტის შესახებ ცნობებს გვანვდის XIII საუკუნის იტალიელი მოგზაური მარკო პოლო, ქართული ნავთობის არსებობას ადასტურებენ ბატონიშვილი ვახუშტი, სულხა-საბა ორბელიანი, თეიმურაზ ბატონიშვილი, გიულდენშტედტი და სხვები. საინტერესოა რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ნავთობს გამოიყენებდნენ არა მხოლოდ სანათ საშუალებად, არამედ სანერადაც. გარე კახეთის გეოლოგიურ შრე-

ბიდან ამჟამადაც არა ერთ ადგილას ამოედინება ნავთობის ბლანტი მასა და შეუძლებელია ამავე რეგიონში მდებარე სამონასტრო კორპორაციის წარმომადგენლებს, არ შეემჩნიათ, არ მოეპიებინათ და თავიანთი საჭიროებისათვის არ გამოეყენებიათ მათთვის ასე ხელმისაწვდომი და იაფი ენერგორესურსი, სწორედ ამ ფაქტის კონსტატაციას ახდენს ივრისპირის ქვაბებში მიკვლეული ჭრაქის შიგთავსის გამოკვლევა.

არქეოლოგ ბ. მჭედლიშვილის მიერ აღმოჩენილი ეს ჭრაქები მიეკუთვნებიან ე.წ. ლულიანი ჭრაქების ტიპს (მჭედლიშვილი, 1977: 161), რომელიც სავსებით მოხერხებული იყო ნავთობის სანვავად. „ქვაბების მონასტრის ყოფაში, ისტორიული კახეთის ტერიტორიაზე მოპოებული ნავთობის სანვავ-გასანათებელ საშუალებად გამოეყენების ფაქტი, წარმოადგენს ნივთიერ დასაბუთებაზე დამყარებულ, ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულ (IX-X) არქეოლოგიურ აღმოჩენას საქართველოში (თვალჭრელიძე, ქებულაძე, 2000: 21). ამჟამად ძნელი დასადგენია თუ რა მასშტაბის გავრცელება ჰქონდა, სანათ საშუალებად, ნავთობის გამოყენებას გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსებში, მაგრამ ივრისპირის ქვაბების აღმოჩენა უეჭველს ხდის ნავთობის მოხმარების ფაქტს და ეს სავსებით საკმარისი რეალურად წარმოვიდგინოთ ის ეკონომიკური ეფექტი, რაც ამ იაფ ენერგორესურს უნდა მოეტანა მონასტრის კრებულისათვის.

Archeological artefacts of material culture in Gareji

Summary

In the study of the social nature of the Gareji monastery complexes archaeological materials are very important. From this point of view, the Natlismcemeli and David Lavra complexes are most well researched. Archaeological Excavations, which took place over the years in Natlismcemeli and Lavra, gave us a wide range of monastic life, which is almost typical for all the great centers in Gareji. The archeological study of these monuments gave us more exact chronology and typology, there were revealed many artefacts that reveal the intense nature of the economic processes. Generally, the Archaeological Study of Gareji will present the social nature of the monastery complexes, which is distinguished by symbiotic nature. In this process there are harmoniously combined the service of God and labor culture as a necessary condition for the successful existence of monastic life.

დამონშებული ლიტერატურა:

ათანასე ალექსანდრიელი, ცხოვრება წმიდისა ანტონისი, თსუ „შრომები“ XII, თბ., 1970.

ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1965.

ბახტაძე ნ., კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში, თბ., 2007.

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. I, თბ., 1964.

ბოჭორიშვილი ლ., ქართული კერამიკა, თბ., 1949.

გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVIII სს. გამოსაცემად მოამზადეს დოდო ლომიძემ, მანანა ჭუმბურიძემ და ზაზა სხირტლაძემ, ნ. 1-2, თბ., 2008.

გაფრინდაშვილი გ., გარეჯი, თბ., 1987.

თვალჭრელიძე ზ., წმ.იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, თბ., 2010.

თვალჭრელიძე ზ., გარეჯის სამონასტრო ცხოვრების განვითარების ეტაპები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, კრებულში: სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში, გარეჯის კვლევის ცენტრის შრომები, II, 2001.

თვალჭრელიძე ზ., ქებულაძე ნ., გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის ახალი ასპექტი, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, N2 (109), 2000.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. VIII, თბ., 1988.

ლეონტი მროველი, მეფეთა ცხოვრება, წიგნში-ქართული მწერლობა, ტ. I., თბ., 1978.

მაისურაძე ზ., ქართული მხატვრული კერამიკა XI-XIII სს. თბ., 1953.

მირიანაშვილი ლ., გარეჯის ადრეული მონასტიციზმი და ჩიჩხიტურის ზოსიმე-პიმენის კერძო სამლოცველოს მოხატულობის პროგრამა, როგორც ბერული ცხოვრების არსის ანარეკლი, კრებულში ANALECTA IBERIKA, თბ., 2001.

მინიშვილი მ., მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XIII სს.თბ., 1969.

მჭედლიშვილი ბ., ივრისპირის ქვაბების არქეოლოგიური დაზვერვები, საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები V, თბ., 1977.

ნადირაძე ე., საქართველოს მემორიალური კულტურა, თბ., 2001.

ნადირაძე ე., საქართველოს ზოომორფული ძეგლები, თბ., 1996.

სხირტლაძე ზ., თვალჭრელიძე ზ., აბაშიძე ქ., ბერიძე თ., დადიანი ნ., კიკნაძე მ., წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი, თბ., 2006.

სხირტლაძე ზ. ქვითხურო ბერის ფრესკა, ჟურნ.საქართველოს საპატრიარქო, N 1, 1991.

საქართველოს სიძველენი 7-8, თბ., 2005.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნ.3, თბ., 1971.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნ.1, თბ., 1963.

წმ. გრიგოლ პალამა, აღსარება მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, წიგნში – სიჭყვა მართლისა სარწმუნოებისა ტ. II, თბ., 1991.

ჩარკვიანი მ., სანათები <http://saunje.ge/index.php?id=1529&lang=ka>

Чубинашвили Д. Решерные моннастыри Давид – Гареджы, ТБ., 1948.

Voobus Arthur, Early Monasticism in Mesopotamia and Siria, 1960.

Ризван Гусейнов

доцент ЮНЕСКО, старший научный сотрудник
Института права и прав человека НАНА,
директор Центра истории Кавказа

**Уникальные дворцовые постройки V-IV вв. до н.э. в
Гараджамирли (Азербайджан).**

Синтез древнего наследия Скифии, Мидии и Ахеменидов

ВСТУПЛЕНИЕ

Несколько лет привлекают внимание международной общественности и научных кругов проводимые на северо-западе Азербайджана в селе Гараджамирли Шамкирского района археологические раскопки уникальных дворцовых построек, датируемых V-IV вв. до н.э. Международные археологические экспедиции (Азербайджан-Германия-Грузия) во время раскопок в 2006-2016 гг. обнаружили на северо-западе Азербайджана в селе Гараджамирли Шамкирского района уникальные артефакты и дворцовые постройки, самым древним, из которых около 2500 лет. Частично раскопан дворцовый комплекс, который по своим размерам превышает даже дворцы Ахеменидской империи в Иране и фактически является самым масштабным архитектурным строением того периода. Найденный в Азербайджане дворцовый комплекс является уникальным для всей истории Древнего мира. В общей сложности на Кавказе найдено несколько подобного рода дворцовых построек значительно меньшего размера, которые в частности выполняли роль гарнизонов для противостояния воинственным кочевникам – скифам и сакам. Масштаб найденного в Гараджамирли дворцового комплекса, говорит о значимости этого региона Азербайджана в Древнем Мире (Бабаев, <http://shamkir-archeo.az>).

Несомненно, что данные находки на территории Азербайджана привлекли к нашей стране и ее истории внимание зарубежных научных кругов, в связи с чем возникла необходимость тщательно изучить роль обнаруженных построек и археологических находок в истории Древнего Мира.

МАСШТАБ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ НАХОДОК И ВНИМАНИЕ К НИМ

Спустя некоторое время, в азербайджанской прессе прошла информация о том, что при раскопках в Гараджамирли найдены клинописи, однако выяснилось, что ничего подобного не произошло. Ныне покойный, руководитель раскопок известный археолог, член-корреспондент Национальной академии наук Азербайджана Ильяс Бабаев (1935-2017 гг.) тогда опроверг эти слухи и сказал, что никаких надписей не найдено, но они надеются их найти (Находки, <http://news.day.az>). Ученые международной археологической экспедиции, проводившие раскопки в Гараджамирли, относительно Ахеменидской державы отмечают: „В этой империи сложилась особая культура, отражающая достижения всех народов, входивших в ее состав. Это особенно ярко прослеживается в строительном деле. Письменные источники свидетельствуют об участии египтян, греков, вавилонцев и представителей других народов в строительстве монументальных сооружений Ахеменидов. Поэтому культуру Ахеменидского Ирана целесообразно считать общей культурой многих народов, объединенных под единой властью в составе одной огромной империи“ (Бабаев, Кнаусс, Гагошидзе, 2013: 148-150).

Предварительные результаты позволили международной археологической группе предположить, что там находилась центральная часть целого комплекса, являвшаяся местом жительства верховного сановника. Более значительные фрагменты построек, найденные в окрестностях, и геофизические исследования показали, что здесь в ахеменидский период находился целый архитектурный ансамбль, наиболее крупный комплекс (порядка 1000 кв. м) предэллинистического периода на Кавказе. Более того, вокруг этого комплекса на различном расстоянии в радиусе 20-23 гектаров находятся остатки иных построек, что говорит о существовании здесь крупного города. Подобных масштабных дворцовых построек нет на всем Кавказе и найденные в Армении и Грузии останки строений не идут в сравнение с находками в Азербайджане. Более того, остатки найденного дворца поражают своими размерами и могут соперничать с постройками таких прославленных городов как древние столицы Ахеменидской державы города Пасаргады и Персеполь, город Сузы. Древнее поселение, рас-

полагавшееся на этой территории, предположительно существовало на протяжении 220 лет – с 550 по 330 до н.э.

Основательные раскопки дворца в Гараджамирли ведутся уже 10 лет, за этот период обнаружен парадный вход с караулкой, сам дворец, образованный портиками и колоннами (пропилеи), а также уходящая на север и юг внешняя ограда. Исследования выявили, что стены дворца были покрыты толстым слоем белого гипса. Крыша сделана из камыша и земли. Основание и верх колон изготовлены из белого камня, а сами колонны были деревянными, покрытыми красной штукатуркой. При раскопках дворца нашли керамические сосуды, стеклянные чаши и часть керамического слива для воды (водоотвод). На отдельных фрагментах слива обнаружили два знака, однако не удалось понять или расшифровать их смысл. Судя по археологическим находкам, дворец просуществовал около 200 лет, а после был заброшен и долгое время стоял пустой. Археологи считают, что все ценные вещи были собраны и вывезены из дворца заранее, после того как держава Ахеменидов прекратила своё существование в 331 г. до н.э. Затем в залах дворца поселились местные правители, о чём свидетельствуют находки столовой посуды местного производства. Начиная со II века до н.э. постройки пришли в полное запустение, люди выламывали камень из остатков дворца для строительства жилых домов.

Руководитель раскопок И.Бабаев отмечал, что до сих пор найдено несколько десятков ападан (баз постаменты на которых стояли колонны). Из них 4 ападаны раскопаны в этом году, 2 из них непонятного типа не имеющего отношения к Ахеменидам. А вообще во дворце использовалось три типа ападан, значительная часть, которых пока не причислена к какой-либо культуре. Однако при рассмотрении можно заметить, что многие ападаны имеют сильно выраженное мидийское влияние, а также элементы, широко распространенные в разных культурах Древнего Мира. Сравнить ападаны ахеменидского периода с другими можно на основе исследований советских востоковедов. (Всеобщая, 1944: 150-152).

По мнению азербайджанского ученого Аббаса Исламова, пока не следует утверждать, что дворец в Гараджамирли построен Ахеменидами, поскольку есть сомнения в том, что в этот период Ахеменидское государство имело сатрапии выше реки Араз, хотя и смогло на некоторый период подчинить здесь некоторые территории. По мнению ученого использование сырцового кирпича, деревянных колонн, камышовой и земляной кры-

ши, указывают на присутствие некоей местной строительной культуры. По словам А.Исламова должны быть очень веские и достоверные исторические сведения, чтобы утверждать, что этот дворцовый комплекс относится именно к Ахеменидскому государству. Если археологи ссылаются на дизайн ападан (постамент), исполненного в ахеменидском стиле, то это не может считаться основанием для датировки и принадлежности к Ахеменидам, потому, что постамент мог быть изготовлен в другом месте и привезен, или изготовлен местными мастерами, копировавшими ахеменидский стиль, или сделан приезжим мастером. Эту догадку подтверждает тот факт, что согласно выводам самих же археологов, некоторые из ападан (баз для колонн) ахеменидского стиля найденных на раскопках в Гараджамирли не находились на своем первоначальном месте или же доставлены с других мест. Тогда как ападаны, которые не в ахеменидском стиле – найдены на своем изначальном месте при раскопках дворца.

По словам И.Бабаева за эти годы не раскопано и 20% территории дворца, поэтому он ожидает в будущем новые открытия, в первую очередь надеется на обнаружение надписей или клинописных табличек. Часть ученых, в том числе зарубежных считает, что дворцовые постройки в Гараджамирли относятся к Ахеменидской империи и являлись центром одной из сатрапий этой империи. Однако твердо об этом говорить еще не приходится, поскольку элементы архитектуры и узоры могут относиться как к ахеменидскому периоду, также к мидийскому или же иным имевшим распространение в тот древний период. Более того, пока нет логичного объяснения гипотезе о том, что дворцовый комплекс в Гараджамирли был разрушен также, как и столица Ахеменидской державы город Персеполис в период Александра Македонского. Историческая наука утверждает, что Александр Македонский и его войска не проходили по Кавказу. Однако есть различные средневековые источники, которые рассказывают о походах Искандера Зуль-Карнайна (которого считают Александром Македонским) на Кавказе. До сих пор идут споры о том насколько верно отождествлять Александра Македонского с Искандером Зуль-Карнайном, который возможно был другой исторической личностью во многом схожей с А.Македонским. В современной исторической науке уже сложилась традиция считать их одной личностью.

АЛЕКСАНДР МАКЕДОНСКИЙ ИЛИ ИСКАНДЕР ЗУЛЬ-КАРНАЙН?

Следует отметить, что Искандер Зуль-Карнайн упоминается в Коране как великий праведник и полководец, который воевал с язычниками и распространял Единобожие (монотеизм) (Коран, 18/83-98). Многие исламские богословы, в том числе знаменитый мусульманский ученый XIV века Ибн Касир (1301-1373) отмечал, что трактующие „Зуль-Карнайна“ как „Александра Великого“ допускают большую ошибку, поскольку это разные личности (Исмаил, 2002: 196). Этому мнению придерживаются и другие ученые (Омар Фарук Харман, 1997: 598-599). Также в пользу того, что это не Александр Македонский говорит то, что мусульманские историки, такие как Ат-Табари, Куртуби, Ибн Асир указывают, что Зуль-Карнайн жил во времена пророка Ибрагима и ездил с ним в хадж (<http://www.islam.ru/content/person/41988>).

Великий азербайджанский поэт и мыслитель Низами Гянджеви (1141–1209 гг.) посвятил свое произведение „Искандер-наме“ этому великому полководцу древности и его походам на Кавказ. Весьма интересные события описаны и в древнегрузинских источниках. Грузинский источник „Картлис Цховреба“ („Житие Картли“) (Картлис цховреба, 2008), является началом всех известных списков свода древнегрузинских летописей, сведенных в единую книгу между XII и XIV веками.

Повествование начинается с рассказа о приходе в Грузию Александра Македонского. Однако, как об этом можно судить при помощи данных самой хроники, конец IV в. до н. э. – отнюдь не исходная точка истории Грузии. В „Картлис Цховреба“ отмечается, что до прихода Александра (IV в. до н. э.) на территории центральной Грузии местное население здесь жило под властью неких бунтюрков. Согласно этому древнегрузинскому источнику, бунтюрки правили здесь ранее IV в. до н.э. „Картлис цховреба“ подробно рассказывает об Адарбадагане (Азербайджане – Р.Г.). Описываются расположенные по берегам реки Куры города, крепости и поселения бунтюрков и хоннов (некоторые историки считают их гуннами – воинственным кочевым народом, издревле заселившим широкие просторы Азии, Европы – в том числе и Кавказа). Отметим, что найденный в Гараджамирли дворцовый комплекс и другие постройки, как раз-таки находятся недалеко от реки Куры.

Грузинские источники считают хоннов одним из племен, отделившихся от халдеев (вавилонцев или мидийцев). Отметим, что Ахеменидская

держава появилась на осколках Мидии, завоевав которую ахеменидские правители – прямые потомки мидийских царей смогли укрепить свою власть в Передней Азии и частично на Кавказе. Общеизвестно, что Мидию создали различные кочевые племена, которые со конца второго – начала первого тысячелетия до н.э. заселили и завоевали обширные территории Передней Азии и части Кавказа. Отметим, что согласно грузинскому летописцу XI века Л.Мровели, одним из языков на котором говорили хонны был хазарский (Мровели Леонти, 1979: 27-28). В главе „Нашествие хазар“, описывается приход этого воинственного кочевого народа через Дербент у Каспия и причерноморские пути на Кавказ. Хазары захватили большую часть Кавказа и значительные части Передней Азии подчинив здесь всех царей и проживающие народы. Все эти события произошли еще за много веков до появления Александра Македонского (Мровели Леонти, 1979: 25-28). То есть издревле на Кавказе жили хазары, бунтюрки, хонны и другие народы, ведущие как оседлый, так и кочевой образ жизни.

Приведем некоторые цитаты из грузинских источников о походе Александра Македонского на Кавказ и его борьбы в бунтюрками и хоннами, жившими в крепостях у реки Куры:

„[ГЛАВА I]

Когда царь Александр обратил в бегство потомков Лота и оттеснил их в полуночную страну, тогда [он] впервые увидел свирепья племена бунтюрков, живших по течению Куры в четырех городах с их предместьями. [Это были]: город Саркине, [город] Каспи, [город] Урбниси и [город] Одзрахе, и крепости их: большая крепость Саркине, правительские крепости Каспи, Урбниси, Одзрахе“ (Мокцеваи Картлисаи, 1989: 9).

„И, видя этих насельников вокруг той реки Куры, жестокие языческие племена, каковых мы называем бунтюрками 85а и кипчаками, дался диву Александр, ибо никакое из племен не творило [ничего] подобного 85. Возжелал он изринуть их из городов тех, но в ту пору не осилил, ибо нашел их крепости сильными и города мощными“ (Мровели Леонти, 1979: 28-29).

По мнению грузинского академика Е. С. Такайшвили (Такайшвили) слово „Цихе-диди“ обозначает „крепость большая“, а „Уплис-цихе“ – „правительская крепость (Мровели Леонти, 1979: 34). По мнению другого грузинского ученого Н. А. Бердзенишвили (Мровели Леонти, 1979: 332). Цихе-диди (крепость большая), Уплис-цихе (правительская крепость) как названия главных крепостей использовались в разных местах для обозна-

чения важных крепостных сооружений. А много позднее, эти названия закрепляются за какими-то конкретными пунктами и превращаются в имена собственные.

Согласно грузинским источникам в итоге Александр Македонский смог захватить и разрушить города бунтюрков и других народов, расположенные по реке Кура на территории Грузии и дальше на Востоке в Азербайджане. „Картлис цховреба“ описывает тяжелые битвы завоевателя Александра Македонского (356-323 гг. до н. э.) в регионе: „Увидевши этот свирепый языческий народ, которого мы называем бунтурками и кипчаками, Александр, осевший у реки (Куры) вдоль её изгиба, удивился, потому что никакой другой народ не делал этого“ (Картлис цховреба, 2008: 20).

При этом отмечается, что им помогали кочевые воинственные племена, отколовшиеся от халдеев (вавилонян) основавших в Месопотамии Нововавилонское царство, существовавшее в период с 626 по 539 гг. до н. э. Халдейская династия правила в Вавилоне, также халдеи составляли значительную часть религиозной верхушки в Мидии (670 до н. э. – 550 до н. э.). Затем появились Ахемениды, которые свергнув халдейскую династию в Вавилоне и захватив Мидию создали Ахеменидскую державу. Но еще долго Ахемениды себя связывали с халдеями и мидянами, тем самым давая понять, что являются потомками этих великих народов.

Поэтому в „Картлис цховреба“ под „халдеями“ подразумеваются вавилоняне, мидяне и персы. Весьма примечательным в этом отношении являются наблюдения грузинского ученого К. С. Кекелидзе, который заметил, что в памятниках древнегрузинской литературы древний Иран часто упоминается как страна вавилонян или же халдейцев (Кекелидзе, 1958: 269). Также в древнегрузинских источниках приводится поход вавилонских и иранских правителей в Азербайджан и их долгая борьба с тюрками:

„... Неброт (Нимрод – основатель Вавилонского царства, приб. XX в. до н.э. – Р.Г.) подступил к земле Адарбадагана и расположился там...“ (Картлис цховреба, 2008: 14).

„Но когда Спандиат пришел в Адарбадаган, его настигла весть от персов, что дед его убит турками и что турки вторглись в пределы Персии...“

„...Кекапос царь персов, ибо стал воевать с турками ... Спустя несколько лет после этого Кекапос (Кей-Кавус – царь древнего Ирана, некоторые ученые считают, что жил в VIII в. до н.э.- Р.Г.), царь персидский, лишился

покоя, потому что начал войну с турками царь Кайхосро (царь Кей-Хосров – сын Кей- Кавуса – Р.Г.) опять лишился покоя, потому что начал воевать против турок...” (Картлис цховреба, 2008: 19-20).

Как мы видим, в древнегрузинских источниках упоминаются, как бунтюрки, так и родственные им гунны (һонны), и становится ясно, что тюрки в течение многих веков еще до н.э. жили на Южном Кавказе. Грузинские составители труда „Памятники грузинской исторической литературы“ отмечают, что: „относительно бунтюрков в современной специальной литературе предпочтение отдается интерпретации, предложенной академиком М.Броссе, по которой указанный этноним следует понимать, как „коренные, истинные тюрки“ (Brosset, 1849: 30-33; Меликишвили, 2012: 572; Меликишвили 1959: 125; Джанашиа, 1986: 96). По мнению ученых, слово „бун“ есть искаженное слово „бану“ взятое из персидского и тюркского языка. Эта версия, подтверждается и тем, что в тюркских языках слово „бану“ значит „настоящий/истинный“ (не путать с арабским словом „бану“ – госпожа).

„Слово „бун“ также имеет значение „оседлость“ – мквидри (Абуладзе, 1973: 37). Дело в том, что бунтюрки жили как в крепостях, так и вели кочевой образ жизни. Во второй половине V века, когда было составлено „Обращение Грузии“, где упоминается кочевой образ жизни этих народов (Еремеев, 1971: 53). Для полноты сообщения о бунтюрках можно указать и работу М.Сейидова „Опыт этимологического анализа слова Бунтюрки/ Бунтюрки“ (Сейидов, 1969: 91-93).

СКИФСКИЕ НЕКРОПОЛИ И ЗАХОРОНЕНИЯ В ГАРАДЖАМИРЛИ

Отметим, что немецкие археологи на других участках в Гараджамирли находят древние захоронения и целые некрополи. В частности, мы стали свидетелями того как немецкий археолог Мартин Грувер раскопал здесь уникальное захоронение периода раннего железного века (сер. 1 тыс. до н.э.). В захоронении обнаружена молодая девушка, лежащая на левом боку, почти калачиком со сжатыми конечностями и с глиняным кувшином в вытянутой левой руке. Немецкий археолог обнаруживший это захоронение, отметил его уникальность и сказал, что все находки будут собраны и отправлены для изучения зарубеж. Раскопки здесь немецкими археологами будут проводиться еще несколько лет. По словам азербайджанских

археологов, найденные скелеты покажут зарубежному антропологу или же обратно закопают на место – в стране нет антропологов и поэтому ждут из-за рубежа. Однако в Азербайджане все-таки антропологи есть и немного странно, что их не привлекают к изучению скелетов из некрополя в Гараджамирли. Тем более, что обнаруженные захоронения, в том числе девушки с кувшином, характерны для курганных погребений и некрополей скифов, саков и других кочевых тюркских народов древности. Подобного рода и формы захоронения обнаружены в сотнях и сотнях курганов и некрополей в Центральной Азии, Передней и Малой Азии, Кавказе, Причерноморье, Украине, юге России и Европы (Материалы, 1963: 109, 195, 203; Патокова, 1989: 56-68; Абибуллаев, 1982: 45-49; Ковалева, Болебрух, Костенко, 1981: 21-31; Известия 1955: 38-40; Археологические, 2007: 90; Кушнарева, 1994: 181; Герасимов, 2013: 124-125).

О роли и влиянии скифов на историю и политику древнего и затем античного мира пишет большое количество древних авторов, на труды которых ссылаются ученые, принимающие участие в раскопках в Гараджамирли (Труды, 2012: 76-84). В VII-IV вв. до н.э. в период скифских походов и расселения на Кавказе, Ближнем и Среднем Востоке происходили большие политические события. О скифах и их походе на Юг подробно сообщил Геродот, который даже совершил путешествие в Скифию, побывал на местах, где происходили интересующие его события. Поэтому его сведения считаются более достоверными (Рыбаков, 1971: 63-103). У Геродота имеются подробнейшие сведения о скифах, Мидии, Персии, Ахеменидах, Греко-персидских войнах и т.д. Согласно Геродоту, скифы вступили в Мидию „оставляя Кавказские горы справа. Здесь-то и произошла битва мидиан со скифами. Мидяне потерпели поражение, и их могущество было сломлено. Скифы же распространили свое владычество по всей Азии“ (The History, 1859: 104). Получается, что это сражение происходило на территории нынешнего Северного Азербайджана. Скифы создали здесь свое царство и, по сведению Геродота, 28 лет продолжалось их владычество. И.М. Дьяконов и все другие исследователи локализируют это государство на территории Азербайджана (Дьяконов, 1956: 281).

О походе скифов на юг и скифском царстве на территории Азербайджана имеется обширнейшая литература. Этому вопросу посвящены отдельные статьи, монографии (Алиев, 1979: 9-14; Халилов, 1971: 183-187; Погребова, 1984). Исследователи считают, что господство скифов продол-

жалось не 28 лет, как пишет Геродот, а около 80 лет (Хазанов, 1975: 220). Геродот пишет, что царь Мидии Киаксар, вынужденный признать власть скифов, однажды пригласил множество скифской знати в гости, мидийцы напоили их и затем перебили. Таким образом, мидийцы восстановили прежнее величие своего государства (The History, 1859: 106). По мнению современных ученых есть вероятность, что это событие происходило в конце VI века до н.э. (около 590-80-ых гг. до н.э.) Эти сведения вкпе с археологическими данными позволяют утверждать, что юго-восточный Кавказ входил в состав Мидийского государства (Бабаев, 2002: 43-44). Также при раскопках в Гараджамирли, археологи пришли к выводу, что поселение и дворцовые постройки здесь существовали задолго до Ахеменидов – как в мидийский, так и в скифский периоды. К тому же, как было отмечено выше, в Гараджамирли на различных участках найдены захоронения и некрополи сходные со скифскими и сакскими.

Ученые трех стран, участвовавшие в раскопках, в своей статье, посвященной ходу раскопок, отмечают, что поселение и дворцовые постройки тут существовали еще до Ахеменидов и после них тоже продолжались использоваться местным населением. В частности, они пишут: „На основе археологических раскопок на „Идеалтепе“ и обследования окрестности, с некоторой долей вероятности, можно прийти к выводу, что в Гараджамирли в середине I тысячелетия до н.э. образовалось большое поселение, которое могло быть административным центром Ахеменидов на Южном Кавказе. Когда в 330 г. до н.э. в результате похода Александра Македонского на Восток Ахеменидская империя перестала существовать, это поселение также потеряло свое значение, как административный центр. Некоторое время ограниченное число людей продолжало жить здесь. Поселение окончательно перестало существовать не позднее III в. до н.э.“ (Бабаев, 2009: 192-195).

ЗАКЛЮЧЕНИЕ

Опираясь на древние источники и многочисленные археологические раскопки, можно прийти к выводу, что дворцовый комплекс, найденный в селе Гараджамирли Шамкирского р-на Азербайджана не следует торопиться причислять сугубо к наследию Ахеменидской империи. Проводимые в Гараджамирли и других участках раскопки, показывают, что этот регион еще задолго до Ахеменидской империи и многие века после нее оставался политическим и торговым центром на Кавказе.

В перспективе есть необходимость выдвинуть найденные в Гараджамирли остатки дворцового комплекса и городских построек для внесения в список объектов всемирного наследия ЮНЕСКО. Однако сперва важно найти финансирование, как для проведения дальнейших масштабных раскопок, так и для сохранения уже раскопанных древних построек. Ведь раскопанные останки построек нуждаются в консервации, что позволит сохранить для науки и будущих поколений этот архитектурный комплекс. Также важным является донести до широких слоев мировой науки и общественности подробную информацию о уникальных археологических находках в Гараджамирли. Затем снять о находках в Гараджамирли научно-публицистический фильм на нескольких языках, выпустить книги, брошюры и провести презентации в научных центрах различных стран.

Ризван Гусейнов

*доцент ЮНЕСКО, старший научный сотрудник
Института права и прав человека НАНА*

Уникальные дворцовые постройки V-IV вв. до н.э. в Гараджамирли (Азербайджан).

Синтез древнего наследия Скифии, Мидии и Ахеменидов

Резюме

Статья посвящена некоторым результатам археологических раскопок на северо-западе Азербайджана в селе Гараджамирли Шамкирского района. Здесь были обнаружены остатки уникальных дворцовых построек, датированных V-IV вв. до н.э., а также большое количество некрополей и различных захоронений. В статье дан сравнительный анализ обнаруженных останков построек, артефактов и захоронений с подобного рода находками в других регионах. Частично раскопанный дворцовый комплекс возрастом 2500 лет по своим размерам фактически является самым масштабным архитектурным строением того периода не только на Кавказе, но и в Передней Азии и соседних регионах. Находка подобного дворцового комплекса в Азербайджане, привлекла внимание ученых из разных стран мира и повлияло на мнение исторической науки о некоторых событиях Древнего Мира.

СПИСОК ИСПОЛЬЗОВАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Абибуллаев О. А. Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР. Баку, 1982.

Абуладзе И. В. Словарь древнегрузинского языка, Тб., 1973.

Алиев И. О скифах и Скифском царстве в Азербайджане. Переднеазиатский сборник, М., 1979.

Археологические вести, Вып. 14, Институт истории материальной культуры (Российская академия наук), 2007.

Бабаев И. (Азербайджан, Баку), Гагошидзе Ю. (Грузия, Тбилиси), Кнаусс Ф. (Германия, Берлин). Материалы Международной научной конференции „Кавказ: Археология и этнология“ (Азербайджан, Шамкир, 11-12 сентября 2008 года). Баку, „Чашыюглы“, 2009.

абаев И., Кнаусс Ф., Гагошидзе Ю. Некоторые итоги и перспективы раскопок дворцовых зданий административного центра V-IV вв. до н.э. вблизи селения Гараджамирли Шамкирского района // Материалы Международной научной конференции „Археология и этнография Азербайджана в период независимости“, посвященной 20-летию создания института (Баку, 10-14 ноября 2013 года). Баку, „Университет Хазар“, 2013.

Бабаев И. О времени установления Мидийско-Ахеменидского господства на Южном Кавказе и отражение его на памятниках материальной культуры этого региона. /Международная научная конференция „Археология (IV) и этнология (III) Кавказа“. Тбилиси, 2002.

Бабаев И. Раскопки дворцовых зданий V-IV вв. До н. Э. Вблизи селения Гараджамирли Шамкирского района. <http://shamkir-archeo.az>

Бердзенишвили Н.А. Вопросы истории Грузии. Материалы из архива автора. Кн. VIII, Тб., 1975 (на груз. яз.)

Всеобщая история архитектуры, Москва: Издательство Академии архитектуры СССР, Том I / Под общей редакцией Д. Е. Аркина, Н. И. Брунова, М. Я. Гинзбурга (главный редактор), Н. Я. Колли, И. Л. Маца.1944.

Герасимов М.М. Основы восстановления лица по черепу, Рипол Классик, 2013.

Джанашиа Н. С. К источникам „Жизни грузинских царей“. // Историко-источниковедческие очерки, Тб., 1986 (на груз. яз)

Дьяконов И.М. История Мидии от древнейших времён до конца IV в. до н.э. М.-Л.: 1956.

Еремеев Д. Е. Этногенез турок. АН СССР: Главная редакция восточной

литературы. Москва: Наука, 1971.

Известия Молдавского филиала Академии Наук СССР, №5, изд-во Shtiintsa, 1955.

Исмаил б. Омар ибн Касир. Тефсир ибн Касира, т. 5, Каир, 2002 (на арабск.).

Картлис цховреба. (История Грузии). Тб., 2008.

Кекелидзе К. С. Заметки из истории древнегрузинской литературы: Итруджан. – В кн.: Этюды по истории древнегрузинской литературы, I, Тб., 1956 (на груз. яз.).

Коран, 18/83-98.

Ковалева И.Ф., Болебрух А.Г., Костенко В.И. Степное Поднепровье в бронзовом и раннем железном веках: сборник научных трудов, ДГУ, 1981.

Кушнарева К.Х. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии, Институт археологии (Российская академия наук), Наука, 1994.

Материалы и исследования по археологии СССР, Выпуск № 109, Институт истории материальной культуры (Академия наук СССР), Институт археологии (Академия наук СССР), Институт археології (Академия наук Української ССР), Изд-во Академии наук СССР, 1963.

Меликишвили Г. А. Бунтюрки. Грузинская советская энциклопедия, т. 2. Тб., 2012.

Меликишвили Г. А. К истории древней Грузии. Тб., 1959.

Мокцеваи Картлисаи (Обращение Грузии). Памятники Грузинской исторической литературы. VII. Перевод с древнегрузинского Такайшвили Е.С. Редакционная обработка, исследование и комментарии Чхартишвили М.С., Тб., 1989.

Мровели Леонти. Жизнь картлийских царей (пер. Г. В. Цулая) М. Наука. 1979.

Находки в Шамкире, которые перевернут историю Древнего мира, <http://news.day.az> – 30 августа 2016.

Омар Фарук Харман. (Хз.) Зулькарнайн. Статья в энциклопедии: İslam'da İnanç İbadet ve Günlük Yaşayış Ansiklopedisi, İlmî Müşavir: İbrahim Kafi Dönmez, İfav Yay. İstanbul, 1997.

Патокова Э.Ф., Петренко В.Г. Памятники трипольской культуры в Северо-Западном Причерноморье, Наук. думка, 1989.

Погребова М.Н. Закавказье и его связи с Передней Азией в скифское время. М., 1984.

Рыбаков Б.А. Геродотова Скифия. М.: Наука, 1979.

Сейидов М.А. „Опыт этимологического анализа слова Бунтурки/ Бунтюрки“ // Доклады АН Азерб. ССР. 1969, т. XXV, № 8.

Труды Международной конференции „Место и роль Кавказской Албании в истории Азербайджана и Кавказа“, посвященной 75-летию член-корреспондента НАНА Ф.Дж.Мамедовой (1-3 декабря 2011г. Баку). Баку, 2012.

Хазанов А.М. Социальная история скифов. М., 1975.

Халилов Дж.А. Археологические находки „скифского“ облика и вопрос о „Скифском царстве“ на территории Азербайджана // Проблемы скифской археологии. М., 1971.

The History of Herodotus, by George Rawlinson, M.A., London, 1859, Book I.



Brosset M. Histoire de la Georgie, St-Petersbourg, partie I, 1849.

Encyclopédie de l'Islam, „Iskandar“, 1960–1998

<http://www.islam.ru/content/person/41988>

Images:





ხელოვნება

მარინე ბოკუჩავა

შუააზიური (ბუხარული) კერამიკა

(ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდში
დაცული მასალის მიხედვით)

შუააზიაში უძველესი დროიდან თანაარსებობდა და ურთიერთ ზეგავლენას ახდენდა ორი კულტურა – მიწათმოქმედებისა და მომთაბარეებისა. ადრეულ შუა საუკუნეებში აქ თურქულ ენოვანმა მოსახლეობამ შემოაღწია, რომელმაც შეავიწროვა ადგილობრივი ირანულენოვანი ხალხი. ამ პერიოდიდან მოყოლებული შუააზიის ერთ ნაწილს „თურქესტანს“ (თურქების ქვეყანა) უწოდებენ. თურქესტანში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ირანულ და თურქულ ენებზე მოლაპარაკე ეთნოსები. ისლამმა, რომელაც შუააზიაში ჯერ კიდევ VIII ს-ში დაიწყო გავრცელება, დიდი გავლენა მოახდინა თურქესტანის მოსახლეობაზე (Пещерева, 1959: 10-15).

შუააზიაში შინამრეწველობის განსაკუთრებით ისეთი დარგებია გავრცელებული, როგორიცაა მეხალიჩეობა, ქარგვა, მეტალის მხატვრული დამუშავება, კერამიკული წარმოება, ხეზე კვეთა და სხვ. მეთუნეობა ხელოსნობისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგია და მისი ნაწარმი მოიცავს, როგორც უტილიტარულ, ისე მხატვრული სფეროს. შუააზიური მეთუნეობა VIII-IX საუკუნეებიდან იღებს სათავეს და განსაკუთრებულ აღმავლობას აღწევს ფერგანის ველზე არსებულ ქალაქებში, სადაც ეს დარგი პროდუქციის წარმოების მხრივ საოჯახო წარმოების საზღვრებს სცილდებოდა. მაგალითად ქალაქ რიშტანში კერამიკულ ნაწარმს მეთუნე ხელოსანთა კორპორაციები აწარმოებდნენ. მათი სახელოსნოები იმდენად ბევრი იყო, რომ მთელ კვარტლებს ქმნიდა (Пещерева, 1959: 45-49). ამ სახელოსნოში ხორციელდებოდა კერამიკული წარმოებისათვის აუცილებელი ყველა პროცესი: თიხის მასისა და საღებავის მომზადება, ნაკეთობის ფორმირება, მოხატვა და შემდეგ გამოწვა. სოფლის საწარმოებში კერამიკული ნაკეთობის დამზადებას ცალკეული ოჯახის წევრები და მათი თანასოფლელები ეწეოდნენ (Фахретдинова, 1972: 30-40).

მეთუნეობა დამზადებული პროდუქცია სხვადასხვა ტიპისა იყო

(თეფშები, ლანგრები, წყლის შესანახი ჭურჭელი, სურები და სხვ.) XV-XVI საუკუნეებში რიშტანთან ერთად მთავარი კერამიკული ცენტრები იყო ბუხარასა და სამარყანდში, ასევე მათ შემოგარენში. ყოველი კერამიკული ცენტრი ლოკალური თავისებურებებით გამოირჩეოდა (შესრულების ორიგინალური ტექნიკა, თავისებური დიზაინი და კოლორირიტი). ზოგადად, შუააზიური კერამიკა ხასიათდება უხეში ფორმებით. იგი შეიძლება იყოს მოჭიქული ან მოუჭიქავი. მოჭიქული გამოირჩევა ხორკლიანი ზედაპირით, რომელიც მსუბუქი ბზარების ბადითაა დაფარული (Пещерева, 1959: 22-23). კერამიკული ჭურჭელი ადგილობრივი თიხისაგან მზადდებოდა. შუააზიაში თიხის საბადოები მრავლად არის. აქ სხვადასხვანაირი თიხა მოიპოვება: ყავისფერი, ნაცრისფერი, ცისფერი და მოთეთრო. თიხის მოპოვებას თვითონ მეთუნეები მისდევდნენ, როგორც წესი, სოფელთან ახლოს. სამეთუნეო ნაწარმის ხარისხი დამოკიდებული იყო თიხის შემადგენლობაზე, მის პლასტიურობაზე, ამ მხრივ თიხა შეიძლება ყოფილიყო „მსუქანი“ და „მჭლე“. ზედმეტად პლასტიკური თიხაც არ ვარგოდა, რადგან გამოწვისას დეფორმაციას განიცდიდა ან ნაპრალებს იკეთებდა. ამის თავიდან ასაცილებლად მსუქან თიხას, საჭირო რაოდენობით, ღარიბი შემადგენლობის თიხას ურევდნენ. დოქებისა და ქოთნების დასამზადებლად უფრო პლასტიკური თიხა იყო საჭირო, თასების, ლანგრებისა და თეფშებისთვის კი ნაკლებად პლასტიკური (Сайко, 1982: 20-25).

თასების, ლანგრებისა და თეფშების დასამზადებლად მეთუნეები თიხაში ლერწმის ღინღლს ურევდნენ. დიდი ზომის ჭურჭლის დასამზადებლად ორი სახის თიხას იყენებდნენ, ერთს – ძირისთვის, მეორეს კი კედლებისთვის. საძირე თიხაში ცხენის ან ვირის ნაკელს ურევდნენ. ასეთი წესით დამზადებული ჭურჭელი გამრობისას არ სკდებოდა. სხვათაშორის პურის ღუმელების გაკეთებისას, თიხაში ცხვრის მატყლის გარევა იცოდნენ, მაგრამ ზომიერება უნდა დაეცვათ, რადგან ზედმეტი მატყლი თიხას ფოროვანს ხდიდა და ნაკეთობას სიმტკიცეს (Сайко, 1982: 42-46). თიხაში მატყლის, ღინღლის ან ნაკელის დამატების ტრადიცია ბევრ ქვეყანაში არსებობს (ერაყსა და სირიაში, მცირე აზიაში, ინდოეთსა და პაკისტანში, აფრიკაში).

ჭურჭლის დამზადება ხდებოდა ხელით და სამეთუნეო დაზგაზე. შუააზიელი მეთუნეები ხშირად მიმართავდნენ ჭურჭლის ანგობირებას – თხევად თიხას ნაუსვამდენ ან შეასხურებდნენ გამოუმწვარ, მშრალ ან გამოუმშრალ თიხის ნაკეთობას. ხშირად თხელ ანგობში თვითონ

კერამიკულ ნაწარმს ამოავლებდნენ. ანგობირებას იყენებდნენ კერამიკულ ნაწარმზე დეფორმირების დასაფარად, ფერის მისაცემად და წყალგაუმტარობის გასაძლიერებლად. გამონვისას თიხის ჭურჭელზე წასმული ანგობი, განსხვავებით ჭიქურისაგან, არ ხდება მინისებრი, არამედ ქმნის უფრო მკვრივ დეკორატიულ ფენას. ანგობს სურვილისამებრ ამზადებდნენ თეთრი ან ფერადი თიხებისაგან (Пещерева, 1959: 50-57).

სიმონ ჯანაშიას სახ. მუზეუმის ფაიფურის ფონდში დაცული კერამიკა ბუხარულია. აღსანიშნავია, რომ ბუხარას და საერთოდ ბუხარის მთელ რეგიონს XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში კერამიკული ნაწარმით გიჟდუვანი ამარაგებდა. გიჟდუვანი რაიონული ცენტრია ბუხარის მახლობლად. მუზეუმის ფაიფურის ფონდში დაცული კერამიკაც სავარაუდოდ გიჟდუვანის კერამიკულ საწარმოებში უნდა იყოს დამზადებული. გიჟდუვანის კერამიკული წარმოება რამოდენიმე ასეულ წელს ითვლის. აქ მეთუნეობას არა მხოლოდ ადგილობრივები, არამედ სხვა რეგიონებიდან ჩამოსულებიც ეუფლებოდნენ. გიჟდუვანის კერამიკა განსაკუთრებული კოლორიტით გამოირჩევა (Пещерева, 1959: 50-57).

ფონდში დაუნჯებულია უზბეკური კერამიკული ჭურჭელის თას-სურის ფორმის ჭურჭელი, რომლის ხელოსნებს კუზაგარლიკები ერქვათ, ხოლო ლანგრების, თეფშების, ფიალებისა და ჯამების მკეთებელთ კოსაგარლიკებს ეძახდნენ (Фахретдинова, 1972: 22-23).

გიჟდუვანის კერამიკის ძირითადი მახასიათებლებია: მომწვანო-მოყავისფრო გამა, დომინირებს ყვითელი მწვანე და ყავისფერი ფერები. მოხატულობა ხშირად იმეორებს უზბეკური ქსოვილების ტრადიციულ ორნამენტებს.

მეთუნეები ძირითადად სუფრისა და საყოფაცხოვრებო ჭურჭელს ამზადებდნენ, მაგრამ პოპულარული იყო თიხის სათამაშოებიც – ცხენები, პატარა ურჩხულები, ჩიტები. განსაკუთრებით მოსწონდათ სათამაშო ურჩხულები. ეს ალბათ ჩინური ზეგავლენით შეიძლება აიხსნას – შუააზიაზე გადიოდა დიდი აბრეშუმის გზა და აქ ბევრი ჩინური საქონელი, მათ შორის ფაიფური შემოდიოდა. სათამაშო ფიგურებს ბუნებრივი მცენარეული საღებავებით უმეტესად წითლად, მწვანედ ან მუქ ყავისფრად ლებავდნენ.

როგორც ცნობილია, კერამიკის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ნაკეთობის მოჭიქვაა. XIX ს-ის

ბოლოსა და XXს-ის დასაწყისში შუააზიელი მეთუნეები იყენებდნენ შედარებით ადვილად დნობად ტყვიისა და ტუტე ანუ პოტაშიან ჭიქურებს. ამ უკანასკნელს სხვადასხვა მცენარის გამოყენებით მოიპოვებდნენ. ტყვიის ჭიქურს უპირატესობას აძლევდნენ, რადგან ადვილად მოსამზადებელია და ტყვიაც იაფი ღირდა. ტყვიის ჭიქურის შემადგენლობა ძირითადად ასეთი იყო: ძირითადი კომპონენტები ტყვიის გარდა – კვარცის ქვიშა, თიხა, მინდვრის შპატი და ფქვილის ნებო (Сайко, 1963: 32-35).

შუააზიელი მეთუნეები ჭიქურს ორნაირად ამზადებდნენ: 1. ჭიქურის შემადგენელ კომპონენტებს წინასწარ გამონვავდნენ, შემდეგ სპეციალურ ხელსაფქვაში დაფქვავდნენ, წყალში გახსნიდნენ და შემდეგ ჭურჭლის ზედაპირზე დაიტანდნენ. 2. ჭიქურის შემადგენელ ნივთიერებებს პირდაპირ, გამონვის გარეშე დაფქვავდნენ, შემდეგ წყალში გახსნიდნენ და წაუსვამდნენ ჭურჭელს. წყლის ხარისხს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა – წყალი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ჭიქურის შემადგენელი ყველა კომპონენტი მაქსიმალურად გახსნილიყო. ჭიქურის დასამზადებელ კომპონენტებს როგორც წესი ადგილზე მოიპოვებდნენ. ჭიქური ორნაირი იყო გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე. გამჭვირვალეს საფოლს ეძახოდნენ, გაუმჭვირვალეს – ჩინის (Сайко, 1963: 40-43).

ბუხარული კერამიკა (იგულისხმება გიჟდუვანში დამზადებული) ძირითადად ყავისფერ, ყვითელ, წითელ, მწვანე ლურჯ ფერებშია გადანყვეტილი. დომინირებს ყვითელი მწვანე და ყავისფერი. მოხატულობა ხშირად იმეორებს უზბეკური ქსოვილების პოპულარულ ორნამენტებს.

საღებავები იყო ჭიქურქვედა და ჭიქურზედა. ძირითადი ჭიქურქვედა საღებავები, რომლებსაც შუააზიელი მეთუნეები იყენებდნენ, იყო სხვადასხვა სახეობის თეთრი თიხები და მეტალის ჟანგები. საღებავებს თავად კერამიკოსები ამზადებდნენ ადგილობრივი ნედლეულით ან კოკანდელ (ქალაქი უზბეკეთში) ვაჭრებისაგან ყიდულობდნენ. ასევე იყენებდნენ მარგანეცს, რომელსაც ალტაის მთებში მოიპოვებდნენ მენამულ. ასეთი კომპონენტების შერევით იღებდნენ იისფერ და მუქ ყავისფერ საღებავებს. წითლის და ნაბლისფრის მისაღებად რკინის შემცველ თიხას იყენებდნენ. ყვითელი საღებავი სურმის შემცველი მთის ქანისაგან მიიღებოდა. მწვანე სპილენძის ჟანგისაგან მზადდებოდა. ლაჟვარდისგან (ცისფერი, ნახევრად ძვირფასი ქვა), რომელიც მთიანი ბადახშიდან (პამირის მთიანეთი) მოჰქონდათ სხვადასხვა ელფერის

ლურჯი და ფირუზისფერი საღებავი გამოდიოდა (Сайко, 1969: 50).

შუააზიური მოჭიქული კერამიკა მოხატულობის კოლორიტის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: კერამიკა რომელის დეკორში გამოყენებულია ლურჯი, თეთრი და ცისფერი საღებავები და კერამიკა, რომლის მოხატულობა შესრულებულია ყავისფერ, მწვანე და ყვითელი ფერებით. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ხორეზმისა და ფერგანის კერამიკა, მეორე ჯგუფს კი ბუხარისა და სამარაყანდის. თუმცა ეს დაყოფა პირობითია, რადგან ბუხარულ და სამარაყანდულ ქურჭელზე ხშირად ვხვდებით ლურჯს, თეთრსა და ცისფერს.

მოხატულობის თემატიკით, შუააზიური კერამიკა არ არის ერთგვაროვანი. ხორეზმისა და ფერგანის კერამიკა ხასიათდება სკულპტურული ფორმებით, აბსტრაქტულ-გეომეტრიული ორნამენტით, არაბესკებით (რთული აღმოსავლური ორნამენტი, რომელიც შედგება გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტისაგან და ხშირად კალიგრაფიულ ელემენტებსაც შეიცავს (Сайко, 1982: 12-15).

ბუხარულ და საერთოდ, შუააზიურ კერამიკაზე ხშირად ვხვდებით ყვავილებს, როზეტებს, პალმეტებსა და დოქებს. დიდი ბადიები ზოგჯერ მოხატულია შტრიხებით, რომლებიც სინამდვილეში დანებისა და თოფების ილუზიას ქმნის. ამ ორნამენტს ავი სულეებისაგან დასაცავად გამოხატავდნენ (Пещерева, 1959: 25).

შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად შუააზიური კერამიკის მოხატულობა ოდნავ გულუბრყვილო მანერაშია შესრულებული. მოხატულობის ელემენტები თავისუფლადაა მიმოფანტული ნივთზე და არ ქმნის რთულ კომპოზიციებს.

ბუხარული ლანგრებისა და თეფშების მოხატულობის კომპოზიცია, როგორც წესი, შედგება ცენტრალური ნაწილისა და მის გარშემო არსებული ორნამენტისაგან. ლანგრებს ნაპირებზე შემოვლებული აქვს ჯერ ვიწრო არშია, შემდეგ უფრო ფართო, რომელიც ნახატებითაა შემკული, ეს არის ტალღისებური ხაზები, ყვავილებიანი ყლორტები, გეომეტრიული ორნამენტი, დაკლაკნილი ან სწორი ხაზები, რომბები, ირიბი ჯვრები, ნერტილები და სხვ. განსაკუთრებით ხშირად გამოსახვენ ნუშის ყვავილს ბოდომგულს, ყვავილების თაიგულს დასტაგულს და სხვადასხვანაირ როზეტებს.

დეკორში ზოომორფულ თემატიკასაც იყენებდნენ, განსაკუთრებით ხშირად გამოსახავდნენ ფრინველებს. ლანგრებისა და ბადიების ცენტრში ხშირია ფარშევანგის კუდის, არწივის კუდის, ფარშევანგის ფრთის,

თეთრი გედის და ქოტის გამოსახულებები, ზოგ ვარიანტში ფრინველისა და ყვავილის სიმბოლური სურათია მოცემული. ბუხარული კერამიკის მოხატულობა ხშირად იმეორებს უზბეკური ქსოვილების პოპულარულ ორნამენტებსაც.

მოხატვისა და მოჭიქვის შემდეგ ხდებოდა კერამიკული ნაწარმის გამონვა. ჭიქურზედა საღებავებით მოხატული კერამიკა 850 გრადუსზე გამოიწვებოდა, ჭიქურქვედა საღებავებით მოხატულის კი 950-1000 გრადუსზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შეშას. საუკეთესოდ ითვლებოდა საქსაულის, ტირიფის, კონახურისა და ლვიის მასალა (Пещерева, 1959: 82-84).

საინტერესოა მეთუნეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები. განსხვავებით ოქრო-ვერცხლის და სპილენძის ჭურჭლისაგან, კერამიკული ჭურჭელი ღვთის სასურველად ითვლებოდა. შუააზიელებს განსაკუთრებული, მოკრძალებული დამოკიდებულება ჰქონდათ თიხის გამომწვარი ჭურჭლის მიმართ. დღესასწაულებსა და მარხვის პერიოდში აუცილებლად თიხის ჭურჭელს იყენებდნენ. წინაპართა სულების და დევების სიმბოლური კვების დღესაც, ახალი თიხის ჯვამი უნდა გამოეყენებინათ. მიცვალებულის მოსახსენებელი საჭმელი აუცილებლად თიხის ჭურჭელში უნდა მოეთავსებინათ.

თიხისაგან დამზადებული სადღვებელი ისეთივე წმინდად ითვლებოდა, როგორც პური. მასზე დაფიცებაც შეიძლებოდა. კერამიკა ავგაროზის ფუნქციასაც ასრულებდა. ავითვალისაგან და ყოველგვარი უბედურებისაგან დაცვის მიზნით კარმიდამოების კედლებში დიდი ლანგრების ჩამაგრება იცოდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შუააზიურ ჭურჭელზე ხშირად არის გამოსახული ფრთები, მათაც დაცვის ფუნქცია მიენერებოდა. ასეთია ზოგადი სურათი შუააზიური კერამიკისა რომლის გარკვეული ეგზემპლარები თავმოყრილია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდში.

გვსურს მოკლედ შევეხოთ ზოგიერთ მათგანს:

ლანგარი (საინვ.№5-1888) (სურ.1) მოჭიქული, პოლიქრომული მოხატულობით. ცენტრში, ყავისფერ, ოთხკუთხა ფონზე, პალმეტებით (პალმის რტოს მსგავსი სტილიზირებული ორნამენტი) ორი ჯვარია გამოსახული – დიდი და პატარა (დიდი ჯვარი პატარის გაგრძელება). აქვეა მცენარეული ორნამენტიც. ლანგარს ნაპირზე თეთრი და ყავისფერი არწივების გამოსახულება შემოსდევს, რომლებიც ყვავილებს ჰგავს. თანაც ყავისფერი არწივები ფონს წარმოადგენენ თეთრი არ-

ნივებისთვის და პირიქით, თეთრი არწივები ფონია ყავისფერისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ უზბეკური კერამიკის დეკორში ხშირია ფრინველთა გამოსახულებები, რომლებიც ყვავილებს ჰგვანან. ლანგარი ბუხარაში XIX საუკუნეშია დამზადებული. DD-34სმ. დაცულობა – კარგი.

ლანგარი (საინვ.№ 3-1897), (სურ.2) მოჭიქული, შუაში ნაჩვრეგით. პოლიქრომული მოხატულობა (ყავისფერი, მწვანე, თეთრი, ყვითელი). ლანგარის ცენტრში მოყვითალო ყვავილოვანი ორნამენცია, რომელიც მრგვალ ჩარჩოს ქმნის რეზერვით გამოსახული ყვავილისთვის. ყვითელი ჩარჩოს გარშემო კიდევ ერთი მწვანე მცენარეული ჩარჩოა. ცენტრალური მოხატულობის ირგვლივ, ერთმანეთის მონაცვლეობით ოთხი მწვანე სტილიზებული ფრინველი და ყვავილოვან ჩარჩოებში ჩასმული ოთხი როზეტია. ფრინველები ყვავილებს გვანან, რაც ბუხარული კერამიკისთვის დამახასიათებელია. ლანგარს ნაპირზე მწვანე მცენარეული ორნამენტი შემოსდევს. ლანგარის უკანა მხარეს (სურ.3), თეთრი ანგობით დაფარულ ფონზე, ყავისფერი საღებავებით გამოსახულია ყვავილის ფურცლები და წრე, რომელშიც ჯვრისებრი ორნამენტი და სტილიზებული მცენარეებია. აღსანიშნავია, რომ ჯვარი, ერთ-ერთი ყველაზე ძველი, საკრალური სიმბოლოა, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე, მრავალ რელიგიასა და კულტურაში გამოიყენებოდა. D-34 სმ. დაცულობა – კარგი. დამზადებულია ბუხარაში, XIXს-ის მეორე ნახევარში.

ლანგარი (საინვ.№ 4-1897) (სურ.4), მოჭიქული, ღია ყავისფერ ფონზე ჭიქურქვედა პოლიქრომული მოხატულობა. გამოყენებულია თეთრი, მოყვითალო, მუქი ყავისფერი და მწვანე საღებავები. ლანგარის ცენტრში, სტილიზირებულ ოთხკუთხა ჩარჩოში ჯვრის ფორმის ორნამენცია, რომლის გარშემო, წერტილოვანი ორნამენცით, წვრილი ყვავილებია გამოსახული. ლანგარზე კიდევ ოთხი ჩარჩოა, ოვალური, რომლებშიც პალმეტები, წერტილებით კი ყვავილოვანი ორნამენცია გამოსახული. საერთოდ მთელი ლანგარი პალმეტებით არის დაფარული. უკანა მხრიდან (სურ.5), ლანგარზე, თეთრი ანგობით დაფარულ ზედაპირზე ხის ყავისფერი ფოთლებია. D- 43 სმ. დაცულობა – კარგი. დამზადებულია ბუხარაში, XIXს-ის მეორე ნახევარში.

ლანგარი (საინვ.№ 5-1897) (სურ.6), მოჭიქული, ღია ყავისფერ ფონზე ჭიქურქვედა პოლიქრომული მოხატულობა (მწვანე, ყვითელი, თეთრი, ყავისფერი). ლანგარის ცენტრში ყვავილების გირლიანდები, მანისებური ორნამენტი, ორი როზეტი და მწვანე ფოთლებია გამოსახ-

ული. ეს ყველაფერი თეთრი წრეხაზითაა შემოსაზღვრული. ლანგარს ორი წვრილი ზოლი შემოსდევს – ნაპირზე ყავისფერი, შიგნით კი თეთრი. ამ ორ წრეხაზს შორის მოხატულობაა – ყავისფერი ტალღისებური ორნამენტი თეთრი წერტილებით, ასევე სტილიზებული მცენარეული ორნამენტი. ცენტრალურ მოხატულობასა და ნაპირის მოხატულობას შორის ოთხი როზეტი და მცენარეული ორნამენტია გამოსახული. D-46 სმ. დაცულობა – კარგი. დამზადებულია ბუხარაში, XIX ს-ის მეორე ნახევარში.

ლანგარი (საინვ.№ 6-1897) (სურ.7), მოჭიქული, ღია ყავისფერ ფონზე ჭიქურქვედა პოლიქრომული მოხატულობა. გამოყენებულია თეთრი, მოყვითალო, მუქი ყავისფერი და მწვანე საღებავები. ლანგარის ცენტრში, სტილიზირებულ ოთხკუთხა ჩარჩოში ჯვრის ფორმის ორნამენტი. მთელი ლანგარი ყვავილებითა და მცენარეებით არის დაფარული. უკანა მხრიდან (სურ.8), ღია ყავისფერ ფონზე მუქი ყავისფერი ფოთლებია გამოსახული. D-47 სმ. დაცულობა – კარგი. დამზადებულია ბუხარაში, XIX ს-ის მეორე ნახევარში.

ბადია (საინვ.№ 7-1897) (სურ.9), მოჭიქული, პოლიქრომული მოხატულობა – ღია ყავისფერ ფონზე, როგორც შიდა მხრიდან, ისე გარედან (სურ.10), ფერადი ყვავილები და მწვანე ფოთლებია გამოსახული. H-20სმ. D-31 სმ. დაცულობა – კარგი. დამზადებულია ბუხარაში, XIX ს-ის მეორე ნახევარში.

ლანგარი (საინვ.№ 9-1897) (სურ.11), მოჭიქული, თეთრ ფონზე პოლიქრომული მოხატულობა (მწვანე, ჭაობისფერი, ყავისფერი, მონითალო. ცენტრში გამოსახულია დიდი პალმეტა. პალმეტის შიგნით, წერტილებით, სტილიზირებული მცენარეული ორნამენტი გამოსახული, პალმეტის გარშემო ყვავილები. ლანგარის გვერდებზე რამოდენიმე ჭაობისფერი სალტეა. სალტეებს შორის თეთრ რეზერვებში ტალღისებური და ფრინველის ფრთების მსგავსი ორნამენტი. D-31 სმ. დაცულობა -რესტავრირებული. დამზადებულია ბუხარაში, XIX ს-ის მეორე ნახევარში.

ბადია (საინვ.№ 8-1897) (სურ.11), მოჭიქული, პოლიქრომული მოხატულობა. ბადიის ცენტრში, ყავისფერ ფონზე, აყვავილებული ჯვრის გამოსახულებაა. ბადიის კედლებზე, შიდა მხრიდან, ყვავილებთან ერთად მანების მსგავსი მცენარეული ორნამენტი, რომელიც ამავე დროს ფრინველსაც ჰგავს. გარედან ბადიის კედლებზე ყვავილებია გამოსახული, ძირზე კი რელიეფური სპირალი (სურ.12). სპირალი ძა-

ლიან ძველი და ფართოდ გავრცელებული გრაფიკული ნიშანია. იგი სიმბოლოა: დროის, განვითარების, გაგრძელების, უსასრულობის, ნაყოფიერების, სასიცოცხლო ძალის, პოტენციური შეკუმშული ენერჯის და სხვ. ბუხარულ კერამიკაზე სპირალი საკმაოდ ხშირად არის გამოსახული. H-20სმ. D-31 სმ. დაცულობა – კარგი. დამზადებულია ბუხარაში, XIXს-ის მეორე ნახევარში. ზადიას ძირზეაქვს ხელით გაკეთებული წარწერა, რომელიც სიძველისაგან გაფერმკთალებულია, მაგრამ მაინც კარგად იკითხება – *От Эмира Бухарского 1897.*

წინამდებარე სტატიაში აღწერილი ბუხარული კერამიკა გარდა ერთისა (ლანგარი საინვ.№5-1888) კავკასიის მუზეუმში 1897 წელს შემოვიდა, როგორც ერთ-ერთ ნივთზე არსებული წარწერა გვამცნობს, ნივთები მიღებულია ბუხარის ემირის სეიდ აბდულ-ახად-ხანისაგან.

საქართველოს მუზეუმში დაცული უზბეკური კერამიკის ზემოთწარმოდგენილი ნიმუშები ნათელ სურათს გვიქმნიან შუაზიური კერამიკული ხელოვნების შესახებ. ისინი განეკუთვნებიან საქართველოს ეროვნული მუზეუმის იშვიათ ექსპონატთა რიგს და როგორც ისტორიულ არტეფაქტებს მუდამ ექნებათ მეცნიერული ღირებულება.

Central Asian ceramics (Bukhara ceramics)

(based on fund materials)

Summary

Pottery is one of the oldest disciplines of craftsmanship, it is also a decorative-designing art field, because the products created by it have utilitarian and artistic functions. In Middle Asia Pottery started in the 8th-9th century. Pottery made various vessels – plates, lunches, water storage vessels, different types of jugs, etc. The main centers for ceramic production in the 15th and 16th centuries were at Bukhara and Samarkand, and at their surroundings. Each ceramic center was characterized by local peculiarities (original technique of performance, peculiar design and color). In general, middle Asian ceramic is characterized by clumsy forms. It can be glazed or smoothed. Glaze is distinguished by a rough surface, which is covered by slight cracks. The paintings of the Middle Asian ceramic are performed in a slightly naive manner. The elements of the painting are relatively scattered on the items and do not create complicated compositions.

Ceramic from Bukhara, like ceramic from other Middle Asian regions, often are met with the flowers, rosettes, palms, jugs and other paintings. Compositions on these ceramics usually consist of central part and ornaments around it. Dishes have narrow bordure at their sides, and then the wider bordure, which is decorated with drawings – wavy lines, floral sprays, geometric ornaments, coated or straight lines, rombs, oblique crosses, dots, etc. Almond blossoms were depicted often (bodomgul), as well as flower bouquets (dastagul) and different rosettes.

Zoomorphic thematic was also used in decoration, especially bird figures. In the center of the dishes and there were frequent paintings of the peacock tail, eagle tail, peacock wing, white swan and owl were quite frequent in the center of dishes and bowl. Gizhduvan paintings are characterized by bird ornamentation which look like flowers.

The paintings often repeat the popular ornaments of Uzbek tissues. Uzbek ceramics are interesting and original (large volume, primitivistic ornamentation).

In the beginning of the 19th century Bukhara was the leader in

technological-artistic values, although Rishantan and some other regions also succeeded in ceramic production.

In Middle Asia there had been interesting beliefs in regard to ceramics. They had special piety to the dishes made of clay. Clay dishes had been used at holidays and during fasting. They were important for symbolic feeding of Devas and Spirits, too. Also food for the rite connected with the deceased had to be put on new clay pottery.

The churn made of clay was considered as pure as bread. People used to swear on it. Clay was supposed to have protecting quality too. Large pieces of pottery had been fastened in the walls of the garden, against evil eye. As already mentioned, the wings had been often depicted on the medieval vessels. They also protected its owner from evil spirits.

The ceramics presented in the article are from Bukhara but it generally shows us the medieval ceramics of Middle Asia.

დამონმეზული ლიტერატურა:

1. Пещерева Е.М. Гончарное производство Средней Азии. М., 1959.
2. Сайко Э.В. Глазури керамики Средней Азии VIII-XII вв. Душанбе 1963.
3. Сайко Э.В. Среднеазиатская глазурованная керамика XII-XV вв. Душанбе 1969.
4. Сайко Э.В. Техника и технология керамического производства Средней Азии в историческом развитии. М. 1982.
5. Фахретдинова Д.А. Декоративно-прикладное искусство Узбекистана. Ташкент, 1972.
6. Lane A. Early Islamic Pottery. L.1947.

ილუსტრაციები:



სურ. 1 სურ. 2 სურ. 3



სურ. 4 სურ. 5 სურ. 6



სურ. 7 სურ. 8 სურ. 9



სურ. 10 სურ. 11 სურ. 12 სურ. 13

ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ლიტავრა

(ერთი ნივთის ისტორია)

მე-19 საუკუნეში რუსეთმა საბოლოოდ შეძლო კავკასიაში იმპერიული ზრახვების განხორციელება, რეგიონიდან სპარსეთისა და თურქეთის გაძევება და თავისი ბატონობის დამკვიდრება. კავკასიის ომში აქტიურად იყო ჩართული ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი, რომელიც ჯერ კიდევ პეტრე პირველის მეფობის დროს, 1701 წელს ჩამოყალიბდა. თავდაპირველად მას დრაგუნთა მორელიას (პირველი მეთაურის გვარის მიხედვით) პოლკს უწოდებდნენ. 1708 წლიდან კი ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი (საკავალერიო დივიზია) დაერქვა და 1918 წლამდე იარსება. პოლკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში. პოლკის მიერ წარმოებული ბრძოლები მიმართული იყო ერთის მხრივ სპარსეთისა და ოსმალეთის ექსპანსიის წინააღმდეგ და მეორეს მხრივ ატარებდა კოლონიურ-დაპყრობით ხასიათს, რომლებიც კავკასიის რუსეთთან მიერთებით დასრულდა. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი მონაწილეობდა მე-18 და მე-19 სს-ის რუსეთ-თურქეთის, რუსეთ-შვედეთის, პოლონეთის, რუსეთ-ირანის და კავკასიის ომებში. კავკასია ამ პოლკის მუდმივ ადგილსამყოფელად გეორგევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდგომ, 1783 წლიდან იქცა. 1830 წლიდან პოლკი კახეთში დაბანაკდა, სადაც 15 წლის განმავლობაში აკონტროლებდა დაღესტნის საზღვარს და იცავდა რეგიონს მთიელების თავდასხმისაგან. ორსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პოლკმა რამდენჯერმე შეიცვალა სახელი. 1763 წლიდან დრაგუნთა პოლკს კარაბინერთა სახელი დაერქვა, 1853 წლიდან სევერსკის დრაგუნთა პოლკი, 1882 წლიდან 44-ე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი ეწოდა. პოლკში სხვადასხვა დროს მსახურობდნენ ქართველ თავადაზნაურთა საუკეთესო წარმომადგენელნი: ივანე მუხრანბატონი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დავით ჭავჭავაძე, ივანე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე ყარანგოზიშვილი, გიორგი თუმანიშვილი, ივანე რატიშვილი და სხვები. 1837 წელს პოლკში, რომელიც კახეთში იდგა, მსახურობდა მიხეილ ლერმონტოვი. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეზრძოლთა საგმირო საქმეებს არაერთხელ აღუფრთოვანებია რუსეთის იმპერატორე-

ბი. ალექსანდრე მეორე პოლკს თავის პირველ საკავალერიო პოლკად თვლიდა. სამხედრო ისტორიკოსი, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მემატიანე, გენერალ-ლეიტენენტი ვ. პოტო, თავის წიგნში „История 44-го драгунского Нижегородского полка“ დეტალურად აღწერს პოლკის საბრძოლო ისტორიას მისი დაარსების დღიდან მე-19 საუკუნის ბოლომდე. ამავე ნაშრომში იგი ეხება პოლკის ნივთებს - პანიონს (პოლკის ერთ-ერთი პირველი მეთაური) ვერცხლის საყვირებს და დასარტყმელ საკრავს ლიტავრას, რომლებსაც თავისი პირვანდელი, საბრძოლო ფუნქცია აღარ გააჩნდათ და როგორც წმინდა რელიქვიებს, საცავში ინახავდნენ „გარდასულ საგმირო დღეთა მოსაგონებლად, როცა ლიტავრის ცემითა და საყვირით წინ მიუძღოდნენ თანაპოლკელებს საბრძოლველად“ (Потто, 1882: 177). სწორედ ვ. პოტოს მიერ ნახსენები ლიტავრა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის აღმოსავლურ ფონდში (ჯალაბაძე, 1970).

აღ. კაზნაკოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეთნოგრაფიული ფონდების იარაღის კოლექციითა და სამხედრო-მემორიალური ნივთებით შევსებას. 1903 წელს მან მთავარმართებლისგან მიიღო ნებართვა, მუზეუმში თავმოყრილიყო მთიელებისათვის ჩამორთმეული საბრძოლო იარაღი, რომლებიც საარტილერიო საწყობებში იყო შენახული. სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო საომარი ტერიტორიებიდან კავკასიის მთიელთა იარაღისა და სატროფეო ნივთების მუზეუმში გადატანა (Мелкадзе, Гогичаишвили, 2002: 368). ამასთანავე აღ. კაზნაკოვის დიდი ძალისხმევის შედეგად ხდებოდა კავკასიაში მდგარი რუსული პოლკების კუთვნილი იმ ნივთების შეგროვება, რომელთაც გააჩნდათ სამუზეუმო ღირებულება, სახელმწიფო ჯილდოები, მედლები, ორდენები, სამხედრო დროშები, საიუბილეო, მემორიალური ნივთები, რომლებიც განკუთვნილი იყო იმ მეომართათვის, ვინც თავი გამოიჩინა დაპყრობით ბრძოლებში. ამ პერიოდში უნდა იყოს შემოსული ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ლიტავრა, რომელიც პოლკის საკუთრებაში თითქმის ასი წლის განმავლობაში იმყოფებოდა.

ლიტავრა (ბერძ. ბევრი დოლი) დასარტყმელი საკრავია. შედგება ლითონის წყვილი ან რამდენიმე ნახევარსფეროს კორპუსისგან, რომელთაც ხბოს ან თხის ტყავის მემბრანი აქვს გადაკრული. აგებულებით იგი ყველაზე მეტად ნალარას წააგავს. ლიტავრას და ზოგადად დასარტყმელი საკრავების წარმოშობა უძველეს დროს უკავშირდება. ტყავდაკრული თიხისა და ხის, მოგვიანებით ლითონის საკრავების სამ-

შობლო ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა უნდა იყოს. აქედან მრავალნაირი ფორმითა და სახელწოდებით გავრცელდა მთელს მსოფლიოში. მაგალითად საბერძნეთსა და რომში გავრცელებული იყო ტიმპანები, ლიტავრა, აზიაში – ნალარა, დაფდაფი, ქოსი, დუმბული, დაირა, საქართველოში – ნინილა, დოლი, დიპლიპიტო, სპილენძ-ჭური (ქოსის მსგავსი), რუსეთში „ბუბენი“, ბარაბანი. საცემელ საკრავებზე მრგვალთავიანი ჯოხებით ან ხელების რიტმული ცემით ასრულებდნენ სხვადასხვა მაგიურ ქმედებებსა და რიტუალებს, იყენებდნენ რელიგიურ ცერემონიალებში ცეკვების შესრულებისას. შუა საუკუნეებში მეფეთა და დიდებულების ძალაუფლების სიმბოლოს და დღესასწაულების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. საცემელი საკრავების გამოგონებამდე რიტმული ბგერათწარმოების ეფექტურობის გაძლიერებას პირველყოფილი ადამიანი ხელების ცემით, ტაშით ან ქვაზე-ქვის დარტყმით ახორციელებდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში საცეკვაოების შესრულებისას ხის ფიცარზე ხანჯლის, დანის ან ჯოხის ცემას ტოში ერქვა, მანანა შილაკაძის აზრით ტოში საცემელი საკრავის პროტოტიპია და ტაშის ცემიდან დასარტყმელ საკრავზე გარდამავალ ეტაპს ასახავს (შილაკაძე, 1970: 42). საკრავის წინარე ფორმად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ორი ქვის ერთმანეთზე რიტმული ცემა. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (კახეთი, თუშეთი, რაჭა) საცეკვაოების და საფერხულების შესრულების დროს ეს ფორმა XX ს-მდე იყო შემორჩენილი (შილაკაძე, 1970: 45).

საბრძოლო საქმეში ტყავის მემბრანიანი საცემელი საკრავი პირველად არაბეთში გამოიყენეს მე-10 საუკუნეში (Бабков, 2010: 7). მათი დანიშნულება სასიგნალო იყო – საცხენოსნო ჯარის მწყობრის მართვა, საბრძოლო მართვის სიგნალის გადაცემა, ბრძოლის დაწყება – დამთავრება, განგამის ატეხვა, იერიშზე გადასვლის ნიშანი და სხვა. საქართველოში ლაშქრის აყრა-გამგზავრების მაუნყებელი ჰანგი არსებობდა, რომელსაც ასაყარი ერქვა. ჩვენთან გავრცელებული დასარტყვაში საკრავები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. XI-XII სს-ის სამხედრო საკრავთა მწყობრი ბუკებისა და დუმბულებისგან, ანდა ბუკებისა და ტაბლაკისაგან იყო შედგენილი (ჯავახიშვილი: 1938: 215). დუმბულიცა და ტაბლაკიც შედარებით მცირე ზომის, ნალარის მსგავსი საკრავები ყოფილა (ჩუბინაშვილი, 1961: 375; სულხან-საბა ორბელიანი, 1966: 225). ნალარა საქართველოში სპარსულიდან შემოვიდა და ყოფაში შედარებით გვიან ჩნდება. საცემელი საკრავის გარდა იგი ჩასაბერს, საზოგადოდ

სამხედრო საკრავთა ანსამბლსაც აღნიშნავდა. ქართულში ტერმინი სანალაროც კი არსებობდა, რაც სამხედრო საკრავთა ადგილს ერქვა. უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების წერილობითი ძეგლები, როგორც ქართული, ისე ნათარგმნები, ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საქართველოში გავრცელებულ საცემელ საკრავებზე (ჯავახიშვილი, 1938: 216). ლიტავრის მსგავსი საკრავები (бубен) რუსეთში მონღოლების დაპყრობითი ომების შემდგომ ჩნდება. ბრძოლაში პირველად ივანე მრისხანის დროს 1552 წელს ყაზანის ალებისას გამოიყენეს. რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძე რომანოვმა (1629-1676 წ.წ) ახლადჩამოყალიბებულ საცხენოსნო პოლკებში ლიტავრების გამოყენება სავალდებულო გახადა. საცემელი საკრავების პოპულარიზაციაში დიდი წვლილი შეიტანა პეტრე პირველმა. მის დროს რეგულარულ არმიაში ყველა შენაერთს ასი მედოლე მაინც უნდა ჰყოლოდა. თავად პეტრე პირველი თურმე საუცხოოდ ფლობდა მედოლის ოსტატობას. ლიტავრები კაზაკთა ჯარის აუცილებელი ატრიბუტი იყო. სასიგნალო ფუნქციის გარდა, იგი ჯარისკაცების სულიერი განწყობილებისა და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას უწყობდა ხელს. ცნობილია, რომ ეკატერინე მეორემ კაზაკთა შენაერთს ლამაზად გაფორმებული ვერცხლის წყვილი ლიტავრა უსახსოვრა (Бабков, 2010: 10).

როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო საცემელი საკრავი ლიტავრა კავალერიაში გამოიყენებოდა წყვილად, მხედარს ცხენზე ჰქონდა გადაკიდებული და წინ მიუძღოდა ლაშქარს. სამწუხაროდ, მუზეუმში მხოლოდ ერთი ცალია დაცული, ისიც სახეშეცვლილი ფორმითა და დანიშნულებით. ლიტავრა წარმოადგენს ქვაბის ფორმის, ნახევარსფეროსებურ თითბრის ნივთს, მისი ზომებია სიმაღლე -75 სმ, პირის დიამეტრი - 57 სმ, იწონის -14,5 კგ-ს. ძირზე მიმაგრებული აქვს ცხენის ჩლიქებიანი ფეხის მოყვანილობის სამი ფეხი, გვერდები შემკულია რუსეთის იმპერიის სიმბოლოებით, გერბით (ორთავიანი არწივი), ვენზელით და პოლკის სამხედრო რეგალიების (საყვირი, ლიტავრა, დროშა, ცხენი....) რელიეფური გამოსახულებებით, რომლებიც ნივთზე ჭანჭიკებით არის მიმაგრებული. ზედაპირის გასამაგრებლად ნივთის პირზე მოქლონებით ჩამაგრებულია რკინა, მოქლონებითვე არის მიჩილული ტყავის გადასაჭიმი 7 ცალი ლითონის რგოლი. ლიტავრას წრიულად მიუყვება რუსულენოვანი წარწერა – „Нижегородскаго Карабинернаго Полку Потроень 1763 го“. ძირში ჰქონია მცირე ზომის ნახვრეტი, რომელზედაც მოგვიანებით რკინის ნაჭერი დაუმაგრებიათ. ექსპონატს ძირი და

ფსკერი მომწვარი აქვს, რაც მის მეორადი დანიშნულებით გამოყენებაზე მიუთითებს. ლიტავრაზე მოცემული წარწერით ირკვევა, რომ ნივთი ეკუთვნოდა ნიჟეგოროდის კარაბინერთა პოლკს, რომელიც 1763 წელს ეკატერინე მეორეს ბრძანებით ჩამოყალიბდა დრაგუნთა და ცხენოსან გრენადერთა პოლკების ბაზაზე. სხვაობა ნიჟეგოროდის კარაბინერებსა და დრაგუნთა პოლკებს შორის მხოლოდ შეიარაღებაში იყო. კარაბინერებს თოფების ნაცვლად კარაბინები, უფრო მსუბუქი, მოკლელულიანი შაშხანები ჰქონდათ. 1763-1771 წწ-ში კარაბინერთა პოლკს სათავეში ედგა პოლკოვნიკი ნ. პანინი. მისი ხელმძღვანელობით 1766-1767 წწ-ში პოლკმა გაილაშქრა პოლონეთში იქაური დისიდენტების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, იქ მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად მეთაურმა პოლკის მებრძოლებს საჩუქრად ვერცხლის საყვირები და ლიტავრა გადასცა (Потто, 1902: 122). რუსეთ-თურქეთის ომის გმირის ვ. პანინის ხსოვნა და საგმირო საქმეები პოლკში თაობიდან-თაობას გადაეცემოდა. საბრძოლო საკრავებს კი, რომელთაც წლების შემდგომ ბრძოლებში აღარ იყენებდნენ, საცავებში ინახავდნენ და მისი სახელით მოიხსენიებდნენ.

მე-19 საუკუნის ბოლოს საბრძოლო საკრავების გამოყენება რუსეთის არმიაში აიკრძალა. როგორც ვ. პოტტო წერს, ნიჟეგოროდელთა სახელგანთქმული სარდლის ვ. პანინის ცნობილი ვერცხლის საყვირები და ლიტავრა ისტორიის საკუთრება გახდა და სულ სხვა დატვირთვა შეიძინა, კერძოდ, საყვირები პოლკის რეგალიებად, ხოლო ლიტავრა დიდ თასად, „ბრატინად“ გადააქციეს. „ბრატინა“ რუსეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდ გავრცელებული, ხის ან ლითონისგან დამზადებული მრგვალი ან ნავისებური ფორმის სასმისია. არსებობდა დიდი და მცირე ბრატინები. გამოიყენებოდა ძირითადად სათემო ან რელიგიური თავყრილობებისა და დღესასწაულების დროს. პატარა სასმისებიდან ჩამოტარებით, რიგრიგობით პირდაპირ სვამდნენ, ხოლო მოზრდილი „ბრატინებიდან“, ჩამჩებით (КОВША) იღებდნენ სასმისს და თასებში ინახავდნენ. მოგვიანებით სასმისი რუსეთის სამხედრო და არისტოკრატული წრეებში ერთობ პოპულარული და საყვარელი ნივთი გახდა. იგი ფუფუნების საგნად იქცა. მდიდრულად გაფორმებული, განსხვავებული და ორიგინალური ფორმის ვერცხლის და ოქროს „ბრატინები“ ძვირფას საჩუქარს წარმოადგენდა სამხედრო პოლკებისა და საიმპერატორო კარის წარმომადგენლებისთვის. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მემორიალური, ვერცხლის ერთ-ერთი „ბრატინა“ დაცულია

მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში, იგი ნავისებური ფორმისაა და უხვად არის შემკული წარწერებითა და სამხედრო რეგალიების გამოსახულებებით (კახნიაშვილი, 1970: 186). ცნობილია, რომ 1912 წელს ნიკოლოზ მეორეს კივერის ფორმის მდიდრულად გაფორმებული ვერცხლის „ბრატინა“ მიაღწევს საჩუქრად, რომელიც კ. ფაბერჟეს საიუველირო კომპანიაში იყო დამზადებული. რუსეთის არმიაში თითქმის ყველა პოლკს საკუთარი, განსხვავებული ფორმის „ბრატინა“ ჰქონდა და სადღესასწაულო დღეებში მასში ჰუსარების საყვარელ სასმელს, პუნშის ნაირსახეობას მწვარას – „ჟჟონკას“ ადუღებდნენ. ვ. პოტტოს გადმოცემით, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში ყოველი წლის 27 ნოემბერს ტრადიციულად აღინიშნებოდა პოლკის დაბადების დღე. ამ დღეს პოლკის ოფიცრები იკრიბებოდნენ ე.წ. ჰუსარების ოთახში მეგობრულ ვახშამზე და მწვარას მოდულების ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად. ამისთვის საცავიდან შემოჰქონდათ თასად გადაქცეული ყოფილი ლიტავრა, რომელსაც რამდენიმე ბოთლი წითელი ღვინით ავსებდნენ, ზევიდან ორ გადაჯვარედინებულ ხმალს დებდნენ, მასზე შაქრის დიდ ნატეხს ათავსებდნენ, რომელსაც რომით ან კონიაკით ასველებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. ჩაბნელებული ოთახი შაქრის წვის ცისფერი ალით ნათდებოდა, ჩამოღვენთილი შაქრის წვეთები ქვაბში ჩადიოდა და ულამაზეს, მისტიურ სანახაობას ქმნიდა. რამდენიმე წუთის შემდგომ შაქარს შამპანურს გადაასხამდნენ, ვერცხლის ჩამჩით ამოურევდნენ და თასებში გადაანაწილებდნენ. როგორც წესი, მთელ ამ რიტუალს ხნიერი როტმისტრი ხელმძღვანელობდა. ამ საზეიმო დღეს ვეტერანები იხსენებდნენ გარდაცვლილ თანაპოლკელებს, ამავე დროს პოლკის ერთიან ოჯახში იღებდნენ და გზას ულოცავდნენ ახალგაზრდა ოფიცრებს (Трубецкой, 1991: 25). ჰუსარული „ჟჟონკას“ მოდულების ტრადიცია რუსეთში საფრანგეთიდან გავრცელდა ნაპოლეონის ლაშქრობის შემდგომ და ძალზედ პოპულარული გახდა არა მარტო ჯარში, არამედ მდიდრულ, ელიტურ შეხვედრებზეც, რამდენადაც უბრალო მოკვდავისთვის მისი მომზადება შეუძლებელი იყო, შემცველი ინგრედიენტების სიძვირის გამო. პუნშის მოდულების ტრადიცია რუსეთში პირველ მსოფლიო ომამდე გრძელდებოდა. იგი დღესაც გრძელდება თუმცა იშვიათად, ძირითადად მუზეუმებისა და ქალაქების საიუბილეო დღეებში. ჰუსართა მოუსვენარი ცხოვრების ეს ლამაზი ეპიზოდი ბევრი რუსი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის შთაგონების წყარო გამხდარა. რიტუალის ხშირი მონაწილენი იყვნენ და გემრიელი,

არომატული სასმელის თრობით ტკბებოდნენ ალ. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ვ. გოგოლი და სხვები.

მუზეუმის აღმოსავლურ ფონდში დაცული ნიჟეგოროდის კარაბინერთა პოლკის ლიტავრა საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ჯერ საბრძოლო საკრავის ფუნქციას ასრულებდა, შემდეგ კი პოლკის ტრადიციების აუცილებელი ატრიბუტი და რელიქვია გახდა. ეს ექსპონატი 44-ე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ორსაუკუნოვანი ისტორიის უტყვი მემატიანეა.

Kettledrum of Nizhegorod Dragoon Regiment

(History of one thing)

Summary

In Asian collections of Georgian National Museum are kept the memorial items belonging to Caucasian cavalry division – Nizhegorod dragoon regiment. This article deals particularly with the combat signaling instrument – kettledrum, gifted to this regiment in 1767 for its commitments in service. In the end of 19th century the use of musical instruments was banned in Russian army. Soldiers removed the leather membrane from the kettledrum and turned it into the giant bowl, so called Bratina, in which they used to boil „Zhzhionka“ – a favorite drink of hussars, very similar to punch. As an evidence of this serves the burnt metal bottom of the kettledrum. Museum acquired the kettledrum in the beginning of 20th century.

დამონმებული ლიტერატურა:

1. კახნიაშვილი ა. რამდენიმე მემორიალური ნივთი მუზეუმის ფონდებიდან, სსმმ. XXVI-В, თბ., 1970.
2. შილაკაძე მ. ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბ., 1970.
3. ჯავახიშვილი ი. ქართული მუსიკის ისტორია, თბ., 1938.
4. ჯალაბაძე გ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი, თბ., 1970.
5. Бабков Н. Семиотической значение литавр в разных народов мира, Вестник ХДАК. 2010.
6. Мелкадзе Н., Гогичаишвили А., А. Казнаков – директор Кавказского музея и Публичной библиотеки, სსმმ, 2002:
7. Потто В. История 44-го драгунского Нижегородского полка, т. I, СПб. 1902.
8. Трубецкой В. Записки Кирасира, М., 1991.

ილუსტრაციები:



სურ. 1 ნიჟეგოროდის
კარაბინერთა პოლკის ლიტავრა



სურ .2 დრაგუნთა პოლკის
ლიტავრა – „ბრატინა“



სურ. 3. მე-18 საუკუნის რუსული ლიტავრები



სურ.4 ჰუსარული „ჟჟონკას“ მომზადება

გიორგი მეურმიშვილი

დარეჯან აბულაძე

ეკა მაზიაშვილი

ევგენი ლანსერე – დამოუკიდებელი საქართველოს კულტურის სათავეებთან

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობა თავისი მნიშვნელობით უნიკალურია. აქ დაცული არტიფაქტები მუდამ წარმოადგენდა უმთავრეს დოკუმენტურ წყაროს, რომელზეც ეყრდნობა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევის საფუძველი. ზოგადი მნიშვნელობით, მისი ღირებულება განუსაზღვრელია და სავსებით ბუნებრივია, რომ ამ მრავალმხრივ და მრავალპროფილიან ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ნიმუშებს სწავლობდა და იკვლევდა ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების არაერთი თაობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევა-ძიება საუკუნენახევარზე მეტ დროს მოიცავს, ფონდსაცავებში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი ექსპონატები, რომელთაც მკვლევრის ხელი ან საერთოდ არ შეხებია, ან ნაწილობრივ ყოფილა დამუშავებული. სწორედ ამ უკანასკნელის სფეროში თავსდება ჩვენი საკვლევი თემა, რომელიც ეძღვნება ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ეთნოლოგიისა და ახალი ისტორიის დამხმარე ფონში დაცულ ნივთიერ თუ საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ამსახველ მხატვრულ ნამუშევრებს, რომლებიც იქმნებოდნენ, როგორც სავსე სამუშაოების დროს, ასევე კამერალურ პირობებში. მასალის დოკუმენტური გაფორმება მოითხოვდა მაღალ პროფესიონალიზმს და საამისოდ ინვესტდნენ ისეთი მაღალი დონის ოსტატებს, როგორც იყვნენ: ევგენი ლანსერე, იოსებ შარლემანი, მაქს ტილკე, სერგო ქობულაძე, მოსე თოიძე და საზოგადოების მიერ დაფასებული და აღიარებული სხვა მხატვრები. დროთა განმავლობაში მათი ძალისხმევით დაგროვდა ნამუშევართა მთელი სერია, რომელიც შედგება არქიტექტურული ნახაზების, ფერწერული ტილოების, ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების, ავეჯის, სამეურნეო იარაღის, ოქრომჭედლობის ნიმუშების, სანესო რიტუალური ნაგებობების, იარაღის და სხვა ტიპის ნახატებისაგან. აღსანიშნავია, რომ ამ ნამუშევართა შორის გამოირჩევა ე. ლან-

სერეს შემოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ ფონდში დაცულია მისი ნახატების არც ისე დიდი რაოდენობა, მნიშვნელოვანია ამ ნამუშევართა კომპლექსური კვლევა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველი პროფესიონალი მხატვრების: ა. ბერიძის, რ. გველესიანის, რ. ტატიშვილის, გ. გაბაშვილის, დ. გურამიშვილის, მ. თოიძის, ი. ნიკოლაძის, ა. მრევლიშვილის, დ. შევარდნაძის, გ. მესხის, ვ. სიდამონ-ერი-სთავის, ა. ციმაკურიძის და სხვათა გარდა თბილისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სხვადასხვა ეროვნების მხატვრები, რომლებსაც განათლება რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ჰქონდათ მიღებული. მათ შორის იყო ევგენი ევგენის ძე ლანსერე (1875-1946), XX საუკუნის გამოჩენილი რუსი ხელოვანი, ფერმწერი, გრაფიკოსი, მონუმენტალისტი და თეატრალური მხატვარი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხელოვნების განვითარებაში. მისი სწავლების მეთოდებით აღიზარდა ხელოვანთა ის თაობა, რომელთა როლი მნიშვნელოვანი იყო, როგორც ქართული ხელოვნების განვითარებაში, ასევე ზოგადად ქართული კულტურის სფეროში. ლანსერეს შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია 1905-1907 წლების რუსეთის პირველმა რევოლუციამ, რაშიც გამოიკვეთა ცარიზმის უმაგალითო დესპოტიზმი, ყოველივე ამან შემდეგში ნათელი ასახვა ჰპოვა არამარტო მხატვრის შემოქმედებაში, არამედ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაშიც. მისი განცდები კარგად ჩანს ბიძამისისთვის (ხელოვნების ევროპულ ორიენტაციის პოზიციებზე მდგომ) ალექსანდრე ბენუასადმი მიწერილ წერილში: „საშინლად ვწუხვარ, რომ დღეს აქ არა ხარ, რათა საკუთარი თვალით ნახო ისტორიის ცოცხალი დინება, მე არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი, რომ ამ დროს არ ვიყო რუსეთში, მით უმეტეს პეტერბურგში“ (კუკულაძე, 1979: 7). სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის მის მიერ დასურათებული ჟურნალების „ჟუპელი“ და „ადსკაია პოჩტა“ -სთვის შექმნილი ნახატები, რომელშიც გამოსჭვივის პოლიტიკური სატირა იმპერიალისტური რუსეთის მოხელეებზე. აღნიშნული ნამუშევრები სპეციალისტთა აზრით, არ ჩამოუვარდება ცნობილი ფრანგი მხატვრის ონორე დომიეს კარიკატურებს. 1905-1907 წლების რევოლუციის გავლენით ე. ლანსერემ შექმნა ლ. ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის“ ნიგნის ილუსტრაციები, ნახატების სიუჟეტებში იგრძნობა ნაწარმოებში ასახული მეზრძოლი სული, რასაც გადმოსცემდა ავტორი. საქართველოსაც მხატვარი პირველად სწორედ 1917 წელს „ჰაჯი-მურატის“ ილუსტრაციებზე მუშაობის დროს

ესტუმრა. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს შესახებ, მას უკვე ჰქონდა ცნობები, რადგან აქ მოღვაწეობდნენ, როგორც მისი დედ-მამა, ასევე პაპა დედის ხაზით და ბიძა დედის მხრიდან, სახელგანთქმული ფერმწერი, თეატრალური მხატვარი, ხელოვნების ისტორიკოსი და თეორეტიკოსი ალექსანდრე ბენუა. ლანსერე გაეცნო დალესტინის თვალწარმტაც ადგილებს, სადაც მიმდინარეობდა მოქმედება ნანარმოებში. 1918 წ. ე. ლანსერე დალესტანში დაუახლოვდა ახალგაზრდა მხატვარ ხალილ მუსაევს. რომელზედაც დიდი გავლენა იქონია ლანსერესთან ურთიერთობამ და მხატვარს თბილისში გამოჰყვია. დალესტანში ცხოვრების პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ე. ლანსერე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციური თემებისადმი მიძღვნილ ილუსტრაციების შესრულებაში, რომელიც გამოდიოდა და იბეჭდებოდა არალეგალურ პრესაში. გიორგი ჩუბინაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის მოწვევით თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, ე. ლანსერემ დაიწყო მუშაობა მხატვრად თბილისის სახელმწიფო მუზეუმში და ფერწერის მასწავლებლად მინვეულ იქნა სკლიფასოვსკის გალერეაში.

1918 წლის 26 აგვისტოს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ხელოვნების კომისიაზე გამოაცხადა კონკურსი სახელმწიფო გერბის შექმნის შესახებ. აღნიშნულ კონკურსში გაიმარჯვა იოსებ შარლემანის პროექტმა, რომელშიც მონაწილეობდა ე. ლანსერეც. მან, პროფესორ ი. შარლემანთან ერთად, შექმნა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო გერბის ესკიზებიც.

საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, ევგენი ლანსერე 15 წლის განმავლობაში ეწეოდა უაღრესად პროდუქტიულ მოღვაწეობას და გახდა არა მხოლოდ ხელოვანთა აქტიური წევრი, არამედ ზოგადად ქართული კულტურის მოღვაწეც. ე. ლანსერეს ხელმძღვანელობით დაიხატა თბილისის რკინიგზის სადგურის ორი პანო: „ადამიანი იმორჩილებს ბუნებას“ და „მუშა სამყაროს მფლობელი“, რომელთაც დღემდე არ მოუღწევით. ასევე მისი რჩევით, ლენინგრადიდან მოიწვიეს გამოჩენილი მოქანდაკე ი. შადრი და მისი ახლო ნათესავი, კომპოზიტორი ალექსანდრე ჩერეპინი.

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის აუცილებელი პირობა იყო უმაღლესი სამხატვრო დანესებულების შექმნა. ე. ლანსერე, გიგო გაბაშვილთან, იაკობ ნიკოლაძესთან, მოსე თოიძესთან, ელიშე თათევოსიანთან და იოსებ შარლემანთან ერთად ითვლება თბილისის

სამხატვრო აკადემიის დამაარსებლად. 1922 წელს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა სრული შემადგენლობის სია. ხელოვნების ისტორიის პროფესორად არჩეულ იქნა გიორგი ჩუბინაშვილი, ხატვის – ე. ლანსერე, ქანდაკების – ი. ნიკოლაძე, ხუროთმოძღვრების – ა. კალგინი, ფერწერის – გ. გაბაშვილი. 1922 წლის აპრილშივე პროფესორთა საბჭო შეუდგა მუშაობას, ხოლო იმავე წლის 14 მაისს, საბჭოს საზეიმო სხდომაზე, აკადემიის პირველი რექტორის, პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილის შესავალი სიტყვით, ოფიციალურად გაიხსნა საქართველოს სამხატვრო აკადემია - პირველი უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში. დიდა ე. ლანსერეს ღვაწლი ქართველ ფერმწერთა აღზრდაში. მის მოსწავლეთა შორის იყო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთაგან ოთხი სსრ კავშირის სახალხო მხატვარი: აპოლონ ქუთათელაძე, უჩა ჯაფარიძე, დიმიტრი ნალბანდიანი, სოლომონ ვირსალაძე. რამდენიმე საქართველოს სსრ სახალხო დამსახურებული მხატვარი და რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე: კორნელი სანაძე, სერგო ქობულაძე, სამსონ ნადარეიშვილი, იოსებ გაბაშვილი, სევერიან მაისაშვილი, შალვა, ლეო და იორამ მამალაძეები, პეტრე ოცხელი, ფელიქს ვარლამიშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, რევაზ მირზაშვილი, შალვა მაცაშვილი, ნიკოლოზ ყაზბეგი, დარეჯან ძნელაძე, შალვა აბრამიშვილი, კოტე გრძელიშვილი, დავით წერეთლი, ირინე შტემბერგი, ლადო ქიქოძე, კოტე ჭანკვეტაძე, არჩილ ჟორდანიანი, ირაკლი მდივანი, კარლო კუკულაძე და სხვ. მისი ხელოვნების აკადემიაში პედაგოგად მიწვევა დიდ გავლენას ახდენდა ახალგაზრდა ქართველ ხელოვანთა შემოქმედებით ხედვასა და მიღწევებზე. მისი, როგორც პიროვნების როლი, საკმაოდ დიდი იყო, რადგან წარმოადგენდა ფრიად მაღალი კულტურული ღირებულებების მქონე ადამიანს. ე. ლანსერე თავის მოწაფეებს ასწავლიდა არა მხოლოდ ხატვის ტექნიკას, არამედ თუ როგორი უნდა ყოფილიყო საღებავის სტრუქტურა, მოსახვატი გრუნტი, რა იყო გასათვალისწინებელი ხატვის პროცესის დროს. მისი მოსაზრებით, მხატვარს უნდა სცოდნოდა ქიმიაც და ფიზიკაც, რათა ნახატი უფრო თვალსაჩინო და გამძლე ყოფილიყო. პროფესორს უკვე მეორე კურსიდან გაჰყავდა სტუდენტები ველზე სამუშაოდ, ბუნებაში აძლევდა ფერთა გამის აღქმის საშუალებას. ე. ლანსერეს მოწაფის კ. კუკულაძის თქმით: „მახსოვს ჩვენ მესამე კურსელები მაისის თბილ დღეებში გავემგზავრეთ ქვანახშირის საბადოებზე ტყიბულში, სადაც ბევრი საინტერესო ეტიუდი და ჩანახატი შევქმენით.

არანაკლებ საინტერესო იყო ჩვენი ყოფა მოძმე სომხეთის სპილენძის უმდიდრეს საბადოებში. ქ. ალავერდში, სადაც თვალწინ გადაგვეშალა მ. სარიანისეული მზიური პეიზაჟი, ოქროს შემოდგომის წარმტაცი სურათებით. ავარვარებული ღუმელები, ხელვდაკოყრილი მუშა-ოსტატებით. თვალსაჩინო მასალას იძლეოდა ინდუსტრიული პეიზაჟის შესაქმნელად. შრომის ამ სიმფონიაში, მის რომანტიკულ ატმოსფეროში, თვით ევგენი ლანსერეც ახალგაზრდული შემართებით ხატავდა ჩვენთან ერთად. ნაშუადღევს მუშათა სასადილოში სადილობისას, თვითონ, ხან ერთ, ხან მეორე მზისაგან და ცეცხლისაგან გარუჯულ მუშას მიუჯდებოდა და გატაცებით ხატავდა მათ პორტრეტებს“ (კუკულაძე, 1979: 16). ლანსერე მოსწავლეების პრაქტიკულ აღზრდას ამჯობინებდა, რადგან მისი აზრით, ფერწერის თეორიის სწავლება პედაგოგის მოვალეობა იყო, ხოლო მხატვრის თავდაჯერებულობისა და ტექნიკის დასახვეწად ბუნებაში მუშაობას მიიჩნევდა ყველაზე ძლიერ მასწავლებლად. არ ზღუდავდა სტუდენტების შემოქმედებით ფანტაზიას, მათ ჩანაფიქრს კი არ უწუნებდა, არამედ რჩევას აძლევდა, რადგან მასწავლებლის დოგმატური მსჯელობის კედელში არ მოექცია მათი პოტენციალი. სწორედ მსგავსი მიდგომებისა და სტუდენტების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების შედეგად შეარქვეს „სტუდენტების მეგობარი“.

ე. ლანსერე ძირითადად მუშაობდა ტემპერითა და სილიკატურ საღებავებით. მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, იგი სრულყოფილად ფლობდა სხვადასხვა მასალის გამოყენების ტექნოლოგიურ და ტექნიკურ საშუალებებს: ფრესკულს, ენკაუსტიკურს, „ფრესკო ა სეკოს“, სილიკატურს, საგრაფიტოს და მის მიერ საუკეთესოდ მიჩნეულ ემულსიურს. ე. წ. ახალ ტემპერას. ამიტომ მისი კლასში მუშაობაც განსხვავდებოდა სხვა სამხატვრო პედაგოგების მიდგომებისგან. სტუდენტთა ტექნიკური ვირტუოზობის გამომუშავების დაოსტატების მისაღწევად ხშირად მიმართავდა ხატვას ნატურიდან (პორტრეტი, ნატურ-მორტი, ეტიუდი) „ერთ სეანსში“. რაც გულისხმობდა სწრაფ ხატვას, რადგან ნატურას სწრაფად აცვლევინებდა პოზას. მსგავსი მუშაობის სტილი სტუდენტთა შორის მოწყობილ შეჯიბრს წააგავდა, ამიტომაც თითოეული მათგანი მუყაითობას იჩენდა. ამით იგი აწრთობდა მოწაფეთა აღქმას, რათა სწრაფად შეეცნოთ დანახული. გამოემუშავებინათ მხედველობითი მესხიერება, ნახატის სიზუსტე და განზოგადების უნარი. თითოეულ მათგანს გამოევიდინა დამოუკიდებლობა, ინდივიდუალობა, დაეხვენა საკუთარი ხელწერა და შემოქმედებითი კრედო (კუ-

კულაძე, 1979).

1921 წელს ე. ლანსერემ, ტიცვიან ტაბიძის თხოვნით, გააფორმა ალბომი ნინო ჭავჭავაძის ცხოვრების შესახებ. 1925 წ. დაასურათა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „პალიასტომის ტბა“. აუცილებელია აღვნიშნოთ ე. ლანსერეს ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილი. 1922 წ. სახკინმრეწვემა ე. ლანსერე მიიწვია რეჟისორ ი. პერესტიანის ფილმ „სურამის ციხის“ დადგმაში მონაწილეობის მისაღებად. ფილმის დადგმისას, დიდ ტილოებზე მუშაობის დროს, მან რუსეთის თეატრებში შექმნილი გამოცდილება გაუზიარა ახალგაზრდა მხატვარ-დეკორატორებს: ვ. აკიშის, კ. ტირის, ძმებ ფ. და ი. ნოვაკებს. 1925 წელს ივ. პერესტიანის ფილმ „ჰაჯი-მურატის“-ათვის შექმნა ესკიზები. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დატვირთულ შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა, მაინც ჩვეული ენერგიითა და შესაშური შემართებით ეკიდებოდა თითოეულ დეტალს. ე. ლანსერე კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია თეატრში „მაკბეტის“ ესკიზების შესაქმნელად. ლანსერეს ნამუშევრები დეკორაციის 13 და კოსტიუმის 9 ესკიზი ინახება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუზეუმში.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მოღვაწეობა მხატვარს საშუალებას აძლევდა ახლოს და ძირფესვიანად გაცნობოდა საქართველოს მატერიალური კულტურის უძველეს ნიმუშებსა და მათ ისტორიას. იგი თავის შემოქმედებაში ხშირად გამოხატავდა ხალხის რეალისტურ სახეს, მათ მისწრაფებებსა და სურვილებს, არ უშინდებოდა შეექმნა ისეთი ტილოები, სადაც ჩანდა ღრმა ირონია საზოგადოების მმართველი ფენის მიმართ. 1921 წელს მხატვარ ა. პ. ასტრაუმოვა-ლებედევასათვის მიწერილ წერილში, იგი აღნიშნავს თავისი საქმიანობის შესახებ მუზეუმში, თეატრსა და არქეოლოგიურ ექსპედიციებში (მასხარაშვილი, 1972). ამავე წელს ის მონაწილეობას იღებდა გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებულ ექსპედიციაში, რომელიც ითვალისწინებდა დავით გარეჯის უდაბნოს შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიცია მიმდინარეობდა საკმაოდ რთულ გარემოში, მონაწილეთა თავდაუზოგავმა შრომამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. ე. ლანსერემ მოახერხა ჩაეხატა დავით გარეჯის ლანდშაფტი და ზედმიწევნით გადმოეცა გარემო პირობები მთელი თავისი დიდებულებით, ასევე შეექმნა სამონასტრო კომპლექსში არსებული ფრესკების ასლები. რის გამოც, გ. ჩუბინაშვილმა თავის ნაშრომში „დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები“ უდიდესი მადლობა გადაუხადა მხატვარს.

საქართველს მთავრობის დავალებით, ე. ლანსერემ ტემპერის ტექნიკით შეასრულა ორი შესანიშნავი ფრესკა რესპუბლიკის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მესამე სართულის კედლებზე, რომელთაგან ერთი დღემდე შემორჩენილია, მასზე გამოსახულია: „პირველი პოლიტიკური გამოსვლა ბათუმის რევოლუციური მუშებისა, 1902 წ. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით“ და მეორე: „ზაჰესის მშენებლობა“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ფრესკების მოხატვის დროს მასთან ერთად მუშაობდნენ შ. აბრამიშვილი, რ. მირზაშვილი და პ. ბლიოტკინი.

მხატვარმა ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობის დროს იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და შექმნა უნიკალური ჩანახატები. განსაკუთრებით საინტერესოა სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ფშავ-ხევსურეთის, გარე კახეთის მონახულების შედეგად შექმნილი ნამუშევრები. 1921 წ. აჭარაში მოგზაურობის დროს შექმნილი ნახატებიდან წარმოდგენილია სამეურნეო შენობა-ნაგებობათა ჩანახატები, სადაც ერთ ფურცელზე შესრულებულია ბეღელი და ძველებური წისქვილი. მხატვარს დეტალურად აქვს ასახული წისქვილის კონსტრუქცია **სურ.:1.** ფერადებით შესრულებული დარბაზული სახლის შიდა ინტერიერი, სადაც წარმოდგენილია შუაეკვსხლის პირას მჯდომი კაცი, კერძის თავზე ნაჭაზე დაკიდებული კარდალით, იქვე მდგომი ტაბლა, დერგი და ხის ქოშები, ამ ნახატში გადმოცემულია გლეხისათვის დამახასიათებელი სიმარტივე და უბრალოება **სურ.:2.** მხატვარი წარმოგვიდგენს აჭარელთა დამახასიათებელი საცხოვრისის ტიპს, ოდა სახლის ხედს გვერდიდან, რომელსაც ქვედა სართული ქვით აქვს აგებული, ზედა კი ხის მოაჯირითა და რიკულებითაა გაფორმებული. ნახატს გვერდით შავი ფანქრით მიხატული აქვს მოაჯირის ორნამენტები და ტემპერით დახაზული სახლის გეგმა **სურ.:3.** ე. ლანსერეს შესრულებული აქვს ოდა სახლის შიგნით ნაგები ბუხრის ჩანახატი, რომელიც აჭარისთვის იყო დამახასიათებელი და მთელს კავკასიაში იყვნენ ცნობილი, აჭარელი ბუხრის ოსტატები. მსგავსი ბუხარი განსხვავდება დარბაზულ სახლში არსებული კერისგან **სურ.:4.** ჩანახატი წარმოგვიდგენს ხელსაბან ქურჭელს და მის დეტალურ განხილვას, თუ როგორ მაგრდებოდა ტოლჩა. ჩახატული აქვს ხელსაბანი თასი და კარის დეტალები, თითოეულ მათგანს ახლავს მხატვრის მიწერილი განმარტებანი. **სურ.:5.** ფერადებით შესრულებული სამზარეულო კუთხე, წარმოადგენს ოთახის აღწერას. კედელზე მიმაგრებული ხის თაროებზე განლაგებული ქურჭლით, კარადით და სამზარეულო აღჭურვილობით. **სურ.:6.** სვანეთში მოგზაურო-

ბის შედეგად მხატვარმა უფრო მკვეთრი და მრავალფეროვანი გახადა ნახატის ფერები, რაც აშკარად განსხვავდება დავით-გარეჯის ბუნების ბაცი ტონებისგან. სვანური კოშკები და მთის მწვერვალები მხატვრის ხასიათსაც გადმოგვცემს. **სურ.:7, 8, 9, 10.** შესრულებული ქართველი ქალის სამოსი, რომელიც მაღალი მხატვრული პროფესიონალიზმითაა წარმოდგენილი. არსებობს აღნიშნული ნახატის ორი ეგზემპლარი, ერთი დასრულებული, ხოლო მეორე დაუსრულებელი სახით. ნახატში წარმოდგენილა ქალის სახის დახვეწილი ფორმები და ტასაცმლის შესანიშნავად გადმოცემული ქსოვილის ფაქტურა, რომელიც საერთო ჯამში ქმნის ქართული ეროვნული სამოსელის საერთო იერს. **სურ.:11.** მოგზაურობის და საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის უშუალოდ გაცნობის შედეგად მხატვარმა შექმნა ქართული სახეებისა და ტანსაცმლის ჩანახატები. **სურ.:12, 13, 14.** აღნიშნული ნახატები ინახება ს. ჯანაშიას ეთნოგრაფიისა და ახალი ისტორიის განყოფილების დამხმარე ფონდსაცავში.

თუ გავითვალისწინებთ ე. ლანსერეს მაღალ პროფესიონალიზმს და საქმისადმი დიდ სიყვარულს, თითოეულ ნამუშევარში ზედმინეწიითი მონდომებითა და სიზუსტითაა ასახული თითოეული დეტალი. ე. ლანსერემ დაგვიტოვა, მართლაც თვალსაჩინო მაგალითები საქართველოს ცხოვრების ისტორიიდან, მის ნამუშევრებში გადმოცემულია საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალა, ლანდშაფტისა და გარემოს რეალისტური ნახატები, ისტორიული ძეგლებიდან გადმონახული ასლები, ქართული ეროვნული სამოსის ჩანახატები და ბევრი სხვა. მისი ღვაწლი დასაფასებელია, როგორც საქართველოს, ისე სხვა სახელმწიფოების მიერ სადაც მას უწევდა მოღვაწეობა.

Giorgi Meurmishili

Darejan Abuladze

Eka Maziashvili

Eugene Lanceray- At the edge of culture of Independent Georgia

Summary

National Museum of Georgia keeps unique Georgian cultural heritage. These artifacts are considered as the main documents for humanitarian sciences. Museum organized an expedition with the purpose to search and acquire exhibits from all around the Caucasus. The expedition included a group of artists, who drew collected materials on the spot and sketched social situation and local people. These expeditions resulted in launching this kind of methodological approach at the National Museum of Georgia, having made the depiction of materials and examples both in situ and ex situ as a mandatory activity. More than 46 artists, including Eugene Lanceray, famous Russian artist (1875-1907) were involved in this these studies. He was one of the founders of Georgian Art Academy, museum artist, theater artist and active member of Georgian society. With Iosif Charlemagne he created a coat of arms of Georgia. The Georgian museum commissioned him to travel around different part of Georgia and depict everyday life of the locals. He created whole series of paintings, as well as buildings, various weapons, furniture, clothes, portraits, etc. His work and art methodology had a great influence on the development of Georgian art.

Subject of this study is E. Lanceray's works, kept in the Museum of Georgia. These paintings are primary sources containing unique details of social life, which are not found in written sources.

დამონშებული ლიტერატურა:

გელაძე თ. სამეცნიერო დამხმარე ფონდი. ეთნოლოგიური ძიებანი V ტომი. მერიდიანი. თბ., 2013.

კარბელაშვილი მ. ოსკარ შმერლინგი, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXXIX სამეცნიერო სესია, მოხსენებათა კრებული, თბ., 2000.

კუკულაძე კ. ევგენი ლანსერეს შემოქმედების მიმოხილვა, თბ., ხელოვნება, 1979.

ლებანიძე დ. ძველი თბილისის ყოფა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მხატვართა შემოქმედებაში. კრებული „ქართული ხელოვნება“ 9. სერია ბ. თბ., „მეცნიერება“, 1991.

მახარაშვილი გ. ევგენი ლანსერე და კავკასია, თბ., 1972.

ნადირაძე ე. სმითი ბონი ნეიბ, გელაძე თ. მაქს ტილკე კავკასიის ხალხთა კოსტიუმები. გამომცემლობა „დიოგენე“, თბ., 2005.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, თბ., 1964.

ფერაძე თ. რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX საუკუნე), თბ., 1964.

ქიქოძე გ. ნერილები ხელოვნებაზე, თბ., 1936.

ციციშვილი მ. XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული ფერწერა. გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ., 1997.

ციციშვილი მ., ვაჩიშვილი ნ., სოხაძე მ., თეატრის მხატვრობა. კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია. თბ., 2006.

ჩუბინაშვილი გ. დავით-გარეჯის გამოქვაბულთა მონასტრები, თბ., 1948.

Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии. М., 1975.

Библиографический словарь искусства. М., 1972.

Путеводитель по кавказу. Тифлис, 1896.

Лансере Е.Е. Каталог выставки. М., 1961.

Таханаева П. Лансере в Дагестане, Бизнес-Успех №2, 2009.

Энциклопедия искусства XX века . М., „Ольма-пресс“, 2002.

Энциклопедия мировой живописи. М., „Ольма-пресс“, 2002.

ილუსტრაციები:



სურ. 1




სურ. 2



სურ.3



სურ. 4



სურ. 5



სურ.6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14

მოგონებები

რამაზ პაპუაშვილი

სტუმარი საკუთარ სახლში

წინასიტყვა

მოგონებათა ეს ამალეღვებელი ნარკვევი ეკუთვნის პარიზის ქართულ ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილს, საფრანგეთის მოქალაქეს, ბატონ რამაზ პაპუაშვილს. ჩემდა საბედნიეროდ, მე ვიცნობ ამ პიროვნებას. ბედნიერება მქონია, მესაუბრა მასთან და გამეზიარებინა ემოციური განწყობა, რომელიც ქართული ემიგრაციის ისტორიის წარმოჩენის ნებისმიერ მომენტში მყისიერად იჩენს ხოლმე თავს. უეჭველია, რომ ადამიანათვის მისი ღირსებაა უმთავრესი, თუ ასეთ თვისებას კაცისას ამკობს მომხიბლავი ფიზიონომიური სისრულე, მაშინ იოლადაა შესაძლებელი წარმოდგინოთ ბატონი რამაზ პაპუაშვილის პიროვნება: საშუალოზე მაღალი, მზით გარუჯული, მეტყველი მანერებით, ჩადგმული სხეულით და განუმეორებელი ღიმილით სავსე, რომელიც გამოსატყუალად ატარებს ორი დაშორებული სამყაროს ნიშან-თვისებებს. თუ ამას დავემატებთ მოლულუნე ფრანგული აქცენტით ქართულ მეტყველებას, მაშინ მისი პორტრეტის წარმოდგენა ძნელი აღარ იქნება მკითხველისათვის.

ბატონი რამაზის ამ ფრაგმენტულ პროზაულ პასაჟს არნახულ სინათლეს ფენს წინამდებარე ბიოგრაფიული ნარკვევის საოცარი დამუხტულობა. აქ წარმოდგენილი ამბები: წინაპართა სამშობლოზე, მშობლებზე, საფრანგეთზე, ჩვენი ქვეყნის ბედსა და მის მომავლზე, გულის ფიცარზე დაწერილივითაა და თუ ადამიანი მართლა თავისი შემოქმედებით შეიმეცნება, მაშინ ეს ნაშრომი სრულად წარმოაჩენს ბატონი პაპუაშვილის პიროვნებას და მკითხველს აძლევს საშუალებას, გაიცნოს ემიგრაციაში დაბადებული და აღზრდილი იდეალური ქართველი ფრანგის კლასიკური ტიპი.

მე შეგნებულად არ გავამახვილებ ყურადღებას ამ ნარკვევის შინაარსისა და მისი პუბლიცისტური მნიშვნელობის შესახებ, დაე, ეს მკითხველმა თავად შეაფასოს, მაგრამ, როგორც ამ ნარკვევის გამოქვეყნების ინიციატორი, ვალდებულად ვთვლი თავს, განემარტო პოზიციასთან დაკავშირებით, რომელიც ბატონ რამაზს უჭირავს საქართველოში კანონიერ ხელისუფლების დამხობასთან დაკავშირებით. არ

ვიცი, რამდენადაა შეცვლილი ავტორის მიერ ნიგნში წარმოდგენილი იმდროინდელი შეფასებანი დღევანდელთან შედარებით, მაგრამ მსურს განვაცხადო, რომ კანონიერი გზით არჩეული ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო პუტჩისტურად განწყობილმა ჯგუფმა, რომელიც კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთის სპეცსამსახურების უშუალო დახმარებით მოქმედებდა. დღეს ეს საკითხი ერთმნიშვნელოვნადაა აღიარებული თავად ისეთი ცნობილი პირებისაგანაც კი, რომლებიც ამ დაპირისპირებაში გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში იღებდნენ მონაწილეობას. ასევე, არ იმსახურებს შეწყნარებას ბატონი პაპუაშვილის დადებითი აზრი გამოთქმული ედუარდ შევარდნაძისა და თენგიზ სიგუას მიმართ, რომელთა კავშირი და მეთავეობა პუტჩისტურ გადატრიალებაში უეჭველი მტკიცებულებებითაა დადასტურებული და ეს დღეს მთელი საქართველოსათვისაა ცნობილი.

ფაქტია და ყოველმხრივ მჯერა, რომ ბატონი პაპუაშვილს არ ამოძრავებს არავითარი წინასწარგამიზნული სურვილი მოვლენათა ინტერპრეტირებისა, უბრალოდ, იგი მოქცეულია მაშინდელი დასავლეთის პოზიციის საინფორმაციო ვაკუუმში, რომელიც წარმოშობილი იყო გამსახურდიას პატრიოტული სულისკვეთების საპირისპიროდ და არა ნაციონალისტური განწყობისათვის, რომელსაც მას აბრალებდნენ. წინამდებარე ნაშრომში, საქართველოში განვითარებულ ამ მოვლენათა შესახებ აკი თავად ბრძანებს ბატონი რამაზი: „არ არსებობდა არანაირი წყარო საქართველოდან წამოსული ინფორმაციის გადასამონწმებლად“.

და ბოლოს, ეს პატარა შესავალი მსურს დავასრულო ბატონი რამაზ პაპუაშვილის მოგონებებში ჩართული ერთი უბრწყინვალესი პასაჟით, რომელიც სრულებით გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას და მის პოზიციას საქართველოსა და ქართველების მიმართ. ესაა შეფასება ჩვენი შესაძლებლობის, ჩვენი იმედის, ჩვენი გამძლეობისა და ჩვენი გადარჩენისა, რომლის პათოსს ნებისმიერი ჩვენთაგანი გულრწფელად გაიზიარებს:

„აღბათ ჩვენი სიცოცხლისუნარიანობის მთავარი ძალა არსებობის დაუოკებელი ჟინია, ვიცოცხლოთ ყველასთვის და ყველას წინააღმდეგ. ის ჩვენ გვაცოცხლებს, ბიძგს გვაძლევს, ძალას გვმატებს, რომ საკუთარ თავს ვაჯობოთ. ქართველს სჭირდება ხმამაღლა იყვიროს „მე ქართველი ვარ!“, იმისათვის რომ არსებობა განაგრძოს, რომ თავი გამოიჩინოს, თავი წარმოაჩინოს, მოხიბლოს, თავი შეაყვაროს, თავისი ძალის, სიმამაცის, ინტელიგენტობის და ხანდახან მსუბუქი ტყუილის

თქმითაც კი, მაგრამ დიდი ნიჭის წყალობით. ყველგან, ხშირად შორსაც, სუბიშვილების მოცეკვავეებს თუ სხვა მომღერლებსა და მოცეკვავეებს, ხელოვან ადამიანებს, სპორტსმენებს, ყველას ჩაბეჭდილი აქვს გონებაში და კუნთებში ის ჟინი, რომ საკუთარ თავს უნდა გადააჭარბოს. ჩვენ განსაკუთრებული ტიპის ჰომო საპიენსები ვართ. აურაცხელი ომების, დაპყრობის, უღეტვისა და ყველანაირი შეურაცხყოფის მიუხედავად გადარჩენილები. ჩვენ გადავრჩით, რადგან ჩვენს მითებს ვართ მიჯაჭვულნი, როგორც ალპინისტები ეჯაჭვებიან მთებს მზიანი ამინდის, ქარიშხლისა თუ გრიგალის დროს. აქ საგმირო არაფერია, – ეს ჩვენი ბუნებაა. ჩვენ კაცობრიობის განსაკუთრებული შტოს წარმომადგენლები ვართ“.

ელდარ ნადირაძე

პრეამბულა

მინდა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება იმ „გიჟური წლების“ შესახებ, რომელიც თან ახლდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

მთელი ცხოვრების მანძილზე არასოდეს შემპარვია ეჭვი ჩემს ქართველობაში. თუმცა თავს ფრანგადაც ვთვლი და ბედნიერი ვარ ჩემი ბედით. მიყვარს ეს ქვეყანა. ან კი სხვაგვარად როგორ უნდა იყოს, როდესაც ბედისწერამ ასე ინება, დავიბადე დიდი კულტურის, დიდი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაში, სადაც ცხოვრებას საოცარი სიტუბოება ახლავს, მაგრამ ჩემი სამშობლო, ჩემი მშობლის მინა, ჩემთვის საქართველოა.

დედისგანაც და მამისგანაც, ჩემი წინაპრები ქართველები იყვნენ. მართალია სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები, მაგრამ როგორც ერთი მედლის ორი მხარე, ერთად ერთ მთლიანობას ქმნიდნენ. ერთი ბაბუა, ზემოიმერელი აზნაური ივანე გომართელი იყო, ხალხის სიყვარულით განებივრებული ექიმი, იდეალისტი, განათლებული პოლიტიკოსი, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერი და მეორე კი ქუთაისელი აზნაური, ღვინით მოვაჭრე, მინათმფლობელი, ამაყი და სოლიდური პიროვნება, ანტი-სოციალისტი. მათი ფოტო ჩემი კაბინეტის კედელზეა მოთავსებული. პირველი შარვალ-კოსტუმსა და ჰალსტუხში, მეორე კი ქილებიან შავ ჩოხაში გამოწყობილი, ხელში ხანჯლით. მე მათ არ ვიცნობდი, არცერთს. ისევ ბედისწერის წყალობით. თუმცა ჩვენს შორის მაინც იყო სიცოცხლით სავსე კავშირი. ისინი რჩებიან ჩემს ფესვებად, იმ ფესვებად რომელზეც მე ვდგავარ, თანამედროვეობისა და წარსულის სინთეზად, რომელიც ჩემს შემდეგ შეწყვეტს არსებობას.

ეს ნაცნობი უცნობები, მათი არყოფნის მძიმე შეგრძნება, დასტური იყო განყვეტილი კავშირის, მოუშუშებელი ქრილობის, იმ ტრაგედიის რომელზეც არავინ საუბრობდა. მართალია, მათ არასოდეს ვახსენებდით, მაგრამ ეს გადაჭრილი ფესვები ყოველთვის მაკლდა და ეს დუმილიც თითქოს რაღაც საიდუმლოს მალავდა. ვფიქრობ, დედა და მამა ასე ცდილობდნენ ჩემს დაცვას მათი ტრაგედიიდან და მარიდებდნენ სევდიან გარემოს. ნაგლეჯ-ნაგლეჯ, ნელ-ნელა გავიგე რომ ივანე გომართელის შვილები საფრანგეთში ჩამოვიდნენ ძვირფასეულობასა და ცოტაოდენი თანხის ამარა, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში

უზრუნველყოფილ ცხოვრების საშუალებას მისცემდათ. თავად გომარ-თელი საფრანგეთში არ წასულა.

ივანე თავის პოლიტიკურ მოსაზრებებში ყოველთვის პროგრესული იყო, რადგანაც ექიმად მუშაობით ლარიზი ხალხის პირობებს კარგად იცნობდა. მაგრამ რამდენად ფართო იყო მისი პროგრესული აზოვნება? არ შეიძლება არ სცოდნოდა ბოლშევიკების საქმიანობა და იმ საშინე-ლი რეპრესიების შესახებ, რომელიც 1924 წელს ჩაატარეს. იქნებ იმედი ჰქონდა რომ მოვლენები ნაკლებად რადიკალურად განვითარდებოდა? ან იქნებ შეგნებულად არ უნდოდა თავისი ხალხის ჭირში მიტოვება?

ამას ვერასოდეს გავიგებ. თუკი რაიმე მსმენია მის შესახებ, მხ-ოლოდ როგორც დიდ ადამიანზე, რომელმაც სიცოცხლე მოისწრაფა 1930 წლის ერთ დილას, როდესაც კაგებემ მის კარზეც დააკაკუნა. ეს იყო ამო განსაცდელის უარყოფა თუ იმედგაცრუებების ჯაჭვი? რაც არ უნდა იყოს, მე ეს ფესვები დამაკლდა. დღემდე ვატარებ მის ქორ-წინების ბეჭედს, რომელიც ბებიამ მაჩუქა.

მეორე ბაბუა, უცნობი და თან ახლობელი. რამდენიმეჯერ იყო დაქორწინებული და მამაჩემი მისი ნაბოლარა ვაჟი იყო და ამის კვალო-ბაზე თავისთავად განებვირებულის. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ-მანეთს აღმერთებდნენ. ის იყო უფრო მინის მესაკუთრეების, მშრომ-ელი და ჯანსაღი ხალხის ოჯახიდან, ვიდრე ინტელექტუალების წრიდან. მამაჩემსაც ხომ მისი სისხლი უჩქეფს ძარღვებში, მაშასადამე, ისინიც მასავით კეთილი და ხელგაშლილი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ წაკითხვისას კიდევ უფრო შევი-გრძენი ჩემი წინაპრების სულისკვეთება: თავისუფლების დაუოკებელი წყურვილი, საკუთარი თავის ბატონ-პატრონობა, არაამქვეყნიური ძალა და ცხოვრების სიყვარული.

ივანე გომართელისაგან განსხვავებით, ქუთაისელი ბაბუა კონ-სერვატორი იყო. მიწების ჩამორთმევას და მათ გლეხებზე დარიგებას სიხარულით არ შეხვედრია, მაგრამ მისთვის ეს იყო ახალი სამყაროს დასაწყისი, რომელსაც უნდა შეგუებოდა. ამ ყველაფერში რაც ყველაზე მეტად ტკენდა გულს იყო ის, რომ ეს მიწები სრულიად მოუმზადებელ და დაუდევარ ახალ მესაკუთრეებს გადაეცემოდა. ეს საკითხი ხშირად კვებავდა პოლიტიკურ დისკუსიებს ემიგრანტებში და ხაზს უსვამდა მათ იდეოლოგიურ განსხვავებულობას.

როგორც მიაბნეს, ბაბუა თურმე ყოველთვის თან ატარებდა თავისი ვაჟის ბოლო წერილს და გარდაცვალებისას ხელში ამ წერილით

მიიცვალა.

არც დედა, არც მამა, არასოდეს მესაუბრებოდნენ თავიანთ მშობლებზე თითქოს ემიგრაციაში ცხოვრება მალავდა წარსულს, რათა მომავლისთვის მიეცა შანსი განთავისუფლებულიყო წარსულის უბედობისგან.

შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ამ დუმილმა კვალი დამაჩნია მე, როგორც ბავშვს და ისტორიიდან გამრიყა როგორც ადამიანი. თითქოს ევროპაში არსებობდა გარკვეული იდეოლოგიური „რკინის ფარდა“, ჩვენს ოჯახებში კი გარკვეული ფილტრი შეექმნათ, რომელიც ცენზურასავით მოქმედებდა: მხოლოდ თბილი და ლამაზი მოგონებები აღწევდა თავს ამ ფილტრს, წარსულის უბედურებები კი მის მიღმა რჩებოდა.

და მეც ვრჩებოდი დროისგან ამოვარდნილი ქართველი, რომელიც თავის სამშობლოს იცნობდა მხოლოდ ჩვეულებებითა და ტრადიციებით, ფოლკლორით, რომელსაც ამაყად ვეზიარებოდი, შოთა რუსთაველის ეპიკური მონათხრობით, საკვირაო წირვით, სახლში რამდენიმე საათით თავმოყრილი მეგობრებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ჩვეულ მცირე საზოგადოებას, თავისი სუფრით, რიტუალებითა და დამახასიათებელი იუმორით. ეს იყო დიდი ოჯახი, რომლითაც ვტკებოდი და რომლებიც სათითოდ გავაცდილე ლევილის სასაფლაომდე. რამდენჯერ მომისმენია, დაჩოქილს „ხსოვნა იყოს...“!!!

ჩვენი მშობლების უმრავლესობას საქართველოს დატოვება მზარდობის ასაკში მოუხდათ და ნაადრევად დარჩნენ ობლად, მშობლებისა და სამშობლოს გარეშე. ამ სევდისა და მწუხარების ოკეანეში ერთადერთ ნავსაყუდელად მხოლოდ რამდენიმე ქართველი ოჯახი ეგულებოდათ. ეს ქართველები ქმნიდნენ ჩემს დიდ ოჯახსაც, ჩემს უახლოეს წრეს, რომელიც ფრანგული საზოგადოების კრიტიკრიუმებისათვის უცხო რჩებოდნენ. ამ საზოგადოებაში არ არსებობდნენ არც მდიდრები და არც ღარიბები, ეს იყო ერთიანი, უნიკალური და თანამდგომი ოჯახი, გაერთიანებული ფაქიზი გრძნობების ირგვლივ.

ყველაზე მეტად ალბათ ოჯახის გარეშე ჩამოსულებს უჭირდათ. ისინი იმაზე დაბალი ღირსების სამუშაოს ასრულებდნენ, ვიდრე იმსახურებდნენ. სასტუმროს უცხო ოთახში თანამგზავრად მხოლოდ მარტოობა ელოდებოდათ და ღამით დაბრუნებულებს ნუგეშისმცემელიც არავინ ჰყავდათ.

ერთ-ერთ ასეთთაგანს - ლადოს მეც ვიცნობდი, სითბოთი და სინაზით სავსე ადამიანს. ლადო გამთანგველ სამუშაოს ეწეოდა. ღამით

პარიზის მეტროსადგურებში ხარაჩოებზე ჩამოკიდებული, ამონიაკის შემცველი თავბრუდამხვევი ქიმიური ხსნარებით ჭერს წმენდდა. მან კარგად უწყობდა რომ სამუშაო ჯანმრთელობისთვის საშიში იყო და ხშირად გამოხატავდა კიდევ ამაზე გულისწუხილს. ლადო ჩემს მშობლებს შეუთანხმდა და სამუშაოდ წასვლამდე ჩვენთან მოდიოდა უიშვიათესი გამოცემის „ვეფხისტყაოსნიდან“ რამდენიმე სტროფის წასაკითხად. დედისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს წიგნი ჩვენი სახლიდან არასოდეს გასულიყო. ერთ საღამოსაც ის აღარ მოსულა. ხარაჩოდან ჩამოვარდა და ეს უბედური შემთხვევა მისთვის სასიკვდილო აღმოჩნდა. აი, იმ ადამიანების სევდიანი ბედი, რომლებზე მოგონებებიც, თავიანთი ღიმილითა და სითბოთი სავსე სიყვარულით, ჩემს ცხოვრებას გარს შემოეკვრენ როგორც დამცავი ბადე. ეს იყო ჩემი უბანი, ჩემი ტერიტორია.

ადრეული ასაკიდანვე გამიჩნდა უსამართლობის გრძნობა ისტორიის მიმართ, იმის მიმართ თუ როგორ მოექცა ის საქართველოს და თავისთავად ჩემს მშობლებს, რომელთა დანაშაულის შეგრძნების მოწმეც გახლდით, დანაშაულის, რომ დარჩნენ ცოცხლები, რომ ცხოვრობდნენ თავისუფლების ქვეყანაში და რომ უკან მოიტოვეს მოგონებები, ამდენი სითბო, მეგობრობა და ნაღველი, რომლის ჩაქრობასაც ამაოდ ცდილობდნენ.

მათ სჯეროდათ, რომ თუ ქართულად აღმზრდიდნენ, ისტორია მათთან ერთად არ გაუჩინარდებოდა და იმაზე არც კი დაეჭვებულან, რომ შეიძლება ეს აღზრდა სრულიად შეუსაბამო ყოფილიყო დასავლური წეს-ჩვეულებების გარემოში. ინსტიტუტურად და საკუთარი ნებით მათ შექმნეს ქართული ოჯახი, ტრადიციული ცხოვრების წესით თითქოს სურდათ დაემარცხებინათ დროის ცხადი ავბედითობა. ჩემთვის რთული აღმოჩნდა მენვნია ეს სოციალური და კულტურული გაორება (დიქტომია), რომელიც ასე მძლავრად იკვეთებოდა ჩვენი ოჯახის ზღურბლზე.

ცხადია, ვიცოდი ილია ჭავჭავაძის პიროვნების შესახებ, მაგრამ სკოლაში ვიქტორ ჰიუგოს გვასწავლიდნენ, ხანდახან სადღეგრძელოში ყურს მოვკრავდი ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის ან ჩემი თანამედროვე რომელიმე ქართველი მწერლის სახელს, მაგრამ იმ კულტურას, რომელშიც ვცხოვრობდი, თავისი პრიორიტეტები ჰქონდა: მონტესკიე, ტოკვილი, რუსო, ბალზაკი, ალექსანდრე დიუმა, მოლიერი და რასინი, ვოლტერი და კამიუ და ათობით სხვა მოაზროვნე, რომლებიც ფრანგული კულტურის შემადგენელი ნაწილი იყვნენ და რომლებმაც თავიანთი ნაწარმოებით სინათლე შეიტანეს მთელი მსოფლიოს

კულტურაში.

როდესაც ვუბრუნდები ჩემს განვლილ ცხოვრებას და ახალი თვალით ვუყურებ ჩემს მშობლებს და სხვებსაც, მეუფლება იგივე გრძნობა, რომელიც დამეუფლა საქართველოს პირველად მონახულებისას, ჩემი პირველი მოგზაურობის დროს 1973 წელს. ეს გრძნობა მშვენივრად ფორმულირდება კუნდერას ფრაზით: „ვუცქერ ჩემს ხალხს, როგორც ინვალიდი ბავშვი, როგორც ის ბავშვი, რომელსაც მეტი სიყვარული, მეტი თანადგომა და იმედი ესაჭიროებოდა ვიდრე სხვებს, და ამავდროულად, ეს ბავშვი თავისი მდგომარეობით, მშვენივრად ასახავს სიყვარულისა და მამაცობის გამოხატვის ჩვენს უნარს“.

ჩვენი ოჯახი, მამაჩემის ძალისხმევისა და სიმამაცის წყალობით, ნაკლებად ცუდად ცხოვრობდა, ვიდრე სხვა ბევრი ქართული ოჯახი. ამ დროს პოპულარული იყო მანვნის გაყიდვა: რთული არ იყო მისი მომზადება, რძე იაფი ღირდა და თანაც ამ ახალმა პროდუქტმა მალე გაითქვა სახელი, როგორც ჯანმრთელობისათვის და განსაკუთრებით, როგორც ბავშვებისათვის სასარგებლო საკვებმა. ამგვარად, ის მალე გაჩნდა სკოლისა თუ სხვა საწარმოების სასადილოების მენიუში, გაჩნდა მისი ნაირსახეობები, ტკბილი, ხილის არომატით, იმისათვის რომ ბავშვებს მეტად მოსწონებოდათ. ეს პატარა მანვნის საწარმო ნელ-ნელა ვითარდებოდა ბაზართან ერთად, სადაც კონკურენტების რიცხვიც იზრდებოდა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის, რომ ნორმალურად გვეცხოვრა. მართალია, ჩვენი საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეები არ ვიყავით, მაგრამ ვცხოვრობდით საუკეთესო პარიზულ უბანში, რალა თქმა უნდა, მის ნაკლებად მდიდრულ ნაწილში, რაც გარკვეულ სოციალურ პოზიციასაც გვანიჭებდა. მამას არანაირი საწარმო გამოცდილება ან ცოდნა არ გააჩნდა, რამაც ხელი შეუშალა კიდევ უფრო წინ წასულიყო და გასცდენოდა თავის მოკრძალებულ მდგომარეობას. თუმცა, ამ გამოუცდელობას ანაზღაურებდა საქმეში მთელი სულითა და გულით ჩაბმულობით და ამგვარად, მან მოახერხა ჩვენთვის უზრუნველყო ბურჟუაზიული ცხოვრება ყველა თავისი ატრიბუტით: ტელევიზორი გამოჩენისთანავე, თანამედროვე ავტომანქანა, არდადეგები ფრანგულ რივიერაზე, და რაც მთავარია, კარგი განათლების მიღება, არა მარტო საფრანგეთში, არამედ ამერიკაშიც. იმ პერიოდისთვის ეს იყო უიშვიათესი შემთხვევა და დიდი პრივილეგია.

ეს შესაშური მდგომარეობა ემიგრაციის წრეში იწვევდა, როგორც პატივისცემას ისე შურს, თუმცა არავინ დაობდა ინდიკო პაპუაშვილის

შრომისმოყვარეობასა და გაბედულობაზე.

ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მუდმივად ცვალებად ბაზარზე დასავლური და ევროპული ეკონომიკის გლობალიზაცია სხვა მეთოდებს, სხვა კაპიტალს, ახალ ტექნოლოგიებს ითხოვდა და კლიენტებიც სულ უფრო და უფრო მომთხოვნნი ხდებოდნენ.

ვფიქრობ, მამას შეეძლო ახალ გამოწვევებზე მორგება და სიახლეების საკუთარ საქმიანობაში დანერგვა, მაგრამ ამისათვის იმ სამყაროს ნევრი უნდა გამხდარიყო, რომელიც მისი არ იყო: ეს იყო უფრო მკაცრი, უფრო ფარისევლური, ნაკლებად ჰუმანური, მეტად ტექნოკრატიული სამყარო. მისი ჩვეულებებიდან ძალიან შორს მყოფი სამყარო. თანაც, მან მაინც მოახერხა ყველაზე მნიშვნელოვანის დაცვა: ოჯახი უზრუნველყოფილი იყო და ბავშვებმა განათლება მიიღეს. მან შეძლო შეეკავშირებინა უნივერსალური ფასეულობები ქართულ იდენტობასთან და არასოდეს დავინწყებია, ვისი გორისა იყო, საიდან მოდიოდა. მის მიმართ მხოლოდ სიყვარულსა და აღფრთოვანებას ვგრძნობ.

ხშირად დაჩაგრული ერისათვის, თითოეული განმანსხვავებელი ნიშანი იმის გამოხატულებაა, რომ ჯერ კიდევ არსებობს, რომ განსაკუთრებულია, და რომ მისი არსებობა სრულიად ლეგიტიმურია. ქართველებსაც გვაქვს ეს უნარი: საუკეთესო მხარეები წარმოვაჩინოთ, რათა უკეთ დავფაროთ ქრილობები. რაც არ უნდა დაუძლურებული ან დამპყრობლებისაგან, თუ გამანადგურებელი რეჟიმისგან წელში განწყვეტილები ვყოფილიყავით, ვინარჩუნებდით უნარს, დაგვემტკიცებინა, რომ ეს ჩვენი ბრალი არ იყო. საქართველოდან დაბრუნებული ტურისტები საოცარ ამბებს გვიყვებოდნენ, რომ საქართველო დასახლებული იყო პრინციბით, რომ ერთად ისინი სამეფო ხალხს ქმნიდნენ და თავისუფლები რომ ყოფილიყვნენ მსოფლიოს განაცვიფრებდნენ.

1957 წელს ამ ფაქტის წარმტაცი დემონსტრაციის მხილველი გავხდით. ამ წელს, პარიზში პირველად ჩამოვიდა საქართველოს ნაციონალური ბალეტი „სუხიმილები“. მთელი პარიზი შეიძრა მათი სპექტაკლით და მაყურებლების რიცხვით მათ ყველა რეკორდი მოხსნეს. ერთი თვის განმავლობაში, ყოველ საღამოს, პარიზის ძალიან ცნობილი საკონცერტო დარბაზი სავსე იყო ასობით აღტკინებული მაყურებლით, რომელიც არ იშურებდა აპლოდისმენტებს და თითოეული წარმოდგენის შემდეგ „ბის“ დაულალავად ითხოვდა.

ეს ნამდვილი პარიზული მოვლენა გახდა: ფრანგული ტელევიზია პირდაპირ ეთერში უშვებდა სპექტაკლის პირველ ნაწილს, რაც იმ

დროისთვის ტექნიკურად წარმოუდგენელი რამ იყო. გაზეთები ქება-დიდებას ასხამდნენ მათ და მთელმა საფრანგეთმა გაიცნო, თუ მთელი საქართველოს კულტურა არა, მისი მცირედი ნაწილი მაინც. იმ დროისთვის ფრანგულ კომუნისტურ პარტიას, ძლიერი სეროზიული ტენდენციების მიუხედავად, ჯერ კიდევ შერჩენოდა ძალაუფლება და სტალინსაც ჯერ კიდევ დიდი ადგილი ეჭირა პროპაგანდასა და წარმოდგენებში. საქართველოსთან დაკავშირებული ყველაზე ნაჩქარევი და უხეში ასოციაცია ცნორედ იოსებ ჯულაშვილის სახელთან იყო დაკავშირებული, რაც არცთუ ისე საამაყო იყო. ამ მხრივ სუბიშვილების ვარსკვლავური წარმოდგენები პარიზში, რომლის ბილეთებსაც ხალხი ერთმანეთს ხელიდან გლეჯდა, ფრანგებს სთავაზობდა ახალ ვიტრინას, მეტად პრესტიჟულსა და ფასეულს.

ჩვენთვის, საქართველოდან შორს მცხოვრები ქართველებისთვის კი, ეს კიდევ უფრო მეტს წარმოადგენდა. ჩვენ პირველად დავინახეთ ქართველები საქართველოდან, ეს ლამაზი მოცეკვავეები, თავიანთი გრაციოზული ცეკვით. პარიზი მოხიბლული იყო და ჩვენ აღტკინების მორევში გადავშვით. პირველი სპექტაკლის შემდეგ ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდით და მიუხედავად კაგებეს იქ მყოფი აგენტებისა, მაინც მოვახერხეთ მათთან შეხვედრა. ერთად შევიყარეთ იქაური და აქაური ქართველები, ტირილით, ხვევნით, მოწყურებულნი ერთმანეთის ნახვას.

რალა თქმა უნდა, ახალგაზრდებმა ვისარგებლეთ მოცემული შემთხვევით, რათა გაგვეუმჯობესებინა ჩვენი ცეკვა, რამდენიმეჯერ სკოლაც კი გავაცდინეთ, რომ ჩვენს იქაურ თანამოქალაქეებს შევხვედროდით. ხანდახან თარჯიმნობასაც ვუწევდით იმ პატარა საყიდლების დროს, რისი ყიდვის საშუალებაც ჰქონდათ. ხშირად ფრანგი გამყიდველი გასაავთებული და ხანდახან გახალისებულიც კი ჯერ არნახული შემთხვევისგან, ფარ-ხმალს ყრიდა ამ უცნაური კლიენტების წინაშე, რომლებიც უკვე დაბალი ფასის კიდევ დაწვეაზე ევაჭრობდნენ. ცოტა გვრცხვენოდა კიდევ, ჰოდა თარგმნისას ხან განმარტებებს ვაყოლებდით, ხან მათ ნათქვამს შევალამაზებდით, ნამდვილი კომედია იყო.

სწორედ ამ მომენტიდან დავრწმუნდი, რომ ქართველობა მხოლოდ ნათესაობით ან მემკვიდრეობით მიღებული გრძნობა კი არ იყო, არამედ სრული იდენტობა და, რომ ის იმსახურებდა ყოფილიყო აღიარებული, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი იდენტობა. მეც ჩემში მალულად ვატარებდი ამ მოთხოვნას და ვფიქრობ, იმაზე მეტი მოვახერხე, ვიდრე მხოლოდ მასზე თავს დამტყდარი უსამართლობის გაზიარება.

ცხადია, ჩვენ, ემიგრაციაში დაბადებული ქართველები, ქართულ იდენტობის მატარებელი ვიყავით. მაგრამ ეს იდენტობა დაფუძნებული იყო ჩვენი მშობლების ენაზე, რელიგიაზე. ისეთ კათოლიკურ ქვეყანაში, რომელიც რომის ეკლესიის უფროს ქალიშვილად მიიჩნეოდა, ჩვენ, ჩვენი სარწმუნოებით ცაკლე ვიდექით. ყველა ეს განსხვავებულობა, შესისხლხორცებული, შეგრძნობილი სხვადასხვა ხარისხით ოჯახების მიხედვით, ქმნიდა ახალ იდენტურ საზოგადოებას, რომელსაც გააჩნდა დამახასიათებელი რიტუალები, ტრადიციები, მითები და ეს სამყარო ყოვლდღიურ ცხოვრებას ძალიან დაშორებული იყო. ზოგმა თავი დააღწია ამ სამყაროს, ეს მათი არჩევანი იყო და ამაზე არც ვდავობთ.

ფრანგულმა განათლებამ, რომელიც მე მივიღე, მომცა ის საფუძვლები, რომლებიც შემდგომში განაპირობებს მთელს ჩემს ცხოვრებას, თავისი აღმართებითა და დაღმართებით. თუ მოკლედ უნდა მიმოვიხილო ჩემი მოკრძალებული არსებობა, მაშინ შემიძლია ვაღიარო, რომ თითოეულ ჩვენგანს ცხოვრების გაგების თავისებური აღქმა გვაქვს, თავისებური ცხოვრების სტილი, რომელიც შედგება ყველანაირი მატერიალური ინტერესებს მოკლებული თავისუფალი შესტებისა და გრძნობებისაგან. ამ მხრივ ქართველები მართლაც რომ საოცარი უნარების მატარებლები ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან შესტის სილამაზეს მეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვიდრე აზროვნებას. სწორედ ამგვარად განვსაზღვრდი ჩვენი იდენტობის ერთ ნაწილს, მით უფრო, რომ ის ჩემს პიროვნებასაც შეესაბამებოდა.

დიდი წარმოსახვის უნარი არაა საჭირო რომ გაიგო, რაოდენ რთული უნდა იყოს და არის ორმაგი ცხოვრება ისეთ ტრადიციულ და ამაყ ქვეყანაში, როგორც არის საფრანგეთი, ისეთ სპეციფიკურ ხალხში როგორებიც ფრანგები არიან. მათ დრო სჭირდებათ იმის დასაჯერებლად, რომ რამაზ პაპუაშვილი შეიძლება იყოს ფრანგი. დიდი ხნის განვლობაში ისმებოდა ერთი და იგივე კითხვა „და, სადაურია თქვენი სახელი?“

ამას დავუმატოთ ის ფაქტიც, რომ დაბადებიდანვე ჩვენი ოჯახური წარმომავლობიდან გამომდინარე, მამას მოუწია ოჯახის რჩევები გაეთვალისწინებინა და სურდა ჩემი სახელი ყოფილიყო „სარდალი“, ან „აბო“, მაშინ როცა დედას „რამაზი“ შეერჩია. დაბადების მოწმობის ასაღებად მერიაში მისულ მამას კი ფრანგული სახელის შერჩევა მოუხდა. ამგვარად „რამაზი“ – „მიშელით“ ჩაენაცვლებინა და ამით დედას განრისხებაც გამოიწვია. საბოლოოდ, მან თავისი გაიტანა და შემომი-

ნახა ის სახელი, რომელსაც ამჟამად ვატარებ, ანუ რამაზი, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტებში, მხოლოდ რამდენიმე თვეა რაც გაჩნდა.

ჯერ ერთი, გვარი – „პაპუაშვილი“ არც თუ ისე ადვილი სატარებელია, არც წარმოსათქმელადაა იოლი უცხოელისთვის, ამას დამატებული ისეთი სახელები, როგორცაა: „სარდალი“ და „აბო“!!! მიდი და აუხსენი, რატომ მოგმართავენ „ბატონო რამაზით“, მაშინ როცა ეს შენს საბუთებში არსად წერია. კიდევ ერთი მიზეზი რომ არასოდეს დაგავიწყდეს საკუთარი წარმომავლობა და იამაყო ამით. „ეს ქართული სახელია“ – ეს იყო პასუხებს შორის ყველაზე ცხადი პასუხი იმ ხალხის ცნობიმიყვარე კითხვაზე, რომლებიც ინტერესდებოდნენ ჩემი ფესვებით, იგივე სიცხადით ვპასუხობდი ჩემს რელიგიასთან დაკავშირებით.

აღმოჩენა

1973 წელი, კიდევ ერთი გადამწყვეტი პერიოდი ჩემი ცხოვრების გზაზე. 32 წლის ვიყავი და ისევ ეს გაორება მანვლებდა. ქუჩაში მივდიოდი, როდესაც შემთხვევით გადავანყედი ტურისტულ სააგენტოს, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობას გეთავაზობდა. მოულოდნელად სურვილმა შემიპყრო გავჩერებულიყავი და გამეგო შესაძლებელი იყო თუ არა საქართველოს მონახულება ისე, რომ საბჭოთა კავშირის საელჩოში ვიზის მოთხოვნა არ დამჭირებოდა. არანაირი განზრახვა არ მქონდა „დამპყრობლისთვის“ მეთხოვა საკუთარ სამშობლოში ჩასვლის ნებართვა. მივიღე რა დადებითი პასუხი, მაშინვე მივიტანე პასპორტი სააგენტოში და ჩემს მშობლებსაც განვუცხადე, რომ რამდენიმე დღეში ერთი კვირით საქართველოში გავემგზავრებოდი.

აქ არაფერს მოგიყვებით ჩემი მოგზაურობის შესახებ, თვითონაც ადვილად წარმოიდგენთ სექტემბრის თვეში თბილისსა და ქუთაისს. გირჩევთ წაიკითხოთ ვასილ კარისტის წიგნი გრიოს გამოცემით „იტაკი ანუ მშვენიერი მოგზაურობა“.

ისეთი განცდა მქონდა, თითქოს დიდი გზის შემდეგ საკუთარ სახლში დავბრუნდი. ყველაფერი ზუსტად ისეთი იყო, როგორც წარმომედგინა, არანაირი სიურპრიზი, ზუსტად იგივე, ათასჯერ განცდილი შეგრძნებები, თავისი ქუჩების სუნითა და ხმაურით.

ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, არც ისტორიკოსის და არც მწერლის ნამუბობი არაა, მე მხოლოდ ერთი მოწმე ვარ, ერთი მოუხ-

ერხებელი მოწმე, რომელსაც დროდადრო რალაცეებიც ავიწყდება, განსაკუთრებით ის რამაც ტკივილი მომაცენა, იმედი გამიცრუა, რაც შევიძულე. რა მნიშვნელობა აქვს საშინელ მოგონებებს იმ გასაოცარი გამოცდილების ფონზე, რომელმაც შემაერთა საქართველოსთან მისი ისტორიის ყველაზე გადამწყვეტ პერიოდში?! ეს იყო ცხოვრებისგან ნაბოძები პრივილეგია, გავმხდარიყავი მისი ხელახლა დაბადების მეზრდოლი მოწმე და გამეზიარა როგორც მისი ტანჯვა, ისე მისი სიხარული.

სუფრა 1

ცხოვრება კრიალოსანივით ჩაითვლის დღეებს ისე, რომ მათ ვერაფერი აჩერებს. მაგრამ არსებობენ განსაკუთრებული წუთებიც, როდესაც დიდი ხნის ნაოცნებარი მოვლენა როგორც იქნა გაარღვევს ოცნებას და რეალობად იქცევა. მნიშვნელოვანი მომენტი რომელიც თავისი მახვილი ინსტენსივობით სამუდამოდ ჩაიბეჭდება მეხსიერებაში.

მახსენდება ერთი განსაკუთრებული დღეა. აპრილის მზის ქვეშ გაზაფხულის ჰაერი ლივლივებდა. პარიზში, შემინული აივნიდან დღე კარგ სიახლეებს იუნყებოდა. მოვალეობებისგან განთავისუფლებულს სასიამოვნო პაუზა მქონდა. ტელეფონის ზარმა გამომარკვია ამ ტკბილი უდარდელობისაგან, შორეული ხმა მეცნო, ეს ავთოს ხმა იყო. წესით, პარიზიდან, ჩემი სახლიდან, მეტი ზარი ხორციელდება თბილისისკენ ვიდრე პირიქით. უჩვეულოა, მამასადამე, რალაც სერიოზულია.

„– საგარეო საქმეთა სამინისტროში ვარ, მინისტრის კაბინეტში. ახლახანს ტელექსით გადმოგიგზავნე, საქართველო დამოუკიდებლობას აცხადებს. პრესას უნდა აცნობო. კიდევ დაგირეკავ“.

პრინციპში ლოგიკური სვლა იყო. მოვლენები გიჟური სვლით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ვილნიუსიდან დაწყებული კიევით დამთავრებული, რუსეთსა და იმპერიის პერიფერიებშიც კი მოძმე ერები გაღმერთებული ლიდერების ჯაჭვებს ამსხვრევდნენ. ყველგან, შიშისგან გათავისუფლებული ბრბო „ღმერთების“ ხოცვას იწყებდა. ბრინჯაოსა თუ ქვისგან გამოკვეთილ „პატარა მამის“ ბიუსტებს, ამნეები მიწაზე ანარცხებდნენ, სადაც ბრბო წერაქვითა და რკინის ძელებით ხვდებოდა. ხდებოდა ის, რაც მოხდა სხვა რევოლუციების დროს, დიდი ხნის დათმენილი ტანჯვიდან გათავისუფლება უზარმაზარ, ფიცხ სიხარულში გარდაისახებოდა.

ტელევიზიით, ახალ ამბებში აჩვენებდნენ მანიფესტაციაში

მონაწილე ადამიანთა აბოზოქრებულ ტალღებს, კადრებში კარგად ჩანდა სამფეროვანი დროშები. ეს იგივე დროშები იყო, რომლითაც 70 წლის განმავლობაში ემიგრაციაში მყოფ ქართველთა ჩასასვენებლებს ვამკობდით. ეს დროშა ახალ სიცოცხლეს იძენდა იმ ქვეყანაში, სადაც შეიქმნა და ამგვარად, აქამდე შეუძლებლად მიჩნეული, უკვე იმედგადაწურული რამ, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა და გაცივებულს გვტოვებდა.

კვირა დღეა, რაღაც აჟიტირებული ვარ, ბიუროს უნდა დავეუკავშირდე, აუცილებლად უნდა მიპასუხონ, ასეცაა, კიდეც კარგი! ერთმანეთს მოგვიანებით ვხვდებით აპარატთან. ფაქსის შემოსვლის შემდეგ აღარავინ იყენებს ამ დრომოჭმულ ხელსაწყოს. საქმეს შევუდექით, რამდენიმე წუთში, ნერვიული კაკუნით, ტექსტის სიტყვები გრძელ ცისფერ ფურცელზე იბეჭდება. ტექსტს ვერ ვკითხულობ, უკუღმა გამოდის, ვაბრუნებ რომ წავიკითხო. ინგლისურად და რუსულად წერია, რუსული არ ვიცი, ინგლისური ვარიანტ კი სიტყვა სიტყვით ნათარგმნი ქართული ტექსტია, ქაოტური წინადადებებით, სადაც საუბარია ქართველ ერზე, 1921 წელს დამოუკიდებლობის დაკარგვაზე, ქრისტიანობაზე, დასავლეთზე, საბჭოურ ბარბაროსობაზე. ცოტა მეძნელება ტექსტის გაგება, ყველაფერი არეულ დარეულია, კორექტურული შეცდომებიცაა, სამაგიეროდ ბოლოში კარგად ჩანს სიტყვები რომლითაც ყველაფერია ნათქვამი: „დამოუკიდებლობა“ და „ღმერთმა დალოცოს საქართველო!“

ცხადია, ტექსტი ქართულიდან რუსულად და შემდეგ ინგლისურად სიტყვა-სიტყვით ითარგმნა, რაც მას ცუდად აწყობილი სასაცილო გრძელი დოკუმენტის იერს და ავადმყოფ სტილს აძლევს. ეს დოკუმენტი მთელი ისტორიაა, ხალხის ისტორია, თითქმის ერად ჩამოყალიბებული ხალხის ისტორია. ეს ასევე პატარა ისტორიების კრებულია, პატარა ერთობების ისტორიაა, იმედია, ილუზიაა, ჭრილობებია. ამ წუთებში ჩემს გარდაცვლილ მშობლებზე ვფიქრობ, რომლებიც ასე ხანგრძლივად ელოდნენ ამ მომენტს და ბოლოს ამის აღარც სჯეროდათ. ეს წუთი მე მერგო მემკვიდრეობად, მოუხერხებელ მემკვიდრეობად, როგორც ამაო, უსარგებლო შენობა, დაჟანგული დარაბებითა და ფულუროიანი კარით, რომელსაც ძლიერი გრიგალი მყის დაანგრევს.

ხელში მიჭირავს იმედის გზავნილი, ჩემთვის მას კიდევე მეტი პირადი მნიშვნელობა აქვს. ის ჩემი გამარჯვებაა, იმ ჭეშმარიტების გამარჯვებაა, რომელსაც უკვე 20 წელია თან დავატარებ, ყველას და ყველაფრის საწინააღმდეგოდ და საპირისპიროდ: ექსპერტების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, მეგობრების და სხვა ამით დაინტერესებული პირების

უთქმელი სიტყვების საპირისპიროდ.

დღეს ჩემი დღეა. და ვერავინ წამართმევს ვერც იმ სიხარულს, რომ მართალი აღმოვჩნდი და ვერც იმ სიამაყის გრძნობას, რომ პირველი ვიყავი ვინც ეს სიხარული შევიცანი.

სუფრა 2

სექტემბერი სასიამოვნო თვეა. პარიზში თბილა. მიყვარს ეს პერიოდი როდესაც ხალხი თავისი მზენაკრავი იერით ლამაზები არიან. მზის სინათლეზე კარგად ჩანს მსუბუქ კაბებს მიღმა გარუჯული წვივები და ლალატის სურვილიც ჩნდება. კაპუცინების გამზირიდან ოპერამდე, მარცხნივ პატარა ქუჩაა, ტურისტული სააგენტოს წინ აბრაა: „ერთკვირიანი მოგზაურობა სომხეთსა და საქართველოში“.

დაუფერებელია, ნუთუ სიმართლეა?! მაშინვე დავაყენე მაქანა და სააგენტოსაკენ გავემურე.

– მართლა სთავაზობთ ერთ კვირიან მოგზაურობას საქართველოში?

– რა თქმა უნდა, ბატონო.

– და რამდენად?

– 3000 ფრანკი. ფასში შედის ფრენა, ერთი ღამე მოსკოვში, მოსკოვი-თბილისის ბილეთი, 6 დღე სასტუმროში 3-ჯერადი კვებით და დაბრუნება თბილისი-მოსკოვი-პარიზი.

– კიდევ ერთი კითხვა, თუ შეიძლება. ჩემთვის შეუძლებელი იქნება საკონსულოში მისვლა ვიზისთვის (ქართველი ემიგრანტის შვილი მივიდე დამპყრობელთან საკუთარი ქვეყნის მონახულების ნებართვის ასაღებად)

– ჩვენ თვითონ მივხედავთ ყველაფერს, მხოლოდ თქვენი პასპორტი, ორი ფოტოსურათი და შევსებული ანკეტა დაგჭირდება.

– როდის შეიძლება გავემგზავრო?

– ვიზისთვის 3 დღე დაგჭირდებათ.

პარიზში კარგი ამინდია, ჰაერში ჯერ კიდევ არდადეგების სურნელი ტრიალებს, მომავალი კვირის რამდენიმე შეხვედრის გადატანაც შესაძლებელია. ჩემი ბორტ გამცილებელი გოგონა ჰონგკონგისკენ მიფრინავს 15 დღიან მივლინებაში, მაშასადამე, მცალია და დიდი სურვილიც მაქვს. რალაც ახალგაზრდული ალტკინება მიპყრობს, ჯერ კიდევ იმ ასაკში ვარ, დიდი სერიოზულობა რომ არ მომეთხოვება, ეს ნორმალურია.

საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაძაბულობის განმუხტვის თემა აქტუალობას ინარჩუნებს. ბირთვული იარაღის შესახებ ნიქსონსა და ბრეჟნევს შორის მოლაპარაკებამ საერთაშორისო არენაზე დაძაბულობა შეამცირა, ფსიქოლოგიურად მაინც, რადგანაც თითოეული მათგანი ფლობს იმას, რითაც სრულიად პლანეტის აფეთქება შეუძლია. თუმცა მათ გადანყვიტეს ყველაფერი მშვიდად და როგორც სერიოზულ ხალხს შეეფერება, ისე მოეგვარებინათ. ამავედროულად, თითოეული მხარე თავს იტყუებდა თავისი ანალიზით, რომელიც მათ სასარგებლოდ იყო აწყობილი (როგორც ამბობენ, ბრეჟნევი თავის ტურისტებს უხსნიდა, რომ კაპიტალიზმში იმდენი უერთიერთსანინაალმდეგო რამ არსებობდა, რომ რეჟიმი თვითონვე განადგურდებოდა, ამერიკელებსაც იგივე მოსაზრება გააჩნდათ, ოღონდ დიამეტრალურად საპირისპიროს დასამტკიცებლად).

წარმოიდგინეთ ჩემი მშობლების სახე, როცა ვეუბნები „3 დღეში საქართველოში მივდივარ“. კარგად ვაკვირდები მათ გამომეტყველებას, რომ არაფერი გამომრჩეს მათი რეაქციიდან. ისინი სხედან, როგორც ჩანს სრულიან გაოგნებულები. გაცუებულები და შეშფოთებულები ამავედროულად, ჩემს მტკიცე გადანყვიტულებას დამორჩილებულნი. დგება საბოლოო გადანყვიტულების მიღების დროც. არ ვიცი საიდან, ალბათ ერთადერთი მესხიერებიდან, მათ გადმომცეს მამიდების, ბიძაშვილების და სხვა გადარჩენილების მისამართები, თბილისში დედის მხრიდან და ქუთაისში მამის მხრიდან. ტელეგრამებმაც არ დააყოვნა: „რამაზი თბილისში იქნება“ სულ ესაა, ზღვაში გადაგდებული ბოთლი...

მოსკოვი. აეროპორტი სიჩუმეში გახვეულა, მიუხედავად უამრავი ხალხისა, იფიქრებ, ყველას ეშინია ბრეჟნევი არ გაალვიდოს. ნათურებიც კი ბუუტავენ. ყველაფერს მკაცრი იერი აქვს, ცოტა ავლელდი, როდესაც პოლიციელმა პასპორტის შემოწმება დაიწყო, კარგად აკვირდება ფოტოს და თან მეც თვალებში მიყურებს იმდროინდელი „სარკის თამაშის“ წყალობით. შემდეგ საბაჟოს ჯერიც დადგა, ყველაფერმა უპრობლემოდ ჩაიარა, არადა წამოსვლამდე ტატის მალაზია გამოვზიდე, თან ორი გასკლომამდე გატენილი ჩემოდანი მქონდა.

მოსკოვი სექტემბერში უკვე ცივი, სევდიანი და ნაცრისფერია.

სასტუმრო, რომელიც ვერანაირ ნორმაში ვერ ჯდება, პირქუშია, სუფთა თეთრი კაფელით მონყობილ აბაზანაში ზედმეტად ცხელა. თითოეულ სართულს თითო „ბაბუშკა“ ჰყავს. დერეფანში ყველის სუნი იგრძნობა, მშია, მითხრეს ერთი ცნობილი ქართული რესტორანიაო,

„არავი“, სასტუმროდან ორ ნაბიჯში. მეც იქ მივდივარ. უკვე ბნელა, არადა 19 საათია. რესტორანთან რიგი უნდა დაიკავო, გარეთ კი სიცივე მატულობს. ჩემს წინ უამრავი ხალხი მიდის. ან შევებრალე ან მიხვდნენ რომ ეს კაცი პალტოს გარეშე აქაური არ უნდა იყოსო და მეც შემიშვეს ზედმეტი კითხვების გარეშე. ადგილი ერთ მაგიდასთან მიმიჩინეს, სადაც უამრავი სტუმარია, საქორწინო წვეულება უნდა იყოს. ნეფე-პატარძალ-თანაც წარმადგინეს, არავინ არც ქართულად არც ინგლისურად და მით უმეტეს ფრანგულად არ საუბრობს. „ბონჟურს“ თუ წაილულლულებენ. მიწის-ქვეშა სართულზე ვართ, ერთი ქალბატონი საცეკვაოდ მიწვევს სანამ მომსახურე პერსონალი მაგიდებს ალაგებს და ახალი საჭმელებს გააწყობს. კერძებს არაფერი აქვთ საერთო ქართულ სამზარეულოსთან. რამდენიმე ცეკვის შემდეგ, გულზე ხელის დადებით მადლობას ვუხდით მასპინძლებს და ვბრუნდები სასტუმროში. პირველი საღამოა „მგლის ხახაში“, თუმცა ვერც დაძაბულობა და ვერც უხერხულობა ვერ შევამჩნიე ჩემი, როგორც ევროპელის და მით უმეტეს, ქართველი ემიგრანტის შთამომავლის მიღებაში. იმედი მომეცა, ამ შიშის იმპერიასი მეც შევ-აბიჯე ჩემი შიშებით. თუმცა „რკინის ფარდის“ საზღვარი პირველად არ გადმომიკვეთავს. საფრანგეთში სამხედრო სამსახური სავალდებულოა, მეც 16 თვის განმავლობაში გერმანიაში ვმსახურობდი, საბოლოოდ კი, როგორც კარგმა ჯარისკაცმა ბერლინის მოგზაურობა დავიმსახურე. უფლება მოგვცეს, რომ ბერლინის დასავლეთ ნაწილში სამხედრო ფორმით გადავსულიყავით და იქ რამდენიმე საათი გაგვეტარებინა. ბერლინის ამ ორ ნაწილს შორის განსხვავება თვალში საცემი იყო. ქალაქიდან, რომელიც სინათლით კაშკაშებდა და სადაც მალაზიები სავსე იყო სავაჭრო საქონლით, უცებ აღმოვჩნდით მკაცრ, ხიბლ წართმეულ სხვა ქალაქში. ეს სანახაობა დიდი ხნის განმავლობაში ასოცირდებოდა სევდისა და სიმძიმის განცდასთან, რომელსაც საბჭოთა კავშირი აღმიძრავდა. ერთხელ კიდევ, ბულგარელი მეგობრების დაჟინებულ რჩევას დავენებდი და დავთანხმდი იუგოსლავიაში წავსულიყავი მანქანით და იქ მათ ოჯახს დავხმარებოდი არდადეგებზე ქვეყანა დაეტოვებინათ და იტალიაში გადასულიყვნენ. შეხვედრის ადგილი ზაგრების ერთ-ერთი სასტუმროა. ტელევიზორს ვრთავთ, რომ გადავფაროთ ჩვენი ხმები და შევიმუშავოთ სტრატეგია, რომელიც პირველ ცდაზე არ გაამართლებს, თუმცა საბოლოოდ პარიზამდე მშვიდობით ჩავალწევთ.

გონებაში ჯერ კიდევ შემომრჩენოდა და შიშით მიპყრობდა 1924 წელს, სისხლში ჩახშობილი აჯანყებების სეროები: საქართველო, ბერ-

ლინი, ბუდაპეშტი, პრაღა. თითოეულ ჯერზე ამდენი იმედი და ასეთი ხოცვა-ჟლეტვა. რაც არ უნდა თავს ვიმშვიდებდეთ რომ ყველა იმპერია საბოლოოდ კვდება, ისინი ამასობაში წამებულების სისხლით ცოცხლობენ. რაც არ უნდა იყოს, ცხოვრება გრძელდება და იმედის მარცვალაც ღვივდება, როგორც ბალახის ღერო, რომელიც ბეტონის სიღრმიდანაც ამოყოფს თავს. არ დამავინწყდება პრაღა და მისი ჯაზ-კლუბი თავისი ორკესტრით, არა ეს მხოლოდ ჯაზი არ იყო, გაცილებით მეტი, ეს თავისუფლების არია იყო.

„ინტურისტი“ თავის საქმეს კარგად აკეთებს. სასტუმროდან აეროპორტამდე კერძო მანქანა მემსახურება, იქ გოგონა მხვდება, წინ მიმოიძღვის რეგისტრაციისათვის. იქ პატარა ქალაქს მადლევენ რაღაც გაურკვეველი ნომრით, ჩემი ადგილია ალბათ, ვნახოთ რა იქნება.

სავარძელში კარგად ვკალათდები, ქამარსაც ვიჭერ და „ტუ-პოლევიც“ ჩემი ქვეყნისკენ მიმავრუნს. წინ თავგადასვლები მელოდება, ასეც მინდოდა და მათ ბოლომდე შევიგრძნობ. ვნახავ ჩემს ქვეყანას, დედამიწის ამ ნაწილს, რომელიც წილად მერგო და რომელიც მხოლოდ გრავიურებში, ფერმკრთალ ფოტოებში ან საკუთარ წარმოდგენაში მინახავს.

ჩემი საქართველო

ჩემი საქართველო შარდონ ლაგაშის 96 ნომერია, ულიფტო მესამე სართული, აქ სხვა სამყაროა, განსხვავებული. ენა რომელიც ჩემი ბავშვობის ენაა და რომელსაც მხოლოდ „ბებისთან“ ვიყენებ. „ბები“ ჩემი ბებიაა, გომართელი, რომელიც, რაც სფრანგეთში ჩამოვიდა, ანუ 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ფრანგულს მხოლოდ ფრანგული კინოდან გებულობს, ფრანგული კინემატოგრაფიის ნამდვილი ფანია. ლოლა, მუდამ შავებს იცვამს, გიჟდება ჩემზე და მეც ძალიან მიყვარს. ემიგრანტებს გარკვეული ეჭვიანობა ახასიათებთ, თავს სულ სტუმრად გრძნობენ და სულ ეშინიათ არავინ შეანუხონ. თავს არიდებენ იმ ენაზე საუბარს, რომელსაც კარგად ვერ ფლობენ, თუმცა კარგად გრძნობენ ამ ენის უმცირეს სირთულესაც კი.

დედა, ძალიან ლამაზი იყო, ელევანტური ღიმილით და საოცარი კბილებით რომლებსაც ექიმის ხელი არასოდეს მიკარებია. მასში ყველაფერი ბუნებრივად ელევანტური იყო. უფრო მეტად ვიდრე მის დებში, თამარა და ნინაში, რომლებიც ძალიან მომხიბლავები იყვნენ.

დედა ისეთი ლამაზი იყო, რომ ჩემს თვალში მუდმივად რჩება ქალური მშვენიერების მაგალითად. ჩემს წარმოსახვაში ის ქართველი ქალის განსახიერებაა, თამარ მეფის თანამდროვე ასლია, ქართველი მეფის, შოთა რუსთაველის მუზის, რომელმაც მეთორმეტე საუკუნეში, ერთნაირი რითმების მქონე ოთხტაეპოვანი ეპიკური პოემა შექმნა.

ეს იყო დიდი ხნის წინ, იმ დროს, როდესაც საქართველოს სამეფოს გამთლიანების ხელსაყრელი პირობები არსებობდა და რომლითაც დავით აღმაშენებლმა მშვენივრად ისარგებლა, შემდეგ იყო მისი შვილთაშვილი თამარი. ეს ის ხანაა, როდესაც დამპყრობლები განდევნილნი, მტრები კი ძალიან დასუსტებულები არიან იმისათვის რომ ჩვენი ქვეყანა შეაწუხონ. ეს ქართული ხელოვნების რენესანსის ხანაა, მაშინ როცა დასავლური რენესანსი გაცილებით გვიან წარმოიშობა. ეს პატარა ქვეყანაა, კავკასიის მთებით შემოსაზღვრული, რომელიც თოვლის დნობის დროს, ყველაზე კამკამა წყლებით კვებავს იმერეთისა და კახეთის სიმწვანითა და ვენახებით სავსე ხეობებს, სწორედ აქ წარმოიშვა ღვინო 6000 წლის წინ, ყურძნის ეს ტკბილი ნაყოფი, რომელიც მიწაში ჩაფლობილი თიხის ქვევრებში დულს.

33 წლის ვარ, ქრისტეს ასაკში. სამყაროს დიდი ნაწილი უკვე შემოვიარე, მხედველობაში მაქვს არა ევროპა, არამედ სამყაროს მეორე ნაწილი: ამერიკა, მისი ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც ცვხოვრობდი რამდენიმე თვე; პერუ, რომლის სამხრეთითაც მოვიხიბლე, მაჩუ-პიკჩუ, ტიტისკაკას ტბა; შემდეგ შევიარე ბრაზილიაში: რიო, პოკა კაბანა და ბრაზილია, მისი ეპოქისთვის რევოლუციური არქიტექტურით, მაგრამ რომლის ირგვლივაც უამრავი შენობაა მოკრძალებული შემოსავლების მქონე ხალხისთვის, ისეთივე სევდიანი ხალხისთვის, როგორც ჩვენ ვართ. კენიას მინდვრები და ტანზანიის ნაკრძალები, მათი ცხოველთა სამყარო, ანგკორის ნანგრევები და ტიამ სერაპის ჯადოსნური ბუნება, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სანახაობა რისი ნახვის საშუალებაც ცხოვრებაში მომცემია. სამოთხის ნაწილი გასაოცარი ცის კამარით, მრავალფეროვანი მცენარეებიდან ამოშვერილი ტაძრის ოქროსფერი გუმბათით, რომლის ფეხითთ მდინარე მორაკრაკებდა და სადაც მხიარული ბავშვები ბანაობდნენ. ეს იყო ამერიკელი ფოტოგრაფის სიკვდილამდე და სასტიკი ომის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე, სანამ ეს ანგელოზების ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა. ჰონგ კონგი იმ დროისთვის ჯერ კიდევ ქიანჭველების ბინძურ ბუდეც ჰგავდა, უამრავი ჩინელით, ბომბეის თავზარდამცემი სილარიბე, ბანგკოკი და

ნილოსი, კაირო, ტაიტი თავისი ლაგუნებით.

ყველგან შევიგრძენი ხალხის ცხოვრება, მომეწონა, აღფრთოვან-დი ბუნებით, დავინტერესდი მათი ღმერთებით და მათი საკვებით, განსაკუთრებით გულთან ახლოს მივიტანე სიღარიბე, დედამიწის სიღარიბე, რომელიც, მიუხედავად ცხოვრების სისასტიკისა, მაინც ინარჩუნებს ღირსებას და სიკეთეს, და შევიზიზღე ურბანული სიღარიბე, რომელიც ყველაფერს უკარგავს ფასს. ისეთი არაფერი შემისწავლია, რაც მეცნიერს გამხდოდა, მე მხოლოდ ცნობისმოყვარე მაყურებელი ვიყავი, დაინტერესებული ადამიანებით, მათი ცხოვრების სტილით, მათი სატიკივართა და კომფორტით, კლიმატითა და რელიეფებით, რომლითაც ადამიანების ბედისწერა იქმნება. შეიგრძნო ცხოვრება, ბოლომდე შეისუნთქო, თვალეში ჩახედო მას, აი რა იყო ჩემი მოგზაურობის ჩანაწერები. ბავშვობის ნაჭუჭიდან გამოსულმა ფრანგულ ენაზე შევხედე ცხოვრებას, ჩემს ენაზე, რომელიც ჩემთვის წარმატატი და ელეგანტური ენა იყო. ჩემი ყოველდღიური ენაც და სამუშაო ენაც ფრანგულია, ჩემი სასიყვარულო თავგადასავლები, პოლიტიკა, კულტურა ამ ენაზეა. ჩემში არსებობს ფრანგული „მეც“. მე მასაც ვეკუთვნი და არანაირ შეზღუდვას არ ვეთანხმები. ვადასტურებ რომ არასოდეს მიგრძენია უკუგდება, ზიზლი ან სიბრაღული ჩემს მიმართ. მართალია, ჩემი გვარი ყოველთვის სიცილს იწვევდა სკოლის დასაწყისში, მაგრამ ეს არ იყო ჩემი დაცინვა არამედ მასწავლებლის, რომელიც ძლივს წარმოთქვამდა „პაპაჟული! პაპუშილი! პაპაპუშუვილი!“.

რადგანაც კარგ მოსწავლეთა რიცხვს ვეკუთვნი და ზოგადად განსაკუთრებით წარმატებული ვიყავი აერობიკასა და სპორტში, რადგანაც ვიყავი მაღალი და ყოველთვის ღიმილიანი, არასოდეს მიგრძენია მეტოქეობა ან უპატივცემლობა ჩემს მიმართ. ბედნიერი ბავშვობა მქონდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი მშობლების მიერ შექმნილი კერა ზე-მცველ ნაჭუჭად რჩებოდა, რომელიც შედგებოდა ცხოვრების ყველა ფუნდამენტური ინგრედიენტისგან: ამაცობდე იმით, ვინც ხარ და მასში გამოავლინო მთელი სითბო.

ჩემი ფესვები ქართულია. ეს არაა არჩევანი, ეს ფაქტია. აფრიკელები შავები არიან ხუჭუჭი თმით, ჩინელებს ვიწრო თვალები აქვთ და სწორი დავარდნილი თმა, ეს არც არავის აკვირვებს. ქართველები არიან ქართველები, ეს მარტივი და ამავდროულად რთულიცაა.

ქართველობა გამოიხატება მქუხარე და მოსიყვარულე კვენხატრაბახში და ღრმა დარბაისლობაშიც. თუ რომელი უკიდურესობა მე-

ტად გააქტიურდება, თითოეული ჩვენგანის ბუნებაზეა დამოკიდებული, მის აღზრდაზე, მის ნიჭზეც რა თქმა უნდა, მაგრამ ამაში ორიგინალური არაფერი იქნებოდა, რომ არა თავად საზოგადოება, საკუთარი ტრადიციების მოყვარე საზოგადოება, რომელიც კარგად იცნობს თავის დადებით მხარეებს და ერთგული რჩება ისტორიული მოწოდებისა, იარსებოს როგორც ხალხმა და ერმა.

ეს თანდაყოლილი გრნობაა, ის ჩვენს გენებში ჩადებული ურყევი ცნებაა, ბავშვების აღზრდაში დოქტრინასავითაა დაკანონებული, ისტორიული წარსულის განდიდება და წინაპრების კულტურის შემქმნელი მითებია, და რაც მთავარია, ერთ ოჯახად გაერთიანებული ღერძია, რომელიც ამავდროულად ღია და ტრადიციულ სტუმართმოყვარეობას მოიცავს. ეს უკანასკნელი კი გამოიხატება უმაღლეს ზიარებაში-სუფრაში. ეს ორიენტირები თავის გადარჩენის და ფასეულობების შენარჩუნების ასწლოვანი ტრადიციანა.

ეს ყველაფერი კი გაერთიანებულია ერთ ენაში, შორიდან მოსულ ენაში, რომლზეც ცოტა ლაპარაკობს, და რომელიც საუკუნეების მანძილზე ხალხის იდენტობის არამატერიალულ ბაირალს წარმოადგენს. ასე მოახერხა ამ მრავალგზის დაპყობილმა, ოკუპირებულმა და წამებულმა ერმა თავის გადარჩენა.

როგორც უკვე აღვნიშნე, მამა, ინდიკო, ქუთაისელი რაჭველი იყო და მისი ოჯახი აქ ცხოვრობდა. მამა კეთილი კაცი იყო და ამასთან ხელგაშლილიც და კიდევ-კოლოსალური ძალის მქონე. მის მიმართ მხოლოდ აღფრთოვანებას ვგრძნობდი. თუ გინდა ქართველი მამაკაცი წარმოიდგინო, მისთვის უნდა შეგხედა. უყვარდა ცხოვრება, ოჯახი, მეგობრები, ქეიფი და სუფრის ტრადიციები. ბევრს მუშაობდა და მას უნდა ვუმაღლოდე ყველაფერს. ბევრი არასოდეს გვისაუბრია, ერთმანეთის კარგად გვესმოდა. მის შიშს, სინანულს და ალბათ სინდისის ქენჯნას, რომ მიატოვა მამა, ძმები, სამშობლო, მეც ვიზიარებდი. ისე წამოვიდა ერთი სიტყვაც არავისთვის უთქვამს, არ გადახვევია მამას, იმის შიშით, არ შეეკავებინათ, მთელი ცხოვრება ამით იტანჯებოდა და იმედოვნებდა მასთან შეხვედრას. სამწუხარო შემთხვევითობის წყალობით სწორედ მე ვიპოვე კარის ქვემოთ დატოვებული ტელეგრამა, რომელიც ბაბუის გარდაცვალებას იუწყებოდა. საკუთარი თვალთ ვიხილე ამ ბუმბერაზი ადამიანის ბავშვით დაპატარავება და ქვითინი. როგორ შეიძლება რეჟიმმა ასე დააშოროს შვილები და მამები და თან პრეტენზიას აცხადებდეს, რომ მათი ბედნიერებისთვის იღწვის?

მამა იყო ქართველი, როგორც სხვა ბევრია, მინის ადამიანი, რომელიც გრძნობს ბუნებას და რომელმაც იცის რომ ეს ბუნება იმისთვისაა ასე ლამაზი, რომ მას ემსახურო და მისთვის მოკვდე. ამიტომაც იყო რომ ის კარგად იაზრებდა იმ პრვილეგიას, რაცაა ცხოვრება, კარგად ესმოდა, რამდენი ბედნიერების და სითბოს მომტანია ცხოვრება: სიყვარულის, მეგობრობის, სიხარულის, პატივისცემის, თანადგომის, თავისუფლების. ეს ის ცხოვრებაა, რომელიც საოცრად ერწყმის ხორხისმიერი, ოდნავ უხეში და თან ნაზი ბგერებისგან წარმოქმნილ ენას, რომელიც ასე მშვენივრად გამოხატავს გრძნობებს. მამას სიკვდილის არ ეშინოდა, ჩვენთვის სიკვდილი უცხო არ იყო, სწორედ ამიტომ ყოველთვის ცდილობდა მისი ცხოვრება ძლიერი, სრულყოფილი ყოფილიყო და რომ მის სიცოცხლეს აზრი ჰქონოდა.

ხშირად, დასნეულებული ვრი, ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას იმისათვის რომ დაამტკიცოს თავისი განსაკუთრებულობა. ეს კი თავის მხრივ იმის დემოსტრაციაა, რომ არსებობს და ეს არსებობა გამართლებულია.

თითოეული ჩვენი ცნობილი ადამიანი ჩვენი ერის უპირატესობის დასტური იყო. რა თქმა უნდა, ვერ დავმაღავთ, რომ სტალინიც ქართველი იყო და ამაში საამაყო არაფერია, თუმცა შეგვიძლია მასში, პროპაგანდის დახმარებით მოსული დიქტატორი დავინახოთ, რომელიც ადასტურებს ქართველი კაცის მიზანდასახულობას, სიძლიერეს და ამით მას გამორჩეულ ადგილს აკუთვნებს. კიდევ კარგი სხვა ცნობილი ადამიანებიც გვყავს, რომლებიც უკეთესს მაგალითს გვთავაზობენ. დიმიტრი ამილახვარი ერთ-ერთი მათგანია.

მეც მაგრძნობინეს, რომ ამ ქვეყნის და კულტურის პატარა ნაწილის მატარებელი ვიყავი და ამას სიამოვნებით და სიამაყით ვაკეთებდი. მასწავლეს ცეკვა, „ლეკური“, რომლის მთავარი თემა ქალის მოხიბვლაა, კოდირებული მოძრაობებით, ნაბიჯების თამაშით და რიტმის შეგრძნებით. მართალია ცეკვა მხოლოდ რამდენმე წუთს გრძელდება მაგრამ ძალიან ლამაზი და ელეგანტური შესასრულებელია. მართალი გითხრათ, მერჩივნა სიმღერა ესწავლებინათ, სიმღერისას სიამოვნება უფრო დიდხანს გრძელდება!

დიასპორა

ჩემი საქართველო უფრო შემეცნებითი იყო, ვიდრე რეალური. სხვათა შორის სხვებისთვისაც ასე იყო. ჩემი საქართველო, პარიზში შარდონ ლაგამის ქუჩაა, პორტში ჩარჩენილი უძრავი გემივით, დროსა და სივრცეში გაკიდული.

მოზადობის ასაკში იქ ქართულად ვსაუბრობდით, მაგრამ სასაუბრო თემები მარტივი იყო. იქ მხოლოდ ქართველებს ვმასპინძლობდით, უფრო ხშირად დაუოჯახებლებს, რომლებიც იქ ოჯახურ სიტბოს პოულობდნენ და ქართულად საუბრობდნენ უხვი ქართული სუფრის ირგვლივ. ჩემს მშობლებს ცოტა ფრანგი მეგობარი ჰყავდათ. ეს ურთიერთობები მოკრძალებულ, მაგრამ პატივისცემით იყო გაჟღერებული. თუმცა ჩვენ მაინც სხვა მხრიდან მოსული ემიგრანტების კატეგორიად ვრჩებოდით და ფრანგული საზოგადოება ასეთების მიმართ უფრო თავშეკავებული რჩებოდა. ეს ჩვენთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ქართული განსაკუთრებულობის აღიარების იმედს ვიტოვებდით, რაც, ჩვენი ხედვით აბსოლუტურად გამართლებული იყო.

ბუნებრივია, ქართული დიასპორა ძალისხმევას არ იშურებდა, კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა საკუთარი გარეგნობით და ჩაცმულობით. მამა, სხვა ბევრი ქართველივით, პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო მკერავთან იკერავდა შარვალ-კოსტუმს, მკერავი ქართველი იყო და ნისიასაც თანხმდებოდა. ქართველი მამაკაცები ლამაზად ჩაცმულები დადიოდნენ, ინარჩუნებდნენ ხელზე მთხვევის ტრადიციას, იყვნენ ჯენტლმენები, ფრანგული ბურჟუაზიისა თუ არისტოკრატიული წრის ღირსეული წევრებივით.

თუმცა სინამდვილეში, ეს დიდი ბურჟუები, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მოკრძალებულ სამუშაოს ეწეოდნენ, ყველაზე გაბედულები მანვნის ბიზნესში იყვნენ ჩართულები და მათი წყალობით ეს პროდუქტი მომხმარებელის ინტერესს თანდათანობით ზრდიდა.

სამუშაო დღეების განმავლობაში გულმოდგინედ მუშაობდნენ, ნვალობდნენ, რომ მათ ოჯახებს არაფერი მოკლებოდათ და ბავშვებს კარგი განათლება მიეღოთ. მხოლოდ კვირის ბოლოს და განსაკუთრებით კვირა დღეს, ისინი ხელმეორედ იწყებდნენ ცხოვრებას თავიანთ წრეში. კარგად ჩაცმულ-დახურულები, სუნამო-ნაპკურები, ელეგანტურები ჩვენი ქუჩის ბოლოს მდებარე ეკლესიაში იკრიბებდნენ. იქ, ამ ადგილას, ერთსულოვანი საზოგადოება ხელახლა იბადებოდა თავის ენასა

და ტრადიციებთან ერთად. რაც შემდეგ ხდებოდა, ნამდვილი სიხარული იყო. ზოგი თავს თვითონ იპატიუებდა, ზოგიც, ხშირად გაუფრთხილებლადაც მოდიოდა. ოჯახში ყოველთვის მზად იყვნენ მსგავსი გაუთვალისწინებელი სტუმრის დასახვედრად. სუფრა ბარაქიანი უნდა ყოფილიყო, ვაითუ ბევრი მოვგროვილიყავით, და თუ იმდენი არ ვიქნებოდით, მაშინ მთელი კვირა ვჭამდით იგივე საჭმელს. რაც ყველაზე მეტად მიყვარდა, ეს იყო ქეიფი, თავისი თამადით და სადღეგრძელოების შემდეგ ნაჭექი სიმღერით, რომლის ჰანგებს ცაში აყვავდით. ვხედავდი, რა ბედნიერი იყო მამა, გაცისკროვნებული, მის სადღეგრძელოებს ბოლო არ უჩანდა, ეს მისი სისუსტე იყო, ვერფერი შეაჩერებდა მომენტს, როდესაც მას შეეძლო თავის მშობლიურ ენაზე მოფერებოდა მეგობრებს და გამოეხატა ემოციები.

მამა ლამაზი იყო, მოხდენილად გამონყობილი, ელეგანტური ულვაშებით, დაბალი და ჯმუხი, ძალ-ღონეს ასხივებდა. უყვარდა მეგობრები, ზოგადად ხალხი, მოხუცების მიმართ დიდ პატივსა და სიტოს გამოხატავდა. ის უბრალოდ თავაზიანი კი არ იყო, არამედ კეთილი. თავაზიანი ყველაფერს იტანს, კეთილი კი პატიობს. თუ სწორედ ესაა ქართველობა, მაშ მამას ლამაზი მაგალითი მოუცია.

ეკლესიაში წასვლა, სადაც გამორჩეული ადამიანი, მამა ილია წირავდა, ღმერთთან მისვლასთან იყო გაიგივებული, მაგრამ ამავდროულად მეგობრების ნახვასთან, ქართველად არსებობასთან და შენი მეობის სხვების თვალში აღიარებასთან. მიყვარდა ეს დღე, ჩვენს პატარა საზოგადოების ცხოვრება, ერთად შეკრების სიამოვნება და ბედნიერება. რალა თქმა უნდა, უმრავლესობა აგვიანებდა წირვაზე, მერე გუნდი თანდათან იზრდებოდა. ჩვეულებისამებრ, წირვას პანაშვიდი მოყვებოდა. ისედაც შემცირებულ ემიგრანტებს წევრები ნელ-ნელა გვაკლდებოდა. ის ფაქტი, რომ ეს ხალხი საკუთარი სახლიდან ძალიან შორს კვდებოდნენ, მწუხარების გრძნობას უსამართლობის განცდასაც უმატებდა.

თავისუფლები ვიყავით, სადაც გვინდოდა იქ წავსულიყავით მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ყველას ამის შესაძლებლობა არ ქონდა, მაგრამ ფინანსური სახსრების გარდა, ამ შესაძლებლობას წინ არაფერი ელობებოდა. ეს „რკინის კედელი“, რომელიც ადამიანებს თავიანთ ფესვებს, ოჯახებს და საკუთარ მიწას სწყვეტდა, სიკვდილს უფლებას აძლევდა ამპუტირებულ სიცოცხლეზე გაემარჯვა.

სიკვდილი ჩვენს შორის იყო და მით უფრო ვგრძნობით მას, რომ ჩვენი ისედაც პატარა დიასპორა ნელ-ნელა მცირდებოდა, სულ ალ-

ბათ ასიოდე ვრჩებოდით ევროპაში და ათიოდე პარიზში, სულ ეს იყო. საზღვარგარეთ მოგზაურობების დროს ვცდილობდი მეპოვნა სხვა ქართველები, მაგალითად სან-ფრანცისკოში, ბოსტონში, თვით ლიმაშიც კი, უფრო ბევრი იყვნენ ინგლისში და გერმანიაში, მაგრამ არც ერთი აზიასა და აფრიკაში.

ის ფაქტი, რომ ჩვენ არცთუ ისე ბევრნი ვიყავით, ჩვენს ხმას მოკრძალებულს ხდიდა და გარკვეულ სიფაქიზესაც გვანიჭებდა. ყველა, ვისაც შევხდი, კომფორტულ პირობებში ცხოვრობდა, ცხოვრება აენწყოთ და საქართველო მხოლოდ შორეულ ფიქრებშია ანაღვლებდათ. ცოტანი აღმოჩნდნენ ისინი, ვინც გადამწყვეტ მომენტში მობილიზაცია მოახდინეს, და ეს სხვაზე ზრუნვით გააკეთა.

„ოქროს სანმისი“.

ძმებმა აპოლონ და თათრახან ანთაძეებმა და ალექსი ჩხეიძემ, რომლებიც სამწუხაროდ ადრე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, პარიზის მეთხუთმეტე რაიონის პატარა ქუჩაზე გახსნეს პატარა რესტორანი, სადაც სტუმართმოყვარე გარემო სუფევდა. ქართული ნივთებით და ნახატიებით მორთული რესტორნის კედლები გალაქული ხის ფიცრებით იყო დაფარული, ძალიან უბრალო გარემო იყო, მაგრამ გემრიელი და იაფი სამზარეულოთი. ეს ჩვენი დუქანი იყო, ქართველებს აქ უყვარდათ შეკრება, აქ ინვედნენ მეგობრებსაც და მათ ქართულ სამზარეულოს აზიარებდნენ. რესტორნის ბოლოში ერთგული კლიენტების მაგიდა იდგა, პენსიონრები და მოხუცი მარტოხელები აქ იაფფასიან თავშესაფარს პოულობდნენ. თამაშობდნენ ნარდს, ლობოს მიირთმევდნენ და საუბრობდნენ ხმამალა ყველაფერსა და არაფერზე, ხანდახან, ვილაც გიტარას აიღებდა და რომანსებს დაამღერებდა. ვიქტორის, ჩვენი ვიქტორის დავალება იყო სიმღერა პირველს დაენყო თავისი ომახიანი ხმით, მერე სხვებიც აჰყვებოდნენ და ჩვენ, ყველა, ვმღეროდით სუფრის სიმღერებს, რომლებიც ვიცოდით.

საკვირველი ის იყო, რომ მიუხედავად თავისი ძალიან უბრალო გარემოსი, ეს ადგილი მალე გახდა იდუმალი ადგილი, რომელიც პარიზელების ცნობისმოყვარეობას იზიდავდა, მათ ხომ ასე უყვართ ახალი ადგილების აღმოჩენა და შემდეგ სხვებისთვის მათი ჩვენება. აი, ასე გახდა „ოქროს სანმისი“ პოპულარული ადგილი, რომელიც ხელოვანი

ხალხისა და ღამის ცხოვრების მოყვარულ პარიზლებს აუცილებლად უნდა სცოდნოდათ. აქ ნახავდით სოფი ლორენსა და კიდევ ბევრს. უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭმელიც და მათი ფასიც მიმზიდველი იყო, მაგრამ განსაკუთრებული მაინც მისი გარემო იყო, ეს განსაკუთრებულობა კირესტორნის პატრონების თავადურ მასპინძლობასა და თავად ადგილის მოკრძალებულობაში მდგომარეობდა. მას ემატებოდა სიმღერები, ორიგინალური ენა, სიცილი და ეს ყველაფერი ძალიან განსხვავებულ, თბილ და უპრეტენზიო ატმოსფეროს ქმნიდა. ჩვენ მასპინძელს აპოლონს, ყველა პატივისცემით ექცეოდა. ეს იყო 80 წელს გადაცილებული მხნე კაცი, ყოველთვის პერანგში გამოწყობილი და უკიდევანოდ თავაზიანი. ის იღებდა შეკვეთებს და ძალიან იშვიათად ხდებოდა, რომ მორთმეული კერძი შეკვეთის შესაბამისი ყოფილიყო, ორი უბრალო მიზეზის გამო: პირველი იმიტომ რომ ცუდად ესმოდა ყურში და მეორე, თათრახანს რომელიც მზარეულობდა, ყოველთვის არ ჰქონდა ყველა პროდუქტი. მაგრამ ეს არანაირ პრობლემას არ ქმნიდა, იქიდან სავსე კუჭითა და ცეცხლმოკიდებული ყელით გამოვდიოდით, ხშირად კარგი მთვრალეებიც.

ლევლი

ლევლი, ქართველ ემიგრანტთა ძირითადი სამყოფი, პარიზიდან 30 კილომეტრით დაცილებულ პატარა, მთავარი გზიდან მოშორებით მშვიდი და მეტწილად სევდიანი სოფელია. აქ სეზონური ხილ-ბოსტნეული მოყავდათ, რომლითაც მთელი დედაქალაქი საზრდოობდა. ბევრ სხვა მსგავს ადგილებს შორის ყველაზე კარგად მახსოვს „დიდი კალა“, სადაც ერთმა ქართველმა პატარა კიტრების მოყვანა დაიწყო.

არ ვიცი რა კრიტიკერიუმებით შეირჩა ეს ტერიტორია, თავიდან ლამაზი ადგილი ყოფილა, სადაც სამეურნეო მიწებს დიდი ფართობი ეკავათ. ეს ადგილი სიმბოლოებითაა დატვირთული. დავინწყით პოლიტიკურით. მისი შესყიდვა უცხოეთში გადმოხვენილი ქართული მთავრობის ფულით მოხდა. ის იყო დაკარგული ქვეყნის სიმბოლო. ეს მიწა საფრანგეთში გადმოტანილი ქართული მიწა იყო, თითქოს ის ჩვენი სამშობლოს ნაგლეჯი იყო. დიასპორის შვილისათვის, როგორც მე ვიყავი, ლევლი გაიგივებული იყო ერთადერთ და უნიკალურ თავისუფალ საქართველოსთან. იქ აღარ არსებობდა ემიგრაცია, ეს იყო ჩვენი თბილი კერა, სადაც ყველა დაცულად გრძნობდა თავს, სადაც ოჯახური

ენა ქართული იყო. ეს კოლექტიური ცხოვრება, გაზაფხულის კვირა დღეები, ნამდვილი ბედნიერება იყო რადგანაც სწორედ აქ ვენოდით იმ საზოგადოებრივ ცხოვრებას რომლის წესებიც ყველასგან აღიარებულ კრიტერიუმებს შეესაბამებოდა. მიყვარდა ეს ოჯახური ატმოსფერო. აქ ყველა „დეიდა“ და „ბიძია“ იყო და ისინი ჩემი ოჯახის წევრებად მოისაზრებდნენ, დიდი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრებად სადაც სიკეთე სუფევდა. და კიდევ, მიყვარდა ეს სუფრები, სიმღერები და სადღეგრძელოები და „გაუმარჯოს საქართველოს“ შეძახილები რომელიც ამაღლებელ გამოსვლებში პაუზებს აკეთებდა. დიახ, ეს იყო ბედნიერების განსაზღვრება, ერთადერთი რაც ამ ბედნიერებას ჩრდილს ჰფენდა იყო თითოეული წევრის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება. რამდენჯერ გაგვიცილებია ჩვენი მშობლების მეგობრები სასაოფლაოს გზაზე, რომლის კედლებიც დღითი დღე ფართოვდებოდა, იქ განისვენებს ასობით ქართველი, თითოეული სამშობლოსგან შორს გარდაცვლილი. ეს მუდმივი ტკივილია, რომელიც უსამართლობის გრძნობას კიდევ მეტად ამძაფრებს. თითოეული საფლავი, რომელშიც საკუთარ ქვეყანას მოშორებული ადამიანი განისვენებს, თითო ისტორიაა.

თუმცა ქართველები მაინც ქართველებად რჩებიან, ენთუზიაზმით სავსე და დისციპლინას მოკლებულნი. მათ ვერ მოახერხეს გაერთიანება და მათი საკუთრების მოვლა და მიწებიც გაიყიდა. რა დასანანია, რომ ეს სიმბოლოებით დატვირთული მიწა საქართველოს კი დაუბრუნდა, მაგრამ ასე მიტოვებულ და სავალალო მდგომარეობით. როგორ შეიძლება დაივიწყო რომ აქ, ამ თავისუფალ მიწაზე, ცხოვრობდნენ და ერთიანდებოდნენ თავისუფალი ქართველები. მათ შორის იყვნენ მენშევიკები, როაიალისტები, ფედერალისტები ან შეიძლება არც არაფრისტები, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მგზნებარე და უნაყოფო დისკუსიებით, თუმცა მათ ერთი საერთო ოცნება ჰქონდათ, რომ ყველა ქართველი თავისუფალი ყოფილიყო.

მოგვიანებით, მომეცა საშუალება გავცნობოდი სხვა ქართულ სათვისტომოებს, უფრო მრავალრიცხოვანს და თავისთავად, უფრო დინამიურებს. იერუსალიმში, სადაც ჩემმა ადვოკატმა ქართული საზოგადოების პრეზიდენტთან შეხვედრა მომიწყო, ერთი გასაოცარი კაცი გავიცანი, ისრაელში დაბადებული, ნამდვილი კოლოსი, ებრაელი და დამოუკიდებლობისთვის არაბების წინააღმდეგ მებრძოლი. მაგრამ ამავედროულად ქართველი, ყოველ შემთხვევაში, ასე დამანახვა თავი. მას წლების განმავლობაში შეგროვილი ქართული ტანისამოსისა და ქარ-

თული ნივთების კოლექცია ჰქონდა, დააარსა ცეკვისა და სიმღერის ჯგუფები და გამოუშვა მათი აუდიო-ვიდეო დისკების მნიშვნელოვანი სერია. ყველაზე გასაოცარი კი ის იყო რომ ჯვრის მონასტერთან გავლისას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართველ ბერ-მონაზვნებს ეკუთვნოდა და სადაც დღეს დღეობით ბერძენი სასულიერო პირები მოღვაწეობენ, მან წამოიძახა: „მანამ არ მოვკვდები, სანამ ეს ტაძარი ქართველებს არ დაუბრუნდება“.

სუფრა, 1957 წელი

ამ წელს საოცარი მოვლენის მომსწრე ვახდით. პარიზში პირველად ჩამოვიდა ქართული ნაციონალური ბალეტი, „სუხიშვილები“. პარიზი გოცდა მათი სპექტაკლით, რომელმაც მაყურებლებთან რიცხვით ყველა რეკორდი მოხსნა.

საბოლოოდ ჩვენი შეხვედრა მათ სასტუროში, სპექტაკლის შემდეგ ვახშმისას მოხდა, საკუთარი წარმატებით გახარებული მოცეკვავეები სუფრასთან ისხდნენ, როდესაც ჯიბო კერესელიძე, თავისი ლამაზი თეთრი უღვაშებით, მოზიდული სხეულით, არისტოკრატიული მიხვამოხვრით კარში გამოჩნდა და „სუხიშვილებს“ ასე მიმართა: „ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის, მინდა უბრალოდ მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი ქვეყნის ტრადიციების ასე გასაოცრად ჩვენებისთვის. აქ, კარს უკან იმყოფება ხალხი, რომლებმაც სურთ გნახონ და ჩაგეხუტონ, რადგანაც თქვენ ჩვენი ქვეყნის სურნელი ჩამოგვიტანეთ, იმ ქვეყნის, რომელიც ასე დიდხანია არ გვინახავს“. ის რამდენიმე ადამიანი, რომელზეც ის საუბრობდა, სინამდვილეში რამდენიმე ათეული კაცი იყო რომლებიც მიანყდნენ რესტორნის დარბაზს. აქაური და იქაური ქართველები ერთმანეთს ეხუტებოდნენ და ყველას ცრემლები მოსდიოდათ. იქაურები, როგორც ცხელი ღუმლიდან ახლად გამოღებულ პური, მშობლიური სურნელის მატარებელნი იყვნენ, აქაურები კი ასოცირდებოდნენ თავისუფლებასთან. თუმცა ამ ემოციებში ტკივილიც იგრძნობდა, იმ ნაჭრილობების ტკივილი, რომელიც თითქოს წუთით გაიხსნა, შემდეგ კი ისევ დაიხურა.

სწორედ ამ მომენტიდან მივხვდი რომ ქართველობა არ იყო მხოლოდ გენეტიკა, არამედ იდენტობა და რომ ის იმსახურებდა აღიარებას. და სხვაგან სად შეიძლებოდა მომეთხოვა ჩემი სამშობლის უფლებები, თა-

ვისუფლება ჩემი ხალხისთვის და მისი სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბება თუ არა საფრანგეთში, ჩემს მიწაზე.

ჩვენი პატარა დიასპორისთვის, ეს ჟანგბადის ბალიში, ნისლში მოკიდაფე მზის სხივი იყო, მთელი საფრანგეთიდან მოდიოდნენ აღტკინებული მაცურებელბით სავსე ავტობუსები, იშვიათი რამ ხდებოდა, ტელევიზიით გადაიცა სპექტაკლის პირველი განყოფილება და რადგანაც იმ დროისთვის მხოლოდ ერთი არხი არსებობდა, მთელი საფრანგეთი თუ არა, საფრანგეთის ის ნაწილი მაინც, ვისაც ტელევიზორი გააჩნდა, ტკბებოდა მათი გასაოცარი წარმოდგენით.

ჩვენ კი, ახალგაზრდები, ბედნიერები ვიყავით, რომ ჩვენი ცეკვის დახვეწის შესაძლებლობა მოგვეცა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საფრანგეთის ქართულ სათვისტომოში ლეკურის ყველაზე სრულყოფილ „გასამებს“ მე ვაკეთებ.

სუფრა, თბილისი, სექტემბერი.

თვითმფრინავი მიწაზე დაეშვა, მოუთმენელობის გრძნობით შეპყრობილი და აფორიაქებული ვფიქრობ, ნეტავ რა მელის ამ მიწაზე, რომელთანაც ამდენი პირადი გრძნობა მკავშირებს და რომელიც ამავედროულად უცნობია ჩემთვის. გამოსასვლელში ორმა კაცმა ჩემი სახელი წაილულლულა „რამაზ“. მეც მათკენ გავეშურე, ტელეგრამებს ადრესატებამდე მიუღწევია, დავმშვიდდი.

ეს ორი ადამიანი ნოდარი და მისი ძმა, ჩემი ბიძაშვილები არიან. პირველი აღმოჩენა იმ მრავალთაგან რომელიც წინ მელის. ემოციებმა ამიტანეს. აეროპორტში ვარსკვლავური დახვედრა მომიწყვეს: ნათესავები, მეგობრები, უამრავი ხალხი მოსულიყო. სიტუაციის გააზრების დრო არ მაქვს, უკეთესი იქნება თუ მოვლენებს მივინდობი, მოხდეს რაც მოსახდენია, მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი.

თბილისადაც ქუთაისამდე, ჩემი ხალხის ადათ-წესებს არ გავუოცებოვარ, რადგან ის რაც ხდებოდა, დიდად არ განსხვავდებოდა ჩემს ოჯახში დამკვიდრებული წესებისაგან. ჩემი ფრანგული კულტურა სადღაც გაქრა და სრული თავისუფლება მისცა ირგვლივ არსებული გარემოებების ინტენსივობას და ავთენტურობას. უფრო მეტიც, თითოეული იქ გატარებული მომენტი, რაოდენ უმნიშვნელოც არ უნდა ყოფილიყო, ჩემს მეხსიერებაში იბეჭდებოდა და თითქოს მოგონებების კატალოგად

გარდაიქცეოდა, რომელიც აუცილებლად უნდა ჩამეტანა ჩემი მშობლებისთვის. ვცდილობდი გონება გამეთიშა და სრულიად შემეგრძნო ეს გარემო, რომელიც ასეთი ახლობელი იყო თავისი ჟღერადობითა და ფერებით და ამავდროულად უცხო თავისი ესთეტიკით, პირდაპირ ნათქვამი თუ ნაგულისხმევი სიტყვებით.

დროდადრო, ვახერხებდი გამჭრიახობა მომეკრიბა და ეს ყველაფერი ყურადღებითა და გონებით აღმექვა. მაგალითად: პოლიციელის მიერ ჩვენი გაჩერება, არადა არაფერი ისეთი არ დაგვიშავებია, საბუთებში შეცურებული ქალაღდის ფული, რამაც ჩემი ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო გამძაფრა. კერძებითა და სასმელით დახუნძლულ სუფრები ხომ საერთოდ მაცვებს თავისი სიუხვითა და სტუმრების რაოდენობით. ერთი და იგივე კითხვა მეზადება, ვინ იხდის ამ ყველაფრის საფასურს და რა სახსრებით? მესმის, რომ არის ოჯახური თანადგომა, მეგობრების დახმარება, ისიც ვიცი, რომ ეს კლანური სოლიდარობა თავად ცხოვრების წესია, ეს გასაგებიცაა, ისინი ხომ ისეთ გარემოში ცხოვრობენ, სადაც “ნორმები” არ არსებობს. სტუმრებს შორის არიან ექიმები, სხვადასხვა დარგის ტექნიკოსები. ნოდარი პარტიის წევრია, ის საშენი ტყის საწყობის გამგეა ქუთაისის რაიონში. კარგად ცხოვრობს, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ ეს კომფორტი მხოლოდ მისი ხელფასის დამსახურება არაა. სხვათა შორის, არც მიმაღავს, მე ხომ მათიანი ვარ. ნელ-ნელა ნათელი ხდება ჩემთვის თუ როგორ მუშაობს სისტემა. გიორგი მთავარი ექიმია, საავადმყოფოში, რომელსაც სანატორიუმს ეძახიან, მისი დაწესებულებაც მაჩვენეს, როგორც ჩანს, ჰიგიენის ნორმები აქ იგივე არაა რაც ევროპაში. გამანდო რომ მამამისი კომუნისტებმა დახვრიტეს, ამიტომაც შურის საძიებლად, ყველა რუს ქალს, მნიშვნელობა არ აქვს ახალგაზრდაა თუ მოხუცი, ყველას „ხმარობს“. მეც მთავაზობს, რომ თუ ვინმე მომივა თვალში “პრობლემა არაა“.

კიდევ არის ვალიკო, მამიდაჩემის ქმარი თუ კომპანიონი. მართალია, პენსიაში გავიდა მაგრამ წითელი არმიის ოფიცრის ფორმას მაინც ატარებს. მგონი მოვწონვარ, მაგრამ ჩემში მაინც ხედავს ევროპელს და როგორც კი საშუალება ეძლევა, მაშინვე საბჭოთა კავშირზე და მის მშვიდობის სურვილზე იწყებს ლაპარაკს, და მტრისას თუ არ დავეთანხმე, მაშინვე ჯოჯოხეთის წვიმასავით ბომბებსა და ჭურვებს მიშენს თავისი უხეში და ცოცხალი შესტებით.

ერთი რამ მაინც არ მესმის: რამდენი ქართველი დაეცა ამ პატრიოტულ ბრძოლაში, ათეულობით ათასი, ასობით ათასი, საიდან აღ-

მოჩნდნენ ამ ხოცვა-ჟლეტვაში, ისინი ხომ კომუნისტები არ იყვნენ?! რამდენი ადამიანს სჯეროდა რომ მათი ბანაკი, მათი უნიფორმა, მათი ბრძოლის მიზეზი გამართლებული იყო და ცხოვრების დაკარგვად ღირდა? რამდენ ადამიანს სჯეროდა რომ სწორედ საბჭოთა კავშირი იყო მათი დედა-სამშობლო?

ამდენი გადასახლების, დახვრეტის, გაუჩინარების, ინტელექტუალური ელიტის წმენდის შემდეგ, შეიძლებოდა კიდევ გერწმუნა ამ რეჟიმის და მისთვის სიცოცხლე გაგენირა? მეორე მხრივ კი არსებობდა ქართული ბატალიონი, რომელიც გერმანულ ფორმას ატარებდა და რუსეთის საწინააღმდეგოდ იბრძოდა? იყო ესეც გამართლებული?

გავიხსენოთ დიმიტრი ამილახვარი, ფრანგული არმიის გმირი და ერთ-ერთი ათას მებრძოლს შორის, რომელიც საფრანგეთის გასათავისუფლებლად იბრძოდა დე გოლის მიერ შექმნილი „საპატიო ორდენის“ ჯარში, მას ჰყავდა ძმა, გერმანულ ფორმით მებრძოლი, რომელიც პარიზში გარდაიცვალა თავის ძმის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში.

რას ფიქრობდა დიმიტრი? რომელი იყო მართალი? და ძვირფასი ბიძა, - მიშა დადიანი ქართველი ბატალიონის მეთაური, რომელიც კავკასიისკენ გზას საქართველს ნახვის იმედით გაუდგა, თუმცა ის ვერასოდეს იხილა!

ჩვენს დიასპორაში იყვნენ ის ქართველები, რომლებმაც მეორე ბანაკში ყოფნა აირჩიეს. ქართველი ოფიცრები საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში და სხვაგან ემსახურებოდნენ საფრანგეთის არმიას. თითოეული იბრძოდა თავისი მრწამსის ან უბრალოდ, დროისაგან მოტანილი, წილხვედრი ბედის გამო, ისინი იყვნენ საწინააღმდეგო ბანაკებში, ერთმანეთის მტრები და ალბათ ერთმანეთის წინააღმდეგ ისე ისროდნენ ტყვიებს და ერთმანეთს კლავდნენ, რომ არც კი იცოდნენ ვის ხვდებოდა ეს ტყვია. რაზე ფიქრობდნენ ნეტავ საფრანგეთის გათავისუფლებისას ის ქართველები, რომლებიც კომუნისტებმა იმისთვის დახვრიტეს რომ გერმანელების თარჯიმნები იყვნენ?

ჩემში თავი მოიყარა ამ კითხვებმა. ისტორიული ანალიზის გაკეთება მოგვიანებით ჩემი მთავარი გასაღები გახდება. მაგრამ მთავარი ეს არ იყო. მთავარი ის იყო, რომ ჩემი ხალხი თავისი ბედის მართვის ინიციატივას ჰკარგავდა და ის ფორმები ჩაიცვებს, რომელიც მათი არ იყო. თითოეული დახოცილი, მნიშვნელობა არ აქვს, რა ფერის ფორმა ეცვა, უზარმაზარი დანაკარგი იყო. თითოეული ადამიანის სისხლი იმ წვეთი-

ვითაა, რომელიც აუცილებელია ერის სიცოცხლისთვის, თითოეულმა სისხლჩაქცევამ კი მისი სიკვდილიც კი შეიძლება გამოიწვიოს. კუნდერა წერდა, არაფერს ვპატიობთ, მხოლოდ ვივინყებთ. მე კი საპირისპიროს ვფიქრობ, შეიძლება აპატიო, რადგანაც სიძულელი, შურისძიება, ის გზა არაა, რომელსაც ჩვენი რწმენა გვიჩვენებს. რატომ უნდა მალიზიანებდეს ვალიკო თავისი საბჭოთა ფორმით? ვინ ვარ მე, რომ ის განვსაჯო? სამაგიეროდ, არასოდეს დავივინყებ იმ ადამიანებს, რომელიც ბევრს არ ითხოვდნენ: მხოლოდ ის უნდოდათ, რომ ეცხოვრათ ამ მიწაზე, ყოფილიყვნენ ბედნიერნი, ემღერათ და ექექივათ, ეშრომათ და ყვარებოდით. ყველა მათგანი ჩვენი ნაწილია. ჩვენი მიწა ლამაზი და ბარაქიანია, მამას ის მთელი გულით უყვარდა, დაე, ღერთმა ქნას, რომ ის აღარასოდეს დაინამოს ქართველი წამებულების სისხლით.

თბილისიდან ქუთაისამდე საკუთარ სახლში ვგრძნობდი თავს, ნაცნობი ფერებით, წეს-ჩვეულებებით, სიმღერებით და ქეიფით, რომელიც ამდენ ტკივილსა და ბრახს ფარავს, ხალხი თავისი დოვლათითა და მოჩვენებითი უდარდელობით ნიღბავს უამრავ სატკივარს. ქართველები სიცოცხლით სავსე და ნაღდი ხალხია, თუმცა თავისუფლებას მოკვეთილნი გარკვეული სითბოს მომტან არქაიზმებს მიეჯახვნენ და ამით თავს იცავენ ცრუ მოდერნიზმისგან. მხოლოდ გამჭრიახობის მომენტებში, მაშინ როცა ემოციებს ჯერ კიდევ არ დავმონებთ და გულს სწრაფად ცემა არ დაუწყია, მივხვდი რაოდენ დაშორებული იყო ამ ოდიოზური სისტემის ოფიციალური და მშრალი იდეოლოგია და არსებული რეალობა, რაოდენ შეუსაბამო იყო იგი ნამდვილ ცხოვრებასთან.

სწორედ ამ ერთმანეთის საპირისპირო დეტალების შედეგად მივხვდი, რომ ერთ დღეს, მალე ათ, იქნებ ხუთმეტ წელში, ეს მარილი შეჭამდა თავისივე შეურაცხმყოფელ ჯავშანს და გაანადგურებდა საკუთარ თავს. და ამ დროს, ჩემი ხალხი თავისუფალი და ლალი გახდებოდა. ამ აღმოჩენამ დიდი სიხარულით ამავსო და ამავდროულად ყრუ შფოთიც მომიტანა: მართალია თავისუფლები გაეხდებით, მაგრამ რა მდგომარეობაში შეეხვდებით ამ თავისუფლებას?

ცნობიერად, ჩემი ევროპული აზროვნება კარგად ხვდებოდა, რამხელა აცდენა იყო ამ ანტაგონისტური ორი სისტემის მიერ შექმნილ თანამედროვეობაში. ყველაფერი დეტალებში შეიმჩნეოდა: ჰიგიენაში, შენობებში, რკინის კარებში არანაირი ელემენტობის კვალი რომ არ ეცხო, მაღაზიებში მცირე საქონლით და ქეიფებში, ასე ლამაზი, ასე სტუმართმოყვარე ტრადიციაში სადაც ღვინის სმა განუსაზღვრელ

ფორმებს იღებდა. ვიცი რომ ღვინო ელექსირია, რომელიც კულტურებს, ტრადიციებს, ცხოვრების ხელოვნებას განსაზღვრავს. ღვინო სწორედ ჩვენს მიწაზე დაიბადა, ქართული სულის განუყოფელ ამ ელემენტს ბევრს უნდა ვუმაღლოდეთ. ღვინო ქართველებს ღირსებას გვმატებს, გვალამაზებს, მეტად დახვეწილს, მოსიყვარულეს და მოძმეს გვხდის. გვამსუბუქებს და ყოველდღიური ცხოვრებისგან ცოტა ხანს გვაშორებს, მაგრამ ქართული სუფრის მსვლელობისას, რომლის ორგანიზებაც ძალიან მომწონდა, კარგად ვხედავდი, რომ ღვინოს დროთა განმავლობაში თავისი პირველადი არსი შეეცვალა. თუ სხვადასხვა სიტუაციებს დავუკვირდებოდით, ღვინის სმის ნამდვილ მიზანს ადვილად გამოვიცნობდით: ქართველები ასე ცდილობდნენ გონება შეემსუბუქებინათ და ანმყოს ცოტა ხნით გაქცეოდნენ.

ქუთაისში, მერმა ჩემს საპატივსაცემოდ დიდი ქეიფი გამართა, რომელსაც თავადვე, დიდი ნიჭით, თამადაობდა. სალამო იყო არაჩვეულებრივი და ცა ვარსკვლავებით მოჭედული. ჰაერში მშვიდობის სურნელი ტრიალებდა. სადღეგრძელოები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ემოციურ ტალღებში გადავეშვი და ავტირდი. ღვინოც მდინარეებივით მოედინებოდა, სოსომ, რომელსაც მთელი საქართველო იცნობდა, ნამდვილი შოუ მოგვიჩვენა. მან თამადას სადღეგრძელოს თქმის ნებართვა სთხოვა, ყინულის მოსათავსებელ ჭურჭელში ჯერ ორი ბოთლი ღვინო ჩაცალა, შემდეგ მესამეც მიამატა და დაიწყო ჩემი მშობლების სადღეგრძელო. თქვა და გააკეთა კიდევ, მთელი ჭურჭელი ერთი მოსმით ბოლომდე დალია, ამოუსუნთქავდა. უკან დადო ჭურჭელი და დაჯდა. ველოდებოდი რომ ელდანაკრავივით ძირს გადავრდებოდა. არა, ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც უნდა ყოფილიყო. ხშირად, ძალიან ხშირად, ზედმეტად ხშირადაც მსგავსი ზღვარგადასვლის მომსწრე ვხდებოდი, გადამეტების, რომელიც ხანდახან ისე შემოდის ჩემში რომ გარს მეკვროდა და საერთო ამპატიურ ტალღაში მითრევდა.

სადღაც ვხვდებოდი, რომ ჩემი ხალხი სისტემამ დააბუჟა და ბუნება უცვალა. ვგრძნობდი მათში დასადგურებულ დაძაბულობას, შიშს, ზოგჯერ უნდობლობას და ტანჯვას, რომელიც კლანურ ცხოვრებას დაემკვიდრებინა. მოჩვენებითი ნორმალურობის, აზრის წარმოთქმის, ღიმილის, თვალის ჩაკვრის, მოულოდნელად გასერიოზულებლი სახის იქით ვგრძნობდი დაგროვილ სიძულვილსა და შინაგან ამბოხს.

ჩემი წინაპრების საფლავებიც მოვინახულე და ვერც ჯვარი, ვერც ეკლესია იქ ვერ შევამჩნიე. ალბათ, სწორედ ამ პატარ-პატარა დე-

ტალების არყოფნით ვხედავდი ყველაზე უკეთ სისტემის მიერ თავს-
მოხვეულ შეურაცყოფას. ჯვრის გარეშე დარჩენილი მიცვალებულები
ქრისტიანობის აკვანში?!

ერთი კვირა გავიდა, მდიდარი, ინტენსიური, ფიზიკურად გათან-
გული ვიყავი, მაგრამ სულიერად, იმ რეალობით ვიყავი გაჟღენთილი,
რომელიც აქამდე მხოლოდ ჩემს წარმოდგენებში არსებობდა.

ქუთაისიდან ჩემი ორი ჩემოდანი ქილებით გატენილი გამომატანეს.
მამასთან და დედასთან ოჯახური სამზარეულოს კერძები მომქონდა და
კიდევ ღვინით სავსე ბოთლები (პარიზში რომ ჩავედი და სახლში მი-
ვედი მამას თვალებში შიშნარევი ცნობისმოყვარეობა ამოვიკითხე, ჩემს
ვერდიქტს ელოდებოდა. ალბათ კითხულობდა, იყო მისი შვილი ნამდ-
ვილად ქართველად აღზრდილი და ხვდებოდა და რეალურად ეთანხმე-
ბოდა ამას? მამა მაშინვე დავამშვიდე, ბედნიერი იყო, მაგრამ ქუთაისისა
და მისი მიმდებარე ადგილების ფოტოებზე ველარაფერი იცნო. ვერც
დედამ იცნო ის სახლი, რომლის დატოვებაც 14 წლის ასაკში მოუწია,
ისიც კი აღარ ახსოვდა, რამდენ სართულიანი იყო.)

საშუალება მომეცა მომენახულებინა წინაპრების სახლი, რომელსაც
სასახლეს ნამდვილად ვერ უწოდებდი, მაგრამ მაღალჭერიანი თავადუ-
რი სახლი კი იყო. ახლაც კი მახსოვს იმ ადამიანების სახეები, ვინც
იქ ცხოვრობდნენ. ალბათ შევაპინე, ეგონათ, როგორც გომართელების
შთამომავალი, ამ მემკვიდრეობაზე განვაცხადებდი პრეტენზიას?

ამ მშვენიერი მოგზაურობის შემდეგ, არსებული დასკვნების საწი-
ნაღმდეგოდ და საპირისპიროდ, თავშეუკავებლად და დაბეჯითებით
შემეძლო განმეცხადებინა, რომ საბჭოთა სისტემა დიდხანს ვეღარ
გასტანდა, ის დაიშლებოდა, თვითონვე, ომის გარეშე. და ჩემი ხალხიც
გათავისფლდება, ალბათ 15 ან 20 წელიწადში მაინც.

მაგრამ ამავედროულად ვიცოდი ეს ახალ გამონვევის წინაშე დაგ-
ვაყენებდა, შიშისმომგვრელი გამონვევის წინაშე : თავი დაგვეღწია ამ
ოდიოზური სისტემიდან, რომელმაც ხალხი დაავირუსა საშინელი ტენ-
დენციით – უსიტყვოდ მიეღოთ ყველაფერი რაც ხდებოდა, ეს კი ევრო-
პული თანამედროვეობის არანაირ ფასეულობას არ შეესაბამება.

იმ წუთიდან, თავიდან არ მშორდებოდა ფიქრები ამ საშინელ
გამონვევაზე, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა რამდენიმე წელში
დადგებოდა, ეს გარდაუვალი იყო და უამრავ საფრთხესაც გვიქადდა,
რადგანაც ჩვენ პატარ ერი ვართ, რომელიც ნედლეულის სიმდიდრით
ვერ დავიკვებებით და არც ინდუსტრიული ტრადიციები გაგვაჩნია,

ყოველ შემთხვევაში ევროპული მენეჯმენტის გადმოსახედიდან. ჩვენი ისტორიის ბედის განკარგვა ორი საუკუნის წინ შეწყდა, როდესაც ჩვენი ბედის კონფისკაცია მოახდინეს. ეს ორი საუკუნე ცოტა არაა. სწორედ ამ პერიოდში მოხდა საზოგადოებრივი ცვლილებების რიტმის საოცარი ზრდა ეროვნული პროდუქციის კაპიტალის, ეკონომიურ-სოციალური ევოლუციის, მოქალაქეობრივი შეგნების, სახელწიფოების სტრუქტურების, მისი მისიის და რესურსების ექსპლუატაციის თვალსაზრისით. ჩვენ კი ამ დასავლური საზოგადოების განვითარების მიღმა აღმოვჩნდით, სამართლის და სასამართლოს დამოუკიდებლობის, აზრის გამოხატვის თავისუფლების და ეკონომიური ინიციატივების, სახელწიფოს კონტროლის მიღმა, ყველაფერი იმის იქით, რომელიც მოქალაქეობრივობის შინაარსს, სიმდიდრეს და ღირსებას წარმოადგენს.

ყველაფერი ის, რაც თანამედროვეობის და ერის დამოუკიდებლობის შემადგენელი ნაწილია, ჩვენთვის არც ნაცნობი, არც მშობლიური არ იყო და მით უმეტეს არც ამის მიღების მზაობა გავგაჩნდა. ჩვენი დრო დათვლილი იყო და ჩემი გონებაც იმედსა და შიშს შორის დაცურავდა. ვცდილობდი, რამდენჯერაც ამის საშუალება მომეცემოდა, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებშიც, ჩვენი ქართველი სათვისტომოს დარწმუნებას იმაში, რომ აუცილებელი იყო ჩვენი მობილიზება, რათა კარგად მოგვეფიქრებინა, როგორ შევხვედროდით ამ ახალ გარემოებებს და რათა შეგვემუშავებინა ლოგიკური გეგმა, მეთოდები და სტრატეგიები. მე ვთავაზობდი შეგვექმნა ლევილის სასახლის ფონდი, მისგან შეგვექმნა თანამედროვე ცენტრი, რომელიც მოემსახურებოდა ახალგაზრდა ქართველ სტუდენტებს და მათთვის მაგალითის მიმცემი გახდებოდა. ამავდროულად, ის საშუალებას მოგცემდა უკეთეს საცხოვრებელ პირობებში გავერთიანებულიყავით და ამგვარად ერთად გავგეტარებინა დრო. გარდა ამისა, ეს სტრუქტურა საშუალებას მისცემდა ჩვენს მშობლებს სიცოცხლის ბოლო წლები კომფორტსა და უფრო თბილ გარემოში გაეტარებინათ.

მაგრამ არავის მოუსურვებია ჩემი მოსმენა. მოხუცი მშობლების თაობას უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, მიჩვეულნი იყვნენ არსებულ სიტუაციას. მართალია, მუდამ გაისმოდა, „მომავალ წელს თბილისში“, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერად, სინამდვილეში კი მათში ცეცხლი განელებულიყო, ასაკი, ცხოვრებისეული გამოცდები, განშორება, ზოგადი შეხედულებები ძლიერ და ურჩხულ საბჭოთა კავშირზე ვერანაირ მობილიზაციის სურვილს ვერ გააღვივებდა მათში, ხოლო რაც

შეეხება ემიგრაციაში დაბადებულ ახალგაზრდა თაობას, მრავალფუნქციურ გრძნობას ყაბულდებოდნენ, რომელიც მშობლების ერთგულებას და საკუთარი ცხოვრების მოწყობის სურვილს შორის თავსდებოდა. ცხოვრების მოწყობა ხშირ შემთხვევაში ფრანგი მეუღლის გვერდით ხდებოდა, რომელიც ფსევდო თანაგრძნობით, ზოგჯერ ირონიით და ხშირად გალიზიანებით იყო განმსჭვალული. მათაც უნდა გავუგოთ, როგორ შეიძლება აღზარდო ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი? გონივრული იქნება კი რომ ამ ბავშვებს ჩავეუნერგოთ ტრადიციებისგან შემდგარი კულტურა, რომელიც უცხოა იმ კულტურისგან რომლის წიაღშიც დაიბადნენ?

ემიგრაციამ მოიტანა და შემოინახა კლანური დაჯგუფებები ასე რომ ახასიათებს დახურულ საზოგადოებებს. ყველაზე ლამაზი და საამაყო ტრადიციების შემონახვამ ვერ გადაფარა ძველი არქაული ტრადიციები: თითქოს ორივე ერთი და იგივე სისხლით იკვებებოდნენ. საკუთარი ნაკლოვანებების გამოსწორება დადებითი თვისებების დაკარგვის რისკთან ასოცირდებოდა და ეს ნაბიჯი არასოდეს გადადგმულა.

ფაქტი კი სახეზე იყო. უნდა შევთანხმდეთ, ისინი, ვინც თავიანთი ნიჭის წყალობით ფრანგულ საზოგადოებაში დასაფასებელი ადგილი მოიპოვეს, რალა თქმა უნდა, გაემიჯნენ იდენტურ რიტუალებსა და კლანურ სულს. მათ აზროვნებაში შეუძლებელი იყო ყოფილიყავი თანამედროვე, კულტურული და ამავდროულად შეგეთვისებინა თამადობის ტრადიცია და სუფრის სიმღერები. მათთვის, ეს იყო ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელი დიდი ბავშვების ტრადიციები. ზოგიერთი აღმაცერად უყურებდა ქართველებს თავისი არქაიზმის გამო, მაგრამ აღმერთებდა მითიურ საქართველოს თავისი დიადი წარსულით, ეფუძნებოდნენ ყველაზე ცნობილ ისტორიის შეუსაბამო ელემენტებს იმისათვის, რომ იქიდან შეექმნათ სხვა ისტორია, რომლის ექსკლუზიურ წამრმომადგენლებადაც აცხადებდნენ თავს. ამათ დიდხანს მოუწიათ ცდა საქართველოს ერთგულება რომ გამოეხატათ. ბუნებრივია, მათაც უნდოდათ საქართველო რომ თავისუფალი ყოფილიყო, მაგრამ, ამას გარდა, უნდოდათ ის ენახათ პოლიტიკურად ისეთ სტრუქტურასთან დაახლოებული რომელიც საკუთარ ფანტაზიაში წარმოედგინათ და არა როგორც იყო სინამდვილეში, პრინციპში ამ რეალობას ისინი არც კი იცნობდნენ და არც სურდათ გაცნობოდნენ.

მოდით, გულახდილად ვქვათ, მათ სჯეროდათ რომ საქართველოს უბედურება, განსაკუთრებით 1921 წლის შემდეგ დატრიალებული

ავბედილობა, სოციალისტებისა და სოციალ-დემოკრატების ბრალი იყო. ერთადერთი და რეალური წამალი ბოლშევიკური სნეულებისგან განსაკურნებლად იყო დაბრუნება იმ ეტაპზე, სადაც შეწყდა ისტორია უკანასკნელი ბაგრატიონის დროს. ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატებისდმი სიძულვილმა მალე მოიცვა საფრანგეთის პროგრესისტული პარტიის ნაწილიც, ზოგიერთი კი ფრანგული საზოგადოების ყველაზე ექსტრემისტულ პარტიაშიც განეწიანდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, სხვადასხვა ინტელექტუალურ-მორალურ წრის წარმომადგენლებში სუფევდა ნაციონალიზმისაკენ სწრაფვა, მეოცე საუკუნის ეს ეპიდემია, რომელიც თითოეული ეკონომიური და სოციალური კრიზისის დროს ჩნდება და რომელსაც საკვებს აძლევს მზაკვარი აზროვნების ხალხი, რომლებიც გაუბედურებულ ხალხს ანუგეშებს და მათ გადამრჩენელად აცხადებს თავს. ნაციონალიზმი ხალხის ობსკურანტიზმია, რომელსაც ომამდე მივყავართ. არსებობს ნამდვილი კულტურული და საზოგადოებრივი დისტანცია პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს შორის, პირველნი ამაყობენ, მეორენი კი ყეყეობენ.

ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო ის, რომ ეს სიძულვილი მათ განსაზღვრავდა და ის საქართველოსა და ქართველების სიყვარულს გადანონიდა. მაშინ როცა კლანურ სულსა და პარტიულობას უნდა გავმიჯნოდით, რათა საქართველო გვეხსნა თავისი მდგომარეობიდან და დრო არ დაგვეკარგა მის აღსაშენებლად, ემიგრაციის ეს ნაწილი თავს წარადგენდა, როგორც ერთადერთ ლეგიტიმურ ალტერნატივად, რომელიც სიფრთხილის გამოჩენაში მდგომარეობდა.

ერი იზადება იმ იდეებისგან, რომელსაც ერთნი ქმნიან და რომელსაც შემდეგში სხვა დანარჩენებიც იზიარებენ. ეს იმას გულისხმობს, რომ ისტორიის მნიშვნელოვან მომენტში ხალხი ხვდება სად შეიძლება იყოს ნამდვილი ერი.

ერის განმარტება დიდი ხნის განმავლობაში იყო შთაგონებული და დღემდე ასეა. ევროპული კონსტრუქცია, მისი ცივილზაციიის გავრცელება, ემიგრანტების ტალღა, ეთნოსებისა და მათი ტრადიციების წონა, ეს ფაქტორები ქმნიან მისი პრინციპების ხელმეორედ შენების პირობებს.

მაგრამ რაღაც უცვლელი რჩება:

ერნესტ რენანის 1882 წლის 11 მარტის გამოსვლა, სადაც ის ფრანგი ნაციის შესახებ საუბრობს, ძალიან მომწონს და აქვე მინდა რამდენიმე ელემენტზეც ვისაუბრო:

„ერი არის სული, სულიერი პრინციპი“;

„ტანჯვა გვეერთიანებს, დიახაც, ერთიანი ტანჯვა მეტად აერთიანებს ვიდრე სიხარული. ეროვნულ მოგონებებში, გლოვას მეტი ფასი აქვს, ვიდრე ტრიუმფებს, რადგანაც ისინი მოვალეობებს გვაკისრებენ, საერთო ძალისხმევისკენ მოგვიწოდებენ“;

„ერი განისაზღვრება მისი აწმყოთი და მასში არსებული ხელშესახები ფაქტებით, ნათლად გამოხატული ერთად ცხოვრების სურვილითა და ერთსულოვნებით“.

მინდა დავფიქრდეთ ამ უკანსკნელ წინადადებაზე, რომელიც კარგად გამოხატავს ჩემთვის მოქლაქეობრივი სულის არსს. „ ადამიანი არაა მონა არც თავისი რასის, არც თავისი ერის, არც მისი რელიგიის, არც დინების, არც მთების განლაგების. ჯანსაღი აზროვნებისა და გულიანი ადამიანების დიდი დასახლება ქმნის მორალურ ცნობიერებას, რომელსც ეწოდება ერი.“

გამოდის რომ მოქალაქეებისგან შემდგარი საზოგადოება, რომელიც თავის მხრივ ქმნის ერსა და მის ფასეულობებს, ყალიბდება ინდივიდის ცნობიერების წყალობით, იმის უფლებით, რომ იყოს ის რაც არის და ასევე სხვისი პატივისცემის, მისი არსებობის პატივისცემის მოვალეობით. ჩვენ ამისგან შორს ვიყავით, საქართველოშიც და სათვისტომოშიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, რომლის შედეგცი სახეზე იყო.

ზოგიერთისთვის დიასპორაში ყველაზე მთავარი მხოლოდ თავისუფლება და დემოკრატიაა, ყველას გაერთიანება კი არ იყო, არამედ უფრო მნიშვნელოვანი იყო დამნაშავეების დასჯა და 1801 წლიდან დაწყებული პერიოდის წაშლით იმ წესრიგის აღდგენა, რომელიც ისტორიის, წარმოსახვითი ისტორიის ერთადერთი ლეგიტიმურობისა და განგრძობითობის დასტური გახდებოდა. ამ ეპოქიდან დღემდე ისეთი არაფერი მომხდარა, რომელიც დაიმსახურებდა კოლექტიურ აზროვნებაში დაედო ადგილი, ის მხოლოდ ისტორიაში გახსნილი წარუმატებელი ფრჩხილები იყო და უფრო მეტიც, ის დამნაშავე იყო.

ეს გრძნობა გამოიხატებოდა ყველაზე უკეთესს შემთხვევაში უხეშობასა და სიძულვილში, უარეს შემთხვევაში კი ანათემაზე გადაცემასა და ცენზურაში, სადაც ძალადობაზეც არ ამბობდნენ უარს. ისინი ჩემი მეგობრები არ იყვნენ და მეც, ჩემი გეგმებით, მათ მტრად ვიქეცი.

ეს დამოკიდებულება, ჩემი არაკვალიფიციური შეფასებით, თანამედროვე საქართველოს, მისი აურაცხელი პრობლემის, დრამატული სიძნელეების არცოდნით იყო განპირობებული. მათთვის საქართველო არაფერს ნიშნავდა და ქართველებსაც უნდა გამოესყიდათ დანაშაული.

მართალია, დაშვებული შეცდომები ისტორიული მოვლენების ჯაჭვის შედეგი უფრო იყო, ვიდრე ერის ბრალი, მაგრამ ამაში მაინც ჩანდა ქართველების სისუსტე და დანაშაული. მათი აზრით, ვერაფერი აღსდგებოდა თუ ეს ორი საუკუნე არ ჩამოირეცხებოდა და არ აღსდგებოდა წინაპრების წყობა, წმინდა და გადამრჩენელი წყობა.

ამით უკეთ ვხვდებით, რომ კომუნიზმის დაცემამდე და მერეც, მათ არანაირი ძალისხმევა არ გამოუჩენიათ იმისათვის რომ გაეგოთ, წინასწარ დაენახათ, მოეძებნათ ალტერნატიული ძალა, შეემუშავებინათ საწოდო გეგმა, გაეკეთებინათ ყველაფერი ის, რაც თავიდან აგვაცილებდა სავალალო შედეგსა და დროის კარგვას. სხვათაშორის, საქართველოში ჩასვლა იმისათვის რომ ადგილზევე გაეგოთ, მოესმინათ, ენახათ, განეცადათ, მათთვის ლალატის მოწმობასა და დამნაშავე კომპრომისზე წასვლის ტოლფასი იყო. მათთვის პატრიოტიზმი მდგომარეობდა იმაში, რომ ხელი შეეშალათ მათთვის, ვინც დადიოდა იშვიათი ქართული ფილმების სანახავად, ეს ფილმები კი, არ ვიცი რა არხების გავლით, გადიოდა პარიზულ კინოდარბაზებში. და კიდევ უარესი, ისინი ასევე ხელს უშლიდნენ ხალხს, წასულიყვნენ იმ ადამიანების პანაშვიდზე რომლებიც „ლალატში“ იყვნენ ეჭვმიტანილნი. ემიგრაციის ეს ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობას წარმოადგენდა მაინც მორალური და ინტელექტუალური მაგალითი იყო და გარკვეული გავლენის მოხდენაც შეეძლო.

მსგავსი დამოკიდებულებით, თვითდაჯერებულობით და საქართველოს რეალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უცოდინრობით, ისინი რეალობის მიღმა რჩებოდნენ და ეს სულაც არ ანაღვლებდათ. ისინი თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ დამოუკიდებლობის მიღებისას ბატონი ზვიად გამსახურდია სახელმწიფოს მეთაური გახდებოდა, მათთვის კი ზვიადი გარკვეულწილად ჟანა დარკთან ან რობინ ჰუდთან ასოცირდებოდა.

ბერლინის კედლის დანგრევამდე, რამდენიმე თვე ჩემთვის ემოციებითა და ალექვებით სავსე თვეებია. ვფიქრობდი მიმეტოვებინა სამსახური, არადა კარგად ანაზღაურებულიც იყო და მთელი რიგი პრივილეგიებითაც ვსარგებლობდი. ვმოგზაურობდი მთელი მსოფლიოში, ღამეს ვატარებდი ელიტარულ სასტუმროებში და ყველაზე მოდურ რესტორნებში. მქონდა დასასვენებელი რეზიდენცია ფრანგულ რივიერაზე და ძვირადღირებული მანქანა. მაგრამ მე სულ საქართველოზე მეფიქრებოდა, საქართველოზე, რომელიც მალე თავისუფალი გახდე-

ბოდა და ამ ალტკინებს ჩემი მშობლების გარდაცვალების მოგონებასთან მივყავადი. ჩემს თავს ვეკითხებოდი: რაში მდგომარეობს ჩემი მოვალეობა, ჩემი მოწოდება, ჩემი იდენტობა?! არჩევანი უნდა გავაკეთო! ჩემი გულის გარდა ამას არაფერი მაიძულებს! და მეც ავირჩიე ჩემს გულს მივყოლოდი და ის გამეკეთებინა, რაც ჩემი ქვეყნისთვის უფრო სასარგებლოდ მიმაჩნდა. იქ სადაც იმ დროისთვის ვიმყოფები, ჩემს ჩასანაცვლებლად ათასზე მეტ კანდიდატს იპოვიდნენ და შეიძლება ჩემზე უკეთესსაც, მაშინ როცა ჩვენი ქვეყნისთვის თავდადებულები, განა რამდენი ვიქნებოდით?

ვფიქრობდი, რომ თუ ამას არ ვიზამდი, მაშინ გამოვიდოდა, კომფორტს მეტ მნიშვნელობას ვანიჭებდი, ვიდრე ცხოვრების უმთავრეს მიზანს: ერთგულებასა და უბრალო გულკეთილობას. ის რომ ჩემი ერი თავისუფალი არ იყო, ყოველთვის შეურაცხყოფად მიმაჩნდა. ამ განცდამ მუქი ფერებით შეღება ჩემი შინაგანი ცხოვრება, უცხო თვალისგან დაცული ცხოვრება, ამ უსამართლობამ შინაგანი სიბრაზე შემოიტანა, რომელიც მუდმივად არსებობდა ჩემში. ეს ჭრილობა ახლა შეიძლებოდა მორჩენილიყო და მინდოდა მეც ახალი გამოწვევის მთავარი მოქმედი გმირი ვყოფილიყავ, გაგმხდარიყავით თავისუფალი ერი და პატივსაცემ ერებს შორის გაგვეკვალა გზა.

მეც მივატოვე ფუფუნება პირველივე შესაძლებლობისთანავე და გადავწყვიტე საქართველოსთვის დამეთმო რამდენიმე წელი. მასთან დაკავშირებით დიდი გეგმები მქონდა, თუმცა კარგად ვუნწყოდი, რომ ამ ამბციების რეალიზება რთული აღმოჩნდებოდა!

საქართველოს მდგომარეობის რეალური სურათი საქართველოში პირველივე მოგზაურობებიდან მივიღე და მას რაც შეიძლება ცივი გონებითა და მიუკერძოებლად ვაანალიზებდი.

საქართველო „კორსიფიკაციის“ გზაზე იდგა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს იყო ერი რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში საკუთარ ბედს ვერ განაგებდა. მართალია ჰქონდა ენა, ფოლკლორი, ძლიერი იდენტობა, მაგრამ ასევე გააჩნდა რთული სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, საზოგადოების დანაწევრება და სტრატეგიკაცია, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილს მოიცავდა და სადაც ქართველები დიდ როლს თამაშობდნენ იმისათვის, რომ ემსახურათ ვერაგი სისტემისთვის, რომლის თანამზრახველებიც და ამავდროულად მსხვერპლნიც იყვნენ.

„კორსიფიკაციის სინდრომი“ ეს ის აუცილებლობაა, რომელიც გაიძულებს დატოვო შენი ქვეყანა იმისათვის, რომ სხვაგან აიწყო ცხოვრება,

ემსახურო „მშთანმთქმელ“ ერს, ხშირ შემთხვევაში დიდი ნიჭითაც, პატიოსნად და ერთგულად, და შენი სამშობლოც უფრო დიდი ერის დეპარტამენტად იქცევა, იქ ტოვებ შენს კულტურას, წინაპრებს და მათ საფალავებს. დროთა განმავლობაში იდენტობაც უფერულდება, უკან დასაბრუნებელი გზაც ვინროვდება.

მოსკოვში ყოფნისას ვნახე ისეთი ქართული ოჯახები, სადაც ბავშვებს ქართული უკვე აღარ ესმოდათ!

საბჭოური და განსაკუთრებით ქართული საზოგადოების გადაგვარებულთა ერთ ნაწილს გააჩნდა თავის პრინციპები, ეს იყო ძირითადად კლანური თანადგომა და არალეგალური გამდიდრები პირობა, რომელის დამოკიდებული იყო იერარქიის კაპრიზებზე.

დავამატოთ ამ არც თუ ისე სახალისო სურათს მისი წარმომადგენლების თვითდაჯერებულობა: რომ არიან ყველაზე მოხერხებულნი და ქკვიანები, რომლებიც ყველანაირ გარიგებაზე მიდიან და ეს ისე შესანიშნავად გამოსდით, რომ მისგან გარკვეულ სუბ-კულტურასაც კი ქმნიან. მე, ამ ყველაფრით ვერ მოვტყუვდებოდი. მიზნად დავისახე უკეთესად გავცნობოდი ჩემს ქვეყანას და მის საზოგადოებას. თვეში ერთხელ თბილისში ჩამოვდიოდი რამდენიმე დღით და სხვა ქალაქებშიც ვმოგზაურობდი. ჩემს მეხსიარებაში ვიბეჭდავდი ყველას და ყველაფერს რასაც ვხედავდი და იმ ქალებს თუ მამაკაცებს, რომლებსაც ვხედავდი. ეს აღარ იყო პროპაგანდისა და შიშის პერიოდი, რომელიც ჩემი პირველი მოგზაურობის დროს მახლდა, ხალხი ღიად საუბრობდა თავის შემფოთებაზე რაც გამონეული იყო იმით, რომ მალე ეს ქვეყანა დაიშლებოდა და ვერავის წარმოედგინა თუ რა შეიძლებოდა შემდეგ მომხდარიყო. ამდენი წელი გაეტარებინათ მორჩილებასა და სხვის შემყუროებაში, ემორჩილებოდნენ რა იდიოტური სისტემის იდიოტურ წესებს, თუმცა ეს წესები უზრუნველყოფდა მათ ხვალინდელ დღეს და ამ ყველაფერმა ისინი მიაჩვია ინერტულობას, ყველანაირ შებოჭილობას და ზოგიერთი თვით კომფორტსა და დიდ ფულსაც, რომელითაც ყველაფრის ყიდვა შეიძებოდა: ყიდულობდნენ შვილებისთვის დიპლომს, აწყობდნენ სტუდენტებს უნივერსიტეტში, შოულობდნენ საავამყოფოში სასურველ ადგილს ან ძნელად საშოვნ წამლებს გადაამყიდველებთან.

კარგად ვხედავდი, რაოდენ დრამატული იყო არსებული სიტუაცია, ეს იყო თანამედროვეობისა და საბჭოური წყობის „მელტინგ პოტი“, რომელსაც საკმაოდ რეალურ, მოსალოდნელ და გარდაუვალ კატასროფამდე მივყავდით. თუმცა ხანდახან ეს დრამატული სურათი სასაცილო

სახესაც იღებდა.

მახსოვს რუსთავის მერთან შეხვედრა და მისი მუნიციპალური მიღება. ყველაფერი იყო საბჭოური, ათობით თეთრი ტელეფონის აპარატი სამუშაო მაგიდაზე, კაბა-პიჯაკში გამონყობილი შინიონიანი ქალბატონები და მამაკაცების ნაცრიფერი ჩაცმულობა, ნამდვილი კარიკატურა. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, უკეთესი რომ აღარ შეიძლება, ყველაფერი კონტროლის ქვეშ იყო. მე კი ვიცოდი, რომ არაფერიც არ იყო კარგად, ქალაქი ან უფრო სწორად ის რასაც ვხედავდი, საბჭოური სისტემის ეკონომიკის მდგომარეობას და ურბანული გარემოს მდაბიო სახეს წარმოადგენდა. მერის წარდგენამ ამ კრებულის წინაშე, თუ არ გამოაცა უხერხულად მაინც მაგრძნობინა თავი. ვიდექი იმ სამყაროს წინაშე, რომელიც მალე ჩამოიშლებოდა, თუმცა ორკესტრი განაგრძობდა დაკვრას. რა უნდა მექნა, მხოლოდ ის ვთქვი, რომ პარიზიდან, ქართული სათვისტომოდან ჩამოსული ქართველი ვიყავი და რომ კვლევას ვაკეთებდი საქართველოს პოტენციალზე, რომ უკვე შევხედი 250 000 მაცხოვრებლიანი ქალაქის პასუხისმგებელ პირს და თუ ყველაფერი კარგად იყო, შემეძლო წავსულიყავი. მე კარგად მესმის ქართული მიუხედავად იმისა, რომ მიჭირს ამ ენაზე გრძნობების გამოხატვა და ჩემი აზრის ზუსტად გადმოცემა, სწორედ ამიტომ გვერდით მუდმამ მყავდა ჩემი ერთგული გია. თქვენობით არ ვსაუბრობდი, ჩვენობით ფორმას ვარჩევდი იმის ხაზგასასმელად, რომ მე უცხო, მონინაალმდევე ან მეტოქე კი არ ვარ, არამედ ამ საზოგადოების ნაწილად ვთვლი თავს. არც შურისძიება ან ჭკუის სწავლება მქონდა მიზნად. მეც ქართველი ვიყავი, რომელსაც სურდა გაეგო, რა ბედი ელოდა მის სამშობლოს, როგორ იმართებოდა რუსთავის ქალაქი. ოთახში მყოფებთან ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ სიტუაცია მალე შეიცვლებოდა და რომ მოსახლეობისთვის რთული აღმოჩნდებოდა საკუთარი თავის კითხვის ქვეშ დაყენება. „თუ ყველაფერი კარგადაა, მე წავალ, და თუ თანახმა ხართ რომ ვიმსჯელოთ, მაშინ ჯობია თავიდანვე ერთმანეთის ნდობა გვეკონდეს!“ - განვუცხადე მეც.

ატმოსფერო უცებ შეიცვალა, ნიღბები გაუჩინარდა.

ამ დროს შევამჩნიე ის შემოფოთება, რომელიც გამონვეული იყო იმ იდეოლოგიური წინააღმდეგობებისგან, რომელიც არსებობდა წარმოების სექტორსა და ქალაქის სოციალურ მართვას შორის. მოულოდნელად დაძაბულობა მოიხსნა. მივხვდი, რომ ყველას გააზრებული ჰქონდა არსებული სიტუაცია და ერთი და იგივე კითხვა ისმოდა: რა გველის?

მერი კარგი ადამიანი ჩანდა, რომელის პიროვნება ნელ-ნელა გამოიკვეთა ჩემს ცნობიერებაში. ისიც მალე გათავისუფლდა დაძაბულობისგან და თავის საბჭოს წინაშე არსებული სოციალური სიტუაცია საკმაოდ დრამატული შეაჯამა: ამ ქალაქში წესით ყველაფერი უფასოა, მაგრამ თუ ხარისხიანი რამე გინდა, ფული უნდა გადაიხადო. მე კი ვიცოდი ეს ყველაფერი მაგრამ მაღალი თანამდებობის პირის მიერ ნათქვამმა ან უფრო სწორად „ალიარებულმა“, ნამდვილად გამაოცა. დავაფასე მისი გულახდილობა. მსჯელობის საგანი იყო ქალაქის სოციალური მართვის ხედვა და ის სამსახურები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული იყო ინდუსტრიულ სფეროსთან. ამ უკანასკნელის მართვა, როგორც ჩანს, მომგებიან მოთხოვნებს არ ითვალისწინებდა, როგორც ეს ლიბერალულ ეკონომიკაში ხდება. ამ მენეჯმენტის სოციალური ასპექტი, რომ აღარაფერი ვთქვათ იდეოლოგიურ მოწოდებაზე, არანაირ ეფექტურობის ცნებას არ ატარებდა. მართალია, სისტემა სამუშაო ადგილის ქონის გარანტიას იძლეოდა, მაგრამ არ არსებობდა ცხოვრების ხარისხის ამაღლების გარანტია. აღარაფერს ვამბობ ეკოლოგიის სავალალო მდგომარეობაზე, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებდა მოწყენილი და უსულო შენობებისგან შექმნილ უზადრუკ ურბანულ გარემოს.

ამ პროპაგანდის მიღმა, რომლისაც თითქოს ყველას სჯეროდა, მით უფრო, რომ ამით სარგებლობდნენ კიდეც, არაფერი არსებობდა ისეთი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა. ყველაფერი თავდაყირა იდგა, თვით ადამიანების ქცევაც კი. ხშირად მითქვამს, დიდი გამბედაობა იყო საჭირო ამ მაგმას რომ დაპირისპირებოდი და მხოლოდ დიდი სიყვარულით თუ შევძლებდით სასონარკვეთილებაში არ ჩავარდნილიყავით.

მოვინახულე ქარხნები, ინსტიტუტები, სამინისტროები, სასტუმროები, საავადმყოფოები, საბჭოთა მეურნეობები და ყველგან ერთი და იგივე შემადრწუნებელი მდგომარეობა სუფევდა. ამ „ქვე-განვითარებისგან“ თავის დაღწევა ძალიან რთული და შრომატევადი იქნებოდა, მე ეს მანამდეც ვიცოდი ჩემი პროფესიული ცხოვრებისა თუ მოგზაურობების წყალობით, მაგრამ ის, რასაც აქ ვხედავდი, კიდევ უარესი იყო. ჯერ უნდა დაგვენგრია ეს რკინისა და ბეტონის გროვები და მერე ახალი აგვეშენებინა. საოცარია, ეს სამყარო, დღეს რომ ნანგრევებადაა ქცეული, ერთ დღეს კაცობრიობის მომავალის შენებაზე აცხადებდა პრეტენზიას!

ვფიქრობ, ნებისმიერი საღად მოაზროვე ადამიანი, მსგავსი დასკვნის გაკეთების შემდეგ, თავქუდმოგლეჯილი გაიქცეოდა. დაწყებული

საზოგადოების მაღალი წრიდან და დამთავრებული ყველაზე დაბალ სოციალური წრით, არ მოიძებნებოდა არც ერთი პიროვნება, რომელიც შეძლებდა გამხდარიყო დასავლური აზროვნების ლიდერი, რომელსაც გააზრებული ექნებოდა დავალების სირთულე და აირჩევდა სწორ სტრატეგიას. რალა თქმა უნდა, სიმამაცე, პატრიოტიზმი და კეთილი ნება არავის აკლდა, მაგრამ საზოგადოება კომუნისტური მენტალობით იყო დაავადებული. ეს თვისებები წინააღმდეგობაში მოდიოდნენ ყველაზე საშინელ და უკიდევანო სისულელებთან. ასეთი სისულელის მაგალითია პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ საქართველო გადარჩებოდა მხოლოდ მანვნისა და ჩურჩხელების წყალობით (თვით იაპონიაც კი დაინტერესებულიაო). სურათი, რომელიც ჩემს წინ იმლებოდა, იყო განადგურებული საქართველო, შეუძლებელი იყო ამ მდგომარეობიდან გამოსვლა დახმარების გარეშე. სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრმა ისიც კი მითხრა, რომ საქართველო მხოლოდ 1 მილიარდ რუბლს უხდოდა საბჭოთა კავშირს, მაშინ როცა მისგან 7 მილიარდს იღებდა. ამ ციფრებით ყველაფერი ნათქვამი იყო: საქართველო საბჭოთა კავშირისთვის ლამაზი და გრაციოზული მოცეკვავე ქალივით იყო, საყვარელივით, რომელსაც ყველა კაპრიზს უსრულებენ.

კარგად მესმოდა რომ ეს მზით განებივრებული მინა ბარაქიანი იყო და მისი ბაზრები სავსე იყო სურსათ-სანოვაგით, გოჭების მთებით, ყველის პირამიდებით, ხილ-ბოსტნეულის ნაირფეროვნებით, თაფლით და რა ვიცი კიდევ რამდენი რამით.

აქ ფული ისევე მოძრაობდა, როგორც ევროპაში. მაგრამ საიდან მოდიოდა ეს ფული? მე კი მქონდა პასუხი ამ კითხვაზე და ამაზე ვდარდობდი კიდევ. რადგანაც ნათელი იყო რომ სისტემას ჰქონდა თავისი ნაკლოვანებები და ქართველებს კარგად ეხერხებოდათ შესაბამისი არგუმენტების წყალობით სათავისოდ გამოეყენებინათ ამ სისტემის აბსურდული მხარეები. არსებობდა თანამონაწილეობის მრავალრიცხოვანი ჯაჭვი, რომლითაც იქმნებოდა ისეთი გამდიდრების სიტუაციები, რომელსაც ევროპაში ეძახიან „უსაფუძვლოს“ და რომელსაც ციხემდე მიყავხარ. კიდევ კარგი, ამ ორ სისტემას ეს ერთი საერთო ცნება მაინც გააჩნდა.

ხელოვნურად იქმნებოდა დანაკლისი თუ დეფიციტები, ზედმეტად ფასდებოდა ინვესტიციები, არაპროდუქტიული ბიუჯეტები მრავლდებოდა და ეს ყველაფერი ხელსაყრელ სიტუაციას ქმნიდა იმისათვის, რომ ფული გაგეკეთებინა, გაგეყიდა, გაგენაღდებინა და წილში ჩამდ-

გარიყავი იმ სისტემასთან რომელიც დაზეთილი იყო იერარქიული და თანამზრახველი ორგანიზაციების მიერ, მაგრამ რომელიც ადვილად მსხვრევადი იყო ძალაუფლების ცვლილებებთან ერთად.

მე მოვიწახსულე მარგარინის შემნახველი ქარხანა და არ ვიცოდი რა ჯობდა, მეტირა თუ მეცინა. დაწყებული ბულგარეთიდან მომავალი მათი გადამზიდი ლიკარიანი ვაგონ-მაცივრებით, სადაც ზეთი ყველა მხრიდან მოედინებოდა, და დამთავრებული მათი კონდიციონერებით, ყველაფერი უბადრუკად გამოიყურებოდა, თავისი მოძველებული მანქანებით, რომლებიც რეგულარული რიტმით ჭეჭყავდა და აქეთ-იქით აშხეფებდა ყველაფერს. ასევე მაჩვენეს „ულტრათანამედროვე“ კონდიციონერების დანადგარები. მაგრამ ვერ ვხედვოდი რატომ იყვნენ ისინი მოთავსებული ყველაზე ბოლო სართულზე სადაც ჭერი ჯერ არ იყო გადახურული?! ქარხანაში დიდი არეულობა სუფევდა..... აქ იყო საბავშვო ბაღი, რაც დადებითი მხარე იყო, მაგრამ ასევე იყო პერსონალისთვის განკუთვნილი, „განმტვირთველი“ სივრცე, რომელიც შედგებოდა დიდი, განათებული სურათებისგან. და თუ მათ წინაშე დაჯდებოდი, შენს წინ გადაიშლებოდა ბუნების გასაოცარი ხედები, ეს იყო ფოტოები, რომლებსაც პროლეტარიატის სტრესი უნდა განემუხტა. ბოლო ფოტოზე გამოსახული იყო ლენინი, რომელიც გასხვივოსნებული მომავლისკენ იწვდიდა ხელს!

იგივე მდგომარეობა იყო მანვნის ქარხანაში, სადაც რძესაც ამუშავებდნენ. ჩემთვის ხომ ეს პროცესი ძალიან ნაცნობი და მშობლიური იყო.

შევამჩნიე, რომ ერთ-ერთი მანქანა რეგულარული რიტმით სისტემატურად აფუჭებდა მანვნის ქილებს. ძალიან გამაკვირვა ამის ნახვამ იმიტომ რომ ეს პრობლემა ადვილად მოგვარებადი იყო. ამისხსნეს, რომ ეს დანაკლისი ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო, რაც საშუალებას იძლეოდა მინიქვეშა წარმოება შეექმნათ და ამით საწარმოს მართვისთვის დამატებითი რესურსები მოეტანათ. სულელი არ ვიყავი, რომ ვერ მივხვდარიყავი სად მიდიოდა ეს „ბონუსი“. მაგრამ ამას ისეთი პროფესიონალიზმითა და ბუნებრივი სერიოზულობით ხსნიდნენ! რალაც მხრივ ამ მოხრეხებული ხრიკების წყალობით მომავალი მენეჯერები ყალიბდებოდნენ!

ეს მეთოდები ევროპაშიც ნაცნობი იყო და ამაზე ბევრს იცინოდნენ კიდევ. მაგრამ საკუთარი თვალთ ნახვა, ამის ახსნა დეტალებში ერთდროულად საინტერესო და თავზარდამცემი იყო.

ვერც ნომენკლატურაში და ვერც მის ფარგლებს იქით ვერა-ნაირ ორგანიზებულ ძალას ვერ ვხედავდი, რომელიც ჯანსაღ აზრს შემოგვთავაზებდა.

ყველა პროექტი, რომელიც შემოთავაზებულ იქნა, აბსოლუტურად შეუსაბამო იყო იმ რეალობასთან, რომელიც ვითარდებოდა.

რალა თქმა უნდა, ნომენკლატურაში იყვნენ ადამიანები რომლებიც ევროპას თუ სხვა ქვეყნებში იყვნენ ნამოგზაურები, რომლებსაც კარგად ესმოდათ რომ გარკვეული ვადები გარდაუვალი იყო, მაგრამ არავინ იყო ისეთი, რომელიც გაუძღვებოდა რეკონსტრუქციის და გადამზადების პროცესს. როგორც ჩანდა, საზოგადოების მაღალი წრე შიშით ელოდებოდა, როდის ჩამოინგრეოდა ეს აწყობილი წყობა და მასთან ერთად სოციალური და კულტურული იერარქიაც დაინგრეოდა ყველა თავისი უპირატესობებით. იმ ქართველებისთვის, რომლებიც მოხერხებულად ლავილებდნენ, ეს უპირატესობები არ იყო სულ ერთი: კითხვის ქვეშ დგებოდა მათი უფლებები, ინტერესები და სხვა მსგავსი კომფორტი.

ყველაზე საშინელი ამ სიტუაციაში ლიბერალურ ლოგიკას სრულიად მოკლებული, იურდიული არსენალი იყო, რომელიც განსაკუთრებით შეიმჩნეოდა. კარგად მოგვეხსენება, რასაც ქადაგებს დემოკრატია აზრის გამოხატვის თავისუფლების მხრივ, თუმცა საკუთრების ცნება მისი კიდევ ერთი ფუნდამენტური ცნებაა. საკუთრება ბევრის აზროვნებაში ასოცირდებოდა კოლექტიური ინტერესების სასარგებლოდ ინდივიდუალური საკუთრების მიტაცებასთან. რადგანაც თვით სახელწიფომ მიითვისა ყველაფერი, ჩვეულებრივ ადამიანს რატომ არ უნდა გაეკეთებინა იგივე?! “ეს ჩემია ან ჩვენია“ საგონებელში მაგდებდა.

წინ დრამატული გამოწვევა გველოდებოდა. საქართველოს არანაირი ბუნებრივი რეზერვი არ გააჩნდა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა პირველ ხანებში თავი გაგვეტანა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მომავლისთვის ასაშენებლად არანაირი ინვესტიციის გაკეთების საშუალება არ არსებობდა. ერთი მხრივ ეს იყო ხელისშემშლელი პირობა. რა თქმა უნდა, საქართველოს რომ ჰქონოდა ნავთობი, მის დასახმარებლად უმაღლეს მოვარდებოდნენ მაგრამ მეორე მხრივ, კარგი თავდაცვა იყო იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა ნავთობ მაფიის და ველური კაპიტალიზმის ჩამოყალიბება, რომელიც მალევე გაჩნდებოდა რუსეთში და რომელიც ისევე საზიზღარია, როგორც კომუნიზმი.

სიტუაციის ანალიზიდან გაკეთებულ დასკვნებს, წესით, უნდა გავექციე საქართველოდან, მაგრამ ქართველები გასაოცარი ხალხია, უბრალოები და ხშირად ძალიან ნიჭიერები. ხალხი იყო ის მასალა, რომლისგანაც დავინწყებდით შენებას. „ნომენკლატურაში“ იყვნენ კარგი ადამიანებიც, მეგობრები, რომელთა ნახვა ყოველთვის მსიამოვნებდა, არანაირი მიზეზი არ არსებობდა რომ ხელი მეკრა მეგობრობისთვის, რომელსაც ისინი მთავაზობდნენ რადგანაც ამ მეგობრობას მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე მათ პარტიულობას. მე იმიტომ არ ჩამოვედი, რომ ვინმე გამეკიცხა, მთავარი იყო მხოლოდ მომავალზე მეფიქრა და ამიტომაც ყველას მივესალმებოდი. რატომ უნდა მომეჩვენებინა თავი რომ მათ ვერ ვამჩნევდი ვუკეთებდი, საქართველოში ბედნიერი ვიყავი. ჩემს მეგობრებთან, მათ მეგობრებთან, რომლებიც ჩემი მეგობრებიც ხდებოდნენ, სუფრებით სადაც ერთი და იგივე მენიუ იყო, ერთი და იგივე სადღეგრძელოები და ხანდახან სიმღერები და ხუმრობებიც. მოსალოდნელ სასონარკვეთასა და გამანდგურებელ ნანგრევებს მიღმა არსებობდა ეს იუმორი, სიცხილი, ანეგდოტები, რომლებიც მსუბუქი გარსივით გარს ეკვროდა და ფარავდა ცუდ წინათგრძნობას და რამდენიმე საათით გვაგინებდა მათ.

და გამოვითვალე, რომ გვეჭრდებოდა 10 მილიარდ დოლარამდე ინვესტიცია 10 წლის განმავლობაში, ანუ, 1 მილიარდი წელიწადში, ეს იყო ის თანხა, რომელიც აუცილებელი იყო ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური ზრდის რესტრუქტურისთვის.

ფულის შონვა რთული არაა ამ სამყაროში, ათას მილიარდობით დოლარები ინახება ოფშორულ ბანკებში. ოცნებებში გადავვშვი, მხოლოდ 10 მილიარდი, 10 ადამიანი, 10 წელი იმისათვის რომ ქვეყანა და ერი გადარჩეს და ხელახლა აშენდეს.

მაგრამ მათ მისაზიდად საჭირო იყო ისეთი სტრატეგიები რომელიც შეესაბამებოდა საშინაო და საგარეო გარემოს, მის ბაზარს, მის ფინანსურ გარემოს და განსაკუთრებით აუცილებელი იყო კვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც შეძლებდნენ ხარისხისა და წარმოების ევროპული ნორმებისკენ მიმავალ გზაზე ქართველებისთვის წინამძღოლის როლი გაეწიათ.

რადგანაც საქართველოს გააჩნდა გარკვეული უპირატესობები, შესაძლებელი იყო ქვეყნის ფეხზე დაყენება და მისი განვითარება რამდენიმე წელში. ეს უპირატესობები გახლდათ:

- სატრანზიტო მიმოსვლა ფოთიდან ტაშ-კენტამდე და შემდეგ

ირანში, სომხეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში და კასპიის ზღვაში, სადაც ნავთობი მოიპოვება. ამ მხრივ საჭირო იყო ისეთი აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორცაა სანარმოების, განსაკუთრებით კი ევროპული სანარმოების შექმნა და სამუშაო ადგილების გაზრდა, გზების მოწყობა, რკინიგზის განვითარება, თანამედროვე საწყობების, ბაქნების და სხვა დანარჩენის აშენება. სომხურმა დიასპორამ ლონდონიდან გამოგვიგზავნა პატარა დელეგაცია „საქართველოს სახლში“ და გვთავაზობდა მონაწილეობის მიღებას კონსორციუმში, სადაც რამდენიმე მილიონ დოლარის ინვესტიციას ჩადებდნენ პირველი კვლევებისათვის, მაგრამ ერთი პირობით: საქართველოს არასოდეს არ უნდა შეეფერხებინა სომხეთის მომარაგება. ასევე იყო დაინტერესებული ირანის საელჩო. ირანული პორტები გადატვირთული იყო და მას სჭირდებოდა დამატებითი ინფრასტრუქტურის მოძიება თუნდაც ეს დასავლური ფლაგისგან მოშორებული ყოფილიყო. ამ ახალ სივრცეში, ამ რეგიონის ქვეყნებისთვის საქართველო ერთადერთ ალტერნატივად რჩებოდა იმისათვის, რომ გათავისუფლებულიყვნენ რუსული გავლენისგან. იმიტომ არა რომ ისინი სრულიად ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთს, მათ უბრალოდ სურდათ სტრატეგიული და კომერციული ინიციატივების თავისუფლების გარანტია მოეპოვებინათ. ჩვენი ორივე კავკასიელი მეზობელი უშუალოდ გამოხატავდა თავიანთ ინტერესებს, მით უფრო რომ თურქეთსა და სომხეთს შორის გზები განყვეტილი იყო, თანაც დიდი ხნით. აზერბაიჯანი, თავისი გაზისა და ნავთობის წყალობით, მნიშვნელოვან ხელსაყრელ პირობებს გვთავაზობდა განსავითარებლად და ლოგიკური იყო შავი ზღვის გავლით მომხდარიყო მათი წარმოების გადატანა საზღვარგარეთ. აქ ნამდვილად იყო ინვესტიციების სერიოზული საბაძო და ამის ერთ-ერთი ყველაზე დადებითი ასპექტი იყო სამუშაო ადგილების შექმნა.

• რაც შეეხება სოფლის მეურნეობას და კვებას, საქართველოს, როგორც ღვინის მწარმოებელ ქვეყანას დიდი შანსი ჰქონდა გამხდარიყო ახალი კალიფორნია, ღვინოსთან ერთად, თავისი ციტრუსებით და ხილბოსტნეულის კონსერვებით თუ ნახევარ-ფაბრიკატებით. ასევე შეიძლებოდა მწვანეობების მოყვანა, ეთერ-ზეთების, ყვავილების, სამკურნალო და არომატული მცენარეების წარმოების განვითარება. ამას დამატებული ჩვენი წყალი, რომელიც შეიძებოდა სერიოზული შემოსავლის წყარო გამხდარიყო. მოკლედ, „ეკოლოგიურ“ საქართველოს ჰქონდა ყველა რესურსი იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოეწია თავისი წარ-

მოება და მოეხდინა საკვები პროდუქტის ექსპორტირება ერთის მხრივ რუსეთისკენ, რომელსაც არ გააჩნდა იგივე უპირატესობები და, მეორე მხრივ, ევროპისკენ, რომელიც მუდმივად ეძებს ეგზოტიკას.

- ტურიზმი: დიდი სიმიდრით გამოჩეული ფოლკლორი, სტუმართ-მოყვარეობის ტრადიცია და მისი ადგილების სილამაზე, საქართველოს სთავაზობდა შესანიშნავ შესაძლებლობას, მიეზიდა ასობით ათასი ტურისტი. ამისათვის საჭირო იყო სასტუმროების, რესტორნების და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორცაა ტრანსპორტი, სათარჯიმნო ბიუროები და სხვა მომსახურეობის დარგები. ეს ზუსტად ის სექტორი იყო, რომელიც საუკეთესოდ განასხვავებდა ორ სისტემას. საქართველო უკვე მასპინძლობდა 3 მილიონ ტურისტს წელიწადში. მისი ტერიტორია სავსე იყო სასტუმროებით, სანატორიუმებით, დასასვენებელი სახლებით და ა.შ მაგრამ ეს უკანასკნელნი ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ რომ სარემონტო სამუშაოების ჩატარების გარეშე არავის დაინტერესებდა. ამ სფეროში არაფერი შეესაბამებოდა თანამედროვე ევროპული ტურიზმის კრიტერიუმებს.

ევროპელი ტურისტების მიერ გავრცელებული ძალიან დადებითი იმიჯი, უცხოური დელეგაციების მიერ ნაქები საქართველოს სტუმართ-მოყვარეობა საკმარისი არ იყო.

ძალიან დიდი იყო სხვაობა კომფორტისა და მომსახურეობის ცნებებს შორის, თუმცა ამის გამოსწორება ძნელი არ იყო. პირიქით, ეს მშვენიერი შესაძლებლობა იყო ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ამის დამდასტურებელიც მყავდა: „სამხრეთ კლუბის“ (Club Med) პასუხიმგებელი, ერთ-ერთი ყველაზე დიდი საერთაშორისო ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელმაც ქართული შეისწავლა. ის კარგად იცნობდა ჩვენი ქვეყნის პოტენციალს ტურიზმის სფეროში. ჩვენ შეგვეძლო საქართველოში მიგველო რამდენიმე მილიონი ტურისტი ანუ ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი დოლარი შემოსულიყო და შექმნილიყო 200 000 პირდაპირი თუ არაპირდაპირი სამუშაო ადგილი. იმ პერიოდისთვის ეს ციფრები ასტრონომიულად გვეჩვენებოდა. მაგრამ მე კიდევ მეტს ველოდებოდი. რა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა მასიური ტურიზმი „ზღვა, მზე და სექსი“, არამედ ხარისხიანი კულტურული და სპორტული ხასიათის მატარებელი ტურიზმი როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის სეზონზე. ალბათ კონგრესების გამართვა, როგორცაა სამედიცინო კონფერენციები და სხვა ბიზნესშეხვედრები ტურიზმის კიდევ ერთი ასპექტი იყო, რომლის განვითარებაც შეგვეძლო. ამის გა-

საკეთელად კი საჭირო იყო დიდი ჯგუფების ფინანსური ინვესტიციების მოზიდვა ახალი სასტუმროების ასაშენებლად, რადგანაც არსებული სტრუქტურები ჯერ ვერ პასუხობდნენ მსგავსი ტურისტების ხარისხის მოთხოვნებს. მხოლოდ რეაბილიტაცია არ იყო საკმარისი, ყველაფერი უნდა დაგვეგრია და ხელმეორედ აგვეშენებინა.

არსებობს ერთი შეურყეველი კომერციული წესი: როდესაც ერთი კლიენტი კმაყოფილია, ამაზე 8 სხვა ადამიანს უამბობს, მაშინ როცა ერთი უკმაყოფილო, ამაზე 22-ს ეწუწუნება. მაშასადამე, ჩვენ უნდა შეგვეცვალა ეს წესი იმისათვის, რომ უცხოელ ტურისტებს თავიანთ გარემოცვაში 22 სხვა ადამიანი დაერწმუნებინათ საქართველოში ჩამოსულიყვნენ.

არავის, არც ევროპაში, არც სხვა ქვეყნებში, არ ჰქონდა ისეთი დიდი პოტენციალი როგორც საქართველოს, უბრალოდ მას უნდა გაეფრთხილებოდით.

- ინდუსტრია ალბათ ის სფეროა, რომელიც ყველაზე რთულად შეიძლება დახასიათდეს. ადგილობრივი წარმოება ერთი დიდი ტრანსნაციონალური დაჯგუფების წევრი გახლდათ და რთული დასადგენი იყო სად, რა ან ვინ იმყოფებოდა: სად იყვნენ პასუხიმგებელი პირები, სად ინახებოდა ცალკეული ნაწილები თუ მასალა ან სად მდებარეობდა მზა პროდუქტის დანიშნულების ადგილი.

გარდა ამისა, ვერფარით წარმომედგინა საქართველო კვამლიანი და გრუხუნა სანარმოებით. ჩემი აზრით, ამ ეტაპს უნდა გავცდენოდით და მიზნად დაგვესახა სხვა რამ, უფრო დახვეწილი, მეტად ტექნიკური, მეტად თანამედროვე, ნაკლებად დამაბინძურებელი და უფრო მომგებიანი.

მოვინახულე თბილისის საავიაციო ქარხანა, შევამჩნიე რომ აქ გარკვეული ცოდნა და გამოცდილება არსებობდა და თუ უტოპიურად ჟღერდა ის რომ ეს ცოდნა შეგვენარჩუნებინა და სამხედრო თვითმფრინავები გაგვეკეთებინა, მაშინ შეიძლებოდა მისი გამოყენება ცალკეული ნაწილების წარმოებისთვის ან შეგვეძლო პატარა ტურისტული თვითმფრინავების აწყობა, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით იყო საჭირო, როგორც ევროპაში ისე სამომავლოდ ყოფილ საბჭოთა კავშირშირის ქვეყნებშიც. ამ ტიპის თვითმფრინავების წარმოება ძალიან ძვირი უჯდება ევროპასა და ევრო კავშირს, როგორც მუშახელის დასაქირავებლად ისე სხვა ხარჯების დასაფარად. მე შევძელი ექსპერტები დამეინტერესებინა ამ შესაძლებლობით. ასევე არსებობდა რეალური შესაძლებლობა,

აგვეწყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ბაზრისთვის მნიშვნელოვანი სხვა ტიპის თვითმფრინავებიც. მართლაც, სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე, რუსული საავიაციო ქარხნები განლაგებულია ძირითადად ციმბირის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუმცა იქაური სიცივის გამო სამონტაჟო შენობების გათბობა აუცილებელია, რაც წარმოების ხარჯებს ზრდის. თბილისი კი მზით გვათამამებს 365 დღიდან 300 დღე მაინც. ეს კი ამ ნამდვილი ტექნოლოგიური ინდუსტრიისთვის დიდი უპირატესობაა.

მე წარმომიდგნეს პროექტი, რომელიც შეეხებოდა პატარა თვითმფრინავების წარმოებას. ამ ტიპის თვითმფრინავს ძრავა უკანა ნაწილში ექნებოდა მოთავსებული და ამით უფრო მეტი სივრცე თავისუფლდებოდა კაბინაში, სადაც ფეხზე დგომაც კი იყო შესაძლებელი. ამ თვითმფრინავის მონაცემებს ჯერ კარგად არც ვიცნობდი, მაგრამ უკვე მეჩვენებოდა, რომ ის შეესაბამებოდა იმ წარმოდგენილ სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც სამხედრო თვითმფრინავების ჩანაცვლება შეიძლებოდა. მოსალოდნელი პერსპექტივები კომერციული თვალსაზრისით იმედის მომცემი იყო. ფრანგი ექსპერტებიც გამოხატავდნენ დაინტერესებას ამ შესაძლებლობისადმი მით უფრო, რომ ამერიკული თვითმფრინავების მწარმოებელს იმ დროისთვის გარკვეული სიძნელეები შეემთხვა. სამწუხაროდ, ამ ახალი მოდელის გამოსაცდელ ფრენას პილოტის სიცოცხლე შეენირა ისე რომ ჯერ კიდევ დაუდგენელია ამ კატასტროფის რეალური მიზეზები. მოგვიანებით, პარიზის ბურგეს აერონავიგაციის სალონში მე საშუალება მომეცა ეს თვითმფრინავი ხელმეორედ მენახა, ოღონდ ამჯერად ის სხვა ფრანგული საწარმოს მეთვალყურეობის ქვეშ იყო. დასანანია, ალბათ თავის დროზე ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად გადაწყდა, წარმოდგენილი თვითმფრინავის მოსამზადებლად საკმარისი დრო არ გამოვიყენეთ, შედეგი კი იმედგამაცრუებელი და არაპროდუქტიული გამოდგა. რამდენიმე ცდის მიუხედავად, ცოტა ხანში პროექტი სრულიად გაუქმდა დაფინანსების არ ქონის და მარკეტინგული კვლევის არ არსებობის გამო.

მექანიკის ამ დარგებში ქართველი მუშები ძალიან მოხერხებულები იყვნენ და ვფიქრობ, რომ სავსებით რეალური იყო ორხიდიანი ან საკოლექციო მანქანების შეკეთების პატარა ინდუსტრიის განვითარება. ამ სფეროში, ისევე როგორც სხვაგან, საჭირო იყო მარკეტინგული ნიშის მოძებნა და ჩვენი წარმოსახვის მობილიზება.

გონივრული თანამშრომლობით ჩვენ უნდა ჩაგვეყარა ტექნოლ-

გიური საფუძველი დასავლური ტექნიკის ნორმების დასაწერად და ამგვარად გაგება კავშირები პატარა და საშუალო საწარმოებს შორის. ვთვლიდი რომ კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ბაზრების გახსნით და წარმოების დაბალი ფასებით დასავლური საწარმოების დაინტერესებასაც გამოვიწვევდით. ჩემი აზრით, ქართველებს შეეძლოთ დინამიურები, დისციპლინირებულები და მონდომებულები გამხდარიყვნენ თუ საქმე მათი ქვეყნის შენებაზე მიდგებოდა. მხოლოდ პატრიოტიზმი არ კმაროდა, უნდა გამოგვეჩინა თანადგომა და ზრდასრულობა ცხოვრების ამ გამოცდის გადასალახავად. სხვა რომ არაფერი, სხვა ქვეყნებმა ეს მოახერხეს და ხანდახან ის ფაქტი, რომ პატარა ერი ვართ, ჩვენთვისვე სასიკეთოც კი იყო. უბრალოდ, მეტი შრომისმოყვარეობა და გონიერება უნდა გამოგვეჩინა და ნაკლებად პრეტენზიულები ვყოფილიყავით.

ფიქრობდი, რომ სახელწიფოს შეეძლო შეექმნა თანამედროვე, კარგად ეკიპირებული ინდუსტრიული ზონები, ადაპტირებული შენობებით, რომელთა დაქირავებაც ძვირი არ დაუჯდებოდა ახალგაზრდა მენარმეებს და ამით მათ ხელსაყრელ პირობებს და დასავლურ გარემოს შევუქმნიდით თავიანთი საქმის კარგად დასაწყებად. მერაბ მამარდაშვილმაც თავისებურად იფიქრა ამაზე, დაფიქრდა როგორ შეიძლებოდა კომუნისტური ჯავშნიდან გაგვეთავისუფლებინა „დაპატიმრებული ტვინები“ და მათთვის მიგვეცა საშუალება სხვაგვარად დაენყოთ აზროვნება. ის მაგალითის მიცემას ქადაგებდა. ფიქრობდა, რომ ერთი დასავლური კრიტერიუმებით შექმნილი ქარხანა უფრო წარმატებული პედაგოგი იქნებოდა, ვიდრე ის ექსპერტები, რომლებიც ევროპულ ოფისებში მსახურობდნენ. მაგალითის მიცემა უფრო პედაგოგიური იქნებოდა, ვიდრე ექსპერტების მონვევა იმის სასწავლებლად, რომ გაზაფხულის შემდეგ ზაფხული მოდის და რომ შემოდგომას ზამთარი მოჰყვება.

საქართველოში და ყოფილ საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანაში თავდაპირველად ფეთქებადი გარემო სუფევდა. ყველგან ავისმომასწავებელი ხმაური ისმოდა, არადა ჩვენ მშვიდობა გვჭირდებოდა და ამის ჩვენბა აუცილებელი იყო, განსაკუთრებით რუსეთისთვის.

დიახაც, ჩვენ გვინდოდა დამოუკიდებლობა, ეს იყო ისტორიული მოთხოვნა, კოლექტიური სურვილი, ავბედით წარსულთან კავშირის განწყვეტა. მაგრამ უპრიანი იყო კი ბოლომდე გავყოლოდით ამ ლოგიკას და თავი დაგვეღწია ამდენ უბედურებაზე აგებული იმპერიალისტური და იდეოლოგიური გავლენიდან? იძულებითი თანაცხოვრების ამ ორმა

საუკუნემ მოიტანა სიძულვილისგან, ზენოლისგან, მაგრამ ამავედროულად, მეგობრობისგან შემდგარი კავშირები ამ ორ ხალხს შორის. მათგან ვინ იყო ხან პროვინცია და ხან კოლონია? და ვინ მპერიალისტი და დიქტატორი? ვისგან დაიღვარა სისხლი და ვის გამო? თუ ასე საძულველი იყო ეს სისტემა, მამ ყველანი ვყოფილვართ დამნაშავე. რუსეთსაც შეეძლო საყვედურები გამოეთქვა ქართველების მისამართით, რადგანაც ჩვენ ის კარგად გამოვიყენეთ. ვინ სარგებლობდა სისტემის ნაკლოვანებებით თუ არა ქართველები, რომლებსაც საუკუთესო თანამდებობებს და დიდ ბიუჯეტს სთავაზობდნენ? როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველო წელიწადში მხოლოდ 1 მილიარდ რუბლს რიცხავდა იმპერიის ხაზინაში იქიდან კი 7 მილიარდს იღებდა, რომლის ნაწილიც პირადი მიზნებისთვის იხარჯებოდა.

საქართველოში მშვენივარად ტრაბახობდნენ ამ პერფორმანსით და ამართლებდნენ კიდევ მძარცველობის ამ ფორმას. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ მაფიოზური ჩვევები ჩამოგვიყალიბდა საზოგადოების მაშტაბით. ამგვარი თავგასულობით, რომლითაც ვამაყობდით და იოლი გზის პოვნით, უპირატესობის გრძნობა ჩამოვიყალიბეთ. სუფრა, სიმღერები, მზე, ხალხის ბარაქეიანობა და სტუმართმოყვარეობის ტრადიციები საშუალებას გვაძლევდა, რომ ყველანაირი სახის კონტროლი სასიამოვნო თამაშად გარდაგვექმნა, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან მოსწონდათ თავად მაკონტროლებლებსაც. მოკლედ, მართალია გვძულდნენ და გვეზიზღებოდნენ, ერთი რამ ნათელი იყო: არსებობდა ერთი დიდი სივრცე, მდიდარი წიაღისეულითა და იდეოლოგიური პროპაგანდით, ისევე როგორც ტყუილებით და ცრუ დაპირებებით, რომელიც ადვილად მსხვერვალი იყო და უბადრუკობაზე დაყრდნობილი უხერხულობისა და სიღიადის შეგრძნებით გამოირჩეოდა. მაგრამ ეს ყველაფერი არსებობდა და მის არსებობაში ყველა იღებდა მონაწილეობას. საბჭოური „მელთინგ პოტი“ არსებობდა მიუხედავად იმ ბზარებისა, რომელიც სისტემის დასარულს იუწყებოდა.

ნუთუ შეიძლებოდა ამ შავ-ბნელი რამიდან ყველასთვის მისაღები გამოსავალი გვეპოვნა? მე ამის იმედს ვინარჩუნდებდი. ჩემი აზრით, რუსული ბაზარი საუკეთესო საშუალება იყო იმისათვის, რომ ადამიანების, მათი ენების ცოდნის და უკვე არსებული მიმოსვლის წყალობით წინ წავსულიყავით და ახალი ურთიერთობები გაგვება. თანაც ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში, როცა ათობით და ასობით ათასი ქართველი კარიერას იწყობდა მთელს საბჭოთა კავშირის ტერიტორი-

აზე და განსაკუთრებით მოსკოვში, სადაც ისინი მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. სხვათა შორის მე ამ ხალხზეც ვფირობდი. რა ბედი ელოდათ მათ? რამდენად დაძაბულ სიტუაციაში მოუწევდათ წინსვლა?

მსგავსი აზრები უფლებას მაძლევდა დაბეჯითებით მეთქვა, რომ ეს სიცოცხლით სავსე და მონდომებული ხალხი, რომლებიც დინამიზმითა და ენთუზიაზმით სავსენი იყვნენ, წარმოადგენდნენ ინვესტიციების იმ ბაზას, რომელიც სამხრეთ რუსეთის ბაზარზე შესაბამის სტრატეგიის განვითარებას შეუწყობდნენ ხელს.

ეს სტრატეგია რომელიც პატივისცემას იმსახურებდა, დაფუძნებული იყო ერთ პოსტულატზე: ნებისმიერ მომენტში სანამ ყველაფერი დრამატული გახდებოდა, სასწაული, ადამიანები და საერთო აზრი დაგვაცენებდნენ სწორ გზაზე. მაგრამ სად იყო საღი აზროვნება ასეთ უგონო იმპერიაში?! ბატონი გორბაჩოვის გამოსვლება იმ აბდაუბდის მტკიცებულება იყო, რომელიც სუფევდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში.

დამოუკიდებლობა ან უფრო სწორად თვითმყოფადობა, რომელიც უფრო კონცეპტუალური ცნებაა, ის რასაც ეს ცნება გულისხმობს, ქართველებს გენეტიკაში ჰქონდათ ჩაბეჭდილი, ეს ისტორიული მემკვიდრეობა, ერთიანი და ერთსულოვანი მოთხოვნა იყო. თუმცა მას მოჰყვებოდა ერთი კითხვა, გადამწყვეტი კითხვა ინდივიდუალური თვალსაზრისით: როგორ პოლიტიკურ სისტემაში მსურს მე ვიცხოვრო?!

როგორ იმართება პიროვნული შეგნება, როდესაც არსებობს კოლექტიური „ჩვენ“. ეს უკანასკნელი გადარჩენის ინსტიქტით საუკუნეების განმავლობაში ჩაბლაუჭებული იყო ენას, რელიგიას, ტრადიციებს და გადაურჩა კიდევ უამრავ ძარცვა-დანოკებას. მაგრამ თავისუფლება, ლიბერალური ეკონომიკა, ინიციატივის გამოჩენა და ინდივიდუალიზმი „მეს“ შემადგენელი ელემენტებია, რომელიც ხანდახან ეწინააღმდეგება „კოლექტიურ ჩვენს“. ის რამაც გადაგვარჩინა ამდენ ქართველს ამჯერად მოგვცემდა კი სამუალებას თავისუფლება მიგვეცა ლიბერალიზმითა და დემოკრატიული წყობით მოტანილ აზრთა სხვადასხვაობისა და ინდივიდუალური ბედისწერის ნაირფეროვნებისათვის?!

სხვადასხვა ინსტიტუციური ფორმა შეიძლებოდა განვითარებულიყო, დაწყებული ფედერაციით და დამთავრებული კონფედერაციით, ისეთით, როგორიც ევროპაში არსებობს და უნდა აღვნიშნო, რომ მსგავსი რეჟიმი იმ შემთხვევაში გაამართლებდა თუ ის თითოეული სახელწიფოს თვითმყოფადობას სცემდა პატივს და ისეთ დემოკრატიულ

მმართველობას შექმნიდა, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეების უფლებების დაცვას.

მაგრამ ვილნიუსის მოვლენების შემდეგ უკვე თბილისში მომხდარმა 9 აპრილმა, იმ არაადამიანობამ, რაც ამ დღეს მოხდა, ქვეყნის თანამდროვე და ლოგიკური რეკონსტრუქციის ყველანაირი იმედი მომიკლა. ბნელი ძალები იარაღს არ ყრიდნენ. ჩვენ კი არც ძალა და აღარც დრო არ გვქონდა, მათთვის რომ მიგვეტევებინა. ის დრო იყო ლუზები აგვეშვა და გავშორებოდით ჩაძირვის პირას მისულ გემს. მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი უნდა გვქონოდა. აშკარა იყო რომ დრომოჭმული იდეოლოგიის მცველი კონტროლს ამკაცრებდა, მიუხედავად საბჭოთა მმართველების კარგად ჩამოყალიბებული გამოსვლებისა და საბჭოური სისტემიდან დემოკრატიისა და ლიბერალური ეკონომიკისკენ ხავერდოვნად გადასვლის დაპირებებისა. მათ განკარგულებაში მხოლოდ ერთი იარაღი არსებობდა, ბარბაროსობა და შიშის ნერგვა. სწორედ ამგვარმა კულტურულმა ფონმა მოიტანა ავღანური ავანტიურა. ევროპელი ანალიტიკოსები, რომლებიც აღიარებდნენ „რუსულ ძალაუფლებას“, როგორც უდავო ფაქტს, ძირს უთხრიდნენ საბჭოურ სცენარებს და მათ „თბილი ზღვისკენ“ სვლას. სინამდვილეში ჩემი პირადი ანალიზის მიხედვით, რუსეთის ეს ქმედება მისი დასასრულის მანიშნებელი იყო, იმის დემოსტრაცია იყო, რომ დაღლილი ხელისუფლება მარცხისთვის იყო განწირული. 9 აპრილი მხოლოდ ველურობისა და უგონობის დემონსტრაცია არ იყო, ის ჯალათების ბოლო ნუთების მანიშნებელი იყო. პარიზიდან ვადევნებდით თვალს მოვლენებს, ეგზალტირებულნი ვუყურებდით ტელევიზიით გადმოცემულ ბრბოს კადრებს, თავისუფალი საქართველოს დროშებს, მაგრამ ამავდროულად ყრუ შიში გვიპყრობდა, რადგანაც დარწმუნებულები ვიყავით, რომ ეს ძირგამოთხრილი რეჟიმი არ დაუშვებდა, რომ დემონსტრაციის ტალღა გავრცელებულიყო. მით უფრო, რომ ქართველები ძალიან სახიფათო მაგალითი შეიძლება გამხდარიყვნენ, რადგანაც მათი სიმამაცე სხვა ერებისთვის ყოველთვის მისაბადი იყო. რისიც გვეშინოდა, სამწუხაროდ სწორედ ის მოხდა. დიდი ტკივილითა და შინაგანი პროტესტის დიდი გრძნობით, ჩვენ სათვისტომოს პატარა ეკლესიაში, ჩვენი შეხვედრების ერთადერთ ადგილზე შევიკრიბეთ. თითოეული ჩვენგანი გლოვობდა. პირადად მე, კარგად მქონდა ანონ-დანონილი არსებული სიტუაციის შედეგები. მხოლოდ ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონოდა, სრულიად მარტო და შიშველი ხელებით დავრჩით. რა პერსპექტივების იმედი უნდა გვქონოდა ეკონომი-

კას, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის და ჩვენი საზღვრების თვალსაზრისით? მე თავიდანვე ვიცოდი რომ რთული გზა გველოდა, მაგრამ ვერ წარმომედგინა თუ ის ამდენად რთული აღმოჩნდებოდა. მხოლოდ ერთი საკითხი იყო, რომელსაც შეიძლება ფასი ჰქონოდა იმ მომენტში: როგორ მოგვეხერხებინა საქართველოს სახელის გატანა საზღვარგარეთ, როგორ შეგვექმნა მისთვის დადებითი იმიჯი საფრანგეთსა და ევროპაში?

წესით, საქართველოს და ქართველებს ყოველთვის დადებითი რეპუტაცია ჰქონდა, მაგრამ არც ისეთი დადებითი, რომ მის დამოუკიდებლობა ერწმუნათ. ყველა, სამინისტროებსა და მედიაში, ჩვენთვის არც თუ ისე სახარბიელოდ აფასებდა დამოუკიდებლობის მოპოვების ამ მცდელობას. მართალია, ისინი აღიარებდნენ ჩვენს დადებით თვისებებს, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ ძალაუფლება და აღიარება მოგვეპოვებინა.

მაშ როგორ დაგვემტკიცებინა, რომ ვარსებობთ? ამ კითხვაზე პასუხი რაიმე ფიზიკური ადგილის შექმნაში იყო, ეს უკანასკნელი იმის მტკიცებულება, სიმბოლო უნდა გამხდარიყო, რომ ჩვენ როგორც ერი ვარსებობთ.

ამ ფიქრში „საქართველოს სახლის“ დაარსების ლოგიკური იდეაც დაიბადა.

ნება რომ მქონოდა მას „საქართველოს საელჩოს“ დავარქმევდი, მაგრამ ამის უფლებას ვინ მომცემდა? ჩემი სურვილი იყო ამ სახლის დაფუძნებით გამოემჩინა და განმეცხადების ქვეყნის სახელი. მსურს განვაცხადო, რომ ეს მოვახერხე კიდეც. რაც არ უნდა იყოს, ის კარგად ასრულებდა თავის როლს როგორც ქართველების წინაშე, ასევე საოცრად გაცეცხული და ეჭვით მომზირალი ცნობილი ფრანგების წინაშე და რუსეთის საელჩოს ბრაზსაც იწვევდა.

მახსოვს ერთხელ უკრაინელი ქალბატონი მოვიდა და ცრემლებად დაიღვარა „როგორ შეძლო 5 მილიონიანმა ერმა ასეთი რამის შექმნა, ჩვენ 50 მილიონი ვართ და არ შეგვიძლია თქვენს მაგალითს მივდიოთ“-ო.

შემიძლია დაწვილებით მოგახსენოთ, რაც ამ სახლში ხდებოდა და თან ისე, რომ თავიც არ მოგაბეზროთ. საქართველოსთვის ის იყო დიდი სიამაყე, თქვენი მონა-მორჩილისთვის კი დიდი გამოცდა. როცა მახსენდება თუ რამდენი სირთულე და გამოცდა გადავლახე, თავი სასწაულმოქმედი მგონია.

მერაბ მამარდაშვილის გარდაცვალება

ის ჩემი მეგობარია და ამ მეგობრობით ვტრიაბახობ კიდევ. ჩემთვის ის იყო ცილიზებული საქართველოს, გაბრწყინებული საქართველოს სიმბოლო და არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასთვის, ვისაც მისთვის მოუხმენია. პირველ რიგში, ის სრულყოფილად ფლობდა არა მარტო ფრანგულ ენას, არამედ ინგლისურსა და გერმანულსაც, მგონი იტალიურსაც. „ესპანურად კარგად ვერ ვსაუბრობ“, მეუბნებოდა ხუმრობით. ის იყო თავად ევროპული საქართველო: ევროპელი თავისი კულტურით, ცნობისმოყვარე ურჩხული კომუნისტებისთვის და საძულველი აქაური და იქაური ნაციონალისტებისთვის. მისმა ნიჭმა და ფართო კულტურამ, მისმა ცხოვრებისეულმა გამოცდებმა ის ისტორიის მოწმედ და საბჭოთა საზოგადოების ერთგვარ ფსიქიატრად აქცია. ქართველების პატრიოტულ მოთხოვნებს ის სიფრთხილით ეკიდებოდა იმისათვის, რომ ეს ნამდვილად მაღალი გრძნობა ნაციონალიზმში არ გადასულიყო ან რაიმე ეთნიკურ პროტესტში არ გარდაქმნილიყო. ის ამაზე დარდობდა, ეჭვი ეპარებოდა, რომ ჩვენი ხალხი მოახერხებდა თავის გათავისუფლებას იმ მომაკვდინებელ ტენდენციებიდან, რომლებიც ქართული საზოგადოების განგრენას წარმოადგენდა. ერთ დღეს მითხრა: „თუ არჩევნის გაკეთება მომიწევს ჩემს ხალხსა და „ლუმიერებს“ (განმანათლებლებს) შორის, მე ამ უკანასკნელს ამოვირჩევ.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაციონალიზმსა და ევროპას შორის ის ევროპას ამოირჩედა.

პოლიტიკური პოლიტიკა სულაც არ აინტერესებდა, თუმცა ვფიქრობ, რომ როგორც ელჩი ფრანგულ ინტელექტუალურ საზოგადოებაში დიდი ფიგურა გახდებოდა.

მოსკოვში მისმა სიკვდილმა და გარდაცვალების გარემოებებმა (რამდენიმე ნაძირალა შეეცადა ხელი შეეშალა მის თბილისისკენ გამომგზავრებისთვის) დიდი დარტყმა მომაცენა და იმედგაცრუებული დამტოვა.

საფულეში ახლაც ვინახავ ქალაღდის პატარა დაკეცილ ფურცელს, სადაც ერთ-ერთი მისი ფრაზა წერია და რომელიც გასაოცრად აჯამებს რასაც წარმოადგენდა საბჭოური საზოგადოება იმისთვის ვინც აზროვნების თავისუფლებისკენ მიიწევს.

„ტოტალიტარული ენა და საზოგადოება ქმნის ისეთ ენას, რომელიც ყველანაირ გონებათმხვილობას გამორიცხავს.... ისე შეიძლება გარდაიცვალო, რომ ვერასოდეს გაიგო თუ რას გრძნობდი სინამდვილე-

ში. შენი ფიქრი ჩანაცვლებულია შენს მაგივრად ფიქრით. ანუ, თავად შენი არსებობის კონფისკაცია ხდება. როცა ახალგაზრდა ვიყავი, “კომსომოლის“ ხალხი სრულიად საზოგადოების და მამასადამე ჩემს სხეულს წარმოადგენდნენ. ისინი მართავდნენ ჩვენს სხეულს. აზროვნების ამგვარმა მკვლელობამ ზეზეული მკვდრების ტყეში შექმნეს საფლავს იქითა სამყარო“.

მერაბი, განსაკუთრებით კი მისი ევროპასა და საფრანგეთში ცხოვრების დროს, ნამდვილი ვარსკვლავი იყო ინტელექტუალურ სამყაროში. მას შეეძლო თვალები აეხილა ყველა „ასე ვთქვათ“ პროგრესულად მოაზროვნესთვის, რომელიც პარიზულ სალონებში ნერგავდა მათ კომუნიზმთან დამნაშავე თანამზრახველობას.

ყველაფერი უკვე დანყებული რომ არ ყოფილიყო ალბათ უარს ვიტყვოდი. მისმა გაუჩინარებამ და სიკვდილის გარემოებებმა შეურაცხყოფა მიაყენეს ნიჭს და იმ კულტურას, რომელსაც ძირს უთხრიდნენ ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს პატრიოტებს უწოდებდნენ, სინამდვილეში კი პატარა ფაშისტები იყვნენ. ასეთებსაც შევხვდრღვარ თბილისში, ნამდვილ გონებაჩამორჩენილებსა და არამზადებს, საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენას რომ განეკუთვნებოდნენ. ესენი იყვნენ დაგვიანებით გამოჩეკილი იტალიელი მუსოლინის, ესპანელი ფრანკოს და პორტუგალიური ფაშიზმის მიმდევრები.

ნაციონალიზმი გონების გახრწნაა, ამას კიდევ ერთხელ ვამბობ. ეს არის კომპლექსებიანი ბავშვი, რომელშიც თავმოყრილია სიძულვილი და ბოღმა. ის თავის გამოსვლებში ხალხს შეახსენებს თავს გადამხდარ უბედურებებს მაშინ, როცა ეს ხალხი თავს უძღვნის განდიდების სურვილით შეპყობილ ავანტურისტებს.

ნაციონალიზმი სიღარიბისგან წარმოიშობა, რომელიც ეკონომიკური და სოციალური კრიზისის დროს იჩენს თავს, და სწორედ ამიტომაც ყველა განათლებული მთავრობა უნდა შეეცადოს შექმნილი სიმდიდრის სწორად გადანაწილებით ქვეყანა ყველაზე სამართლიანი განვითარების გზისკენ წაიყვანოს.*

* ბატონი პაპუაშვილის ეს პასაჟი მცდარი წარმოდგენებითაა ნასაზრდოები, ესაა პროპაგანდის ნაყოფი, რომელსაც დასავლეთის გავლენითა და პირადი ინტერესების გათვალისწინებით აწარმოებდნენ ქართველი პუტჩისტები, სწორედ თავისი ინტერესების არარეალიზებით გაბოროტებულებმა დაამხეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება. თვით გამსახურდია იყო სამშობლოს პატრიოტი და არავითარ შემთხვევაში ნაციონალისტი. მისი „ნაციონალისტობის“ შესახებ მიმდინარე პროპაგანდაში ბევრი პიროვნება გაეხვია და მათ შორის იყო მამარდაშვილიც.

ქართული სახლი

პარიზის შუაგულში, მონპარნასის უბანში, თავისი ელევანტურობით, და არა მკვეხარა ფუფუნებით, ის საქართველოს საამაყო იმიჯს ქმნიდა. ერთ სივრცეში ერთიანდებოდა ხელოვნების გალერეა, სადღესასწაული დარბაზი, შეკრებების ადგილი და ქვედა სართულზე კარგი აკუსტიკითა და განათებით აღჭურვილი პატარა რესტორანი. ვამაყობდი ამ მიღწევით, ვამაყობდი იმით, რომ საქართველოს უკვე გააჩნდა თავისი წარმომადგენელი, მართალია, ჯერ მხოლოდ წარმოსახვითი, მაგრამ ის მალე რეალობად უნდა ქცეულიყო. თუმცა ეს რეალობის ცნებაც ფარდობითი იყო, რადგან ინტერიერის მოსაწყობად უპირატესობა „ინგლისური კლუბის“ სტილს მივანიჭე: ტყავის დივნებით, მყუდრო დეკორით, მოკაშკაშე სპილენძით და სხვა აქსესუარებით.

იქ მოსულთა თვალწინ ცნობილი ადამიანების ნამდვილი დეფილე იშლებოდა. აქ ნახავდით ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბატონ მესმერს, რომელიც ერთ დროს დიმიტრი ახვლედიანის თანამემწე იყო. მას ხშირად ახლდა ერთი მეგობარი ქალბატონი, რომელიც ღვრიდა ცხარე ცრემლებს, ჩვენი მომღერლების მოსმენისას. ერთხელ პარიზის მერმა და შემდეგში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა შირაქმა მანქანით წელა ჩაგვიარა და მე რომ დამინახა კარში, ცერა თითით მანიშნა, რომ კმაყოფილი იყო. ჩვენ გვსტუმრობდნენ ელჩები, ბანკების დირექტორები, მრეწველები და უბრალოდ დაინტერესებული ადამიანები. „საქართველოს სახლი“ დიდ როლს ასრულებდა საფრანგეთის საგარეო სამინისტროს წინაშეც. ის ჩინოსნები, რომელთაც იქ შევხვდებოდით, საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდნენ საქართველოს ბედს. საქართველოდან დაბრუნებულს ხშირად პირადადაც მიღებდნენ, ვინაიდან იმ დროისათვის ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროებით არ იყვნენ განებივრებულნი. რუსეთის მდგომარეობა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგანგაშო იყო და არავინ იცოდა, თუ როგორ განვითარდებოდა სიტუაცია. საუბარი საფრანგეთისა და ევროპის სასარგებლოდ მიმყავდა, ვარწმუნებდი რომ საქართველოს სტრატეგიული პოზიცია ეკავა, რომ რუსეთის თავიდან აცილებით კასპის ზღვიდან ნახშირწყალბადის ამოღებით, საქართველო ის ერთადერთი ღია კარი იყო, რომელზე გასვლის იმედიც შეიძლებოდა ქონოდა ევროპას. ამ კარზე გასვლა ნიშნავდა პოზიციების გამაგრებას აზერბაიჯანში, ყაზახეთში და მომავალში ირანში. საფრანგეთს იმდენად დიდი ხანის განმავლობაში

ეჯერა რუსული ძალაუფლების, რომ ჩემი ნათქვამი მისთვის ძნელად აღსაქმელი იყო. დე გოლის მმართველობიდან მოყოლებული, რუსეთი საფრანგეთის პოლიტიკას ალიბს უქმნიდა შეერთებული შტატებისგან დამოუკიდებლად ემოქმედა და მცირე კრიზისის დროსაც კი ის ევროპის გვერდით იდგა. რუსეთს კი მოსწონდა ამ როლის თამაში საფრანგეთის წინაშე და მას განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა კიდევ, რაც ფრანგული ადმინისტრაციისათვის სატრაბახოც კი იყო.

მოკელედ, ჩემს გამოსვლებს ფრანგები გარკვეული სიმპატიით და ამავდროულად ეჭვნარევად ხვდებოდნენ. თავდაცის სამინისტრო კი სრულად უუზაგებდა რუსეთიდან გადახვევის სტრატეგიას.

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნო ის მნიშვნელოვანი მორალური და პოლიტიკური როლი, რომელსაც სომხური დიასპორა ასრულებდა საფრანგეთისთვის, ისინიც ხომ დამოუკიდებლობისათვის იღწვოდნენ. ქართული სათვისტომო თუ ერთ ან ორ ასეულ სულს ითვლიდა, სომხური წარმოშობის ფრანგების რიცხვი 300 ან 400 ათასს აღწევდა. რუკას თუ დავხედავთ, მივხვდებით რომ, დამოუკიდებელი საქართველოს გარეშე ვერ მოხდებოდა სომხეთის დამოუკიდებლობა. ამით ჩვენს ქვეყანას მყარი პოლიტიკური და ეკონომიური არგუმენტი ჰქონდა ფოთის პორტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ეს იყო დიდი მნიშვნელობის პროექტი არა მარტო სომხეთისათვის, არამედ დერეფნის გასაკეთებლად კასპიის ყურემდე.

ირანსა და შეერთებულ შტატებს შორის, იმდროინდელი დაძაბულობის კონტექსტში ილუზიური იქნებოდა პაიკების გადანაწილება, კასპიის ყურის ამ ნაწილში. ვიცოდი, რომ ირანის პორტები განადგურებული იყო ქვეყნის სათავეში შაჰის მოსვლის შემდეგ. ჩემი გათვლებით, ერთ დღეს შავი-კასპიის ზღვის გზის გვერდის ავლა შეუძლებელი იქნებოდა. ეს საკითხი შესანიშნავი საბაბი გახდა პარიზში, ირანის საელჩოში საინტერესო შეკრების მოსაწყობად. თანამოსაუბრეების მიერ გამოხატულმა ინტერესმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ბედნიერი ვიყავი რომ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ვახერხებდით ყველას დარწმუნებას იმაში, რომ სხვებისთვის საჭიროები ვიყავით და საქართველოს დიდი როლის თამაში შეეძლო მსოფლიო არენაზე, რომ ეს ლეგიტიმური სარგებლობა თავისთავად მისი დამოუკიდებლობის მთავარი მოტივი იყო.

სწრაფად უნდა გვემოქმედა. რუსეთი სასიკვდილო კრიზისში ეფლობოდა და აქედან გამოსავლს ვერავინ ხედავდა. იმის იმედილა რჩებოდა, რომ შედეგი ტრაგიკული არ აღმოჩნდებოდა. საბჭოთა კა-

ვმირთან ერთად ყველაფერი იმსხვრეოდა. საქართველოსათვის, ისევე როგორც სხვა ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი იყო ამ მდგომარეობით გვესარგებლა და ჩვენც სწორედ ასე მოვიქცეთ, თუმცა ჯერ არანაირი საბაზი არ გვექონდა სასიხარულოდ.

ერთია რომ იმპერიის დანგრევამ ცხადყო კომუნიზმის უუნარობა, უზრუნველყო თავისუფალი, დემოკრატიული და პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბება, თუმცა, რაც ამ მსხვრევას მოყვებოდა ეს უკვე სხვაა.

რუსეთი იყო და დღემდე რჩება ბევრისთვის ნამდვილ ენიგმად. ის გარკვეული საიდუმლოებებით მოცულია, როგორც ამბობდა უინსტონ ჩერჩილი. მე იქ დიდი ხნის განმავლობაში ვმოგზაურობდი და ყველგან ვიყავი, მოსკოვიდან ვლადივასტოკამდე, პეტერბურგიდან არხანგელსკამდე, ეკატერინბურგიდან სალდამდე, ურალში და ვოლგის სანაპიროებიდან ვოლგოგრადამდე, სარატოვი, ყაზანი, ნიჟნი ნოვგოროდიდან მოსკოვამდე.

ჩემთვის ორი რუსეთი არსებობს. პირველი წარმოადგენს ევროპულ, ცივილიზებულ, ძალიან კულტურულ რუსეთს, რომელიც სავსეა ნიჭიერი ხელოვანი ხალხით, მაღალკვალიფიციური მეცნიერებით, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მხოლოდ მისი უმცირესი ნაწილია. მეორე რუსეთი მსოფლიოს ყველაზე დიდი ქვეყანაა, უზარმაზარი, 30 საფრანგეთისხელა. მაგრამ ეს რუსეთი მხოლოდ ფანტაზმია, მისი სიდიდე ერთდროულად სიამაყე და ამოჩემებაცაა. რუსეთის მოსახლეობა 2-ჯერ აღემატება საფრანგეთისას, თავისი შიშისმომგვერლი შობადობისა და ადრეული სიკვდილიანობის წყალობით. ეს მინა არის უზარმაზარი სიცარიელე, რომელიც შიშით გიპყრობს. ისინი ძალაუფლებას უწოდებენ ისეთ ძალას, რომელიც მათში სიმშვიდეს ბადებს: თავიანთი ავტორიტარიზმით, შეჩვეულნი არიან ცინიზმსა და აკანონებენ ძალადობას ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. ის პოპულარობას იხვეჭს დამცველი ძალის იმიჯის შექმნით, არადა თვითონვე ბლოკავს ყველაფერს, რაც პოლიტიკურ მოდერნიზმსა და ეკონომიკურ დინამიზს გულისხმობს.

მაგრამ, იმ დროინდელი რუსეთი მხოლოდ ნანგრევებით და ატომური ბომბებით სავსე მინდორი იყო.

უკვე არაერთგზის გამოცდილი სილატაკე კიდევ ერთხელ დაატყდა თავს საბრალო ხალხს. იმ პერიოდში ვის არ უნახავს ცარიელი სასურსათო მაღაზიები მოსკოვში, დაცლილი იმგვარი პროდუქტისგან, რომელიც თვით ბარაქიანობის დროსაც კი არ იყო უხვად.

ვის არ უნახავს ადამიანების გრძელი რიგები, ხელში სასაცილო გასაყიდი საქონლით, რომელიც რამდენიმე კაპიკად უნდა გაეყიდათ. მათ თვალეში სირცხვილის გრძნობა იკითხებოდა, არადა ისინი მათხოვრები არ იყვნენ. არა, ეს ჩვეულებრივი ხალხი იყო, რომლებიც დაიკარგნენ სტრუქტურის არმქონე სისტემაში, რომელმაც ისინი ხელფასისა და შემოსავლის გარეშე დატოვა. ვისაც ეს ყველაფერი თავისი თვალთ არ უნახავს, ვერც კი წარმოიდგენს იმ ტრამვას, რომელიც უკიდურეს კარახამდე დაყვანილი ძალაუფლების შედეგად მიიღება.

წესები თუ აღარ არსებობს, მეფეც და ხალხიც ბედის ამარა განაგრძობს გზას. ასე იყო საბჭოთა კავშირიც, რომელიც ბედს მიწოდებოდა.

ხანდახან თბილისში ჩასვლა მოსკოვის გავლით მიწევს. ამ დროს კიდევ ერთხელ ვამჩნევ ამ ერის ნაკლოვანებებს და ჩემს თავს ვეუბნები: იქნებ ერთ დღეს შეგვეშვან და მოგვცენ საშუალება, ჩვენ თვითონ ვიპოვოთ ჩვენი გზა.

ამავდროულად, კარგად ვხვდები თუ რაოდენ ინერტული და მოუხერხებელი აღმოჩნდა ევროპა. ამერიკა თავს გვახვევს თავის პოლიტიკურ-რეგიონალურ სისტემებს, რომლებიც ისევე უცხოა რუსეთისთვის, როგორც თეთრი დათვი საპარასთვის.

თითქოს ჯადოსნური ჯოხის ერთი მოსმით კაპიტალიზმი და დემოკრატია ბუნებრივად და სპონტანურად დაიბადებოდა. თუმცა, ეს უზარმაზარი ქვეყანა, მდიდარი თავისი ნედლეულით და ნიჭიერი ხალხით, რომელმაც შეძლო კოსმოსური ხომალდების და სატელიტების დედამიწის გარეშემო გაგზავნა, შეიძლებოდა ევროპისთვის სასარგებლო აღმოჩენილიყო.

რუსეთს დასჭიდებოდა ახალი პროდუქტები, ახალი ქარხნები, ინფრასტრუქტურა და თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელსაც ის გაცვლიდა გაზსა და ნავთობში.

მე ყველაფერ ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ მთავარი პრიორიტეტი მაინც ჩემი საქართველო იყო. როგორ დააღწევდა თავს საქართველო ამ ჩაძირვას? მას ხომ არც ნედლეული, არც ეროვნული ვალუტა არ გააჩნდა, სამაგიეროდ უკვე დიდი ხანია ცუდი ჩვევები ჰქონდა განვითარებული.

ძალიან ვდარდობდი მის ბედზე და თავს ვგრძნობდი განიარაღებულად პრობლემის სიმძაფრის წინაშე. მთავარი სიტყვა იყო – „უნდა გაიქცე“. მართალია, მაგრამ ეს იგივე იყო, რაც ტიტანიკიდან გაყინულ

წყალში გადავმხტარიყავი.

იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ არავინ უწყოდა რა გზით განვითარდებოდა მოვლენები, ისევ ვფიქრობდი იმ ერზე, ეთნოსებსა თუ რეგიონებზე, რომლებიც თავიანთი კულტურით ასე განსხვავდებიან, რომლებიც ამ ვრცელი ერთიანობის შემადგენელი ნაწილები იყვნენ, მაგრამ იმპერიას არ ქმნიდნენ. ერთნის ჰეგემონია, მეორეთა შევიწროების ხარჯზე ხდებოდა. ფრანგულ კანადას, ინგლისურენოვანი კანადის გავლენით, რეგულარულად ემუქრებიან სეპარატისტული ძალები. კატალონია და ბასკები მადრიდული ცენტრალიზებული პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძვიან. ამაყი შოტლანდია, ან ირლანდია ინგლისის წინააღმდეგ გამოდის. ნუთუ, ჩვენც იგივე მდგომარეობაში ჩავცვივდებოდით? იმ მდგომარეობაში, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, არანაირი ჩანაცვლების გამოსავალი არ არსებობდა, ის რასაც ქართველები უკუაგდებდნენ იყო სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეჟიმზე უარის თქმა. მამასადამე, აღარაფერი აკავშირდება ამ ეროვნულ ერთობებს, არაფერი იყო ისეთი, რომლის გადარჩენაც შეიძლებოდა. იმ მოხუც წყვილს ვემსგავსებოდით, რომლებიც იძულებით ქორწინებაში იმყოფებიან და თანაცხოვრების პერიოდში საერთო ჩვევები გამოიმუშავენ. ახალგაზრდობა ის ძალაა, რომელმაც კარგად უწყის იმედის ფასი, ქართველ ახალგაზრდობას კი ის უხვად გააჩნდა.

სიტუაცია გააზრებული იყო. საჭირო იყო ერის ჩამოყალიბება. მხოლოდ დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა თანამედროვეობას ვერ დაგვანევენ. პირიქით, თანამედროვეობაა ის ერთადერთი გარანტია, რომელიც ამ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა, რადგანაც იურდიული ასპექტის მიღმა არის საზოგადოების დემოკრატიული არსებობის და მისი ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დონე. სწორედ ეს მონაცემები აყალიბებენ, როგორც მოქალაქეებს შორის ურთიერთპატივისცემას, ისევე სხვების ხედვას ამ საზოგადოებაზე.

პირველი შეხვედრა ბრიუსელში დავინშნეთ ევროკავშირის შენობაში. ეს იყო პირველი ნაბიჯი საერთაშორისო ალიარებისკენ. ეს, მე მივიღე როგორც ჯილდო, რადგანაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩვენ პირველები ვიყავით.

მინდა ვთქვა, რომ ფრანგული ადმინისტრაციის ჩვეული სიფრთხილის მიუხედავად, იმ ინიციატივებს, რომლებიც მრავალ სფეროს შეეხებოდა, წინ არაფერი გადალობებია. ეს კი იმაზე მინიშნებდა, რომ მონაწილეები სიმპათიით იყვნენ განწყობილნი საქართველოსა და მისი

გეგმის მიმართ, რაც ორ ქვეყანას შორის ხიდის გაბმას შეეხებოდა. რალა თქმა უნდა, საფრანგეთი ამ რისკზე ცხადად ვერ წავიდოდა, „საქართველოს სახლი“ კი ამის კარგი შემნიღბველი იქნებოდა.

ვერანაირი დემოკრტია ვერ იარსებებს კერძო საკუთრების უფლების გარეშე. არადა საკუთრების შესახებ არანაირი კანონმდებლობა არ არსებობდა “საკადასტრო რეესტრში“, საკუთრების აღწერის, გაყიდვის, ყიდვის ან გაცვლის აღმწერელ ცენტრალურ ორგანიზაციაში.

მე მოვახერხე საფუძველი ჩამეყარა ფრანგულ საკადასტრო რეესტრთან თანამშრომლობისათვის. მისმა გენერალურმა დირექტორმა პირადად მიმილო და დათანხმდა ჩემს შემოთავაზებას ჩამოსულიყო საქართველოში. ფრანგული ადმინისტრაციის ჭკუა დ ტექნიკა ამ საქმეშიც კარგად გამოვლინდა. მან ამიხსნა, რომ მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელების გარეშეც შეიძლებოდა დანყება. პირველი სამიზნე კერძო ბინები და რეზიდენციები იყო, რადგანაც მათი აღწერა და ნომრის მინიჭება უფრო ადვილი იქნებოდა. შემდეგ მოდიოდა სხვა, - მიწები, ან სამოსახლო ნაკვეთები, რომელთა აღრიცხვა განსაკუთრებული ზომების მიღებას მოითხოვდა. მაგრამ, არანაირ სიძნელეს არ შეეძლო ამ საქმის შეფერხება, ეს ხომ ინდივიდუალურ და ზოგადად უფლებებზე დაფუძნებული საზოგადოების ბალავრია. ეს საკითხი ექსპერტების პირველი მოგზაურობის შემადგენელი ნაწილი გახდა და ამაზე მოგვიანებით გესაუბრებით.

მეორე, რაც უნდა გაგვეკეთებინა და რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ეს იყო მიწათმოქმედებისა და მეღვინეობის საკითხი. ერთმა ადამიანმა, მორის ვალერი-რადომ, ჩვენს სასიკეთოდ განსაკუთრებული რამ გააკეთა. ეს ადამიანი, პასტორის ძმისშვილიშვილი, თავის დროზე დე გოლის მრჩევლად მუშაობდა სამეურნეო საქმეებში და აგრარულ საკითხებს კურირებდა. გარდა ამისა, ის იყო ღვინის კულტურის საერთაშორისო ოფისის ვიცე-პრეზიდენტი. მან ყველაფერი იღონა, რომ საქართველო მალე გამხდარიყო ამ ოფისის წევრი, თანაც სანევროს გადასახადიდანაც გაგვათავისუფლა. ამის წყალობით კი საქართველომ, როგორც ღვინის სამშობლომ აღიარება მოიპოვა. მორისიც იმ ექსპერტების დელეგაციის წევრი იყო, რომლის ჩამოყვანის ორგანიზებაზეც ვმუშაობდი.

მისი წყალობითვე მოვახერხე მეგობრული თანამშრომლობის გაბმა აგრარული პროფესიების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელებთან, რადგანაც დაბეჯითებით მჯეროდა, რომ ჩვენი მომავალი საქართ-

ველოს მინათმოქმედებაში და განსაკუთრებით ღვინის კულტურაში მდგომარეობდა. ამით, ჩვენს სახელს გავიტანდით ქვეყნის გარეთ და ამგვარად, ის კულტურული ტურიზმის განვითარების მთავარი ორიენტირიც გახდებოდა.

ექსპერტების ნაწილი საქართველოში გამოიყვანა. იმ დროისთვის სოფლის მეურნეობა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა და შიმშილი ემუქრებოდა, განსაკუთრებით ქალაქებს. იმის შედეგად, რაც ნახეს და იგრძნეს, მათ განაცხადეს, რომ საქართველოს შეეძლო ავტონომიის მიღწევა ექსპორტის წყალობით. ჩვენ ხომ მარცვლეული კულტურების გარდა ყველაფრის გატანა შეგვეძლო, განაკუთრებით ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების. თანაც, ღვინის კულტურა ქართველების გენებში სუკუნეების წინათ ჩაბეჭდილი ტრადიციაა. ეს ტრადიცია კი არაფრისდიდებით არ უნდა გამქრალიყო. სამაგიეროდ, საჭირო იყო მისი საერთაშორისო სტანდარტებამდე აყვანა და ამისათვის უნდა შეგვეძინა თანამედროვე ტენოლოგიები. ქართული ღვინის დაგემოვნების შედეგად ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ საქართველოს გააჩნდა ყველანაირი შესაძლებლობა და უნარი ღვინო ისევე კარგად გაეკეთებინა, როგორც ამას ახერხებს საფრანგეთი.

მორის ვალერი-რადომ კარგად იცოდა, რასაც ამბობდა. მას ისე მოეწონა საქართველო, რომ ლიონის პასტერის სახელობის ინსტიტუტს სთხოვა საქართველოსთვის უფასოდ გადაეცა მწითურას წინააღმდეგ ვაქცინაციის მილიონამდე დოზა, რომელიც იმ დროს ასე ემუქრებოდა ქართველ ბავშვებს.

იმავე პერიოდში, პარიზის დეპუტატთა პალატა საქართველოსთვის ამზადებდა 10.000 ფრანგულ წიგნს საჩუქრად. მართალია წიგნები ჩვენი მთავარი პრიორიტეტი არ იყო. მაგრამ ეს გახლდათ იმ ყურადღების გამოხატულება, რომელსაც ჩვენს საქმეს უთმობნენ.

საფრანგეთის სახელმწიფო ბანკი, რომელიც ნაპოლეონის მიერ დაარსდა და რომელსაც დეპოზიტურ სალაროს ეძახიან, მრავალფეროვან ფინანსურ საქმიანობას ეწევა. საფრანგეთის სახელით სხვადასხვა ქვეყნის საბჭოების დაფინანსება მისთვის ჩვეული საქმეა. და ამას პირდაპირი გზით კი არ აკეთებს, არამედ ისეთი საჯარო ორგანიზაციის მხარდაჭერით, როგორიცაა ქალაქი ან რეგიონი. მათგან მივიღე პირობა, რომ ასეული ათას ფრანკს (იმ დროს ევრო ჯერ კიდევ არ არსებობდა) გამოყოფდნენ ჩვენი პროექტების, ან კვლევების დასაფინანსებლად.

სხვადასხვა შემოთავაზება მივიღე ასევე იტალიიდან, ინგლისიდან,

საფრანგეთიდან. სიფრთხილე მმართვებდა: კარგად უნდა განმესაზღვრა მოსალოდნელი საფრთხეები და საქმის სირთულე. ამავდროულად, “საქართველოს სახლიც“ უნდა დამეცვა გრკვეული ჯგუფების ფინანსური ხელყოფისგან. ფული აღარ მყოფნიდა, ეს ყველაფერი კი საშინლად ძვირი ჯდებოდა. ჩემი ბიუჯეტი კი ნელ-ნელა იწურებოდა.

„საქართველოს სახლი“ არც ოფიციალური საელჩო და არც საკონსული არ იყო. ეს იყო ყველანაირ პირად ინტერესს მოკლებული კერძო ინიციატივა. მაგრამ, მისი მისია მდგომარეობდა მნიშვნელოვანი თანხების შეგროვებაში მოგზაურობების, მოსაწვევების, გადაადგილების და ყველანაირი დახმარების დასაფინანსებლად. ბევრი ქართველი, რომელთაც არც თუ ისე დიდი შემოსავლები ჰქონდათ, დახმარებას მთხოვდნენ და ეს აბსოლუტურად ლეგიტიმური იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტუმრების მიღებაზე მიდგებოდა საქმე. ამაში, რა თქმა უნდა, ჩვენი რესტორანი ძალიან დიდ სამსახურს გვინევდა. მაგრამ, ასევე იყვნენ უსაბუთოები, ავადმყოფები, პრობლემებით სავსე სტუდენტები, თუმცა ისინი მორიდებულნი მოდიოდნენ იმისათვის, რომ გული გადაეყოლებინათ, საქართველოში დაერეკათ და კიდევ ათასი სხვა რამისთვის, რისი ჩამოთვლაც შეუძლებელია.

ჩვენ არაფრის ჩვენება არ შეგვეძლო, არანაირი პროდუქტის, არანაირი ხელნაკეთი ნივთის, რომელსაც შეიძლება ინტერესი გამოგვჩია.

„ქართული ხმები“

ვფიქრობ მსოფლის დიდი ნაწილი თუ არა, თითქმის დიდი ნაწილი მაინც მინახავს. მინახავს, როგორ ცხოვრობს სხვადასხვა კულტურის მქონე ხალხი, მინახავს მათი ტრადიციები და მათი ბუნების სილამაზე. ვისაც რა უნდა ის თქვას ჩვენზე, ქართველებზე, მაგრამ არ არსებობს სხვა უფრო გემრიელი, უფრო გულუხვი და უფრო მდიდარი სუფრა, დახუნძლული ადამიანური სიტბოთი, ვიდრე ქართული ქეიფი, რომლის ცენტრიც ქართული სიმღერაა. ეს უკანასკნელი ჩემთვის იგივე იდენტობაა, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს სიმღერები ყველგან ჟღერდა: სახლში, ჩემს მანქანაში და ხანდახან ჩემს კაბინეტშიც. მაგრამ, როცა პირველად გავიგე ერთი ანსამბლის სიმღერა, მათ იმ პერიოდისთვის „ჟურნალისტები“ ერქვათ, ისეთი გძნობა დამეუფლა, თითქოს გრძელი მოგაზურობის შემდეგ აღთქმულ მიწაზე დავდგი ფეხი. ეს იმ დულაბი-

ვით იყო, რომელიც სახლის კედლებს ამაგრებს, როგორც ენა, ქრისტიანობა და ტრადიციები, ასევე ქართული სუფრა, სადღეგრძელოები, პოეზია და ღვინო აახლოვებს სულებს.

სიმღერა ზიარებასავითაა, არსებობის არსია, თავად სიყვარულია. ის იმ ძვირფასი სამოსივითაა, რომლის გარეშეც შიშვლები ვართ. სიმღერა გვმოსავს და სწორედ ის გვხდის განსხვავებულს.

იმ პერიოდისთვის, რისი ჩვენება შეგვეძლო იმისათვის რომ დაგვემტკიცებინა, ჩვენ ვარსებობდით, როგორც სრულუფლებიანი ერი, გაგვაჩნდა განსაკუთრებულობა, გვექონდა ჩვენებური ხასიათი და უფლება ვყოფილიყავით დამოუკიდებელი?! მოდით ვაღიაროთ, არაფერიც არ გაგვაჩნდა საამისოდ. ძალიან ცოტა ხელნაკეთი ნივთი, არანაირი ნედლეული მსოფლიო ბაზარზე. მხოლოდ ერთი შეგვეძლო გამოგვეტანა ამ არასტაბილურ და შიშისმომგვრელ სამყაროში: ჩვენი ფიზიკური მახასიათებლები, ჩვენი ეკონომიური განვითარების პოტენციალი, ჩვენი ტალანტი წარმოადგენდა ჩვენს ერთადერთ პერსპექტივას. მეც გადავწყვიტე, საქართველო და ის, რაც ვართ სინამდვილეში, სწორედ სიმღერით წარმომეჩინა და პარიზში, ჩვენს „საქართველოს სახლში“ მომეხდინა ჩვენი ტრადიციებისა და ნიჭის დემონსტრაცია, ამაში ხომ მაინც ვერავინ შეიტანდა ეჭვს.

მართლაც და ასე მოხდა. ანსამბლს ახალი სახელი შევეურჩით „ქართული ხმები“. ამ ჯგუფმა საოცარი სამუშაო შეასრულა, მათ აჩვენეს ის, რაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ყველაზე კარგად შეგვიძლია გავიტანოთ: ჩვენი ნიჭი. როგორც ჩვენი სპორტსმენების თავდაუზოგავობა, როგორც ჩვენი მოცეკვავეების ბუნებრივი გრაციოზულობა და საოცარი ვაჟკაცობა, როგორც ჩვენი ხელოვანი ხალხი, ჩვენთვის დამახასიათებელი ნიჭი არის ადვილად შესამჩნევი ხელწერა - „ მე ქართველი ვარ“.

მათ გარეშე „საქართველოს სახლი“ ლამაზი, მაგრამ ცარიელი ნიჟარა იქნებოდა. საქმე დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ამას აღარავინ უყრებდა. საფრანგეთს ვუჩვენეთ ჩვენი კულტურის ნაწილი. საფრანგეთი მსოფლიო ხელოვნებისა და ლიტერატურის გზაჯვარედინია და აქ იპოვო შენი ადგილი, მოახერხო შენი ხმაც გააგონო, ნამდვილი ძალის გამოცდაა. მაგრამ ჩვენ ეს მშვენივრად მოვახერხეთ, ხარისხიანად და დახვეწილად. დიდი ხნის განმავლობაში ის დისკი, რომელიც ქართულ ხმებს ჩავანერინე, იყო ქართული სიმღერების პირველი დისკი და ყველაზე გაყიდვადი თავის ჟანრში.

რა საოცარი სანახაობა ვაჩუქეთ ჩვენს სტუმრებს, ყურნალისტებს, დიპლომატებს, ხელოვანებს და მეგობრებს! სიამაყით შემეძლო მეთქვა: „აი, ვინ ვართ“ და ბევრისთვის ეს ნამდვილი აღმოჩენაც კი იყო.

ჩვენს წარმატებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთმა ყველაზე დიდტირაჟიანმა გაზეთმა პირველ 1000 განევერიანებულ მკითხველს გადასცა მოსანვევები “ქართული ხმების” კონცერტზე პლეილის დარბაზში, რომელიც სპეციალურად ჩვენი ანსამბლისთვის დავიქირავეთ. ესაა პარიზის ლეგენდარული დარბაზი, რომელიც განკუთვნილია მთელი მსოფლიოს გამოჩენილი არტისტებისთვის. პროგრამით გათვალისწინებული იყო 21 სიმღერა ამ განსაკუთრებული შემთხვევისთვის. დარბაზი გადაჭედილი იყო, კონცერტის შემდეგ კი სრულიად დარბაზი დაუსრულებლად ითხოვდა “ბის“-ს. სალამოს დასასრული აღარ უჩანდა, კონცერტი საუკუნოდ გაგრძელდა, მანამ სანამ მომღერლები სრულიად არ გაითანგნენ. მუდამ ჩემს გულში დარჩებიან დავითი, გურამი, ზაური და გოგი, რომლებიც ჩვენთან აღარ არიან და რომლებმაც ნადრევად დაგვტოვეს, მათ შეუერთდა გიაც. ახლა მათ ანგელოზები უსმენენ ცაში.

სულ რამდენიმე ერია მსოფლიოში, რომელსაც სიმღერა შეუძლია და ჩვენც მათ შორის ვართ. დანარჩენები უბრალოდ ხმაურს ქმნიან. ამ ნიჭს უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც განძს, რომელიც თან უნდა შეინახო და თან გასცე. ეს ისედაც ყველამ იცის.

„სუხიშვილები“

თენგიზ სუხიშვილსგან გასტროლების თაობაზე, მავედრებელი ზარი შემოვიდა. ანსამბლი 100 წევრს ითვლის. როგორ შეიძლება იპოვო პროდიუსერი იმისათვის, რომ ნაციონალური ბალეტი პარიზში ჩამოვიდეს და მათ წევრებს შემოსავალი გაუჩნდეთ. რადგანაც, როგორც ქართული სიმღერა, ასევე ცეკვაც საუკეთესო ელჩია საქართველოს სახელის წარსადგენად. საზღვარგარეთ თუ ვინმე იცნობს საქართველოს, სტალინის გარდა, საქართველოს ნაციონალური ბალეტის დამსახურებაცაა. თანაც თენგიზთან და ინგასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა, მათ 1957 წელს შევხვდი. მაშინ თენგიზი სრულიად ახალგაზრდა იყო, ერთი ასაკის ვიყავით. ისინი დამეხმარნენ ჩემი ქართული ცეკვა დამეხვეწა და ჩემი გასმებიც სრულყოფილი გამეხადა. დღემდე

ვინახავ მის ნაჩუქარ ხანჯალს ჩემს საძინებელში.

სადაც არ უნდა წავსულიყავი, ევროპაში, ამერიკაში და თუნდ სინ-გაპურში, ჩემი პროფესიული მივლინებით ვსარგებლობდი, რომ მათ კონცერტებს დავსწრებოდი. ყველგან ერთი და იგივე წარმატებით სარგებლობდნენ, იგივე აღტაცებას იწვევდნენ.

ჩვენ პატარა ერი ვართ და გვინდა რომ სხვებივით ვცხოვრობდეთ. ყველას თავისი იარაღი გააჩნია თავის გასაცნობად. ჩვენ რამდენიმე ასეთი იარაღი გავქვს. ქართული ცეკვებიც ერთ-ერთი მათგანია და თანაც როგორი!

არავის შეუძლია, არც კაცს, არც ქალს, ჩვენი ცეკვების მიმართ გულგრილი დარჩეს. არა აქვს მნიშვნელობა რომელ კონტინენტზე იქნებიან და მე ამის მოწმე ვარ. სხვათაშორის, ძალიან საინტერესოა ასე შორეული და ასეთი მოკრძალებული ერის სტუმრობა, როგორც აზიაა. სინგაპურში „სუხიშვილებმა“ ნამდვილი ცეცხლი გააჩაღეს. მეც იქ ვიყავი.

დაუშვებელი იყო ეს ანსამბლი გაუჩინარებულიყო. ისინი უფრო მეტს წარმოადგენდნენ, ვიდრე მხოლოდ ცეკვა. ისინი მოგზაური ელჩები იყვნენ, რომელსაც ასობით ათასი მსაყურებელი მხურვალე აპლოდისმენტებით ხვდებოდა.

როგორც იქნა მოვახერხე მეგობრების დაყოფიება და ანსამბლის დაფინანსება. ეს საკმაოდ სარისკო საქმეს წარმოადგენდა, რადგანაც ფრანგული კომუნისტური პარტია და პროფკავშირი, რომლებიც უწინ დიდ პროპაგანდას უწევდნენ ყველაფერს, რაც საბჭოთა კავშირიდან მოდიოდა, ამჯერად აღარსად ჩანდნენ. თანაც აღარც საბჭოური კულტურა აინტერესებდა ვინმეს. ამიტომაც ამ ჩამოსვლას ჩვეული წარმატება არ მოყოლია, პროდიუსერმა დიდი ზარალი ნახა, ჩემზეც განაწყენდა და მეც დავკარგე მეგობარი. სამაგიეროდ ნაციონალური ბალეტი გადავარჩინე. დროებით მაინც, და ეს ყველაზე მთავარი იყო.

შეულებელია აღწერო ყველაფერი ის რისი გაკეთებაც მომიწია, თანაც სულ მარტოს. პარიზში მცხოვრები ქართველები, ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა, საერთოდ არ იყვნენ დაინტერესებულნი, სხვები კი საკმაოდ კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი. ზოგიერთი მათგანი, რომლებიც დღეს ასეთ ღრმა პატრიოტიზმს გამოხატავენ, არსოდეს მოსულან „საქართველოს სახლში“, სხვები, რომელთა სახელებსც არ დავასახელებ, საგარეო საქმეთა სამინისტროშიც კი მივიდნენ იმისათვის, იქ ჩემი მიღება გაუქმებულიყო. არადა, თავად საქართველოს

მთავრობამ მომანიჭა ეს მანდატი. მომიხდა ჩემივე სათვისტომოში მყოფი ქართველების წინააღმდეგ მებრძოლა. ვიცი, რასაც ვერ მპატიობდნენ: პირველ რიგში, შური სტანჯავდათ, თუმცა ამაში საკუთარ თავს არ უტყდებოდნენ. კიდევ ალბათ იმიტომ, რომ ვიბრძოდი ყველა ქართველის ერთობისთვის, მნიშვნელობა არ ქონდა, ვის სად ჰქონდა კარიერა შექმნილი, საბჭოთა ნომენკლატურაში თუ სხვაგან. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ისეთი ადამიანი მეპოვნა, რომელსაც ექნებოდა საჭირო უნარები, იქნებოდა განათლებული და გამბედავი.

გარდა ამისა, მე ის პირველი ვიყავი, რომელსაც პატივი ერგო, მიეღო საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, და ამას ვერავინ წამართმევს. ეს დეკლარაცია თავად საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯავახიშვილმა* გადმომიგზავნა თავისივე ხელმოწერით. კიდევ ერთხელ ვამბობ, კარგად მახსოვს ეს შეკონინებული და ცუდად შედგენილი ტექსტი ინგლისურ და რუსულ ენებზე. იმდენად გაუგებარი და ბუნდოვანი იყო რომ არც კი ვიცოდი ამ სახით თუ შეიძლებოდა მისი ვინმესთვის ჩვენება. ტექსტის დასასრულს ეწერა „უფალმა დაიფაროს საქართველო!“. ხელში მეჭირა ეს დიდი ხნის ნანატრი დოკუმენტი. მინდოდა მეჩვენებინა მამაჩემისთვის, მისთვის მეთქვა: „შეგიძლია დაბრუნდე საქართველოში, შენს მიწაზე, შენს ძმიშვილებთან, შენს სახლში, ქუთაისში?“

მახსოვს კვირა დღე იყო, შუადღე. მეგობრებთან გავიქეცი ტექსტისთვის საჭირო სახე რომ მიმეცა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, შემდეგ კი სასწრაფოდ გამეგზავნა სხვადასხვა პრესისთვის. კარგად მახსოვს რომ ამ დღის ნაშუადღევს, შეკრება გაიმართა წმ, ნინოს სახელობის ეკლესიაში, მეც იქით მივაშურე, ბევრი ხალხი შეგროვილიყო და მეც შვებით ამოვისუნთქე.

მე მათ ვაცნობე სიახლე, მეგონა ყველა ერთმანეთს გადაეხვეოდა და სიხარულისგან ატირდებოდნენ. სულაც არა, სრული სიმშვიდე ჩამოვნა და აქა-იქ გაისმა გაუგებარი შეფასებები, რომლებიც ამ არაჩვეულებრივ სიახლეს კი არ ეხებოდა, არამედ იმას თუ მე რატომ და საიდან აღმომარჩნდა ხელთ ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

სწორედ ასეთ მომენტებში გრძნობ ადამიანი ყველაზე დიდ იმედგაცრუებას, ტკივილს, თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ ადამიანებს, რომლებიც მუდმივ ლოდინს სჯერდებოდნენ და მოვლენების მთავარი გმირები კი არა მაყურებლები იყვნენ?!

* სავარაუდოდ, უნდა ეწეროს ხოშტარია (რედ.)

მოდით ისევ დავუბრუნდეთ ზემოთ აღნიშნულ ენთუზიაზმით სავსე საქმიანობას. ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხე 120 ექსპერტის დარწმუნება და მათი საქართველოში ჩამოყვანა, რომ ჩემი დამსახურებით დაინიშნა პირველი საჰაერო ფრენა პარიზი-თბილისი, რომ პირველმა გამოვუშვი „ქართული ხმების“ პირველი დისკი, რომ შევძელი „სუხ-იშვილების“ ბალეტის გადარჩენა, იმ დროს როცა მოცეკვავეები შემოსავლის გარეშე იყვენენ და მათ დაშლა ემუქრებოდათ, რომ ჩემი დამსახურებით საქართველო განვეერიანდა ლვინის საერთაშორისო ოფისში, რაც ლვინის დარგში გაეროში განვეერიანების ტოლფასია. მისი ვიცე-პრეზიდენტი საქართველოშიც კი ჩამოვიყვანე, რომ დავითანხმე ფრანგული ადმინისტრაცია საკადასტრო რეესტრის მთავარი დირექტორი გამოეშვათ საქართველოში და დაგვხმარებოდნენ სამუშაო გუნდის დაკომპლექტებაში და გამარტივებული მეთოდების წყალობით, შეგვექმნა სარეგისტრაციო დანესებულება, რომლის გარეშეც პრივატიზებისა და ადმინისტრაციული, კომერციული, თუ საგადასახადო საქმიანობის დაწყება შეუძლებელი იქნებოდა. დავალება ნამდვილად უზარმაზარი იყო, დახმარების განევა კი არავის, ან ძალიან ცოტას თუ უნდოდა და საშუალებებიც ნელ-ნელა გველეოდა.

რა თქმა უნდა, სიტუაციიდან გამომდინარე ყველაფერი რთულად იყო. შეუძლებელი იყო ერთმანეთის შეუსაბამო კონცეფციები ჰარმონიაში მოგვეყვანა თავიანთი მნიშვნელობით და ტვინები გადაგვეწყო სხვანაირად, ამას თაობები დასჭირდებოდა. მას ემატებოდა მცირე ვადიანი პრობლემაც: როგორ შეიძლებოდა შეგვექნა ის მცირე შემოსავლის წყარო, რომელიც ოჯახის რჩენისთვის იქნებოდა საკმარისი?

ამ კითხვაზე რომ პასუხო გაგვეცა, ეფექტურობა, კეთილი განზრახვა და უბრალოდ მორალი საკმარისი არ იყო. შეიძლება ეს არც თუ ისე გავრცელებული იყო სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენთან აშკარა იყო, რომ წუთიერი პირადი ინტერესები წინ უსწრებდა გლობალურ ინტერესებს. ეს ყველაფერს აფუჭებდა. ერთი მხრივ, ხელს უწყობდა ხალხს გადაეხვია პროგრესისკენ მიმავალი გზიდან, მეორე მხრივ იზიდავდა მათ, ვინც მოკლე დროში დიდ მოგებაზე იყო ორიენტირებული.

ასევე იყო იმიჯის, რეპუტაციის პრობლემაც. იმ დღეს როცა მოვახერხე პირველი ფრენის დანიშვნა პარიზიდან თბილისისკენ, 100-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა თვითმფრინავში. თბილისში ჩამოსვლისას აეროპორტი სრულ სიბნელეში იყო გახვეული და არც პოლიციელი და არც მესაზღვრე არსად ჩანდა. მე მომიწია პასპორტების შეგროვება,

თან თითოეულს ვთხოვე, ერთი 20 დოლარინი ჩაედოთ საბუთებში და მეორე დღეს გავაგზავნე შეგროვილი დოკუმენტები თავისივე ფულით საგარეო საქმეთა სამინისტროში დასარეგისტრირებლად. მე მგონი ეს 20 დოლარიანები სწორედ რომ პირველი შემოსავალი იყო საკონსულო სამსახურში.

პატარა ფრჩხილები უნდა გავსხვნა: ეს მოგზაურობა ძვირი დაჯდა. ამ ჩარტერის ფასი თავიდან 23 000 დოლარი იყო. გამგზავრებამდე ორი დღით ადრე, პარიზში აეროფლოტის ოფისში მივედი კონტრაქტზე ხელის მოსაწერად. იქ კი დიდი სიურპრიზი დაგვხვდა, ფასი ორჯერ გაიზარდა!

მოგზაურობის გაუქმება შეუძლებელი იყო, ყველაფერი უკვე დაგეგმილი იყო. მგონი ჯობდა კიდეც გამეუქმებინა, მაგრამ ამით შეიძლება საქართველოს იმიჯი დაზარალებულიყო, განსაკუთრებით იმ დროს, როცა საერთაშორისო მხარდაჭერას ვეძებდით.

ჩვენ ხომ გაგვაჩნია ეს უნიკალური ნიჭი, კატასტროფაც კი ჩვენს გამარჯვებად ვაქციოთ, ჰოდა ისე მოვახერხე, რომ ამ სიურპრიზს მოგზაურობა არ გაუფუჭებია და ყველამ საუკეთესო მოგონებები შემოვიინახეთ.

ჩვენს მგზავრებს შორის ბასკების ერთი ჯგუფიც იყო, რომლებმაც გუნდი ჩამოაყალიბეს. მათი მიღება დასამახსოვრებელი გახდა. ბასკები ადგილობრივ მოსახლეობასთან, ოჯახებში გადავანანილეთ. მიუხედავად არსებული გასაჭირისა, ისინი ისე მიიღეს, როგორც ოჯახის წევრები, რომლებიც დიდი გზიდან დაბრუნდნენ. ქართველებისა და ბასკების შეხვედრა ნამდვილი სანახაობა იყო, თითქოს ისევ ერთად შეიყარა ორი შორეული და ამავდროულად ისტორიულად დაახლოებული ერი, ისინი უცხოელები არ იყვნენ, საოცარი ნათესაური კავშირი შემონახულიყო მათ სულებში. ეს ძალიან ამაღელვებელი იყო!

ამ მოგზაურობისას ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ჩამოსულთაგან ყველა ექსპერტმა, იმის მიხედვით, რისი ნახვაც მოახერხეს და საქართველოს იმდროინდელი ეკონომიკის ზოგადი სიტუაციის მიუხედავად, დაასკვნა რომ საქართველოს გააჩნდა წინსვლის ბევრი უპირატესობა, იქნებოდა ეს ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ ასპექტში და რომ ის მალე დაუახლოვდებოდა თანამედროვე სამყაროს. მისი მცირე მასშტაბი, მისი მცხოვრებნი, ფიზიკური თუ კულტურული მახასიათებლები, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ყველაფერი ეს მისი უპირატესობა იყო.

ექსპერტების აზრი ოპტიმიზმს ნერგავდა ევროპელ მმართველებშიც, ოპტიმიზმი კი ნამდვილად გვეჭირდებოდა! მახსოვს „მეტეხში“ გატარებული დრო. იმ დროისთვის ის ერთადერთი თანამედროვე კომფორტული ადგილი იყო მთელი საქართველოში. თუმცა მას არც თუ ისე მრავალრიცხოვანი კლიენტი ჰყავდა. ერთხელ შეერთებული შტატების ელჩთან ერთად მომინია საუზმის მიღება, ეს უკანასკნელი პერმანენტულად ცხოვრობდა ამ სასტუმროში. თვითონ სულაც არ იყო ოპტიმისტურად განწყობილი საქართველოს მომავლის შესახებ და ეს მალიზიანებდა „ძალიან გაუჭირდებათ“ - მიმეორებდა გამუდმებით. მე კი საპირისპიროს ვუმტკიცებდი, თუმცა ვალიარებ, რომ არსებული მდგომარეობა წარმატების დიდ იმედს არ იძლეოდა.

მართალი გითხრათ, ქართველების ყოველდღიური ცხოვრება იოლი არ იყო. ზოგიერთისთვის კი საკმაოდ დრამატულიც კი გახლდათ. რაც არსებობდა, ისიც ნადგურდებოდა, არანაირი დადებითი არსაიდან ჩანდა. ხალხი ტრადიციებს კი მიჰყვებოდა, მაგრამ საკუთარი ხარჯებით და არც თუ დიდი სიამოვნებით. ქარხნები იხურებოდა ნედლეულის, მანქანების ნაწილების და სავაჭრო არხების დეფიციტის გამო. ხალხი სამუშაოს ეძებდა. პირველ რიგში რესტორნებში. სულ თავიდან მახსოვს მაგიდის გადასაფარებლები იმ ნივთიერებით იყო გარეცხილი, რომლითაც პერანგის საყელოებს ახამებენ ხოლმე, რაც იმას იწვევდა რომ ლაქებიც შესამჩნევი და სუფრაც ხესავით უხეში იყო.

ალარაფერს ვამბობ ტარაკნებზე, რომლებმაც მთელი ქალაქი დაიპყრეს. სასტუმროებში უამრავს ნახავდით. რესტორნებშიც. მე როგორც პარიზელი, სულ გაცეხებული ვიყავი და განრისხებული ვებრძოდი „დამპყრობლებს“. წარმოიდგინეთ ამერიკელების რეაქცია ამ ყველაფერზე!

თუმცა, იყო დადებითი მომენტებიც. ერთ დღეს ტულუზაში უნდა წავსულიყავი ერბუსით, ერთ-ერთი გამდიდრებული ქართველის თხოვნით, რომელსაც თვითმფრინავის ყიდვა და საავიაციო კომპანიის დაარსება უნდოდა. უპრიანი იქნებოდა თავიდან ერთი ან ორი თვითმფრინავი დაექირავებინა, სანამ რამდენიმე ათეულ მილიონ ევროს გადაიხდიდა. მაგრამ თვითონ დაჟინებით მოითხოვდა ყიდვას და მეც დავთანხმდი. შევუთანხმდი შეხვედრაზე ერთ ძალიან პრესტიჟულ კონპანიას. ჩემთვის ვფიქრობდი, რომ თუ ეს პირველი ცდა არ გაამართლებდა, მომავალში მაინც შეიძლებოდა „კავკასიის“ კომპანია დაბადებულიყო ქართულ-სომხური, ან იქნებ აზერბაიჯანული კაპიტალის

საფუძველზე. აეროპორტში მივედი თვითმფრინავში ჩასაჯდომად და აღმოჩნდა რომ ფრენა 2 საათით გადაიდო. მოსაცდელ დარბაზში ბატონ ლაპასე, ფრანგული რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი ვიცანი. მე რაგბის ფანი ვარ. მის გვერდით თავისუფალი სკამი შევამჩნიე და მივუჯექი. ჯერ თავი წარვუდგენე და და შემდეგ ერთი წუთით მისი ყურადღება ვითხოვე, მინდოდა საქართველოზე და ჩვენთან რაგბის განვითარების შესაძლებლობაზე მესაუბრა. დავარწმუნე რომ ქართველები ძალიან კარგი მორაგბეები არიან და გავაცანი ჩვენი ლელო, ლვინო, მეგობრობის ცნება, თანადგომა, ენთუზიაზმი. მოკლედ, დავაინტერესე და მანაც მკითხა, თუ რით შეეძლო დახმარება. მეც ვუპასუხე რომ გვჭირდებოდა ვიდეო ჩანაწერების კასეტები, რჩევები, ბურთები და სხვა საჭირო ნივთები. სხვათა შორის, თან მახლდა ჩემი მეგობარი გიარომელიც რაგბის მოყვარული, თან ფრანგულად მოსაუბრე და თან ქართული რაგბის ადგილობრივი ორგანიზაციის საკითხში ჩართული პირი იყო. აღმოჩნდა რომ ტულუზაში სწორედ იმ სასტუროში გვექონდა ნომერი დაჯავშნილი, სადაც გაიმართებოდა ფრანგული რაგბის კონგრესი. ერთმანეთს რამოდენიმეჯერ შევხვდით და უკან დაბრუნებისას კიდევ ერთხელ დავარწმუნე ჩემს მიერ წამოჭრილი საკითხების სერიოზულობაში. ასე გაება იმ დიდი თავგადასავალის პირველი ძაფი, რომელიც დღეს საქართველოს სიამაყეს წარმოადგენს. დღეს დღეობით საქართველო მეცხრე ან მეთორმეტე ადგილს იკავებს საერთაშორისო რაგბიში, საფრანგეთის ჩემპიონატის გუნდებში კი რამდენიმე ქართველი მოთამაშეა. საქართველოსთვის ეს ძალიან დიდი წახალისებაა, რადგანაც რაგბისტები ძალიან დიდი პროფესიონალები არიან და უზრუნველნიან ყოველთვის ხაზს უსვამენ მათ წარმომავლობას და ძალიან ხშირად, ტელევიზიით გადაცემული მატჩების დროს კომენტატორები ქება-დიდებას ასხამენ ქართველ მოთამაშეებს. ყველაზე სასაცილოა, როცა ორივე მონინალმდევე გუნდს ყავს ქართველი რაგბისტი. ამ დროს ძალიან ვხალისობ.

უნდა აღვნიშნო, რომ სპორტსმენებისა და მოცეკვავეების სახით საუკეთესო ელჩები გვყავს, რომლებიც ამტკიცებენ ქვეყნის ხარისხს. არასოდეს ვუყურებ მატჩებს საფრანგეთი-საქართველო, ჯერჯერობით. საქართველოს გამო ძალიან ვღელავ ხოლმე. მსგავსი შეხვედრების ყურებას მხოლოდ მაშინ დავინწყებ, როცა საქართველო მიაღწევს ისეთ დონეს, რომ ფრანგულ გუნდს საფრთხე შეუქმნას.

„ერბუსთან“ დაკავშირებით არაფერი გამოგვივიდა, ჩვენი მილიონ-

ერი მოკლეს ვენაში: კაზინოდან გამოსულს თავში ესროლეს. თუმცა, იმ ილბლიანმა შეხვედრამ გარკვეულწილად განსაზღვრა ქართული რაგბის შემდგომი წარმატება. ასეთი ისტორიებით სავსეა ჩემი მოგონებების სკივრი, როგორც პარიზში, ისე თბილისში.

შეერთებული შტატების პროგნოზი გამართლდა. „საქართველოს სახლი“ პარიზში ოკეანის ტალღებში დაკარგული სამაშველო რგოლივით იყო, რომლიც მოვლენების მიხედვით ტივტივებდა. იყო როგორც ბედნიერი შეხვედრები, ისე უბედური ფაქტებიც.

„საქართველოს სახლი“ ყველა მხრიდან მოდიოდნენ, თვით სათვისტომოს ქართველებიც კი, რომლებიც მანამდე არასოდეს მენახა. თუმცა მთავარი ნაკადი მაინც საქართველოდან იყო. თითქოს ლუვრისა და ეიფელის კოშკის შემდეგ, სწორედ აქ უნდა მოსულიყვნენ და დაეთქვათ შეხვედრა!

აქ მოისმენდით სხვადასხვა ისტორიებს. ყველაზე საშინელი, რაც მოვისმინე, ერთი კაცის მონათხრობი იყო, რომლის შვილიც დახვრიტეს, რადგანაც თავისი ქორწილის დღეს, თვითმფრინავის მარშრუტის შეცვლას და თურქეთში გაქცევას შეეცადა. ამაო მცდელობა არაადამიანური სასჯელით დამთავრდა. ამ ადამიანის გამოხედვა საბჭოთა რეჟიმის სასტიკ და გადაგვარებულ სამყაროში მამოგზაურებდა და ეს მოგზაურობა ტირილის სურვილსა და გულისრევას იწვევდა ჩემში.

„შეიძლება ასეთ ადამიანებს კიდეც ენდოს კაცი?“ - მკითხა მან ედუარდ შვერდნაძეზე საუბრის დროს. რა უნდა მეპასუხა? თითოეულ ადამიანს გულში თავისი დრამა, თავისი კოშმარები ჰქონდა, მე კი მათი მსმენელი ვხდებოდი. რაც უფრო ვალწვედი ამ საზოგადოების სიღრმეში, მით უფრო ვითავისებდი ჩემი ალზრდის უცნობ რეალობებს. უნდა აღმენიშნა, რომ ეს საზოგადოება, რომლის ტკივილს, ტანჯვასა და ხანდახან სიძულვილსაც ნელ-ნელა ვეცნობოდი, ნამდვილი იყო. ქართულმა დიასპორამ, მიუხედავად თავისი გასაჭირისა და სიძნელებისა, თავიდან აიცილა ის საშინელი გამოცდები, რომლებმაც დაღი დაასვეს საქართველოს. ჩვენ, ამ უბედურებებისგან დაცულნი ვიყავით და სწორედ აქ მდებარეობდა ის უთქმელი უფსკრული, რომელიც აქაურ და იქაურ ქართველებს შორის არსებობდა.

მოდით, დავუბრუნდეთ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც იმ დროისთვის არსებობდა და რომელსაც პარიზიდან შევიგრძნობდით. მინდოდა მისი მონაწილე ისე გავმხდარიყავი, რომ თან ნეიტრალიზა შემენარჩუნებინა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ფრანგი ვიყავი ჩემი

მოქალაქეობით და რომ „საქართველოს სახლის“ მიზანი იყო ქვეყანას დახმარებოდა თავის ეკონომიურ-სოციალურ წინსვლაში ისე, რომ მისი პოლიტიკური არჩევანისათვის პატივი ეცა. მეორე მხივ იმიტომ, რომ მართალია ჩემს სამშობლოზე ვიყავი შეყვარებული, მაგრამ, მე იქ არ ვცხოვრობდი, არც მისი კულტურით და არც მისი ყოველდღიური პრობლემებით არ ვიკვებებოდი. მე ნამდვილად პრივილეგირებული ვიყავი და ამიტომაც ჩემი მოვალეობა იყო პატივისცემითა და თავდაჭერით შევხვედროდი ნებისმიერ აზრს.

რა თქმა უნდა, ესა თუ ის ადამიანი მეტად მომწონდა, თავიანთი პიროვნებიდან, კულტურიდან და იდეებიდან გამომდინარე. ასევე ნათელია რომ, ჩემი არჩევანი იმათკენ იხრებოდა ვისაც, განსაკუთრებით ახალგაზრდებში ანუ ჯერ კიდევ გაურყვნელ თაობაში, საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავათ, მოგზაურობდნენ საზღვარგარეთ და ევროპაში. მაშასადამე, მათ შეეძლოთ არსებული სიტუაცია სწორად შეეფასებინათ და მეტი გონებაგახსნილობით მიეღოთ სიახლეები და ცვლილებები.

სახელმწიფო მართვის სამსახურებში მუშაობის გამოცდილებით, წითელი ადმინისტრაციის კარგი ცოდნით, თავის თანამშრომლებში საუკეთესო კადრების გამორჩევის უნარით დაჯილდოებულნი, აი ვის ვიმედოვნებდი მმართველებად, მჯეროდა რომ სწორედ ასეთები მოახერხებდნენ მთავრობის სადავეების ალებას და ახალ რეჟიმზე გადასვლას ისე, რომ დრამატული შედეგები თავიდან აგვეცილებინა. გარდა ამისა, რადგანაც მე თვითონვე ვიცნობდი მათ, დარწმუნებული ვიყავი, რომ მათთან თანაშრომლობა აბსოლუტურად ურთიერთნდობის პირობებში მიხდებოდა.

როგორც ჩანს, ჩემი კეთილის მსურველი ნეიტრალურობა ვერ უმკლავდებოდა დროისა და ჩემი წამოწყების მნიშვნელობის ზეწოლას და თანაც ეს თვით ჩემს ძალებს აღემატებოდა.

დადგა გამსახურდიას დემოკრატიული გზით არჩევის დროც, ის გახდა ახალი საქართველოს პირველი პრეზიდენტი. მისი არჩევა კი ამავდროულად იმ აშკარა გადაწყვეტილების არჩევანი იყო, რომელიც ქვეყნის, მისი ეკონომიურ-საზოგადოებრივ მომავალს განაპირობებდა. დარწმუნებული არ ვიყავი ამ არჩევნის სისწორეში, მაგრამ მას პატივს ვცემდი, მით უმეტეს რომ ამომრჩეველთა ხმების 90% ამას ადასტურებდა. ეს უზარმაზარი გამარჯვება ჩემს პროგნოზსა და გონივრული გარდაქმნის სურვილს აქარწყლებდა. ის რომ გამსახურდიის არჩევა ნაციონალისტების გამარჯვებაც იყო, რომლის კითხვაც ასეთი იყო:

“გსურთ თუ არა დამოუკიდებლობა?”, პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: „საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირის განწყვეტა“, ეს კი მოსალოდნელ შედეგებს გამოიწვევდა. რადგან გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, მე მისთვის უნდა მეცა პატივი, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცოდი, რა რთულ შედეგსაც მივიღებდი.

სათვისტომოს ქართველებმა ეს ისტორიული ცვლილებები ვერ გაითავისეს. კარგად ვიცით, რა დადებითი თვისებებსაც ვატარებთ, მაგრამ ასევე კარგად ვიცით, როგორ მოგვდევს კლანური სულისკვეთება და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ეს განსაკუთრებით დასავლეთში დაბადებულ ადამიანებს მეტად აქვთ გავითარებული.

ზოგადად, მე, რომელმაც „საქართველოს სახლი“ იმ მიზნით დავაარსე, რომ დიასპორის ქართველების მობილიზება მომეხდინა, მარტო აღმოვჩნდი მთელი რიგი პრობლემების წინაშე. ვარჩევ არანაირ კინკლაობაში არ მიმელო მონაწილეობა და შემენარჩუნებინა მიუკერძოებლობა, რის გამოც თითოეული ბანაკი თავის მეტოქის საყრდენად მიმიჩნევდა.

იყო ერთი ნაწილი, რომელსაც გამსახურდიის არჩევის დღიდან, სურდა რომ „საქართველოს სახლი“ ნაციონალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველ ცენტრად და დასავლური დემოკრატიის კერად გვექცია, თითქოს მსგავსი ფუნქციის მინიჭება თავისთავად მოხდებოდა.

არ ვმაღავდი ჩემს იმედგაცრუებას იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც არანაირი დემოკრატიული ცხოვრების გამოცდილება არ გააჩნდათ. მათ მხოლოდ ანტიკომუნისტური და რუსოფობიური კულტურა გააჩნდათ. რაც შეეხება სხვა დანარჩენს, მათი გამოსვლები, მათი ყოველდღიური პოლიტიკური ქმედებები, მათი განცხადებები ეპოქის მისწრაფებებს შეესაბამებოდა: მოუწესრიგებელი დილეთანტიზმი და რუსეთთან მიმართებაში დასავლელი ლიდერებისა და მათი არაკომპეტენტურობის მიმართ გროტესკული პრეტენზიები .

ზვიადს საქართველოში არასოდეს შევხვედრილვარ, ვალიარებ, რომ არც მე მომიტხოვია და ეს დიდი შეცდომა იყო. თუმცა, ამ დროისთვის უკვე, თავისი ნაციონალიზმით და რუსეთისადმი გადაჭარბებული ზიზღით ის, ჩემს ევროპულ ხედვას შორდებოდა. რომ ეთხოვა ჩემთან შეხვედრა, აუცილებლად ჩამოვიდოდი მის სანახავად, თუმცა პირადად ჩემთვის ეს სასიამოვნო მოვალეობა არ იყო.

მაშასადამე, ერთი მხრივ ზვიადის ყველა მოწინააღმდეგე მე მომმართავდა, მეორეს მხრივ კი, მისი მომხრეები ჩემზე იყვნენ განაწყ-

ენებულნი, მით უმეტეს, რომ, მათი აზრით მის მიმართ უნდობლობას გამოვხატავდი. არადა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არჩევნების შედეგი მადარდებდა, ვერაფერს შეეცვლიდი: უმრავლესობამ ის აირჩია და ისლა დამრჩენოდა შედეგი მიმელო.

ზვიადის მომხრეები ჩემი საქმიანობის და პირადად ჩემს მიმართ ძალადობასა და ბოროტებას იჩენდნენ. მათ სათავეში ზურაბიშვილების ოჯახი იდგა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ერთადერთი იყო, რომელსაც კანონიერი უფლება და შესაბამისი უნარი გააჩნდა ქართული ემიგრაციის საქმეებისთვის მიეხედა.

„საქართველოს სახლმა“ მათ ჩრდილი მიაყენა და ამიტომაც ბრალს მდებდნენ, რომ მხოლოდ ფულით ვიყავი დაინტერესებული. ისინი არ იცნობდნენ საქართველოს და მის ეკონომიურ-სოციალურ მდგომარეობას. რომ სცოდნოდათ, მაშინ ისიც ეცოდინებოდათ, მე ფულს ვერაფრით გავაკეთებდი, რომ ვერაიანი ბიზნესს ვერ ავანყობდი. საქართველოში ხომ არანაირი წარმოება არ არსებობდა, რომლითაც ევროპული ბაზრის დაინტერესება შეიძლებოდა. რაც შეეხება საქართველოში რაიმეს გასაღებას, აქ რამდენიმე ფაქტორისათვის უნდა მიგვექცია ყურადღება: კარგად უნდა გცოდნოდა ზუსტად რა, ვისთვის და როგორ გადაგეხდევენებინა და თანაც გაურკვეველ დათმობებზე წამსვლელიც უნდა ყოფილიყავი, ამაზე კი მე მტკიცე უარს ვამბობდი. მერკანტილური და მდაბიოდ მატერიალისტი ადამიანის ეტიკეტის მონებებით ისინი ჩემი სახელის შებლაღვას ცდილობდნენ და ამგვარად, საქართველოს მომავლის ერთადერთ გარანტად თავის გასაღებას იმედოვნებდნენ. მით უმეტეს რომ, მათ ჰქონდათ ამბიციის მაგალითის მიმცემი ქართველების იმიჯი დაემკვირდებინათ.

Ecadre

ფრიად პატივცემული ზურაბიშვილების ოჯახი დღემდე მისაბაძი მაგალითია თავისი ნიჭიერებით, კულტურით, წარმატებული კარიერითა და საქართველოსთვის ბრძოლის ერთგულებისთვის. რატომ უნდა უარვყო, ზურაბიშვილები ჩვენს ემიგრაციულ გარემოში ყოველთვის განასახიერებდნენ ფრანგული საზოგადოების მაღალ წრეს და ამავედროულად ქართველ პატრიოტებად რჩებოდნენ. თუმცა, ეს უფლე-

ბას არ გვაძლევს, რომ გარკვეული თავდაჭერილობა დავივინყოთ. ის თავდაჭერილობა, რომელიც გვმართებს ჩვენ, ემიგრანტების შვილებს ქართველებზე საუბრისას და განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება მათ საშინაო პოლიტიკას. ჩვენ ერთი და იგივე ისტორია არ გადაგვხდენია, არ გვიცხოვრია ერთი და იგივე განსაცდელში. ჩვენი ბედისწერა სხვადასხვა გზით წარიმართა: ჩვენ გავიზარდეთ სიუხვესა და თავისუფლებაში, საბჭოეთის ქართველები კი აკრძალვებს, ტყუილსა და მსხვერპლშენიშვნაში.

ჩვენი მშობლების ცხოვრება გაჯერებული იყო ნოსტალგიით, ხანდახან დანაშაულის გრძნობითაც, რომ ცხოვრობდნენ საფრანგეთში და მით უმეტეს პარიზში, მსოფლიოს ყველაზე ლამაზ ქალაქში, თუმცა მუდმივად ტანჯავდათ მშობლიური მიწის მონატრება. მაგრამ, ეს არაფერს ცვლიდა ქართულ საზოგადოებასთან მიმართებაში, ჩვენ, მათ მხოლოდ მოკრძალებულად ვადევნებდით თვალს თანამედროვეობის და ევროპული ცივილიზაციის გზიდან.

აღბათ შეურაცხმყოფელი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მართალია არავინ უარყოფს ზურაბიშვილების ოჯახის დადებით თვისებებს, მაგრამ მათ ყოველთვის ჰქონდათ ამბიციის ნებისმიერი ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლათ და მიეთვისებინათ ქართული ემიგრაციის ექსკლუზიური წარმომადგენლობის უფლება. ემიგრაციის სხვა წევრებს კი, ქედმაღლურად უყურებდნენ. საკმაოდ არასასიამოვნო შეგრძნებაა. ერთია გატაცებით გიყვარდეს საქართველო, მაგრამ რითი ავხსნათ მაშინ საკუთარი თავის ამხელა სიყვარული და სხვებისადმი ზიზღი. მე მხარს ვუჭერ იმას, რომ ვიყოთ თავშეკავებულნი, ვიქცევოდეთ, როგორც საქართველოს მსახური და არა, როგორც ბატონ-პატრონი, მეფე ან დედოფალი, პრეზიდენტი ან მინისტრი.

საქართველო თავისი მომავლის გადამწყვეტ ეკონომიურ-პოლიტიკურ ბრძოლაში ებმებოდა, ქართველების ვალი იყო ამ ბრძოლის გაძლიერება. საქართველო ევროკავშირისკენ მიიღტვის არადა, მასთან არანაირი საზღვარი არ აქვს. მართალია, ამ ვრცელ დაჯუფებასთან განევრინება ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ ის, რაც უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ერისთვის, ეს არის ამ ევროპული ცივილიზაციის ნაწილად გახდომა. ევროკავშირს აქვს სხვადასხვა დამხმარე პროგრამები, ჩვენც შეგვიძლია ჩვენი გამოცდილების გაზიარება მრავალ სფეროში.

დემოკრატიას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ როგორც ამბობდა ბატონი ჩერჩილი, ის არსებულ რეჟიმთანაგან ყველაზე ნაკლებ ცუდია.

დემოკრატია პოლიტიკური პარტიების გარეშე არ არსებობს. საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან, ადამიანები ერთგებიან პოლიტიკურ თამაშში და ზოგჯერ ეს გამოსდით, ან არ გამოსდით. მისასალმებელია, როცა გინდა ემსახურო საკუთარ სამშობლოს, მაგრამ გარკვეული სიძნელებიც უნდა გადალახო. სამწუხაროდ, ყველა პოლიტიკოსს არ შესწევს უნარი საკუთარ თავში სახელმწიფო მმართველი გაააქტიუროს.

დემოკრატიული წყობა არის სახელმწიფო მართვის ფორმა, რომელიც მოითხოვს კომპეტენტურობას, კანონის უზენაესობის აღიარებას, მართვის სისტემის გამჭვირვალობას, პროცედურების ერთგულებას, სახელმწიფო ხარჯების კონტროლს, კონსტიტუციის შესაბამისი კანონების შექმნას და ყოველივე ამის განხორციელებას, როგორც წერილობით, ასევე გონებით. ხშირად ფიქრობენ, რომ პოლიტიკური თამაში უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის მიმდინარეობს. მას დავეინყოთ არბიტრი, ყველა ის ადამიანი, რომელიც სახელმწიფოს ემსახურება და რომლის მოვალეობაა მიუყვრძობელი დარჩეს, როგორც პოლიტიკურად, ისე პროფესიულად.

მრავალმა ქვეყანამ, ცენტრალური ადმინისტრაციისთვის, გამოზარდა მაღალი დონის პროფესიონალები. მსგავსი მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა საქართველოშიც. აი, რა არის პრიორიტეტი და პირად ინტერესზე ამაღლებული. საჭირო როლი, თავისი განათლების, გამოცდილების და ხასიათის წყალობით, შეეძლო შეესრულებინა სალომე ზურაბაშვილს, მხოლოდ იმ პირობით თუ უარს იტყოდა იმაზე, რაც მისი საქმე არაა. ესაა პოლიტიკურ ამბიციის, რომლის არც ლეგიტიმურობა და არც თავმდაბლობა მას არ გააჩნდა.

Fin encarde

მოკლედ, „საქართველოს სახლი“ მოქცეული იყო ორ ექსტრემალურ ძალას შორის და ეს სიტუაცია ძალიან მადარდებდა, რადგანაც ხელს უშლიდა ჩემს მიერ დაწყებულ საქმეს. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ გვაჩვენებდა, თუ როგორ გავლენას ახდენს საქართველოს ნამდვილი მდგომარეობის არ ცოდნა მენტალიტეტზე და ასევე იმას, თუ რამდენი მდაბიო გამოსვლები და მწვერილმანეობა არსებობდა ერთსა და იმავე სათვისტომოს წევრებს შორის.

მახსოვს საქართველოსადმი მიძღვნილი ფრანგული საკმაოდ მნიშვნელოვანი სატელევიზიო გადაცემა, რომელსაც ბევრი უყურებდა. ის შედგებოდა ორი ნაწილისგან: ფილმისა და სპეციალისტებს შორის დისკუსიისგან. მე წამყვანის უკან აღმოვჩნდი, რაც იმას ნიშნავდა რომ ეკრანზე ხშირად გამოვჩნდებოდი. ამ გადაცემაზე დასასწრებად სხვა ქართველებიც მოვიდნენ და როდესაც დამინახეს, გადაცემის პროდიუსერებს დაემუქრნენ: თუ მე არ გადამსვამდნენ, გადაცემას ჩაშლიდნენ.

მეწვრილმანეობა, ბოროტება და კიდევ უარესი ჩემს გზაზე მრავლად იყო. მაგრამ არც დიდი ბედნიერების წუთები მაკლდა. ხელგაშლილი და კეთილშობილი ხალხიც არ მაკლდა, მაგალითად ჯანო ციციშვილი, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხა გადმომცა, რადგან „საქართველოს სახლში“ ის მამამისის ხსოვნის სახლსაც ხედავდა. ასევე გულუხვი იყო მერაბ რატიშვილი მოსკოვიდან. თავად ფრანგები, რომლებმაც დააფინანსეს პირველი საჰაერო რეისი პარიზი-თბილისი. მახსენდება არაჩვეულებრივი წყვილი – ირენ და კირილ ჰავარდები, რომლებიც აფთიაქიდან აფთიაქში მთელ პარიზში დადიოდნენ, რომ შეეგროვებინათ ისეთი მედიკამენტები, რომელთაც ოფიციალურად კი ჰქონდათ ვადა გასული, მაგრამ სინამდვილეში მათი გამოყენება კიდევ შეიძლებოდა და რომელთა მოქმედების ვადაც აქტიური იყო. ალბათ რამდენმა ქართველმა შეძლო გამოჯანმრთელება, ან ტკივილის დაამება სწორედ ამ ორი ადამიანის წყალობით. ირენი იყო პატარა, მაგრამ ძალიან მტკიცე ქალბატონი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა მამა – არჩილ გედევანიშვილი. დიასპორიდან ცოტამ თუ მოახერხა იმდენივე გაეკეთებინა, რაც ამ წყვილმა გაუკეთა შეჭირვებულ ქართველობას, თანაც ასე უშიშრად და თავგანწირვით.

მოკლედ, დრამებს, ტანჯვასა და რამდენიმე ნათელ წერტილს შორის საკუთარ ძალებს არ ვიშურებდი. მიუხედავად ძალიან მძიმე სიტუაციისა, ვცდილობდი ჩემი იქ ყოფნით რამე გამეკეთებინა. თბილისში არანაირი ფული არ იყო, ან კი რომელ ფულზეა საუბარი, როცა ეროვნული ვალუტაც კი არ არსებობდა, ტექნიკური თვალსაზრისით ვალუტა ასიმილირებული იყო ასიგნაციებთან, ანუ ქალაქის ფურცელთან, რომელსაც ჩალის ფასიც არ გააჩნდა. რადგანაც არ იყო ვალუტა, ვერც ვაჭრობა განხორციელდებოდა. მამასადამე აურაცხელი პრობლემები დახვავებულიყო იმისათვის, რომ გვეკვება და გვემკურნალა. თითოეული მოგზაურობა საქართველოში ნამდვილი განსაცდელი იყო, რადგანაც ამ სავალალო მდგომარეობის ნახვა მიხდებოდა. პოლი-

ტიკურად, ამ კომმარადან გამოსავალს ვერ ვპოულობდი. ტელეფონით მიყვებოდნენ ყაჩაღობისა და ხანდახან ბავშვების გატაცებების შესახებ. ხალხს საკუთარი იარაღი გააჩნდა, დეპუტატებიც პისტოლეტებს პარლამენტში შესვლის წინ ტოვებდნენ. ყოველდღიურად უარესდებოდა მდგომარეობა. მერიაში ფულსაც კი იძლეოდნენ მანანნალა ძაღლების მოსაკლავად, იმის შიშით რომ მათ ცოფი არ გაეწვრცელებინათ.

როგორც იქნა შევხვდი გამსახურდიას, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს. ძალიან ველავდი. ცოტათი ადრე მივედი და კარგად დავინახე რუსთაველის გამზირის იმ დიდ შენობასთან მისული კორტეჟი, სადაც მისი კაბინეტი მდებარეობდა. კორტეჟი, რომლისაც ამერიკელ პრეზიდენტსაც კი შეშურდებოდა. ჩვენ ჩამოვჯექით ერთმანეთის პირისპირ, ფანჯრის წინ მდებარე პატარა მაგიდასთან, საიდანაც რუსთაველის გამზირი ჩანდა. ჩემს წინ იჯდა ადამიანი, რომელიც გათანგული მეჩვენა, შავად ჩაცვნილი თვალებით. ტელეფონი რეკავდა წვრილმან საკითხებზე და ხელს გვიშლიდა საუბარში. უცებ, ზუსტად ჩვენს მოპირდაპირე მხარეს, ხელოვანთა სახლის ბოლო სართულის ერთ-ერთი ფანჯრიდან შავი ბოლი ამოვარდა. ხანძარმა, რომელიც ალბათ დიდი ხნის დაწყებული იყო, მალე მთელი სართული მოიცვა. ხალხი დარბოდა საგნების გამოსატანად, ნახატების და სკულპტურების გადასარჩენად. მე ვიცნობდი ამ ადგილს, ვიცოდი რომ იქ ფასდაუდებელი არაფერი იყო. მაგრამ არც არანაირი მიზეზი არსებობდა, რომ ისინი არ გადაეჩინათ. ორივე ფანჯრიდან ვადევნებდით თვალს ამ სიტუაციას. სახანძრო მოვარდა თავისი მყვირალა სირენით, მაგრამ წყალი არ აღმოჩნდა რეზერვუარში. მილი ხანძრის ამოსასვლელამდე მიიტანეს, იქიდან კი წყალი არ გამოდიოდა.

ის შემომიბრუნდა და მითხრა, „და კიდევ მე ვარ ფაშისტი!“. სიტუაცია იმდენად დამაბნეველი იყო, რომ მივხვდი ამ საუბრიდან არაფერი გამოვიდოდა. ნეტავ, ეს ხანძარი შემთხვევითი იყო?! მართლა დავუსვი საკუთარ თავს ეს კითხვა. სინამდვილეში, სათქმელი არც არაფერი გვქონდა, იმდენად განსხვავებულები ვიყავით, ინტელექტუალურად ორ სხვადასხვა პლანეტას ვეკუთვნოდით. მასზე იმდენს საუბრობდნენ: ზოგიერთი მასზე ამბობდა კაცებესთანაა შეკრულიო, სხვები ამტკიცებდნენ, ზვიადი შევამჩნიეთ კუთხეში, ხანძრიდან არცთუ ისე შორს, ალბათ პოლიტიკური პოლიციის და მისი არქივების სრულიად განადგურება უნდოდაო. თუ ეს სინამდვილე იყო, ის ერთადერთი არ უნდა ყოფილიყო, ვინც ამ სიტუაციით სარგებელს ნახავდა. მე რაზეც მწყდებოდა გული, ეს იყო ჩვენი შეხვედრის ხელმოცარულობა. მართლა

მქონდა იმედი, რომ ჩემი მისდამი უნდობლობა არ გამართლდებოდა და მის ნამდვილ უნარებს, ხედვასა და გეგმას ობიექტურად შევაფასებდი.

ვსარგებლობდი თბილისში ჩემი ხშირი ვიზიტებით და საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრებს ვითხოვდი. იქ ყოველთვის კეთილგანწყობით მიღებდნენ. პირველ რიგში, იმიტომ რომ, არ არსებობდა არანაირი წყარო საქართველოდან წამოსული ინფორმაციების გადასამონმებლად, სადაც პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა შემაშფოთებელ სახეს იძენდა. აფხაზეთი დულდა და სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს იმას, რომ მდგომარეობა უმართავი გამხდარიყო. როგორც ჩანს, ყველანაირი სიძულვილი, მზაკვრული აზრები, იმედგაცრუება ერთად დაგროვდა და ამოიზარდა ზოგისთვის ეთნიკურ და ზოგისთვის ნაციონალურ ნიადაგზე. ეს ბრაზი, რომლითაც ერთმანეთთან დაპირისპირება წარმოიშვა, იმ რეჟიმის მანიპულაციის ნაყოფი იყო, რომელიც ჩამოინგრა. ყველა ყველას ერჩოდა. ქართველები რუსებს, აფხაზები ქართველებს და პირიქით, თუ ჩაყვებოდი კონფლიქტის ამ ჯაჭვს, იქამდე მივიდოდი, რომ მეზობელი სოფლებიც კი ვერ აიტანდნენ ერთმანეთს. ყველა მხრიდან იზრდებოდა დაძაბულობა, სავსე პროვოკაციებით, უწესრიგობით, შანტაჟით, რაც საქართველოს იმიჯს ანადგურებდა. არსებული სურათი ძალიან შორდებოდა იმას, რასაც საზღვარგარეთ საქართველოზე ვცეცებოდი. სასონარკვეთილი ვიყავი. სასონარკვეთილი იმ სიახლეებით, რომელიც „საქართველოს სახლში“ მოდიოდა. სად გამქრალიყო ეს თბილი, სოლიდარული, მხიარული საზოგადოება?

ამგვარ პირობებში, ის მისია, რომელიც დავისახე, თითქმის განწირული იყო. როგორ შეიძლებოდა მესაუბრა ინვესტიციების განხორციელებაზე, ტურიზმზე და სხვა შესაძლებლობებზე, როგორ შეიძლებოდა მესაუბრა ეკონომიკურ სტრატეგიებზე და საქართველო – რუსულ, ირანულ და ტრანსკავკასიური სივრცის ლოჯისტიკურ, ანუ მთავარ ინდუსტრიულ ღერძად გამესაღებინა?

როგორ შეიძლებოდა მესაუბრა ჩვენს სტუმართმოყვარეობასა და ხელგაშლილობაზე მაშინ, როცა დღითი დღე მრავლდებოდა თოფის სროლები. არც ელექტროენერგია, არც პოლიცია, არც საბაჟო, აღარც სახელმწიფო არსებობდა. არც წამალი, არც სხვა საშუალებები აღარ იშოვებოდა და ქუჩაში მოხუცები ხელგანვდილნი იდგნენ, როგორც ის ქალბატონი, რომელიც უკვე ასაკში შესული, მაგრამ ძალიან სუფთად ჩაცმული, მომიახლოვდა და მითხრა: „შვილო, ცოტა ფული თუ გაქვს?“

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი ასეთ გაჭირვებას.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, აუცილებელი იყო ხშირად ჩამოვსულიყავი თბილისში და ამით მეჩვენებინა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ჰქონდა ევროპასთან კავშირი, უნდა ჩამოვსულიყავი, რათა ახლოდან მენახა და შემესწავლა ქვეყნის ყველა ასპექტი. ვითხოვდი ეჩვენებინათ ჩემთვის ბათუმი, რადგანაც ცნობილი იყო, რომ ამ ქალაქს განსკუთრებული კლიმატი და ტურისტული ხიბლი ჰქონდა. შეუძლებელიაო, მეუბნებოდნენ, რადგანაც უსაფრთხოების მხრივ სერიოზული პრობლემები არსებობდა. მე დაჟინებით მოვითხოვდი და საბოლოოდ, იაკ-40-ის მეშვეობით, რომელიც ყველა მხრიდან ყანყალებდა, დავემვით ბათუმში, მძიმედ შეიარაღებული ათეული ადამიანის გარემოცვაში. ამას მოჰყვა შეხვედრა მერიაში, სადღილი ასლან აბაშიძესთან, მაფიოზური დაჯგუფების სპეციფიკურ გარემოში, რომლის უფროსიც თავისი მოადგილეების შუაში მეფესავით მოთავსებულიყო.

ასლანისადმი ანტიპატიურად არ ვიყავი განწყობილი, მაგრამ ის აშკარად დაშორებული იყო ყოველგვარ თანამედროვე და პერსპექტიულ ხედვას. რაღაც ინსტიტუტი მოვინახულეთ, კიდევ ერთი აგრარული და სამეცნიერო ინსტიტუტი. ვრცელი შენობა, ფართო დერეფნებით, ფართო კაბინეტებით და ეს ყველაფერი სრულიად ცარიელი. აქვე ოყო ერთი მასიური და მიტოვებული სანყობი. აქაც, როგორც სხვა დანარჩენ მსგავს დაწესებულებებში, პირველად განსახორციელებელი ინვესტიცია ბულდოზერის ყიდვა უნდა ყოფილიყო, იმისათვის რომ ეს უსარგებლო და უშნო ნაშთები მიწასთან გაგვესწორებინა.

ასლანი საქმის კურსში იყო, მითხრა რომ გაიგო „საქართველოს სახლის“ გაქურდვის შესახებ, რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე თბილისიდან პარიზში გავემგზავრებოდი. გამაოცა ამ აუხსნელი და უსიამოვნო მოვლენით გამოწვეულმა ემოციამ.

მინდა აღვნიშნო, რომ „საქართველოს სახლში“ ადგილი გამოვძებნე გალერიისთვის, სადაც მხატვრების ნამუშევრები გამოიფინებოდა. ამით იმასაც დავასაბუთებდი, რომ საქართველოს ხელოვნების დარგში თავისი ხარისხი გააჩნია. იმ დროისთვის, ყოფილი საბჭოთა სივრცის მხატვრების ნამუშევრებს სასაცილო ფასად ყიდულობდნენ ადგილზე და შემდეგ ევროპაში ყიდდნენ დაბალ ფასად, თუმცა გადამყიდველები მაინც საკმაო მოგებას პოულობდნენ. ჩემში კი პროტესტს ინვევდა ამდენი ნამუშევრის ჩალის ფასად გაყიდვა. გადავწვიტე ჩვენი გალერეა ქართველი ხელოვნებისთვის მიმეძღვნა და მათთვის მიმეცა სრული

თავისუფლება თვითონ გადაენწყვიტათ თავიანთი ნამუშევრის ფასი.

მთელი პასუხიმგებლობა ჩემზე იყო. სადაზღვევო კომპანიებმა უარი მითხრეს ტილოების დაზღვევაზე, რადგანაც ევროპაში ჯერ არ არსებობდა ასეთი ნამუშევრების შეფასების არანაირი კრიტერიუმი. თანაც გალერეა არ პასუხობდა უსაფრთხოების არანაირ მოთხოვნას. საჭირო იყო დამცავი ბადეები და ლიცენზირებული სადღელამისო დაცვის თანამშრომლები.

გალერეაში ტილოების ფასი გადამყიდველთა ფასებისგან ძალიან განსხვავდებოდა. მეონი სულ 2 ტილო გაიყიდა, რომლისგანაც ერთი ჩემმა ბიძაშვილმა ლეილამ შეიძინა. ერთ დღეს ქურდებმა გალერეას კარი გატეხეს, 20-მდე ტილო და ის საოჯახო ნივთები მოიპარეს, რომელიც დეკორაციის გამო მქონდა ჩამოტანილი საქართველოდან. ასევე წაიღეს ჩემი კომპიუტერი.

ტილოებს საბაზრო ფასი თითქმის არ გააჩნდათ, რადგანაც მხატვრები არ იყვნენ ცნობილნი. საოჯახო ნივთებსაც სიმბოლური ფასი ჰქონდა, სამაგიეროდ ჩემი კომპიუტერი შეიძლება გამხდარიყო ქურდების ინტერესის სფერო და ვფიქრობ სწორედ მისთვის გაისარჯნენ.

ამ ამბავმა, მხატვრები ძალზე ააღელვა. თითოეული, გარდა იმისა რომ ტილოს დაკარგვას განიცდიდა, იმ ფინანსურ დანაკარგზეც ნუხდნენ, რაც აფიშირებული ფასიდან გამომდინარე უნდა მიეღოთ. მე მათ ის გადავუხადე, რაც შემძლო და მიჩვენია დავივინყო ის, რაც ამ ძარცვას მოჰყვა და რისი გადატანაც მომიხდა. გეგონებოდათ სახელმწიფო დონის რამე მოხდა. თვით საფრანგეთის ელჩმაც კი დამირეკა თბილისიდან, ჩემგანაც რომ გაეგო რა მოხდა. ასეთ მომენტებში ყველაზე მეტად გრძნობ ადამიანი მარტოობას.

ორიოდე სიტყვით კიდევ შევებები პარიზში მოსულ თბილისში დატრიალებულ ამბებს. როგორც გავიგეთ, გამსახურდიას პრემიერ-მინისტრი – სიგუა გაუჩინარდა. გადაიმალა იმის შიშით, რომ იმ კატასტროფის გამო, რომელიც დღითი დღე ახლოვდება, განტევენის ვაცად არ ქცეულიყო. ნარკოტიკები თავისუფლად მოძრაობდა ქვეყანაში. ერი ერს აღარ ჰგავდა, ნამდვილი კომმარო იყო. ვფიქრობდი უპატრონო ბავშვთა სახლებზე, ავადმყოფებზე...

ერთ დღეს „საქართველოს სახლში“ ვილაც ტიპი გამომეცხადა, მოიტანა ვიდეოფირი და მთხოვა მის გასაჯაროებაში დავხმარებოდი. ვიდეოში ჩანს სიგუა, არ ვიცი საიდან და რაზე საუბრობს. ის პასუხობს შეკითხვებს ევროპული საზოგადოების არჩევანზე, რომელიც ჩვენს

გეგმებს შეესაბამება თავისი ინსტიტუციებით და ფუნდამენტური წესებით და ამით ემიჯნება იმ ნაციონალისტურ რეჟიმს, რომელიც თბილისში გამეფებულა. ის გონივრულ პასუხებს იძლევა აფხაზეთის კრიზისის და სეპარატისტებთან მოლაპარაკებების შესახებ დასმულ შეკითხვებზე. ერთი სიტყვით, ამ შავ-ბნელ მოვლენებში პატარა ნათელ წერტილს ვხედავ ტელევიზორის ეკრანზე. შიკრიკი მეკითხება ჩემს აზრს, მეც დადებითად ვაფასებ ნანახს. ის უფრო ნათლად მაცნობს თავის მიზანს და ვხვდები, რომ უნდა ჩემი პოზიცია დავაფიქსირო. იმ წუთში მივხვდი, რომ თბილისიდანაც ითხოვდა ზოგიერთი ჩემგან არჩევანის გაკეთებას. არც ჩემი გეგმით და არც ჩემი ქცევით არ იყო გათვალისწინებული, რომელიმე ბანაკში გადასვლა და მეორე მხარესთან დაპირისპირება. ამის არც უფლება გამაჩნდა და არც მიზანი. რწმუნებული, ნათლად მიმანიშნებს, რომ უნდა ამოვიჩიო და მთხოვს საკუთარი აზრის დაფიქსირებას. ჩემგან, უბრალოდ დადებითად გაცემული პასუხიც კი ბანაკის არჩევას უდრის, ნიუანსირების დრო აღარაა, ჩემგან მიღებული პასუხი არჩევანის გაკეთის ტოლფასია.

დიდი ხნის განმავლობაში ვეკითხებოდი ჩემს თავს, ნეტა ამ არჩევანმა ხომ არ განაპირობა მომავალი მოვლენები. არა მგონია. შეიძლება ჩემს პიროვნებას უბრალოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველშემთხვევაში თბილისში თავმოყრილი ძალები ჩემს პიროვნებას არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ.

პარიზში „საქართველოს სახლში“, იმ კავშირების შესახებ, რომელიც ევროპასთან გაიბა, ხშირად იყო საუბარი. ისეთი იმიჯი იქმნებოდა, რომელიც ჩემს პიროვნებას სცილდებოდა. რადგან მე არც ომის მთავარსარდალი და არც პარტიის ხელმძღვანელი ვიყავი, არც არანაირი ამბიციის, ან თანამდებობისკენ მივიღტვოდი.

ვდარდობი კი იმ შეხლა-შემოხლის და ძალადობის გამო, რომელიც ქვეყანაში ხდებოდა და რომლის შესახებაც ტელევიზიით და გაზეთებით იუწყებოდნენ.

ერთი რამ ნათელი იყო, საქართველოს არ ჰყავდა მმართველი და დიდი გადატრიალების საფრთხის ქვეშ იყო ქვეყანა.

დაინყო სამოქალაქო ომი, ხალხი გაუბედურდა და დაკარგა ყველანაირი ანალიზის უნარი და მომავლის იმედი, მხოლოდ ერთი მიზანი-ლა ამოდრავებდათ, ებძოლათ, ხელში აედოთ იარაღი. შეიძლება არც იცოდნენ რისთვის იბრძოდნენ, უბრალოდ რალაცის წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ.

ხალხი იბრძოდა, პრეზიდენტის, ნაციონალისტური პოლიტიკის, ეკონომიკური სიტუაციის, არეულობის, საფრთხის წინააღმდეგ. ზოგჯერ თბილისში ჩავდიოდი, ვხვდებოდი ფრანგ ჟურნალისტებს, რომლებიც ცდილობდნენ გაეგოთ რაოდენ დიდი იყო საფრთხე და ვინ იყვნენ არსებული ძალები. სტატიები, რომლებსაც ისინი აქვეყნებდნენ, აღწერდნენ სამოქალაქო ომის მსხვერპლად ქცეულ ქვეყანას, რომლის მდგომარეობაც ყოველდღე უარესდებოდა. მე თვითონაც ვცდილობდი გამეგო და გამეუწუნებელყო ის უარყოფითი პროგნოზები, რომლებსაც ეს კორესპონდენტები გადასცემდნენ საფრანგეთსა და ევროპაში. სიტუაციას ველარ ვფლობდი და აღარაფერს ვემსახურებოდი. სასტუმრო “მეტეხის” უდაბნოში მარტოდ დარჩენილი კარგს ვიზამდი თუ პარიზში დავბრუნდებოდი.

სამოქალაქო ომმა „საქართველოს სახლშიც“ შემოაღწია. ვნახე როგორ მოდიოდნენ ადამიანები, რომლებსაც ვიცნობდი და რკინის კეტით გვემუქრებოდნენ, ჩვენ რომლებიც ჩვენს თავშესაფარში ვიყავით მიყუჟულები. არანაირი რაციონალური ახსნა ამას არ მოეპოვებოდა. ეს იყო უბრალოდ იმ ბრაზის გადმონთხევა, რომლის რეალიზაცია უნდა მომხდარიყო.

იოლი მისახვერდია, რომ „საქართველოს სახლის“ არსებობის ერთადერთ მიზნად რჩებოდა ჟურნალისტებისა და დიპლომატების ან უბრალოდ, ცნობისმოყვარე ადამიანებისათვის გაეცა პასუხი იმის შესახებ, რაც ქვეყანაში ხდებოდა. ჩვენ შორიდან ვადენებდით თვალყურს თუ როგორც იცვლებოდა სიტუაცია. თბილისში, პარლამენტის გარშემო იყო თავმოყრილი ყველაფერი, რადგან სწორედ იქ შეაფარა თავი იმდროინდელმა პრეზიდენტმა და მისმა თანამოაზრეებმა. ტელევიზიით გადმოსცემდნენ ალყაშემორტყმული და ნატყვიარებით სავსე პარლამენტის შენობის კადრებს, კამერით იღებდნენ ადამიანებს, რომლებიც თოფს ტენიდნენ, რალაც დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა ყველაფერი და ეწინააღმდეგებოდა ყველაფერს, რაც აქამდე გვქონდა საქართველოს შესახებ ნაამბობი და ნატრბახევი. მერაბ მამარდაშვილი უკვე მეორედ მოკვდა. მე კი გულდაკოდილი და სასონარკვეთილი ვიყავი.

სიტუაცია შეიცვალა, როცა გამსახურდია სომხეთში გადავიდა. მეორე დღესვე გავფრინდი თბილისისკენ. იანვრის დასაწყისი იყო, რალა თქმა უნდა, არც საბაჟო და არც პოლიცია, არც სინათლის ნასახი არსად იყო. ქალაქი გაყინული, წყვდიადში გახვეულიყო, ქუჩები სრულიან ჩაბნელებული და ცენტრი უკაცრიელი გახდარიყო, გადამწვარი შენობების

კარკასები ღამეში თავიანთ საშინელ სილუეტებს ხატავდნენ. პარლამენტი ხანძრებისგან სრულიად გაშავებულიყო და ირგვლივ მხოლოდ მწუხარება სუფევდა. ციოდა. ყინავდა. ჩემი განწყობაც სამგლოვიარო იყო. ვფიქრობდი: ნეტავ როგორ ახერხებს ხალხი ამ სილატაკეში ცხოვრებას, ბავშვები, მოხუცები.

კიდევ კარგი, „მეტეხს“ თავისი ელექტროგენერატორი აქვს და რამდენიმე ნომერში ცოტაოდენი გათბობა და ცხელი წყალია, რომლითაც ჩემი მეგობრებიც ისარგებლებენ.

მეორე დღეს პრემიერ-მინისტრს და კიდევ სხვა ნაცნობებს ვხვდები. დისკუსიის თემა არჩევნების დაუწყონებლივ მოწყობაა. მეც ვაფიქსირებ ჩემს აზრს: ჩაატარო არჩევნები ტრამვირებულ ქვეყანაში, სადაც სიძულვილი და ბოლმა ჯერ კიდევ არ განელებულა, აზრს მოკლებულია, თანაც მატერიალური თვალსაზრისით არანაირი პირობა არ არსებობს იმისათვის, რომ საარჩევნო ურნების გაკონტროლება მოხდეს. ვინც არ უნდა გამოვიდეს გამარჯვებული, მაინც გავრცელდება ბრალდებები არჩევნების გაყალბებაზე, რაც ქვეყნის სტაბილურობას ნამდვილად არ შეუწყობს ხელს. საჭიროა დაველოდოთ სანამ არ ჩაცხრება ყველაფერი და სანამ კარგად არ ავწონ-დავწონით მოსალოდნელ რისკებს. ამასობაში, საჭიროა დავიწყოთ ძირეული რეფორმები ეკონომიკაში და შეიქმნას ისეთი იურდიული სტრუქტურები, რომლებიც ეკონომიკის წინსვლას და ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს. სწორედ ამას ელიან დასავლელი მეთაურები და საერთაშორისო ორგანიზაციები. რამდენიმე თვე უნდა მოვიცადოთ, სანამ არჩევნებს დავნიშნავთ და კონკრეტული საკითხებს მივხედოთ. არაა საჭირო ისეთი გამოსვლები, სადაც ფასეულობებს მოკლებულ პრინციპებზე იქნება საუბარი, თანაც ასეთ გაპარტახებულ ქვეყანაში.

ამ რამდენიმე დღის განმავლობაში კარგად შევისწავლე არსებული სიტუაცია, მივხვდი რამდენად დაბლა დავეცით და როგორ დავსუსტდით, ფაქტობრივად არსებობის შეწყვეტამდე მივედით. ეს ქალაქი, რომელიც ასე მიყვარდა თავისივე აჩრდილად ქვეულიყო, სიცივისგან აკანკალებული და სქელ ტანსაცმელში გახვეული ხალხიც აჩრდილებით მოძრაობდა. აქამდე როგორ მივედით? ნუთუ ქართველმა ქართველზე აიღო ხელი?!

საქართველოდან მისიით გამოვემგზავრე: საფრანგეთში შეხვედრებზე, ჩემი ოპონენტები უნდა დამერწმუნებინა, რომ მართალია სამოქალაქო ომი ლეგიტიმური არ იყო, მაგრამ ის აიხსნებოდა საზოგადოების

არჩევანით, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა პირველად გაკეთებული არჩევანისგან. ლუმიერების საზოგადოებაც ხომ ჩახშობამდე აჯანყდა და საბოლოოდ გამარჯვებაც მოიპოვა?!

ამჯერად უნდა დავლოდებოდით სანამ ჭრილობები შეხორცდებოდა და მოსახლეობა ხელმეორედ დაიწყებდა ცხოვრებას. თბილისში შენობების ნანგრევებს გვიდნენ, პარიზში კი „საქართველოს სახლი“ მნახველებისგან იცლებოდა!

რამდენ ხანს გავძლებდი?

რამდენიმე კვირაში ყველაფერი ჯერ კიდევ ქაოტური რომ იყო, კიდევ ერთი არეულობა დაიწყო აფხაზეთში. მნიფდებოდა ომი და ამ თამაშში რუსეთი შემოდიოდა. საქართველო ჯერ არ ითვლებოდა „ესენგეს“ ქვეყნად, ეს იყო ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ერთ დიდ „საერთო ბაზრად“ გაერთიანება და თუ როგორ იარსებებდა ეს უკანასკნელი არავინ იცოდა. „ესენგე“ ცდილობდა შეენარჩუნებინა გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული წესრიგი და თავიდან აეცილებინა ეთნიკური კონფლიქტები. რა თქმა უნდა, რუსეთს დიდი წონა ჰქონდა ამ გაერთიანებაში და რადგანაც საქართველო მისი წევრი არ იყო, მის მეტოქედ მოიაზრებოდა. ქართველები პრესტიჟითა და სიმამაცით სარგებლობდნენ, ისინი ინარჩუნებდნენ ამ სივრცეში განსაკუთრებულ ადგილს და სწორედ ამის წყალობით ისინი შეძლებდნენ მსოფლიოსათვის მიენვდინათ თავიანთი ხმა, ხმა რომელიც შესაძლოა მათ ძალებს აღემატებოდა. ასეთი იყო ჩემი პოზიცია, პოზიცია ადამიანისა, რომელიც პარიზიდან ადევნებდა თვალს არსებულ მოვლენებს.

ვეროკავშირიც შექმნის დროსაც დაუჯერებელი იყო, რომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის მშვიდობა დაისადგურებდა, მაგრამ წლების განმავლობაში ჩადენილმა ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტამ ხელი ვერ შეუშალა ხალხს სწორი არჩევანი გაეკეთებინა და ბარბაროსობას მშვიდობა არჩია.

ნეტავ, თუა შესაძლებელი ჩვენც მივალწიოთ ასეთ სასწაულს? იმ დროს საგნები, ადამიანები და მათი ბედისწერა ერთამენეთზე ისე იყო გადაბმული, რომ მათი სწრაფად და უხეშად განცაკლევება მხოლოდ დამატებით ზიანს მოგვიტანდა.

გასაგებია, რომ საბჭოთა წიალიდან თავის დაღწევასთან დაკავშირებით, საქართველოს უფრო იმპულსური პოზიცია ეჭირა ვიდრე გონივრული. მას შეეძლო მისგან თავის დახსნა, თუმცა ცოტა მეტი პოლიტიკური სიმწიფის, ეკონომიკური გამოცდილების და სტრატე-

გიული ხედვის წყალობით შეეძლო აეცილებინა თავიდან კავშირების განწყვეტის შემდეგ დამდგარი პრობლემები. კარგად უნდა მივმხდარიყავით, რომ ეს მოულოდნელობებითა და საფრთხეებით მოცულ სიტუაციამდე მიგვიყვანდა. მართალია ქეიფში ვმღერით მეგობრებთან ერთად, მაგრამ ერების ბანკეტზე მეტოქეებთან უნდა ვიცეკვოთ, რომ ხედვის არეალიდან არ დავეკარგოთ.

როგორც ჩანს საქართველოს მთავრობა სიტუაციას ველარ ფლობდა. ერთის შანტაჟის, მეორეს პრეტენზიების, მაფიოზული ჯგუფებისა და შეიარაღებული დაჯგუფებების წყალობით, კვირიდან კვირამდე ქვეყანა კრიზისსა და მუდმივ არასტაბილურ სიტუაციაში ეფლობოდა.

ედუარდ შევარდნაძის თამაშში ჩაბმით გაჩნდა სტაბილურობის მოპოვების იმედი. მისი საერთაშორისო სახელი, ის ხომ კარგად იცნობდა ძველ სისტემას და ნომენკლატურას წარმოადგენდა (მოგვწონს ეს თუ არა), დამაჯერებელ ალტერნატივას, ერთადერთს ჩემი აზრით, რომელსაც შეეძლო დაემშვიდებინა ურთიერთდაპირისპირებული ძალები, განსაკუთრებით კი არსებულ გაურკვეველ და გაუგებარ სიტუაციაში.

საბჭოთა მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომის შემდეგ, მე მას მოსკოვში შევხვდი. საკმაოდ რეალისტურად საუბრობდა პოსტსაბჭოთა საზოგადოების მომდევნო განვითარების შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა სხვა სისტემისკენ სვლა, რომლის დადებით მხარეებსაც კარგად ხედავდა და აღიარებდა კომუნიზმის მარცხს. თუმცა, ჯერ კიდევ კარგად ვერ გაეგო თუ როგორ ფუნქციონირებდა ეს ახალი, „დემოკრატიული“ საზოგადოება. ამ ადამიანს უდავოდ ჰქონდა თავისი ხიბლი, ფართო ღიმილს იარაღად იყენებდა და მივხვდი, რომ თავისი ქართველობის წყალობით უკვე მოხიბლული ყავდა მრავალი თანამოსაუბრე და მსოფლიოს ნამყვან ძალებთანაც გაება მეგობრული ურთიერთობები. ბევრი რამ შეიძლება უსაყვედურო ამ ადამიანს, მისი კარიერა ჩვეულებრივი „აპარატივის“ გზა იყო, რთული, უსამართლო და ხანდახან სასტიკიც, რეჟიმიდან გამომდინარე. ამავდროულად, ის საკმაოდ ჭკვიანი, ინტელიგენტი და კარგი ინტუიციით დაჯილდოებული პიროვნება იყო და არც პრავმატულობა აკლდა, რომ კარგად ამოეცნო რა გაამართლებდა და რა არა.

უნდა ვაღიარო, მის დაბრუნებას არ ველოდებოდი. პარადოქსია, მაგრამ მან მოახერხა ისტორიული პიროვნება გამხდარიყო საბჭოურ ნანგრევებში და ამით მოხუცი ბრძენის იმიჯიც მოიპოვა. მას ყოფილი

სოციალისტური რესპუბლიკების ეკონომიკური წინსვლის ფონდის პრეზიდენტად უფრო ვხედავდი, რადგანაც კარგად იცნობდა საჭირო ადამიანებს, ფლობდა სიტუაციას და ვფიქრობ ამით საქართველოც მეტად ისარგებლებდა. მას ჰქონდა ძალიან კარგი აურა, რაც ეხმარებოდა მსოფლიოს ყველა დიდ უნივერსიტეტში კონფერენციები ჩაეტარებინა, წიგნები გამოეცა და ამით დიდი ფულიც ეშოვნა. მის დაცვას და მატერიალურ კეთილდღეობას კი ალბათ მისი მეგობრები, მსოფლიოს ძალაუფლებიანი ხალხი უზრუნველყოფდა. პრინციპში, კომუნისტი მმართველების წრიდან, ის ყველაზე ნაკლებ „არანორმალური“ იყო, ის უფრო მმართველი იყო ვიდრე კომუნისტი.

ვალღარებ, გამეხარდა რომ ჩემი ეჭვი არ გამართლდა და კიდევ უფრო ბედნიერი ვიყავი, როცა ის თბილისში ჩამოვიდა. მხოლოდ მას შეეძლო ფეხზე დაეყენებინა ვითომ სახელწიფო და საქართველოში გამეფებულ ქაოტურ და სახიფათო სიტუაციაში გარკვეული სტაბილურობა შემოეტანა. რაც არ უნდა ყოფილიყო, გვქონდა კი არჩევანი?!

მე მას ხშირად ვხვდებოდი, გვიან ღამით თავის პატარა კაბინეტში, რადგანაც პარლამენტის შენობა გადამწვარი იყო. ამ შეხვედრების დროს აღმოვაჩინე, რაოდენ უყვარდა საკუთარი სამშობლო. ეს მისი ბედისწერა და ამავედროულად მონოდებაც იყო. ის ძალაუფლების ადამიანი იყო. დაარწმუნეს, რომ საქართველოს სჭირდებოდა და ისიც დაბრუნდა. საქართველოს ბევრი მართებს მისგან.

ეს ადამიანი საკმაოდ გონიერი იყო, ან კარგი ინტუიცია ჰქონდა და დიდი ხანია უკვე კარგად ხვდებოდა კომუნისტური წყობის არანორმალურობას, არადა ევროპული საზოგადოების შესახებ, არც ცოდნა და არც მისი ცოდნის რაიმე საფუძველი ჰქონდა. მისდა სამწუხაროდ, ის ამერიკული ლიბერალიზმის დოქტრინის და მრწამსის გავლენის ქვეშ მოექცა. დემოკრატია საზოგადოების გამდიდრებას და ბურჟუაზიული ფენის ჩამოყალიბებას გვერდს ვერ აუვლის. საზოგადოების გამდიდრება კი ხშირად მაფიოზური მეთოდებით მოქმედებს და უკანონობას სჩადის. ეს სიმართლეა! თუმცა, შევარდნაძე ერთ რამეს ვერ მიხვდა, ის რომ ეს ფული, რომელიც უმეტეს წილად ყველანაირი მორალური ფასეულობების დაცვის გარეშე კეთდება, შეიძლება გათეთრდეს ქვეყანაში ინვესტიციის ჩადებით და არა ფისკალური სამოთხის, შვეიცარიული ან კვიპროსის ოფშორული ანგარიშების ძარცვით.

ამერიკელმა (ან ევროპელმა) მაფიოზურმა ბურჟუაზიამ, რომლის წევრიც ზოგიერთი პრეზიდენტიც კი იყო, ხელი შეუწყვეს გარკვეული

სიმდიდრის დაგროვებას და მილიონობით სამუშაო ადგილის შექმნას ქვეყანაში. მე არ ვამართლებ მსგავს საქმიანობას, უბრალოდ მინდა ავხსნა, თუ რა განსხვავებაა ფინანსურ ძალაუფლებასა და კაპიტალის გამოყენებაში იმისათვის, რომ მათ მიეცეთ პრეზენტაბელური სახე, თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება ადგილობრივი ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად და ამით სარგებლის ნახვა.

საკუთარი თვალთ ვნახე, მოსკოვიდან პეტერბურგამდე, არხანგელსკიდან ეკატერინბურგამდე და კიევიდან მინსკსა და ვლადივასტოკამდე, ის დამანგრეველი ეფექტი, რაც ამ ძარცვამ შეიძლება მოუტანოს მოსახლეობას. ყველგან, დახვეწილ იურდიულ სტრუქტურებს მიღმა, ეს გაშმაგებული სურვილი შეიმჩნეოდა: ეყიდა რუბლში და გაეყიდა დოლარში და გამდიდრებულიყო ქვეყნის გალატაკების ხარჯზე. ერთხელ უკვე ავლნიშნე, ვის არ უნახავს მოსკოვის ტროტუარებზე ან სხვაგან, ხალხის რიგი, როლებიც სიცივეში იდგნენ და ხელში ლუდის ან არყის ბოთლით, ერთი ნყვილი ფეხსაცმლით ან სხვა ნებისმიერი ნივთით, რომლის გაყიდვაც შეიძლებოდა, ელოდებოდნენ იქნებ ვინმე გამოჩენილიყო და ეყიდა რაიმე სულ რამდენიმე კაპიკად, რომლითაც შემდეგ ან სუპს ან პურს იყიდიდნენ. ვისაც ეს არ უნახავს ვერასოდეს ჩანვდება იმ დიდ იმედგაცრუებას, რომელსაც ეს ხალხი და განსაკუთრებით რუსები გრძნობდნენ. არადა, მათხოვრები კი არ იყვნენ არამედ ტექნიკოსები, ან ინჟინრები, ან ექიმები ან უბრალოდ პატიოსანი ხალხი, რომლებიც ერთ უზარმაზარ დავრდომილ საზოგადოებას ქმნიდა და რომელიც კარგად ასახავდა რუსეთის ერთ ნაწილს.

ამ ქაოსში ცხოვრობდა ხალხი, რომელიც საშინელ ქარიშხალში მიიწევდა წინ, უზარმაზარი ტიტანიკებისით ეხეთქებოდნენ აქეთ-იქით. ზოგიერთი ამით სარგებლობდა, ზოგში კი, ეს ღრმა სიბრაღულს იწვევდა და მეც მათ რიცხვს მივეკუთვნებოდი. ხალხის „გამათხოვრებას“ ეკონომიკის ძარცვაც ემატებოდა. ეგრედ წოდებული ლიბერალური პოლიტიკის დანერგვა, რომელიც ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში დემოკრატიის შეყვანას და შეერთებული შტატების მსგავსად რუსეთში შტატებისმაგვარ ფედერაციის შექმნას გულისხმობდა. ეს ყველაფერი მაფიოზურ ჯგუფებს საუკეთესო შესაძლებლობას სთავაზობდა მთელი რეგიონის ქარხნებს, ნედლეულს-ნავთობს, გაზს, ხე-ტყეს, საბადოებს და სხვა დანარჩენ სიმდიდრეებს დაუფლებოდნენ.

მოსახლეობას კი სიღატაკე და დაუსაქმებლობის პრობლემა ერგებოდა წილად. მე თვითონ მომეცა საშუალება მოგვიანებით თავად მენახა

ეს ყველაფერი, როდესაც ციმბირში, სალდაში ჩავედი იმისათვის რომ მსოფლიოში ტიტანის პირველი ქარხნის დირექცია ევროპასთან თანამშრომლობაში დამერწმუნებინა. ამ თანამშრომლობის წყალობით, ინვესტიციები ჩაიდებოდა ტრანსფორმირებული პროდუქტის შესაქმნელად და ქარხნისთვის დამატებითი მოგების ნახვის საშუალებაც გაჩნდებოდა, ევროპული წარმოებისთვის კი ნედლეულის მიწოდების საგარანტიო პირობები შეიქმნებოდა. მაგრამ ამერიკელებმა დაგვასწრეს, იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც კარგად მოგეხსენებათ. ეს მეთოდები სულაც არ ითხოვდა ბევრ ფულს და სრულიად ამორალური იყო, თუ გავითვალისწინებთ მიღებულ შედეგს: ქალაქში, სადაც ერთადერთი ქარხანა შემორჩენილიყო, როგორც სამუშაო ადგილების ერთადერთი წყარო და სადაც 5000 ადამიანი იყო დასაქმებული 15 000 მაგივრად. მსგავსი სახის ძარცვა კიდევ რამდენიმე წელი მიმდინარეობდა, ამ ხნის განმავლობაში დიდი კრიმინალური ქონება დაგროვდა. სამაგიეროდ კი გაიზარდა მოსახლეობის დიდი ნაწილის სიძულვილი, დემოკრატიის და თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ, რომელთა ფასეულობები მათთვის მიუღებელი იყო.

არც ქართველები გამოირჩეოდნენ ამ მხრივ ბრწყინვალეობით. ხალხი სპილენძის შესაგროვებლად ელექტრო გაყვანილობებს ან ლიფტის კაბელებს ჭრიდა და ჯვართში აბარებდა. მაგრამ ეს ფართო მასებს არ მოსდებია. მხოლოდ იმიტომ რომ საქართველოს არ გააჩნდა ის ნედლეული, რომელიც კრიმინალებს დააინტერესებდათ. პრეზიდენტმა შევარდნაძემ, როგორც გავთვალე, მთელი მსოფლიოდან მიიღო დახმარება და ფული. ევროპას და დასავლურ სამყაროს ნამდვილად მართებდა ეს მისგან. ზუსტად არ ვიცი მაგრამ, იმ პერიოდში, ევროპის მიერ გაცემული დახმარება კავკასიის 3 ქვეყანაზე საზოგადოებრივი დახმარებების ძალიან დიდ ნაწილს მოიცავდა. ეს საკმარისი თანხა იყო იმისათვის, რომ რამე ახალი გაკეთებულიყო: ეროვნული ვალუტა, ტელეფონები, ინფრასტრუქტურა, სტაჟირება სტუდენტებისთვის, კრედიტების გაცემა რამდენიმე თვე თავი რომ გაგეტანა...

ნელ-ნელა ყველაფერი ლაგდებოდა, თუმცა სხვა პრობლემებთან ერთად რა თქმა უნდა კორუფცია ჯერ კიდევ არსებობდა. მაგრამ იმის სანინააღმდეგოდ რასაც ლაპარაკობდნენ, საქმე მილიარდებს არ შეეხებოდა, როგორც ეს რუსეთში და მის ნედლეულში ხდებოდა. ეს იყო ქვეყნის კორუფცია, არც თუ ისე მაშტაბური, მაგრამ აღმამფოთებელი თავისი უხეშობით. ეს კორუფცია თავს იკანონებდა სიმდიდრის პო-

ლუსებისა და დასავლური წესის ბურჟუაზიის შექმნით. ამ უკანასკნელს შეეძლო გამხდარიყო სოციალური და ეკონომიური ტრანსფორმაციების მოტორი ქვეყანაში, მაგრამ კლანურ და საკუთარ თავზე კონცენტრირებულ ბურჟუაზიას არ შეეძლო ხელი შეეწყო სიმდიდრის და სამუშაო ადგილების შექმნაში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

ჩვენს დიასპორაში არცთუ ისე ბევრნი ვიყავით, ვინც თავიდანვე გამოვიქცეთ თბილისში, და თან დიდი მიზნებით! შემეძლო მეც გავმდიდრებულიყავი... ფული რომ უფრო მყვარებოდა, ვიდრე სამშობლო, და თან მორალს მეტი ფასი ჰქონდა ჩემთვის, ამისათვის საკმარისი იყო კორუფციაში ჩაფვლულიყავი, შემეცვალა ქცევა და იმ სამყაროს თანამზრახველი გავმხდარიყავი, რომელიც ჩემი არ იყო.

ყველაფერი კარგი გზით იცვლებოდა. შევარდნაძე თავისი ავტორიტეტისა და პრესტიჟის წყალობით აღადგენდა ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ მყარ სტრუქტურებს. ის დრო წავიდა, როცა დეპუტატები პისტოლეტებით დადიოდნენ და სახელმწიფოს არ არსებობის სხვა სიმბოლიკებიც დაიმსხვრა. იმის თქმა, რომ ყველაფერი ნორმაში იყო გაზვიადებული იქნებოდა. მაგრამ, აშკარა სტაბილურობისკენ მივდიოდით და შესაძლებელი ხდებოდა სოციალურ პლანზე გარკვეული წინსვლებიც განგვესაზღვრა. მოსახლეობამ უსაფრთხოების და სიმშვიდის რწმენა დაიბრუნა. ევროპული ტელევიზიები გვაჩვენებდნენ ქართველებს, რომლებიც ცენტრალურ ბანკში ოქროს ნივთებს აბარებდნენ იმისათვის, რომ შექმნილიყო ფასეული საცავი, რომელსაც დაეყრდნობოდა ნამდვილი ეროვნული ვალუტა და არა ეს ფასდაკარგული ასიგნაციები.

სამაგიეროდ სიტუაცია იძაბებოდა შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის აფხაზეთში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა თავშეკავებისკენ მოუწოდებდა მოსახლეობას, ზოგიერთების პროვოკაციები, ბრძოლის სურვილი, მოსკოვის თამაში, რომელიც ამ სიტუაციით დიდ სარგებელს ნახულობდა და თავის თამაშს ეწეოდა, ყველაფერს აუარესებდა.

აფხაზეთი საქართველო იყო, მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები იყვნენ, ამაში არანაირი ეჭვის არ იყო. მაგრამ სისტემამ ისე კარგად შემოაბრუნა ყველაფერი რომ ეთნიკური, ნაციონალური და ეკონომიური თვალსაზრისით მხოლოდ დაძაბულობის გამოწვევა შეეძლო. ძალიან დიდი გონიერება და სიმშვიდე იყო საჭირო რომ დრამატული მდგონარეობა აგვეცილებინა თავიდან. მაგრამ, ის რაც გვაკლდა იყო სწორედ ეს სურვილი: კრიზისიდან გამოვსულიყავით მშვიდობიანად და არა იარაღის გამოყენებით. მაგრამ ბევრი დეტალი, ინტერესი, მიზანი

დაგროვილიყო რომელებიც სწორედ ამ დრამისკენ გვიბიძგებდნენ, თითქოს გვესაჭიროებოდა ამ ექსტემალური სიტუაციის, კონფლიქტის გამოწვევა, რომელსაც დიდი ხანია ჩვენს ცნობიერებაში დაებუდებინა თავი. ერთი არგუმენტიც კი არ არსებობდა, რომელიც გაამართლებდა შეიარაღებული და მკვლელი კონფლიქტის დანწყებას. თუნდაც შვეიცარიის მაგალითი ავიღოთ: 3 ენა, 2 მთავარი რელიგია და მინც ერთიან, მშვიდობიან და აყვავებულ საზოგადოებას ქმნის.

პარიზიდან ისე ჩანდა, რომ ეს კონფლიქტი დიდი ხნის წინ ჩადებული სიძულვილი იყო, როგორც ეს აფრიკისა და აზიის კონტინენტებზე ხდება ხოლმე. არ ვიცი, სად იღებდა ეს სიძულვილი სათავეს, მაგრამ ნათელი იყო, რომ ეს მოვლენები პოლიტიკურ სიმნიშვნელობაზე იყო, ეს იყო არაჯანსაღი მემკვიდრეობის ფატალური შედეგი. ჯობდა ხალხისთვის მიგვეცა უფლება, ერთმანეთი დაეხოცათ, თვალი მოგვერიდებინა ამ საშინელებისთვის და შემდეგ გადარჩენილების გადახარისხებისთვის გვეყურებინა? არც კეთილები და არც ბოროტები აქ არ არსებობდნენ. ეს იყო ერთი უზარმაზარი დანაკარგი საიდანაც, როგორც წესი, ყველა დამარცხებული გამოდის.

ასე გრძნობდა მოვლენებს ევროპულ მედია, რომელიც ვერცერთის პოზიციას ვერ დაიკავებდა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალიან შორს იყო და რეალური სიტუაციის შესახებ ცოტა იცოდნენ, და მეორე იმიტომ რომ რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ჯერ ვერანაირი ძალა ვერ გაილაშქრებდა. არც ოფიციალური წარმომადგენელობა და არც ფინანსური საშუალებები არ გაგვაჩნდა ქართველებს იმისათვის, რომ ფრანგული პრესა ქართული ხედვის სისწორეში დაგვერწმუნებინა.

ჩემთვის ეს იყო არსებული ტრაგედიის გასიგრძეგანება, რომელიც საქართველოს კიდევ ერთხელ აყენებდა ძალიან მძიმე სიტუაციაში. ამდენი ახალგაზრდის სიკვდილი, ხალხის უცხოეთში გადახვეწა, ძალიან მტკივნეულ და დამანდგერეველ სურათს ხატავდა. ქვეყანა ამპუტირებული იყო თავისი ტერიტორიებისგან, სახელმწიფო დამარცხდა კონფლიქტში, რომელშიც თავისი სურვილის წინააღმდეგ ბნელმა ძალებმა შეითრიეს. ეს ყველაფერი ეჭვქვეშ აყენებდა საქართველოს სიცოცხლისუნარიანობას. ამ პერიოდში საქართველოს სათავეში შევარდნაძე რომ არ ყოფილიყო, ქვეყანა გაუჩინარდებოდა და ისევ ანექსირებული გახდებოდა. ეს ყველაფერი ძალიან რთულად გადასატანი, აუტანელი იყო. ევროპამაც ზურგი შეგვაქცია, საქართველო ისევ დაშორდა ევროპას.

მართალია მე ამის წინათგრძნობა მქონდა, მაგრამ მსგავს დრამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი. ჩემი მეგობრების ერთი ნაწილი ნაციონალურ ბანაკს ლანძღავდა და თვლიდა რომ ისინი ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ.

სწორედ მაშინ, როცა დიდი წარმოსახვა და ცოდნა უნდა გამოგვეჩინა, ზღვარს გადასული ძალადობის მსხვეპრლი აღმოვჩნდით იმ ძალების წყალობით, რომლებმაც ეს სისხლიანი დაპირისპირება თავის სასარგებლოდ გამოიყენეს.

ევროპულ დედაქალაქებში შევარდნაძის მიმართ სიმპატიას გამოხატავდნენ. მისი გამბედაობა და ნამდვილი მმართველის იმიჯი ერთდერთი არგუმენტი იყო, რომლითაც საქართველოს გადარჩენა ლეგიტიმური იქნებოდა.

სუფრა

საქართველოში უკვე იშვიათად ჩამოვდიოდი. მას აღარ ვჭირდებოდი. ყველაფერი ნორმაში ჯდებოდა, თუმცა, გამოსასწორებელი ჯერ კიდევ ბევრი იყო. ჩამომყავდა მეწარმეები, რომლებიც ისევ ინტერესდებოდნენ ჩვენი ქვეყნით. საფრანგეთიც გვერდში გვედგა. ბირთვული ენერჯის სფეროში ერთ-ერთ წამყვან ფრანგულ საწარმოს თავისი ფილიალი საქართველოშიც ჰქონდა, სამთო მრეწველობის დარგში, კერძოდ კი ოქროს მოპოვებაში. მას სურდა ინვესტიციის ჩადება ოქროს საბადოში და ისეთი ეკოლოგიური ქარხნის აშენება, რომელიც ქიმიურ ნარჩენებსაც გადაამუშავებდა ისე, რომ გარემო და კერძოდ გრუნტის წყლები არ დაეზინძურებინა. საქმე მომხიბლავად გამოიყურებოდა: მხოლოდ ფრანგები მიდიოდნენ ისეთ გარიგებებზე, რომლის მიხედვითაც ინვესტიციების მესამედს სახელმწიფოს აძლევდნენ და 10 წლის შემდეგ სრულიად გადასცემდნენ საბადოს ქართულ მთავრობას, რათა დარჩენილი ნედლეული თვითონ მოეპოვებინა. შინაგანი ხმა მეუბნებოდა, რომ ეს მართლაც მომგებიანი გარიგება იყო საქართველოსთვის და განსაკუთრებით მისი ბუნების დაცვისთვის.

საბოლოოდ გარიგება ვერ შედგა, რადგანაც არავინ იცოდა ვინ, სად, როგორ ან ვის ხელში იყო ეს ოქროს საბადოები. იგივე სცენარი განმეორდა სხვა პროექტებზეც და საბოლოოდ, ყველა საკუთარ ქვეყანას დაუბრუნდა.

იმ დროს, როცა მსოფლიოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო

გარემოს დაცვა, საქართველოს შეედლო მაგალითის მიცემა. საჭირო იყო პარლამენტს კარგად შეესწავლა ოქროს მაღაროს ექსპლუატაციის შედეგები გარემოზე. მოგვხსენებათ რომ ოქროს პატარა ნატეხის მოსაპოვებლად მიწის და კლდის დიდი ნაწილის დამუშავება საჭირო, ღია ცის ქვეშ მისი ციანიდით დამუშავებამ კი შეიძლება წყლისა და ჰაერის მონამვლა გამოიწვიოს და ამას არაფერი ეშველება. ამ მხრივ, ფრანგების შემოთავაზება ძალიან საჭირო და გონივრული იყო. სამწუხაროდ, ის რაც საქართველოში ხდებოდა ვერ მოიზიდავდა უცხოურ ინვესტიციებს. არც იურდიულად და არც ფსიქოლოგიურად არ ვიყავით მზად, რომ ჩვენს თანამოსაუბრეებთან ერთ ენაზე, გასაგები სიტყვებით გველაპარაკა.

გასაოცარია, მაგრამ ქართველებს შესწევთ უნარი სწრაფად განვითარდნენ, იმაზე სწრაფად ვიდრე სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შეუძლიათ. ამის ახსნაც მაქვს. ჩვენ ხომ ღვინის კულტურის ქვეყანა ვართ, ღვინო აქ დაიბადა 8 000 წლის წინ. ჩვენი ვენახით და ღვინით მთელი შავი ზღვის აუზი მარაგდებოდა, შემდეგ ხმელთაშუაზლით საბერძნეთსა და ევროპაში ვრცელდებოდა. ამგავრად, ჩვენს გენებში ჩაქსოვილია კულტურისა და ლამაზი ნივთების სიყვარული, ქალის პატივისცემა, სხვისი პატივისცემა და ქრისტიანული ფასეულობები. ზღვებსა და მთებს მიღმა ერთი ხედვა არსებობს, ოპტიმიზმი. გარდა ამისა, ხელოვნების სიყვარული და ნორმებისკენ სწრაფვა უფრო მგრძნობიარეს გვხდის უსამართლობის წინაშე და მით უფრო გვაახლოებს კანონებთან.

მართალია, ამ ისტორიის მოქმედი პირი აღარ ვიყავი, მაგრამ ყურადღებით ვადევნებდი თვალს სიტუაციის ევოლუციას. რაც უფრო იხრებოდა საქართველო ევროპისკენ თავისი სტრატეგიული არჩევანით, თავისი კადრების მომზადებით და ანტირუსული ორიენტაციით, რომელიც აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა, მით უფრო ფაქიზი ხდებოდა მისი იმიჯი საგარეო თუ სამინაო არეალზე.

ადმინისტრაციული სტრუქტურები, რომლებიც ძველი ნომენკლატურიდან მოდიოდნენ და შევარდნაძის გარეშემო ერთიანდებოდნენ, ძველ ჩვეულებებს და განსაკუთრებით კორუფციას არ ლალატობდნენ. გასაკვირი აღარ იყო, რომ რალაც მომენტში, ცხოვრების პირობების სირთულე და ახალგაზრდების სასონარკვეთა გარდაიქმნებოდა დიდ პროტესტში, რომელიც ძირს გამოუთხრიდა შევარდნაძის პრეზიდენტობას.

მე არ ვიზიარებდი იმ ალტკინებს, რომელსაც განიცდიდა დიასპორის დიდი ნაწილი და გასაკუთრებით, ანტიკომუნისტურ გაჟღენთილი ჩემი თაობა. შევარდნაძე ამას არ იმსახურებდა. ყველაფერი შეიძლება უფრო მშვიდობიანად და ნაკლები ძალადობით მოგავრებულიყო. საქართველოს შეეძლო შევარდნაძე გაესამართლებინა, თუმცა ამისთვის ჯერ მისი დანაშაული უნდა გვეპოვნა. ქვეყანა მას უნდა უმადლოდეს უსაფრთხოების მიღწევას და შიმშილისგან თავის დაღწევას, რომელიც ევროპის მისდამი პატივისცემის და ამერიკის ხელისუფლების მეგობრობის წყალობით მოვახერხეთ.

თანაც არ მომწონდა ეს ახალგაზრდები, მედიდურები და უზრდელები. ვიცნობდი ჟვანიას, მაშინ მწვანეთა პარტიის უფროსი იყო, მისი გონიერი მოძრაობა რეჟიმთან დაპირისპირებას გარემოს დაცვით ცდილობდა. ის ჩემს ნდობას ინვევდა. თუმცა ყველგან დაატარებდა ამ შეშლილ, თმაგაჩეჩილ ახალგაზრდას, რომელიც სანოლიდან იმ წუთს წამომდგარს ჰგავდა. ეს მიშა სააკაშვილი იყო. ვწუხვარ, მაგრამ ის არასოდეს მეპიტიანებოდა.

ამდენი წლის განმავლობაში, როგორც კარგის, ისე ბევრი ცუდის მონმე გავხდი და ვლოცულობდი რომ ბედი კარგისკენ გადახრილიყო.

შენიშვნები საქართველოზე

ვუბრუნდები 2009 წლის 26 მაისის თემას.

26 მაისი, საქართველოს ეროვნული დღესასწაული, ორი გასაოცარი მოვლენით გამოირჩეოდა. ერთი მხრივ, არანაირ ოფიციალურ ცერემონიას არ ჰქონია ადგილი, ვითომდა აგვისტოს ომის გლოვის გამო. ალბათ ეს სააკაშვილის თბილისში არ ყოფნით უფრო იყო გამოწვეული. იმ დროისთვის ის რომში, ფეხბურთის ევროჩემპიონატის ფინალის საყურებლად ჩავიდა და სამშობლოში არ ჩამოსულა. მეორე დღეს გავიგეთ მისი წითელ ზღვაზე გაპარვის შესახებ, საკმაოდ უცნაური იყო მსგავსი ქცევა პრეზიდენტის მხრიდან!

მეორე მოვლენა, პრეზიდენტის წინააღმდეგ ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული დიდი მანიფესტაცია იყო. თბილისის 60 000 კაციანი სტადიონი გადაჭედილი იყო, რაც უკმაყოფილების მოცულობაზეც მიუთითებდა. მეც იქ ვიყავი.

ეს მანიფესტაცია მშვიდად, გადაჭარბების ან ზღვარგადასვლის

გარეშე ჩატარდა. პარტიების ლიდერებმა გადაინაწილეს როლები და პატრიოტულმა სიმღერებმა ღირსეული გარემო შექმნეს. საერთო ჯამში, ძალიან სასიამოვნო სანახავი იყო. ქართველები, რომლებიც ხშირად ხმაურიან დემოსტრაციებს მართავენ, ამჯერად მთელი პასუხისმგებლობით იქცეოდნენ, თითქოს ამით უნდოდათ თავიანთი გადანყვეტილების სიმტკიცის დემოსტრირება. ასეთივე სამოქალაქო და ცივილიზებული სვლით მათ ახალ საკათედრო ტაძარში გადაინაცვლეს, კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, სულიერებისა და სიბრძნის საკითხში ეროვნული მაგალითის, ქდაგების მოსასმენად. ევროპელი აუცილებლად გაოცდება რელიგიური ავტორიტეტისა და ეროვნული სიმბოლოსკენ ერის ამგვარი მიზიდულობით, მაგრამ დემოკრატიული კულტურა ჯერ კიდევ ახალია ჩვენთვის და რელიგიით გაჟღენთილი ეროვნული ისტორია ჯერ კიდევ დიდ მნიშვნელობასაა.

საკაშვილი პრეზიდენტად კი მოვიდა, მაგრამ ხალხი ისევ იმედგაცრუებული დარჩა, განსაკუთრებით ის კულტურული კლასი, ის ბურჟუაზია, რომელიც კარგი ოჯახის, კარგად აღზრდილ და ტრადიციების დამცველ ქართველის არქეტიპს წარმოადგენს თავისი ფასეულობებით, სიმამაცითა და გამორჩეულობით.

ვაჟკაცი მხოლოდ იმიტომ ვერ გახდები, რომ ეს გინდა, ის უნდა დაიმსახურო. არაფერია უფრო დამღუპველი, ვიდრე საზოგადოების იმედის გადანურვა, რადგანაც ამ დროს გამანადგურებელი იუმორი და სიძულვილი იმის მიმართ, ვინც პატივისცემა დაკარგა, ერთად გადმონთხევა. უცხოელისთვის ეს რთულად გასაგები გრძნობაა, ამას მხოლოდ აქ დაბადებული თუ გაიგებს და მიხვდება. იგივე ხდება, როდესაც ჟურნალისტი უბრალოდ გავლითაა საქართველოში და რაც არ უნდა გამორჩეული რაციონალური ნიჭი გააჩნდეს, რეალობად იღებს იმას, რაც სრულებით არ შეესაბამება იმას, რაც სინამდვილეშია. სააკაშვილი დღეს საკუთარ თავზე იწუნებს მარცხისა და სიყალბისგან შემდგარ მემკვიდრეობას. სამართლის ფაკულტეტი, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა კიევში დაამთავრა, ჯერ კიდევ კომუნიზმის პერიოდში, კაგებეს ადმინისტრაციის სამართალს შეესაბამებოდა (თუმცა მისი ყველა კურსდამთავრებული აგენტი არ ხდება). შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაშლამ მას საშუალება მისცა ერთი წელი კოლუმბიის უნივერსიტეტში გაეტარებინა, რაც მისგან ჯერ კიდევ არ ქმნიდა სამართლის სპეციალისტს.

ის შეამჩნია და გამოარჩია ბატონმა ჟვანიამ, რომელიც ძალიან აქ-

ტიური ფიგურა იყო იმ პერიოდის ქართულ ხელისუფლებაში (მინისტრი და დეპუტატი) და სტრასბურგში გააგზავნა, სადაც მან მოიპოვა სტიპენდია და ამავდროულად ევროპარლამენტში საქართველოს დელეგაციაში მოხვდა. სააკაშვილი არასოდეს ყოფილა ადვოკატი. მისმა საუნივერსიტეტო განათლებამ გავლენა იქონია მისი მმართველობის კონცეფციაზეც. ე. შევარდნაძემ, რომელიც სასონარკვეთილი დაეძებდა ახალ ტვინებს, ანუ ევროპული გამოცდილების მქონე ახალგაზრდებს, ის იუსტიციის მინისტრად დანიშნა.

ჩვენ კარგად მოგვეხსენება „ვარდების რევოლუციის“ ისტორია და ამერიკულ მეთოდებზე დაფუძნებული მისი მარკეტინგი. ძალაუფლების ხელში ჩაგდება მას რამდენიმე ფაქტორმა გაუადვილა: ხალხის გათანაფულობამ, შევარდნაძის დაღლილობამ, შეერთებული შტატების და ევროკავშირის მხარდაჭერამ, რომელთაც ამ რეგიონში თავიანთი სტრატეგიული პუნქტის დაარსება სურდათ და მათ ინტერესებიდან გამომდინარე ახალგაზრდას უპირატესობა მიანიჭეს, ვიდრე მოხუც ედუარდს, რომელიც არც რუსულ შამფურს წვაავდა და არც დასავლურ მწვავას.

ჟვანია პრემიერ-მინისტრად დანიშნა და თავისი პოლიტიკური წარსულით, თავისი უპირატესობებით და სიდიდჯით ის მოუწესრიგებელი და უნიათო პრეზიდენტის ჯებირიც გახდა. სამწუხაროდ, ჟვანია მალევე გავიდა პოლიტიკური თამაშიდან, ის გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა და მის მიერ დაწყებული საქმეები სხვა გზით წავიდა.

რუსეთი შეშფოთებულია საქართველოს აშკარად პროამერიკული პოლიტიკით და ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის, სალომე ზურაბიშვილის მიერ გამოხატული მკაფიო აგრესიით. ეს უკანასკნელი ფრანგული მედიის ახალი ფავორიტი ხდება, თუმცა თავისი მოქმედებით რუს პოლიტიკოსს ძალზე აღიზიანებს.

საკაშვილი თავის ექსტრავაგანტურობას, უნესო ხასიათის დემონსტრირებას, ლამის გართობებს და ქალების გულის მოგებებს თავშეუკავებლად მიეცა.

ის „ბისმარკის“ სინდრომის მსხვერპლია - „ვამი ისეთ ხელისუფალს, რომელიც ომის დაწყების ისეთ მიზეზს ვერ იპოვის, რომელიც ომის შემდეგაც კი გამართლებული იქნება“. რუსეთთან დაწყებული მკაცრი პოლიტიკა, ის სამხედრო უბედურებები, რომელიც რამდენიმე დღით ადრე დაიწყო, გამარჯვების სასაცილო გამოცხადება, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვა, თბილისიდან 40 კმ-ში ჩაყენებული რუსული ტანკები, ეს ყველაფერი ქართველების სურვილი არ იყო და დღესაც

მწარედ განიცდიან. თანაც იმ დროს, როდესაც პროგრესის ნიშნები უკვე არსებობდა. სააკაშვილი თავისი ავტორიტეტული მმართველობის მსხვერპლი გახდა, რომელიც ძალადობის დაკანონებით და მოქალაქეების უპატივცემლობით ქართული საზოგადოების მენტალობას შეეჯახა. ყველანაირი პროცედურების დაცვის გარეშე, საკუთრების მიტაცებები, სისხლის სამართლის პროცედურების ფინანსური ექსპლუატაცია, რომელიც კანონის სახეს იღებდა და საშუალებას იძლეოდა რამდენიმე გრამი ნარკოტიკის ჯიბეში ფარულად ჩადებით ასობით ადამიანი დაეჭირათ. ის რაც შემდეგ განვითარდა, ციხის სავალალო მდგომარეობა და 22 000 პატიმრით გადატენილი საკნები, უკვე ყველა ზომას სცილდებოდა. 4 მილიონიანი ერისთვის იგივეა, რაც საფრანგეთისთვის 330 000 პატიმარი.

რაც შეეხება ამ ბოლო საკითხს, რაც არ უნდა იყოს ევროკავშირის ინტერესი საქართველოსთან დაკავშირებით, დაუშვებლად მიმაჩნია დახმარებების ისე მიცემა, რომ გარკვეული კოდექსური ცვლილებები არ მოითხოვოს, იმისათვის რომ ქართველი მოქალაქეები დაცულნი იყვნენ ამ დიქტატურის ტოლფასი ქმედებებისგან. ევროპული დროშა, რომელიც ქართული დროშის გვერდით ფრიალებს, უკვე თაღლითობა და შეურაცყოფაა ევროპისადმი. დაბალ ხარისხიანი მიზანსცენით საქართველო ვერ დაუახლოვდება ევროპას, მან ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება უნდა უზრუნველყოს, რომელიც ღირსებისა და მოქალაქეთა პატივისცემის პრინციპზე იქნება დაფუძნებული. დროა, ვინმემ აუხსნას ამ ბატონებს, რომ ევროპული სიმბოლიკა ხელშეუხებელია.

საკაშვილს დიდი ხანი აღარ დარჩენოდა. მაგრამ ვინ ჩაანაცვლებდა?

მე აღარაფერი შემეძლო გამეკეთებინა, ჩემი დრო წასული იყო, რაღაც გამომრჩა და მოვლენების დინებაზე ველარ მივყვებოდი.

აშკარა იყო, რომ იმდროინდელი პოლიტიკური დასი ახალ გამონვევებს ვერ პასუხობდა. რაღა თქმა უნდა ქართველებისთვის და მათი ელიტისთვის უაღრესად რთულია ობიექტურად შეაფასოს და უცხოს თვალთ დაინახოს პოსტ-საბჭოთა სიტუაცია, ქვეყანა ხომ ამ „უბადრუკი ძალაუფლების“ გავლენის ქვეშ 2 საუკუნის განმავლობაში იყო, ძალაუფლების რომელიც არსებობას განაგრძობდა რუსეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა თავიანთი კულტურისა და ტრადიციების დახმარებით შეძლეს თავიანთი ინდივიდუალიზმის შენარჩუნება, ზარალის გარეშე მაინც ვერ გამოვიდნენ ორი სრულიად

განსხვავებული ხასიათის შეჯახებისაგან. თავისუფლების და თვითმყოფადობის მოპოვებას, რომელსაც ამდენი ხანი ელოდებოდნენ, მომზადებული სტრუქტურით არ შეგებებიან, ხოლო მისი ელიტა დემოკრატიული საზოგადოების მექანიზმებს ვერ მოერგო.

ისიც შევამჩნიე, რომ პარლამენტი თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა: არც აკონტროლებდა და არც ახალ წინადადებებს სთავაზობდა საზოგადოებას. მე ასეთი შეთავაზება მქონდა: უნდა შექმნილიყო სამოქალაქო საზოგადოება იმ ადამიანთა მონაწილეობით, რომლებმაც ავტორიტეტი გააჩნდათ და რომლებიც პოლიტიკური პარტიებისაგან დამოუკიდებლად განსაზღვრავდნენ ქვეყნის სტრატეგიულ მართვის გეგმას. შემდგომ, შესაძლოა ეს გაერთიანება გადაქცეულიყო სენატად.

ერთ საღამოს, ჩემს მეგობარ, მერაბ რატიანთან ერთად ვსადილობდი სასტუმრო „მერიოტში“. პარიზში, ჩემს მეუღლესთან დარეკვა გადავწყვიტე, მაგრამ ჩემი ტელეფონი აღარ მუშაობდა, მოულოდნელად ოპერატორი შეიცვალა, რაც ძალიან უცნაურად მეჩვენა. მერაბმა ჩემს სასტუმროსთან მიმაცილა და უკან დაბრუნებისას, იქვე, დაიჭირეს: ჯიბეში ჩაუტურეს რამდენიმე გრამი ნარკოტიკი და 9 წელიც მიუსაჯეს.

იმ 5 წლის განმავლობაში, როდესაც ჩემი მეგობარი დაპატიმრებული იყო, ჩემი სიხარული, სიამოვნება, სიცილი ნაკლებად გულახდილი და უფრო მოკრძალებული გახდა. ჩემთვის საქართველომ დატოვა დემოკრატიის გზა და გადაუხვია მაფიოზური რეჟიმისკენ, მაფიოზური სახელმწიფოსკენ.

ეს იყო რეგრესი, რომელიც თავის მხრივ ასახავდა დემოკრატიული კულტურის, ზოგადად კულტურის უზარმაზარ დეფიციტს. ეს იყო „რობინ ჰუდის“ დამახინჯებული ვერსია, მთელი ქვეყანა მოძალადეთა ტყვეობაში იმყოფებოდა. სწრაფი განვითარებისა და თანამედროვეობის ფასადის მიღმა, დემოკრატიული სულისკვეთების ლალატს ჰქონდა ადგილი, რადგანაც ის, რაც სააკაშვილის ქმედებებს ახასიათებდა, იყო ადამიანთა და დემოკრატიული სულისკვეთების უპატივცემლობა.

არ ვიცი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო ბატონი ივანიშვილი რომ არ ჩარეულიყო პოლიტიკურ ბრძოლაში. გაოცებული ვრჩები იმ კრიტიკით, შეურაცხყოფით, ბრალდებებით, რომლებსაც ზოგიერთი ამ ადამიანის წინააღმდეგ იყენებს. როდესაც ამხელა ქონება გაქვს, მის დაცვასა და გაზრდაზე ზრუნავ, გირჩევნია ისარგებლო ცხოვრებით და დარჩე ჩრდილში. მაგრამ ის ასე არ მოიქცა, ის თავის ქვეყანაში დარჩა, კანონით შეიარაღებული იბრძოდა, არიგებდა დახმარებებს, ზრუნავდა

უამრავ ხელოვან ადამიანზე და სხვადასხვა სფეროს ნიჭიერ ადამიანებზე, აფინანსებდა ეკლესიებს, მუზეუმებს, და მრავალრიცხოვან პროექტებს. მას არასოდეს უთხოვია პრეზიდენტობა ან მეფობა. არაფერი გვაიძულებს მის სიყვარულს, მაგრამ ზრდილობა მოითხოვს, რომ პატივი ვცეთ. მე, რომელიც შორს ვარ და ახლოდან ვუყურებ, ქედს ვიხრი მის წინაშე და პატივს ვცემ მის გადაწყვეტილებას, ქონების ნაწილი ქვეყნის სამსახურში დახარჯოს. ის იმ ბედისწერამ, იმ ფაქტორებმა გამოგვიჩინა, რომელსაც ჩვენ იღბალს ვეძახით.

წერისას, მოგონებები ცოცხლდებიან და ზოგიერთი მათგანი მაკვირვებს. აი ერთ-ერთი მათგანიც: ერთ საღამოს, პარიზში, ორი რუსი გამომეცხადა, რომელთაგან ერთი თარჯიმანი იყო, მეორე კი ერთი შეუხედავი პიროვნება: პატარა, სუსტი, იმდენად შეთხელებული თმით, რომ მელოტი კეფა მოუჩანდა, გრძელი ცხვირი სევდიან იერს ანიჭებდა და მისმა მობუზულობამ ჩემში რაღაც სიბრალულისნაირი აღძრა. წესიერად არც გამეცნენ, თარჯიმანმა საუბრის დაწყება ინება. იგი მიხსნის, რომ მისი მეგობარი „ბურგეს აერონავიგაციის სალონში“ ვიზიტით სარგებლობს და სურს „საქართველოს სახლიც“ მოინახულოს. მე ისინი მისაღებში მოვათავსე. მის პირველ კითხვაზე ვპასუხობ რომ გერმანულად არ ვსაუბრობ და ვინცებთ უცნაურ საუბარს ფრანგულად, მისი თარჯიმნის დახმარებით. მაშინვე ვხვდები, რომ ეს უფრო დაკითხვაა. ვერ ვიტყვი რომ უსიამოვნო საუბარი იყო, უბრალოდ ატმოსფერო მეჩვენებოდა ცივი. რალა თქმა უნდა ამ რუსებს არ მოსწონდათ ჩემი ინიციატივა.

ჩემი სტუმარი თავისი თარჯიმნის მეშვეობით მისვამდა კითხვებს, მთხოვდა დაკონკრეტებას, საუბრისას თვალს მარიდებდა, თუმცა ეს თანასწორთა საუბარს კი არა დაკითხვას უფრო ჰგავდა. ვხდებოდი, რისთვისაც მოსულიყვნენ. იმის დასტურს ეძებნდენ, რომ საქართველო ნამდვილად დატოვებდა რუსეთის წიაღს. თუმცა, ერთი ფაქტი უეჭველი იყო, კერძოდ: კომუნისტური წყობა დაიშლებოდა და მასთან ერთად საბჭოთა იმპერიაც დაინგრეოდა. ამას ყველა მშვენივრად ხვდებოდა. მაგრამ ის რაც მათი აკვიატებული შიში იყო, ეს უზარმაზარ ტერიტორიებზე გავლენის, ანუ ძალაუფლების დაკარგვის შიში იყო. ბუნებრივია, დიდი სიძულვილი დაგროვებულიყო თითოეულ რესპუბლიკაში, რომლებიც იმპერიამ ძალით, თავს მოხვეული ერთობით, დაახლოვა და საერთო მსხვერპლშენიწრვით, ტრაგიკული ისტორიით და ხანდახან ყალბი დიდების მომენტებით გააერთიანა. რისი აღიარებაც თითოეული რუსის

მხრიდან ერთობ ძნელად მისაღწევია, მესმის რატომ მიიჯაჭვა რუსეთმა ეს რესპუბლიკები, რომელთაგან საქართველოს ერთობ სიმბოლური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, და რომელთაგანაც პირადი ინტერესებიც აკავშირებდა. არადა, კაცმა რომ სთქვას ამ “უმადური” რესპუბლიკების ტვირთისგან გათავისუფლებულ რუსეთს, რომელსაც ამდენი ნიჭიერი ადამინი და სიმდიდრე გააჩნდა, მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ევროპის პრივილეგირებული პარტნიორი გამხადრიყო და ევროპული ტექნოლოგიების, ნორმების და ტექნიკების წყალობით მნიშვნელოვანი მეტამორფოზი განეცადა.

მსოფლიოს ნომერ პირველი ნედლეულის 20/25 პროცენტს ხომ რუსეთი ფლობს. მის მიმართ ბედისწერა გულუხვი აღმოჩნდა. თუმცა, ძალაუფლება სივრცეს კი არ მოაქვს არამედ წინსვლას: ხარისხი, მოქნილობა, ინოვაცია, კომუნიკაცია, ინიციატივა ესაა საკითხები, რომლის გარეშე ქვეყანა ვერ შედგება..

„ყოფილი საბჭოთა ქვეყნები ენერჯის გარეშე ვერ იცხოვრებენ, მაშ ვერც რუსეთის გარეშე გაძლებენ“, აი ასე „მარტივივად ვუხსნი მე. მინდა ამით ჩემი რუსი სტუმარი დავამშვიდო, თუმცა მისი სახის გამომეტყველება ამას არ ადასტურებს (თვითონაც კარგად ხვდება რომ 9 აპრილის შემდეგ უკან დასახევი გზა აღარ არის). მისთვის საბჭოთა კავშირის დაშლა რუსეთის ძალაუფლების დასასრულია, ეს კი ევროპული სატელიტების დაკარგვაზე უარესია. ერთმანეთს გვიან ღამით დავშორდით. მომავალში მე მას ტელევიზიით ვნახავ, ადვილად ვიცნობ თავისი კინკლა სიარულის მანერით, დაკარგული ძალაუფლების ძველებური ნოსტალგია შემორჩენოდა, ვერავინ გაიგებდა მისი პოლიტიკის შემდგომ განვითარებას. ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირი უკვე მუხლჩაახრილი იყო და ამაზე ვერავინ შემედავებოდა. მისი ძალაუფლება იმ სისტემის კრახით დასრულდა, სადაც კოლექტიური საზოგადოება ინდივიდმა ჩაანაცვლა. ამაში ამოუცნობი არაფერია. ჩინეთი ფეხზე ვერასოდეს დადგებოდა, ისტორიის რალაც მონაკვეთში, ინდივიდისთვის უფლება რომ არ მიეცა გამოემჟღავნებინა საკუთარი ინიციატივის და პიროვნული გამდიდრების უნარი. მაგრამ პუტინმა, დიახ, სწორედ მან, ვერ მოახერხა, სწორად განესაზღვრა თავისუფლებისა და დემოკრატიის დიამეტრი თავის პოლიტიკის წრეზე. მაგრამ პოლიტიკა, რომელიც თავის წარსულის სიდიადეს მისტირის და რომლის ერთადერთი მოწოდება ძალადობაა, დიდხანს ვერ გასტანს.

„საქართველოს სახლმა“ კიდევ რამდენიმე წელი გააგრძელა არსე-

ბობა. ჩემთვის ის ფანჯარასავით იყო, საქართველოსაკენ გაღებული ფანჯარასავით. ის იმის მოწმობა იყო რომ ჩვენ, ქართველები, ვარსებობდით, როგორც ხალხი და ერი. ქართველებს, როგორც ხალხს, მე არ ვჭირდებოდი. ვისაც კი ზოგადი ინტელექტის ნასახი მაინც აქვს, იცის რაცაა საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ის მოწყვეტილი იყო მსოფლიოს. მაგრამ განაგრძო არსებობა, როგორც ერმა, მის გარდაქმნას სჭირდება დრო და შესაბამისი საშუალება, რისი გადაჭრაც ერთ ადამიანს არ ძალუძს. მთავარი ისაა, რომ მივხვდი – მხოლოდ მცირე შანსი არსებობდა იმისათვის, რომ ეს ფანჯარა ღიად დიდხანს შემენარჩუნებინდა.

ვილაცეები მეკითხებოდნენ, რისთვის გავაკეთე ეს ? ბევრს არც ესმოდა და ბევრს არც ახლა ესმის, რომ ქართველებს, როგორც ერს, ხელმეორეთ დაბადება შეუძლია და ამის იმედი მუდამ უნდა გქონდეს!!!!.

ჩემი საქციელის პასუხს მამაჩემის გამოხედვაში ვხედავდი და ეს გამოხედვა მაღლიერებით იყო სავსე. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო ევროპაში, კერძოდ პარიზში ნაპოვნი თავისუფლება და თავისი ქართული ოჯახი, მას მაინც აკლდა თავისი შინაგანი ტერიტორია, თავისი სიახრული, ქართული წესი და ტრადიცია, ქართველებსთვის დამახასიათებელი სიყვარულითა და მეგობრების გამოხატვით.

მამა თავისუფლებაში ცხოვრობდა, მაგრამ ამ თავისუფლებასაც გააჩნდა თავისი მუხრუჭები: ნორმა, კანონი და რეგლამენტი, ეს არ იყო იოლი თავისუფლება, უდარდებლობა, გართობა, რომელიც ერთხანს ცაში აგაფრენს, სივრცესა და დროში გაგიტაცებს, მაგრამ მერე თავის მკაცრ რეალობას მთელ პასუხისმგებლობით გაგრძნობინებს.

მე მემკვიდრეობად მივიღე მამაჩემის ნოსტალგიურობა და სადაც არ უნდა წავსულიყავი, როგორც მსუბუქ სამგზავრო ჩანთას, სულ თან დავატარებდი, ეს ისეთი ტვირთია, რომელიც გამძიმებს, ზოგჯერ განუხებს კიდევაც, მაგრამ ვერასდროს გაბედავ მიატოვო!!

ამ თვალსაზრისით ჩემთვის სამაგალითოა ჯონ მალხაზ შალიკაშვილის პიროვნება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სამხედრო მოხელე იყო და დიდი სიყვარულით უყვარდა თავისი წინაპრების სამშობლო.

ასევე ითქმის გივი ზალდასტანიშვილზე, რომელიც ბოსტონისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის დახმარებით თავს არ ზოგავდა, რომ დაეარსებინდა საწარმოს კადრების მოსამზადებელი სკოლა თბილისში და დააარსა კიდევაც.

ცოტანი ვიყავით თუ ბევრნი, ჩვენ იმას ვაკეთებდით, რაც ხელგვე-
ნიფებოდა. ახალგაზრდობაში, ქართველ ოჯახებთან ერთად მივემგზა-
ვრებოდით ალპებში, რომელიც ძალიან ჰგავს საქართველოს ბუნებას.
ელისე პატარიძე არასოდეს წავიდოდა სასეირნოდ ისე, რომ თან არ
წაეღო ბოთლი ღვინო და რამდენიმე ჭიქა. ამ უზარმაზარ სივრცეში
ძალიან ცოტა მოსეირნეს თუ გადააწყდებოდით, მაგრამ თუ ვინმე
შეგვხვდებოდა, მაშინ ელისე უცნობს ჭიქა ღვინით უმასპინძლდებოდა,
ოღონდ დაღევამდე ჯერ საფრანგეთი-საქართველოს სადღეგრძელო
უნდა ეთქვათ, არადა ხშირად ამ უცნობებმა არც კი იცოდნენ, რა იყო
ან სად იყო საქართველო.

ალბათ ჩვენი სიცოცხლისუნარიანობის მთავარი ძალა არსებობის
დაუოკებელი ჟინია, ვიცოცხლოთ ყველასთვის და ყველას წინააღმდეგ.
ის ჩვენ გვაცოცხლებს, ბიძგს გვაძლევს, ძალას გვმატებს რომ საკუთარ
თავს ვაჯობოთ. ქართველს სჭირდება ხმამაღლა იყვიროს - „მე ქა-
რთველი ვარ!“, იმისათვის რომ არსებობა განაგრძოს, რომ თავი გამოი-
ჩინოს, თავი წარმოაჩინოს, მოხიბლოს, თავი შეაყვაროს, თავისი ძალის,
სიმამაცის, ინტელიგენტობის და ხანდახან მსუბუქი ტყუილის, მაგრამ
დიდი ნიჭის წყალობით. ყველგან, ხშირად შორსაც, სუბიშვილების მო-
ცეკვავეებს თუ სხვა მომღერლებსა და მოცეკვავეებს, ხელოვან ადამი-
ანებს, სპორტსმენებს, ყველას ჩაბეჭდილი აქვს გონებაში და კუნთებ-
შიც ის ჟინი, რომ საკუთარ თავს უნდა გადააჭარბონ.

ჩვენ განსაკუთრებული ტიპის ჰომო საპიენსები ვართ. აურაცხელი
ომების, დამპყრობლების, ჟლეტვისა და ყველანაირი შეურაცყოფის
მიუხედავად გადარჩენილები. ჩვენ გადავრჩით, რადგან ჩვენს მითებს
ვართ მიჯაჭვულნი, როგორც ალბინისტები ეჯაჭვებიან მთებს, ამინდის,
ქარიშხლისა თუ გრიგალის მიუხედავად. აქ საგმირო არაფერია. ჩვენ
კაცობრიობის განსაკუთრებული შტოს წარმომადგენლები ვართ.

რაც არ უნდა იყოს, ტანჯვისა და მარცხის გარდა, დიდი ემოციების
მომენტებიც გვაქვს, და ამას დიდი ნუგეში მოაქვს. როცა ქართულ
დროშას ნიუ-იორკის გაეროს ბიუროს თავზე აფრიალებულს ვხედავ,
ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სიმბოლო. ერების სამყარო ჩვენც
გვალღობს, როგორც თავის ნაწილს. როცა ხედავ ქართულ დროშას
პარიზის ერთ-ერთი შენობის თავზე და ამბობ, აქ საქართველოს საელ-
ჩოა, შედიხარ და მიუხედავად მოკრძალებული გარემოსი, იქ ღირსების
ატმოსფეროა გამეფებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვალღობენ
არა როგორც უბრალო-ხალხს, არამედ როგორც ერს. ამით ნამდვილად

შეგვიძლია ვიამაყოთ.

მე მივიღე საფრანგეთის პირველი ელჩი საქართველოში, მოვიწვიე ოთარ ამილახვარი და არსებულ სიტუაციაზე ვისაუბრეთ. უცანურია როცა ვფიქრობ, რომ ეს კაცი იყო სამხედრო ოფიცერი, რუსეთში საფრანგეთის ყოფილი სამხედრო ატაშე და მან წინასწარ განჭვრიტა მოვლენების განვითარება. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ყოფნისას ერთხელ მას შეეკითხნენ, საით იყო მისი საბოლოო გეზი, საქართველოო, მან უპასუხა და ამაზე მის თანამშრომლებს სიცილი აუტყდათ. და ეს საბჭოთა კავშირის დროს მოხდა. მე მას წარვუდგინე თბილისში მყოფი იმ ადამიანების სია, რომლებსაც ვიცნობდი და რომლებიც ორ ენაზე საუბრობდნენ და წარმატება ვუსურვე, ჩემი ვალი შესრულებული იყო. სხვა ეპოქა იწყებოდა, ახალი გამოწვევებით, ახალი ხალხით, ახალი საშუალებებით. ეს ჩემი საქმე უკვე აღარ იყო.

სუფრა

ვთქვი და კვლავ ვადასტურებ: მართალია რუსეთი იყო კოლონიზატორი, დამპყრობელი, დესპოტი, რომელმაც აგონიაში მყოფი საქართველოს სამეფო იმპერიის პროვინციად აქცია, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ის ყოველთვის უმადური არ ყოფილა ქართველების მიმართ. რაც ამ ორ სახელმწიფოს ერთმანეთისგან ამორებს, ეს ის კოლექტიური და ისტორიული კონცეფციაა, რომელიც მათ როგორც ერს შეეხება, მაგრამ ის რაც მათ აერთიანებს, მათი როგორც ხალხის ყოველდღიური ცხოვრებაა.

თუ საქართველოს სურდა უზრუნველყო ხალხის თანამედროვე ერად გარდაქმნა, პირველ რიგში მისი მთავარი ნაკლისაგან უნდა განთავისუფლებულიყო: ეს კი საკუთარ უბედურებაში მუდმივად სხვისი დადანაშაულებასა და კომფორტული ალიბის შექმნაში მდგომარეობს. ისტორიული კავშირის წყვეტა საზოგადოებას ანგრევს და შემდეგ თავისებურად აყალიბებს თავისი სისხლიანი დრამების კორტეჟით. იმ დესპოტურ მიმდინარეობებს, რომელიც საზოგადოებას დაატყდება თავს, უკვალოდ არ ჩაუვლია. დატოვებული ნაკვალევიდან ზოგი სამარცხვინო, ზოგი კი საამაყოა. მეომარ ერთა გზაჯვარედინზე, საქართველო ხშირად იყო გაუჩინარების რისკის ქვეშ, რადგანაც ხშირად არჩევნის გაკეთება კარგსა და ცუდს შორს კი არ გვინევდა, არამედ ცუდსა და

უარესს შორის.

მოდით, თავი დავანებოთ პარადოქსულ მისწრაფებებს. ჩვენ ვოცნებობთ ევროპაზე, რადგანაც ჩვენი გლობალიზაციის საზოგადოება ამისკენ გვიბიძგებს, ეს ბუნებრივი სვლაა, როგორც მდინარე მოედინება მთიდან. ჩვენ ვოცნებობთ ევროპელობაზე, მაგრამ ევროპა შორსაა და მასთან არანაირი საზღვარი არ გვაქვს. ევროპა ჩვენთვის ფიზიკურად დახურულია, ამიტომ მხოლოდ ერთი გამოსავალი გვაქვს: გავითავისოთ მისი ცივილიზაცია, მივიღოთ მისი ფუნქციონირების მოდელი, არა მარტო მისი ინტელექტუალური და მორალური სტრუქტურით, არამედ მისი საუკუნოვანი სწავლების მიერ მიღებული პრაქტიკით, რომელიც ჩვენ ვერ გავიზიარეთ, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ ერთი მიზანი გვქონდა – გადავრჩენილიყავით, როგორც ერი მიუხედავად დაპყრობებისა და იძულებითი იზოლაციისა.

საქართველო, რომელიც პირველად მოვინახულე 1972 წელს, დიდად არ განსხვავდებოდა შემდგომში, 90-იანი წლებისაგან. ევროპა ჩვენგან ჯერ კიდევ შორს რჩებოდა. საზოგადოება, როგორც იმ დროინდელი სისტემის ნაყოფი, თანამედროვეობის ელემენტს თითქმის არ ატარებდა. თავის გასამართლებლად, რაც არ უნდა გვემეორებინა, რომ ეს სხვების ბრალი იყო: კომუნიზმის, რუსების ან კიდევ არც ვიცი ვისი, ან რისი, ის რომ ტროტუარების სწორხაზოვნად გაკეთება და სუფთა საპირფარეოების მოწყობა არ შეგვეძლო და ის რომ ქვეყანა არ მოგვეერთო ათას ერთი საშინელებით და უშნო ნაგებობებით, ეს ნამდვილად ჩვენი ბრალი იყო და ჩვენი აზროვნების დეფიციტიც.

მაგრამ მოდით, დავრჩეთ ობიექტურები, ეს ყველაფერი იმ იზოლაციის შედეგი იყო, რომელმაც უმოძრაოდ დაგვტოვა დიდი ხნის განმავლობაში, ქართული ელიტა და მისი ხედვის კუთხე მხოლოდ რუსეთისკენ იყო მიპყრობილი.

პარადოქსი მდგომარეობს რუსეთსა და საქართველოს დაშორების შორებაში: ეს სიძულვილისა და სიყვარულის ნაზავია და ხანდახან საერთო ზიზღიც. რუსებს ჩვენ ისე ვუყვარვართ რომ სულ გვიხუთავენ. ჩვენ იმის განსახიერება ვართ, რაც ისინი ვერ იქნებიან: მხიარულები, ელეგანტურები, ცეცხლოვნები, უდარდელები, შეყვარებულები, ენერგიულები. ჩვენ იმის განსახიერება ვართ, რაც თავიანთ კოლექტიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე მეტად აკლიათ – სხვების პატივისცემა. მათ კი ის აქვთ, რაც ჩვენ არ გვაქვს, მათი ტერიტორიების სიმდიდრე. დასანანია რომ ისინი ყოველთვის წინაპრებისეულ გზას

ირჩევენ: ძალადობისა და ძალის გამოყენებით თავიანთი სისუსტის დამალვის სტრატეგიას.

ვუყურებ დღევანდელ საქართველოს და მიხარია, რომ ბევრ იმედისმომცემ წინსვლას ვამჩნევ. ნელ-ნელა ახალი ქვეყანა შენდება, ესთეტიკის და ქცევის ევროპული პრინციპებით. მე აღარ ვაიგივებ ჩემს ერს უნარშეზღუდულ ბავშვთან, მე მას იმედისმომცემ მოზარდს ვადარებ, რომელსაც დიდი მომავალი ელის. მომწონს ღამით განათებული თბილისის მონახულება, მე ხომ ის სრულიად ჩამქრალი და ბნელში გახვეულიც ხშირად მინახავს! მომწონს განათებულ მაღაზიებში საერთაშორისო ბრენდების ყიდვა რომ შეიძლება. ვგრძნობ რომ თანამედროვე სამყაროს კულტურის მარცვლები ჩაბნეულია და წინსვლისკენ უბიძგებს საზოგადოების ყველა ფენას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, ნიჭით სავსე, ამაყ და დახვეწილ თაობას. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ სიღარიბე აღმოიფხვრას. ბევრია გასაკეთებელი ქალაქების ასაშენებლად და კომფორტის განსავითარებლად. კიდევ ბევრი ძალისხმევა გვჭირდება იმისათვის, რომ დაეუახლოვდეთ ევროპულ ნორმებს, ისე რომ არ ვუღალატოთ ჩვენს კულტურულ მეობას და ვიყოთ იმის შესაბამისობაში, რაც გვინდა რომ ვიყოთ.

მართალია ევროპის, როგორც ერთა გაერთიანების კარი, ჩვენთვის ჯერ მთლად გახსნილი არაა, მაგრამ ის ქართველთათვის მომავლის იმედია და დემოკრატიის მისაბამ მაგალითად რჩება. თავისი პოლიტიკურად მიუკერძოებელი სასამართლოებით, ინფორმაციული წყაროებისა და მედიის მრავალფეროვნებით და მრავალფეროვნების პატივისცემით. ეს გრძელი გზაა, მაგრამ მითები რომელსაც მივეჯაჭვებთ საუკუნეების განმავლობაში და ჩვენი ხალხის ტრადიციები სწორი გზის პოვნაში დაგვეხმარებიან, ისე უნდა ვქნათ, რომ ჩვენმა მითებმა და ტრადიციებმა ხელ-ფეხი კი არ შეგვიკრან, პირიქით ჩვენი ამბიციების წყარო გახდნენ. თუ ჩვენ ამ გზას სათანადო სიბრძნითა და სითამამით გავივლით, ევროპის პატივისცემასაც მოვიპოვებთ.

ნეტავ იქნება ეს საკმარისი? ჩვენი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობით, ჩვენ ყველაზე პატარა დემოკრატიული ქვეყანა ვაჩვენებით? ჩვენ ხომ რუსულ და თურქულ თეოკრატიულ ძალაუფლებებს შორის ზღვაში მოტივტივე საცობივით ვარ. ნატოს კარიც დახურულია ჩვენთვის, იმიტომ კი არა რომ უმრავლესობას ეს არ უნდა, არამედ იმიტომ რომ იქ შესვლა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავს, რომელიც ძვირად დაგვიჯდება. მას კი კიდევ ერთი მიზეზი ექნება სიამოვნებით

მოახდინოს ტრაქტატის მეხუთე მუხლის პროვოცირება, თანაც იცის საქართველოს დასახმარებლად მისი პარტნიორები თავს არ შეინუხებენ. ჯერჯერობით, ნატო ერთგულად იცავს ჯონ შალიკაშვილის მიერ დაფუძნებულ დოქტრინას, არადა პარადოქსია, ამერიკულ არმიაში გენერალური შტაბის უფროსს არ სურდა ნატოში ძველი საბჭოთა რესპუბლიკების შესვლა, იმიტომ, რომ ამით რუსეთის მტრად არ ქცეულიყო. ნატოსთან ფაქტობრივად ალიანსი ჩვენთვის აუცილებელი იყო იმისათვის, რომ თანამედროვე არმია შეგვექმნა, კარგად მომზადებული, პროფესიონალი ოფიცრებითა და ჯარისკაცებით. ის ასევე აუცილებელი იყო აღჭურვილობისთვის, ძვირადღირებული და დახვეწილი ტექნიკის მისაღებად. თუმცა ეს კავშირი ურთიერთ ვალდებულებებსაც მოიცავს: მიიღო მონაწილეობა ისეთ ომებში, რომელიც ჩვენ ან საერთოდ არ შეგვეხება ან კი ძალიან ირიბად. ამაზე ნამდვილად ღირს მსჯელობა. რადგანაც არჩევანის გაკეთება ორ ძალას შორის გვინევს, ჩვენ დასავლური ცივილიზაციის გზას ვირჩევთ. თუმცა, წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ ევროპულ საზოგადოებასაც თავისი ხაფაგები აქვს. ის უპირატესობას ანიჭებს მოქალაქის ცნებას, ინდივიდს, როგორც საზოგადოების შიგნით მთავარ ერთიანობას. მაგრამ ზედმეტი ინდივიდუალიზმი აზიანებს საზოგადოებრიობის ფესვებს. მართალია, ლიბერალური ეკონომიკა ხელს უწყობს ინიციატივებს, რისკს და ოპტიმიზმს საზოგადოების შიგნით, მაგრამ ზედმეტი ლიბერალიზმი ანადგურებს სახელმწიფოს ფუნქციას, მის რეგალიურ მიდრეკილებებს სოლიდარობისადმი.

მნიშვნელოვანია რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ იმოგზაუროს თანამედროვე ქვეყნებში, ნახოს, შეისწავლოს და შეიგრძნოს ახალი სტილი, ტენდენციები და შემდეგ დაუბრუნდნენ თავიანთ ქვეყანას ახალი იდეებით.

მხოლოდ დროსთან ერთად მივალწევთ ამ წონასწორობას, ჰარმონიას. დრო და მონდომება გვჭირდება იმისათვის, რომ ჩვენი ტრადიციები არ დავეკარგოთ. მე ამის იმედი მაქვს. მე მჯერა ამის, რადგანაც ჩვენი ახალგაზრდები დიდ წარმატებებს აღწევენ თავიანთ სპეციალობებში. მათი წყალობით საქართველოზე ხშირად საუბრობენ ევროპასა და ამერიკაში. მე მჯერა ამის, რადგანაც ვხედავ როგორ ინტერესდება სამყარო ჩვენი ტრადიციებით, ჩვენი ბუნებითა და ღვინით. მჯერა იმ რიტმის რომლითაც საქართველო იცვლება, და არ დამვიწყებია რომ ამ მიღწევებს მიღმა დიდი სამუშაო, დიდი ძალისხმევა, ტკივილი და მსხვერპლშეწირვა იმალება.

მაშ, როგორი იქნება ხვალინდელი საქართველო?

ჩვენ პატარა ერი ვართ. ეს დიდად სახარბიელო არაა. სამყაროს მოსახლეობა 140 მილიონით იზრდება ყოველ წელს, მაშინ როცა 60 მილიონია გარდაცვლილთა რაოდენობა. ამით იმის თქმა მიწადა, რომ ყოველ წელს, მსოფლიო მოსახლეობის რიცხვი 80 მილიონით მატულობს. ერთი საუკუნის შემდეგ, 1950 წლიდან 2150 წლამდე მოსახლეობის რიცხვი 2,5 მილიარდიდან 10 მილიარდამდე გაიზრდება. არავის ძალუძს წინასწარ განსაზღვროს ამ დემოგრაფიული ზენოლის შედეგი და ძალადობა, რაც ამან შეიძლება გამოიწვიოს. მაგრამ ერთი რამ ნათელია, ასეთ სამყაროში ცხოვრება შეუძებელი იქნება თუ ადამიანი არ დაიცავს გარემოს, თუ ისე გააგრძელებს ცხოვრებას თითქოს მისი მპყრობელი იყოს და იმპერიალისტით გაანადგურებს მცენარეულ თუ ცხოველურ არსებებს. გარემოს დაცვა ისეთივე წმინდა უნდა გახდეს ჩვენთვის, როგორც ჩვენი პოლიფონიური სიმღერების და ჩვენი რწმენის დაცვაა. განვითარების ყველა სტრატეგია მიმართული უნდა იყოს ეკოლოგიაზე. ტრანსპორტი, ენერჯია, მეურნეობა, ურბანიზმი, ინდუსტრია, ყველაფერი ამ სპექტრში უნდა განიხილებოდეს. ყველაფერი კი, საბჭოთა წყობიდან მემკვიდრეობად მიღებული, გამოუსადეგარი ნანგრევები უნდა მოვამოროთ ქვეყნიდან: ძველი ქარხნები, მიტოვებული შენობები. სოფელში სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას. ამ სტრატეგიის მიხედვით ის რომ პატარა ერი ვართ, კარგიც კია. ჩვენი დევიზი ქვეყნის გასუფთავება უნდა გახდეს.

საქართველომ სახელი უნდა გაითქვას, როგორც გარემოს მცველმა. ეს ჩვენი ნიჭის ფანტასტიური დემონსტრირება იქნება და ამავე დროულად ტურიზმსა და საკვებ ნივთიერებების ექსპორტში ხარისხის ნიშანიც გავხდებით.

მაგრამ მარტო ეს არ კმარა, მსოფლიო ბაზარს მორგებული წარმოებაც უნდა განვავითაროთ, ამით ტექნოლოგიურადაც წინ წავალთ და ჩვენი მომსახურებაც დაიხვეწება. ხარისხიანი სამუშაო ადგილებიც გაჩნდება და კაპიტალსაც მოვიზიდავთ.

საჰაერო ნავიგაციის განვითარებაზე უკვე გესაუბრეთ, მაგრამ ნეტავ ამის ტრადიცია და ცოდნა კიდევ შემოგვრჩა? ჯერ კიდევ არის ისეთი სფეროები, სადაც კრეატიულობა შეიძლება იყოს წინაპართა დანატოვარი საქმეთა გაგრძელება, მაგ. ისეთი როგორიცაა დროთა განმავლობაში რთულად საპოვნინი სამედიცინო ბალახები, ბუნებრივი არომატები და ყველა ის საქმიანობა რომელიც ჯანმრთელობასთანაა

დაკავშირებული.

საავტომობილო ინდუსტრიაშიც შეგვძლია ძალების მოსინჯვა: სპეციალური ორხიდიანი და ასევე ყველგანმავალი მსუბუქი მანქანების წარმოება, საკოლექციო მანქანების შეკეთება, რომელიც მოხრეხებულ ხელოსნებს მოითხოვს, აი რა შეიძლება გახდეს ჩვენი ნიშა მსოფლიო ბაზარზე. იმის თქმა მინდა, რომ უამრავი საქმიანობა არსებობს, რომლითაც მცირე საწარმოებს შევქმნით. ჩვენთან მუშახელი ხომ იაფი და ხარისხიანია. გარდა ამისა, ეკონომიკის სამინისტრომ ისეთი სერვისი უნდა შექმნას, რომელიც ახალ ტვინებს მოძებნის და მათ დაუკავშირდება, როგორც ეს ისრაელმა გააკეთა, რომელმაც არაფრისგან მაღალხარისხიანი ტექნოლოგიური ინდუსტრია ააგო.

მართალია, ჩვენ პატარა ერი ვართ, მაგრამ ეს შანსიცაა, ჩვენი ეკონომიკა ეხლა იწყებს შენებას. თავში რამდენიმე მაგალითი მიტრიალებს: სინგაპური თავისი დინამიური ეკოლოგიით, ახალი ზელანდია თავისი ეკონომიური სტრატეგიით. ჩვენც შეგვიძლია იგივეს გაკეთება თუ უკეთესის არა. ახალი ტექნოლოგიებისა და ენერჯების დარგში, ტურიზმში (თბილისი კონგრესების ქალაქი), სოფლის მეურნეობის დარგებში და ეკოლოგიურ-ესთეტიური სტრატეგიებში. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთი გენერალური მიზანი უნდა დავისახოთ: რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გავხდეთ დემოკრატიის სანიმუშო მაგალითი ისეთ გარემოში სადაც ეს არ არსებობს.

ბოლო წლებში მომხდარმა მოვლენებმა და ეკონომიკურმა სიძნელებებმა ბევრი თანამოქალაქე აიძულა წასულიყო საზღვარგარეთ საკმაოდ რთულ პირობებში და ხშირად სახიფათოშიც. მაგრამ ბედნიერებას ემიგრაციაში ვერ იპოვი. მე მაქვს ამის გამოცდლება ჩემი მშობლების მაგალითზე. ზოგისთვის ეს შანსიც კია. ვხედავ ევროპასა და ამერიკაში ახალგაზრდებს, რომლებიც საამაყო წარმატებებს აღწევენ, მართალია, ისინი მიმღები ქვეყნის მოქალაქეობას იღებენ, მაგრამ შეუძლიათ კი დაივინყონ თავიანთი წარმომავლობა? რაღა თქმა უნდა, არა.

ორმაგი მოქალაქეობის საკითხზეც უნდა დავფიქრდეთ. ქართული ადმინისტრაცია საკმაოდ გულგრილია ამ საკითხისადმი და ნათლად არ ხსნის თავის პოზიციის მიზეზს. მათთვის, ვინც საზღვარგარეთ დიბადა, როგორც მე, ან ის ვინც საზღვარგარეთ დარჩა, რა რისკებთანაა დაკავშირებული ეს ორმაგი მოქალაქეობა გარდა იმისა რომ გარკვეული ტიპის თანამდებობებზე ვერ წამოაყენებს თავის კანდიდატურას, მაგალითად: დეპუტატად ან სახლმწიფოს პრეზიდენტად? რატომ უნდა

გავწყვიტოთ ის ორგანული კავშირი, რომელიც ფსიქოლოგიურადაც მნიშვნელოვანია? ამ საკითხზე კითხვა დავუსვი სათანადო ადამიანებს, მაგრამ დღემდე არ მიმიღია პასუხი. ამ პატარა წიგნაკის ბოლოს მოცემულია იმ ქართველთა სია რომელთა ცხედრებიც ლევილის სასაფლაოზე განისვენებს. არც კი ვიცოდი თუ ამდენი იყვნენ. უმრავლესობა სიცოცხლის ბოლომდე აპარტიდად დარჩა, უსამშობლოდ, რადგანაც საქართველო, საბჭოთა კავშირის ქვეყანა იყო და დამოუკიდებელ ქვეყნად არ ითვლებოდა. არსებული სტატუსი მათ აძლევდათ იდენტობას მაგრამ უკრძალავდა ხმის მიცემას. ამგვარად, ჩვენს მშობლებს და ბევრ ჩვენგანს, არასოდეს მიუღია მონაწილეობა არჩევნებში, მათ იცხოვრეს და დაიღუპნენ სამშობლოს გარეშე. კარგი იქნება თუ თითოეული მათგანი აღიარებული იქნება, როგორც საქართველოს მოქალაქე, ამით არანაირი უფლება არ შეეძინებათ მათ შთამომავლებს. ამას იმიტომ ვამბობ რომ ერთ დღეს, ჩემი ბაბუის, ივანე გომართელის, სახლის მონახულებისას, რომელსაც მე არ ვიცნობდი, მივხვდი რომ ადამიანებს, რომლებიც ამ სახლში ცხოვრობდნენ, შეეშინდათ ჩემი წინაპრების ქონებაზე პრეტენზია არ განმეცხადებინა.

რამდენიმე სიტყვა „ახალი საქართველოს“ დროშაზე.

ეს ის დროშა არაა, რომელიც ჩვენი საბრალო ემიგრანტების კუბოებზე იყო დასვენებული, ისინი, რომლებიც მიიცვალნენ ისე, რომ სამშობლო ვეღარ ნახეს. ეს ის დროშა არაა, რომელიც ფრიალებდა საქართველოს დამოუკიდებლობის მანიფესტაციებში. ეს არ არის ის დროშა, რომელიც ნიუ იორკის გაეროს ოფისის შენობაზე შევამჩნიე. მესმის რომ ახალი ფერები ქვეყნის ახალ მიზნებს გამოხატავს, და ნაკლებ სევდიანიცაა. მაგრამ ხომ არ შეიძლება წარსულის მოგონებებს ერთიანად გადავუსვათ ხაზი? შეგვეძლო პატარა კუთხე გამოგვეძენა შავი და ბორდოსფერი ლენტისთვის, როგორც ისტორიის და იმ ადამიანების მოგონების სიმბოლო, რომლებიც ჩვენგან სამუდამო ხსოვნას იმსახურებენ.

იგივე შემიძლია ვთქვა ეროვნულ ჰიმნზეც. მე „ჩემო კარგო ქვეყანა“ მერჩივნა, მაგრამ სურვილი ჩემთან დარჩება.

და ბოლოს, მინდა ვისაუბრო მიტაცებულ რეგიონებზეც: სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე. აფხაზები ისევე როგორც ოსები, დამარცხე-

ბულნი დარჩნენ თავიანთი არჩევნით და იმპერიალისტურ რუსეთთან მანიპულაციებით. იმპერიალისტი, ნითელი იქნება თუ თეთრი, დრომოჭმული და დამანგრეველი, ის ძალისხმევას არ იშურებს, რომ ისევ ერთადერთ უხეშ ძალად მოგვევლინოს. ეს არის უზადრუჟი ძალაუფლება, რომელიც თავისივე თაობებს წირავს და თავისი პროპაგანდისტური იდეოლოგიის წყალობით მათ ილუზიებს უქმნის. მაგრამ ახალგაზრდობა რჩება თავისუფლებისა და დემოკრატიის მომავლად. ერთ მშვენიერ დღეს, ეს ახალგაზრდობა აღსდგება და განდევნის დესპოტებს, მაფიოზებს, მილიარდელებს. ამ დღეს ქართველები მათ გვერდში დაუდგებიან და დიალოგიც შედგება.

აი, ასე! ჩემი მოგონებების მოგზაურობა მთავრდება დიდი ემოციებით, რადგანაც დიდი სიხარული განვიცადე, როდესაც ჩემმა ხალხმა თავისუფლება მოიპოვა. მე მასთან ერთად ვიტანჯებოდი, როდესაც ის ქედმოხრილი, უნიათო მთავრობის და უსინდისო ხალხის ხელში იმყოფებოდა და არ იცავდა დემოკრატიასა და საზოგადოებას. მე არაფერი მომითხოვია იმისათვის, რომ თავისუფალი ვყოფილიყავი და ბოროტად არ გამომეყენებინა ჩემი უფლებები, ვიხდიდი ვიზის საფასურს თითოეული მოგზაურობისას. ბოლო დროის მოვლენებს, დაძაბულობებს, ეჭვებს, შიშს ხანდახან ჩემი იმიჯიც შეუბღალავს და უნდობლობაც გამოუწვევია, მაგრამ არა მგონია ბევრი შეცდომა დამეშვა, მიუხედავად იმისა რომ ჩვენი აზროვნება ორ სხვადასხვა გარემოს ნაყოფი იყო. მე ყოველთვის ვსაუბრობდი ჩვენობით ფორმით, ვამბობდი „ჩვენ“ ქართველებზე საუბრისას, თვით ყველაზე ცუდ მომენტებშიც კი. ყველა კეთილი არ აღმოჩნდა ჩემს მიმართ. მაგრამ მათგან მოყენებული ტკივილი არაფერია იმ სიამოვნებასთან შედარებთ, რომელიც იმ ფაქტით მივიღე, რომ შევძელი ბოლომდე ამესრულებინა მემკვიდრეობად მიღებული მშობლების ოცნება და სულის სიღრმეში სიმშვიდემაც დაისადგურა.

თბილისში უკვე როგორც დამთვალეირებელი, ისე ვბრუნდები ხოლმე და არა როგორც ერთ-ერთი მოქმედი გმირი. უცნაური შეგრძნებაა, როცა გრძნობ რომ მოვლენების განვითარების მიღმა დარჩი.

გონებაში მიტივტივებს გენერალ დე გოლის სიტყვები რომელიც ყველას შეეხება: „მოხუცი ადამიანი, გადატანილი გამოცდების შემდეგ, საქმეს ჩამოშორებული, გრძნობს როგორ ისადგურებს მასში სამუდამო სიცივე, მაგრამ არასოდეს ბეზრდება ჩრდილში მყოფმა უდარაჯოს იმედის ნაპერწკალს“.

ჩვენ დავხურეთ განმათავისუფლებელი ისტორიის თავი, იმ გათავი-

სუფლების, რომლისაც არავის ეჯერა და რომელიც ჩვენ მაინც მოვახერხეთ, რადგანაც ეს ყველაზე მეტად გვინდოდა. ესლა უნდა ვაშენოთ თავისუფალი მოქალაქეებით შემდგარი თავისუფალი საზოგადოება. ეს პატარა საქმე არაა. ერთია მიისწრაფოდე ევროპული მოდელისკენ და მეორეა გახდე ევროპელი. ევროპელობა მხოლოდ კონსტიტუციის მთავარი უფლებებით არ განისაზღვრება. ამას სჭირდება ათასობით კანონი და ათობით ათასი ნორმა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება ჩამოყალიბდება ეკონომიკური და ტექნიკური თვალსაზრისით და ამ გზით შეიქმნება ახალი სამოქალაქო აზროვნება. ამ მხრივ, ბევრია გასაკეთებელი და ამას ნიჭიც და დროც სჭირდება. სწორედ ამას ელოდება ევროპა.

თუ სულიერება, რელიგია შეადგენს საზოგადოების მთავარ ფუნდამენტს, ეს საკმარისი არაა. ამ ავტორიტეტის გარდა, კანონიც გვჭირდება. ამ ორ ცნებას შორის, რომელთაგან თითოეული მნიშვნელოვანია არსებობს ეთიკური ზღვარი. ქართულ საზოგადოებას ჯერ კიდევ ნაკლებად აქვს ევროპული სამოქალაქო შეგნება. გზა ჯერ კიდევ გრძელია და ამ კულტურისთვის საკმაოდ სახიფათო. ეს ხელს გვიშლის გავხდეთ სამაგალითონი პიროვნულ ქცევამი, რომელიც თუ ჯერ არ არსებული კანონითა და ნორმებით ვერ იქნება განპირობებული, მაშინ უნდა ეფუძნებოდეს მორალს - „ქართველი ამას არ ჩაიდენს“.

ბევრმა ახალგაზრდა ერმა აიარჩია ეს გზა და წარმატებასაც მიაღწია, ზოგს არ აღმოაჩნდა ეს ინდივიდუალური და კოლექტიური დისციპლინა და მარცხი განიცადა.

იმ ნიჭიერი ადამიანების სახელით, რომელიც ამ ერმა შვა და იმ მინის სიყვარულის სახელით, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია, ისტორიამ თავისი გზა იპოვა. გუშინ პატარა ქალაქის მერთან ერთად ვივახშმე. საუბრისას შემეკითხა, ქართველი ხომ არ ვიყავი, მეც დავუდასტურე. მან ხელი გამომიწოდა და ჩამომართვა თითქოს მეუბნებოდა „ბრავო“.

ჩემი მონათხრობით, მასში ჩადებული ემოციებით შევძელი გამეგრძელებინა მდუმარე დიალოგი მამაჩემთან. ცხოვრების დაისში დიალოგი მრავლად მქონდა, მაგრამ ეს უკანსკნელი ყველაზე ემოციურია. ჩემი რწმენა ასეთია: ჩვენ ვართ ქართველები და ეს ერთ ცხოვრებად ღირს.

ექს-ან-პროვანსი, 2017 წელი

მადლობას ვუხდის ყველას (ისინი მრავალრიცხოვანნი არიან), ვინც

დამეხმარა და მხარში ამომიდგა. საუკუნო ხსოვნა მათ, რომლებიც მშენებარე საქართველოს ვეღარ იხილავენ.

მადლობა ჩემს მეუღლეს, მარტინს, რომლის სიყვარულმა და მოთმინებამ საშუალება მომცა დადებული პირობა შემესრულებინა.

შორეული მზერითა და გულთან ახლოს

ჩემს სამშობლოს შორიდან შევყურებ არსებული დისტანციის გამო, მაგრამ მას ვგრძნობ გულთან ახლოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან შორს დავიბადე, საკუთარ ხალხს კარგად ვიცნობ. ვიცნობ მის ძალასა თუ მოლოდინს, მის სისუსტეებსა თუ მგრძობელობას, მის განსაცდელებსა და ტკივილს. ვიცი, რითი ამაცობს და რა ნაკლი აწუხებს.

ეს ძველი ცივილიზაციაა, რომელიც შორიდან მოდის, ასჯერ ააოხრეს და ასჯერვე აღსდგა საკუთარი ფერფლისგან. დღეს ის თავისუფალია და საკუთარი გზის პოვნას ცდილობს, მან ყველანაირი კავშირი განწყვიტა რეტროგრადულ სისტემასთან და პოლიტიკურად გაკოტრებულ ძალასთან. ვხედავ, როგორ ცდილობს შექმნას ახალი სისტემა, სისტემა, სადაც თითოეული ინდივიდი საკუთარი ნებითა და შეგნებით მოქალაქედ ყალიბდება. კარგად ვხვდები, რამხელა ძალისხმევაა საჭირო მორალური, ინტელექტუალური თუ პროფესიონალური თვალსაზრისით, როგორ ვეჯახებით ტრადიციებს, რომელიც იმ კულტურის ნაწილია, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა.

კომუნიზმმა შებღალა თავისუფლება, ლიბერალიზმს კი შეუძლია შებღალოს დემოკრატია. ვაჭრობასა და ფულზე დამყარებული ურთიერთობა აყალიბებს ძალასა და ინტერესებზე დაფუძნებულ ურთიერთობას, რომელიც ეწინააღმდეგება ყველაზე სუსტების ინტერესებს, კორუფცია ეწინააღმდეგება ერის ინტერესებს, ტყუილი კი მომავალს. მხოლოდ აზროვნებით, სიმართლის ძიებით, ყოველგვარი იდეოლოგიისა და პროპაგანდისგან გამიჯვნით, სიმშვიდით, სიბრძნითა და გეოპოლიტიკური და სტრატეგიული რეალობის გათვალისწინებით შეგვიძლია დავადგეთ სწორ გზას.

შეგვწევს კი ამის უნარი? რაღა თქმა უნდა, შეგვწევს! თუ დავაცხრობთ ერთის ეგოს და მეორეს ამბიციებს.

ჩვენ პატარა ერი ვართ რომელსაც, ევროპას, სლავურ სამყაროსა

და აზიას შორის ყოფნა, ჩვენდა საუბედუროდ, მემკვიდრეობად გვერგო. სამაგიეროდ, ეს ქმნის ჩვენს განსხვავებულობასაც და ჩვენს იდენტობასაც. ჩვენ უამრავი უპირატესობა გავაჩნია: კულტურა, ტრადიციები, რელიგია, გულუხვი და ხელგაშლილი საზოგადოება, ნოყიერი და მოსავლიანი მიწა და სხვადასხვა სამყაროსა და კულტურის გზაგასაყარზე განსაკუთრებული მდებარეობა, რომლის არსიც კარგად გვაქვს გააზრებული. ჩვენს მიწაზე იზრდება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ხალხი და რაც არ უნდა მოხდეს, მომავლის ყოველთვის გვჯერა.

უპირატესობები კი გვაქვს, მაგრამ გვჭირდება სწორად განვსაზღვროთ ჩვენი ეკონომიური განვითარების გზა, რომლის გარეშე ვერც საზოგადოება განვითარდება და ვერც სამართლიანი კულტურის დასამკვიდრებლად საჭირო მზაობას შევიძენთ.

მოდით, თავი დავანებოთ არარეალურ მოლოდინსა და ფანტაზიებს. ჩვენ ვართ პატარა, ცივ მონსტრებს შორის მარტო დარჩენილი ერი.

ჩვენ არჩევანი გავაკეთეთ ევროპული საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, მაგრამ ეს იძლევა გასაღებს ევროკავშირში შესასვლელად და ამის ლოგიკური მიზეზებიც არსებობს:

საქართველოს არ აქვს არანაირი გეოგრაფიული საზღვარი ევროკავშირთან.

არ გააჩნია საკმარისი ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური სიმნიფე, რაც მას ხელს უშლის შეუერთდეს ისეთ კავშირს, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 5-ჯერ ან 10-ჯერ აღემატება ჩვენსას.

სამაგიეროდ, ჩვენ შეგვიძლია განვავითაროთ ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სტრატეგიული თანამშრომლობა ევროპასთან. საქართველო წარმოადგენს ენერგეტიკული რესურსების გამტარ მთავარ ხიდს კასპიის ზღვიდან ევროპამდე, ხვალ ბუნებრივი აირის აზიიდან, დამაკავშირებელ გზას ირანთან, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანთან, რომელთა კონფლიქტშიც საქართველომ კეთილმოსურნე არბიტრის როლი უნდა შეასრულოს.

რაც შეეხება რუსეთს, მასთან გვაკავშირებს სიყვარულითა და სიძულვილით გაჯერებული კავშირები, რომელიც ჩამოყალიბდა ორსაუკუნოვანი ნაძალადევი თანაცხოვრების შედეგად და სადაც თითოეულს თავისი ამბივალენტური არგუმენტი აქვს.

რუსეთი უდიდესი ქვეყანაა, 30-ჯერ აღემატება საფრანგეთს და რუსები ამაში ხედავენ ქვეყნის ძლიერებას. სამაგიეროდ, საფრანგეთთან შედარებით რუსეთს მხოლოდ ორმაგი მოსახლეობა ყავს. ანუ სივრ-

ცვა ცარიელი, უკაცრიელი სტეპები, სადაც მხოლოდ ქარი ზუზუნებს, როგორც ძველ დროს იყო, დაპყრობითი ომების ხანაში. ეს კი ერთგვარი დაუცველობის განცდას აჩენს, რაც გამოიხატება ძლიერი და უხეში ცენტრის ძიებაში. რუსულ სულში ალყაში მოქცეულის განცდაა გამჯდარი და მუდმივი შიშით უყურებს შიგნითაც და გარეთაც, ამითი კი ხელისუფლება მუდამ მანიპულირებს. თუმცა, ის რაც უნინ იყო, დიდ წილად თანამედროვეობამ, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობამ საგრძნობლად შეცვალა.

სწორედ ამიტომ, უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან რუსეთი და რუსი ერი, მომავალი უკვე დაწერილია: მას რუსი ახალგაზრდობა ჰქვია.

და ამ დღეს რუსეთის ინტერესებშივე იქნება, რომ შიშის მაგივრად სიმპათიები მოიპოვოს, ყოველ შემთხვევაში თავის მეზობლებთან. საქართველო მხოლოდ მოგებული დარჩება ამ სიტუაციისგან, რადგანაც რუსეთის ბაზარი მისთვის ხელსაყრელია, არ დავივიწყოთ ათასობით ქართველი, რომელიც იქ ცხოვრობს და ათასობით რუსი, რომელიც საქართველოში ჩამოდის არდადეგების გასატარებლად.

მეორე ცრუ მოლოდინი, რომლისგანაც უნდა გავთავისუფლდეთ, ესაა ნატოში განწევრიანება. ეს უკანასკნელი ის მემკვიდრეობაა, რომელიც რუსეთთან ორგანული კავშირის განწყვეტამ დაგვიტოვა, რომელშიც თავს იყრის ყველა სანამლავი ეროვნებების, ეთნოსების, რეგიონალური და რელიგიური განსხვავებულობის სამართავად, სანამლავი, რომელიც ორმა ქართველმა დაგვიტოვა: სტალინმა და ბერიამ. ამ მემკვიდრეობამ, რომლის წარმომავლობას, პროვოკაციებსა და საბედისწერო მართვასაც ჩვენ კარგად ვიცნობთ, იმ პერიოდის არაცივილიზირებულ კონტექსტში მიგვიყვანა გარდაუვალ ომებამდე.

მაშასადამე, კითხვა, რომელიც უნდა დავსვათ არაა: უნდა შევიდეს თუ არა საქართველო ნატოში, არამედ – ვის სურს სიცოცხლის განწირვა საქართველოსთვის? ან კიდევ, საქართველო იმსახურებს თუ არა რომ დასავლური სამყარო და ევროკავშირი რუსეთთან ნაწყენი დარჩეს და განწიროს ყველანაირი კომერციული განვითარების პერსპექტივა? ევროკავშირი ყოველწლიურად 54 მილიარდი ევროს ოდენობის საქონელს ყიდულობს რუსეთისგან, რაც შეუძლებელი გახდება ეკონომიკური სანქციების შემთხვევაში.

ჯერჯერობით ახალგაზრდა ქართული ჯარის წვრთნა ნატოს დახმარებით ხდება, მასთან მჭიდრო თანამშრომლობა გვაკავშირებს აღჭურვილობის სანაცვლოდ, მაგრამ ეს ურთიერთობა არასოდეს წავა

რჩევებისა და ტრენინგების იქით.

სხვათა შორის, ესეც პარადოქსია, რომ სწორედ ქართული წარმოშობის ამერიკელი გენერალი, ჯონ შალიკაშვილი, აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელი, ნატოს ყოფილი მთავარი გენერალი საუბრობდა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ნატოში განევრიანების საფრთხის შესახებ.

ვფიქრობ, ჯერ ნაადრევია, უფრო მეტიც, უტოპიურია გვჯეროდეს ევროკავშირში განევრიანების. მართალია საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა რომ „საქართველოს საქმე უკვე მაგიდაზე დევს“, მაგრამ არ დაუზუსტებია, სად დგას მაგიდა?! ნატოში შესვლაც იგივენიერად თავის დამამშვიდებელი მითია, რომელიც დღევანდელ კონტექსტში სრულიად უადგილოა.

მაშ, საით ნავიდეთ?

ჩვენ უნდა გავხდეთ კავკასიის რეგიონის შვეიცარია. დამოუკიდებელი, ნეიტრალური, საჭირო ქვეყანა ევრო კავშირისთვის, თურქეთისთვის, რუსეთისთვის და ჩვენს ირგვლივ მყოფი შორეული თუ ახლობელი ქვეყნებისთვის. ჩვენ შეგვიძლია ამის მიღწევა თუ გავთავისუფლდებით ცრუ იმედისგან, რომ სხვები დაგვიცავენ, თუ თავს დავაღწევთ რუსეთისა და ამერიკული ჯარის მძევლად ყოფნას. ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავის რწმენა და იმედი უნდა გვქონდეს.

ცხადია, ამას თავისი ფასი აქვს.

მიზნად უნდა დავისახოთ, სამაგალითო გავხდეთ.

გავხდეთ მაგალითი ჩვენი ნეიტრალიტეტითა და მშვიდობის მაძიებლობით რეგიონსა და საერთაშორისო არენაზე.

გავხდეთ სამაგალითო ჩვენი დემოკრატიული ცხოვრებით, კეთილმოსურნეობით, სიმშვიდით, შრომისმოყვარეობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით.

ჩვენ უნდა გავხდეთ დემოკრატიის სივრცე, რომელიც ჟანგბადის ბალიშით იქნება მათთვის, ვინც ამას მოკლებულია.

ჩვენ უნდა ვიყოთ ეკონომიური ზრდის მაგალითი, რომელიც დაფუძნებული იქნება ტექნოლოგიების განვითარებასა და ეკოლოგიაზე, გარემოს დაცვასა და დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

გაოცებული ვადევნებ თვალს პარლამენტის სპექტაკლებსა და ზიზღიანარევ გამოსვლებს. პარლამენტი არაა კრივის რინგი. ის კანონების მიღებასა და მათ სწორ დაცვაზე უნდა ზრუნავდეს. ეს კიდე ერთხელ ამხელს მთავარი პირების ყმაწვილურ ქცევას და ადასტურებს, რომ არ

შეიძლება მათ მივანდოთ ეკონომიკური საკითხები.

ამაში არც განსაკუთრებული და არც ორიგინალური არაფერია. განვითარებული ერები მიხვდნენ, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთისგან უნდა გამიჯნულიყო. ომებისგან განადგურებულმა იაპონიამ, საფრანგეთმა და გერმანიამ დააარსეს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ ეკონომიკური საკითხებით დაკავდებოდნენ. მათი ავტორიტეტი და არსებობა კონსტიტუციით იქნებოდა დაცული და ვერანაირი პოლიტიკური დაძაბულობა ვერ მიაყენებდა ზიანს. ასეთი ორგანიზაცია MITI იაპონიაში (საერთაშორისო ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტრო) და Plan საფრანგეთში.

ჩვენ გვყავს ახალგაზრდები, რომლებმაც საუკეთესო ევროპულ უნივერსიტეტებში ისწავლეს, მაგრამ რომლებიც არ ბრუნდებიან საქართველოში, რადგანაც ის მათ არ სთავაზობს მათი კომპეტენციების შესაბამის ანაზღაურებას.

PLAN-ის მისიაა იზრუნოს ეკონომიური განვითარების მთავარ საკითხებზე და იპოვოს შესაბამისი ინვესტიციები, შესთავაზოს მთავრობას საკანონდებლო და აუცილებელი სარეგლამენტო ტექსტები, შექმნას ინტელექტუალური და ტექნიკური ბაზა თავიანთი ამბიციების მისაღწევად და ეს გრძელვადიან პერიოდში.

მე არ მეშინია გამოვხატო საკუთარი აზრი ადამიანების შესახებ. მე აღფრთოვანებული ვარ იმით, რაც გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა თავისი ქვეყნისთვის და ვნუხვარ იმ კრიტიკის გამო, რომელიც მის წინააღმდეგ ასე ძალადობრივად გაისმის ხოლმე. თუმცა თავს უფლებას ვაძლევ, მას მივცე რჩევა, რომ თავად იზრუნოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საბჭოს შექმნაზე, პოლიტიკა კი მიანდოს სხვებს. საჯარო ცხოვრების ეს ორი ღერძი ერთმანეთს არ უნდა შეერიოს. პირველი ჩრდილში მოღვაწეობს, მეორეს კი სინათლე იზიდავს.

რაც შეეხება ნაციონალისტებს, ისტორიამ დაგვანახა, რომ მათ უყვართ ომი და უბედურების კორტეჟი. რაც შეეხება „ვაჟკაცობას“, ეს ნოდება არაა და მხოლოდ შესაბამის სიტუაციაში მჟღავნდება.

წარმატების მისაღწევად გარკვეული პირობებია დასაცავი: პატიოსნება, საყოველთაო კეთილდღეობა, აღზრდა, კანონის პატივისცემა და დანერგვა, კეთილმოსურნეობა და მოთმინება.

საფრანგეთში დაბადებული
რამაზ პაპუაშვილი

დანართი

ელდარ ნადირაძის ძირითადი ნაშრომების

ბიბლიოგრაფია (1996-2018)⁹

1. საქართველოს ზოომორფული ძეგლები, Зооморфные памятники Грузии

110 გვერდი. 17 ილუსტრაციით. თსუ, 1996, ქართულ-რუსული გამოცემა

ნაშრომში განხილულია ზოომორფული (ცხვრისა და ცხენის) ქანდაკებანი, რომელიც ძირითადად გავრცელებულია სამხრეთ აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი). ამ ძეგლების კვლევის პრობლემას ქართველ მეცნიერთაგან შეეხენ: ე.თაყაიშვილი, ლ. მუსხელიშვილი. თ. ჩიქოვანი, გ.ჩიტაია, ლ. ბოჭორიშვილი. უცხოელთაგან – რ. ეფენდი, მ.ნეიმატოვა, ბ. ბრაუნი, ნ. დიარბე-ქირლი და სხვანი. ქართველ მეცნიერთა შეხედულებით (მ. სინაურიძის გამოკლებით), ეს ძეგლები წარმოადგენენ ქართული მატერიალური კულტურის პროდუქტს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ტიპოლოგიური სურათი უცხო ეთნიკური კულტურის ნიშნებს ატარებს, მათი ქართულ გარემოში ტრანსპლანტაცია და ადგილობრივი წარმოების ხასიათი თვალსაჩინოა.

თურქი და აზერბაიჯანელ მეცნიერთა შეხედულებით, რომელსაც ეთანხმება მ.სინაურიძე, ეს ძეგლები ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ თურქულენოვან მოსახლეობას და დროთა განმავლობაში იგი ქართულმა მოსახლეობამ მეორადი სახით გამოიყენა თავისი საჭიროებისათვის.

ე.ნადირაძე თავის ნაშრომში მონოგრაფიული მასშტაბით განიხილავს პრობლემა, წარმოადგენს ძეგლთა ისტორიოგრაფიული შესწავლის დონეს, იძლევა მათ ისტორიულ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ დახასიათებას, განიხილავს ძეგლებზე არსებულ სიმბოლოებს, (რომელიც ძირითადად ქართულ-ქრისტიანული სამყაროსთვისაა დამახასიათებელი – ჯვარი, ვაზი და მტევანი, ადგილობრივ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საგნები, ფრინველები, ქართული წარწერები), ქართული

⁹ ბიბლიოგრაფიაში ასახულია ავტორის მხოლოდ მონოგრაფიები, წიგნები, ბროშურები, კატალოგები და საერთაშორისო სიმპოზიუმებზე წაკითხული მოხსენებები.

ქვითხურობის ტრადიციებს, ნაშრომს ურთავს კატალოგს და ასკვნის, რომ საფლავის ქვის ზოომორფული ძეგლის იდეა ადვილი შესაძლებელია ქართველებს შეთვისებული ჰქონდეთ თურქმენული მოდგმის ტომებისაგან, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი იმდენადაა დახასიათებული ქართული ტრადიციული ხელოსნობის და ხელოვნების ნიშნებით, რომ მათი გამოცალკევება და ცალკე ქართულ ჯგუფად ჩამოყალიბება, ამ კვლევის შედეგად, სავსებით შესაძლებელია.

2. ხალხური ქვითხურობა იმერეთში

200 გვერდი, 38 ილუსტრაციით, თსუ, 2001.

ნაშრომში განხილულია ხალხური ხელოსნობის უძველესი დარგი ქვითხურობა და მასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ყოფაში დაფიქსირებული ნივთიერი მასალის დამზადებასა და მის უტილიტარულ დანიშნულებას. ნიგნში ქვითხურობა წარმოდგენილია ერთ-ერთ მასშტაბურ საქმიანობად, რომელიც დიდ როლს ასრულებდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ურთიერთობისას სტაბილურად ეკონომიკური დონის შენარჩუნებაში.

3. უდაბნო საღვთოთ შემოკრებულთა (ქართული ბერ-მონაზვნობის ისტორიიდან)

თ. ნადირაძესთან თანაავტორობით, 126 გვერდი, 16 ილუსტრაციით, გამომც. „ტრიადა“ 2001.

ნაშრომში განხილულია გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კორპორაციების ყოფა და სამეურნეო ურთიერთობების საკითხები. ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალის გაანალიზებით ავტორები წარმოადგენენ გარეჯის ოთხი კომპლექსის (ლაფრა, უდაბნო, დოდოს რქა, ნათლისმცემელი) სამინათმოქმედო საქმიანობასა და ჰიდროტექნიკურ სისტემებს. ავტორები გარეჯის ბერ-მონაზვნური სამონასტრო ცხოვრების ფონზე ეხებიან ქრისტიანობის ისტორიაში წამოჭრილ საკითხს – შრომისა და რელიგიური ყოფის ურთიერთმიმართების შესახებ და გვიჩვენებს მენტალობის ფორმას ქართველი ბერებისას, რომელთაც ჩამოუყალიბდათ აღნიშნული პრობლემების მიმართ. ნაშრომს ახლავს ვრცელი ინგლისური რეზიუმე.

4. საქართველოს მემორიალური კულტურა

511 გვერდი, 81 ილუსტრაციით, თსუ. 2001

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს მემორიალური კულტურის მონოგრაფიულად გამოკვლევის პირველ ცდას. წიგნში ჩამოყალიბებულია და შესწავლილი, საფლავის ძეგლთა ტიპოლოგია, ქრონოლოგია და სიმბოლიკა. ავტორი ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე აჩვენებს თუ რა დონეზე იყო ჩართული მოსახლეობის ფართო ფენები ზოგადქრისტიანული კულტურის წრეში, როგორ აისახებოდა ან რა რიგის ტრანსფორმაციას განიცდიდა წარმართული სარიტუალო პრაქტიკა ქრისტიანობასთან შეხვედრისას. გამოკვლევას ახლავს 37 გვერდიანი ინგლისური რეზიუმე.

5. მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა

163 გვერდი, 18 ილუსტრაციით, თსუ 1998.

ნაშრომში განხილულია მემორიალურ კულტურის ძეგლებზე ასახულ ისეთი სიმბოლოები როგორცაა: სახლი, ეკლესია, ჯვარი, ფრინველი, მზე, ხე, მცენარეული სამყარო, გვირგვინი, ვაზი, ნაყოფი, ცხვარი, თმები, თევზი, სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, ფერების სიმბოლიკა. ავტორი სიმბოლოთა კვლევის საფუძველზე გამოკვეთს ქრისტიანული და წარმართული რელიგიური აზროვნების ურთიერთმიმართებას. ნაშრომს ახლავს ვრცელი ინგლისური რეზიუმე.

6. მსოფლიოს რელიგიები

I გამოცემა 246 გვერდი, თსუ, 1996. II გამოცემა 253 გვერდი, „ინტელექტი“ 2005. III გამოცემა 310 გვერდი, „მერიდიან“, 2008.

ილუსტრირებული ნაშრომი სტუდენტი ახალგაზრდობისათვის. წიგნში უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან (ფეტიშიზმი, ტოტემიზმი, ანიმიზმი, მაგია) ერთად, განხილულია ძვ. აღმოსავლეთის, ინდოეთის, ჩინეთის, საბერძნეთის, რომის, იაპონიის ხალხთა რელიგიები. აქვეა წარმოდგენილი ბუდიზმი, იუდაიზმი, ქრისტიანობა, მაზდეანობა, ისლამი, სლავებისა და ცენტრალური ამერიკის ხალხთა რელიგია. წიგ-

ნის მიზანია მისცეს ახალგაზრდობას სწორი ორიენტაცია რელიგიათა რთულ სისტემაში გასარკვევად.

7. საქართველო ასი კაცის ქვეყანა

213 გვერდი, „ინტელექტი“, 2001.

წიგნში სამეცნიერო სტატიებთან ერთად წარმოდგენილია პუბლიცისტური წერილები გასული საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ – პოლიტიკური ცხოვრების, უაღრესად დაძაბული ოთხმოცდაათიანი წლების შესახებ. ნაშრომში გამოკვეთილია ავტორის პოზიცია ამ პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებით.

8. ქართული ლუდი, Georgian beer

140 გვერდი, 49 ფერადი ჩანართით „მერიდიან“, 2011.

ნაშრომში გამოკვლეულია ლუდის წარმოშობის სათავეები და მისი გავრცელების გზები საქართველოში, ფართოდაა განხილული ამ სამეურნეო კულტურის ტრადიციული და რელიგიური საფუძვლები. ავტორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის შესწავლით, გამოკვეთს და მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ქართული ლუდის წარმოების სისტემა გამოირჩევა არქაულობით და ლოგიკურად ექცევა იმ ისტორიულ-კულტურულ წრეში, რომელშიც შედიან მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მელუდენი. ნაშრომი წარმოადგენს ქართულ-ინგლისურ გამოცემას.

9. ვაზი სიცოცხლის ხე

ა. ოქროპირიძესთან, ნ. მახარაძესთან, ზ. კიკნაძესთან, რ. სირაძესთან და თ. შარაბიძესთან ერთად, 224 გვერდი, ფერადი ჩანართებით. თბილისი, 2010, 2014.

წიგნის მიზანია წარმოაჩინოს ვაზისა და ღვინის, როგორც გამოყენებითი, ასევე მხატვრული და რიტუალური ფუნქცია.

10. ვაზი და ღვინო საქართველოს არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში

144 გვერდი, ფერადი ჩანართებით. „მერიდიანი“ 2019 წ.

ნაშრომში, ვაზი და ღვინის კულტურასთან დაკავშირებულ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალასთან ერთად, წარმოდგენილია უახლესი ტექნიკური კვლევის შედეგები, რომელნიც ერთობლივად მიმართულნი არიან, ქართული მევენახეობა – მეღვინეობის უძველესობის დასამტკიცებლად. ქართულ-ინგლისურენოვანი გამოცემა

11. გრძნობა შენი მოვლისა

535 გვერდი, „მერიდიანი“ 2010.

წიგნში ქართული ეთნოკულტურის ნარკვევებთან ერთად წარმოდგენილია ავტორის ნამოღვაწარი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში. მასში ხაზგასმულადაა წარმოჩენილი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრობისას შესრულებული რეცენზიები, სიტყვები და მოხსენებანი. საქართველოს პარლამენტში ადამიანთა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თავმჯდომარის მოადგილედ ყოფნის პერიოდში განეული მუშაობის ზოგიერთი ასპექტი, საერთაშორისო ასამბლეაზე წაკითხული მოხსენებები, პუბლიცისტური წერილები და სხვ. ნაშრომში რელიეფურადაა გამოკვეთილი პოზიცია რომელიც ავტორს გააჩნია საქართველოს პოლიტიკური და სოციალური პრობლემების მიმართ.

12. დიდ საქმეთა პატარა ამბები

საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის, ჯ.ნადირაძესთან თანაავტორობით, ნაწილი I, 120 გვერდი, 100 ილუსტრაციით, „მერიდიანი“ 2011.

წიგნში მოთხრობილია ისტორია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ადამიანიდან, ვიდრე იბერიის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე. ესაა გაგრძელება არქეოლოგ ჯურხა ნადირაძის წიგნისა „მოთხრობები შორეულ წარსულზე“ (1989 წ.), რომელიც თავის დროზე დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა. ე.ნადირაძის შესრულებ-

ბული ნაწილი ორგანულადაა დაკავშირებული მასთან და საინტერესოდ მოუთხრობს ყმანვილებს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ.

13. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი

თანავტორი, პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი. 602 გვერდი, 500 ფოტოილუსტრაციითა და 150 ჩანართით, „მერიდიანი“, 2011.

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი წარმოადგენს ხანგრძლივი შრომის შედეგს და უმნიშვნელოვანეს ნოვაციას ქართველოლოგიის დარგში. ლექსიკონში წარმოდგენილია საგნობრივი ტერმინოლოგია, რომელიც მოიცავს სოციალური ყოფის თითქმის ყველა სფეროს. ნაშრომში თავმოყრილი მასალა, მისი გაცნობა და გაანალიზება, მთელი სისავსით წარმოაჩენს სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა მრავალმხრივობას, მის მნიშვნელობას და მიუთითებს წვლილზე, რომელიც ქართველ ხალხს აქვს შეტანილი მსოფლიოს ხალხთა ეთნოკულტურის საგანძურში. ლექსიკონს ახლავს ინგლისურ-ფრანგულ-გერმანულ-რუსულ ენებზე შესრულებული შესავალი და ანოტაცია.

14. ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი

თანავტორი, 181 გვერდი, თსუ, 2009.

ლექსიკონში მცირე ფორმატითაა წარმოდგენილი მასალები ქართველი ხალხის, როგორც სოციალური, ასევე სულიერი კულტურის სფეროდან. ნაშრომი შესრულებულია თსუ ეთნოლოგიის კათედრაზე პროფესსორ იოსებ ჭანტურიშვილის რედაქტორობით.

15. დასურათებული ლექსიკონი (საკითხავი ყმანვილთათვის)

თანავტორი, 320 გვერდი, „ციცინათელა“, 2008.

ესაა აკაკი ბრეგაძის საგამომცემლო სერიით გამოცემული ლექსიკონი, სადაც წარმოდგენილია ქართული მატერიალური კულტურის

დასურათებული ნიმუშები სათანადო ლექსიკოლოგიური განმარტებით.

16. ქართული და ძველადმოსავლური სამყაროს კულტურულ-ისტორიული პარალელები გიორგი ჩიტაიას მეცნიერულ მემკვიდრეობაში

46 გვერდი, 12 ფოტო, საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, 2012.

ნაშრომში წარმოჩენილია წვლილი, რომელიც გიორგი ჩიტაიამ შეიტანა ქართულ-კავკასიური და ძველადმოსავლური კულტურული პარალელების კვლევაში. გიორგი ჩიტაია, რომელიც საუკეთესოდ იცნობდა როგორც კავკასიის, ასევე ძველი აღმოსავლეთის ხალხთა მატერიალურ კულტურას, ამ მასალათა შეჯერების საფუძველზე, დასაბუთებულად წარმოაჩენდა ორი სამყაროს კულტურათა ნათესაობის ნიშნებს. ამ კვლევებით იგი თანაბრად ინანილებს პატივს, რომელს ჩვენს აღმოსავლეთმცოდნეებს მიუძღვით ამ რთული პრობლემის შესწავლის საქმეში. ნაშრომს ახლავს ინგლისურენოვანი რეზიუმე.

17. Грузины

812 გვერდი, 2015. М. „Наука“

ესაა ფუნდამენტალური გამოცემის „Народы и культуры“-ს ეგიდით შესრულებული ქართველ ეთნოგრაფთა კოლექტიური ნაშრომი, სადაც წარმოდგენილია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ძირითადი ეტაპები, დემოგრაფიული პროცესები, მატერიალური კულტურა, სამინათმოქმედო საქმიანობა, საოჯახო ყოფა, საცხოვრისი, ხელოსნობა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, სამოსი, მევენახეობა-მეღვინეობა, მემორიალური კულტურა და სხვა. ანუ, თითქმის ყველაფერი ის, რაც ითვლება ქართველი ხალხის ეთნოკულტურულ მიღწევად.

18. ქართველები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 2016. 711 გვ.
Грузины-ს ქართული ვერსია

19. სინათლე-ყველაზე დიდი სასწაული

345 გვერდი, 2016. გამომცემლობა „კავკასია“.

სტატიები, წერილები, ინტერვიუები, პორტრეტები. წიგნში რამდენიმე სამეცნიერო სტატიასთან ერთად შესულია ახალი პუბლიცისტური წერილები და დროთა განმავლობაში ნანახისა და განცდილის ფრაგმენტები.

20. Concise ethnographical vocabulary of Georgian material culture

200 გვერდი, დასურათებული. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016

ნაშრომი წარმოადგენს „ქართული მატერიალური კულტურის ლექსიკონის“ ადაპტირებულ ინგლისურ ვარიანტს,

21. Georgia the cradle of viticulture, 114 p. Tanaavtori, Bordeaux, 2017,

წიგნი-ალბომი, კოლექტიური ნაშრომი, რომელშიაც გაანალიზებულია ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიული გზა და წარმოადგენს საცნობარო ხასიათის ნაშრომს უცხოელი მკითხველისათვის. ახლავს მოკლე ანოტაცია იმ საგამოფენო პროექტისა და სამეცნიერო კონფერენციისა, რომელიც გაიმართა საფრანგეთის ქალსაქ ბორდოში 2017 წელს. ინგლისურ ენაზე

22. „აკაკი გვიცოცხლოს უფალმა“

ბროშურა 39 გვერდი, 2015, ფოტოებით, „მერიდიანი“.

პოლემიკური ხასიათის ნაშრომი, სადაც მოცემულია აკაკი წერეთლის მართლმადიდებლურ მენტალობასთან დაკავშირებული დაუსაბუთებელ შეხედულებათა კრიტიკა.

23. ვინ არიან და რა სურთ იელოველებს

ბროშურა, 61 გვერდი, „ლაზარე“, 2003.

ნაშრომში განხილულია რელიგიური მიმდინარეობის „იეჰოვას მოწმეთა“ მოძრაობა საქართველოში, მათი დაპირისპირება ტრადიციული (მართლმადიდებლური) რელიგიის წარმომადგენლებთან. დახასიათებულია საზოგადოება, რომელსაც განსხვავებული პოზიცია უჭირავს აღნიშნული პრობლემის მიმართ. ავტორი წარმოადგენს ევროსაბჭოს, ევროპარლამენტის, გაეროს დადგენილებებსა და რეკომენდაციებს, მოჰყავს ევროპის ქვეყნების (გერმანია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, შვედეთი) საკანონმდებლო ინიციატივები ანალოგიური პრობლემების მიმართ და ასკვნის, რომ საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი რელიგიათა შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერი სექტის წარმომადგენლებსა და მათ შორის „იეჰოვას მოწმეთა“ მიმდევრებს, პროზელიტიზმის გამოვლინების გარეშე, აღასრულონ თავიანთი რელიგიური ვალდებულებანი და იმოქმედონ კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში.

24. უსანეთის სტელა და ხატი

ბროშურა, ე. კაველაშვილთან თანაავტორობით, 25 გვერდი, 2016, „მერიდიანი“

ნაშრომში განხილულია სოფ. მეჯვრიხევიდან 1945 წელს, გ. ბოჭორიძის მიერ, თბილისში გადმოტანილი XI-XVI ს. ხატი და IX ს. სტელა, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ნაშრომის შექმნა განპირობებული იყო საელკესიო პირთა თხოვნით, რაც გამოწვეული იყო უსანეთის სტელის ასლის ქ. გორში დადგმასთან დაკავშირებით.

25. მაქს ტილკე, კავკასიის ხალხთა კოსტიუმები. MAXS TILKE NATIONAL COSTUMES OF CAUCASIAN PEOPLE

კატალოგი, თ.გელაძესთან და ბ. ნეიფ სმიტთან თანაავტორობით., 126 გვერდი, 83 ილუსტრაციით, „დიოგენე“ 2005.

კატალოგში წარმოდგენილია გერმანელი მხატვრის, მსოფლიოს ხალხთა კოსტიუმების მკვლევარის მაქს ტილკეს ის ნახატები, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ესაა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა კოსტიუმების უაღრესად საყურ-

ადლებო ნიმუშები, რომელიც რელიეფურად წარმოაჩენს სხვადასხვა ეთნოსთა პრაქტიკულსა და ესთეტიკურ დონეს სამოსლის სხვადასხვა სახეობათა მოხმარების სფეროში. ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე

26. ქართული მატერიალური კულტურის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან. KURDISH ARTIFACTS FROM THE NATIONAL MUSEUM OF GEORGIA

კატალოგი, (დ. ფირბართან და ლ. ფაშაევასთან თანაავტორობით) 119 გვერდი, 50 ილუსტრაციით, „Московский издательский дом“, 2007.

კატალოგში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ქართული სიძველენი: ტანსაცმელი, საჭურველი, ხალიჩური ნაწარმი, რელიგიური დანიშნულების ნივთები და სხვ. ნაშრომში ხაზგასმულადაა წარმოდგენილი ქართული ეთნოკულტურის თვითმყოფადი ხასიათი. ქართულ, ქურთულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე,

27. აზერბაიჯანული ხალიჩები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან, AZERBAIJANI CARPETS OF THE GEORGIA NATIONAL MUSEUM

კატალოგი, (ნ.ახალკაცთან და ლ. ალიევასთან თანაავტორობით). გვ 295, 2014.

ესაა ოთხენოვანი კატალოგი აზერბაიჯანული ხალიჩების იმ ნიმუშებისა, რომელიც ინახება ს. ჯანაშვიას სახ. საქართველოს მუზეუმში. კატალოგს ერთვის შესავალი, ნივთიერი მასალის კლასიფიკაცია და მეცნიერული დახასიათება. ნაშრომში წარმოდგენილია აზერბაიჯანის, „ირანის აზერბაიჯანის“ საქართველოსა და ყარაბაღის ხალიჩური ნაწარმის ისეთი სახეობანი როგორიცაა: ხალიჩა, ფარდაგი, ასალი, მაფრაშა, ხურჯინი. ინგლისური, ქართული, აზერბაიჯანული, რუსული გამოცემა

28. საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან.

კატალოგი, 159 გვერდი, 160 ილუსტრაციით, ავტორთა კოლექ-

ტივთან ერთად, „სეზანი“, 2009.

კატალოგში წარმოდგენილია საქართველოს პრეისტორიული ეპოქის, ადრეული ლითონებისა და ანტიკური ხანის, შუა საუკუნეების, ეთნოგრაფიის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის, დასავლეთ ევროპის, ახალი და უახლესი ისტორიის ამსახველი ექსპონატები. ქართულ და ინგლისურ ენებზე.

29. აზერბაიჯანის მატერიალური კულტურის ნიმუშები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

კატალოგი, გვ. 250, ელექტრონული ვერსია, 2010.

ატალოგში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული აზერბაიჯანული მატერიალური კულტურის ნიმუშები. ტანსაცმელი, კერამიკა, საჭურველი, ხალიჩური ნაწარმი, რელიგიური დანიშნულების ნივთები და სხვ. ნაშრომში წარმოდგენილია აზერბაიჯანული ეთნოკულტურის ორიგინალური ხასიათი. კატალოგი წარმოადგენს ქართულ-აზერბაიჯანულ-ინგლისურ-რუსულ ვერსიას.

30. ქართული ტრადიციული სამოსი. TRADITIONAL GEORGIAN ATTIRE (XVIII-XX)

303 გვერდი, 2009. (ი.მელიქიშვილთან და ლ. ტოგონიძესთან თანაავტორობით).

ესაა წიგნი-ალბომი სადაც დახასიათებულია XVIII-XX სს ქართული ტრადიციული სამოსი და ფართოდაა წარმოდგენილი ქართველი ეთნიკური ტიპი. ნაშრომი უხვადაა ილუსტრირებული კოსტუმისა და ტიპაჟის ფერადი ნამუშევრებით. ალბომი წარმოადგენს ქართულ-ინგლისურ გამოცემას.

31. ყაჯარული პერიოდის ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმში.

კატალოგი. დასრულებული პროექტი, ელექტრონული ვერსია გვ. 300. 2014.

ნაშრომის მიზანია სამეცნიერო წრეებსა და ფართო საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ეროვნული მუზეუმში დაცული ირანული ხელოვნების ის ძვირფასი ნიმუშები, რომლებიც მიეკუთვნება ე.წ. ყაფარულ პერიოდს. ეს უნიკალური მასალა საქართველოს მუზეუმშია შემოსულია მე-19 მე-20 საუკუნათა მიჯნაზე. გამოირჩევა მკვეთრი ორიგინალობით და აქამდე მისი დიდი ნაწილი უცნობია იყო ფართო საზოგადოებისათვის.

32. სომხეთის მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

კატალოგი. ელექტრონული ვერსია, გვ. 270, 2013.

კატალოგის მიზანია სამეცნიერო წრეებსა და ფართო საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ეროვნული მუზეუმში დაცული სომხური ხელოვნებისა და მატ. კულტურის უცნობი ნიმუშები, რომლებიც საქართველოს მუზეუმში შემოსულია XIX-XX საუკუნათა განმავლობაში.

33. „მზით განათებული ათასწლეულები“ SUNLIT MILLENNIA

კატალოგი, 200 გვერდი, თბილისი, 2017წ.

ესაა არქეოლოგ ჯურხა ნადირაძის ხელმძღვანელობით გათხრილი 4 არქეოლოგიურ ძეგლზე (მოდინახე, საირხე, ჯიეთი, მცხეთიჯვარი) მიკვლეული ანტიკური, ელინისტური და გვიანანტიკური ხანის საიუფილერო ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ნიმუშები. ქართულინგლისური გამოცემა

34. ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი (აჭარა), თანავეტორი, 640 გვ. ილუსტრირებული, ბათუმი, გამომც. „სამშობლო“, 2018.

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო კონკურსში გამარჯვებული პროექტი. ესაა ნაშრომი ისტორიულ პროცესში ჩამოყალიბებული იმ ტრადიციულ-კულტურული ფასეულობებისა, რომელიც აჭარის მოსახლეობის სოციალური ურთიერთობების, სამეურნეო ყო-

ფის, მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში ყალიბდებოდა საუკუნეთა განმავლობაში

35. Yerevan Khanate

1 200 გვ. ილუსტრირებული, ბაქო. 2019.

ესაა ნაშრომი ერევნის სახანოს ისტორიისა და მისი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ნაშრომში მოკლედაა მიმოხილული XVI–XIX სს. ირანის პოლიტიკური მდგომარეობა, ერევნის სახანოს შექმნის ისტორია და მისი მმართველები, ერევნის სახანოს მოსახლეობა, ერევნის სახანოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა, ერევნის სახანოს კულტურული მემკვიდრეობა. ნაშრომს ახლავს მდიდარი საილუსტრაციო მასალა, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ესაა ყაჯარული ეპოქისათვის დამახასიათებელი ერევნის სახანოს კულტურული მემკვიდრეობის ბრწყინვალე ნიმუშები, რომლის დიდი ნაწილი პირველად შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში. აზერბაიჯანულ ინგლისურ და რუსულ ენებზე

„ეთნოლოგიური ძიებანი“ და „შრომები“

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო კრებული, დამ-
აარსებელი და მთავარი რედაქტორი ელდარ ნადირაძე. გამოსულია
შვიდი ტომი.

ტ. I. 351 გვ., ილუსტრირებული, „ინტელექტი“, 2000 წ.

ტ. II. 273 გვ., ილუსტრირებული, „პირველი სტამბა“, 2003 წ.

ტ. III. 352 გვ., ილუსტრირებული, „მერიდიანი“, 2007 წ.

ტ. IV. 415 გვ., ილუსტრირებული, „მერიდიანი“, 2010 წ.

ტ. V. 439 გვ., ილუსტრირებული, „მერიდიანი“, 2013 წ.

ტ. VI. 375 გვ., ილუსტრირებული, „მერიდიანი“, 2017 წ.

„შრომები“ ტ. I (VII), 400 გვ. „მერიდიანი“ 2019

მას შემდეგ რაც ეროვნული მუზეუმის დირექციამ ჩამოაყალიბა ის-
ტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ინსტი-
ტუტის ხელმძღვანელისა და სამეცნიერო საბჭოს გადანყვევტილებით,
კრებულს სახელი შეეცვალა და ამიერიდან გამოდის საქართველოს
ეროვნულ მუზეუმთან არსებული ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეც-
ნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომების“ სახელწოდებით.

„ეთნოლოგიურ ძიებანი“ და მისი სერიული გაგრძელება „შრომები“
არაა შეზღუდული თემატიკით, მასში იბეჭდება, მეცნიერული გამოკვ-
ლევები ეთნოკულტურის, ისტორიის, ხელოვნებისა და არქეოლოგიის
დარგში. დღემდე ამ სერიებში დასტამბულია 172 სამეცნიერო სტატია
(აქედან ე.ნადირაძის ავტორობით 19), ყოველ გამოკვლევას ახლავს
რუსული ან ინგლისურენოვანი რეზიუმე.

მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში მოხსენებებით:

1. „Грузия – старейший очаг православной культуры“, док. и мате-
риали международных конференции. москва 2002 стр. 303 издат. дом „K
единству“. კრებულში წარმოდგენილია ე. ნადირაძის (ი. ჩინრაძესთან
ერთად) სტატია, საქართველოს, როგორც მართლმადიდებლური კულ-
ტურის უძველესი კერის შესახებ. წაკითხული ევროპის საპარლამენტ-
თაშორისო ასაბლევაზე საბერძნეთში, კუნძულ პატმოსზე.

2. „О сектах в Грузии“, док. и материалы международных конференции. док. и материалы международных конференции. москва, 2002, стр. 300 издат. дом „К единству“, კრებულში წარმოდგენილია ე. ნადირაძის სტატია საქართველოში მოქმედი სექტების შესახებ, რომელთაც უნდა განესაზღვროთ საკანონმდებლო ბაზა თავიანთი შემდგომი მოღვაწეობისათვის. ნაკითხული ევროპის საპარლამენტთაშორისო ასაბლევზე, ქ. რიგა 2002 წ. 4 თებერვალი.

3. „Непринятие новизны и непомерные амбиций, док. и материалы международных конференции. москва, 2002, стр. 323 издат. дом „К единству“. კრებულში წარმოდგენილია ე. ნადირაძის სტატია ორი მართლმადიდებლური ქვეყნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, სადაც გამოკვეთილია აზრი რუსული აგრესიის განსაკუთრებულობაზე ერთმორწმუნე ქვეყნის – საქართველოს მიმართ. ნაკითხული ევროპის საპარლამენტთაშორისო ასაბლევზე ქ. ბუქარესტში 2003 წ. 28 ივნისი.

4. Историческое и культурное наследие Кавказской Албании в контексте прав человека „მოხსენებით – „В поисках правовых аспектов защиты культурного наследия“ Баку, 2014

5. Georgia the cradle of Vitikulture, moxsenebiT „Rvinis socialuri bunebisaTvis“ Franse, Bordeaux, 2017, 5 November

ე.ნადირაძის სამეცნიერო სტატიები და პუბლიცისტური წერილები გამოქვეყნებულია: ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ქართულ ენციკლოპედიაში, ისეთ პერიოდულ გამოცემებში როგორცაა: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მომამბე“, „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, „ანალები“, „ისტორიანი“, „ისტორიულ ეთნოლოგიური ძიებანი“ „საქართველოს სიძველენი“, თსუ „შრომები“, ჟურნალებში: „ცისკარი“, „მნათობი“, „განთიადი“, „საბჭოთა ხელოვნება“, „ლიტერატურული საქართველო“, „ხელოვნება“, „მეცნიერება და ტექნიკა“, „ძეგლის მეგობარი“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის კრებულებში: „ლერჩუმი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985. „შიდა ქართლი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987. „ქვემო ქართლი“, გამომცემლობა „მეცნიერება“ 1990.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტიჟნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
აღ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22

